

ნათელა ვაჩნაძე  
ნინო თომაძე

## დამარცხებული საქართველო

(თბილისის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები)

ნანილი II



## მარიკა აბაიშვილი

1 აპრილი, 2008 წელი

ნათელა ვაჩნაძე: მარიკა, ჩვენ მუშაობის ასეთი სტილი გვაქვს. უნინარეს ყოვლისა, ჩვენ ვუნევთ ანგარიშს ჩვენს მომავალ მკითხველს. ბევრ-მა ალბათ იცის, ვინ არის ჩვენი ესა თუ ის მთხრობელი, მაგრამ ჩვენ მარტო იმ თაობისთვის არ ვწერთ ამას, ვინც იცის. ამიტომ ჩვენ უნდა წარვუდგინოთ ჩვენს მკითხველს მთხრობელი. თუ შეიძლება ძალიან მოკლედ, ეს იქნება CV-ი მოკლედ, მაგრამ მთავარი აქცენტები, მე ვფიქრობ, უნდა გაკეთდეს იმაზე: როდის დაუკავშირდა ესა თუ ის მთხრობელი ეროვნულ მოძრაობას, რა სიტუაციაში, რა ვითარებაში და რა დროს შემოვიდა, ეზიარა ამ იდეოლოგიას, როდიდან რა პოსტი ეჭირა. არის ისეთი ხალხი, ვისაც არავითარი პოსტი არ უჭირავს და არც სჭირდება იმას პოსტი. იმისთვის მთავარი ის საქმე იყო, რომელსაც ის ემსახურებოდა ერთგულად, კეთილად და გულწრფელად. ჩვენ ასეთებიც გვინდა. მე ვფიქრობ, შენ მიეკუთვნები მაინც ჟურნალისტთა კორპუსს და არა მთარგმნელთა კორპუსს, არა მეცნიერთა, მკვლევართა. მიუხედავად იმისა, რამდენადაც მე ვიცი, წლების განმავლობაში მუშაობდი შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, მაგრამ ეს კუთხე იმდენად არ მაინტერესებს და ალბათ ბუნებრივია, რომ არ მაინტერესებს ანგლო-საქსონურ ერებში როგორია შენი ცოდნა. მე მაინტერესებს სწორედ ის პერიოდი, ის მონაკვეთი, როდესაც შემოხვედი და მერე ჩაგაბარეს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი უბანი, ანუ ძალიან მნიშვნელოვანი გაზეთი და დაგნიშნეს მის რედაქტორად, რაც შემთხვევითი მოვლენა არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

მარიკა აბაიშვილი: მე ვარ მარიკა აბაიშვილი. დავიბადე 1956 წელს. 80-იან წლებში დავიწყე მუშაობა ლიტერატურის ინსტიტუტში. მანამდე დავამთავრე დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი უნივერსიტეტში. ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა აგრეთვე ზვიად გამსახურდია, რომელსაც მე არ ვიცნობდი ინსტიტუტში ჩემი მუშაობის დროს. ერთი ეპიზოდი იყო, როდესაც მე პირადად შევხვდი ზვიად გამსახურდიას. ჩვენ მოსკოვიდან მოვფრინავდით მე და ჯუნა, დედაჩემი. რალაც კონფლიქტი მოუვიდა ჯუნას სტიუარდესასთან. იმ თვითმფრინვაში იჯდა თურმე ზვიად გამსახურდია, რომელსაც, აღმოჩნდა, რომ ჯუნა იცნობდა. და როდესაც ჩამოვედით თბილისში, ზვიადი მოვიდა ჯუნასთან და უთხრა, რომ რაში იყოო საქმეო, მესმოდაო რალაცაო, მაგრამ შორს ვიჯექიო. და ეს არ დამავიწყდება არასდროს. იცი რაო, როგორც ფინია ძალღს, ისე უნდა მიმართოო. მოკლედ, ამაზე ნერვი არ უნდა აიშალოო. ეს მახსოვს. და მახსოვს კიდევ ერთი ეპიზოდი. მე ვიყავი სტუდენტი, მიშა კვესელავას ლექცია გვექონდა. მიშა კვესელავამ მოხსნა ლექცია და თქვა, რომ მე ეხლა მივდივარ პირველ კორპუსში, იქ იქნება დისერტაციის დაცვა და ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მოვ-

ლენა ქართულ აზროვნებაში და მე იქ მივდივარ. არ უთქვამს, თქვენც წამოდითო, მაგრამ ჩვენ ბევრნი, ვინც ლექციაზე უნდა ვყოფილიყავით, წავედით პირველ კორპუსში. მახსოვს, სააქტო დარბაზში, რომელიც გადატენილი იყო, მაშინ ვნახე ზვიად გამსახურდია, რომელიც მაშინ მართლა ჰგავდა პრინცს თავისი გამოვლინებით: მეტყველების ფორმით, ლექსიკით, პლასტიკით, როგორ ეჭირა თავი. მახსოვს, ეს ძალიან სერიოზული კამათი მასსა და აკაკი განერელიას შორის, რომლის არსს მე ვერ ჩავწვდი. თუ არ ვცდები, შოთა რუსთაველის დამოკიდებულებაზე იყო სამუბასთან დაკავშირებით. მე ამას ვერ ჩავწვდი მაშინ, მაგრამ მახსოვს, რომ ეს მე აღვიქვი, როგორც რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ სააზროვნო სივრცეში. ამის შემდეგ მე მქონდა წლების მანძილზე ძალიან ცუდი განწყობა ზვიად გამსახურდიას მიმართ. იმიტომ, რომ მე მქონდა ბავშვობიდან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ზურაბ კაკაბაძესთან და მთელ მის მეგობრებთან. ეს დედაჩემის მეგობრების წრე იყო: თაზო ბუაჩიძე, ზურაბ კაკაბაძე, მიმიკო ბეჟანიშვილი და სხვები და სხვები. მაშინ მოხდა კონფლიქტი... ნიკო ყიასაშვილი ჩემი პედაგოგი იყო. ამ დროს მოხდა ესეთი კონფლიქტი, რომ ზვიად გამსახურდია უშვებდა იატაკქვეშა ჟურნალს „საქართველოს მოამბე“, სადაც ძალიან სერიოზული პუბლიკაციები იყო. სხვათა შორის, თინა მიქელაძე მაძლევდა ხოლმე ამ ჟურნალებს და თუ არ ვცდები, თინას ამით ამარაგებდა, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს დღეს ეს, ნანა ალექსანდრია. არა, უცნაური არ არის, იმიტომ, რომ, ესეც უნდა ითქვას, რომ მერე გავმიჯნე. ძალიან ბევრი იყო დისიდენტი ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ბევრი არ იყო ეროვნული ფასეულობების დამფასებელი ადამიანი. მერე, სხვათა შორის, როდესაც საქართველოში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა, კონფლიქტი ძირითადი მოხდა დისიდენტებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებსთვისაც დისიდენტობა იყო იარაღი ეროვნული თვითგამორკვევისთვის. მაშინ მოხდა ესეთი ფაქტი, ესეც მნიშვნელოვანია.

ნათელა ვაჩნაძე: პირველი ძალიან დიდი კონფლიქტი მოხდა, ლევ კობოლევის ჩარევის საჭიროება რომ დადგა.

მარიკა აბაიშვილი: ეს მერე იყო. მოკლედ, ესენი უშვებდნენ ამ ჟურნალს. ჟურნალი ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა: ისტორიულს, აქტუალურს, სხვას და სხვას. ერთ-ერთი, არც ძალიან მნიშვნელოვანი სფერო ამ ჟურნალის იყო ის, რომ ამხელდნენ ხოლმე იმ ადამიანებს, რომლებსაც რაღაცა კონტაქტი ჰქონდათ საზოგადოებასთან. ამ შემთხვევაში, სხვათა შორის, სამივე იყო ლექტორი და ამდენად სტუდენტებთან ჰქონდათ ურთიერთობა. ერთ-ერთ ჟურნალში დაწერეს, რომ სუკის დავალებებს ასრულებენ ნიკო ყიასაშვილი, ოთარ ჯინორია და მზია ბაქრაძე და ესენი სტუდენტებს „ავერბოვკებენ“. ამაზე ატყდა ერთი ამბავი, ნიკომ ატყხა ერთი ამბავი. არც მზია ბაქრაძეს, არც ოთარ ჯინორიას ამაზე ამბავი არ აუტყხიათ.

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონ მზია ბაქრაძეს იმ მომენტიდან ჩაესახა საშინელი ზიზი ზვიად გამსახურდიას მიმართ.

მარიკა აბაიშვილი: ალბათ, ალბათ.

ნათელა ვაჩნაძე: მიუხედავად იმისა, რომ მზია ბაქრაძე ბოლო წლების განუყრელი მეგობარი იყო თამრიკოსი, მისი დის.

მარიკა აბაიშვილი: ეგ არ უშლის ხოლმე ერთმანეთს ხელს. ...მე ამ ვითარებაში ვიზრდებოდი. მე მაშინ სკოლას ვამთავრებ, სტუდენტი ვხდები და მაშინ გამიჩნდა საშინელი ანტიპათია ზვიად გამსახურდიას მიმართ, იმიტომ, რომ ეს ადამიანები იყვნენ ნიკო ყიასაშვილის მეგობრები. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ ამას, არაფერი ამაში არ არის უცნაური, რომ ნიკო ყოფილიყო მართული გარკვეული სპეცსამსახურების მიერ. იმიტომ, რომ ნიკო იყო საბჭოთა კავშირის დროს კულტურული ატაშე დიდ ბრიტანეთში. ესეთ თანამდებობებზე სანდო ადამიანების გარდა არავის არ უშვებდნენ. სხვათა შორის, ნიკომ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში იგივე შექსპირის პოპულარიზაციის საქმეში, ძალიან განათლებული, ურთიერთობაში ძალიან სასიამოვნო კაცი იყო, მაგრამ ეს სულ არ გამოორიცხავს იმას, რომ ის იყო სპეცსამსახურებისთვის სანდო. არც იმას, რომ სტუდენტები თავისი მიდრეკილებების მიხედვით ამ საქმეში აეყოლებინა ბატონ ნიკოს. ჩემთან ეგეთი ურთიერთობა არ ჰქონდა, თუმცა ჩვენ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა. დედაჩემი პატიჟებდა სტუმრად ნიკოს, მაგრამ არასოდეს... მე არ შემიძლია ეს დავადასტურო, არც ვუარყო. მაგრამ ეგ არ არის მთავარი. მთავარი არის ის, რომ ამაზე ატეხა ნიკომ ერთი ამბავი. ინტელიგენციის ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც იმ დროის საქართველოში ძალიან დიდ როლს ასრულებდა საქართველოს სულიერ ცხოვრებაში მეტად, ვიდრე რამე პოსტები ჰქონოდათ ამათ, ესენი იყვნენ მართლა დისიდენტური ინტელიგენცია: ზურაბ კაკაბაძე, ნოდარ კაკაბაძე, იგივე თაზო ბუაჩიძე, სხვები და სხვები.

ნათელა ვაჩნაძე: ნიკო ჭავჭავაძე? დირექტორი იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის.

მარიკა აბაიშვილი: ნიკო ჭავჭავაძემ დიდად არ გამოიძო, მე მგონი, თავი. ...და მოაწყვეს სასამართლო. ზვიად გამსახურდიას მოსთხოვეს, რომ დაემტკიცებინა ის, რა ბრალდებებსაც უყენებდა ამ ადამიანებს. ამას ესწრებოდა მიშა კვესელავა, ესწრებოდნენ კიდეც სხვები და სხვები, ციალა თოფურიძე, აღარ მახსოვს კიდეც.

ნათელა ვაჩნაძე: ვის ოჯახში იყო, არ გახსოვს?

მარიკა აბაიშვილი: არ ვიცი. ვიცი ის, რომ მიშა კვესელავამ ამ შეკრების მერე თქვაო, რომ ეს კაცი გვეუბნება იმას, რომ თქვენ ის ხართ, რაც ხართო. მე უშუალოდ მოვისმინე ინფორმაცია ზურაბ კაკაბაძისგან და ამ ფრთისგან ვისმენდი, რომ ამან ვერაფრით ვერ დაამტკიცა ეს. არ ვიცი, როგორ უნდა დაემტკიცებინა ამას. ამის შემდეგ მე მესმოდა სულ აუგი ზვიად გამსახურდიასი. ერთი, სხვათა შორის, რაც მე მაშინ-

აც ყურში მომხვდა. ბატონმა ზურამ, ზურა ბიძიას ვეძახდი მე, თქვა ესეთი რამე, რომ მე უკვე იმ ეტაპზე ვიყავი, როდესაც უკვე უნდა სოლჟენიცინთან ერთად ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელოც მეთქვაო, როცა უცებ ასეთი რამე ქნაო და დაწერაო და მეო ნიკოსო ვერ გავწირავო. ტენდენციურად იყო ამის წინააღმდეგი და სისტემურად, თორემ მარტო ნიკოში არ იყო საქმე. კი, ნიკო არის... როგორ შეიძლება ადამიანების... წინა პლანზე წამოვიდა ადამიანის უფლებების დაცვა. მე მაშინ ეს მომხვდა ყურში, იმისდა მიუხედავად, რომ მთელი ჩემი სიმპათია იყო კაკაბაძეების მხარეს. სადღეგრძელოს აწევა რას უშველის. ცოცხალი კაცი დადის და თუ აკეთებს რაღაცას შენთვის მოსაწონ საქმეს და შენ ხარ ერთ-ერთი საჭეთმპყრობელი მაშინ ამ ქვეყნის სულიერი ცხოვრების, მიდი და საქმით დაუდექი გვერდზე, შენი სადღეგრძელო რა მოსატანია ამ სიტუაციაში, არ ვიცი. მოკლედ, ასეთი რამე მოვისმინე მაშინ. იმის შემდეგ გავიდა ხანი და ზვიად გამსახურდია დაიჭირეს. მე მახსოვს, რომ ზურას ჰქონდა ამაზე უმძიმესი რეაქცია. სახლში მოიყვანეს და ვიცი, რომ ლამის ლოგინად ჩავარდა. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთს წაეწყო. ამის მერე, როდესაც ეს თავყრილობა მოხდა და ეს სასამართლო, ვენორი ქვაჩახიამ დაწერა წერილი გაზეთ „კომუნისტში“, სადაც დაწერა, რომ ზვიად გამსახურდია სუკის აგენტებად მოიხსენიებს... და არა მარტო ნიკო ჩაწერა, არამედ ისინიც, ვინც ესწრებოდნენ ამას. ესენი ბატონ ზვიად გამსახურდიას არ მოუხსენიებია სუკის აგენტებად.

ნათელა ვაჩნაძე: შინაგანი დაპირისპირება იყო მათ შორის.

მარიკა აბაიშვილი: შინაგანი დაპირისპირება იყო, მაგრამ სუკის აგენტებად არ მოუხსენიებია.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ გამოიყენა ეს ამბავი თავისი კოლეგების წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ეგენი ძალიან დაპირისპირებულები იყვნენ. ისინი არ ცნობდნენ ვენორს, არა და ერთი და იმავე მასწავლებლის მონაფეები იყვნენ, კოტე ბაქრაძის.

მარიკა აბაიშვილი: ვენორმა რომ ეს დაწერა, ამითი... სხვათა შორის, საზოგადოებაში სიმპათია იყო მაინც უფრო ზვიად გამსახურდიას მიმართ. ამითი ამათ გაუტეხა სახელი. ზურაბ კაკაბაძე და ნოდარ კაკაბაძე ვერ მიაწვდნენ მთელ საზოგადოებას ხმას, რომ ჩვენზე არ დაუწერია. მით უმეტეს, რომ ამას მერე მოჰყვა ეს ცნობილი სასამართლო. ერთი სიტყვით, ყველა გაისვარა.

ნათელა ვაჩნაძე: მერე დაჭირდათ კოპოლევის მხარდაჭერა.

მარიკა აბაიშვილი: ამის მერე დაჭირდათ კოპელევი. მაშინაც, სხვათა შორის, იგივე სქემა იყო, რასაც ეხლა ესენი ეკეთებენ. კოპელევმა გვითხრას... მე წავიკითხე მერე მისი ადრინდელი შრომები. იყო ძალიან საბჭოთა თარგზე გამოჭრილი მეცნიერი, გერმანისტი, რომელმაც... “Осторожно змеинный яд” – ეგეთი წიგნი აქვს, მე მერე წავიკითხე ესა. წავიკითხე, იმიტომ, რომ მე მაშინ ბეკეტზე ვმუშაობდი და ამას აქვს

ბეკეტზე წერილი, სადაც საშინელებებს წერს ბეკეტზე ეს კოპელევი. მაშინ ვკითხე მერე ნათიას და მითხრა, რომ საშინელი მარქსისტი იყო. უნდა ნახოო, როგორ ამხელს თავის თავსო. რასაკვირველია, მერე ეს კოპელევი გახდა დისიდენტი და კოპელევის ავტორიტეტი მოიშველიეს ზვიად გამსახურდისგან ნიკო ყიასაშვილის დასაცავად. კოპელევმა მართლაც გამოგზავნა წერილი. მე ეს წერილი წაკითხული მაქვს, სადაც სამივე ამ ადამიანს იცავდა. დღეს უკვე ეს არის ძალიან სასაცილო, მაგრამ მთავარი აქ რა იყო. არ ვიცი, ამას რა დავარქვა. ამას სუკი აკეთებს თუ... ზოგადად ეს არის ბოროტის ხრიკები, არანმინდას ხრიკები. მისი ინსტრუმენტია ერთ-ერთი სუკი და სპეცსამსახურები, რომ რაღაცა განხეთქილება მოაწყოს იქ, სადაც თეორიულად შეიძლება, რომ განხეთქილება არ იყოს. ბევრი რამე იქ იყო ისეთი, რაც ზურაბ კაკაბაძისთვის იყო ძვირფასი, მაგრამ ამან უკვე ესენი რაღაცნაირად გამიფხნა. ის ადამიანები, რომლებიც იმ ხანად ქვეყნის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში რაღაც როლს ასრულებდნენ და თამაშობდნენ, ესენი რაღაცნაირად ჩამოაშორეს ზვიად გამსახურდიას და ძალიან ცოტა დარჩა მის გვერდით. ამის მერე მე უკვე გავხდი ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი და პირადად ვხვდებოდი ხოლმე ზვიად გამსახურდიას, მაგრამ არანაირი კონტაქტი არ მქონდა, არც ვიცნობდი. ერთი მნიშვნელოვანი რამე უნდა ითქვას, მე ეს არ დამავინყდება. ერთ-ერთ რიგით სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება ყველა სამეცნიერო ინსტიტუტში, ზვიად გამსახურდიამ გამოიტანა თავისი რიგითი სამეცნიერო თემა. როდესაც დაასრულა თემა, ეგეთი რამე, მე მგონი, არ ხდება, დარბაზში იყო ტაში. მე ყველაზე მეტად დამამახსოვრდა მანანა გიგინეიშვილის გამოსვლა, რომელიც გამოვიდა და ცაში აიყვანა ეს შრომა. მთელი პათოსი იყო იმისკენ მიმართული, რომ აი ეს არის შენი საქმე, ამაში ხარ ბრწყინვალე და რა გინდა იმ რაღაცა ჭუჭყში და უბედურებაში. ეს იყო მთელი პათოსი ამის და ტაშიც იყო ამის მომასწავებელი, რომ შენი საქმე აი ეს არის. მოკლედ, რასაკვირველია, მუდამ იყო მცდელობა, რომ იზოლაციაში ყოფილიყო და იმ საქმეს ჩამოშორებოდა. შეიძლება სხვებზეც იყო ესეთი მცდელობა, ვინც ამ საქმეში რაღაცნაირად იყო ჩართული, მაგრამ ეს უფრო მეტად ჩანს, როდესაც ეხება იმ ადამიანს, რომელმაც შემდგომ ეს საქმე არ მიატოვა და წარმატებას მიაღწია სწორედ ამ გზაზე. მე მახსოვს კარგად ჩემი მეტამორფოზა, დამოკიდებულება როგორ შემეცვალა პირადად ზვიად გამსახურდიას მიმართ. ამ საქმეში კიდევ ჩემთვის ორმა ადამიანმა ითამაშა თავისი როლი. ერთი იყო მაია ნათაძე და ერთი იყო მიშა ნანეიშვილი. მაია ნათაძემ თქვა, რომ ეხლა არის ისეთი სიტუაციაო, რომ... აღარ მახსოვს, რაღაც ინფორმაცია მომცა ისეთი, რომ ჩანდა, რომ ზვიადის მიმართ იყო სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ოფიციალური მხრიდან, ვიდრე ნებისმიერი ასევე დისიდენტურად განწყობილი ადა-

მიანების მიმართ. ძალიან დიდი როლი ითამაშა მაშინ მიშა ნანეიშვილმა. 88 წელს იყო შიმშილობის აქცია. ეს იყო პირველი პროტესტის გამოხატულება საქართველოში, როცა ახალგაზრდების ჯგუფი მთავრობის სახლის წინ დაჯდა საშიმშილოდ. და მოთხოვნა იყო...

ნათელა ვაჩნაძე: აფხაზეთი.

მარიკა აბაიშვილი: აფხაზეთი მერე იყო.

ნათელა ვაჩნაძე: არა, მაშინ აფხაზეთი იყო.

მარიკა აბაიშვილი: მაშინ აფხაზეთი იყო? ...პირველი შიმშილობა იყო. მაშინ იყო გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი. მე და ჩემი მეგობრები დავდიოდით ამათთან და მხარს ვუჭერდით. მახსოვს, შეკრებები იმართებოდა კინოს სახლში. ერთ-ერთი შეკრების დროს, მე ვესწრებოდი ამ შეკრებას, იყო... მოდიოდნენ ავტორიტეტული ადამიანები, ვინც ამაში იყვნენ ჩართული და ამაზე ლაპარაკობდნენ. აფხაზეთი არ იყო, აფხაზეთი იყო აპრილში.

ნათელა ვაჩნაძე: იყო, იყო.

მარიკა აბაიშვილი: მაშინ იყო, რომ იღებდნენ საბჭოთა კონსტიტუციიდან იმ პუნქტს, სადაც ლაპარაკი იყო თვითგამორკვევის უფლებაზე. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდან უნდა ამოეღოთ ის პუნქტი, რომელიც იყო უმაქნისი და ფორმალური პუნქტი იყო, რომ რესპუბლიკებს ჰქონდათ თვითგამორკვევის უფლება. აი ეს იყო მთავარი, ამიტომ დასხდნენ ესენი საშიმშილოდ, მაგრამ ესეც იყო საბაბი, რა თქმა უნდა. მთავარი იყო, რომ უკვე ირყეოდა... ეს არის „პერესტროიკის“ პერიოდი, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში რაღაც ხდება, საქართველოში ფოთოლი არ იძვრის. მე მახსოვს, დავდიოდი და სულ ვფიქრობდი, რომ სომხეთშიც კი რაღაც ხდება და ჩვენთან ფოთოლი არ იძვრის.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენთან დაიწყო ეს ყველაფერი 88 წლის 12 ნოემბერს.

მარიკა აბაიშვილი: მსვლელობა რომ მოაწყო ზვიადმა, იპოდრომისკენ რომ წაიყვანა ეს ხალხი. ნათელა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან მინდა, რომ მერაბს ამაზე დაელაპარაკო. იმიტომ, რომ მერაბს ამაზე სერიოზული არგუმენტები აქვს 9 აპრილთან დაკავშირებით. ...მოუწოდებდნენ ესენი. აქ იყო რეზო თაბუკაშვილი, აქ იყო ლალი ჯავახიშვილი, აქ იყვნენ ბევრი ცნობილი ადამიანები. კინოს სახლში იყო შეკრება და მთავარი პათოსი რა იყო, რომ ჩვენ უნდა ამ ახალგაზრდებს მოვუწოდოთ, რომ ესენი ადგნენ და წავიდნენ. რატომ – იმიტომ, რომ არის საშიშროება, რომ ამათ დაარბევნ. აი ეს იყო პათოსი და მე ამას ვიზიარებდი, მთელი ჩემი სიმპათია იყო ამ გამომსვლელების მხარეს. მე მახსოვს, რომ გამოვედი ამ კინოს სახლიდან და რაღაცეებს გვანვდიან, რომ იქ ხდება რაღაც საშინელება, უხამსობასაც აქვს ადგილი, რომ იქ რაღაცა ცუდი ამბები ხდება და ეხლა ამათ დაარბევნ და როგორმე ისინი ავაყენოთ იქიდან. გამოვედი იქიდან და შემხვდა კახა ჩიტაია. ვეუბნები, რომ მე აფორიაქებული ვარ და... კახამ მითხრა, რომ იცი რაო, ესენი დამშვიდნენო და იქო ყველაფერი აწყობილი

არისო, არაფერი იქ არ ხდება ცუდიო. იქიდან მე და თათი ნავედით იმ მოშიმშილეებისკენ და ვნახეთ, რომ მართლა არის მშვენიერი... იყო ზვიად გამსახურდია იმათთვის ძალიან ავტორიტეტული, არსებითად ყველაზე ავტორიტეტული იყო ზვიად გამსახურდია. ზვიად გამსახურდია დაიბარეს უმაღლესი საბჭოს შენობაში და მოსთხოვეს ამათი აყენება იქიდან. ზვიადმა უთხრა მარტივად: ესენი მე არ დამისვამს და მე ვერ ავაყენებ ამათო. ეს იყო ძალიან კარგი ფანდი, რომელსაც ხმარობდა ხოლმე.

ნათელა ვაჩნაძე: ჭანტურიამ დასვა.

მარიკა აბაიშვილი: რასაკვირველია, ყველა ადამიანმა იცოდა, რომ ზვიადის ერთი სიტყვა საკმარისი იყო, რომ ისინი იქიდან ალაგმულიყვნენ, მაგრამ მეორე მხარეც აქვს ამას. ზვიადს რომ ეთქვა, რომ ეხლა ადექით, წადით სახლში, ისინი ადგებოდნენ, მაგრამ რამდენად ზვიად გამსახურდია დარჩებოდა ლიდერად ამაში, ეს საკითხავია. იმიტომ, რომ არაგულწრფელობას ხალხის დიდი მასა – ჩვენთან ეგრეა და სხვაგან არ ვიცი – არ პატიობს არავის. ზვიად გამსახურდია ველარ იქნებოდა ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ეს ხალხი ატაროს თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე. ეს იქნებოდა ცხადზე ცხადი. ერთი სიტყვით, ზვიადმა ეს არ ქნა, არც არავინ არ ქნა და მერე იყო ესეთი მცდელობა, რომ ეხლა ჩვენ უნდა რაღაცა ამათ ვთხოვოთ. იქიდან, მე მახსოვს, მე და კოტე ჯანდიერი მივედით მიშა ნანეიშვილთან და ამას ვუყვებით, რომ აქ ესენი იყვნენ, უნდა ავაყენოთ ისინი როგორმე და... მიშამ გვითხრა ნანეიშვილმა: რას ჰქვიაო, რომ მიხვიდე და... ე. ი. ამათ რას სთავაზობენო, რომ ესენი როგორც ქურდებიო, იმიტომ, რომ დაგარბიონ, ადგნენ და წავიდნენო? გიგა გამოვიდა ლორთქიფანიძე. გიგა რომ ხარ ლორთქიფანიძე, მოდი და შენც გვერდზე დაუდექი იმათო. ყოველ შემთხვევაში, ის მოშიმშილეები მაშინ რომ ადგნენ, ადგნენ იმიტომ, რომ გორბაჩოვმა გააკეთა განცხადება, რომ... რაღაცა იყო ესეთი აზრიც, რომ მოგვატყუეს, რომ თითქოს დატოვეს ეს პუნქტი და, მგონი, არც დატოვეს, მაგრამ ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მერე მოხდა ისე, რომ 12 ნოემბერს ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, გია ჭანტურიამ, თემურ ქორიძემ, ბევრი იყვნენ, დიდი დროშებით, ეს მახსოვს კარგად, როგორ გაიარეს უნივერსიტეტიდან იპოდრომამდე. იპოდრომთან გაიმართა დიდი მიტინგი.

ნათელა ვაჩნაძე: იქ ზემოთ იყვნენ აივანზე, მოუწოდებდნენ ხალხს და სიტყვებით გამოდიოდნენ გურამ მამულია და ჯუმბერ კოპალიანი.

მარიკა აბაიშვილი: ხო, მახსოვს ეგენი. ვილაცამ მითხრა, ეს სპეციალურად არისო გურამ მამულია მანდ, იმიტომ, რომ ეს იქნება ის, რომ აუცილებლად როდისღაც იფეთქებსო. ეგრეც მოხდა. იქ იყო ესეთი მოწოდება ამ მიტინგის დროს, რომ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი გახდეს აკაკი ბაქრაძე. და ტაში და ერთი ამბავი იყო ამაზე, რომ აკაკი ბაქრაძე იყოს საქართველოს პრეზიდენტი. მე რისი

თქმა მინდა. ეს იყო აღმავლობის გზაზე დამდგარი ეროვნული მოძრაობა, რომლის გამოხატულებაც თვალნათელი იყო ის შიმშილობა და 12 ნოემბრის მსვლელობა. შიგადაშიგ იმართებოდა მიტინგები, რაღაც ამბები ხდებოდა, მაგრამ... აი 9 აპრილს რომ უძლოდა წინ აპრილის დღეები, ეს იყო უკვე ამოხეთქვა და საბაბი იყო აფხაზეთი. დასხდნენ საშიმშილოდ. პრემიერაზე ვიყავით ირაკლი ლომოურის პიესის მარჯვნივნილის თეატრში მე და თათი და იქიდან პირდაპირ წამოვედით აქ. გვიან იყო. აქაც მაშინ მოშიმშილეებიც იყვნენ და მიტინგები იმართებოდა სულ მთავრობის სახლის წინ. და შევესწარი უბრალოდ პაექრობას ირაკლი წერეთელსა და თამარ ჩხეიძეს შორის, სადაც თამარ ჩხეიძე ამტკიცებდა, რომ ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს „აფხაზეთი“. იმიტომ, რომ ჩვენ რომ ესენი გვასხედან თავზე, ეს განა ახალია, მაგრამ ამ წუთას არის მწვავე ეს აფხაზეთი და აფხაზეთზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებული. მახსოვს, ირაკლი წერეთელი რომ გამოვიდა და თქვა, რომ აფხაზეთი არავითარ შემთხვევაში. ჩვენ იმ წუთას დაგვწამებენ, რომ ვართ იმპერიალისტები ჩვენც, როგორც კი აფხაზეთზე... ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რაც არის თავი და თავი ამ უბედურების, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ საბჭოთა კავშირიდან თავის დახსნა. სხვათა შორის, ძალიან კარგად, მწყობრად ლაპარაკობდა ძალიან ირაკლი წერეთელი. არ ვიცი, ირაკლი წერეთელის უკან... მაგრამ ფაქტი იყო ის, რომ ზვიად გამსახურდიას, ირაკლი წერეთელს, გია ჭანტურიას, ირაკლი ბათიაშვილს, ამ ჯგუფს ჰქონდა ეს აზრი, რომ ჩვენ უნდა დავაყენოთ სწორედ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის მოთხოვნა. მაშინ მოხდა ამათ შორის განხეთქილება და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ ეს არენა დატოვა საერთოდ, იმიტომ, რომ ვერ შეთანხმდნენ ამაზე. მაგრამ ამის მერე მოხდა ის, რაც მოხდა. მერე ზვიად გამსახურდიამ დაწერა „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“, იმ ერთი წლის განმავლობაში მერე რაც მოხდა. არ ვიცი, ვინ რა შეფასებას აძლევს ამას, მაგრამ რომ საბჭოთა კავშირის ნამდვილი რღვევა დაიწყო 9 აპრილს, ეს რომ არ აღიარო, ეს ნიშნავს, რომ თვალზე ხელი აიფარო. უბრალოდ ამ ქვეყანას აქვს ეგ სურვილი და საერთოდ მეტადრე აქვს ნაწილს საზოგადოების, რომ მიჩქმალონ ყველაფერი...

ნათელა ვაჩნაძე: იცით, რა დებულება აქვთ კიდევ? რა საჭირო იყო ეს ყველაფერი, საბჭოთა კავშირი ხომ ისედაც ინგრეოდა. დაგვეცადა, ბატონო, გულ-ხელი დაგვეკრიფა.

მარიკა აბაიშვილი: ხო, ეგ კიდევ სხვა არის.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იმიტომ, რომ ხალხის, დისიდენტების და მათი წინამძღოლების როლის დამცრობა რომ მოხდეს.

მარიკა აბაიშვილი: მარტო როლის არა, პრინციპულადაც.

ნათელა ვაჩნაძე: ტყუილად ჩაიარა ამან ყველაფერმა, ტყუილად. შენ არა ხარ დამრღვევი საბჭოთა კავშირის, შენ ვერც ერთი აგური ვერ შეუწყე ამ ქვეყანას, ეს თავისით მოხდა ყველაფერი და შენ მზამზარეული

„პოდნოსით“... „პოდნოსი“ სიტყვა სულ მაგონდება და მზარავს, იმიტომ, რომ ვილაცამ შემოაგდო ეგ სიტყვა და მერე ყველასგან ეს მესმოდა – „პოდნოსით“ მორთმეული დამოუკიდებლობა.

მარიკა აბაიშვილი: მერაბს პუბლიკაციაში აქვს, თუ ნაგიკითხავთ, ერთ-ერთი შუა აზრის რესპუბლიკის მეთაურის ციტატა. რა გვარია, არ მახსოვს. მაშინო უნდა ვაღიაროთო, რომ ყველა დროის ყველაზე გენიალური პოლიტიკოსი არის ის, რომელმაც ეგეთი რამე დაწერა, რომ „*Проснулся и это Советского Союза нет*“. ამისი ანალოგია, სხვათა შორის, ამ ქვეყანამ გაიარა 1918 წელს, როდესაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი იმ პერიოდში. იმიტომ, რომ რუსეთის იმპერია დაიშალა. აქ რაციონალურს იმდენად ვერ მოიტან, რამდენაც სულიერ ფაქტორებს. ის, რაც შენი გარჯის გარეშე ხდება და რაც შენი სულიერი ძალების და არა მარტო სულიერი, მაგრამ სულიერია მანდ მთავარი, დაძაბვის გარეშე ხდება, ის შენ სიკეთეს ვერ მოგიტანს, ის შენთვის ღირებული არ არის. ეს არის სწორედ...

ნათელა ვაჩნაძე: განზე მდგომი კაცის მსოფლმხედველობა.

მარიკა აბაიშვილი: ეს ერთი და მეორეს ერთი, საბჭოთა კავშირი იშლებოდა, მაგრამ სახაროვის გეგმა სწორედ ეგ იყო. ეს, სხვათა შორის, არა მარტო ირაციონალური მტკიცება არის, არამედ რაციონალური საფუძველიცა აქვს. აგერ გედო წინ სახაროვის გეგმა. საბჭოთა კავშირი უნდა დანგრეულიყო, უნდა შექმნილიყო ახალი წარმონაქმნი, სადაც საქართველოს სწორედაც ჰქონდა განსაზღვრული თავისი ერთ-ერთი გუბერნიის მნიშვნელობის ტოლი ადგილი და ეს გვექნებოდა. ამას დაერქმეოდა შეიძლება კონფედერაცია, შეიძლება ფედერაცია, არ ვიცი რა. ამაზე ბევრი შეიძლება ვისაუბროთ. მერე, როდესაც პუტჩი მოხდა, დასავლეთსაც და ამერიკასაც არ აძლევდა ხელს, რომ დაშლილი საბჭოთა კავშირის მერე დარჩენილიყო თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეგრე არის და თუ ჩვენ ამას არ ვიტყვით, ჩვენი შთამომავლები მაინც ამ აზრამდე მივლენ, რომ 9 აპრილის მოვლენებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის დანგრევაში. აქ სულიერი ფაქტორია მთავარი. 9 აპრილის მერე ის კითხვა, რაც მე სახლში მესმოდა სულ, რომ რა, ისინი ამბობენ, რომ გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო? მე ვიცავდი, რომ არა, კაცო, ამას ისე ამბობენ, თორემ მართლა კი არ არის. ეს იყო სამხილი ზვიად გამსახურდიასი. მე მახსოვს, ზვიად გამსახურდიამ უნივერსიტეტში თქვა, რომ იმპერია უნდა დაინგრეს. და დედაჩემის ერთ-ერთმა მეგობარმა თქვა, რომ უიმე, რა საშინელი ბიჭია. სულიერი განწყობა იყო ასეთი, რომ უკვე საქართველოში კაცს ვერ ნახავდით, რომ კარგი სიტყვა ეთქვა რუსეთზე. დაინყო მასობრივად კომპარტიიდან გამოსვლა.

ნათელა ვაჩნაძე: მახსოვს, ყველა ამბობდა, რომ მოგვასვენეთ, მოგვასვენეთ, მშვიდად ჩვენს ლოგინებში დავამთავროთ სიცოცხლე. რუსული კულტურა ჩვენთვის ძალიან ახლობელია..

მარიკა აბაიშვილი: პუშკინის ინსტიტუტს რომ სულხან-საბა დაარქვეს, მახსოვს, ხალხი შფოთავდა, საზოგადოების აი ეს ნაწილი. მახსოვს, მაშინ თათი ამბობდა, რომ მაგათ არც ერთმა ჩემზე უკეთესად რუსული პოეზია არ იციან და არ არიან ჩემზე მეტი დამფასებლები რუსული პოეზიის და რუსული კულტურის, მაგრამ ეგ სხვა არის. საერთოდ ამ ნიშნით არ იმიჯნებიან კულტურული ერები. ერთი სიტყვით, ამ მოვლენებმა მე პირადად ძალიან დიდი სიმპათია, რბილად რომ ვთქვათ, გამიჩინა მთელი ამ მოძრაობის მიმართ და მაშინ მე ხშირად დავდიოდი.

ნათელა ვაჩნაძე: თემურ სუმბათაშვილი არ გახსოვს ამ მოძრაობაში? ირაკლი შენგელაია არ გახსოვს? ყოველ წამიერი გამოსვლები.

მარიკა აბაიშვილი: ძალიან კარგად მახსოვს. „თავისუფალ საქართველოში“ კიდევაც დავნერე მე მაშინ, როგორ იყვინა თემურ სუმბათაშვილმა ზვიად გამსახურდიაზე, ჯვარს აცვიო. ეს მახსოვს და დანერლიც მაქვს, სხვათა შორის, ამაზე წერილი, ფილარმონიაში იყო შეკრება. ეს იყო არჩევნებამდე. ...მერე მე იქ ხშირად ვიყავი. ბუნებრივად ხდება, როცა რალაცის ინტერესი გაქვს, იქ მერე ხარ და იქ რომ ხარ, ბუნებრივად რალაც საქმეში ერთვები. სახალხო ფრონტის ამბები იყო. მაშინ მე გამოვედი სიტყვით. ეს იყო მნიშვნელოვანი ეტაპი. 9 აპრილის შემდეგ ირაკლი მაჭავარიანიმა დაწერა წერილი და ეს გამოიტანა სახალხო ფრონტის შეკრებაზე, მიმართავდა გორბაჩოვს და გორბაჩოვისგან ითხოვდა დასჯას იმ ადამიანებისას, ვინც აქ სისხლისღვრა მოაწყო. ერთ-ერთი შეკრება იყო კინოს სახლში, სადაც იყვნენ ძალიან აქტიურად ელდარ შენგელაია და რეზო ესაძე. ის იყო ერთი ფრთა. ირაკლი მაჭავარიანიც ამათი სულისკვეთების გამომხატველი იყო. მეორე ნაწილი იყო, რომელსაც ნოდარ ნათაძე ხელმძღვანელობდა, რომლებიც უფრო იყვნენ სხვაგვარად ორიენტირებულები და რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ეს არ არის სწორი გზა და საერთოდ ამ რუსებს აღარ უნდა შევეხმიანოთ ამ თვალსაზრისით. მაშინ მე გამოვედი სიტყვით და ვთქვი ესეთი რამე, რომ... ამან გავლენა იქონია ძალიან დარბაზზე, ძალიან დიდი ტაში ატყდა ამაზე. და ვთქვი, რომ რუს ერს, რომლის კულტურა ჩემთვის არის ძალიან ძვირფასი, აქვს რალაც ავადმყოფური დამოკიდებულება იმპერიის მიმართ. ისეთი დიდი რუსი მწერლები, თვით პუშკინი, რომლითაც მე ისეთივე აღტაცებული ვარ, როგორც თქვენ-მეთქი, მივმართე რეზო ესაძეს და ელდარ შენგელიას, იმასაც თავის მხატვრულ ნაწარმოებებში აქვს ძალიან იმპერიალისტური სულისკვეთება. მაგალითად კავკასიის დაპყრობასთან დაკავშირებით თვით პუშკინს, ლერმონტოვს, გრიბოედოვს. სხვათა შორის, მოვიყვანე ინგლისის მაგალითი, რომ როდესაც ინდოეთში გაძლიერდა ეროვნული სულისკვეთება და მოძრაობა, მაშინ თავორს მოსთხოვეს, რომ ინდოეთი დაეტოვებინა. თავორმა არც აცია, არც აცხელა და ჩავიდა ლონდონში და ლონდონში მას ისეთი შეხვედრა მოუწყვეს წარჩინებულმა ინგლისელებმა, რომ შემდეგ უკვე თავორს სთხოვდნენ, რომ ოლონდ

აქაურობას გაეცალეო და სადაც გინდა წადიო, თუგინდა ინდოეთში დაბრუნდიო, იმპერიალისტი ინგლისელები. ერთადერთი ინგლისელი მწერალი წარჩინებულ მწერალთა შორის, რომელიც არის იმპერიალისტური სულიკვეთების მატარებელი, არის კიპლინგი, უკვდავი „მაუგლის“ ავტორი. აქვს ერთი ბრწყინვალე ლექსი, რომელიც შესანიშნავად თარგმნა მურმან ლებანიძემ: „გასწით, იარეთ, ვლიდეთ, წარბშეუხრელად ხრიდეთ, წარბშეუხრელად ზიდეთ თეთრკანიანის ტვირთი“. ეს არის ბრწყინვალე პოეტური ნიმუში, მაგრამ ეს არის საშინლად იმპერიალისტური სულისკვეთების ლექსი. რამდენადაც ვიცი, კიპლინგი ინგლისში ამ თვალსაზრისით იყო დაგმობილი და მას უპატიოდ მოიხსენიებდნენ. მე ამით იმის თქმა მინდა, დღესაც და მაშინაც ამას ვამბობდი, რომ რუსეთი არის გამორჩეული მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებისგან იმითი, რომ ეს არის რაღაც ავადმყოფურად იმპერიალისტური ერი, რომელიც მზად არის შეეგუოს შიმშილს, ყველანაირ გაჭირვებას, ოღონდ იცოდეს, რომ კავკასია შედის მის საზღვრებში.

ნინო თომაძე: რუსეთის პოსტულატი იყო იმპერიის დროს ესეთი: православие и самодержавие. იდეაში “православие” “самодержавие”-ს აბსოლუტურად გამორიცხავს. “Православие”-ს “самодержавие”-ს გვერდით აყენებდნენ. ეს რამდენად მისაღებია იგივე რელიგიურად? მგონი, არ არის ეს მისაღები.

მარიკა აბაიშვილი: მე ამაზე, რასაკვირველია, ვერ მექნება კომპეტენტური აზრი, მაგრამ ჩემმა მოძღვარმა, მამა ბესარიონმა, ერთხელ ამაზე მქონდა ლაპარაკი, მითხრა, რომ იმიტომ გაიმარჯვაო რუსეთშიო ბოლშევიზმმაო, ესენი არ არიან ნამდვილი მართლმადიდებლებიო, თუმცა ხილულად ეს ძალიან აქვთ გამოხატული. მე ამას რომ ვამბობ, არ მეშინია ამის თქმის, იმიტომ, რომ დღეს მამა ბესარიონი, კიდევ ვიღაცეები არიან შერაცხილები რუსების ლამის აგენტებად. იმიტომ, რომ ის წმინდა მამები, რომლებიც რუსეთმა მისცა მართლმადიდებლურ სამყაროს – ეგნატე ბრანჩანინოვი, ივანე კრონშტატელი, სერაფიმე საროველი – ესენი არიან ისეთი მანათობლები მართლმადიდებელ სამყაროში, რომ როგორ შეიძლება რომ ამას გვერდი აუარო. ეს არის საფუძველთა საფუძველი. სერაფიმე როუზი, რომელიც მეოცე საუკუნის ასეთივე მანათობელია, სულ ეყრდნობა ბრანჩანინოვს. იმიტომ, რომ ამ ბრანჩანინოვმა უზარმაზარი, ფუნდამენტური... არ არსებობს, მე მგონი, საკითხი, რაც ბრანჩანინოვმა საფუძველიანად არ შეისწავლა. სულ მაინტერესებს მე, იმპერიასთან დაკავშირებით თუ აქვთ რაიმე დაწერილი. ჯერ ამაზე პასუხი ვერ მივიღე, ვერც ხო და ვერც არა. ერთი ვიცი, რომ სერაფიმე საროველს საქართველოსთან დაკავშირებით... სერაფიმე საროველის წინასწარმეტყველება არის ასეთი: როდესაც ივერიის ღვთისმშობელი დატოვებს ათონის მთას და ის წამოვა საქართველოში და შემდეგ დაიდებს ბინას დივეევას მონასტერში. ეს იქნება ის ფარგლები, სადაც ვერ შემოაღწევს

ანტიქრისტე. ანტიქრისტეს ვერშემოღწევა კიდეც ნიშნავს იმას, რომ იმ სულიერ დაცემას, რაც მთელ მსოფლიოს ელის, ეს ტერიტორიები გადარჩება. როგორ შეიძლება ამ ყველაფრის მერე რუსეთის სულიერების უარყოფა. მაგაზე არ არის ლაპარაკი. ლაპარაკი არის იმაზე, როგორ თანხვედრა ეს, არ ვიცი. ეს კითხვა მე დღესაც მაინტერესებს. ამას წინათ ვუსმენდი... რუსეთში დღეს არის ძალიან პოპულარული Назаров, მწერალია, რომელიც იბრძვის რუსული თვითშეგნების და მართლმადიდებლობისთვის და იცავს იუდეველების თავდასხმისგან. როდესაც ის ლაპარაკობს, მე ვუსმენ ამას, ჩანანერები მაქვს, მზად ვარ, რომ ყველაფერში გვერდში დავუდგე. და უცებ ამ იუდეველების გვერდზე აყენებს ჩეჩნებს და თავზე მასხამს უცებ ცივ წყალს. რა ლოგიკა არის, ვერ ვხვდები. ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც შამილი მოჰყავდათ, რომ აღარ გათავდა და აღარ გათავდა ეს გზა, კაცი გაგიჟდა, ჩემთან რა უნდოდაო. ამას ეგონა რუსეთი ალბათ მისნაირი პატარა. არ ვიცი, ეს რა არის, კავკასია არ უნდა დაკარგოს. მაგრამ მე ეხლა ლაპარაკი მაქვს საქართველოზე. მე მინდა ვთქვა, რომ... ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი. დღეს რომ თქვა აუგი დასავლეთზე ან ამერიკაზე, ხარ გამოცხადებული ქვეყნის მტრად. ზუსტად ესეთივე დამოკიდებულება იყო რეტროგრადი პოლიტიკოსების მხრიდან იმ აზრის წინააღმდეგ, რომ რუსეთი არ გვინდა და იმ წუთას იწყებდნენ მოშველიებას დოსტოევსკის, პუშკინის, ლერმონტოვის, იმისი, ამისი, სპივაკოვის... მე ვარ დარწმუნებული, რომ მე მეტი მაქვს და ზვიად გამსახურდიას კიდეც ჩემზე და ყველაზე მეტად მოსმენილი ის რუსული მუსიკაც, ის რუსული პოეზიაც... ზვიადს ისეთი წერილი აქვს დაწერილი და ციხეში აქვს ეს დაწერილი ტოლსტოიზე.

ნათელა ვაჩნაძე: დაურიგეს მერე დუმის ნევრებს.

მარიკა აბაიშვილი: ხო. შესანიშნავი წერილი აქვს დაწერილი. ეგრე ღრმად, მე არ ვიცი, ვის შეეძლო, რომ ტოლსტოი გაეხსნა. ზვიად გამსახურდია იყო ის კაცი, სხვათა შორის, რომელმაც საქართველოში სოლჟენიცინის პოპულარიზაცია მოახდინა. ...ეს იყო თვალხილული გამოხატულება. ის წერს წერილს გორბაჩოვს და ესენი მოგვიწოდებენ, რომ ამაზე ხელი მოვანეროთ ყველამ, ვინც ვართ იქ. ეფექტი მოახდინა ამ ჩემმა გამოსვლამ იმიტომ, რომ... ინგლისის მაგალითი. მე მგონი, იმიტომ, რომ ამან დატოვა ინტელექტუალური შთაბეჭდილება და ხომ იცით, ჩვენს ქვეყანაში ეს როგორ ჭრის. ვილაცამ იგივე რომ თქვას, მაგრამ მაგალითად რომ მოიყვანოს ქართული სინამდვილე მხოლოდ, ან თქვას ბევრი ლექსი ვაჟა ფშაველასი, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთელის, ეს ისე არ გაჭრის ალბათ. მაგრამ როდესაც მოგაქვს მაგალითი თაგორის და ლონდონის, ის ჭრის. ირაკლი მაჭავარიანი ძალიან შემომინყრა. ეს ვთქვი, რომ დღეს ჩვენ რომ მივმართოთ გორბაჩოვს, ეს არის ჩვენი მხრიდან უზნეობა, ეს იქნება უკან დახევა და ეს არ არის ჩვენი გზა დღეს. ამაზე იყო ძალიან დიდი ტაში. ეს იყო ძალიან სერი-

ოზული წინააღმდეგობა, რასაც უწევდნენ ზვიად გამსახურდიას. მე მახსოვს შესანიშნავად, როდესაც მოსკოვში მოხდა პუტჩი, დედაჩემი იყო ამ დროს ბორჯომში და დამირეკა აღშფოთებულმა: ეხლა ნახე, რა მოხდება. აქ ველოდით, მეც ველოდი, სხვათა შორის და ყველა ელოდა, რომ აქ იქნებოდა დარტყმა საქართველოზე. იმიტომ, რომ ერთ-ერთი პუნქტი, როდესაც ნაიკითხეს გადამტრიალებლობა, ეხებოდა უშუალოდ საქართველოს. მართლა ველოდი და ამას მარტო მე კი არ ველოდი, აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტიც ელოდა, იმიტომ, რომ დამალა მაშინ ის გვარდია. გვარდიას სტატუსი კი არ შეუცვალა, მერე რომ ატეხეს ამაზე ამბავი... ეს იყო გვარდია (შინაგანი ჯარი). ამან წინა პლანზე გამოიტანა, რომ ეს არის შინაგანი ჯარი და შეიყვანა იმაში, რაც იყო ისედაც. ეს ჩემზე უფრო უკეთ იცის იმან, ვინც დადგენილებებს კითხულობდა, ვინც წერდა და ვინც არის სამხედრო.

ნათელა ვაჩნაძე: სამხედროები არაფერს არ ყვებიან.

მარიკა აბაიშვილი: ამას ანა მოგიყვება ჭავჭავაძე და მერაბი, რა გააკეთა ამ დროს. ამან უბრალოდ წინა პლანზე წამონია ის, რომ ეს არის შინაგანი ჯარი, იმისთვის, რომ დაეცვა ეს იმ მოსალოდნელი დარტყმისგან, რაც რუსეთისგან იყო ძალიან მოსალოდნელი. მერე იქ შეიცვალა სიტუაცია, მძლავრად დაუდგა ელცინის ჯგუფი. მაშინ გააკეთა ერთადერთი სწორი განცხადება ზვიად გამსახურდიამ, რომ ეს არის შოუ, ის რაც იყო, ეს არის შოუ. გავარდა „ქარტია“, დაუდგნენ გვერდზე ელცინს და ბუში მერე გამოვიდა. მაშინ დედაჩემმა დამირეკა და მითხრა, რომ ეს რას შვრება ზვიად გამსახურდია, როგორ არ უჭერს მხარს დემოკრატიულ ალტერნატივას რუსეთში, რუს დემოკრატებს. ეს რუსი დემოკრატები იყვნენ ელცინი და ისინი. მაშინ ჩამოფრინდა რასტრაპოვიჩი. Революция с лицом Растреповича – ესე ეძახდნენ. მერე ირაკლი წერეთელი მალევე თბილისში აწყობდა მიტინგებს. ჩემმა ერთმა ახლობელმა მიტინგთან გაიარა და დაინახა რუსიკო თიკანაძე. აფორმებდა თუ მართლა ამბობდა, რუსიკო იდგაო და შესცივინებდა ირაკლი წერეთელსო. წერეთელის რასტრაპოვიჩი რუსიკო არისო. ...ეს იყო მთავარი. რუსეთის მიმართ... ეს იყო მკრეხელობა იმის თქმა, რომ არ გვინდა საბჭოთა კავშირი, არ გვინდა რუსეთი... ეს იყო საშინელი ამბავი. ამისდა მიუხედავად, ხალხის სულისკვეთება აღმოჩნდა რომ არის ის, რასაც ამბობს ზვიად გამსახურდია. სხვათა შორის, ლიდერობა შეუძლია იმ ადამიანს, რომელიც არის თანხვედრილი... მომენტი უნდა იყოს. ზვიად გამსახურდია იყო ყოველთვის ამ აზრების მატარებელი, მაგრამ სხვა დროს ხომ არ... ეს იყო მომენტი, რომელიც ამან გამოიყენა შესანიშნავად. მე ამაზე მიფიქრია სერიოზულად. ორი გზით შეიძლება, ჩემი აზრით, ქვეყნის სათავეში მოსვლა, ყოველთვის ჩვენს ქვეყანაში ეგრეა. ერთი, თუ გაქვს უცხოეთის ზურგი, იმისი, ვინც მსოფლიო პოლიტიკაში დღეს მძლავრობს და მეორე გზა არის ხალხის მხარდაჭერით და ხალხის ზურგზე, ასე ვთქვათ.

ნინო თომაძე: ვთქვათ, ხალხის მხარდაჭერით მოხვედი, როგორც მოვიდა გამსახურდია სათავეში. თუ მძლავრი ქვეყნის ზურგი არ გექნა, ისევე მოხვალ და ისევე ნახვალ, როგორც გამსახურდია.

მარიკა აბაიშვილი: კი, ეგრევე იქნება, თუ არ გამონახე იქ კიდევ თანაცხოვრების საშუალება. იმიტომ, რომ ეგ მართალია, რაც თქვა მამა ბუმბა კიევეში: „დინების საწინააღმდეგოდ მიდის“.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი ვერსიით თქვა კიევეში და მეორე ვერსიით ამერიკაში.

მარიკა აბაიშვილი: მთავარია, რომ თქვა. ამაზე, სხვათა შორის, პასუხიც გასცა ზვიად გამსახურდიამ, რომ დინების მიმართულებით მიდიან მკვდარი თევზები და ლეშები. ...9 აპრილის მერე მთელი მცდელობა იყო იმისკენ, რომ დანიშნულიყო მრავალპარტიული არჩევნები. მანამდე რალაც არჩევნები, აღარ მახსოვს დეტალები, დაინიშნა მარტში. სახალხო ფრონტიც გაძლიერდა. ნოდარ ნათაძე იყო ამის თავმჯდომარე. მარტის არჩევნები ზვიადმა ჩაშალა. აქ იყო მთელი რიგი პუნქტები, რომლებიც უნდა აღსრულებულიყო იმისთვის, რომ არჩევნებში მიეღო მონაწილეობა ეროვნულ ძალებს. ზვიად გამსახურდიამ ჩაშალა ეს არჩევნები. ამაში არ ეთანხმებოდა ნოდარ ნათაძე და სულ ამბობდა, რომ ეს არ არის სწორი გზა. მერე კიდევ იყო ზაფხულში მიტინგები, გამოსვლები, ერთი ამბავი იმისთვის, რომ მიეღწიათ, რომ დეპუტატების რიცხვი შემცირებულიყო 201-მდე. ბოლოს დათმეს და 201 არ იყო და 250 იყო და რომ ყოფილიყო მრავალპარტიული არჩევნები. მაგრამ მთავარი ეგ არ იყო. მთავარი იყო ის, რომ მანამდე მიაღებინა – გუმბარიძე იყო მაშინ ცეკას მდივანი – მიაღებინა დადგენილება ასეთი, რომ საქართველო არის ანექსირებული და ოკუპირებული ქვეყანა.

ნათელა ვაჩნაძე: კომისია იყო უზარმაზარი შექმნილი, ალიკა ალექსიძე შედიოდა და ლევან ალექსიძე.

მარიკა აბაიშვილი: მთავარი ეს იყო, რომ მაშინ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო, რომ საქართველო არის ანექსირებული და ოკუპირებული ქვეყანა 1921 წელს. ეს იყო ძალიან მწყობრი ნაბიჯები, წინასწარ განსაზღვრული იმისთვის, რომ მერე როდესაც დაინიშნა უკვე ოქტომბერში არჩევნები, ეს იყო მრავალპარტიული არჩევნები, მრგვალმა მაგიდამ მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა და ამას ეს პრეამბულა ჰქონდა, რომ ეს, რასაკვირველია, არ არის კანონიერი ხელისუფლების პირობებში დანიშნული არჩევნები, მაგრამ ეს არის ფაქტობრივი ხელისუფლება, რომელიც აღიარებს იმას, რომ ეს არის ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყანა. და როდესაც უკვე გაიმარჯვა მრგვალმა მაგიდამ, საქართველოში მოხდა არა ახალი სახელმწიფო ერთეულის შექმნა, არამედ ზვიად გამსახურდიამ აღადგინა ის სახელმწიფო, რომელიც იყო ანექსირებული და ოკუპირებული საბჭოთა ჯარების მიერ 1921 წელს. ეს იყო ის მწყობრი იურიდიული ნაბიჯები, რომელიც იყო აუცილებელი იმისთვის, რომ ამ ქვეყანას მართლა სერიოზული იურიდიული საფუძველი შექმნოდა იმისთვის, რომ მსოფლიოს სახელმ-

ნიფოთა სივრცეში თავისი მკვიდრი ადგილი დაეკავებინა. ეს ხდება, არ დაგვაგინყდეს, საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში. ეს არის 90 წელი. ჯერ წელიწადზე მეტი არის დარჩენილი საბჭოთა კავშირის დას-გრევამდე, ეს ხდება მაშინ. მთელი ამბები იყო ბიუჯეტის შეკვრაზე. იყო ერთი დღე, როდესაც იყო ძალიან მწვავე დებატები უზენაეს საბჭოში ბიუჯეტის შეკვრასთან დაკავშირებით. ზვიად გამსახურდია ითხოვდა, რომ ბიუჯეტი მიეღოთ იმ დღეს. რალაც საკითხები იყო, რაც იყო დასამუშავებელი. ეს იყო იანვრის დასაწყისი. გაუგებარი იყო ბევ-რისთვის, რატომ ჩქარობდა. გოგი გულბანმა, რომელიც იყო იურიდი-ული კომისიის წევრი, იმ საღამოს დამირეკა...

ნათელა ვაჩნაძე: თავმჯდომარე ვინ იყო?

მარიკა აბაიშვილი: ნუგზარ მოლოდინაშვილი. სხვათა შორის, ყველაზე აქ-ტიურად მუშაობდნენ გოგი და თენგიზ ჩაჩავა. ...გოგიმ წამომიყვანა უზენაესი საბჭოდან და გაკვირვებული იყო, რატომ ჩქარობსო. სალა-მოს დამირეკა: მიხვდი, რატომ ჩქარობს? არა-მეთქი. შეკრეს ბიუჯეტი.

ნათელა ვაჩნაძე: ბიუჯეტის შეკვრა რას ნიშნავს?

მარიკა აბაიშვილი: ეგეთ ტერმინს ხმარობდნენ ისინი, მეც ამიტომ ვხმარობ. მიიღეს იმ დღეს ბიუჯეტი. ...და ეს მიხვდა, რატომ. უნახავს საბჭოთა კავშირის სესია. ეს ეტაპია იმ სესიაზე, რომ ისინიც იღებდნენ ბიუჯეტს და ამან დაასწრო. ბიუჯეტი შეკრა უფრო ადრე, ვიდრე საბჭოთა კავ-შირში... იმაში ხომ არის განსაზღვრული შენი ბიუჯეტიც, შენ ხომ იმის ნაწილი ხარ, შენ ხომ არავინ არ გცნო ჯერ. დღეს აღარაფერი აღარ იცინა და არც არავინ ამათ არ უყვება არაფერს. ეკონომიკურ სვლებ-საც აკეთებს. მაშინ აბსანძე იყო ფინანსთა მინისტრი და იმან მოამზადა ეს, ბიუჯეტთან დაკავშირებული თეორიული მხარე. ამის მერე იყო 31 მარტის რეფერენდუმი, სადაც იყო ერთადერთი კითხვა, რომ გსურთ თუ არა დამოუკიდებლად არსებობა, საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა. მერე 9 აპრილს უკვე იყო დეკლარაცია დამოუკიდებლობის.

ნინო თომაძე: სხვათა შორის, ბევრი ზვიადისტი ამბობს, რომ 26 მაისი კი არა, 9 აპრილი არისო საქართველოს დამოუკიდებლობის დღეო.

მარიკა აბაიშვილი: სხვათა შორის, ლევან ბერძენიშვილმაც კი თქვა ტელე-ვიზორში შარშან, რომ მიჩქმალული არის 9 აპრილიო. ეს იგივე არისო, რომ ბაბუის იმას სულ იხდიდეთ და მამისას არაო. ის მნიშვნელოვანია 26 მაისი, მაგრამ ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

ნათელა ვაჩნაძე: ქართული ემიგრაცია არ უჭერს ამას მხარს.

მარიკა აბაიშვილი: მესმის, იმათთვის არის ღირებულება, მაგრამ იმ ღირე-ბულებას ეს არ უარყოფს. ეს ყველაფერი ერთმანეთში მძივივით არის აწყობილი. ჩვენ კიდევ მოვიპოვებთ ოდესღაც თავისუფლებას, კიდევ განთავისუფლდება ეს ქვეყანა ამ მარწუხებისგან...

ნინო თომაძე: ნატოში შევალთ.

მარიკა აბაიშვილი: ნატოში რომ არ შევალთ, სწორედ მაშინ.

ნინო თომაძე: რატომ? -ს ხომ ვიღებთ.

მარიკა აბაიშვილი: ხოდა, რომ მივიღებთ და მაინც რომ არ შევალთ, მაშინ კიდევ მოვიპოვებთ თავისუფლებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 9 აპრილი იქნება... საერთოდ რატომ არის ეს დაპირისპირება? იმიტომ, რომ არის ე. ი. ამაში რალაცა. ვილაცას ძალიან ანუხებს ის ამბავი, რომ საქართველოს თავისუფლების გზაზე დამყენებელი არის ის პერიოდი და ის ადამიანი და ის ადამიანები. ...მე და გიორგი ინსტიტუტიდან ვმეგობრობდით, მაყაშვილი, რომელმაც ჩემს წინააღმდეგ ერთხელ გამოთქვა პროტესტი და დატოვა ის ოთახი, სადაც მე ვამბობდი, რომ ისეთ ადამიანებს აცხადებს ზვიად გამსახურდია სუკის აგენტებად, რომ მზად ვარ, მეც ვიყო სუკის აგენტი. გიორგი ამას ესე ყვება მერე, რომ და ჩამოთვალაო: ალექსი ინაური... და ჩამოვთვალე. არ მინდა გავაგრძელო. იმაზე ამბობს-მეთქი, ამაზე ამბობს, ვილაცებზე, ეხლა აღარ მინდა გამეორება, და მეც მინდა-მეთქი. ეს იყო ტოლფასი, რასაც მე მაშინ ვამბობდი, გიორგისთვის, რომ მეთქვა ალექსი ინაური. რატომ ამბობთო? მაშინ არ მიცნობდა წესიერად. ეგრე რატომ ლაპარაკობთო? – მითხრა. გამიკვირდა. მოტრიალდა და კარი მოიჯახუნა და გავიდა. ამის მერე იყო სწორედ, რომ მიშა ნანეიშვილმა და სხვებმა რალაცეები რომ მითხრეს და მე მართლა შემეცვალა აზრები. მერე უკვე დავმეგობრდი გიორგისთან და მერე ერთად დავდიოდით მიტინგებზე. ეხლა ჩემი ქმარია გიორგი. გიორგის კურსელი არის მამუკა ფაჩუაშვილი. შეგვხვდა ქუჩაში მე და გიორგის მამუკა და ეუბნება, რომ ნოდარ ნათაძემო მითხრაო, რომ გაზეთი გააკეთეო „საქართველო“ და ხომ არ წამოხვალო ჩემთანო მოადგილეო. კი, კი, მეც წამოვალო და მარიკაცო. მაშინ დავიწყეთ მუშაობა „საქართველო“ იყო გაზეთი, რომელსაც უშვებდა სახალხო ფრონტი. სახალხო ფრონტის გაზეთის მერე... მერე ნოდარ ნათაძე განუდგა, სახალხო ფრონტი ცალკე გამოვიდა და რალაცა უთანხმოება მოხდა ზვიად გამსახურდიასა და ნოდარ ნათაძესა შორის და ცალკე წავიდა. მამუკა დარჩა ზვიად გამსახურდიასთან. ამიტომ მიატოვა ის გაზეთი „საქართველო“ და უცებ იქვე... მაშინ ჯერ არ იყო არჩევნები. ეს იყო სექტემბერი. ფაქტიურად მოხდა ისე, რომ მრგვალი მაგიდა დარჩა გაზეთის გარეშე. მაშინ ზვიად გამსახურდია უკვე იყო საქართველოს პრეზიდენტი ფაქტობრივად არჩევნებამდე. ზვიად გამსახურდიას ჰქონდა მოგებულ არჩევნები არჩევნებამდე. ხელში ეჭირა მთელი ცეკა, მთელი ხელისუფლება ქვეყნის. მის სიტყვაზე ყველა ყველაფერს აკეთებდა. მაშინ, წარმოიდგინეთ, გაზეთის გამოცემა რა რთული... სწორედ იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას სურვილი იყო ესა, უცებ მოგვარდა, უცებ გაგვიკეთეს. მამუკამ შეძლო უცებ, რომ ახალი გაზეთი გამოეშვა „თავისუფალი საქართველო“. ეს „თავისუფალი საქართველო“ გამოდიოდა ისე, რომ არ იყო რეგისტრირებული და რეგისტრაცია მიიღო ამათ მხოლოდ და მხოლოდ იანვარში. ეს არის 1991 წლის იანვარი. მე დავრბოდი ამ რეგისტრაციისთვის. მაშინ უკვე გამოდიოდა კვირაში ერთხელ გაზეთი „თავისუფალი

საქართველო“, რომლის რედაქტორიც ვიყავი მე იმიტომ, რომ მამუკა დანიშნეს „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორად. „თავისუფალი საქართველო“ იყო მრგვალი მაგიდის გაზეთი. შემდეგ, როდესაც პირველი შემოტევა იყო, ეს იყო 91 წლის ოქტომბრის თვეში... ეს არის 2 სექტემბრის მერე, როდესაც უკვე ძალიან დაიძაბა საქართველოში ვითარება. 4-5 ოქტომბერი იყო, როდესაც მოსულეები იყვნენ დიდი რაოდენობით პუტჩისტები, ოპოზიციას ვეძახდით მაშინ, უზენაეს საბჭოთან. ჯიქურ იყვნენ მოსულეები, რაღაცა ძალის დემონსტრირება იყო. მაშინ მოიგერია უზენაესმა საბჭომ ეს ხალხი, დაშალეს. დღევანდელ დღესთან შედარებით, ადამიანი არ ვიცი, რომელსაც ეთქვას, რომ რამე მეტკინა, არავითარი გაზი იქ არ ყოფილა გაშვებული, მსხვერპლზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ მამუკასთან დაიბეჭდა რუსუდან ნიკურაძის წერილი „ჩვენ ყვავილები უკვე გვესროლეს“. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ... მოკლედ, გამოიყენეს ძალა ამ მოსული ხალხის წინააღმდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: ამისათვის საჭიროა ხალხი ჩავინერო, ვინც რუსთაველზე ცხოვრობდა. მე მიაბხეს, რომ მათ საშინელი ცრემლის დენა აუვარდათ, საშინელი ცემინება. ამბობენ, რომ გაზი იყო გაშვებული და დანამლულები ვიყავითო.

მარიკა აბაიშვილი: მე იქ ვიყავი პირადად. გულწრფელად ვამბობ, ძალიან მიკვირს. ხომ არ ეშლებათ, სხვა დღე ხომ არ იყო?

ნათელა ვაჩნაძე: არა.

მარიკა აბაიშვილი: 4-5 ოქტომბერს?

ნათელა ვაჩნაძე: კი.

მარიკა აბაიშვილი: საინტერესოა ეგა, იმიტომ, რომ მე იქ ვიყავი პირადად. იმ ამბების მერე ჩემთან გაზეთში ვილაცხეები მოდიოდნენ ხოლმე...

ნათელა ვაჩნაძე: სად იყო რეზიდენცია? მე მგონი, „კომუნისტის“ შენობაში.

მარიკა აბაიშვილი: იგივე ყველაფერი, იგივე შტატი, იგივე აღჭურვილობა, იგივე პერსონალი. ის კი არა და ესვანჯია იყო გამომცემლობის დირექტორი, ვახტანგ ესვანჯია, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ რაღაც პრობლემები შემქმნოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ რაიკომის მდივანი იყო, სხვათა შორის.

მარიკა აბაიშვილი: ესვანჯია რაღა სალაპარაკოა ამ ყველაფრის მერე. ამის მერე, როდესაც მამუკამ ეს დაბეჭდა „ჩვენ ყვავილები უკვე გვესროლეს“... მახსოვს, მე და ზვიად ბოკუჩავა ვიდექით ქვევით. იქ იყო ბიუროს სხდომა, ზევით, ზვიადის კაბინეტთან. ზვიად ბოკუჩავამ მე მითხრა, რომ ეხლა მოხსნიან მამუკა ფაჩუაშვილს და დაგნიშნავენ შენ.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ მოხსნიანო, ეს რომ დაბეჭდაო?

მარიკა აბაიშვილი: ხო, მაშინ მითხრა.

ნათელა ვაჩნაძე: ნიკურაძის სტატიის გამო?

მარიკა აბაიშვილი: ხო.

ნათელა ვაჩნაძე: ხელს თვითონ აწერდა მამუკა?

მარია აბაიშვილი: ნიკურაძე აწერდა. გაზეთს მამუკა აწერდა.

ნათელა ვაჩნაძე: მამუკა აწერდა, მაგრამ გაზეთის რედაქტორმა ხომ უნდა ნაიკითხოს რა იბეჭდება მის გაზეთში?

მარია აბაიშვილი: არა, მამუკას არ უარყვია.

ნათელა ვაჩნაძე: შეიცვალა დამოკიდებულება იმ ხანად?

მარია აბაიშვილი: ღიად არა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ესეთი რამე დაბეჭდა და ჩანდა, რომ მისი ვექტორი, ასე ვთქვათ, შეიცვალა. ასე ჩანდა.

ნათელა ვაჩნაძე: ზვიად ბოკუჩავამ საიდან იცოდა, რომ...

მარია აბაიშვილი: ბოკუჩავამ ივარაუდა. მაშინ ბოკუჩავას ეკეთა წვრილი სათვალე და ცდილობდა, უშიშროება ქვეყნის დაეცვა.

ნათელა ვაჩნაძე: იყო მერე ერთი პერიოდი. ერთი კვირა იყო.

მარია აბაიშვილი: იყო, მგონი, კიდევაც. სიყვარულით ვამბობ, სასაცილო იყო, თან მისი ეს წვრილი სათვალე. მახსოვს, ქვევით ვიდექი და გამომიძახეს ამ ბიუროზე. შევედი და მომმართა ბატონმა ზვიადმა, რომ მარია, ჩვენ გვინდა, რომ შენ იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი და ჩვენ დაგეხმარებით. არავინაც არ მეხმარებოდა. აბსოლუტურად მარტო ვიყავი მიგდებული იქა. ერთი სიტყვით, მაშინ გავხდი ამ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი. როდესაც მე ფეხი შევადგი ამ გაზეთის რედაქციაში და როდესაც უკვე ვიყავი რედაქტორი, მახსოვს, პირველივე დღეებში მოვიდა ვილაც კაცი... სხვათა შორის, ეხლა მიკვირს და მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი, იმიტომ, რომ ეს იყო ცაიტნოტი, სულ ვიყავი რაღაც დაძაბულ მდგომარეობაში. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდი. თამრიკოს ახსოვს, ერთხელ გავდიოდი სახლიდან, მანქანა მელოდებოდა და თამრიკომ თქვა, რომ მეო შემოგხედეო და ვიფიქრეო, ვაიმე, როგორი ბებერი არისო. საშინლად ვიყავი. მოვდიოდი ღამის 2 საათზე, მივდიოდი... ძალიან მძიმე ტვირთი იყო ესა და არავინ მართლა არაფერში არ მეხმარებოდა, ყველას თავისი... როდესაც მივედი ამ რედაქციაში, მახსოვს, რომ პირველივე დღეებში მოვიდა ერთი კაცი, ეგეთი მერე ბევრი იყო და მიყვებოდა, როგორ... რატომ არ ვაქცევდი ყურადღებას? იმიტომ, რომ დაუბრკოლებლად შემოდიოდნენ. მე, პირადად, სანამ გავხდებოდი რედაქტორი, ძალიან ძნელი იყო ჩემთვის სადმე შელწევა. როცა მე ვიყავი რედაქტორი, უცებ გაიღებოდა კარი, შემოვიდოდა ვილაც, „ედეპეშნიკები“, მაგალითად, გაუთავებლად სულ მოდიოდნენ, რაღაცის გამოქვეყნებას მთხოვდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ არ იყო ჩაკეტილი სივრცე?

მარია აბაიშვილი: უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე რატომღაც არც ერთხელ არ მოვითხოვე, რომ მყავს მდივანი. შემითანხმეთ, ვინ მივიღო, ვინ არა, ხომ შეიძლება, მკითხოთ. არც ერთხელ არ ვიკითხე ესა. რაღაც ეიფორიული ის მქონდა, რაღაცას ვასწრებდი სულ. შემოვიდა ვილაც კაცი და მითხრა, რომ... იმ 4 და 5 ოქტომბერს. ...მე ვარო რაღაც ორგანიზაციის წევრიო, სახელი და გვარი არ მახსოვს და არც ჩავინერე.

ლანა ლოლობერიძე ავიდაო ამაღლებაზეო და მოუნოდაო ხალხსო, რომ ეხლა ჩვენ უნდა შევცვივდეთ უზენაეს საბჭოშიო. მე საგანგებოდ ვეკითხებოდი: ნამდვილად ლანა ლოლობერიძე... მე ვარ დარწმუნებული სრულიად, თითქმის ასი პროცენტით, რომ ეს იყო შემოგდებული, რომ მე დამეწერა ამის მონათხრობი რაღაცა... ლანა ლოლობერიძე ისედაც არ იყო მხარდამჭერი არც ზვიად გამსახურდიასი და არც ხელისუფლების, მაგრამ ეს იქნებოდა აშკარა ცილისწამება. ესეთი მოვლენები იშვიათი არ იყო. მე არ წამოვეგე ამ შემთხვევაში და არ დავბეჭდე. ზვიად გამსახურდია პერიოდულად მადღევდა ხოლმე მასალებს პუბლიკაციისთვის, რაც იყო შევარდნაძის სამხილი.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

მარიკა აბაიშვილი: აი რატომ. ერთ-ერთი რუბრიკა გავაკეთეთ შევარდნაძის პენიტენციალური სისტემა.

ნათელა ვაჩნაძე: მას ჰქონდა ადრე „საქართველოს მოამბეში“ უზარმაზარი მასალა.

მარიკა აბაიშვილი: ჰქონდა, მაგრამ რაღაცეები იყო ახალი. მითხრა, რომ მაცაბერიძის ოჯახისგან მოიპოვა რაღაცა, მაცაბერიძე, რომელიც აწამეს. შევარდნაძის თემა მას ჰქონდა. მე როგორ გავკადნიერდებოდი, რომ მეთქვა, არ დავბეჭდავ-თქო, მაგრამ გულში ვფიქრობდი, რომ ეტყობა, ძველი აქვს გამოყოლილი ამას, თორემ შევარდნაძე ისეთი არააქტუალური იყო იმ პერიოდში საქართველოში, ეხლა აქ რომ ილაპარაკო მათ-დე-დუნზე. ეხლა მათ-დე-დუნი ადგება საფლავიდან, მოვა და აქ დავამხოვ. ყველასთვის, მე ესე მგონია, რომ ესე ჩანდა. მე მაინც ვბეჭდავდი, ამითი არაფერი არ ფუჭდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ არ ფუჭდებოდა, ამბის მიმტანის მეტი რა იყო.

მარიკა აბაიშვილი: „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ვარ. იმიტომ, რომ არანაირი ოფიციალური საბუთი არ არსებობს ჩემი განთავისუფლების. კიდე ერთი ნომერი გამოვუშვი 5 იანვარს. რეალურად ვიყავი პუტჩამდე. ზვიად ძიძიგურმა მითხრა ერთხელ, რომ ზვიად გამსახურდია ხომ არის პრეზიდენტი დევნილობაში? მაშინ მე უნდა ვიყო პრეფექტი დევნილობაში. მაშინ მეც უნდა ვიყო რედაქტორი დევნილობაში. ეგრე ვართო. ჩემს ფუნქციას ვასრულებდი პუტჩამდე. ბოლო ნომერი გამოვუშვი 31 იანვარს ჩაბნელებულ...

ნათელა ვაჩნაძე: 5 იანვარსო?

მარიკა აბაიშვილი: 5 იანვარს ველარც შევედით. 5-ში უკვე გამოვუშვი... სადღაც, ვიღაცას კომპიუტერი ჰქონდა, ზვიად ჭავჭავაძეს, რომელიც მოგვემსახურა და იქ გამოვუშვი უკვე სხვა ფორმატით. ერთი საინტერესო ეპიზოდი ამ გაზეთის ცხოვრებიდან. 20 დეკემბერს გიორგი ჩამოფრინდა პარიზიდან, მაყაშვილი. გიორგი პარიზიდან მირეკავდა პერიოდულად და მეუბნებოდა, რომ რა ხდება მანდ, მიტინგი რატომ დაარბიეს, ხალხი რატომ... მე აქედან ვეუბნებოდი, რომ შენ, გენაცვალე,

მთვარეზე ზიხარ, არ იცი აქ რა ხდება და სისულელეებს მელაპარაკე-  
ბი. 20-ში გიორგი ჩამოფრინდა პარიზიდან და იმიტომ ჩამოფრინდა  
გიორგი პარიზიდან, რომ გიორგი შენგელაია უნახავს იქ, ჯანრისთან  
ყოფილა მისული სტუმრად და უთქვამს, რომ 20-ში იქნება გამოსვლა –  
20-ში აპირებდნენ, მაგრამ 21-ში გამოვიდნენ – და ედო ჩვენთან არის.  
გიორგიმ ამის გაგონებაზე აიღო ბილეთი და ჩამოფრინდა თბილისში.  
მანამდე ეგონა, რომ ზვიად გამსახურდიამ დაამყარა აქ რალაც საშინე-  
ლი დიქტატურა და ხალხს აწამებს. 20-ში ჩამოფრინდა და 21-ში ატყდა  
სროლა. მერე მოვიდა ჩემთან სახლში ჩემი თანამშრომელი, გვარი არ  
მახსოვს, და მითხრა, რომ არ მოადგა ფეხი რედაქციაში. იმიტომ, რომ...  
მე გეუბნებით, რაც მითხრეს, მე არა მაქვს ამისი შემონმების საშუალე-  
ბა. ...რედაქციაში მოვიდაო ნოდარ ლომოურიო და ახლდაო ვილაც  
კაცებიო, რომლებსაცო იარალი უჩანდათო. შენც გიკითხესო და ფეხი  
არ მოადგაო. იქიდან გიორგიმ დამავლო ხელი, წამიყვანა კანდელაკის  
ქუჩაზე და იქ ვიყავი. გაზეთი აღარ გამოსულა, უკვე დაძაბულია სიტუ-  
აცია. მოვიდა რამაზ რეხვიაშვილი. მე ვარ, იცით როგორ, სიმართლე  
რომ გითხრათ, რომ ცოტა ხანი მაქვს ტაიმ-აუტი და ვარ გახარებული,  
დასვენებული, რომ არ გავრბივარ რედაქციაში, ღამე არა მაქვს გატეხ-  
ილი და რალაც ისე ვარ, ნეტარად. არ ველი იმას, რაც ხდება და არა  
მაქვს გაცნობიერებული, რომ რის წინაშე დგას მთელი ქვეყანა. მოვ-  
იდა რამაზ რეხვიაშვილი და მითხრა: ადექი ეხლა, ჩაიცვი და წამოდი.  
სად მივდივართ? რედაქციაში. რამაზმა გაიგო, სად ცხოვრობენ რე-  
დაქციის თანამშრომლები, ისინი, ვინც ტექნიკურად მართავს გაზეთს.  
მაშინ არ არის ჯერ კომპიუტერი და ამიტომ გუტენბერგის პირობებში  
იბეჭდება გაზეთები. რამაზმა გაიგო, რომ არსებობს დილომში რალაც  
სახლი, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ მთელი ეს თანამშრომლე-  
ბი. ჩამსვა მანქანაში, მიმიყვანა იქ და ყველასთან დამატარა. ყველანი  
სახლიდან გამოვიყვანე, ჩავსვი მანქანაში და წავიყვანე რედაქციაში.  
შევედით რედაქციაში, ჩავაბნელეთ მთელი ეს... არა იქ, სადაც „საქა-  
რთველოს რესპუბლიკა“ იყო, რომელიც რუსთაველზე გამოდიოდა,  
არამედ უკანა მხარეს, რომელიც ბელინსკის ქუჩაზე გამოდიოდა, იქ  
ვიყავით, იქაც ჩაბნელებული გვექონდა. მთავარი იყო ფაქტი გაზეთის  
გამოცემის. წინა ნომერი თურმე აწყობილი დაუნვიათ. ნაწილი გამომ-  
წერლებს მიუვიდათ, ნაწილს არა. 31 დეკემბრის ნომერი უნდა გამოვ-  
იდეს. იციან, რომ ჩვენ უკვე აღარ ვმუშაობთ. მოიყვანა რამაზმა ასევე  
სახლებიდან ავტორები: ოთარ ლითანიშვილი, ლევან ერისთავი, ჩვენ  
ყველანი, ვინც ვიყავით: თათი, მე, დალი გერმანიშვილი, თემო რეხვი-  
აშვილი. თემო რამაზის ძმაა, რომელმაც „ქართველიშვილი“ მოაწერა.  
თვითონ რამაზმაც რალაც დაწერა. რამაზს არასოდეს არ უყვარს თა-  
ვის გამოჩენა. ფაქტობრივად რამაზმა გამოუშვა ეს გაზეთი. უბრალ-  
ოდ თვითონ ხელს ვერ მოაწერდა, იმიტომ, რომ რედაქტორი არ იყო და  
მე ვჭირდებოდი ამისთვის. მიუხედავად იმისა, რომ რამაზი მიდიოდა

უკვე ავსტრიაში და ტრაპიდან ჩამოვიდა, როცა გაიგო, რომ აქ რაღაც ხდება. ჩემი გასაჭირი რედაქციაში იყო ის, რომ ხან ვინ მომივარდებოდა და ხან ვინ. ედუ ძალიან ხშირად, ძალიან ხშირად იყო ნოდარ ნათაძის განცხადებები. მე ვიყავი მარტო. მე არავინ არ მყავდა რედაქციაში, ვისთვისაც შემეძლო აზრი მეკითხა. იყვნენ, სხვათა შორის, ბევრი, რომლებიც კეთილად იყვნენ განწყობილები, მაგრამ სხვა სფეროდან იყვნენ და ესენი კომენტარს ვერ გაუკეთებდნენ. მერაბ კიკნაძე ერთხელ შემოვიდა სტუმრად და წაანყდა ამ სიტუაციას და რაღაცაში მომეხმარა. რამაზი უფრო ხშირად დადიოდა. არასოდეს ჩემთან არავინ არ მოსულა ყავის დასალევად, თუ ვინმე მოდიოდა, ყველა იყო ჩართული საქმეში, თუ როგორი პასუხი გაგვეცა იმ თავდასხმებზე, რაც იყო ყოველწუთიერად ლამის. მე როდესაც დამნიშნეს „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორად, ჩემი წარდგინებით თათი დანიშნეს „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორად. თათიც მეხმარებოდა, მაგრამ იმას თავისი გაზეთიც ჰქონდა, ამიტომ სულ ჩემთან ვერ იჯდა. მე მქონდა ყოველდღიური ეს გაჭირვება. მერე თითქოს დაწყნარდა სიტუაცია, უკრაინამ ცნო საქართველო 13 თუ 12 დეკემბერს. ეს იყო პირველი ცნობა.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ მე მახსოვს ძალიან კარგად ნიჰილისტური დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

მარიკა აბაიშვილი: ზვიადსაც ჰქონდა, ბოკუჩავას.

ნათელა ვაჩნაძე: არ ვიცი ზვიად ბოკუჩავასგან, მაგრამ ძალიან ბევრი ხალხი ამბობდა, არა ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებული ხალხი, არამედ უფრო ინტელიგენცია: რა არის უკრაინა, მაგას არ ჯობდა, რომ სულ არ ეცნო.

მარიკა აბაიშვილი: ეს იყო პირველი ნაბიჯი.

ნინო თომაძე: ოთხმა ქვეყანამ ცნო საქართველო.

მარიკა აბაიშვილი: ოთხიც არ არის, სხვათა შორის, ცოტა.

ნათელა ვაჩნაძე: ოთხიც არ არის ცოტა, ერთიც არ არის ცოტა. ერთმა რომ გცნოს, ეს ძალიან დიდი რამეა.

მარიკა აბაიშვილი: თუ არ გვცნეს, ეს იმათი პრობლემა არის და არა საქართველოსი. ვინ აღმოჩნდა მართალი...

ნათელა ვაჩნაძე: უკრაინას ასეთი თვალთ რატომ უყურებდნენ მაშინ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები... 50 მილიონი მოსახლეობა იყო მაშინ, შემდეგი მონაცემები მე არ ვიცი. შენ სამილიონ ნახევარი რომ ხარ და ნახევარი ხალხი აქ არა გყავს კიდევ მოსახლეობის, შენ რა უფლება გაქვს, ორმოცდაათმილიონიან ქვეყანაზე რომ ამბობ, რად მინდა, იმან რომ გვცნო.

მარიკა აბაიშვილი: მაშინ მეტნი ვიყავით, მაშინ არ იყო ასეთი მასობრივი მიგრაცია.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენით მეტნი ვართ საერთოდ? ათჯერ მეტი რომ არის ქვეყანა შენზე, რა გინდა. მაგრამ მაშინ იყო ეროვნული ხელისუფლების

წინააღმდეგ ნიჰილისტური დამოკიდებულება. ეს ხომ ნიშანია ამისა. ვინ გცნობს, როცა შენ ხარ საბჭოთა კავშირის ნაწილი.

მარიკა აბაიშვილი: ცნობა-არცნობის საკითხი უფრო კარგად იცინა იმ ადამიანებმა, ვინც ამ დროს უზენაეს საბჭოში იყვნენ. და თუ არ ცნეს, დღეს განსაკუთრებით ეს უკვე აღიარებულია, ეს არის სამხილი იმ ქვეყნებისთვის და არა საქართველოსთვის, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველო ფეხს იდგამდა, როდესაც თავზე აჯდა ამხელა მონსტრი და თუ ამ დროს იმათ მიაგდეს ეს ქვეყანა, ეს იმათი სამხილია.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ ეხლა მსოფლიო პოლიტიკაზე გადავვედით. აქ დგას რუსეთის ფაქტორი. ზუსტად იგივე ხდება დღეს.

მარიკა აბაიშვილი: რა თქმა უნდა. დღეს ეს ადამიანები, რომლებიც დუჟმორეული რუსებს ლანძღავენ, მათი დიდი ნაწილი იყო, რომლებსაც გულყრა ემართებოდათ, რომ გეტყვა, რომ საბჭოთა კავშირი... პუშკინზე იწყებდნენ ლაპარაკს და დოსტოვესკიზე. შენ რომ არ გდომებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა, გაცხადებდნენ რუსეთის კულტურის მტრად. რაც შეეხება გაზეთს, იმ დღეებში გამოდიოდა ასე. ერთ ოთახში ვისხედით, ნახევრად ჩაბნელებულში: ოთარ ლითანიშვილი, მაია ლოლაძე, ლევან ერისთავი... ამას წინათ შემხვდა ნუგზარ ტაბიძე, მამაჩემის კლასელი და მითხრა, რომ შენ თუ დაგჭირდებაო, მეო მაქვსო ის ნომერიო, ვინახავო. ეს არის მხოლოდ ორგვერდიანი გაზეთი, 31 დეკემბერს არის გამოსული. საჯაროში არ არის?

ნათელა ვაჩნაძე: 31 დეკემბერს გაუგზავნიდი?

მარიკა აბაიშვილი: იმიტომ, რომ გამომწერების დიდმა ნაწილმა მიიღო ეს გაზეთი და რაღაც ნაწილი დანვეს. აქ იყო მთავარი გაზეთის გამოშვების ფაქტი და არა... ეს იყო პუბლიკაციები, არც ერთი არ იყო ღრმა ანალიზის, ან სერიოზული ინფორმაციის შემცველი. ეს იყო ან მონოღება...

ნათელა ვაჩნაძე: მე ვფიქრობ, ეს იყო უშუალოდ, თანადგომის...

მარიკა აბაიშვილი: ამის დემონსტრირება იყო, რომ ჩვენ კიდევ ვართ. მერე როდესაც ეს გაზეთი გამოვიდა, უკვე შეუძლებელი გახდა ხოშარაულის ქუჩაზე დაბეჭდვა. ხოშარაულის ქუჩაზე იყო ე. წ. ოფსეტი, სადაც გაზეთები იბეჭდებოდა. ამის შემდეგ უკვე შეუძლებელი გახდა კიდევ რამე გაზეთის გამოცემა, უკვე შეუძლებელი იყო იქ შესვლა. ამის შემდეგ რამაზმა ნახა ეს ზვიად ჭავჭავაძე და თქვა, რომ კომპიუტერზე გავაკეთებთ, მაგრამ დაბეჭდვის პრობლემა არისო. მე წავედი ე. წ. „ბუნკერში“, რომელიც სინამდვილეში იყო სასადაილო უზენაეს საბჭოში. მანამდე მე არ დავდიოდი იმ „ბუნკერში“. მე ვიცი, ეგეთი განწყობა იყო თურმე, რომ ითვლებოდა, რომ ვინც იქ არ დადის, ის ჩვენთან არ არის. მე არც მიფიქრია, რომ იქ უნდა მივსულიყავი, იმიტომ, რომ არ ვლელავდი ეგეთ რამეებზე. ეგეთ რამეებზე ალბათ მაინც ღელავს ის ადამიანი, ვინც შინაგანად არ არის ერთგული. ჩემზეც არის-მეთქი ასეთი მითქმა-მოთქმა? არაო, შენი პასუხი არისო გაზეთიო. გაზე-

თი ამას აქარწყლებს, მაგრამ, როგორცა ჩანს, თანადგომის დემონსტრირება იყო იქ ყოფნაც. მე ერთხელ ვიყავი იმ „ბუნკერში“. ეს იყო 2 იანვარი. მე იქ ვნახე ისეთი ადამიანები, რომლებიც... გამიკვირდა. მართალი ვარ, რომ გამიკვირდა, იმიტომ, რომ შემდეგ ამ ადამიანებმა ძალიან წყნარად გააგრძელეს მუშაობა შემდგომ ხელისუფლებასთან იგივე დაწესებულებებში, იგივე, ვთქვათ, საგარეო საქმეთა სამინისტროში. მაგრამ ყველაზე ძალიან გამიკვირდა, არც გამიკვირდა, იმიტომ, რომ... როდესაც ვრეკავდი ხოლმე ზვიად გამსახურდიასთან, ჯერ კიდევ მქონდა სამნიშნა ტელეფონი, აუცილებლად იღებდა ყურმილს დილარ ხაბულიანი და მერე გადასცემდა ხოლმე...

ნათელა ვაჩნაძე: რას ნიშნავს ეს?

მარიკა აბაიშვილი: ვერ მივხვდი, რატომ იღებდა ყურმილს დილარ ხაბულიანი და რომ მივედი იქა... იყო საერთო დარბაზი, სადაც ისხდნენ ყველანი. როდესაც ვითხოვე, რომ ზვიად გამსახურდიას ნახვა მიინდა-მეთქი, სადღაც გამიყვანეს, ცოტა მოშორებით იყო სხვა ოთახი. იქ რომ შევედი, ვხედავ, რომ წევს სანოლზე დილარ ხაბულიანი, რომელიც, ეტყობა, ავად იყო და გვერდზე უდგას ტელეფონი. ეხლაც არ ვიცი, რატომ იყო დაჭრილი თუ შეუძლოდ მყოფი დილარ ხაბულიანი ზვიად გამსახურდიას გვერდით, რომელზეც რაღაცა საეჭვო ხმები მომდიოდა. დილარ ხაბულიანი მანამდე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. ძალიან არ ვიყავი მოსურნე, პერსონალურად ვილაცხვებო ამბები გამეგო. ეხლაც არა ვარ მოსურნე ამისი. ვინც ჩემთვის არის ახლობელი, იმისი მაინტერესებს. მისი საქმეები ისედაც ამჟავნებენ. დღეს არის სადღაც გამგებელი.

ნათელა ვაჩნაძე: არსებობს თვალსაზრისი, რომ ის არ დაბრმავდა მაშინ. მიბრძანდითო და ოფთალმოლოგებს ჰკითხეთო, რა დიაგნოზი დაუსვესო, არაფერი არ ჰქონდაო.

მარიკა აბაიშვილი: მე არ მიმაჩნია ღირებულად, სათითაოდ ყველა ადამიანის ისინი ვიკვლიო. ჯუნამ ერთხელ მითხრა, დილარ ხაბულიანს უთხარიო – მანამდე, სანამ პუტჩი დაიწყებოდა, მაგრამ უკვე მძლავრობდნენ ესენი – რომ რუსიკოს უნდაო მისი ნახვაო. შემხვდა და ვუთხარი, რომ თქვენი ნახვა უნდათ-მეთქი. მე არ ვიცი, მაგრამ სასიკეთოდ რომ ეს შეხვედრა არ იქნებოდა, ახლა ვხვდები. ესენი ცდილობდნენ სრულიად ღიად. ერთი დღე იყო, როდესაც მე ვიყავი სახლში და ჯუნა მთელი დღე დამყვებოდა და მეუბნებოდა, რომ მე უნდა წამოვიდე მაგ გაზეთიდან. ვეუბნებოდი, რომ მიზეზი მითხარი რატომ-მეთქი და მიზეზად მეუბნებოდა...

ნათელა ვაჩნაძე: ყველა ელაპარაკებოდა შენს წინააღმდეგ.

მარიკა აბაიშვილი: ჯერ არ მეუბნებოდა. მე ვეუბნებოდი, რა დავაშავე, თუ ცუდს ვაკეთებ, მითხარი. მითხრა ბოლოს, რომ საშიში არისო. რატომ არის-მეთქი, დედა, საშიში? იმიტომ, რომ შენი მეგობრები მე თავს დამესხმებიან-თქო? ამიტომ არის-მეთქი ეს საშიში? მთელი

დღე მელაპარაკებოდა, ვერ დამითახმა. საავადმყოფოში დანვა მაშინ, როდესაც გამოუცხადებიათ, რომ მე დამნიშნეს უზენაესი საბჭოს გაზეთის რედაქტორად, ტელევიზორში უთქვამთ. ეს მოუსმენია და მეორე დღეს დანვა საავადმყოფოში. ერთ-ერთი ბრალდება საზოგადოებაში ჩემს წინააღმდეგ ის იყო, რომ მე დედაჩემი დავანვინე ფსიქიატრიულში იმიტომ, რომ მე მეწინააღმდეგებოდა. ამას იმიტომ კი არ ვყვები, მე რა გადავიტანე, რა განწყობა იყო ამ ქვეყანაში. მე რა უნდა ვთქვა იმაზე მეტი, როდესაც ტელევიზიით გამოდიოდა კვიტაშვილი, ყურნალისტი, რომელიც ამბობდა, რომ ზვიად გამსახურდიას მაგიდაზე ვნახეთ წიგნი, რომელიც თავისით იშლებოდა წამების ეპიზოდებზე. ეგეთი რამე კიდევ რამდენი იყო. თენგიზ სიგუას ბრალდება, რომ ზვიად გამსახურდიამ გაიტაცა დიდძალი ოქროსულობა და სიმდიდრე, კიდევ ფარშევანგები და ლომის ბოკვერები.

ნათელა ვაჩნაძე: რაც მოხდა საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერი-იანვარში, ამას აქვს სხვადასხვა ადამიანის მიერ მოფიქრებული და ამ მოვლენისადმი მისადაგებული ახსნა-განმარტება, სახელწოდება, ანუ დეფინიცია. რა დეფინიციასთან გვაქვს საქმე: დაემხო პროვინციული ფაშიზმი, მაშასადამე, ხელისუფლებამ მიგვიყვანა ხელისუფლების დამხობამდე. ჩვენ კი არ გავაკეთეთ ეს, ხელისუფლებამ მიგვიყვანა. ჩვენ იძულებულები გავხდით, ეს გაგვეკეთებინა, სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვა; რომ ეს იყო დემოკრატიული რევოლუცია; რომ ეს იყო საერთო-სახალხო აჯანყება და რომ ეს იყო სამოქალაქო ომი. მე ვფიქრობ, ბოლო მაინც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ოღონდ ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სადავოა. სამოქალაქო ომს უწოდებს ის ადამიანი, რომელმაც არც ისტორია იცის და არც ის იცის, რა არის სამოქალაქო ომი და, სხვათა შორის, არც მხატვრული ლიტერატურა წაუკითხავს სამოქალაქო ომზე დაწერილი.

მარიკა აბაიშვილი: რუსეთში რომ იყო სამოქალაქო ომი, ბოლო ინფორმაციით, რაც მე მივიღე, იქაც ირკვევა, რომ იქაც იყო თურმე საერთაშორისო მხარდაჭერა, მაგრამ ესე ღიად არ ჰქონდათ, როგორც აქ ჰქონდათ საქართველოში.

ნათელა ვაჩნაძე: აქ სხვა მოვლენაა.

მარიკა აბაიშვილი: მე, სხვათა შორის, ძალიან მაღმფოთებს ხოლმე, როდესაც ამას უწოდებენ სამოქალაქო ომს. ერთი რამე უნდა ითქვას. რეალურად რაც იყო, ეს, სხვათა შორის, თვითონაც თქვეს და გამოხატეს იმ ძალებმა, ვინც პრაქტიკულად ეს ამბავი საქართველოში განახორციელა.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ განახორციელა?

მარიკა აბაიშვილი: ეს, რასაკვირველია, განახორციელა მსოფლიოს წამყვანმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც დღეს მსოფლიოში მძლავრობენ. ბევრისთვის შეიძლება ეს იყოს გულგასატეხი მომენტი, რომ თუ მსოფლიო ტენდენცია ასეთია, მაშინ ჩვენ რაღა გვინდა და რაღა

გვეშველება. მსოფლიო ტენდენცია ასეთია, მაგრამ სხვა საყრდენს ვერაფერში ვერ ვპოულობ, გარდა მართლმადიდებლობისა, რომ მსოფლიო სამყარო ბოროტსა ზედა დგას. სამყარო არის განწირული იმისთვის, რომ სამყაროს დაეპატრონოს მართლაც ბოროტი ძალები, ანტიქრისტი. სამყარო მიდის უკეთურებისკენ. ყველა ჯერზე ეს მარყუჟი ხდება უფრო მძაფრი, უფრო სასტიკი და, რაც მთავარია, უფრო უსამართლო. ყველა ჯერზე ეგრეა და ამის შემდეგ კიდევ ეგრე იქნება, იმიტომ, რომ სამყარო აქეთკენ მიდის. საქართველო იყო იმხანად ერთ-ერთი გამოვლინება იმისა, რომ... ხომ ვხედავთ გლობალიზაცია რა არის. გლობალიზაცია არის ახალი ტერმინი, რასაც საბჭოთა პერიოდში ერქვა ინტერნაციონალი. ეს არის აპრობირებული ხერხი. ყველანაირი ბოროტება მაშინ არის უფრო ქმედითი, როდესაც არაფერს არ ჰქვია თავისი ნამდვილი სახელი. გლობალიზაცია – თავისთავად სიტყვა, ეს არ არის, ვთქვათ, სიტყვა მკვლელობა, ეს არ არის სიტყვა სისხლი, ისევე როგორც ინტერნაციონალი. ძმობა, ერთობა, თავისუფლება – რამე არის ამაში ცუდი? რაც შეეხება დეფინიციას, ეს საერთო-სახალხო აჯანყება რომ არ იყო, ამაზე, არ ვიცი, თუ ღირს კიდევ ლაპარაკი. ამის დამადასტურებელი თუნდაც ის არის, რომ ამ გადატრიალების შემდეგ ათასობით, ათი ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოდიოდა და ტყვიას უშვერდა თავს. ამისი დოკუმენტური მასალა არსებობს, ზურა შანიძეს აქვს ეს გაკეთებული. ამისი დამადასტურებელი არის თუნდაც ის, რომ თუ ეს იყო სახალხო აჯანყება, მაშინ ამათ რაში დასჭირდათ ბალტინის ჩამოყვანა აქა. ეს იარაღის ჟღარუნე მოისპო მას შემდეგ, რაც ბალტინის ფიგურა გამოჩნდა უკვე ამ ქვეყანაში. რა საერთო-სახალხო აჯანყებაზეა ლაპარაკი, როდესაც თბილისს არ გასცილებია მაშინ ეს მიტინგები. მეორეს ერთი, მე მგონი, ეს უკვე აღიარებული ფაქტია და ამას მონინაალმდევე მხარის მოქმედი სამხედროები თუ არ აღიარებენ და ალბათ არ აღიარებენ, იმიტომ, რომ სინდისი ქეჯნით, ამის ფაქტების მოპოვება, მე მგონი, რთული არ არის. აქ ძალიან აქტიურად მოქმედებდა რუსის ჯარი და რუსული შეიარაღება. საერთო-სახალხო აჯანყებას, რომელსაც იარაღით ამარაგებს და აფინანსებს სხვა ქვეყანა, ის უკვე აღარ არის საერთო-სახალხო აჯანყება. ეს არის უკვე იმ ქვეყნიდან ექსპორტირებული აქა. რაც შეეხება იმას, ეს სამოქალაქო ომი იყო თუ არა... მე, სხვათა შორის, გულისტკივილით უნდა ვაღიარო ის, რომ ამ ქვეყანაში, საქართველოს სამარცხვინოდ, ამ ქვეყნის მტრებმა შესძლეს ის, რომ მისცეს ამას სამოქალაქო ომის სახე. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვერ გავუწიეთ ამას იმგვარი წინააღმდეგობა, რომ... ჩვენში არიან საკმაო რაოდენობის მოლაღატეები. ეს ერთი, მაგრამ მეორეც არის, ეს უნდა ვთქვათ აუცილებლად. მე ვიცნობ პირადად არ ერთს, არა ორს, არა ხუთს და არა ათ ადამიანს, რომელიც იყო მხედრიონელი და რომელიც დღეს არის ძალიან პატიოსანი ადამიანი და რომელსაც არაფერი არ უმოვიცა იმ პერიოდში.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით, შეაცდინეს ეს ხალხი?

მარიკა აბაიშვილი: ნამდვილად, ესენი იყვნენ მაშინ ძალიან ახალგაზრდები. ჯაბა იოსელიანს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ამ საქმეში და ჯაბა იოსელიანს წლების მანძილზე უქმნიდნენ სახელს. მე სანამ გავიცნობდი ჯაბა იოსელიანს, მე მეგონა, რომ ეს არის ძალიან ინტელექტუალური კაცი, რომ ეს არის პროფესორი, მწერალი, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე, მეც მეგონა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ფიგურა. მერე აღმოჩნდა, რომ ეს არის ძალიან შეზღუდული გონების და ძალიან დაბალი ზნეობის მქონე ადამიანი, რომელიც ასრულებს თანაც დაკვეთას. ერთიც უნდა ითქვას აუცილებლად, რომ ძალიან დიდი როლი ითამაშა ამ სიტუაციაში ნარკოტიკმა. ოპერის გვერდზე საშემშობლოდ რომ წამოწვენენ ჯაბა იოსელიანის თაოსნობით, მაშინ იქ ძალიან დიდ როლს ასრულებდა ნარკოტიკი. ჯაბა იოსელიანს და შევარდნაძეს პირადად ძალიან დიდი როლი მიუძღვის იმაში, რომ საქართველოში ასე არის დღეს გავრცელებული ნარკოტიკები. უიაფესი ღირდა ნარკოტიკი იმ პერიოდში, როდესაც შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში. ძალიან იოლი იყო ნარკოტიკის შოვნა და ამ ქვეყანაში, სადაც პური ჭირდა, ნარკოტიკი იყო თავზე საყრელი. რასაკვირველია, ანგარებიანი ხალხიც ბევრი იყო. როდესაც უზენაესი საბჭოს სესიები იმართებოდა გროზნოში, მე დავდიოდი დეპუტატებთან სახლში და ვატყობინებდი, რომ ისინი მიწვეული არიან უზენაესი საბჭოს სესიაზე. ზოგი წავიდა, ზოგი არ წავიდა. მე ამათთან სახლში დავდიოდი და მე ვხედავდი ამათ ყოფას. ყველას ედგა ერთნაირი ახალი ტელევიზორი. მე იმის თქმა მინდა, რომ მე არ მინახავს არც ერთი ადამიანი გამდიდრებული მაშინ...

ნინო თომაძე: მე ვიცი ერთი ადამიანი, რომელიც შევიდა თუ არა ზვიად გამსახურდიას მთავრობაში, იშოვა დიდი ფული.

მარიკა აბაიშვილი: ეს ჩვენი ლაპარაკიც ამაზე მეტყველებს, რომ ეს იმდენად ერთეული შემთხვევებია... ეს არ არის მასობრივი. მაშინ ხალხი არ შიმშილობდა. ეხლა, როდესაც ხალხი შიმშილობს, თითოთ საჩვენებელი იქნება ისეთი დეპუტატი ან ჩინოვნიკი, რომელმაც, ის კი არა, რომ უჭირს, არ იშოვა დიდი ქონება. მე ვიცი ერთი ლეგენდა, რომ მანანა ძოდუაშვილმა ორმოცი კილო ოქრო წაიღო. მსგავსი რამე რომ ყოფილიყო და ორმოცი გრამი ოქრო რომ წაეღო მანანა ძოდუაშვილს... ამ ადამიანებმა, რომლებმაც იჯეჯანამდე სდიეს ზვიად გამსახურდიას, რომლებმაც ყველა იურიდიული ბერკეტი გამოიყენეს თუკი შესაძლებელი იყო, რომ ყველანაირი ბრალდება წაუყენეს ყველას და ყველაფერს... ზვიად ძიძიგური რომ იყო დაპატიმრებული, მაგალითად, ბრალდებაში ეწერა... მაქვს მოპარული ორი ტომარა შაქარი და ას ოცი „ვემოლკა“. ეს „ვემოლკები“ მაინც რად მინდოდაო. ვილაცას ეწერა, მაგალითად, საბრალდებო დასკვნაში რამდენიმე ქათამი... ამათ რომ ხელმოსაკიდი რამე ჰქონოდათ... მანანა ძოდუაშვილს ორმოცი კილო კი არა, არც ერთი გრამი ოქრო ამ ქვეყნიდან არ წაუღია. რასაკვირველია, ვილაცა

იყო ხელმწიდი, ვილაცა იყო... თამაზ გველესიანმა, ვაჭრობის მინისტრმა, იქ დიდი ფული მიითვისა. რატომ არის-მეთქი ეს თამაზ გველესიანი ესეთი... და კაკომ მითხრა, ასათიანმა, რომ მაგას კარგი თვისებებიც აქვსო, მართლაც ზვიადს გადაეფარაო ტყვიანო. ამას ხელი არ შეუშლია ზვიად გამსახურდიასთვის, რომ მერე დაეჭირა თამაზ გველესიანი, როდესაც ნახა, რომ ეს ცუდად ირჯება და იჯდა ციხეში მერე. ნათელა ვაჩნაძე: მაგაზე არის გაგიჟებული თენგიზ სიგუა, გველესიანი როგორ დამანიშნინესო, რვა კლასის განათლება ჰქონდაო.

მარიკა აბაიშვილი: შენ თვითონ როგორ დაგნიშნეს-თქო. მე როგორც ვიცი, ვაჭრობის სამინისტრო იყო გასაუქმებელი, საბაზრო ეკონომიკას ამკვიდრებდა ზვიადი. ...რაც შეეხება სამოქალაქო ომს, ამ ფაქტორებმა განაპირობა. ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული. ჯერ, როდესაც დაიწყო ჯაბას პიროვნების ლეგენდით შემოსვა, მერე ამას კეთილშობილური იდეები ათქმევინეს, რომ ესენი იბრძოდნენ სამაჩაბლოში, აფხაზეთში. თავისი პატრიოტული სულისკვეთება ჰქონდათ. და მერე ეს პატრიოტული სულისკვეთების მქონე ადამიანი იყო ავტორიტეტი იმ გამოუცდელი ბავშვებისთვის. ზოგი იყო გამოუცდელი, ზოგი არა, ზოგს გამორჩენა ჰქონდა. ...მე იმის თქმა მინდოდა, რომ თავის ფასში იყიდეს ტელევიზორები. გაპარტახებული სახლები დამხვდა ყველა მათგანის. ...ჩემი ძმის ერთ-ერთი მეგობარი თორნიკე გასვიანი იყო მხედრიონელი, ძალიან დაახლოებული ჯაბასთან. მე, როდესაც დამიჭირეს უკვე შევარდნაძის დროს, 92 წლის მანძილზე, თორნიკე მოვიდა ჩემთან ციხეში, რომ გამოვეყვანე იქიდან. მე არ გამოვეყვი, სხვებიც არიან-მეთქი. არა, მარტო თქვენი გამოყვანა შემიძლიაო. მე ვუთხარი, რომ რაკი ჩვენი ოჯახის ახლობელი ყოფილხართო, მე გთხოვთ ერთ რამეს, რომ დაურეკეთ დედაჩემს და უთხარით-მეთქი, რომ მე ვულოცავ მას დემოკრატიის გამარჯვებას საქართველოში. გაიცინა. თორნიკეს, მაგალითად, გიასგან ვიცი – გია სრულებით არ მიიჩნევს, რომ ეს არის სამხილი – რომ ჰქონდა ამ ყველაფრის მერე გოთუას ქუჩაზე მრავალსართულიანი დანესებულება, რომელიც მერე გაიძარცვა. ეს იყო თორნიკესი, ეს იყო პრივატიზებული თორნიკეს მიერ. როგორ არ იყვნენ იმ ეროვნულ ხელისუფლებაში... რომ იყვნენ, იმან განაპირობა სწორედ ჩვენი დამარცხება. უნდა ითქვას, რომ მათი ზნეობრივი დაცემა ახლოს ვერ მივა იმ ზნეობრივ გაპარტახებასთან, რასაც ვხედავ იმის შემდეგ და რასაც დღესაც ვხედავ.

ნინო თომაძე: შევარდნაძის დროს უფრო ზნეობრივად იყო გაპარტახებული ეს ქვეყანა, თუ დღეს უფრო არის გაპარტახებული?

მარიკა აბაიშვილი: მე მგონია, რომ დღეს უფრო არის იმიტომ კი არა, რომ ეს უარესია შევარდნაძეზე, უბრალოდ ეს არის პროცესი, რომელიც მაშინ დაიწყო. ეს ღრმავდება, მიდის, მიდის. ეს არის პროცესი, რომელიც დაიწყო პუტჩით, რომელიც ფართოვდება, ღრმავდება, იზრდება. ...მე არ ვიცი, კიდევ რა პარამეტრები აქვს სამოქალაქო ომს, მაგრამ

საერთოდ ეს ქვეყანა გაიხლიჩა. მე არ ვიცი ოჯახი, არ ვიცი ადამიანების ჯგუფი, სადაც არ იყოს ამ თემაზე... მაშინ ეს იყო ძალიან აქტუალური. დღეს ეს სიმძიმის ცენტრი გადმოვიდა სხვაგან და დღეს უკვე სხვა დაპირისპირებაა. ისე საერთოდ ალბათ ყველგან ეგრეა, მაგრამ საქართველოში, თუ გახსოვთ, ყოველთვის იყო იმ წრეში, რომელსაც მე მივეკუთვნები, სულ იყო რაღაც დაპირისპირება ესეთ თემებზე: მაგალითად, რობიკო სტურუა კარგია, თუ არ არის კარგი, როდონაიამ წერილები რომ დაწერა ფარაჯანოვზე, ზოგი ემხრობოდა, ზოგი არა. ეს იყო ძალიან სერიოზული დავა და კამათი. არ იყო ეგრე? ეს ყველაფერი უკვე მეთაქვს ხარისხოვანი გახდა, იმიტომ, რომ აქ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი დაპირისპირების წინაშე აღმოვჩნდით. ეს, ეტყობა, ქართული ტემპერამენტია.

ნათელა ვაჩნაძე: მესხი ჯობია, თუ მეტრეველი? თქვენ ამ ამბავს არ მოესწარით.

მარიკა აბაიშვილი: არ მოვესწარი. ...დაყოფილები იყვნენ, არ ვიცი, რატომ, რისთვის. დღეს არანაირი პრინციპული დაპირისპირება ხელისუფლებსა და ოპოზიციას შორის არ არის იმ თვალსაზრისით, რომ ყველას ერთნაირად ესახება საქართველოს ბედნიერი მომავლის პერსპექტივა, ანუ ყველასთვის ეს არის ნატო, ეს არის ევროკავშირი. ყველაზე კარდინალურ საკითხებში ესენი არიან შეთანხმებულები. მაშინ კი მართლა იყო პრინციპული დაპირისპირება. იმიტომ, რომ აქ იყო ხალხი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ეს ყველაფერი არის ლამის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სვლა, რომ როგორ შეიძლება რუსეთიდან... ეს ნამდვილად იყო პროვოცირებული გარედან და ეს იყო ძალიან სერიოზული ღვაწლი წამყვანი პოლიტიკური ძალების ყველა თვალსაზრისით. ქმედითად ამას რუსეთი ახორციელებდა, მაგრამ ეს ხდებოდა დასავლეთის პოლიტიკური ძალების და ამერიკის არა თუ წაყრუებით, არამედ ტაშის კვრით. ორი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო აქედან: ერთი, სანამდე არჩევნები საქართველოში შედგებოდა, ოქტომბრის არჩევნები, სერჟ რაფი, ფრანგული ჟურნალის „ობზერვერის“ კორესპონდენტი ჩამოვიდა საქართველოში და ზვიად გამსახურდიას შეხვდა. მე რე დაწერა ამაზე წერილი, რომელიც ჩვენ დავბეჭდეთ რომელიღაც გაზეთში, სადაც ძალიან აღმატებულად წარმოაჩინა ზვიად გამსახურდია. ეს ესე თავდებოდა ზვიად გამსახურდიას სიტყვებით: „მე ვოცნებობ იმ დროზე, როდესაც ვიჯდები რუსთაველზე კაფეში და შევხედავ საქართველოს ცას“. მე რე, როდესაც დაიძაბა აქ სიტუაცია, მედია და ნიკა კილასონია იყვნენ საფრანგეთში და მედემამ მოინდომა ამ კაცთან შეხვედრა. ეს კაციო დამხვდა დაზაფრულიო, გაკარება არ უნდოდაო ჩემიო. თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი ჟურნალისტი. მე ვიყავი დანიაში 91 წლის სექტემბრის ბოლოს, მე, ბადრი ჯაფარიძე, რომელიც მაშინ იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი და სოსო ბარათაშვილი. ადგილობრივი თვითმართველო-

ბის ბიურო იყო და იმისი თავმჯდომარე იყო სოსო. ესეთი პოლიტიკოსი იყო როვსინგი, რომელიც იყო ევროპარლამენტის წევრი და დანიაში იყო ძალიან პოპულარული კაცი იმდენად, რომ თუ როვსინგთან შეხვედრაზე მოხვდებოდი, ეს ნიშნავდა, რომ აუცილებლად გაზეთში იქნებოდი. ჩვენ ვიყავით როვსინგთან შეხვედრაზე კოპენჰაგენში და, რასაკვირველია, გაზეთში მოხვდით. მე მახსოვს როვსინგმა რა გვითხრა ჩვენ, რომ... ესენი ელოდებოდნენ დანიაში ზვიად გამსახურდიას და კეთილად იყვნენ განწყობილნი საქართველოს ხელისუფლების მიმართ. უკვე მომხდარი იყო 2 სექტემბრის ამბები. ...ჩვენო ძალიან გული დაგვწყდაო ამასთან დაკავშირებითო და თქვენს პრეზიდენტს უთხარიტო, გამოვიდნენო, ილაპარაკონო, დაიჭირონო ლოზუნგებო, ნუ მიაქცევთ ყურადღებასო. ეს არაფერს არ ცვლისო, ჩვენ მაინც ველოდებითო, როცა ინებებსო, ჩვენ მოწვევას ვუგზავნით და ჩამობრძანდესო. მერე აქ ისეთი სიტუაცია იყო, რომ არც ერთხელ არ მიეცა იმის საშუალება, რომ სადმე წასულიყო. ამის მერე როვსინგი ჩამოვიდა საქართველოში უკვე შევარდნაძის დროს, როდესაც ყუმბარებით და ტანკებით დაამხეს ეროვნული კანონიერი ხელისუფლება, როდესაც ხალხი ქუჩაში იხვრიტებოდა. ამის შემდეგ მე მქონდა მცდელობა, მაგრამ ვერაფრით ვერ გავაყუდერე ეს, რომ ამ კაცისთვის ღიად მეკითხა, რომ თქვენ ის კაცი არა ხართ, რომელიც თითს გვიქნევდით 2 სექტემბრის გამო და დღეს რომ ჩამოდიხართ და შევარდნაძეს პირზე კოცნით ხვდებით, ეს ის ქვეყანა არ არის, სადაც ტანკებით და ქვემეხებით დაამხეს კანონიერება და სადაც ხალხს ქუჩაში ხვრეტენ? ეს არის უმწირესი ცნობა დოკუმენტური, რაც მე მაქვს ხელთ, თორემ ეს ხომ გაცხადებული იყო. იმ კრის ვენერის ფილმშიც არის ეგ, ბეიკერი როგორ იღებდა ალლუმს აქ რესპუბლიკის მოედანზე და აქეთკენ ხალხს როგორ არბევდნენ. აქ არის ტექნიკის საქმე, რამდენად გაფორმდება მკითხველისთვის, თორემ ეს ხომ სრულიად ცხადზე ცხადია. საქართველოს ესეთი სვლა იყო მსოფლიო პოლიტიკის საწინააღმდეგო. ამ თავისუფალმა სამყარომ არ დაუშვა...

ნინო თომაძე: გლობალურმა სამყარომ?

მარიკა აბაიშვილი: თავისუფალმა სამყარომ, მოდით, ესე ვთქვათ. ჩვენ ესე ვიზრდებოდით. ჩვენ ვიზრდებოდით ცივი ომის პირობებში, როცა ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირი ეს არის ბნელეთის სამყარო, სადაც ყველაფერი არის მარწუხების ქვეშ მოქცეული და არსებობს სადღაც თავისუფალი სამყარო, რომელთანაც სულ აპელირებდა პირადად ზვიად გამსახურდია. მთელი ეს ინსტიტუტები, ჰელსინკის კავშირი და თავისუფალი ორგანიზაციები იქ ჩაისახა. მაშინ იმათი მხარდაჭერა იყო, რომ აქ ეს დისიდენტები არსებობდნენ. მაგრამ როგორც კი დისიდენტებმა მოინდომეს ეროვნული თვითგამორკვევა, ეროვნული ფასეულობები წამოწიეს წინ, იმ წუთას ამათ მოესხიპათ ყველანაირი მხარდაჭერა. არა თუ მხარდაჭერა მოესხიპათ, ესენი გახდნენ თავ-

დასხმის ობიექტები. მე პირადად მახსოვს, რომ ამერიკას ვუყურებდი, როგორც მშველელს.

...შეზღუდული რაოდენობა იყო ადამიანების, ვინც კონკრეტულად მრგვალი მაგიდის სხდომას ესწრებოდა. გადატრიალების მერე საქართველოში, თბილისში კერძოდ, ისევ შეიქმნა მრგვალი მაგიდა. ბატონმა ზვიადმა იცოდა ამ მრგვალი მაგიდის შექმნის შესახებ. ამას მაშინ სათავეში ჩაუდგა ბატონი თენგიზ კიკაჩიშვილი. მრგვალი მაგიდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო შოთა მალაშხია. იყვნენ სხვა ადამიანები: მაისურაძე, სახელი არ მახსოვს, ქიმიკოსი, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ოთარ ლითანიშვილი, მე გახლდით. იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოწვეულები იყვნენ სხდომებზე. ამ მრგვალ მაგიდას ჰქონდა პრეტენზია იმისა, რომ ეს საქმე არ გამქრალიყო, არ ჩამკვდარიყო და ზვიად გამსახურდიასთვის რაღაც საყრდენი შეექმნათ საქართველოში. იმ ხნის მანძილზე, როდესაც ეს მრგვალი მაგიდა არსებობდა, ზვიად გამსახურდია უკვე გროზნოში იყო. ეს მრგვალი მაგიდა რაღაცა აქტიურობას იჩენდა, რომელმაც, მე მგონია, რომ არანაირი კვალი არ დაამჩნია ამ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ ძალიან დიდი პრესი იყო მაშინ. ეს ის პერიოდი იყო, როცა მართლა ხალხს ქუჩაში ხვრეტდნენ, როდესაც ყოველგვარი თავყრილობა სასტიკად იღვენებოდა. იყო ეგეთი შემთხვევაც, როცა ჩვენ დაგვიჭირეს. დათო ზეიკიძე იყო მაშინ და მიგვიყვანეს მილიციის განყოფილებაში. იქ გამოსვლებიც იმართებოდა ხოლმე. ჩემთვის როდის დაესვა წერტილი ამ მრგვალ მაგიდას, მე გეტყვით. ამისთვის ვყვები ამას ყველაფერს. რაღაცა საპროტესტო წერილები იწერებოდა, რაღაცა გამოსვლები იგეგმებოდა და ზოგ შემთხვევაში ხორციელდებოდა ხოლმე. მსვლელობები იყო. მე მახსოვს, ერთხელ მივდიოდით „ზემელზე“, პლაკატებიც ეჭირათ ხელში. გამოსვლებიც იყო მთავრობის სახლთან და ხალხი დაარბიეს, დაიჭირეს. ერთ-ერთი გამოსვლის დროს მე დამიჭირეს და ანა ჭავჭავაძე. ეს იყო 92 წლის მაისი. მე არ მახსოვს ზუსტად, როდის შეიქმნა ეს მრგვალი მაგიდა, როდის ჩამოყალიბდა. ზვიად გამსახურდია ჯერ საქართველოში ჩამოსული არ არის. როდესაც ზვიად გამსახურდია საქართველოში ჩამოვიდა, ამ მრგვალ მაგიდას უკვე აქვს პრეტენზია, რომ ეს არის სერიოზული ორგანიზაცია, რომელიც არის მემკვიდრე ყველაფერი იმისა, რაც ამ მიმართულებით საქართველოში კეთდებოდა და აქვს პრეტენზია იმისა, რომ განდევნილი კანონიერი ხელისუფლების ხმა იყოს აქ. 1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა სამეგრელოში. ამ დროს, ბუნებრივია, შეიკრიბა მრგვალი მაგიდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ როგორ გაიგეთ?

მარიკა აბაიშვილი: ჩვენ გავიგეთ ისე, როგორც ყველამ გაიგო.

ნათელა ვაჩნაძე: ინფორმაცია არ გქონდათ?

მარიკა აბაიშვილი: არა, ჩვენ არ გვქონდა ცალკე ინფორმაცია, რომ ამ დღეს

ზვიად გამსახურდია ჩამოდის. მე მახსოვს, იმ დღეს ჩვენთან დარეკა ამერიკის ელჩმა და თათის ელაპარაკა. ყველა იყო დაბნეული, რომ რა ხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ამერიკის ელჩს რა უნდოდა თათისთან?

მარიკა აბაიშვილი: ეტყობა, რაღაც ინფორმაცია უნდოდა. თათი იყო გაზრდილი „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორი. ამერიკის ელჩმა რომ დარეკა, იმას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვართ ნამყვანი ფორფოსტი ამ კანონიერი ხელისუფლების. უბრალოდ ჩვენთან იყვნენ სტუმრები. ჩემი ქმრის დაბადების დღე იყო. ...დაინიშნა მრგვალი მაგიდის სხდომა. დაინიშნა სწორედ იმ ადამიანის სახლში, რომლის სახელიც მე არ მახსოვს, მაისურადის სახლში, რომელიც იყო იმხანად უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიკოსი, ძალიან სიმპათიური კაცი. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი სხდომა. მაშინ იქ ჩვენ რომ შევიკრიბეთ, აღმოჩნდა, რომ ჩვენ უნდა მოვისმინოთ მოხსენება და არის სამი თანამომხსენებელი. ესენი არიან: თემურ დედაბრიშვილი, სოსო ბარათაშვილი და შოთა მალაშხია. ჩვენ მოვისმინეთ ვრცელი მოხსენება. მთელი ამ მოხსენების პათოსი იყო მიმართული იმისკენ, რომ... მეორე დღეს იყო დაგეგმილი გამოსვლა ქუჩაში კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერად. ბუნებრივია, გამოსვლას მისცა ბიძგი ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლამ საქართველოში. რა თქმა უნდა, აქ იყო ის აზრი ჩადებული, რომ აქ უნდა სათავე დასდებოდა მოძრაობას. ის, რომ ზვიად გამსახურდია უკვე არსებობს ფიზიკურად საქართველოს ერთ ნაწილში, ამას უნდა შეხმიანებოდა, რა თქმა უნდა, თბილისი და ამის გამო აქ უნდა მოძრაობა დაწყებულიყო: გამოსვლები, საპროტესტო მანიფესტაციები... ამას უნდა გამოეწვია აქ რაღაცა დიდი ჩოჩქოლი. ამ მრგვალ მაგიდას ჰქონდა პრეტენზია, რომ ეს არის ის ძალა, რომელიც არის ზვიად გამსახურდიას საყრდენი თბილისში. ამ მოხსენების პათოსი მთლიანად იყო მიმართული იმისკენ, რომ არავითარი გამოსვლა ხვალ არ უნდა შედგეს. ხალხი იყო უკვე გაფრთხილებული, ვინ რომელი ქუჩიდან უნდა ამოსულიყო... მე არა ვარ ამ ადამიანებს შორის, რომლებიც უშუალოდ ასეთ ქმედებებს გეგმავენ და გეგმავდნენ. ესენი იყვნენ: მაია კერესელიძე, ნანა ზუმბურიძე... თუკი საქართველოს ჰყოლია გმირი მეოცე საუკუნეში ქალებში, ერთ-ერთი ესეთი გმირი იყო ნანა. განსაკუთრებით ნანაზე ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ნანა უკვე აღარ არის ცოცხალი, თორემ არანაკლები გმირია იგივე ლია ბერუაშვილი და იგივე მაია კერესელიძე, რომლებიც წარმოუდგენელი პრესის ქვეშ... განსაკუთრებით აღვნიშნავ იმიტომ, რომ – ლია მაინც იყო ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი – ამათ არანაირი შეხება ხელისუფლებასთან გადატრიალებამდე არ ჰქონიათ, არც პასუხისმგებლობა არანაირი არ ეკისრებოდათ და ემოციური კავშირიც კი არ ჰქონდათ. ეს ყველაფერი მათ იტვირთეს იმის შემხედვარეობა, რაც მათ თვალწინ, მათ ქვეყანაში და მათ ქალაქში ხდებოდა. ...ვუბრუნდე-

ბი ისევ მრგვალი მაგიდის სხდომას. მთელი პათოსი იყო მიმართული იმისკენ, რომ ეს არ უნდა მოხდეს. მერე გაიმართა კენჭისყრა, ეს გამოსვლები უნდა იყოს, თუ არ იყოს. შედგა ეს კენჭისყრა. ორად-ორი ადამიანი ვიყავით, მე და ეთერ მაგალობლიშვილი, რომლებმაც ავნიეთ ხელი საწინააღმდეგოდ, რომ არ ვიზიარებთ აზრს, რომ არ უნდა იყოს გამოსვლები. ერთი ადამიანი იყო თენგიზ კიკაჩიშვილი, რომელმაც თავი შეიკავა. ამ კენჭისყრას, რა თქმა უნდა, წინ უძღოდა მსჯელობა. ირაკლი კენჭოშვილი იყო კიდევ მრგვალი მაგიდის წევრი. კიდევ იყო ვახტანგ ცაგარეიშვილი. მე და ეთერი ვიბრძოდით იმისთვის, რომ ეს აზრი განეიტრალებულიყო როგორმე და დაგეგმილი გამოსვლები არ ჩაშლილიყო მეორე დღეს. რატომ იყო მრგვალი მაგიდა დირიჟორი ამ ყველაფრის, არ ვიცი. ესეც არის, შეიძლება, ტრაგიკული განვითარება მოვლენების. რა თქმა უნდა, ეს საკითხი არ გავიდა, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ... და ეს გაფრთხილებული ხალხი, რომელიც უნდა გამოსულიყო დროშებით და... დარჩნენ ესე. ისე დიდი გარჯაც ალბათ არ დასჭირდა ნამდვილად იმას, რომ ეს აქცია არ შემდგარიყო, იმიტომ, რომ ეს მართლა ძალიან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და ხალხი, რა თქმა უნდა, იყო შეშინებული. ნამდვილად იყო შეშინებული იმიტომ, რომ ამ ხალხს იჭერდნენ ქუჩაში, სცემდნენ, მიჰყავდათ განყოფილებებში, აჯარიმებდნენ. საშინელებები ხდებოდა, ურტყამდნენ ქალებს, მოხუცებს.

ნათელა ვაჩნაძე: აუცილებელია, ამ ხალხის ბიოგრაფიები დაინეროს, არ შეიძლება ამისი დაკარგვა.

მარიკა აბაიშვილი: მე ვიცი, როცა იხვრიტებოდა ერთ-ერთი მსვლელობა, ერთ-ერთ ოჯახში იყო რაღაცა თავყრილობა და როგორი აჟიტირებულები იყვნენ ესენი, ვიღაცას ურეკავდნენ ტელეფონით და ამ ფაქტით, რომ იქ ვიღაცას ესვრიან, იყვნენ გახარებულები. ჩვენს ელიტარულ საზოგადოებაში რომ იყო ესეთი განწყობა, ეს არის ძალიან დიდი სირცხვილი ამ ქვეყნის. ქვეყნის სირცხვილია თუ იმ კონკრეტული სოციალური წრის სირცხვილია, მე არ ვიცი. ბოლოს და ბოლოს, რა არის ეს ქვეყანა? მაინცდამაინც პოპულარული ადამიანებია ეს ქვეყანა, თუ ის უბრალო ადამიანები, რომლებიც ინტუიციით თუ ღვთის მადლით სწორ გადაწყვეტილებებს იღებენ და ყოველთვის მხარს უჭერენ იმას, რაც არის მართებული. ასეთი ადამიანების რიცხვი ამ ქვეყანაში ცოტა არ არის, ბევრია ძალიან. სიმბოლურია, რომ დღეს არის 1 აპრილი და ამას ვლავარაკობ ზუსტად ერთი წლისთავზე ზვიად გამსახურდიას დასაფლავების შემდეგ. ეს ხომ თვალნათლივ გამოჩნდა კიდევ იმ დღეს. ...მაშინ, როდესაც დამთავრდა ეს თავყრილობა, მე რომ გამოვედი იქიდან, მე ვთქვი, რომ ამ სამი ძალიან სიმპათიური ადამიანიდან – კიდევ ერთხელ გავიმეორებ. ეს იყო სოსო ბარათაშვილი, თემურ დედაბრიშვილი და შოთა მალაშხია – რომელიღაც არის ჩეკისტი-მეთქი.

ნინო თომაძე: შოთა მალაშხია რატომ არის სააკაშვილის მთავრობაში?

მარია აბაიშვილი: მოდით, ეს რიტორიკულ კითხვად ჩავთვალოდ. სოსო ადვოკატია, ძალიან წარმატებული ადვოკატია დღეს. თემურ დედაბრიშვილს სასულიერო აკადემია აქვს დამთავრებული და ეხლა არ ვიცი, მაგრამ განდგომილი ბერები როდესაც იყვნენ, თემურ დედაბრიშვილი ამ წრეში იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ბეთანიის ჯგუფი?

მარია აბაიშვილი: ბეთანიის ჰქვია? მამა იოანესთან. მერე, სხვათა შორის, ბევრმა შეინანა და ბევრი მობრუნდა იქიდან. ...კიდევ ერთი ამბავი მინდა გიამბოთ. ეს გაზეთთან დაკავშირებით არის და 91 წელს ეხება. მედია თუშმალიშვილი და ნიკა კილასონია იყვნენ მივლინებით საფრანგეთში. მედია უკვე არის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. იქიდან როდესაც ჩამოვიდა, რადიოშიც ჰქონდა გამოსვლა და ბევრ სხვა ამბავთან ერთად ესეთი ფაქტიც მოყვა, რომ იქ მე გავიგეო, დაასახელა კაცის გვარი, რომელმაც უთხრა, რომ აქ იყვნენ ჩამოსულები ზურაბ ჟვანია და დავით ბერძენიშვილი. გამოვიდნენო სადღაც წარმომადგენლობით თავყრილობაზე და მოუნოდეს იქ შეკრებილ საზოგადოებას, პოლიტიკოსებს, რომ არავითარი დახმარება საქართველოს არ გაუწიონ იმ მიზეზით, რომ აქ არის ფაშისტური ხელისუფლება. მედეამ ეს, რაც შეიტყო იქა, როცა ჩამოვიდა, კიდევაც დაწერა და რადიოშიც ჰქონდა გამოსვლა და ეს თქვა. მე მივედი სამსახურში და იქ დამხვდა ზურაბ ჟვანიას წერილი პირადად ჩემთვის და თან პუბლიკაციისთვის გამზადებული მასალა. მთხოვდა, რომ ეს გამოვქვეყნო და თან იმედს გამოთქვამდა, რომ მე ნამდვილად გამოვქვეყნებ. როცა წავიკითხე, ეს იყო პროტესტი მისი იმ ცილისწამებასთან დაკავშირებით, რაც მოსმინა თავისი და ბერძენიშვილის საფრანგეთში ყოფნასთან დაკავშირებით. იმ პროტესტში ეწერა, რომ ის შეიტანდა სარჩელს სასამართლოში ცილისწამებისთვის. ეტყობა, ეს უკვე მედეამ იცოდა. იმიტომ, რომ მე ვიყავი უზენაეს საბჭოში და იქ შევესწარი ესეთ ეპიზოდს, რომელიც დამამახსოვრდა და მერე აღმიდგა მეხსიერებაში, როცა ეს წერილი წავიკითხე. მედია დაედევნა ვილაც კაცს და მერე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი იყო ანზორ მაისურაძე და უთხრა, რომ თქვენ ხომ არ მომანვდით მე ჩანაწერს ამ გამოსვლის. მე როცა წავიკითხე ეს, დავრეკე უშიშროების კომიტეტში. მაშინ თავმჯდომარე იყო ვინმე თამაზ ნინუა, რომელსაც ველაპარაკე და ვუთხარი, რაც მინდოდა. მითხრა, რომ აგერ არის ანზორ მაისურაძეო და იმას გადავცემ ყურმილსო. პასუხიც არ გამცა, არც ხო, არც არა. მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ნინუა არაფრის კურსში არ იყო. ყველაფრის კურსში იმთავითვე სიღრმისეულად იყო ანზორ მაისურაძე. მე ველაპარაკე და ვუთხარი, რაც მინდოდა: ამასთან დაკავშირებით თქვენ რამე ცნობა თუ გაქვთ-თქო და თუ არ ვცდები, რადიო „თავისუფლებაში“ იყო-მეთქი ამ ფაქტთან დაკავშირებით რაღაცა ინფორმაცია. კი, იყო, ჯანრი კაშიას ინტერვიუ იყო ზურაბ ჟვანიასთანო. თუ შეიძლება-მეთქი, ეს რომ მომანოდოთ. კი, ჩვენ ეს

გვეკონდა, მაგრამ ჩვენ ნავშალეთ. რატომ ნავშალეთ-მეთქი? არ ვიცი, ესე მოხდა. მე, როგორც ჩანს, ხმა გამიხდა მკაცრი და ვუთხარი, რომ მაშინ მომეცით ქალაღზე ამოშიფრული. ვიცოდი, რომ მარტო ფირზე კი არ იწერენ, იშიფრება კიდევ ტექსტი. ამაზეც მპასუხობს, რომ ესეც აღარა გვაქვს. მე ვუთხარი: ბატონო ანზორ, თქვენ გამოცდილი მუშაკი ბრძანდებით და ეგეთ რამეს როგორ მეუბნებით-მეთქი. ის აგრძელებს ლაპარაკს: ქალბატონო მარიკა, თქვენ გოგი მაყაშვილს იცნობთ? როგორ არ ვიცნობ-მეთქი, ჩემი ძალიან ახლობელია. მაშინ არა ვარ გათხოვილი, გიორგი მაშინ არის საფრანგეთში. დათო მაისურაძეს იცნობთ? როგორ არ ვიცნობ, გიორგის მეგობარია. დათო ჩემი შვილია. ძალიან სასიამოვნოა-მეთქი, რომ საერთო ნაცნობები გვყავს, მაგრამ ეს არ ცვლის ამ ამბის სიმწვავეს. კარგით-მეთქი, დავემშვიდობე. ბედად გამახსენდა, რომ არსებობს ლევან ურუშაძე, რომელიც ყველაფერს ისმენს, ყველაფრს იწერს. მივმართე ლევანს და ჩემდა საბედნიეროდ აღმოაჩნდა. ზურაბ ჟვანიამ იმ ინტერვიუში თურმე თქვა ღიად, რომ ის მოუწოდებდა ორგანიზაციებს, რომ არანაირი დახმარება საქართველოსთვის არ გაენიათ. ზურაბ ჟვანიას ეს ვოიაჟი საფრანგეთში ჰქონდა დავით ბერძენიშვილთან ერთად. მედეას გამოსვლაში იყო ესეთი სიტყვები, რომ მე არ ვიცი, რა საპატიო მისია ჰქონდათ ამ ბატონებს სხვა, მაგრამ ეს კი ვიცი, რაც იქ შევიტყვე. აღმოჩნდა, რომ ზურაბ ჟვანია თვითონაც ადასტურებს ამას ინტერვიუში. რა თქმა უნდა, მაშინ არ იყო კომპიუტერები და ინფორმაციის გავრცელების ესეთი საშუალებები როგორც დღეს არის, მაგრამ შიკრიკიც არ იყო საჭირო ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე ამბის მისატანად. ესეთ კადნიერებას როგორ იჩენდა, რომ წერილი მიდევეს მე, სადაც ემუქრება, რომ უნდა იჩივლოს სასამართლოში და ამ დროს თურმე ასეთი სამხილი აქვს. მე მივედი ლევანთან და ეს ჩანანერი გამოვართვი. მე გამოვაქვეყნე ზურაბ ჟვანიას წერილი. მე ამას კომენტარი არ დავურთე. ამას დავურთე ინტერვიუ ჯანრი კაშიასი და ზურაბ ჟვანიასი. ეს იყო ამომწურავი პასუხი ყველაფერზე. რაკი მოვაგვარე ეს საკითხი, მაშინვე გავნიე უზენაეს საბჭოსკენ. მრგვალი მაგიდის სხდომა იმართებოდა ამ დროს კინოს სადემონსტრაციო დარბაზში და იქ შევედი. შევედი უკანა მხრიდან. პრეზიდენტში იჯდა მარტო ზვიად გამსახურდია და ქვევით იყვნენ დეპუტატები. მე დავჯექი ბატონი ზვიადის გვერდით და ეს ყველაფერი ვუამბე. ეს ვუამბე იმიტომ, რომ ჯერ ერთი, უნდა სცოდნოდა და მეორეც, ვუთხარი, რომ ბატონო ზვიად, ხომ არ დავწერო მე, როგორ გაისარჯა ამაზე უშიშროების სამსახური. ამაზე მითხრა ცალსახად არა. ეს იყო ის, რაც მაინტერესებდა და ნამოვედი. ამის მერე ძალიან მოკლე ხანში ანზორ მაისურაძე მოხსნეს. როგორ შეიძლებოდა ზვიად გამსახურდიას ჰქონოდა ნდობა იმ უშიშროების სამსახურის, რომელიც იყო მტრული სახელმწიფოს ერთ-ერთი სტრუქტურა. შეუძლებელი იქნებოდა ამ მოკლე ვადაში და ძალიან მძიმე შინა ვითარებაში... მაგრამ ამისდა მიუხედავად,

ზვიად გამსახურდიამ შექმნა სამსახური, სადაც იყო ანალიტიკოსების ჯგუფი, რომელიც იმ საკითხებზე, რაც ქვეყნის უშიშროებასთან არის დაკავშირებული, მუშაობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ან გარდაცვლილი გიორგი გაბაშვილი, რომელიც იყო ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირსეული ადამიანი. ის ამ სამსახურში მუშაობდა. მე არ მომეცა საშუალება და არც ინტერესი იყო ჩემი, რომ უფრო დეტალურად გამეგო, რას საქმიანობდნენ ესენი. მაგრამ ის ფაქტი, რომ გიორგი გაბაშვილი იყო ერთ-ერთი ძალიან მონდომებული ადამიანი, რომელიც მთელ თავის ენერჯიას, ცოდნას და ძალიან დიდ უნარს ამ საქმეს ახმარდა, ეს მრავლის მთქმელია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ანალიტიკოსებს ჰყავდათ ვიღაც შეფი, რომელზეც გიორგიმ მითხრა, რომ, როცა პუტჩი მოხდა რუსეთში, ამან გაამჟღავნა მაშინ თავისი თავი, რომ ის არ არის ერთგული საქართველოსი. ჩვენო რაპორტი დავწერეთ და მივიტანეთ პრეზიდენტთან. „ჩვენ“ ვინ იყო, მე ისიც არ ვიცი, მასთან ერთად ვინ მუშაობდა. მე მთხოვა, რომ იქნებ მიაღვეწოთ თვალი, ამან მიაღწია თუ არა პრეზიდენტამდე. მე არ მომეცა საშუალება, რომ ეს გამერკვია, მაგრამ დიდად არც ვეცადე, ეგეც უნდა ითქვას. იმიტომ, რომ მე თვალნათლივ ვხედავდი იმას, რომ ზვიად გამსახურდიას ირგვლივ ჩანერგილი სხვადასხვა სპეცსამსახურების თანამშრომლები იყვნენ მრავლად. ეს არ იქნებოდა ზვიად გამსახურდიასთვის აღმოჩენა. ეს იყო მისი ცხოვრების თანმხლები წლების მანძილზე და ახერხებდა, რომ ამ ფონზე ის მაინც თავისას აკეთებდა. მე ისიც გამიგია, რომ ბატონ ზვიადს ერჩივნა, რომ მაინც გვერდში ჰყოლოდა ეს ადამიანები, ვიდრე წასულიყვნენ. მაგრამ ესეც უნდა ითქვას აუცილებლად, რომ არასოდეს არ ჰკარგავდა იმედს იმისას, რომ ეს ადამიანები შეიძლებოდა რაღაცა სიკეთისკენ მიქცეულიყვნენ. ერთი სიტყვით, ეს იყო მისი სტილი და ამ სტილით იცხოვრა. ამ სტილით მოიყვანა ეს ქვეყანა იმ კონდიციამდე, რა კონდიციამდეც მოიყვანა. ის უფრო ხელშესახებია თითქოს ეს დამოუკიდებლობის აქტი... საქართველოს შემდგომი სვლები იმ ნაბიჯებს დაეფუძნა, რაც ზვიად გამსახურდიამ განახორციელა, მაგრამ ის სულიერი ღირებულებები, რაც დატოვა... ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ 9 აპრილამდე კონფედერაციულ საწყისებზე საბჭოთა კავშირში ყოფნა, ეს იყო ალბათ მიუღწეველი ოცნება. 9 აპრილის მერე საქართველოს თამასა სულ სხვა ადგილზე გადავიდა, ბევრად უფრო მაღლა აიწია. ის, რაც ჩვენთვის იქნებოდა საკმარისი 9 აპრილამდე და ეროვნული მოძრაობის გაძლიერებამდე, სრულიად არასაკმარისი და სრულიად მიუღებელი გახდა 9 აპრილის მერე. აქ უკვე იყო ლაპარაკი სრულყოფილ თავისუფლებაზე და ქვეყნის და სახელმწიფოს ისეთ კონდიციამდე მიყვანაზე, როგორც უნდა იყოს ყველა სახელმწიფო. ყველა სახელმწიფო ღმერთმა იმისთვის გააჩინა, რომ იმას ჰქონდეს თავისი ღირსეული ადგილი ამ დედამიწაზე ყველა თვალსაზრისით. აქ კიდევ ერთი კითხვა

გაჩნდება: თუ ასე ვართ მოჯარული ამ სპეცსამსახურებით და უკეთურებით, საერთოდ გვაქვს კი შანსი? იმ ეტაპზე ესე დამთავრდა, განვდევენეთ კანონიერი ხელისუფლება. საქართველო ჩვენს თვალწინ დამარცხდა. ისევე, როგორც ყველა ადამიანი, როდესაც რამ ცუდი ემართება, პირველ რიგში მიზეზი უნდა საკუთარ თავში ეძიოს, ასევე ერმაც ყოველთვის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძიოს. როცა რამ ცუდი ხდებოდა, ყოველთვის მიზეზს ქართველი ეძებდა იმ ცოდვებში, რაც ერში დაგროვდა. თუკი რამ შეიძლება ამის საპირნონედ გაკეთდეს, უნდა იმ ცოდვებისგან განიწმინდოს ის ხალხი. ჩვენ დღეს ამ ეტაპზე ვართ. ჩვენ უნდა გავიცნობიეროთ ის, რომ ვერასოდეს გარე ძალა ვერ დაგამარცხებს, შენ თუ შინაგანად არ დამარცხდი. მეტადრე XXI საუკუნეა და ყველაფერი მიდის იმისკენ, რომ გზა ხდება უფრო ვიწრო თავისუფლებისკენ მიმავალი, ყოველგვარი ჭეშმარიტი ფასეულობებისკენ მიმავალი გზა. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ენიჭებათ სწორედ იმ ერებს, რომლებიც თავის გზად ირჩევენ ქრისტეს გზას და არა უკეთურების გზას. ამიტომ ეს თუ არ გახდა ჩვენთვის გზამკვლევი, რომ ჩვენ თვითონ რა ცოდვები მიგვიძღვის იმ ყველაფერში, რაც ჩვენ თავს დაგვატყდა... მაშინ იქნება ჩვენი საშველი.

ნინო თომაძე: მე ერთმა ადამიანმა მითხრა, რომ ამ კაცმა ვერ მოახერხა ერის გაერთიანება. ამაში არის ლოგიკა.

მარიკა აბაიშვილი: მე არა მგონია, რომ ვერ მოახერხა. ის, ვინც გადაამტერა, ის იყო ისევე ჩანერგილი და ის, რასაკვირველია, ფუნქციას ასრულებდა. პოპულარობა კანონიერმა ხელისუფლებამ შეიძინა, როდესაც გამომჟღავნდა, რომ ამას თოფით ებრძვიან. ის ადამიანები, ვინც ჩემთვის იყო უღირსი, ის ხომ ხალხისთვისაც იყო უღირსი. მე, მაგალითად, ძალიან მაღიზიანებდა ის ამბავი, რომ ახალმა მოსულმა დეპუტატებმა ერთგვარად განაგრძეს ის დამკვიდრებული ნომენკლატურული ცხოვრება, რაც იყო დამკვიდრებული კომუნისტების მიერ. ამან ითამაშა როლი იმაში, რომ ხალხს გაუწყდა ერთიანობის განცდა. არადა, უნდა ჰქონოდა ერთიანობის განცდა. ხალხი ყოველთვის ფასეული იყო ზვიად გამსახურდიასთვის.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გინდოდათ რაღაც გეთქვათ საგარეო პოლიტიკაზე.

მარიკა აბაიშვილი: რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას. ითვლება, რომ ძალიან წარმატებული საგარეო პოლიტიკა აქვს საქართველოს დღეს. თუ ადამიანს წამოსცდა კითხვა, რომ რას მოგვიტანს ეს ყველაფერი, ნატო თუ ევროკავშირი, უკვე მოღალატედ არის შერაცხილი. როდესაც ამას ვლაპარაკობ, ჩემი ადრესატები არიან ის ადამიანები, რომლებიც არიან გამზიარებლები ზვიად გამსახურდიას იდეების და რომლებიც თანამებრძოლებიც კი იყვნენ. რაც შეეხება ნატოს. მე ნამდვილად მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ირაკლი წერეთელი იყო ის ადამიანი საქართველოში, რომლისაგან მე პირველად ხმამაღლა მომისმენია და ყველა დაგიდასტურებთ ამას, რომ საქართველოს ხსნა

არის ნატო და ნატოს ჯარების შემოსვლა. მე არასოდეს არ მსმენია, რომ ზვიად გამსახურდიას გაემეორებინოს ეს. რასაკვირველია, მაშინ სხვა ვითარება იყო და საქართველოზე ეკიდა დამოკლეს მახვილივით საბჭოთა კავშირის არსებობის ფაქტი. ამის გამწვავება და ნატოზე ლაპარაკი კიდევ... მაგრამ ის, რაც ამ ადამიანს გულში ედო, ის მაინც გაცხადდა იმ მოკლე პერიოდში, როდესაც აქ კანონიერი ხელისუფლება იყო. არ ვიცი, ცოცხალია თუ არა ისა ქაძოვეი. ეს არის შესანიშნავი ადამიანი, პოლიტპატიმარი, მწერალი, ღრმად განსწავლული ადამიანი, რომელსაც ზვიადი იცნობდა ლაგერებიდან და რაც მთავარია, ეს არის ზვიად გამსახურდიას სულიერი ძმა, ანუ ადამიანი, რომლის მთელი მისწრაფება მდგომარეობს იმაში, რომ თავისი ქვეყანა ნახოს თავისუფალი, რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან თავდახსნილი. უცხოელი სტუმრებიდან ყველაზე პატივდებული იყო ისა ქაძოვეი, რომელიც ჩამოჰყავდა აქ, პატიჟებდა ზვიად გამსახურდია და ეს იყო დემონსტრაცია ამათი ინტერესების თანხვედრის. ეს რაც ხდებოდა მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ამ დროს, როდესაც ხელისუფლება კანონიერი საქართველოში ჯერ კიდევ არსებობდა, მე გავიცანი მერაბ ჩუხუა, გამაცნო გურამ კეკელიამ. გავაკეთე მათთან ინტერვიუ. დაბეჭდილია „თავისუფალ საქართველოში“. ჩუხუა არის ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, კავკასიური ენების შესანიშნავი მცოდნე. ის კავკასიის ავტონომიებთან ურთიერთობაში ეხმარებოდა მაშინდელ ხელისუფლებას და კერძოდ ზვიად გამსახურდიას. ჩუხუაზე მოდიოდა ძალიან დიდი წილი იმ საგარეო პოლიტიკის პერსპექტივისა, რაც უნდა ეწარმოებინა ზვიად გამსახურდიას. დევნილობაში კი მას მოუხდა გროზნოში თავის შეფარება და მას უმასპინძლა ჯოხარ დუდაევი და უმასპინძლა ლირსეულად. მე ვიცი იმ ადამიანებისგან, ვინც მაშინ იყვნენ ზვიად გამსახურდიას გვერდით და ვისაც ჰქონდა უშუალო კავშირი ჯოხართან, რომ ჯოხარ დუდაევის სრული სახეცვლილება მოხდა მაშინ და მოხდა ზვიად გამსახურდიასთან ურთიერთობის დროს, თორემ ჯოხარ დუდაევი ზოგადად იყო, რასაკვირველია, საბჭოთა გენერალი. მექანიზმი, როგორ შეუტრიალდა მას ფასეულობები, არ ვიცი, მაგრამ ეს არის ფაქტი, რომ ჯოხარ დუდაევი გახდა ლიდერი, რომელიც ჩეჩნეთის ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. იქ დევნილობაში ზვიად გამსახურდიამ ჯოხარ დუდაევთან ერთად წამოიწყო... მაშინ გავიგეთ პირველად სახელწოდება მომავალი პოლიტიკური გაერთიანების – კავკასიური ერთობა. ზვიად გამსახურდიამ უკვე მაშინ დაიწყო ამაზე სერიოზული ნაბიჯების გადადგმა და სერიოზული ფიქრი. რა უნდა ყოფილიყო ეს. ამას, სხვათა შორის, აქვს მომავალი, ეს აუცილებლად შედგება. ეს უნდა ყოფილიყო ის, რაც სათაურში დევს, ანუ კავკასიამ თავი უნდა დაიხსნას დამპყრობლისგან – ამ შემთხვევაში ეს არის რუსეთი – და კავკასია საქართველოსთან ერთად უნდა გახდეს ერთი მთლიანი, თავისუფალი ქვეყნების ერთობა. მე მახსოვს, ნაირა გელაშვილს ჰქონდა

იდეა კავკასიური სახლის. მაშინ ზვიად გამსახურდია ამას ძალიან ალ-  
მაცერად უყურებდა და ამბობდა, რომ არ შეიძლება ჰქონდეთ საერ-  
თო სახლი ცალკეულ პერსონებს, რომლებსაც ჯერ საკუთარი სახლი  
არა აქვთ. ჯერ ყველა უნდა იყოს თავისუფალი და მერე უკვე თავის-  
უფალმა ერებმა შეიძლება შექმნან საერთო სახლი. ამ ერთობას აქვს  
დიდი ტრადიცია. ბევრი გიამბობს და ბევრი ნაგვიკითხავს ამის შეს-  
ახებ თუ მხატვრულ ლიტერატურაში, თუ მოგონებებში ცალკეული  
ადამიანების. ბოლოს და ბოლოს ვაჟა ფშაველა ხომ ეს არის. მთავარი  
აქ ის არის, რომ ეს ორთაბრძოლები, ეს დაპირისპირებები ეს არის ძმე-  
ბის ორთაბრძოლა და ძმების დაპირისპირება. ეს იქნება, ყოველთვის  
იქნება შიგნითაც, გარეთაც, მაგრამ ეს არასოდეს არ შეიძლება გახდეს  
ხელისშემშლელი იმისა, რასაც ჰქვია კავკასიური ერთობა. ეს უნდა  
შეიქმნას. შენ არ უნდა იყო დანამატი რაღაც უკვე თავისი გზის მქონე,  
თავისი ტრადიციის მქონე პოლიტიკური გაერთიანების, როგორც  
არის თუნდაც ევროკავშირი და სამხედრო თვალსაზრისით ნატო. იმ-  
იტომ, რომ შენთვის ეს უნდა იყოს ორგანული, შენთვის ეს უნდა იყოს  
ტრადიციული და შენ უნდა შენი გზა ნახო. ეს არამც და არამც არ ნიშ-  
ნავს კონფრონტაციას. თუ ეს ნიშნავს ვინმესთან კონფრონტაციას, ეს  
არის, რა თქმა უნდა, რუსეთთან კონფრონტაცია. იმიტომ, რომ რუსეთს  
კავკასია ხელიდან გაშვებული არა თუ არა ჰყავს, მთელი თავისი სამხ-  
ედრო ძლიერება მიმართა იმისკენ, რომ მოესრო საერთოდ, მინასთან  
გაესწორებინა ჩეჩნეთი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბრძოლა არის  
დამთავრებული, ეს არამც და არამც ამას არ ნიშნავს. თითოეული ჩე-  
ჩენი ამ დაუმარცხებლობის მატარებელი არის სულიერად. თუ ჩვენს  
ქვეყანას მართლა უნერია გადარჩენა, ეს მხოლოდ ამ ფონზე შეიძლება  
მოხდეს. როდესაც დღეს ლაპარაკი არის ნატოზე, ჩვენ ეს უკვე გამო-  
ვიარეთ, ჩვენ უკვე ვიყავით საბჭოთა კავშირში, ეს ჩვენთვის არაორ-  
განული, არაბუნებრივი და კაბალური კავშირები ჩვენ უკვე გვქონდა.  
აი ეს არის ის, რაც უნდა იყოს ღირსეული, ბუნებრივი, ორგანული და  
ტრადიციული. რაც შეეხება ჩუხუას. ჩუხუამ შარშან დაიცვა სადო-  
ქტორი დისერტაცია. მისი თემა არის იბერიულ-კავკასიური ენები.  
ის, რასაც მე ეხლა გელაპარაკებით, ამაზე ჩუხუამ დადო მეცნიერუ-  
ლი საფუძველი იმისა, თუ რა არის საქართველოსთვის და ზოგადად  
კავკასიისთვის ბუნებრივი და ორგანული. ძალიან საინტერესოა მისი  
სადოქტორო დისერტაცია, ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან ღრმა. ეს  
არ არის კეთილი სურვილები, ეს არის მართლა სერიოზული სამეცნიერ-  
ო კვლევა. ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ეროვნული ჩვენი  
ქვეყნისთვის იმიტომ, რომ ეს პირდაპირ მიგანიშნებს, რა არის შენი  
სულიერების, შენი საუკეთესო მისწრაფებების და შენი თვითგანხორ-  
ციელების ალბათ ერთადერთი შესაძლებელი გზა.

ვალერიან ადვაძე

29 აგვისტო, 2007 წელი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვალერიან, ჩვენი მუშაობის უკვე გამომუშავებული წესი ასეთია — თქვენ ძალიან ფართოდ კარგად გიცნობთ თქვენი თაობა, უფროსი თაობა, ცოტა უფრო უმცროსი თაობა, ანუ უკვე ეხლა საშუალო თაობა. თუმცა მე ველარ გავერკვიე იმაში, რომელია საშუალო თაობა, როდიდან იწყება. ახლა მოღვაწეობა 25 წლის შემდგომ უკვე ითვლება, რომ ადამიანი ასაკოვანია და შეიძლება, სამსახურიც ვერ იშოვოს. ერთი სიტყვით, მე მინდა ამ ჩემი მოკლე შესავლით ვთქვა, რომ ასაკის ცნება ეხლა რაღაც სხვაგვარად არის წარმოდგენილი...

ვალერიან ადვაძე: მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში.

ნათელა ვაჩნაძე: ...ამიტომ სრულიად ახალგაზრდა თაობას ალბათ ნაკლები რამ გაეგება თქვენი მოღვაწეობის შესახებ და თუ შეიძლება, მკითხველი საზოგადოებისათვის გვინდა რომ ძალიან მოკლედ გადმოგვცეთ თქვენი ცხოვრების გზა, ანუ თქვენი ბიოგრაფია, მოკლედ, კომპაქტურად, რომ მკითხველმა იცოდეს, ვინ არის ის რესპოდენტი, რომელიც აფასებს გამსახურდიას ხელისუფლების დროს წარმოებულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ვალერიან ადვაძე: მე დავიბადე 1931 წელს ახალციხის რაიონის სოფელ პტენაში. 1948 წელს დავამთავრე ახალქალაქის ქართული პედაგოგიური სასწავლებელი...

ნათელა ვაჩნაძე: სკოლა?

ვალერიან ადვაძე: სკოლა დავამთავრე 5 კლასი სოფელში...

ნათელა ვაჩნაძე: პტენაში იყო სკოლა? ეს საქართველოს ისტორიაც არის და ქართული განათლების ისტორიაც.

ვალერიან ადვაძე: 6-7 კლასი მეზობელ სოფელში ორ კილომეტრში. და მერე ახალქალაქში რომ გადავედი საშუალო სკოლაში, ახალქალაქის ქართული საშუალო სკოლა გადააკეთეს ქართულ პედაგოგიურ სასწავლებლად მასწავლებლების მოსამზადებლად დაწყებითი განათლებისათვის. როცა დავამთავრე ეს სასწავლებელი, გაგვანანილეს სომხურ სოფლებში ქართული ენის მასწავლებლად. მაშინ სომხურ სკოლებში შემოიღეს ქართული ენის სწავლება. ბოგდანოვის რაიონში სოფელ მამზარაში ვიყავი განაწილებული. მერე ხრუშჩოვმა აკრძალა ქართული ენის სწავლება სომხურ სოფლებში, თორემ ეს მაშინ უკვე შემოდებული იყო. მერე უნივერსიტეტში ჩავაბარე ეკონომიკის ფაკულტეტზე. რაკი უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, იქ აღარ წავსულვარ. 1953 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეორიული ჯგუფი იყო პოლიტეკონომიის სპეციალობის. ხუთებზე დავამთავრე, 156 კაცმა დავამთავრეთ. მხოლოდ მე მომცეს რეკომენდაცია

ასპირანტურაში შესასვლელად. 1956 წელს დავამთავრე ასპირანტურა პოლიტეკონომიის სპეციალობით...

ნათელა ვაჩნაძე: ხელმძღვანელი ვინ იყო?

ვალერიან ადვაძე: ხელმძღვანელი იყო ჯერ იოსებ ბაჯაძე, შემდეგ ის გადავიდა გუგუშვილთან განყოფილების გამგედ და ხელმძღვანელი იყო შემდეგ ნიკო ტყეშელაშვილი. მაშინ ფანცხავამ და ტყეშელაშვილმა დოქტურანტურა დაამთავრეს, დაიცვეს და მოსკოვიდან ჩამოვიდნენ. 1957 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. შემდეგ გავიარე ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის — ყველა საფეხური გავიარე უნივერსიტეტში. 1970 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია „საქართველოს მრეწველობის ზრდის ტემპები და სტრუქტურა ომის შემდგომ პერიოდში (1945-70 წლები)“. 1977 წლიდან ვმუშაობდი კათედრის გამგედ, სერგო ბერაძე წავიდა და მე დამიტოვა კათედრა. 1978 წლიდან ვალერიან მელქაძემ დირექტორის მოადგილედ მიმინვია საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის... როგორც თავის მემკვიდრედ, ინსტიტუტის დირექტორად. კათედრის გამგეც ვიყავი და იქაც ვმუშაობდი. 1988 წლიდან მე გავხდი დირექტორი. მელქაძე 1981 წელს გარდაიცვალა, მაგრამ კანდიდ ჩარკვიანი გახდა დირექტორი. 1989 წელს წარმადგინეს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატობაზე. მოსკოვში ვიყავი სამეცნიერო მივლინებაში და კოლექტივმა წარმადგინა. მე მყავდა კონკურენტები, სამი კონკურენტი — ქუთაისიდან მაია კალმახელიძე, ნოდარ ნათაძე, ის წინა საარჩევნო კრებიდან ამოაგდეს სიიდან და გოგიაშვილი, მუშა კაცი იყო რომელიღაც ქარხნის. 23 იანვარს 1989 წლისა წარმადგინეს დეპუტატობის კანდიდატად. 21 თებერვალს შედგა ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება ჩემი, ნათაძის, გოგიაშვილისა და კალმახელიძის მონაწილეობით საქენერგოს კლუბის დარბაზში, კამოს ქუჩაზე. იგი დამთავრდა საარჩევნო სიიდან ნოდარ ნათაძის ამოღებით, რომლის მხარდასაჭერად მოსულმა ხალხმა ქვები დაგვიშინა. შემდეგ გამოსვლები მქონდა წინასაარჩევნო და დეპუტატი გავხდი. 91 დეპუტატი იყო საქართველოდან არჩეული. დეპუტატებიდან მხოლოდ ჩემი გამოსვლები იყო და მთელი საქართველო მიყურებდა, რას ვქადაგებდი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, ბალტიისპირელებს მხარს ვუჭერდი, რომ ეკონომიკური თავისთავადობა მისცემოდათ და საერთოდ მოვუნოდებდი, რომ ეს ეკონომიკური პოლიტიკა, რაც ტარდებოდა, ეს გადაჭარბებული ცენტრალიზმი, უნიტარიზმი, არ შეიძლება, დაიშლება-მეთქი საბჭოთა კავშირი, ვაფრთხილებდი, გორბაჩოვთან უშუალო ურთიერთობა მქონდა და სხვებთანაც

ნათელა ვაჩნაძე: იცნობდით გორბაჩოვს?

ვალერიან ადვაძე: რასაკვირველია, პირადად შეხვედრები მქონდა და ხშირად ვხვდებოთ შესვენების დროს. აფხაზეთის ამბები ჩვენს კისერზე გადავიდა მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: გორბაჩოვს რა პოლიტიკა ჰქონდა?

ვალერიან ადვაძე: გორბაჩოვი ცდილობდა, რომ შეენარჩუნებინა საბჭოთა კავშირი. ჩვენ ვთავაზობდით მამბინ კონფედერაციაზე გადასვლას, ჩვენც და ბალტიისპირელებიც, ძალიან შეთანხმებულად ვმუშაობდით. ბალტიისპირელების იდეა იყო ასეთი, რომ ჯერ მისცემოდა ეკონომიკური თავისთავადობა, გადავსულიყავით თანდათანობით კონფედერაციაზე...

ნათელა ვაჩნაძე: დემოკრატიულად განწყობილი ძალები დამოუკიდებლობაზე არაფერს არ ამბობდნენ?

ვალერიან ადვაძე: როგორ არ ამბობდნენ, უფრო ექსტრემისტულად განწყობილი ძალები მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას, მაგრამ ლაპარაკი იყო ჯერ მხოლოდ ეკონომიკურ თავისთავადობაზე და იქ იყო ჩადებული იდეა, რომ თუ მივიღებდით ეკონომიკურ თავისთავადობას, მერე უნდა ყოფილიყო დამოუკიდებლობა. მე მხარს ვუჭერდი ამას, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ელვისებური დაშლა იქნებოდა კატასტროფა. თუ იქნებოდა კონფედერაცია, 5-7 წელი, თუნდაც 10 წელინადი გაგრძელებულიყო, გარდამავალი პერიოდი იქნებოდა, და ეს 5-7, 10 წელი ისე გაირბენდა უცბათ, რომ სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნისათვის 5-10 წელი არაფერი არ იქნებოდა და სისხლისღვრის, ეკომონიკის მოშლის და კატასტროფის გარეშე მივიდოდით დამოუკიდებლობამდე. ეკონომიკური კავშირები, ეკონომიკური სივრცე, რასაკვირველია, უნდა შეგვენარჩუნებინა, იმიტომ, რომ ეს ჩვენთვის იქნებოდა დარტყმა, თუ ეს დაირღვეოდა და ასეც მოგვივიდა. ეს უნდა გაკეთებულიყო თანდათანობით. მე მალიზიანებდა, მაგალითად, ჩვენი ეროვნული მოღვაწეების... კაკო ბაქრაძესთან ძალიან ვმეგობრობდი, ის დეპუტატი იყო, საბჭოს წევრი იყო... გამოთქმა, რომ სისხლი თუ არ დაიღვარა, დამოუკიდებლობას ვერ მოვიპოვებთ, ეს მე მალიზიანებდა ძალიან. ვისი სისხლი უნდა დაუღვაროს და რად გვინდა სისხლის დაღვრა; და არც იყო საჭირო სისხლის დაღვრა, საბჭოთა კავშირის დაშლა გადაწყვეტილი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი აკაკი აქეთკენ მოუწოდებდა?

ვალერიან ადვაძე: არა, ბატონი აკაკი და მე შეთანხმებულად ვმოქმედებდით და ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირი იშლებოდა. ეს ადრე გვქონდა ლაპარაკი ხოლმე, მარტო ბატონი აკაკი კი არა, სხვები ადრე იძახდნენ ყოველთვის. აქეთ მიდიოდა ეს ამბავი, რომ საბჭოთა კავშირი იშლებოდა. 9 აპრილი რომ არ ყოფილიყო, საბჭოთა კავშირი მაინც იშლებოდა. არავითარი აუცილებლობა არ იყო 9 აპრილის, ვის სჭირდებოდა ეს. საბჭოთა კავშირის დაშლა დაგანწყვეტილი ამბავი იყო. ის, რომ თითქოს 9 აპრილს დაშალეს საბჭოთა კავშირი, ეს ჩვენი ამბიციურობის ბრალია.

ნათელა ვაჩნაძე: ეროვნული მოძრაობა სხვადასხვა რესპუბლიკებში, არა მარტო საქართველოში, არ უწყობდა ხელს საბჭოთა კავშირის დაშლას?

ხალხის განწყობა, საზოგადოებრივი აზრი, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მოშლილობა...

ვალერიან ადვადე: კი, ყველაფერი ეს ხელს უწყობდა. ეკონომიური სიტუაცია იყო მოშლილი, პროდუქტები არ იყო, ჩასაცმელი არ იყო. მე გამოვდიოდი ტრიბუნიდან და ვლაპარაკობდი, მოვუნოდედი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას: Великая страна величайшими природными, человеческими ресурсами, производственным потенциалом и мы покупаем хлеб, еду, одежду у этого т. н. загнивающего капитализма. Надо менять все это. Мы можем создать такую союз, чтобы, не то что уходили, когда Литва ушла, просились наш союз. ეს პირველი მე წამოვაყენე ევროსაბჭოს მიხედვით.

ნინო თომადე: საბოლოოდ ისტორიამ დაამტკიცა, რომ საბაზრო ეკონომიკა უფრო მომგებიანია, ვიდრე სოციალისტური. და სანამ ფორმაცია არ შეიცვლებოდა, რა ეკონომიკაზე იყო ლაპარაკი?

ვალერიან ადვადე: იქ წამოაყენეს სოციალისტური საბაზრო მეურნეობა და მართული საბაზრო მეურნეობა. მე გამოვედი ყრილობაზე და გავაკრიტიკე, რიჟოვი იყო მომხსენებელი — ან არის საბაზრო მეურნეობა, ან არ არის.

ნინო თომადე: ე. ი. თქვენ ეუბნებოდით მათ, რომ საბჭოთა კავშირის პირობებში, საბჭოთა ფორმაციის პირობებში უნდა ყოფილიყო ეკონომიკური კაპიტალისტური მოდელი?

ვალერიან ადვადე: უნდა გადავსულიყავით საბაზრო მეურნეობაზე თანდათან, შეიძლებოდა გადასვლა. კომპარტიის ბოლო ყრილობაზეც ვიყავი დელეგატი და იქაც ეს საკითხები დადგა და იქაც ამას ვამბობდი. შემდეგ უცბათ დაიშალა საბჭოთა კავშირი. რეფორმები, ჩვენთან რომ გატარდა 90-იან წლებში სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით, ეს სრული კატასტროფაა. რეფორმებს ატარებს ჩინეთი თანდათანობით, კი არ დაანგრია ერთბაშად ძველი, თანდათანობით გარდაქმნის, ამონებს, როგორ მუშაობს ეს კანონი, მერე შესწორებები შეაქვს და რაც კარგია და ამართლებს, იმას ნერგავს და ჩვენ ერთბაშად დავანგრეთ. სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, ე. წ. „შოკური თერაპია“, ზუსტად თუ მიჰყვები იმას, რასაც ეგენი გვთავაზობენ და მაგას გაატარებ, მაშინ 2/3 მოსახლეობის ზედმეტი ხდება და ის განწირულია გენოციდისათვის.

ნინო თომადე: საბჭოთა კავშირის ესე უცბათ დაშლას ელოდით თქვენ თუ არ ელოდით?

ვალერიან ადვადე: არ ველოდი ნამდვილად, ესე უცბათ არ ველოდით.

ნინო თომადე: თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ესე უცბათ დაშლა ამ უზარმაზარი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ქვეყნის? ჩვენი ზოგიერთი რესპოდენტი ამბობს, რომ ამერიკას არ უნდოდა საბჭოთა კავშირის დაშლა, ზოგიერთი რესპოდენტი კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ამერიკას უნდოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

ვალერიან ადვაძე: ამერიკას უნდოდა, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის დაშლა და იმას აინტერესებდა, რაც უფრო სწრაფად დაიშლებოდა, მით უკეთესი იყო. ის, რომ ამერიკას დღესაც უნდა რუსეთის დაშლა, ესეც ხომ ცხადია. საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთი უნდა დაშლილიყო და დაიწყო დაშლა, ჩეჩნეთით დაიწყო. არაფერი არ გამოუვიდათ. თვითონ ელცინი ლაპარაკობდა, აიღეთ სუვერენიტეტი რამდენიც შეგიძლიათ, მოუწოდებდა ავტონომიებს. დუდაევმა ერთბაშად აიღო და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მერე მიხვდნენ, რომ წავიდოდა ჯაჭვური რეაქცია და მთელ ჩრდილოკავკასიას მოიცავდა და ტანკებით წავიდა და გაჩერდა ომი. ჩვენ ამ ომში ვიყავით ამერიკის მხარეზე.

ნათელა ვაჩნაძე: „შოკური თერაპია“ ხომ ბატონი ედუარდ შევარდნაძის დროს დაიწყო? ბალცეროვიჩი ამისთვის არ იყო მონვეული?

ვალერიან ადვაძე: ბალცეროვიჩმა წამოიწყო 1989 წელს „შოკური თერაპია“ პოლონეთში...

ნათელა ვაჩნაძე: პოლონეთში რომ მიიღო დადებითი შედეგი, ბატონი ედუარდი მაშინ ბრძანებდა, ამიტომ მოვიწვიე საქართველოშიო.

ვალერიან ადვაძე: „შოკური თერაპია“, როგორც სამედიცინო ტერმინი, ხმარებაში შემოვიდა გასული საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან, როცა შიზოფრენიის მკურნალობა დაიწყო ინსულინ-შოკური და ელექტრო-კრუნჩხვითი თერაპიით. პაციენტი მოჰყავდათ კომატოზურ მდგომარეობამდე. ეკონომიკაში „შოკური თერაპია“ დაკავშირებულია პოლონეთთან, სადაც 1989 წლის შემოდგომიდან დაიწყო ლემეკ ბალცეროვიჩის ეკონომიკური რეფორმა. ეს არის ხალხის დაღუპვა, ეს არ არის გათვალისწინებული მოსახლეობის კეთილდღეობისათვის და მოსახლეობის გადასარჩენად.

ნათელა ვაჩნაძე: აბა რა უნდოდა ლემეკ ბალცეროვიჩს და პოლონეთის ხელისუფლებას, 2/3 მოსახლეობის ამონყვეტა?

ვალერიან ადვაძე: ფაქტიურად. 80 მოსახლეობის გაღატაკდა, როგორც ჩვენთან და დღესაც პოლონეთში შრომისუნარიანი მოსახლეობის 20 პროცენტი უმუშევარია, როცა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრობის ხვედრითი წონა შრომისუნარიან მოსახლეობაში 5-7 პროცენტია. თუ 10 პროცენტამდე ადის, მთავრობებს ამხობენ ასეთ ვითარებაში. ჩვენთან თბილისში ყოველი მეორე უმუშევარია, ეს, როდესაც 2 მილიონი გაიქცა საქართველოდან ამ „შოკური თერაპიის“ წყალობით.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ძირი და ყველაფრის საფუძველი ამ ეკონომიკური უბედურების მაინც არის „შოკური თერაპია“ ჩატარებული ქართული ეკონომიკის მიმართ და ეს უკავშირდება ედუარდ შევარდნაძის სახელს.

ვალერიან ადვაძე: ჩვენთან მაგას უკავშირდება. მე გავაფრთხილე 1995-96 წელს, რომ ამ მეთოდით ეკონომიკის მკურნალობა...

ნათელა ვაჩნაძე: როცა იწყებდნენ, მაშინ თქვენ აქ არ იყავით?

ვალერიან ადვაძე: არა, მე აქ არ ვიყავი, მე მაშინ ელჩი ვიყავი და მერე იმაში ვიყავი Межгосударственный экономический комитет полномочный представитель Грузии.

ნათელა ვაჩნაძე: ეს შევარდნაძის დროს.

ვალერიან ადვაძე: მაგის რეკომენდაციით.

ნათელა ვაჩნაძე: და რატომ არ უდგებდა ყურს თქვენს რეკომენდაციებს, იქ თუ წარგადგინათ?

ვალერიან ადვაძე: ადვაძე, ერთი რიგითი ეკონომისტი, თუნდაც პროფესორი და აგერ საერთაშორისო სავალუთი ფონდი არა მარტო გპირდება, გაძლევს რეკომენდაციებს, რომ შენ ჩაატარო რეფორმა, არამედ თანხებს გაძლევს, კრედიტებს.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია, მაგრამ კრედიტის გამო ხომ არ უნდა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომ შენი ქვეყნის ეკონომიკა დაანგრეო.

ვალერიან ადვაძე: საქმე ისაა, რომ მარტო საქართველო კი არ არის მაგ დღეში...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ჩაატარა ეს რეფორმა, რომელმა ქვეყანამ ჩაატარა?

ვალერიან ადვაძე: მექსიკამ, ბრაზილიამ, ევროპაში დაიწყეს, ჩეხოსლოვაკიაშიც ჰქონდათ შეთავაზება, ბევრმა უარი უთხრა, ბელორუსიამ უარი უთხრა.

ნინო თომაძე: ამათ უკან ვინ დგას, ამერიკა?

ვალერიან ადვაძე: რასაკვირველია, მთავარი ამერიკაა. საერთოდ საკითხი დგას ასე, რომ დედამიწა ველარ კვებას ამ მოსახლეობას და საჭიროა მისი შემცირება. სად უნდა შემცირდეს? ამერიკაში, კანადაში — არა, ევროპაში — არა, ლათინური ამერიკა, აზია, აფრიკა და დსთ-ს სივრცე. რუსეთში უნდა დარჩეს 47 მილიონი ადამიანი, რომელიც საჭიროა რუსურსების ამოსაღებად და ამათ რომ მოემსახუროს.

ვალერიან ადვაძე: რუსეთის ხელისუფლება იქითკენ მიისწრაფვის, რომ ის იყოს მომსახურე პერსონალის ხელისუფლება?

ვალერიან ადვაძე: რუსეთის ხელისუფლებას სწორედ ეგ არ უნდა. ელცინმა რაც გაყიდა და ჩააბარა, პუტინი ალადგენს და ძლიერდება. 1999 წელს, როგორც კი მოვიდა პუტინი ხელისუფლებაში, სავალუთო ფონდთან ურთიერთობა შეწყვიტა, მაგის რეკომენდაციებს ყურს აღარ უგდებს. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მე ხშირად გამოვდიოდი როგორც პროფესორი, როგორც ინსტიტუტის დირექტორი და ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოს, მის მინა-წყალს, მის რესურსებს, მის შრომისუნარიან მოსახლეობას აქვს პირობა იმისა, რომ სწორი ეკონომიკის პირობებში იცხოვროს უკეთესად თუ არა, არც უარესად ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის მოსახლეობასთან შედარებით. ეს დამოკიდებულია, როგორ წარმართავ, როგორ გამოიყენებ, როგორი ეკონომიკური ურთიერთობა გექნება მეზობლებთან, რას აწარმოებ, რას გაიტან, რას შემოიტან. ე. ი. ჩვენ, რაც გაგვაჩნია, ეს სრულიად საკმარისია, რომ უმაღლეს დონეზე ვიცხოვროთ. მაგრამ ის ეკონო-

მიკუური პოლიტიკა, რომელსაც შევარდნაძე ატარებს მისი მოსვლის დღიდან, ეს არის ეკონომიკის დაქცევა. 80 პროცენტი გალატაკდა მოსახლეობის.

1990 წლის 28 ოქტომბერს იყო უზენაესი საბჭოს არჩევნები. რა შეიქმნა საშიში — მე მოხსენებით გამოვედი, როცა დავაარსეთ ჩვენ „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“, ინტელიგენციაც ესწრებოდა, ოპერის თეატრში ჩატარდა...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იყავით სათავეში?

ვალერიან ადვაძე: კი, მე ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: პრეზიდენტი გქონდათ?

ვალერიან ადვაძე: რასაკვირველია, გამგეობა 23 კაცის შემადგენლობით იყო. ჩვენი პარტიის დაფუძნებას საინიციატივო დასის სახელით ხელს აწერდა გრიგოლ აბაშიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ორხელიშვილი, ვალერიან ადვაძე, ალექსანდრე ალექსიძე, ლევან ალექსიძე, რევაზ ამაშუკელი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ არობელიძე, ვალერი ასათიანი, მარიკა ბარათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, მერაბ ბერძენიშვილი, იგორ ბოგომოლოვი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნანი ბრეგვაძე, თენგიზ ბუაჩიძე, ანზორ ბურჯანაძე, ვლადიმერ გაბაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი გეგეჭკორი, ჯიმშერ გიუნაშვილი, რისმაგ გორდეზიანი. 150 კაცმა მოაწერა ხელი. როცა დამთავრდა ეს ყრილობა ავირჩიეთ გამგეობა, რომელშიც შედიოდნენ: ზურაბ აბაშიძე, ვალერიან ადვაძე (თავმჯდომარე), ალექსანდრე ალექსიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, იგორ ბოგომოლოვი, თენგიზ ბუაჩიძე, ოთარ გამყრელიძე, რისმაგ გორდერზიანი (თანათავმჯდომარე), ვახტანგ გურგენიძე, ლაშა თაბუკაშვილი, თეიმურაზ კოპალეიშვილი (მდივანი), რომან მიმინოშვილი (თანათავმჯდომარე), დომენტი მოურავიძე, ბიძინა ნანეიშვილი, თენგიზ ფერაძე, ეთერი ქემერტელიძე, ჯანსუღ ღვინჯილია, ივანე ყიფიანი, თამაზ შავგულიძე, გიორგი ციციშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ვახტანგ ჭიჭინაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ელიზბარ ჯაველიძე.

ნინო თომაძე: ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც თავის დროზე მომხრე იყო შევარდნაძის ჩამოყვანის, ამბობს, ველოდი, შევცდი, ველოდი, შევცდი.

ვალერიან ადვაძე: ზუსტად ასეა.

ნინო თომაძე: როგორ მოახერხა შევარდნაძემ, რომ ეს ამდენი ადამიანი მოატყუა და ყველა შეცდომაში შეიყვანა?

ვალერიან ადვაძე: მოტყუება არ არის, ვერ გეტყვით, რომ მე მოვტყუედი. როცა დამთავრდა გადატრიალება, შევარდნაძესთან მე მქონდა საუბარი. ვფიქრობდი, რომ სიგუა კი არის წესიერი კაცი, მაგრამ კიტოვანი და იოსელიანი რესპუბლიკის ხელმძღვანელად, მაშინ, როდესაც არსებობს პიროვნება — შევარდნაძე, ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს და ამ გადატრიალების შემდეგ და სამოქალაქო ომის შემდეგ საჭიროა

სათავეში ჩაუდგეს ეს პიროვნება, რომელიც საქართველოს გაიყვანს საერთაშორისო დონეზე. ამიტომ, ძალაუნებურად, როგორ შეიძლება და ასეთი პიროვნება მჯდარიყო მოსკოვში, როდესაც ქვეყანას სჭირდებოდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გამოცდილებაც ჰქონდა და საერთაშორისო აღიარება და ყოფილიყო კიტოვანი და იოსელიანი ხელისუფლების ხელმძღვანელად, ეს უკვე...

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ როდის უნდა ყოფილიყვნენ კიტოვანი და იოსელიანი ხელმძღვანელები? გზა რომ გაენმინდათ შევარდნაძისთვის, ხომ? უკვე გამზადებულზე ჩამოვიდა შევარდნაძე. ახლა ამ ხალხის პოზიციიდან შევხედოთ. მაშასადამე, თქვენ, ზოგადად, ანუ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს არ უნდა, რომ იყოს გამსახურდიას ხელისუფლება, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ, რომ ეს ხელისუფლება გადაატრიალოთ და აქედან გაყაროთ ესენი და გზა გაუნმინდოთ შევარდნაძეს. კი, გუნებაში ყველა ფიქრობს, რომ შევარდნაძეა საჭირო, მაგრამ შევარდნაძე რომ მოვიდეს, ის ხელისუფლება უნდა ნავიდეს. ვისი ხელით ნავიდა, ეგ არის საინტერესო.

ვალერიან ადვაძე: საერთოდ, გამსახურდია როცა იყო ხელისუფლებაში და მაშინ გვეფიქრა, რომ შევარდნაძე მოსულიყო, მე პირადად აზრად არ მომსვლია. ჯერ ერთი, უზენაესი საბჭოს არჩევნების დროსაც დეპუტატად მე არ გამიშვეს. აღიარებული დეპუტატი ვიყავი საკავშირო, მთელი საქართველო მისმენდა და არჩევნებში მე არ გამიშვეს.

ნინო თომაძე: თქვენ ბრძანეთ, რომ სანამ გადატრიალება არ მომხდა, თქვენ აზრად არ მოგსვლიათ შევარდნაძის ჩამოყვანა, მაგრამ თქვენ გარდა არსებობდა ძალიან დიდი რაოდენობით ხალხი, ზვიადი ეძახდა მათ „ნითელ ინტელიგენციას“, „კრემლის აგენტებს“, ვისაც ის ესეთად თვლიდა და კიდევ სხვა ხალხი არსებობდა, ვისაც ჯერ კიდევ ზვიადის ზეობის დროს ჰქონდა ძალიან დიდი სურვილი შევარდნაძის ჩამოყვანის.

ვალერიან ადვაძე: მე მაგას ვერ გეტყვით, თუმცა მე არ გამოვრიცხავ მაგას, მაგრამ მე მანამდე აზრად არ მომსვლია შევარდნაძის ჩამოყვანა. მე იმას ვგულისხმობ, რომ როდესაც დაემხო და აღმოჩნდნენ სათავეში კიტოვანი და იოსელიანი...

ნათელა ვაჩნაძე: ეს თქვენთვის შეურაცხმყოფელი იყო.

ვალერიან ადვაძე: შეურაცხმყოფელი არ იყო, მაგრამ მე ვთვლიდი, საქართველოს სჭირდებოდა ისეთი პიროვნება, რომელიც გაიყვანდა მას საერთაშორისო დონეზე და ასეთი იყო მსოფლიოში ცნობილი შევარდნაძე.

ნინო თომაძე: არის ასეთი მოსაზრება, რომ სწორედ ამ ხალხის ხელით მოახდინეს გადატრიალება და გამსახურდიას გაძევება საქართველოდან. ბევრი ჯერ კიდევ ძალიან ადრე ოცნებობდა შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანას, ვისაც ძალიან ბევრი პრივილეგია დააკლდა ზვიადის დროს.

ვალერიან ადვაძე: 1991 წელს, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნები დამთავრდა და მე გამოცხადებული ვიყავი „ერის მტრად“ — მთავარი

კონკურენტი მე ვიყავი მისი, 8 პროცენტი მე მივიღე, 87 პროცენტი მან მიიღო, დანარჩენებმა 5-5 პროცენტი, ექვსნი ვიყავით — მე მაშინვე წავედი მოსკოვში, ჯერ კიდევ დეპუტატი ვიყავი და უფლება მქონდა სასტუმროში მეცხოვრა და ვუყურებდი, რა ხდებოდა საქართველოში და მეტი არაფერი. მე მას შემდეგ კიდევ ბევრ რალაცეებში გამოვადექი იქიდან, ბევრი ისეთი საკითხი იყო. ტელეფონითაც ვუკავშირდებოდა გამსახურდიას. მე, პავლოვი, პრემიერ-მინისტრი იყო, და ნაზარბაევი, ვსხედვართ ბუფეტში, ყავას ვსვამთ, ნაზარბაევი მეუბნება: რატომ არ მირეკავს თქვენი გამსახურდია, პური არ გჭირდებათ? როგორც კი დავამთავრეთ, ისინი შევიდნენ სხდომაზე და მე მაშინვე დავუკავშირდი, მობილური ავიღე და დავურეკე. მე ვუთხარი: ბატონო ზვიად, აი ნაზარბაევი ამას მეუბნება, რატომ არ მირეკავს. კარგი, დავურეკავო. მერე დაურეკა, თუ არ დაურეკა, მე აღარ გამიგია. მანამდე, სანამ დავუპირისპირდებოდი პრეზიდენტობაზე, თავისუფლად დავურეკავდი ხოლმე, ინსტიტუტის დირექტორი როცა ვიყავი — ბატონო ზვიად, მე მინდა მოსვლა თქვენთან. ის შეყოვნდებოდა და... სამ საათზე, სამ საათზე მოდიო. მე ეს ყველაფერი მაქვს ჩემს წიგნში.

ნათელა ვაჩნაძე: პირად ურთიერთობებზე ბრძანეთ, ძალიან საინტერესოა. ვალერიან ადვაძე: გეტყვით პირად ურთიერთობებზე. ჯობია, პირდაპირ წიგნიდან წაგიკითხოთ: „ხელისუფლებამ, რომელმაც ქვეყანა სამოქალაქო ომთან მიიყვანა, მე მას ვერ ვუნოდეზ ეროვნულს“. აი აქ დასაბუთებულა „მემორანდუმში“: „ორასი წლის განმავლობაში რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის შემდეგ საქართველოს ეძლეოდა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი. ამ დიადი მიზნის მიღწევა მოითხოვდა ყველა ქართველის, საქართველოს ყველა მცხოვრების გაერთიანებას, ქვეყნის შიგნით თანხმობის დამკვიდრებას. გაზეთ „კაბადონის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, სათაურით „დღემდე გვტკივა ბაზალეთის ტრაგედია“ (1991 წლის 14 მარტი, 11(50)), მის კითხვაზე — თქვენი აზრით, რა უშლის ხელს ჩვენში პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას, კონსოლიდაციას, ვპასუხობდი: საქართველოში პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციას ხელს უშლის ურთიერთუნდობლობა, შეუწყნარებლობა, მოსახლეობის დახარისხება ნამდვილ პატრიოტებად და ცრუ პატრიოტებად, ოფიციალურისაგან განსხვავებული აზრის მქონეთა გამოცხადებად „კრემლის აგენტებად“, „ერის მოლაღატეებად“, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია, ბოლო ხანებში დამკვიდრებული კოლექტიური წერილების პრესაში დაბეჭდვისა და ტელევიზიით კითხვის პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს მასობრივი ფსიქოზის გაღვივებას, მოსახლეობის ერთი ნაწილის ამხედრებას მეორე ნაწილის წინააღმდეგ“... ასე იყო. „...ჩვენს ხალხს დღემდე სტკივა ბაზალეთის ტრაგედია, ამ ტრაგედიისათვის პასუხისმგებელია არა მხოლოდ გიორგი სააკაძე და თეიმურაზ პირველი, არამედ მთელი ქართველი ხალხი, რომელმაც ვერ გამონახა

გზა მათ შორის არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. დღეს ჩვენ ასეთი რამ არ უნდა დაგუშვათ. ვეცადე, ეროვნული შერიგებისათვის მიმეღწია. ვფიქრობდი, მეთქვა დიდი ილიას სიტყვებით: „ქრისტე ღმერთმა მტრის სიყვარული ბრძანა, შენ კი მტერი კი არა, ღვიძლი ძმა ამოგიძულებია, სირცხვილია“. 1991 წლის 22 თებერვალს შევხვდი საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გამსახურდიას წინადადებით, გამოგვეცხადებინა ეროვნული შერიგება. შავნაბადას ტრაგედიის შემდეგ ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილი მზად იყო. მე მისი გამოქვეყნება შევაჩერე. ვთვლიდი, რომ ქვეყნის ხელმძღვანელთან პრესით არ უნდა გველაპარაკა. ვერ გამიგო, თქვენ ბანდიტებს უჭერთ მხარსო, მითხრა. შემდეგ ჩემი საუბარი გამსახურდიასთა გავაგრძელე სიტყვებით: ერთი ადამიანი, როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყოს, იგი მაინც, მისი გონება გარკვეულ ჩარჩოებშია, შეზღუდულია, ყველაფერს ვერ ჩასწვდება. ამავე დროს თქვენს ირგვლივ ერთი და იგივე ადამიანები არიან, რომელთაგანაც ინფორმაციასა და რჩევებს იღებთ. ამის გამო არა ხართ დაზღვეული შეცდომებისაგან. დღეს კი თქვენი შეცდომა საქართველოს შეცდომა იქნება. ხომ არ აჯობებდა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ან პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან (ე. ი. მასთან — ვალერიან ადვაძე) შეგვექმნა მრჩეველთა საბჭო. მასში შეგვეყვანა ერისათვის თავიანთი სიბრძნით ცნობილი ადამიანები, ავტორიტეტები. არ იქნება აუცილებელი, რომ ყოველ დღე ან ყოველ კვირა ეთათბიროთ მათ, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას შეხვდით, მოუსმინეთ, გონებაში გადახარშეთ მოსმენილი და გასათვალისწინებელი გაითვალისწინეთ. ამნაირი მუშაობით ბევრად უფრო დაზღვეული იქნებით შეცდომებისაგან. ჩემი წინადადება, ვგონებ, მოენონა, ასეთი შთაბეჭდილებით წამოვედი მისგან. ასეთნაირად ვცადე ამ არც თუ ორდინალურ, კომუნისტებისა და სუკის მიმართ ბოლმით სავსე სახელმწიფო მართვაში აბსოლუტურად გამოუცდელი ადამიანისათვის ჩამენერგა, რომ ქართველთა შორის ურთიერთმტრობის დრო უკვე წავიდა და ბრძენი მრჩეველების მიჩენით გადამერჩინა ქვეყანა დალუპვისაგან. ცოტა მოგვიანებით, 9 მარტს, ნიმუშად მივანოდე ელცინის მიერ შექმნილი მრჩეველთა საბჭოს 22-კაციანი სია მაშინდელი ცნობილი რუსი ავტორიტეტების შემადგენლობით (იქ იყო პოპოვი, იქ იყო სტოროგოიტოვი — ვალერიან ადვაძე). გამსახურდიამ აღნიშნული საბჭო მაინც არ შექმნა. ცხადია, გონივრული რჩევა მივეცი, მაგრამ გონივრულ მოქმედებას ვერ ვასწავლიდი. ეროვნული შენება არ გამოგვივიდა. სხვა გამოსავალი აღარ დავგვრჩა. აკაკი ბაქრაძემ ტელევიზიით წაიკითხა ინტელიგენციის ზემოაღნიშნული წერილი გამსახურდიას მიმართ. მალე აკაკი ბაქრაძესაც შეუტიეს და საჭირო შეიქმნა მისი დაცვა. 1991 წლის 27 თებერვალს ტელევიზიით ხალხს მივმართეთ...“ აკაკი ბაქრაძესთან შეიძლებოდა საკამათო ყოფილიყო რაიმე? მერე იმათ მიპასუხ-

ეს, მთელი ისტორიაა. „ ... და დღეს — მე ვასკვნი — უკვე ნათელია, რომ ჩვენი ასეთი მოქმედება გაუმართლებელია, ერი განსაცდელშია, კატასტროფის წინაშეა“. მაშასადამე, იძულებული გავხდით, რომ ჩვენ უკვე პრეზიდენტობაზე დავმდგარიყავით, იმიტომ, რომ გადაკეტა ტელევიზიის არხი, განსხვავებული აზრი არ გაიცემოდა და კანონი პრეზიდენტის არჩევნების შესახებ იძლეოდა უფლებას, რომ გამოვსულიყავით და ხალხისათვის გვეთქვა სიმართლე, რომ ეს კურსი დამლუბველი არის ქვეყნისა, რომ ეს სამოქალაქო ომისაკენ მიგვაქანებს. შევარჩიეთ, ერთი კი არ ვყოფილიყავით... ჩვენ ვიცოდით, რომ ვერ გავიმარჯვებდით, ხალხის ფსიქოზი ისე იყო მაგის ირგვლივ ... მაგრამ რაც მეტი ვიქნებოდით, მით უფრო მეტი საეთერო დრო გვექნებოდა, რომ მეტი გვეთქვა ხალხისათვის. ამიტომ იყო ნათაძეც, შენგელაია, კვაჭანტირაძე და მე გავერთიანდით და გამოვდიოდით ოთხნი. მეხუთე იყო ჯიმი მიქელაძე, კომუნისტების წარმომადგენელი, ჩვენ იმასთან არ გვქონდა კავშირი და მეექვსე იყო თვითონ, უფრო სწორედ პირველი, გამსახურდია. მაშინ იყო რომ „ერის მტრად“ გამომაცხადეს იმის გამო, 1990 წელს რომ დამიშინეს ტყვეები სახლში და ლამის... უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ, მერე პრეზიდენტობის არჩევნების წინ...

ნინო თომაძე: ვინ დაგიშინათ?

ვალერიან ადვაძე: დღემდე გაურკვეველია. არც კომუნისტების ხელისუფლებამ და არც ე. წ. ეროვნულმა ხელისუფლებამ არ გამოიკვლია. მერე ამიტომ მოვითხოვეთ, რომ უკვე დაცვა გვყოლოდა პრეზიდენტობის კანდიდატებს, იმიტომ რომ ამათ თავი მოიკლეს, გინდათ ამოგვხოცონო? და წარვადგინეთ, მოვთხოვეთ ჩვენ, როგორც პრეზიდენტობის შტაბიდან, რომ გამოეყოთ. არ გამოეყვეს, არ განიხილეს საკითხი. ამიტომ იძულებული გავხდით, რომ ჩემი მეგობრებისათვის მეთხოვა და გამომიგზავნეს იქიდან ოთხი რუსი. მოსკოვიდან მიიღეთ? და აი მაშინ ატყდა — მტერი ქვეყნიდან აგენტები ჩამოვიდნენ. ეს სუკის აგენტებია და ამიტომ იყო, რომ მერე დამიპატიმრეს ეს „ტელოხრანიტელები“ და გამომაცხადეს „ერის მტრად“. ახლა ამერიკიდან შეიძლება იყოს დამცველები, მაგრამ რუსეთიდან როგორ შეიძლება?!

ნათელა ვაჩნაძე: და ისინი იყვნენ სუკის აგენტები? თუმცა ეს თქვენ საიდან გეცოდინებოდათ.

ვალერიან ადვაძე: ჩემი მეგობარი არის, არკადი მოროშოვი იყო მოსკოვის მილიციის უფროსი. მერე შიმშილობა რომ გამოვაცხადე, თვითონ მოროშოვი ჩამოვიდა და გადაიღო ყველაფერი. ამის შემდეგ იყო, რომ მე იძულებული გავხდით და წავედი მოსკოვში, დეპუტატი ვიყავი და დავრჩი იქ ერთხანს მანამ, სანამ არ მოხდა გადატრიალება. ამ გადატრიალებაში, სიმართლე რომ გითხრათ, არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. აქ რომ ვყოფილიყავი, ალბათ, მეც მივიღებდი მონაწილეობას, ალბათ, მაგრამ მე არ მიმიღია მონაწილეობა რეალურად. გადატრიალება რომ მოხდა, დამთავრდა 12 იანვარს...

ნათელა ვაჩნაძე: 6 იანვარს.

ვალერიან ადვაძე: ... მე ჩამოვედი უკვე იანვრის ბოლოს.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ ჩამოხვედით?

ვალერიან ადვაძე: მერე ჩამოვედი, გადატრიალება რომ დამთავრდა. დაჭერის სიაში ვიყავი მეც ხომ? მეც დამიჭერდა, სიები ხომ ჰქონდა შედგენილი და ამიტომ არ ჩამოვედიო. ჩამოვედი და დავინწყეთ ჩვენი „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ აღდგენა. დავინწყეთ კონფერენციების ჩატარება და მივხვდით, რომ ქვეყანა რა დღეში იყო, ამ სამოქალაქო ომის შემდეგ, ხელისუფლების დამხობის შემდეგ. აი მაშინ დაგვებადა აზრი, რომ მოგვეწვია ავტორიტეტული პიროვნება, მსოფლიო დონის პოლიტიკოსი. სახელმწიფო საბჭო რომ შეიქმნა, მე შემეყვანა მაშინ შევარდნაძემ სახელმწიფო საბჭოში და თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით. მაშინ ესე იყო მუშაობა აღმადგინეს ინსტიტუტის დირექტორად ისევ.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონმა ედუარდმა თუ ისმინა მერე თქვენი კონსულტაციები, როგორც ეკონომისტის, როგორც ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის იგივე „შოკურ თერაპიასთან“ დაკავშირებით? რომ არ მოგისმინათ გამსახურდიამ, ეს გვითხარით. თუ მოგისმინათ შევარდნაძემ?

ვალერიან ადვაძე: ბატონ შევარდნაძეს ჩამოსვლამდეც კი უკვე აშინებდა — შემდეგ რა დასკვნებიც გავაკე — „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირისა“ და ჩემი ავტორიტეტი საერთოდ და ცდილობდა...

ნათელა ვაჩნაძე: როგორც მოქიშპის?

ვალერიან ადვაძე: იქიდან მოდიოდნენ მისი წარმომადგენლები — არ მინდა ყველა გვარი დავასახელო — გავერთიანდეთ, დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანდითო, შევარდნაძე იქნებოდა საპატიო თავმჯდომარე და მე ვიქნებოდი თავმჯდომარე. მე მაშინ არ დავეთანხმე.

ნათელა ვაჩნაძე: შევარდნაძე სად იცხოვრებდა, მოსკოვში?

ვალერიან ადვაძე: არა, თუ ჩამოვიდოდა აქა.

ნათელა ვაჩნაძე: თუ ჩამოვიდოდა აქა, იქნებოდა საპატიო თავმჯდომარე, თქვენ რეალური თავმჯდომარე პარტიის და იქნებოდა დემოკრატიული კავშირი?

ვალერიან ადვაძე: დემოკრატიული პარტია. განცხადებაც გავაკეთეთ, რომ ჩვენ ვუარყოფთ ასეთ გაერთიანებას. გაზეთში გამოაცხადეს, რომ თითქოს გაერთიანება მოხდაო. ასე უნდოდათ, რომ მაინცდამაინც ჩვენი კავშირის ბაზაზე ყოფილიყო მისი ჩამოსვლა.

ნათელა ვაჩნაძე: ვის უნდოდათ?

ვალერიან ადვაძე: თვითონ მას და მის მხარდამჭერებს.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყვნენ მისი მხარდამჭერები?

ვალერიან ადვაძე: ვინც მხარს უჭერდა, ვინც გახარებული შეხვდა.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო, თუ გახსოვთ?

ვალერიან ადვადე: არ გვინდა გვარები. ... მისი ჩამოსვლა გადაწყდა მას შემდეგ, როცა შევხედე რა ვითარებაა და ასეთი ავტორიტეტი აცილებლად იყო საჭირო, ამიტომ დავაყენეთ საკითხი, რომ ჩამოსულიყო. მეც ვმონაწილეობდი ამაში, ტელეფონითაც კი დავუკავშირდი.

ნათელა ვაჩნაძე: რა დროა?

ვალერიან ადვადე: 1992 წელია, ეს არის მარტი. 7 მარტს ჩამოვიდა. 1992 წელს სახელმწიფო საბჭო იყო და არჩევნები რომ ჩატარდა ოქტომბერში პარლამენტისა, მაგან „მშვიდობა“ რომ შექმნა, ჩვენი კავშირი არ გაერთიანდა მაგასთან, არ ვისურვეთ მაგასთან ერთად ბლოკში გამოსვლა. ჩვენი პარტია ცალკე გამოვიდა, კენჭისყრა ცალკე გვექონდა და 5 დეპუტატი გავიდა ჩვენი პარტიიდან.

ნათელა ვაჩნაძე: გახსოვთ ისინი?

ვალერიან ადვადე: მე ვიყავი, რომან მიმინოშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ჭაბუა ამირეჯიბი და ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, რეგიონიდან იყო, საჩხერედან. მასთან სისტემატიური კავშირი მქონდა, ველაპარაკებოდი, მაგრამ მე ვხედავდი, არ მოსწონდა ჩემი მოქმედება და როგორც კი საკითხი დადგა ელჩობისა, იმ წუთში ელჩად გამიშვა.

ნათელა ვაჩნაძე: ელჩი უკვე იყო საჭირო?

ვალერიან ადვადე: კი, დადგა საკითხი ელჩობაზე მაშინათვე. ეს იყო უკვე მარტი...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ვინ შეცვალეთ ელჩის თანამდებობაზე? ვანო ყვა-ვილაშვილი?

ვალერიან ადვადე: პირველი ელჩი მე ვიყავი, მანამდე იყო წარმომადგენელი, წარმომადგენლობა იყო. 1992 წლის 30 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა, იმ წარმომადგენლობის ბაზაზე საქართველოს საელჩოს შექმნის შესახებ და მათში ოფიციალურად, როგორც კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული, მე დამამტკიცეს პირველ ელჩად და მე ჩამოვაყალიბე ფაქტიურად როგორც საელჩო მოსკოვში. ვიყავი — 31 მარტს ჩავედი 1993 წლისა — 1995 წლის იანვრამდე. მე შემცვალა მერე ვაჟა ლორთქიფანიძემ. ე. ი. მაშინვე გამიშვა ელჩად. მან ჩათვალა, რომ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, იმიტომ, რომ მე ყველას ვიცნობდი ზეპირად ჩერნომირდინსაც, ელცინსაც...

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო თქვენი მოშორება. მე ვხვდები ეხლა, მაშინ, შეიძლება, ვერც მიმხვდარიყავი.

ვალერიან ადვადე: მომიშორა, აშკარად მომიშორა და იქაც დიდხანს არ გამაჩნერა. იქაც მიკირკიტებდა და პრინციპში, ისეთი წვრილმანი რალაცეები გამოავლინა, რაც, მოკლედ, ამაზრზენია. მერე, როდესაც გამოჩნდა Межгосударственный экономический комитет, იქ გამიშვა. ფაქტიურად მე მთელ ამ პერიოდში, აქტიურად მოღვაწე ადამიანი, მოვექეცი იზოლაციაში. 1995 წელს შევთავაზე, არ მინდა იქ, დავბრუნდები დეპუტატად

საქართველოს პარლამენტში-მეთქი მაგრამ არც მაშინ არ ისურვა, არც 1999 წელს არ ისურვა ჩემი დაბრუნება პარლამენტში.

ნათელა ვაჩნაძე: სურვილი გქონდათ?

ვალერიან ადვაძე: კი, რასაკვირველია. მე რატომ გამოვდიოდი ფაქტიურად ერთადერთი იმ სესიებზე, იმიტომ, რომ მე, როგორც მეცნიერ-ეკონომისტს, რომელი ეკონომიკაც იხილებოდა, ყველაზე მეტად მე მესმოდა და ყველაზე მეტად ჩემი შეფასებები მიდიოდა. როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო დამოუკიდებელია, პარლამენტი და სხვ., მინდოდა, რასაკვირველია, ჩემი ცოდნა სამშობლოსათვის მომეხმარებინა.

ნათელა ვაჩნაძე: არ მოგეცათ ამის საშუალება.

ვალერიან ადვაძე: არა.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თქვენ რომ მარტო გამსახურდიას არ უნდოდათ, ასე არ გამოდის.

ვალერიან ადვაძე: რასაკვირველია, ჩემი დაბრუნება არაფრით არ უნდოდა. მე ვფიქრობ, რომ ჩემს სამშობლოს აქ უფრო ვჭირდებოდი, როგორც მეცნიერ-ეკონომისტი, ეკონომისტთა საზოგადოების თავმჯდომარე ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ სამშობლოს იქაც გამოადგებოდით, ყველა ქვეყანაში გამოადგება მცოდნე და ნიჭიერი ადამიანი.

ვალერიან ადვაძე: როგორც ჩვენი წარმომადგენელი, ჯერ Межгосударственный экотомический комитет-ში და მერე სნგ-თან ეკონომიკურ ბლოკში, მე ჩემს ფუნქციას ვასრულებდი, თუმცა აქედან მიკირკიტებდნენ ხოლმე და მოითხოვეს, რომ... აქ აიღეს გეზი, რომ რუსეთი ვალიზიანოთ, რამე ჩავარტყათ და არ მოვუწეროთ დოკუმენტებზე ხელი. ისეთი შეთანხმებებიც, რომლებიც მზადდებოდა, რომლებიც ჩვენს ეკონომიკას წაადგებოდა, იმასაც არ აწერდნენ ხელს.

ნათელა ვაჩნაძე: ანტირუსული ძალა იყო შევარდნაძე და მისი გარემოცვა?

ვალერიან ადვაძე: რასაკვირველია, ანტირუსული. სასაცილოა, როცა ფიქრობდნენ, რომ შევარდნაძე რუსეთის აგენტი იყო და საქართველოს დაბრუნება უნდა რუსეთის შემადგენლობაში.

ნათელა ვაჩნაძე: ეს თქვენი აზრი არის.

ვალერიან ადვაძე: ჩემი აზრი კი არა... მაშინ მე გეტყვით, მოგიყვებით ერთ ფაქტს, ბევრს არ ახსოვს ეს. 7 მარტს დაბრუნდა იგი საქართველოში. 15 აპრილს მოიწვია მისი მეგობარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი და იმელის დიდ დარბაზში, მრგვალ დარბაზში შეხვედრა მოვუწყეთ, სავსე იყო. იყვნენ ყველა – საბჭოს წევრები, ყველა, ყველა... მან მიმართა გენშერს სიტყვებით: ორჯერ, 1801 წელს და 1921 წელს თქვენ, დასავლეთი, არ მოგვეხმარეთ და არ გვიხსენით რუსეთისაგან და ეხლა მაინც დაგვეხმარეთ და გვიხსენით მათი კლანჭებისაგანო. შეიძლებოდა, ეს კაცი, ამის მთქმელი რუსეთის აგენტი ყოფილიყო, შეიძლებოდა?

ნინო თომაძე: როგორც ჩანს, შეიძლება.

ვალერიან ადვადე: გამორიცხულია.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ვალერიან ადვადე: მთელ მაგის პერიოდში საქართველო იყო რუსეთთან კონფრონტაციაში. დაიწყო ომი ჩეჩნეთში და იქ ეხმარებოდა ამერიკას.

ნინო თომაძე: და აფხაზეთი რუსეთს ვინ ჩააბარა, შევარდნაძემ არ ჩააბარა, ბატონო ვალერიან? და აფხაზეთის ომში რუსების საქმე არ გააკეთა შევარდნაძემ? შევარდნაძე იმ დონის პოლიტიკოსი იყო, რომ მან გადასარევად იცოდა, რომ აფხაზეთის ომში ებრძოდა რუსეთს და არა აფხაზებს და რომ წააგებდა, ისიც გადასარევად იცოდა.

ვალერიან ადვადე: ელცინიც, შევარდნაძეც და გორბაჩოვიც, ყველა ერთად არის ცრუ-ს აგენტი, მე ამას ხმამაღლა ვლაპარაკობ, რატომ გეცინებათ. ეგენი ერთად აკეთებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საქმეს. თქვენ ამაში ეჭვი გეპარებათ?

ნინო თომაძე: ერთი კითხვა მიჩნდება, ბატონო ვალერიან. ე. ი. ამერიკას აწყობდა, რომ აფხაზეთი საქართველოსთვის წაეგლიჯა და რუსეთისთვის შეერთებინა?

ვალერიან ადვადე: ამერიკას აწყობდა ის, რომ შემდეგ კისერზე ყოფილიყავი ჩამოკიდებული და გვეთხოვა, დაგვეხმარეთ ჩვენ, რომ ეს დავიბრუნოთო. დღემდე მაგას არ შეეძლო ელცინისთვის ეთქვა, რომ დაანებეთ თავი.

ნათელა ვაჩნაძე: მე ბატონ შევარდნაძეზე კი არ ვამბობ – ძალიან გთხოვთ, სწორედ გამიგოთ – რომ ამის აგენტია, თუ იმის აგენტია, ზოგადად ვამბობ. ადამიანი ერთს ამბობს, მეორეს ფიქრობს, მესამეს აკეთებს. მერე რა, რომ მან ასე მიმართა გენშერს. თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, მან ასე მიმართა, მაგრამ, ვთქვათ, იმავე დღეს რუსეთის პრეზიდენტს როგორ მიმართა და რა საიდუმლო წერილი გაუგზავნა და რა როგორ იყო, არაფერი ჩვენ არ ვიცით.

ნინო თომაძე: შევარდნაძემ, ბატონო ვალერიან, ამას წინათ ტელევიზიით ისაუბრა, რომ აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, მე არაფერი არ ვიცოდიო, კიტოვანმა არ დამიჯერა და უჩემოდ შევიდა აფხაზეთშიო. შევარდნაძემ დაბეჭდა ორი უზარმაზარი წიგნი, სადაც სულ ტყუილები უწერია და თქვენ რატომ გგონიათ, რომ მას არ შეეძლო მოეცყუებინა ამხელა აუდიტორია.

ვალერიან ადვადე: ეგ საერთოდ ცრუობს თავიდან ბოლომდე, მაგის ყველა სიტყვა არის სიცრუე. მან „ასავალ-დასავალში“ თქვა, რომ ჩიკვაიძე რასაც წერს, 80 პროცენტი ტყუილიაო. კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ცრუობს, აბრალებს ჩიკვაიძეს, რომ 80 პროცენტი ტყუილიაო. კაცი, რომელიც, გიორგაძის გაქცევის შემდეგ, სულ იძახდა, არც ერთ გამოსვლას არ ტოვებდა, ეს საერთაშორისო ტერორისტი დაგვიბრუნეთო, გამოვიდა და თქვა: მე არასოდეს არ მითქვამს, რომ გიორგაძე ტერორისტიაო. როინ ლიპარტელიანი რომ არის, პრეზიდენტობაზე

რომ იყრიდა კენჭს, იმან თქვა: კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს პრეზიდენტი, რომელიც ამდენს ცრუობდეს, რამდენსაც ცრუობს შევარდნაძეო. ის რას ამბობს, არა აქვს მნიშვნელობა, მე ვამბობ.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ თქვენი აზრი გვაინტერესებს, მაგრამ კარგია, რომ მხარდამჭერებიც გყავთ ამ საქმეში.

ვალერიან ადვაძე: საქმე იმაშია, რომ ეს ასე, მხარდამჭერები რად მინდა, შეხედეთ. ერთ მილიონ სამუშაო ადგილს შეპირდა ქვეყანას, გააკეთა ესა? კიდევ გეტყვით — „2001 წლის 13 აგვისტო. საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძე აცხადებს, რომ მალე საქართველოში აღარ იქნებიან ღარიბები, მაგრამ იქნებიან მდიდარი და ძალიან მდიდარი ადამიანები. ერთი სიტყვით, ხატავს იდილიას, ქვეყნის სურათს, სადაც იქნება ბედნიერი, უშფოთველი ცხოვრება — არკადია. იგულისხმება, რომ გამოჩნდებიან ქართველი ფეოფრასტე, ვირგილიუსი და სხვები, რომლებიც უძღერენ მას ქართულ არკადიას. ესე სულ, სულ მალა და მალა. ამრიგად, მალე (ხაზს ვუსვამ — ვალერიან ადვაძე) საქართველო იქნება ერთადერთი და ამიტომ უნიკალური სახელმწიფო, სადაც არ იქნებიან ღარიბები, ხოლო შევარდნაძე ასეთი სახელმწიფოს პირველი და ალბათ უკანასკნელი პრეზიდენტია, რადგან დღეს ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოებშიც არიან ღარიბები და ისინი მალე ვერ გაქრებიან“... დღეს გადმოსცემდნენ, 17 პროცენტი სიღატაკის ქვემოთ ცხოვრობსო ამერიკის შეერთებულ შტატებში. „... გასაკვირია მხოლოდ ერთადერთი რამე, ეს „მალე“ როდის იქნება. ამის შესახებ პრეზიდენტი დუმს. ჯერ კიდევ ჯორჯ ჰერბერტმა თქვა: “Hell is full of good meaning and wishing” — „ჯოჯოხეთი მოკირწყლულია კეთილი სურვილებით“. ერთი ცხადზე უცხადესია, რაც უფრო უარესდება ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო ძლიერდება პრეზიდენტის „ოპტიმიზმი“. ეს ორი მოვლენა ერთმანეთის უკუპროპორციულია. შევარდნაძის „ოპტიმიზმს“ ადასტურებს გაზეთ „იზვესტიის“ 2001 წლის 8 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი ფრანს-პრესის სააგენტოს მასალა სათაურით: „დემოგრაფიული კატასტროფა“. მისი ქვესათაურია: „ქართველებს აღარ სურთ ცხოვრება თავიანთ ქვეყანაში“. ირკვევა, რომ 90-იან წლებში ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო საქართველო დატოვა ორმა მილიონმა, უმთავრესად 17-38 ასაკის მცხოვრებმა. სიკვდილიანობა აღემატება შობადობას, ახალგაზრდობას არავითარი პერსპექტივა არა აქვს სამშობლოში. ჩვენი პრეზიდენტი არ უსმენს არისტოფანეს: „ნუ კვებავთ სიტყვებით, ნაცვლად პურისა“. „ლამაზი სიცრუე“, უპასუხისმგებლო დაპირებები, გამჭირვალე ფანტაზიები მთელი ათი წლის მანძილზე შევარდნაძის სინონიმებია“.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვალერიან, ეს ძალიან საინტერესოა, მაგრამ მე ისევ ვუბრუნდები მთავარ საკითხს. ეს ძალიან კარგი გადახვევა იყო, ძალიან სასარგებლო ჩვენთვის. ეხლა დავუბრუნდეთ გადატრიალე-

ბას. თქვენ ამ დროს იყავით მოსკოვში, როგორც ბრძანეთ, მოსკოვში ცხოვრობდით, მოსკოვში მოღვაწეობდით...

ვალერიან ადვაძე: კიდევ ერთ ადგილს წაგიკითხავთ. „2003 წლის 13 აგვისტო. საქართველოს პრეზიდენტი მოითხოვს იმ თანამდებობის პირთა გამოქვეყნებას, ვინც გარეულია კონდრაბანდასა და კორუფციაში“. აქ ხუთი დეპუტატი, ადმინისტრაციების მეთაურები და მაღალჩინოსანნი არიან. ეხლა მისი სიტყვებია: „მდგომარეობა, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარს იპარავენ თანამდებობის პირები, დაუშვებელია“ — ბრძანა მან. არავინ არ ჰკითხა მას, მესამედის მოპარვა დასაშვებია?“

ვალერიან ადვაძე: როდესაც მოსკოვიდან თვალყურს ადევნებდით ამ მოვლენებს, რაც ვითარდებოდა საქართველოში — კითხულობდით პრესას, უსმენდით ტელევიზიას, იქ, რა თქმა უნდა, სხვაგვარი ინტერპრეტაცია ექნებოდა მოვლენებს, ბუნებრივია სრულიად. მაინც როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რუსეთის ხელი რამდენად აქტიური იყო ამ საქმეში და რამდენად ასხამდა... მე არ ვამბობ, რომ ყველა იყო კრემლის აგენტი, ყველა იყო ცრუ-ში, ყველა იყო კვბ-ში, მე ამას არ ვამბობ, მაგრამ ვამბობ, რომ ჯერ ადამიანი უნებურად აყვება ფეხის ხმას, არც იცის ბევრი არაფერი, კაცმა რომ თქვას, მაგრამ აი საზოგადოების მოწინავე ნაწილი იქ დგას და ჩემზე რომ არ თქვან, გოიმიანო, ჩამორჩენილია და სოფლელიაო და მაგას არაფერი არ ესმისო და აგერ ასეთი გენიოსები, ნალები საზოგადოება ახლა ამ მოძრაობაშია, გადატრიალებას ახდენს და მოდი, ეხლა ჩვენც დავდგეთო, ასეთი ხალხიც ბევრი იქნებოდა. ამავე დროს ისეთი ხალხიც იქნებოდა, ვინც არც იქ იყო, არც აქ იყო, არსად არ იყო, მაგრამ მნახველისა და მხილველისა და...

ვალერიან ადვაძე: მე ვცხოვრობდი სასტუმრო „მოსკოვი“. ისე, მე ბინა მაქვს ეხლა მოსკოვში...

ნათელა ვაჩნაძე: როგორც დეპუტატს.

ვალერიან ადვაძე: არა. როცა აქედან გავიქეცი, იქ შევექმენი სამშენებლო ფირმა, სახლების რემონტს ვაკეთებდი. ახალ არბატზე არის ერთი სახლი, რომელიც ჩემი ფირმის მიერ გარემონტდა. ერთ-ერთი გავარემონტე, მეტრო „ტრეტიაკოვკასთან“ ახლოს არის, მიგდებული, მიტოვებული სახლი, რომელშიც არავინ არ ცხოვრობდა. რვა ბინის შესაძლებლობა იყო იქ. რვიდან ერთი ბინა ჩემია. ეს შემრჩა ზვიადის წყალობით.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა რა ჰქვია ქუჩას?

ვალერიან ადვაძე: ეხლა არის „მალაია ორდინკა“. ე. ი. მე სასტუმროში ვიყავი და ხანდახან ჩამოდიოდა ხალხი და მიყვებოდნენ. ჩამოვიდა დევნილი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელიც გამოიპარა და რესტორნის ვაგონით ჩამოიყვანეს. იქ იყო ჟურნალისტი აკაკი მიქაძე, იქ იყვნენ გია ჭანტურას ბიჭები და ა. შ. შეხვედრები გვქონდა და ვმსჯელობდით. რუსეთის ხელისუფლებასთან მაშინ რაიმე კავშირი და რუსეთის მონოდება, ასე-

თი რამ არ მახსოვს აბსოლუტურად. რუსეთი რა გავლენას ახდენდა, მე არ ვიცი. ამ გადატრიალებაში ვინ მონაწილეობდა და ვინ ეხმარებოდა ამათ, მე მაშინ აქტიურად არც სიგუასთან, არც იოსელიანთან და არც კიტოვანთან არავითარი ურთიერთობა არ მქონია. მე ერთი რამ ვიცი, რომ კიტოვანი იჯდა იმ მანქანაში ჩემი ინსტიტუტის წინ და ისმენდნენ — რამდენადაც მე მითხრეს, რამდენად მართალია, მე არ ვიცი — ჩემს კაბინეტში, ჩემს შტაბში რა საუბრები მიდიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: როდის იყო ეგ?

ვალერიან ადვაძე: წინასაარჩენო პერიოდში, პრეზიდენტის არჩევნების დროს. ნათელა ვაჩნაძე: მაშინ მას ჯერ არ ჰქონდათ უთანხმოება გამსახურდიასთან.

ვალერიან ადვაძე: არ ჰქონდათ უთანხმოება, ერთად იყვნენ, მერე გაითიშნენ. ამიტომ საერთოდ მე არ მქონდა ურთიერთობა ე. წ. „პუტჩისტებთან“.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ურთიერთობა არ გქონდათ, მაგრამ თეორიულად ხომ უნდა დაუშვათ, რომ რუსეთის ხელი იყო, იმიტომ, რომ სურვილები „პუტჩისტებისა“ და რუსეთის ხელისუფლებისა ალბათ ემთხვევა ერთმანეთს.

ვალერიან ადვაძე: არ ვიცი, რატომ უნდა დამთხვეულიყო. რუსეთს ალბათ აწყობდა, რომ ყოფილიყო ნორმალური ხელისუფლება, რომელსაც ნორმალური ურთიერთობა ექნებოდა რუსეთთან. რაში სჭირდებოდა...

ნათელა ვაჩნაძე: ჯაბა იოსელიანის ხელისუფლებას, თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანის ხელისუფლებას, ამ ტრიუმფირატს ექნებოდა ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან?

ვალერიან ადვაძე: ეს თვითონ მათზეა დამოკიდებული. დღესაც შეიძლება რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს გასაგებია, მაგრამ იქ ხედავთ თქვენ ტენდენციებს კარგი ურთიერთობისა?

ვალერიან ადვაძე: მე ვერ გეტყვით, რა ტენდენციები იყო, მე არ ვიცი, მათ რა ურთიერთობა ჰქონდათ მათ უშუალოდ ხელისუფლებასთან, რა კავშირი ჰქონდათ, რა დახმარება მიიღეს, მიიღეს, თუ არ მიიღეს, მე ეს არ ვიცი. იმიტომ, რომ იქ რუსეთის ხელისუფლებასთან არ მქონდა ურთიერთობა და ამათთან არ მქონდა ურთიერთობა. მე. როცა ჩამოვედი იანვრის ბოლოს, მაშინათვე აღმადგინეს ინსტიტუტის დირექტორად.

ნათელა ვაჩნაძე: მე უფრო ადრე მაინტერესებს, ადრე ვის ხვდებოდით, რა საუბრები იყო, რა გეგმები იყო.

ვალერიან ადვაძე: ადრე რაიმე შეხვედრები, განსაკუთრებით რუსეთის ხელისუფლებასთან, რომ რამენაირად ჩაერიონ საქართველოს ამბებში, არ იყო ნამდვილად. დეპუტატებს, ჩემს კოლეგებს ვხვდებოდი, ვინც იქ იყვნენ და მისამძიმრებდნენ, იცოდნენ, რომ მე დევნილი ვარ, მიბრალებდნენ, იცოდნენ, რომ პრეზიდენტობაზე ვიყარე კენჭი და გამომაძევეს, „ერის მტრად“ გამომაცხადეს და სოლიდარობას მიცხადებდნენ დეპუტატები.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაქვს ასეთი ინფორმაცია, ბატონო ვალერიან. როგორც თვითონ მთხრობელი ბრძანებს, ასპროცენტიანი ინფორმაციაა, რადგან იმავე დარბაზში ვიჯექიო, სადაც ეს კონფერენცია ტარდებოდაო. ვერ ასახელებს, სხვათა შორის, ქალაქს, ერთ-ერთი პატარა ქალაქი მოსკოვის ოლქში. ერთ-ერთ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში — ინსტიტუტის დასახელებაც ვერ მითხრა, ქალმა ჩამოაყალიბა ეს ინსტიტუტი, ქალი იყო მისი დირექტორი და სათავეში ის ედგა — იყო ახალგაზრდული ფრთა და ამ ახალგაზრდულმა ფრთამ, დირექციის, რასაკვირველია, მხარდაჭერით ხელი შეუწყო ამ კონფერენციის ჩატარებას. ამ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ბატონი გენადი ბურბულისი და მოხსენება წაიკითხა. ზუსტად ვერ გეტყვით, მოხსენებაში ეწერა ეს თუ ზეპირად განაცხადა და თავი მოიწონა თავისი როლით იმ გადატრიალებაში, რომელიც საქართველოში მოხდა. ეს არის 1995 წელი.

ვალერიან ადვაძე: მაშინ ის იყო სახელმწიფო მდივანი ელცინის მთავრობაში. ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. არც დაუმალავს, ოფიციალურად განაცხადა. ამ კონფერენციაზე ჩვენგანაც ესწრებოდა ხალხი. სრულებითაც არ იყვნენ ესენი ეროვნული ხელისუფლების მომხრე ადამიანები, პირიქით. ისინი იყვნენ ეროვნული ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები. ამათი წყალობით მე მივიღე ასეთი ინფორმაცია.

ვალერიან ადვაძე: ჩვენ შეგვიძლია შევეკითხოთ ბურბულისს.

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა. მე შეკითხვები მოვიტანე და წაგიკითხავთ, ვიდრე მე ამას გავუგზავნი ბურბულისს.

ვალერიან ადვაძე: დამიტოვეთ და გავეცნობი. რამდენი შეკითხვაა კითხვაა? ნათელა ვაჩნაძე: ოთხი შეკითხვაა. წავიკითხოთ და გავაანალიზოთ.

1. На сколько мне известно, 1995 году вы выступили с докладом в одном из подмосковных городов на научной молодежной конференции. Расскажите, пожалуйста, где это происходило и в чем заключается смысл вашего доклада? Проявили ли вы, на самом деле, ваше отношение к перевороту в Грузии, который имел место с 22 декабря 1991 по 6 января 1992 года. Метყვის, или имел, или не имел, აღადგენს მეხსიერებით.

ვალერიან ადვაძე: თუ ჰქონდა, მაშინ რაში გამოიხატებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: რაში გამოიხატებოდა, ამას მიხვდება თვითონ. Вопрос второй: Какое отношение проявлял Борис Николаевич Ельцин к независимости Грузии. Это отношение было однозначным или отношение изменилось по ходу действия посложившийся ситуации. გუშინ ასეთი აზრი მქონდა, დღეს ასეთი აზრი მაქვს, т. е. эволюция взглядов.

Третий вопрос: Были ли противоречия между взглядами Михаила Сергеевича Горбачова и Бориса Николаевича Ельцина по вопросу независимости Грузии и если были такие разногласия, то в чем они заключались.

ვალერიან ადვაძე: ეს ეცოდინება? თუ იცის, იტყვის.

ნათელა ვაჩნაძე: იცის აუცილებლად, ეტყოდა ბორის ნიკოლაევიჩი. ძალიან ახლო მდგომი პირი იყო. Четвертый вопрос: Можно или нет, по вашему мнению, выявить факты участия в перевороте в Грузии проявляющей или ??? СССР, а также РСФСР, если можно, то укажите, пожалуйста, пути и возможности изучение этого участия (идеологическая, военная, финансовая и другого рода поддержка со стороны властей).

ვალერიან ადვაძე: რაც შეუძლია, უნდა გვითხრას.

ნათელა ვაჩნაძე: მე მგონი, ნორმალური შეკითხვებია.

ვალერიან ადვაძე: კი, კი.

ნათელა ვაჩნაძე: მე მგონი არ უნდა ეწყინოს, არც შეურაცხმყოფელი შეკითხვებია. ეცოდინება, მეტყვის, არ ეცოდინება, არ მეტყვის. სურს, დამალოს რაღაცა, ეს მისი ნებაა. თქვენ ხომ არ გქონდათ, ბატონო ვალერიან, რაიმე კონტაქტი ბატონ გურამ მგელაძესთან? ის იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ერთ დროს.

ვალერიან ადვაძე: სხვათა შორის, იმ პერიოდში, როცა ეს ამბები ხდებოდა აქა, ეგ იყო მოსკოვში. ერთხელ ითქვა, რომ — ჩამოვიდნენ აქედან იქ ვიღაც წარმომადგენელი, არ ვიცი, სუკის იყო თუ მილიციის — მე, გურამ მგელაძეს, და კიდევ ვიღაცა გვარი მითხრეს, აღარ მახსოვს, გვეძებდნენ თურმე დასაჭერად.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ ვინ იყო მესამე პიროვნება ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ის იმდენად უშლიდა ხელს და ისეთი კონკურენტი იყო, რომ უნდა დაეჭირათ. ვინ იყო ეს?

ვალერიან ადვაძე: ველარ მოვიგონე, მგელაძე ხომ გითხარით და ის ველარ მოვიგონე. იმ პერიოდში ბევრი ვინმე იყო იქა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გაქვთ რაიმე ცნობა იმის შესახებ. რომ მგელაძე აფინანსებდა „მხედრონს“?

ვალერიან ადვაძე: არავითარი. მაგ თვალსაზრისით, კონკრეტულ-პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით რა კეთდებოდა გამსახურდიას წინააღმდეგ, არც არავის ჩავურთავარ მაგაში და მე თვითონ მაშინ დახმარება მჭირდებოდა, დეპუტატის ხელფასზე ვიყავი და მერე ხომ გადავრჩი საერთოდ.

ნათელა ვაჩნაძე: გაქვთ კიდევ რაიმე საინტერესო, მნიშვნელოვანი სათქმელი?

ვალერიან ადვაძე: სათქმელი ძალიან ბევრია. სხვათა შორის, შევარდნაძემ მითხრა, გაბრაზებული იყო, 1998 წელს რომ მოუწყვეს კიდევ ტერაქტი. 1998 წლის ოქტომბერში კიშინოვში რომ იყვნენ, მე ვუთხარი ელცინსო, თუ არ გინდევართ მე და სხვა პრეზიდენტი გინდათო, მითხარითო, მე გეტყვით კანდიდატურასო. ეგენი, რუსები მიწყობენ მე ტერაქტსო, მეტი არავინო.

ნათელა ვაჩნაძე: რა მიპასუხაო?

ვალერიან ადვაძე: ამდენი აღარ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაინც გადატრიალების თემა მაინტერესებს.

ვალერიან ადვაძე: ის არჩევნები და, საერთოდ, იყო თუ არა ეს დემოკრატიული არჩევნები, მე ეს ეჭვს ქვეშ მყავს დაყენებული.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი ადამიანი, რომელიც იყო დამკვირვებელი ერთ-ერთ საარჩევნო უბანში, თამაზ კვაჭანტირაძის მხრიდან ამბობს, თითქოს იქ წინასწარ იყო ხმები ჩაყრილი გამსახურდიას სასარგებლოდ. გავიდოდა თამაზ კვაჭანტირაძე, როგორ გგონიათ?

ვალერიან ადვაძე: არა, ვერც ერთი ვერ გავიდოდით, ცხადია. თავიდანვე ვიცოდით, რომ ვერ გავიდოდით.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი პროცენტი მიიღო თამაზ კვაჭანტირაძემ, თუ გახსოვთ?

ვალერიან ადვაძე: 40-მდე აიღო, მე მგონია. „შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის დარბევა, უზენაესი სასამართლოს პიკეტირება, ე. ი. სამართალდამცავი ორგანოებისა, რომელსაც უნდა უზრუნველყო სტაბილიზაცია და არჩევნების ნორმალურ ვითარებაში ჩატარება, „მრგვალი მაგიდის“ გარეთ მდგომი პარტიების მომხრე მოსახლეობის შანტაჟი, ავტომატებით შეიარაღებული ჯგუფების თარეში საარჩევნო უბნებში, საუბნო-საარჩევნო კომისიებიდან „არასაიმედოთა“, ისევე როგორც „მრგვალი მაგიდის“ ოპონენტი პარტიების წარმომადგენელთა პირდაპირი გაძევება, ავტომატების გამოყენება გარდა მოსახლეობის დაშინებისა, პოლიტიკური ოპონენტების ბინების დაცხრილვისათვის, პოლიციის მინისტრის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით პრეზიდენტობის კანდიდატის შტაბ-ბინის დარბევა, არჩევნების შედეგების უპრეცედენტო ფალსიფიკაცია, ყოველივე ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ იყო და არ შეიძლებოდა ყოფილიყო დემოკრატიული არჩევნების ატრიბუტი. ადამიანები, რომლებიც ყველაფერს ამას უყურებდნენ, ყველა დონის საარჩევნო კომისიების წევრები, რომელთა თვალწინ ხდებოდა ფალსიფიკაცია, მადლობა ღმერთს, მათი დიდი უმრავლესობა ცოცხალია და მწამს, ახსოვთ. ათი ათასობით ჩვენს მოქალაქეს შეუძლია დაადასტუროს ეს და უფრო ნათელი გახდება, რომ ხმების 87 პროცენტი, რაც თითქოს გამსახურდიამ მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში, არის ბლეფი. ნათქვამიდან გამომდინარე, იბადება ლოგიკური კითხვები, რომლებზეც პასუხი დღესავით ნათელია...“ მაქვს აღწერილი, რა დაღვევები იყო კიდევ. „... შეიძლებოდა კი ანტიდემოკრატიულად ჩატარებული არჩევნებით გვყოლოდა ლეგიტიმური პარლამენტი და პრეზიდენტი? ცხადია, არა. ჰქონდათ თუ არა მათ მორალური უფლება, ემართათ ქვეყანა? ცხადია, არა. აქ შეიძლებოდა დაგვემთავრებინა მსჯელობა, მაგრამ გავაგრძელოთ. დავუშვათ, უმაღლესი საბჭოც და პრეზიდენტიც დემოკრატიულად იყვნენ არჩეულნი და, მაშასადამე, ლეგიტიმურად. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ აკრძალეს განსხვავებული თვალსაზრისი, უმაღლესი საბჭოდან „დემოკრატიულად“ გააძევეს

ოპოზიციური დეპუტატები...“ რა უფლება ჰქონდა დეპუტატების ერთ ნაწილს გაეძევებინა დეპუტატების მეორე ნაწილი, კომუნისტების დეპუტატები რომ გამოყარეს. შეიძლება, რომ თანაბრად არჩეული დეპუტატები – ასი დეპუტატია თუ ორასი, და 150-მა გადაწყვიტოს, რომ ესენი არ ვარგა და 50 დეპუტატი გამოაძევოს პარლამენტიდან. ეს რა დემოკრატიაა, გამაგებინეთ. „ ... გადაკეტეს ინფორმაციის საშუალებები და თავის თანამემამულეთა უდიდეს, ყველაზე მოაზროვნე ნაწილს პირზე კლიტე დაადეს, საქართველო მონყვიტეს გარე სამყაროს, საკუთარ ხალხს ტყვიები დაუშინეს...“ ხომ დაუშინეს სექტემბერში ტყვიები. „ ... თავიან მომხრეებს მოუწოდეს ოპოზიციის წარმომადგენელთა ფიზიკური მოსპობისაკენ...“ მაინც არ იყო ეს რეჟიმი დასამხობი? „ ... მათ ხომ ხალხს სხვა გამოსავალი არ დაუტოვეს, გარდა შეიარაღებული აჯანყებისა. ნათქვამია, როცა ხალხი და მეფე ვერ თანხმდებიან, მაშინ ან მეფემ უნდა გამოცვალოს ხალხი, ან ხალხმა მეფე. პირველი შეუძლებელია, მოხდა მეორე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი რევოლუცია, რომელმაც დაამხო სისხლიანი რეჟიმი საქართველოში, იყო ისტორიულად კანონზომიერი და მორალურად გამართლებული. აქ უპრიანია გავიხსენოთ სიტყვები: „თუ მთავრობა იმდენად უგუნურია, რომ საქმე აჯანყებამდე მიყავს და იგი იმდენად სუსტია, რომ არ შესწევს უნარი მისი ჩახშობისა, აჯანყება ისევე გამართლებულია, როგორც ავადმყოფობა, რომელიც ბუნებისაგან ჩვენთვის მოცემული უკანასკნელი რეზერვია“. უნდა მოვიშველიოთ ლინკოლნიც, რომელიც ლაპარაკობდა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, მაგრამ მისი ნათქვამი მიესადაგება ყველა ქვეყანას, სადაც ხალხის მიერ არჩეული მთავრობაა. „ჩვენი ქვეყანა — ამბობდა იგი — თავისი ყველა ინსტიტუტით ეკუთვნის აქ დასახლებულ ხალხს. თუ ხალხს მოებზრდა არსებული მთავრობა, მას შეუძლია ისარგებლოს თავისი კონსტიტუციური უფლებით და შეცვალოს მისი პოლიტიკა ან გამოიყენოს თავისი რევოლუციური უფლება, რათა შეცვალოს მინისტრების ნაწილი ან მთლიანად დაამხოს მთავრობა“. როგორც პეინი ამბობს, როცა ყველა სხვა დანარჩენი უფლება ფეხქვეშაა გათელილი, აჯანყების უფლება ხდება უდავო. ასე რომ, ხალხს აქვს, თუნდაც ლეგიტიმური, მაგრამ საძულველი მთავრობის რევოლუციურად დამხობის უფლება. სწორედ ასე მოხდა ჩვენში 1992 წლის დასაწყისში, როცა არალეგიტიმური ეროვნული მთავრობა დაამხეს, მისი წარმომადგენელი კი „უგვანო ბრბოსავით განიდევნენ ქვეყნიდან“. ასე მოიპოვა ძალაუფლება ოპოზიციამ. თუმცა საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების სპეციალისტს ჟაკ სეგალის მიაჩნია, რომ ძალაუფლებას არასოდეს მოიპოვენებ, ეს მოწინააღმდეგე კარგავს მას. მართლაც, ეროვნულმა მთავრობა თავისი უგუნური პოლიტიკის შედეგად დაკარგა ძალაუფლება, აქ კი მთავარი ის იყო, რომ მან თავისი ხალხის ნაწილთან, ოპოზიციასთან ვერ გამონახა საერთო ენა, ერი ორად გახლიჩა

და მის მომხრე ნაწილს მოუწოდა ოპოზიციის ფიზიკური მოსპობისაკენ. ეს ასეა, ამას ვერაფერ ვერ უარყოფს. უკ სეგალის აზრს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ 1990 წელს „მრგვალმა მაგიდამ“ კი არ მოიპოვა ძალაუფლება, არამედ კომუნისტებმა დაკარგეს. მაგრამ ეროვნულმა ხელისუფლებამ, სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დაეკარგა ძალაუფლება და ხელისუფლების სათავეში კვლავ დაბრუნებულიყვნენ ყოფილი კომუნისტები.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ არიან კომუნისტები?

ვალერიან ადვაძე: შევარდნაძე და...

ნათელა ვაჩნაძე: ვინც მოიყვანა შევარდნაძე, ისინი არ არიან ყოფილი კომუნისტები. კიტოვანი რა კომუნისტია.

ვალერიან ადვაძე: კვლავ დაბრუნებულიყვნენ კომუნისტები.

ნათელა ვაჩნაძე: კიტოვანმა მოიყვანა და კიტოვანი რა კომუნისტია, ან ჯაბა იოსელიანი რა კომუნისტია.

ვალერიან ადვაძე: „დემოკრატიული არჩევნები, ლეგიტიმური უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში შევიდა სერიოზულად და დიდი ხნით. აი ეს არის ნამდვილი სიბნელე, საღი აზრის შეურაცხყოფა, ჭეშმარიტების ბოროტად დაცინვა. ასე იწერება ისტორია? მართალია ნაპოლეონ I, როცა ამბობს: რა არის ისტორია, თუ არა სიცრუე, რომელსაც ყველა ეთანხმება. მე მაინც არ მინდა ეს დავიჯერო. მიმაჩნია, რომ ისტორიკოსების, პოლიტოლოგების უპირველესი ამოცანაა, მტკიცედ მიჰყვენ ძველ ლათინურ დარიგებას — ისტორიის პირველი წესია, არ დაუშვას სიცრუე და დაამკვიდროს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, ჭეშმარიტება. კერძოდ ის, რომ საქართველოში 1990-1991 წლებში არ ყოფილა დემოკრატიული არჩევნები და, მაშასადამე, არც ლეგიტიმური უმაღლესი საბჭო და პრეზიდენტი. ჭეშმარიტება ყველაზე მაღლა დგას. ამიტომ ისტორია არ უნდა გასცდეს ჭეშმარიტების ზღვარს, უთქვამს პლინიუს უმცროსს. ხოლო ქართველი ხალხი, საქართველოს მთელი მოსახლეობა თუ კარგად გაიხსენებს, გაიაზრებს თავის უახლეს ნარსულს, დარწმუნდება, რომ იმ წლებში ჩვენში არავითარი დემოკრატიული არჩევნები არ ყოფილა. ამ ჭეშმარიტების გაგება აუცილებელია მისი გადარჩენისათვის. ამიტომ დგას ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა, მერაბ მამარდაშვილმა რომ თქვა. ამ ნაწილის გამოქვეყნებისთანავე შეძახილები იქნება ოპონენტებისაგან: როგორ, მომდევნო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში არ მოხდებოდა არჩევნების შედეგების ფალსიფიკაცია? ვპასუხობ: ხდებოდა, უფრო მასშტაბურიც. მაგრამ სწორედ „მრგვალმა მაგიდამ“ ჩაუყარა საფუძველი არჩევნების შედეგების გაყალბებას“.

ნათელა ვაჩნაძე: კომუნისტების დროს როგორი არჩევნები იყო, ბატონო ვალერიან?

ვალერიან ადვაძე: აბსოლუტური გაყალბება.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. „მრგვალმა მაგიდამ“ კი არ ჩაუყარა საფუძველი, კომუნისტებმა ჩაუყარეს.

ვალერიან ადვაძე: ის საერთოდ არანაირი არჩევნები არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ხოდა, საფუძვლის ჩამყრელი აღარ გამოდის.

ვალერიან ადვაძე: ე. ნ. დემოკრატიული არჩევნების.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვალერიან, თქვენ ბრძანეთ, მეფე და ხალხი. მეფე და ხალხი, მაგრამ ხალხის რა ნაწილი? ამაზე არის ლაპარაკი. ბატონი სიგუა ბრძანებს, რომ იყო 30 პროცენტი.

ვალერიან ადვაძე: არ ვიცი, რამდენად დათვალეს პროცენტები, მაგრამ მასა თუ არ გამოვიდა ამ ხელისუფლების დასაცავად უფრო მეტი, ვთქვათ, 53 პროცენტი, მაშასადამე, არ თანაუგრძნობდა, მის დაცვას არ თვლიდა აუცილებლად.

ნათელა ვაჩნაძე: ვთქვათ, მინდა დავიცვა ჩემი ხელისუფლება, მაგრამ ჩვენ ყველანი გმირებად არ დავბადებულვართ, ჩვენ გმირები არა ვართ. გმირის იდეალიზაცია იმიტომ ხდება, ის იმიტომ არის იდეალური, რომ იქითკენ მიისწრაფვის საზოგადოება. ყველა რომ იდეალი იყოს, ეს შეუძლებელია. მაშინ იდეალს დაეკარგება თავისი ფასი და მნიშვნელობა. გმირები ყველანი არა ვართ, არსებობს ძალიან დიდ ნაწილში შიშის სინდრომი...

ვალერიან ადვაძე: რასაკვირველია, ამჟამადაც.

ნათელა ვაჩნაძე: ... ყოველთვის, ყველგან, ყველა დროში, ყველა ხელისუფლებაში — მე, როგორც ისტორიკოსი, ამას ვამბობ. ვერ მოსთხოვ ადამიანს, გამოდი და დაიცავი შენი ხელისუფლება. როგორ უნდა დაიცვას ადამიანმა თავისი ხელისუფლება, სახლში სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი ჰყავს, არ უნდა იმას სიკვდილი, ყველა არ მიდის სიკვდილზე, ყველა არ არის შუშანიკი. რომ ვერ დაიცვეს ხელისუფლება, ეს იმის მომასწავებელი და იმის ნიშანი არ არის, რომ არ ჰყავდა მას დამცველები, მე მგონი. მაგრამ ტყვიის ყველას ეშინია, ბატონო ვალერიან. ბერჯერ უთქვამს ჩემთვის ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს: ისე მეშინია, ნათელა, ისე მეშინია, რომ დამიბარონ. ყველაფერზე ხელს მოვანერ, ოღონდ არ ამაძრონ ფრჩხილები, რაზედაც მეტყვიან, იმაზე მოვანერ ხელს. კგბ-ზე რომ იყო ლაპარაკი. არ არის ასეთი მშიშარა ქალბატონი, კაცმა რომ თქვას, მაგრამ ამბობს, რომ არ შემოძლია. როგორ განსხვავდება ის ადამიანების უდიდესი ნაწილისაგან, იცით? უდიდეს ნაწილს დამალვაც უნდა, სიცოცხლეც უნდა, კარგად ყოფნაც უნდა და თან თავი მოაქვს გმირად. ეს ადამიანი კი პირდაპირ ამბობს. ეს უფრო პატიოსანი საქციელია, ჩემი აზრით. უნდოდათ, სურდათ, ვერ გამოვიდნენ, შეეშინდათ, ვერ დაიცვეს, ტყვიის ყველას ეშინია. მე იმაზე მინდა პასუხი გაგცეთ, რომ თუ ჰყავდა დამცველები ხელისუფლებას, რატომ არ გამოვიდნენ. გამოვიდნენ 3 იანვარს. 3 იანვარს ძალიან დიდი მიტინგი იყო. დაიხვრიტა მიტინგი. 22 იანვარი, თებერვალი, სულ დახვრეტები იყო. ამას ყველა ამბობს, პოზიცია, ოპოზიცია, ასახელებენ რაოდენობას, უამრავი გადაღებული ფირია. ამას წინათ

ბატონ თენგიზ სიგუას ინტერვიუში წავიკითხე, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე, ანუ ოფიციალური არხზე, 250 ფილმია და გადმოიღეთ და ნახეთო. ბატონი თენგიზი სხვა აზრით მოუწოდებს, რომ ნახონ, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ, მაგრამ იქ ისიც რომ ჩანს, რამდენი ხალხი გამოდის და რამდენი ხალხი იხვრიტება. ჯერ მარტო სამეგრელო, არა მარტო სამეგრელო, მომხრეები ყველგან, მთელ საქართველოში. არ იყო 87 პროცენტი, კი ბატონო. რამდენი იყო საკმარისი, რომ გასულიყო პრეზიდენტად.

ვალერიან ადვაძე: 51 პროცენტი საკმარისი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: 51-ს მოაგროვებდა? ხომ არ გაყალბდა?

ვალერიან ადვაძე: რასაკვირველია, მეტსაც მოაგროვებდა. მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ არ იყო ეს დემოკრატიული არჩევები, არსი არ იყო. მე ვუთხარი გამსახურდიას, რომ თქვენი ავტორიტეტი არის საქართველოში უპირველესი, თქვენაირი ავტორიტეტი არავის არა აქვს დღეს და ოპოზიციონერები რომ გყავს, შეიძლება არ გჭირდებოდეს ვინმეს რჩევა-დარიგება, მაგრამ დაუძახე მაინც, მოეფერე, მხარზე ხელი მოუთათუნე, ვინ არ ამოგიდგება დღეს-მეთქი მხარში. სანამ დაფუპირისპირდებოდი, მანამდე ვუთხარი, თებერვალში. შემთხვევას ნუ გაუშვებთ-მეთქი, გამოიყენეთ, საბჭოთა კავშირი იშლება.

ნათელა ვაჩნაძე: სხვა წყალქვეშა დინებებიც იყო.

ვალერიან ადვაძე: მას ხელი უნდა შეეწყოს, უნდა მოენახა საერთო ენა ოპოზიციასთან.

ნათელა ვაჩნაძე: დიპლომატია — არ გინდა, მაგრამ გჭირდება და გამოიყენებ, ხისტი პოლიტიკა არავის არ სჭირდებოდა.

ვალერიან ადვაძე: ყველა ამოუდგებოდა მხარში. საბჭოთა კავშირი, გინდა თუ არა, ის იშლებოდა, მაშასადამე, უნდა შეეკრა...

ნათელა ვაჩნაძე: მინდია უგრეხელიძემ უთხარა უზენაესი საბჭოს სხდომაზე, ჩვენ კი წავალთო — კომუნისტების განდევნის საკითხი რომ დადგა — მაგრამ თქვენ ნახავთ, რა მოგივათო.

ვალერიან ადვაძე: ის ისეთ პოლიტიკას ატარებდა, რომ ძალაუნებურად ქმნიდა დაპირისპირებას ქვეყნის შიგნით, ერის შიგნით. მაშინ, როდესაც 200 წლის შემდეგ შესაძლებლობა გეძლევა, რომ აღიდგინო შენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ამ დროს შენ უპირისპირდები და საერთო ენა ვერ გამონახე...

ნათელა ვაჩნაძე: ერთი შეკითხვა მაქვს კიდევ. იარაღის აღებას როგორ უყურებთ? თქვენმა შვილმა რომ ჩემს შვილს ესროლოს...

ვალერიან ადვაძე: არავითარ შემთხვევაში. იარაღი არ უნდა გამხდარიყო იყო საჭირო, არაფრით არ შეიძლებოდა იარაღის გამოყენება. თვითონ ხელისუფლება უნდა მიმხვდარიყო, რომ აქამდე არ უნდა მიეყვანა საქმე. მან თვითონ მიიყვანა იარაღამდე საქმე.

ნათელა ვაჩნაძე: რომ ამარაგებდა ZAKBO, იცით, თქვენ მაშინ აქ არ ბრძანდებოდით.

ვალერიან ადვადე: რა ენაღვლებოდათ იმათ. რატომ მივიყვანეთ იქამდე საქმე, მე, პირველ რიგში, ჩვენ თავს ვაბრალებ. ხომ ვლანძღავთ რუსეთს, ყუმბარა ჩამოაგდო, რაკეტა ჩამოაგდო. ყველაფერს რომ იმათ ვაბრალებთ ჩვენ აღარაფერში არა ვართ დამნაშავე? ნუთუ ყველაფერში რუსეთია დამნაშავე?! მე არ მინდა, რუსეთი ჭირმა წაილოს. რაც იმათ ჩაატარეს, ოქტომბერში დეპორტაცია ეროვნული ნიშნის მიხედვით, ხალხი გამოყარეს და ადამიანები დაიღუპა, როგორ შეიძლება მათი დაცვა, რა სისულელეა. ახლა თვითონ აღიარებენ, ინტერნეტში ვკითხულობ, რომ ეს იყო ჩვენი შეცდომა, რამაც სახელი მთელს მსოფლიოში გაგვიფუჭა, თვითონ აღიარებენ, არ უნდა გაგვეკეთებინაო, მაგრამ ამას აკეთებენ, ტვინი კი არ გააჩნიათ მათ. ჩვენ ხომ უნდა გვქონოდა იმდენი ტვინი, როცა ხელისუფლება ხარ, შენ მეტი მოგეთხოვება. შენ ხომ უნდა გქონდეს იმდენი ტვინი, რომ ისიც შენი შვილია, შენი ძმაა და არ შეიძლება მოიქცე ასე, ტყვიები დაუშინო, დააპატიმრო და მე ვარ და ჩემი ნაბადიო, არ შეიძლება. ჩვენ რასაც გვინდა იმას გავაკეთებთო...

ნათელა ვაჩნაძე: აკაკი ასათიანმა?

ვალერიან ადვადე: ერთ-ერთმა ასე თქვა, ზუსტად არ მახსოვს. აკაკი ასათიანი ჩემს მიმართ ძალიან კეთილგანწყობილი იყო და არაფრით არ უნდოდა, რომ მე გავეთავისუფლებინე ინსტიტუტის დირექტორობიდან გამსახურდიას. ბევრი იომა, მაგრამ მაინც გამათავისუფლეს. ეს ჩვენი უბედურებაა, სიკეთე კი არ არის. 200 წლის შემდეგ ჩვენ გაგვიჩინდა შანსი, ხელისუფლება მოვიპოვეთ და ერთმანეთი დავჭამეთ. აი ეს მიკლავდა გულს.

ნინო თომაძე: მე მაინც ასე მგონია, რომ ძალიან ბევრს პირადი შურიც ჰქონდა, ძალიან ბევრს აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ გაიმარჯვა ამ ადამიანმა.

ვალერიან ადვადე: საქართველო იმართებოდა სამი მანანას მიერ. შეიძლება, მანანა გამსახურდიას მართული ქვეყანა დარჩენლიყო? ზვიადიც განირეს და საქართველოც განირეს მაგათ.

ნინო თომაძე: სამი მანანა ვინ არის?

ვალერიან ადვადე: მანანა ძოძუაშვილი, მანანა არჩვაძე, მისი და და კიდევ ქორიძეს ეძახდნენ. მანანა არჩვაძის მართული ქვეყანა შეიძლებოდა?

ნინო თომაძე: ზვიადისტები ამბობენ, რომ მანანას ხმის არავითარი უფლება არ ჰქონდაო.

ვალერიან ადვადე: მანანა არჩვაძემ დაღუპა ზვიადი. დღესაც დადის და ამ გაუბედურებულ ხალხს დაატარებს აღმა-დაღმა და... კიდევ წაგიკითხავთ ერთ რამეს. „1998 წლის 31 მარტი. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის 7 წლისთავი, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე. ზვიადისტები შეიკრიბნენ ფილარმონიასთან და პოლიციის კორდონებში მომწყვდეულნი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ „უკანონო“ ხელისუ-

ფლებას. ხელისუფლებას კი მიღება აქვს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. საქართველოს პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეაქო ყველა, ვინც მოამზადა და ჩაატარა რეფერენდუმი 1991 წელს, რის შედეგადაც გაირკვა, რომ საქართველოს მოსახლეობის 98 პროცენტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე იყო. შევარდნაძემ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი გამსახურდია გამოაცხადა დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ორგანიზატორად და სულის ჩამდგმელად, რამაც გააკვირვა პრეზიდენტის როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. გახლეჩილი ქართველი ერის გაერთიანებას თავის დამკვიდრებისათვის მთელი ერის ლიდერად შევარდნაძე 1992 წლის მარტიდან, საქართველოში მისი დაბრუნების დღიდან ცდილობს. ერის გაერთიანების იდეა ბრწყინვალეა, განსაკუთრებით „მრგვალი მაგიდის“ მიერ დატოვებული სიძულვილის ფონზე, რაც მან დაამკვიდრა ხელისუფლების სათავეში მისვლამდე, ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს და ე. წ. დაუმორჩილებლობის პერიოდში. მართლაც, ქვეყანაზე სიძულვილი არ მოისპობა სიძულვილით, მხოლოდ სიყვარულით, ეს უძველესი კანონია — ამბობს ბუდა. ეს კიდევ ერთი და, ვგონებ, უკანასკნელი ნაბიჯია შევარდნაძის მცდელობისა, გახლეჩილი ქართველი ერის გაერთიანების იდეის განხორციელების გზაზე და მწამს, კვლავ ამაო. ამაო, რადგან ზვიადისტები ისევე არასოდეს დაუმეგობრდებიან დღევანდელ „უკანონო“ ხელისუფლებას, როგორც არასოდეს დაიჯერებენ საკუთარი კერპის სიკვდილს. დღეიდან მოყოლებული კიდევ 200 წელიწადი რომ იცოცხლონ, მაინც „ზვიადი“, „ზვიადი“, „ზვიადი საქართველოსა“ ძახილით ჩავლენ სამარეში. მათ ერთადერთი მომავალია აქვთ — მათი წარსული. ამიტომ მოითხოვენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას უკან, მომავლისაკენ, რაც წარმოუდგენელია და შეუძლებელია. „ზვიადიზმი“ ნაციონალიზმია. იგი იყო და დღესაც არის დესტრუქციული, დამანგრეველი ძალა და მისი გამოცხადება შემოქმედებით ძალად ნიშნავს ქართველი ხალხის იმ შეგნებული, ინტელექტუალური ნაწილის ბრძოლისათვის ხაზის გადასმას, რასაც იგი ეწეოდა 1988-91 წლებში ამ დესტრუქციული, საქართველოს ეკონომიკისა და ქართველი ხალხის ფსიქიკის დამანგრეველი ძალის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს გაამართლო ეთნოკონფლიქტები შიდა ქართლში, აფხაზეთში, სამოქალაქო ომები, მოიწონო სიძულვილის დანერგვა ქართველსა და არაქართველს შორის, ქართველსა და ქართველს შორის, რასაც მოჰყვა სისხლისღვრა, ოჯახების ნგრევა. ყველაფერი ეს „ზვიადიზმის“ მძვინვარების შედეგია. პატრიოტიზმად „ზვიადიზმის“ გამოცხადება დიდი შეცდომაა. „პატრიოტიზმმა ჩვენ არ უნდა დაგვაბრმავოს, მამულის სიყვარული ნათელი გონების ქმედებაა და არა ბრმა ვნება“ (კარამზინი), რომელიც ანგრევს ყველაფერს. ზვიად გამსახურდია იყო ანტიკომუნისტი, მაგრამ „თავის ხალხზე შეყვარებული დიდი პატრიოტი ის არასოდეს

არ ყოფილა. მას უყვარდა საქართველო, მაგრამ უყვარდა ის საქართველო, რომლის პრეზიდენტიც თვითონ იქნებოდა. სხვა შემთხვევაში, მზად იყო, საქართველო მიწასთან გაესწორებინა“ (ვახტანგ რაზმაძე)...

ნათელა ვაჩნაძე: ეს სიტყვები თქვენ როდის დანერეთ?

ვალერიან ადვაძე: ახლა ჩავუმატე, მის ინტერვიუში იყო.

ნათელა ვაჩნაძე: და ტექსტი როდის არის დანერული?

ვალერიან ადვაძე: 1998 წლის აპრილში. „... სწორედ რომ მიტინგებზე დახილმა — აფხაზები ეს მთებიდან ჩამოთრეული ველური ტომებია, გადაუაროთ აფხაზებს, გავიდეთ ფსოუმდე, ხალხით დატვირთული 200 ავტობუსით გამგზავრება ცხინვალისაკენ „სალაშქროდ“ ლოზუნგით — „გადავუაროთ ოსებს“, ერის ნაღების, ინტელიგენციის უდიდესი უმრავლესობის გამოცხადება სუკის აგენტებად, ერის გათიშვა ორ დაპირისპირებულ ბანაკად და მოწოდება თავისი მომხრე ნაწილისათვის ოპოზიციის ფიზიკური მოსპობისაკენ, ჯოჯოხეთური ქმედება, ჯოჯოხეთური და შთანაფიქრი და ჯოჯოხეთური აღსრულება, ყოველივე ეს გონების შემძვრელი უხამსობა, დანაშაულებრივი სიგიჟე და წარმოუდგენელი სისულელე ის „ბრმა ვნების პატრიოტიზმია, რამაც ყველას ცხოვრებას დაასვა დალი, შექმნა თავზარდამცემი, კომმარული სიტუაცია ქვეყანაში, მიგვიყვანა ეთნოკონფლიქტებთან, სამოქალაქო ომთან, საქართველოს დაცემასთან, მის ფაქტობრივ დაშლასთან, ესაა ის, რაც „ზვიადიზმმა“ გაუკეთა საკუთარ ქვეყანას და ამას შეიძლება პატრიოტიზმი ეწოდოს? საკუთარი ერის მტრობა არ შეიძლება იყოს პატრიოტიზმი. პატრიოტული ლოზუნგი — „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის“ დამლუპველი აღმოჩნდათვით ჩვენთვის, ქართველებისათვის. ესაა ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება და სამართლიანობა ყველაზე მაღლაა, უმაღლესია, რადგან მხოლოდ მათზეა დამოკიდებული სიდიადე ერისა — ამბობს ემილ ზოლა. მანამ, სანამ ქართველი ერი ვერ გაიაზრებს, არ შეიგნებს ამ ჭეშმარიტებას, მას საშველი არ ექნება. ამიტომ დგას ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა, რომლის სასიკეთო მიზნის – ერის გამთლიანების მიღწევა მხოლოდ ჭეშმარიტების გზაზე გადის. სხვა გზა ვერ მიგვიყვანს ტაძართან. აპრილი, 1998 წელი“.

ლია ბერუაშვილი

6 აპრილი, 2008 წელი

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონო ლია, სად დაიბადეთ, რა განათლება მიიღეთ, როდის დაუკავშირდით ეროვნულ მოძრაობას მოკლედ გვითხარით, რომ მკითხველმა წარმოდგენა შეიქმნას მთხრობელის შესახებ.

ლია ბერუაშვილი: დავიბადე 1951 წელს თბილისში. დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი, ვსწავლობდი ასპირანტურაში. დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. ჩემი უშუალო ხელმძღვანელი ვლადიმერ ჭავჭავანიძე გახლდათ საასპირანტო და მანამდეც. ხელოვნული ინტელექტის, ხოლო მერე მანქანურ განყოფილებაში ვიმუშავე. ვიყავი თემების პასუხისმგებელი შემსრულებელი. მათ შორის ორი სახელმწიფო პრემიის მფლობელია თემა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის.

ნათელა ვაჩნაძე: თემები რა იყო?

ლია ბერუაშვილი: ერთ-ერთი, მაგალითად, იყო ცნობიერებასთან დაკავშირებით. ეს საკავშირო თემა გახლდათ, რომელშიაც უამრავი სხვადასხვა პროფილისა და პროფესიის ადამიანი მონაწილეობდა: მათ შორის მეხსიერების ინსტიტუტი იყო, სემიტოლოგები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, საერთოდ ყველა ის, ვინც ხელოვნული ინტელექტის თემაზე მუშაობდა. სხვათა შორის, მსოფლიოში ოთხი კონგრესია ხელოვნული ინტელექტის იმ პერიოდში, 70-იანი წლებია და მეოთხე ჩატარდა თბილისში. ამის მიზეზი ის იყო, რომ სერიოზული კვლევები ტარდებოდა საქართველოში.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო ხელმძღვანელი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სამეცნიერო ხელმძღვანელი? ალბათ მთავრობის კაცი იყო.

ლია ბერუაშვილი: არა, ვლადიმერ ჭავჭავანიძე იყო აქედან სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხელოვნული ინტელექტის მეტრები რუსეთიდან, ისინი ბრძანდებოდნენ. მე, სხვათა შორის, მაშინ საორგანიზაციო კომიტეტში გახლდით სრულიად ახალგაზრდა. ამავე დროს მესამე სამუსიკო სასწავლებელი მაქვს დამთავრებული ვიოლინოს კლასით, უნივერსიტეტის ორკესტრში ვუკრავდი თავის დროზე. ქსენია ჯიქიას სასწავლებელში ვიყავი. ლუარსაბიშვილი იყო ჩემი პირველი პედაგოგი სამუსიკო სასწავლებელში.

ნათელა ვაჩნაძე: რომელ დირიჟორთან გიმუშავიათ?

ლია ბერუაშვილი: ვახტანგ ფალიაშვილი იყო უნივერსიტეტის ძირითადი დირიჟორი, აზმაიფარაშვილთან, როცა იუბილეები იყო, კილაძესთან,

ჯემალ გოკიელთან, ჯანსუღ კახიძესთან. გაერთიანებული ორკესტრები იყო, იქ ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: ეროვნულ მოძრაობაში როგორ აღმოჩნდით?

ლია ბერუაშვილი: სამუსიკო სასწავლებელში როცა ვსწავლობდი, ჩვენთან, ქსენია ჯიქიასთან, განყოფილების გამგე სავალდებულო ფორტეპიანოსი მერაბ კოსტავა იყო. ჩვენი ურთიერთობები იქ დაიწყო. მახსოვს, ტრანსკავკასიურ რკინიგზასთან დაკავშირებით, დავით გარეჯთან დაკავშირებით, ყველა იმ ისტორიებს, რომლებსაც ჰყვებოდნენ, სვეტიცხოვლიდან ხალხის გამოყრასთან დაკავშირებით, მაშინ რომ დაგვევადინებინა და ა. შ., ამის მიმართ შეუძლებელი იყო, ადამიანი გულგრილი ყოფილიყო. რა თვალსაზრისით ვიყავით კიდევ მონაწილეები. ჩვენი ინსტიტუტი მაშინ დახურულ ინსტიტუტად ითვლებოდა. თუ გახსოვთ, სრულიად გახმაურებული ამბავი იყო რობაქიძის ტექსტის გავრცელებასთან დაკავშირებით, სკანდალური ამბავი იყო. მახსოვს, მაშინ ვინც ქსეროქსზე მუშაობდა ის მოხსნეს და გაუშვეს. ცოტა ჩემი ხელი ურევია ამაში. თუ რაიმე იყო ამოსაკრები, ამოსაბეჭდი, გასავრცელებელი, ჩვენს ხელში იყო ტექნიკური საშუალებები და რამდენადაც შეგვეძლო ვეხმარებოდით. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ საშუალო ფენის დიდი ნაწილი იყო მოქცეული მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში და მეტადრე ტექნიკური ინტელიგენცია, როგორც ეძახდნენ. განსაკუთრებით ფიზიკოსები, საოცარი გაქანების ადამიანები იყვნენ...

ნათელა ვაჩნაძე: ვის დაასახელებდით? გია მრეველიშვილს?

ლია ბერუაშვილი: გიას, რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: ის უკვე საშუალო ფენა აღარ არის.

ლია ბერუაშვილი: სხვათა შორის, გადატრიალების მერე ერთ-ერთმა, ვინაც პირველი ინტერვიუ მომცა, ბატონი გია გახლდათ. ...თვითონ უნივერსიტეტშიც ფიზიკოსები, ფიზიკის ინსტიტუტში. ზოგადი განწყობა საერთოდ ამ საშუალო ფენის იყო ულტრანაციონალური არა, ნაციონალური. ყველა მშვენივრად ვხვდებოდა, რომ ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც საქართველოს შეიძლებოდა მოხმარებოდა, არ ხმარდებოდა ამ ქვეყანას. ის დისკრიმინაცია, რასაც ჩვეულებრივ ქართველი მეცნიერები ზოგადად განიცდიდნენ, ყველასთვის ცნობილი იყო. თუმცა ამ დისკრიმინაციაზე დღევანდელი გადასახედიდან ლაპარაკი ცოტა რთული არის. იყვნენ იქ ამორჩეული მეცნიერები, ნომენკლატურასთან დაახლოებულები, რომლებსაც ეძლეოდათ საშუალება საკუთარი ენერჯის რეალიზების.

ნათელა ვაჩნაძე: რეალიზებული ხალხი იყო, ამიტომ გაუჭირდათ მერე უკვე დამოუკიდებელ საქართველოში...

ლია ბერუაშვილი: გეტყვით, რა კონტექსტები იყო მაშინ და ვინ რა პოზიცია დაიკავა.

ნათელა ვაჩნაძე: თუ გნებავთ, სახელებს და გვარებს ნუ იტყვით, თუ ეს თქვენ დისკომფორტს შეგიქმნით.

ლია ბერუაშვილი: არა, არავითარ დისკომფორტს არ მიქმნის. ეს გვარები ზოგადად, პოზიციები ზოგადად ცნობილი იყო. მე, მაგალითად, არ მიმაჩნია, რომ როდესაც რაიმეზე ვსაუბრობთ, იქ განსხვავებული პოზიცია სამტრო პოზიცია არის. ეს იყო ჩვენი მოცემულობა და ამ მოცემულობაში გადაწყვეტილებები უნდა მიგველო. შეიძლება ბუნებითი დეალისტიც ვიყო, მაგრამ სრულიად რეალისტი ვიყავი და რეალობას, მოცემულობას, ყველა იმ პარამეტრს, რასაც რეალობა გვთავაზობდა, ყოველთვის ვცვილობდი, რომ ადამიანურადაც და ფილოსოფიურადაც გამეჩნია ამისათვის ანგარიში. იმიტომ, რომ ეს იყო განსხვავებული აზრი, რომლისთვისაც უნდა მოგესმინა და, სხვა საქმეა, მივიღებდით თუ არა, მაგრამ გაგვეთვალისწინებინა. სწორედ იმ პერიოდში, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა საქართველოში, ანუ საბჭოთა კავშირის იმპერიიდან უმტკივნეულო გამოსვლისა – სხვათა შორის, არავის არ ჰქონდა არავითარი სურვილი, რომ ეს მსხვერპლით ყოფილიყო – ამაში ნამდვილად იღებდა მნიშვნელოვან როლს სწორედ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები. ძალიან კარგად მახსოვს, რომ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა ნებისმიერი პეტიცია, ნებისმიერი განცხადება. ისე ვიყავით ერთმანეთთან დაკავშირებულები, რომ ამ ხელმოწერების შეგროვება იყო ძალიან იოლი. საკმარისი იყო, ეს ვილაცხას ეთავა, გაეკეთებინა, დაეგზავნა და ინსტიტუტებიდან ასობოთ ხელმოწერები მოდიოდა. მათი განწყობა სწორედ ასეთი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო თვალსაზრისით ქართული მეცნიერებათა აკადემია სრულად იყო საბჭოთა კავშირის აკადემიასთან მიბმული და დაფინანსება მოდიოდა იქიდან. მინდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი პირველი განყოფილება, რომელმაც უარი თქვა სამხედრო თემატიკაზე, ჩვენი განყოფილება გახლდათ. აქტიური ინიციატორი მე გახლდით ამისი.

ნათელა ვაჩნაძე: თუ ასეა ეს ყველაფერი და ალბათ ასეა, რადგან ბრძანებთ, მე ეჭვი არ მეპარება, მაშინ რატომ არის ეროვნული ხელისუფლებისადმი სულ მუდამ პრეტენზია წაყენებული, რომ აქ იყვნენ გაუნათლებლები, უკაცრავად, მაგრამ დაუბანლები, დაუვარცხნელები, რომ მათ სუნი ასდით და საშინელებაა ეს, ვერ აიტანდნენ ასეთ ადამიანებს გვერდით და აღმოჩნდა, რომ... ასე არ შეიძლება ერზე და მის წარმომადგენლებზე ლაპარაკი. ერი ის არ არის, რომელიც დაგჭირდება საარჩევნო ყუთთან, მაშინ ერია, მაშინ დაბანილია, მაშინ დავარცხნილია, მაშინ ქართული საზოგადოებაა, ისე ზოგადად დაუბანელი ვილაცხალები, ბრბო. თუ ინსტიტუტები...? თქვენ ხომ მეთანხმებით, რომ ასეთი... თქვენ არ გაგიგიათ ასეთი რამ?

ლია ბერუაშვილი: როგორ არ გამიგია, მაგის მეტს რას ვისმენდი, ამაში ვარსებობდი და ამაში ვიყავი. ეს სტერეოტიპები, რომლებიც მაშინ ვრცელდებოდა... მოგეხსენებათ, გავრცელებას მექანიზმი სჭირდება. ეს ყველას მოუხმენია, მანდ სხვა საქმეა, ვის მიუღია ესეთი შეფასება.

მე არავითარი იმის ილუზია არა მაქვს, რომ ის, რაც ამ ქვეყანაში მოხდა, ერთი პიროვნების ბრალი შეიძლება იყოს. მთელი ეს სცენარი, რაც საქართველოში 90-იან წლებში დატრიალდა, ეს არ იყო უბრალოდ ყველაფერი ის, რაც შემდგომ მოხდა, ცხადად აჩვენებს იმას, რომ ამაში იყო სრულიად სერიოზული სახელმწიფო მექანიზმები ჩართული.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ გვესმოდა ეს?

ლია ბერუაშვილი: რა თქმა უნდა, დიდ ნაწილს ეს ესმოდა. მე მახსოვს, პირველად როცა იყო საუბრები, შეკრებები, მოდით, სუვერენიტეტი ვთქვათ და არა დამოუკიდებლობა. მე მახსოვს მზაობა ადამიანების, ამ ტერმინების მიმართ როგორი იყო. მე ეროვნულ მოძრაობაში და პოლიტიკურ ორგანიზაციაში როგორ მოვედი ეს მინდა ვთქვა. ეს არ იყო ის, რაც მე მინდოდა. ეს იყო ჩემი იძულებითი ნაბიჯი იმიტომ, რომ ორგანიზებულ ბანდიტებს წინააღმდეგობა მხოლოდ ორგანიზებულმა ძალამ შეიძლება გაუწიოს. ამ შეგნებით მივედი საქართველოს ჰელსინკის კავშირში და მივედი მაშინ როდესაც ის იკრიბებოდა და როდესაც ის ფუძნდებოდა. თუმცა მანამდე წმინდა ილია მართლის საზოგადოებისათვის თუ რამე პეტიცია იყო შესაგროვებელი, თუ რამ იყო გასაკეთებელი და დასაბეჭდი, ყოველგვარი ფიქსაციის გარეშე ამ ყველაფერს ისედაც ვაკეთებდი. თუ სადმე რაიმე კეთდებოდა იმისათვის, რაც ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ნანატრ თავისუფლებას, რასაც მართო მე კი არა, მთელი ჩემი ქვეყანა ნატრობდა, ყველგან იქ ვიყავი. არ ყოფილა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მონაწილეც არ ვყოფილვარ. ჩემს გარშემო იყვნენ მოქალაქეობრივად აქტიური ადამიანები. მე, ყოველ შემთხვევაში, ასეთებთან ერთად ვიყავი, იგივე კიბერნეტიკის ინსტიტუტში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ეს ანუხებდათ. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც დგებოდა საკითხი არჩევნებისა, უნდა მიეღო თუ არა ეროვნულ მოძრაობას არჩევნებში მონაწილეობა, რა იქნებოდა, როგორ იქნებოდა, ის მარტის არჩევნები... მოვლენათა რიგი ყოველთვის ინვესს შედეგს. ეს არ იყო ჩვეულებრივი რამ. ის მოვლენები ერთმანეთს არ მიჰყვებოდა შემთხვევით, მათში იყო თავისი ლოგიკა. მახსოვს ის პერიოდი, სრულიად მძიმე მდგომარეობაში იყო თავად ზვიად გამსახურდია იმ სიტუაციაში, როდესაც ჰელსინკის კავშირი უნდა დაფუძნებულიყო. მოგტრიალდი და ვთქვი: ჩვენი ორგანიზაციაში ყოფნა ეხლა არის საჭირო. აქამდე ჩვენ ამ ყველაფერს ვაკეთებდით იმის გარეშე, რომ არ ვიყავით ორგანიზაციის წევრები, მაგრამ ორგანიზებული ძალა თუ არ იქნება, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს ამ ყველაფერს... რა ვუყოთ, ჩვენ ეს არ გვიყვარს ამ ორგანიზაციებში ყოფნა, მაგრამ ეს დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება და მოდით, წავიდეთ. დაახლოებით 25 ადამიანი, მეგობრები წამოვედით. მახსოვს, ლიტერატურის ინსტიტუტში შეკრება იყო, სადაც ჩვეულებრივ წევრებად განწევრიანება ხდებოდა. იქ გვკითხეს, ვის რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა. რა თქმა უნდა, მოვეყვი, რისი გაკეთე-

ბა შემეძლო, რომ შემეძლო ტექნიკასთან მუშაობა, რომ შემეძლო... ის, რაც მიკეთებია. არც მიმექცევია მე ყურადღება, სხვამ მითხრა, რომ – კომისიები იყო ჩამოყალიბებული – შენ კომისიის თავმჯდომარედ ხარ დასახელებული ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ასე მოვხვდი ორგანიზაციაში. მანამდე, გითხარით, რას ვაკეთებდით. მახსოვს, ორგანიზაციაში მოხვედრის დროსაც, მანამდეც, მერეც ძალიან ხშირად იყო შემოთავაზება, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს მიმეღო მონაწილეობა. მე მახსოვს, ვამბობდი: თქვენ პარლამენტის წევრობა გგონიათ, ხელი უნდა აწიო, დანიო, რასაც გეტყვიან, გააკეთო. ურთულესი პერიოდი მოდის საქართველოს ისტორიაში და იქ უნდა იყვნენ ძალიან გონიერი და ძალიან მამაცი ადამიანები და მე მიმაჩნია, რომ ის თვისებები, რაც დღეს პარლამენტარს სჭირდება, არ არის ამდენი. რაც შეეხება ბრბოს. ბრბოსთან დაკავშირებით მახსოვს, ჩეკისტებმა როცა დამიჭირეს და ჩეკას ბუნკერში ვიყავი, პარალელურად იყო ჩემი მეუღლეც დაჭერილი. ჩემი მეუღლე მაშინ ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სასწავლო განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: რა გვარია?

ლია ბერუაშვილი: მაკარ გავრელა. ერთხელ, მახსოვს, ესეთ ისტორიას მიყვებოდა. დაახლოებით ესეთი საუბრები იყო, რომ მაკარ, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და ამ გოგოსთან რა გინდა, ამ სუნიანებთან. მე ამიტომ ვამბობ, რომ ეს სტერეოტიპები დამკვიდრებული არ იყო ვიღაცა ჭიჭიკოს მიერ გავრცელებული სტერეოტიპი.

ნათელა ვაჩნაძე: ეს შემთხვევითი მოვლენა იყო.

ლია ბერუაშვილი: არავითარი შემთხვევითი მოვლენა არ იყო, ეს იყო ჩეკისტების მიერ სპეციალურად დამკვიდრებული სტერეოტიპები. ორი სტერეოტიპი იყო, ძალიან სჭირდებოდა მაშინ საბჭოთა კავშირს. მე იმიტომ ვამბობ ტექნიკურ ინტელიგენციას, ადამიანები, რომლებსაც უფრო ჰქონდათ წიგნთან საქმე, ინფორმაციას იგებდნენ უფრო მეტს საბჭოთა კავშირში კი არა, მსოფლიოში უახლეს ინფორმაციას, მე ვლაპარაკობ ტექნოლოგიების თვალსაზრისით. ინსტიტუტში, რომელშიაც ვმუშაობდი, წიგნი არ იყო ამერიკაში გამოცემული, რომლის თარგმანი ჩვენ მაგიდაზე გვედო. როდესაც ინფორმაცია გაქვს... ნაკლები ინფორმაციის დროს დასკვნების გაკეთება ძნელი არის. ადამიანი, რომელიც სხვა სფეროშია დაკავებული, მას შეიძლებოდა ნაკლები ინფორმაცია ჰქონოდა. ადამიანებს, რომლებიც წიგნთან მუშაობდნენ, მეცნიერებაში მუშაობდნენ, ინფორმაცია მეტი ჰქონდათ ბუნებრივია. ყველაფერი ჩვენი ყურის მოსასმენი არ იყო და ყველაფერს ვერც გავიგებდით, მაგრამ ტენდენციები ჩვენთვის ცნობილი იყო. ცხადი იყო, რომ ეკონომიკური რეფორმის გამო, ფორმაცია უნდა შეცვლილიყო და ეს მონსტრი უნდა დანგრეულიყო, მაგრამ ამ სიტუაციაში შემადგენელ ნაწილებს რა ფუნქციები და რა როლი ექნებოდათ, რჩებოდა თუ არა საბჭოთა კავშირი ერთიანი მექანიზმი,

მონსტრი, იმპერია, ეს არ ჩანდა ესე ღიად. ადამიანები, ვისაც ჰქონდა გავლილი 30-იანი წლები, მათ მეხსიერებაში ეს ხომ უახლესი ისტორია იყო. მათ მშვენივრად იცოდნენ... მე არ დამავინწყდება, ერთ ფრაზას გეტყვით. როდესაც ამ საქმეებში ჩავერთე, მამაშვილურად ბატონი ვოვა მომიტრიალდა და მეუბნება – ეს იყო ასაკში მყოფი ადამიანის, გამოცდილების მქონე ადამიანის... მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი მაშინ – და მითხრა: ჩემო ღია, ეს ყველაფერი იმით დამთავრდება, ვისაც გულში რაიმე უჩხრიალებს ამ ქვეყნისთვის სასიკეთო, სუყველას დაგანყობენ შპალებად. მე ეს ყველაფერი ვნახე, მე ეს ყველაფერი გავიარე. დამიჯერე, ჩემო კარგო, იმას, რასაც მე და შენ ვაკეთებთ, ამ ქვეყანას სჭირდება. შენ, შენი ჭკუით, შენი მეცნიერებით, იმ საქმით, რითაც შეგიძლია ამ ქვეყანას არგო, გაცილებით მეტის გაკეთება შეგიძლია, ვიდრე ესლა ან პოლიტიკურ ორგანიზაციაში მიხვიდე, ან იქ ნახვიდე. გეხვებები, არ ნახვიდე.

ნათელა ვაჩნაძე: აბა ვინ უნდა გააკეთოს ეს საქმე?

ღია ბერუაშვილი: ჩემი პასუხი იყო, რა თქმა უნდა, მადლობა ზრუნვისათვის. მართლა ცუდი სიტუაცია იყო, არ იყო ეს სიცოცხლისათვის უხიფათო. ესლა ვილაცას ეს მაღალი ფრაზა ჰგონია, მაგრამ არ არის ესე, ეს ჩვენ ჩვენი თვალთ ვნახეთ და ეს არ ყოფილა ერთი საუკუნის წინ, ეს რაღაც 15 წლის... რატომ იყო ჩემთვის ადვილი ბატონი ვოვასთვის პასუხი, იცით? ის, რაც ქვეყნის მასშტაბით მოხდა 80-იან წლებში... ჩვენ ხომ გამოგვყარეს კიბერნეტიკის ინსტიტუტიდან, როგორც, პარალელს გავავლებ, სუნიანები, უვიცები, უნიგნურები, აფერისტები...

ნათელა ვაჩნაძე: ეგ დარგი არ იყო საჭირო, ეგ არის მთავარი, დარგს ებრძოდნენ.

ღია ბერუაშვილი: მერე ის დარგი და ეს მონაცემები ისე კარგად გამოიყენა სუყველამ, თქვენი მოწონებული. მარტო დარგს არ ებრძოდნენ, დამიჯერეთ. ეს იყო ინსტიტუტი, რომელშიაც ექიმი, ფსიქოლოგი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ლაზერული კვლევები იყო... ყველას არ ჰყოფნის მომავლის ხედვა, სწორი ხედვა. ერთია, იყო კარგი მეცნიერი, ერთია, იყო წიგნიერი ადამიანი, მეორეა, მოქალაქეობრივ პოზიციას ხედავდე. ეს ხომ არ არის მარტივი და უბრალო რამ. მერე კიბერნეტიკის ინსტიტუტიდან სამი ახალი ინსტიტუტი დაფუძნდა, მაგრამ მისგან აღარაფერი აღარ დარჩა. მე მაშინ ჩემი თვალთ ვუყურე, რა როლი ჰქონდა ყველა იმ ადამიანს... მე ქართველებზე ვლაპარაკობ. ესე ხომ არ არის, რომ მოვიდა რუსი ჩეკისტი და დაგინგრია ინსტიტუტი. ეს ხომ ყველაფერი შენი მეგობრებისა და შენი თანამოძმეების ხელით ხდება, ეს ხომ არ არის ახალი ამბავი, მე ხომ ახალს არაფერს არ ვყვები. ეს მექანიზმი მე მაშინ, ახალგაზრდამ, ჩემი თვალთ ვნახე, როგორ დაიქცა საქმე იმითი, რომ ჩვენს მეგობრებს არ ეყოთ იმისი გონება, რომ ისინი იყვნენ იარაღი სხვის ხელში. ქართული აკადემიის ხელმძღვანელობას არ ეყო გამბედაობა, სიმამაცე, რომ ეს დაეცვა. ამიტომ არ

იყო ჩემთვის რთული ამ ყველაფრის დანახვა, ქვეყნის მასშტაბით რაც ხდებოდა. მიკრო მასშტაბით მე ეს ყველაფერი წლების განმავლობაში... ეს ყველაფერი უშუალოდ მე მეხებოდა, ჩემს მეცნიერულ საქმიანობას ეხებოდა. მახსოვს ადამიანები, განყოფილებაში შემოდოდნენ და ამბობდნენ ფრაზას, დაახლოებით ისეთს, თქვენ რომ ამბობთ: ეს უფიცები, ეს უფიცი ვოვა არ არის ის მეცნიერი, შენ რომ გგონია. პირველი, რაც უნდა გაგიკეთონ, ყველა ის ავტორიტეტი, ყველაფერი ის, რაც ძალიან გიყვარს, რაც ძალიან გიღირს, ის უნდა გაგიუბრალონ და საყველპუროდ გაგიხადონ: ილია ჭავჭავაძე ვინ არის, კარგი რა, აღარ გვინდა ეს ილია. ეს იყო ჩემთვის ძალიან ნათელი. ეს არის ძალიან მოძველებული ფანდი, ეს მექანიზმი, რომ შენ, რაც გეძვირფასება, ან გითხრან, რომ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ან ეს სისულელეა, ან დრომუჭმულია, ან რენეგატი ხარ. სხვათა შორის, მე ძალიან გაგებით ვეკიდებოდი მეცნიერების გაცუცურაკების და ადვილად მოტყუების საქმეს. როგორც წესი, წიგნიერი ადამიანი უამრავ რამეს ფილოსოფიური ეჭვით უდგება. ეს რომ ესე არ იყოს...

ნათელა ვაჩნაძე: ვერ დაგეთანხმებით. ძალიან ბევრი ჭკვიანი, პრაგმატიკოსი ადამიანი იყო მეცნიერებაში, რომელსაც სადავეები ეპყრა და არ უნდოდა ხელიდან გაშვება.

ლია ბერუაშვილი: თქვენვე თქვით, სადავეები ეპყრაო. მე არ ვლაპარაკობ იმ მეცნიერებზე, რომლებიც სამეცნიერო ნომენკლატურის წარმომადგენლები იყვნენ. დამიჯერეთ, მე არა მაქვს სიძულვილი ნომენკლატურის მიმართ. შეუძლებელია, მე ეს მქონდეს, იმიტომ, რომ მეცნიერი ვოვა ჭავჭავანიძე და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეუძლებელია რაიმეთი, როგორც ნომენკლატურის წარმომადგენელი, ჩემთვის კინონობით ფორმაში ყოფილიყო. ამიტომ მე ზოგადად არა ვარ აგრესიული ნომენკლატურის მიმართ, მაგრამ ფილოსოფიური ეჭვი რაიმესი, ეს რომ ასე არ იყოს, ეს არის ცდუნების ის ფორმა, რომელსაც, როგორც წესი, სთავაზობენ ხოლმე ჭკვიან ადამიანებს. სხვა უამრავ რამეზე შეიძლება უარი თქვას, მაგრამ ყველაზე სახიფათო ცდუნება წიგნიერი ადამიანისათვის სწორედ ეს არის. ეს მე რომ ვიცოდი, ჩეკისტებმაც იცოდნენ მშვენივრად. საბჭოთა კავშირის ჩეკაში ისხდნენ ადამიანები, რასაც ვნერდით, ყველაფერს კითხულობდნენ. უამრავლესობას თუკი რამ შეეშალა სტრატეგიული თვალსაზრისით ქვეყნის მიმართ, ამ მექანიზმმა იმუშავა. ვილაცაზე ამან იმუშავა, ვილაცაზე არ იმუშავა, იმიტომ, რომ ეს მას გაცნობიერებული ჰქონდა თუნდაც იმიტომ, რომ ილია უყვარდა. აი ეს ორი საპირწონე იყო ზოგადად მეცნიერულ სფეროში. ნომენკლატურა – არ მინდა ვთქვა, რომ გამყიდველი ნომენკლატურა – რომელიც ამ ცდუნებას წამოეგო, რა თქმა უნდა, მოტივებიც არსებობდა სხვა, მთლად ესე არ არის, როგორც მე ვამბობ. ...მაგას ვყვებოდი, ცოტა შორს წავედი. როცა ამას ეუბნებოდნენ, რომ შენ ჭკვიანი, განათლებული ადამიანი, უზნაძის თეორია შენ რომ იცი, ისე ვინ იცის

ამ ქვეყანაზე, ამ სუნიანებთან, ამ ბრბოსთან რა გინდა. და მახსოვს, პასუხად ჩემმა ქმარმა ძალიან მარტივი მაგალითი გაურჩია. ბრბოს ახასიათებს ინსტიტუტური ქმედება. ცნობილი ინსტიტუტები არსებობს: შიმშილის, სექსუალური მოთხოვნილების, შიშის და ა. შ. ფსიქოლოგი ვარო და აქციაზე წავედიო. ხომ არ ეტყოდა, აქციაზე მინდოდაო. რბილად ესაუბრებოდა, ეს ტექნიკა იყო საუბრის. მივედი იმ აქციაზეო, შევხედეო, იქო პურს არავინ არ ითხოვდაო, ტყვიების სროლა იყოო და მე შემრცხვაო, გაქცევა რომ მინდოდაო და ეს ადამიანები არ გარბოდნენო. რაც შეეხება სექსუალურ ინსტიტუტებს, რაზეა ლაპარაკი, იქიდან მოსულ ადამიანს რაიმეზე ეფიქრაო. ეხლა ამიხსენითო, ადამიანები, რომელთა ქცევაში არც ერთი ინსტიტუტი არ არის, რატომ არის ბრბოო. ეს იყო ძალიან მარტივი პასუხი ჩემს სტერეოტიპზე. ეს სტერეოტიპები იმდენად ვრცელდებოდა, რომ მეცნიერული საუბრები ნაკლებად თუ ვინმეს სჭირდებოდა. ...ასე მოვხვდი პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ასე ვთქვი უარი თავის დროზე პარლამენტის წევრობაზე და მახსოვს, როდესაც უკვე იყო ადგილობრივი არჩევნები, რომლებიც უმნიშვნელოვანესი იყო იმ სიტუაციაში, როგორც არჩევითი ორგანო, ძალიან მეხვეწნენ მაშინ. საკმაოდ ძლიერი იყო მაშინ პარტიული ნომინკლატურა. მერე კი ფინანსური საქმეების გამო შევარდნაძის დროს თუ მანამდე ზუბიტაშვილი დაიჭირეს, მაგრამ საკმაოდ ძლიერი პარტიული კანდიდატები იყვნენ. მახსოვს, ხუთი საათის განმავლობაში მეხვეწებოდნენ, საქმეს არ წყდები, რასაც გინდა იმას აკეთებ, ოღონდ მოგვაგებინე ადგილობრივი არჩევნები. მართლაც ასე იყო, მაქსიმალური ხმების რაოდენობა იყო ბლოკში. ნაძალადევი მქონდა სკოლა დამთავრებული, სასწავლებელი იქ მქონდა, სამი შვილი მყავდა, მეცნიერ-თანამშრომელი ვიყავი, თან ნაცნობების ძალიან ფართო წრე იყო და მაქსიმალური რაოდენობა ხმების სწორედ მე ავკრიფე იქა. ასე მოვხვდი ნაძალადევის საკრებულოში.

ნათელა ვაჩნაძე: მერე რალაც ცუდად წავიდა ამ ადგილობრივი არჩევნების საქმე.

ლია ბერუაშვილი: საარჩევნო სისტემა ასეთი იყო: რაიონები ირჩევდნენ და მერე იკრიბებოდა ქალაქის საკრებულო. ასე მოვხვდი ქალაქის საკრებულოში. საკანონმდებლო ბაზას თუ გადახედავთ იმ პერიოდისას... პასუხად იმ სტერეოტიპზე: ამ უნიგურებმა და სუნიანებმა, ამ გაუნათლებელმა ადამიანებმა. მე არ ვიცი, თუ შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი ლია ანდლულაძე გაუნათლებელი ადამიანია. იმის მერე უფრო განათლებული მინისტრი, მაჩვენონ, ვინ ჰყავდა ხელისუფლებას; თუ ვინმე მეტყვის, რომ მერაბ კიკნაძეს – უზენაესი საბჭოს დროებითი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – ჭკუა აკლია, ან ინტელიგენტი არ არის, ან სუნიანია, კი, ბატონო. უამრავი, ამ სიას უსასრულოდ გავაგრძელებდი: ნემო ბურჭულაძე, კაკო ასათიანს განათლებას ვერ დაუწუნებ, სხვა საქმეა, პოზიცია დაუწუნო და ქმედე-

ბა. სუნიანები, გაუნათლებლები – შიდა მოხმარების სტერეოტიპი იყო. გარე მოხმარების სტერეოტიპი იყო სრულიად საინტერესო. გარე მოხმარების სტერეოტიპი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ულტრანაციონალური ფაშისტური. გამეღიმა, ამას წინათ ფილოსოფოსი გაი ნოდია სწორედ ამ საკითხებზე ლაპარაკობდა, რეტროს აკეთებდა, ულტრანაციონალისტურმა მიმართულებამ ზვიად გამსახურდიას სახით გაიმარჯვაო. თუ ვინმეს წაუკითხავს ვაჟა ფშაველას „ნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი“, ამ თვალსაზრისით თუ უნდა ნოდია ჩაგვთვალოს ნაციონალისტებად და ულტრანაციონალისტებად, მაგრამ... როდესაც მხედრიონი იქმნებოდა, როდესაც მთელი დოსააფის ქონება გადაეცას მხედრიონს... ამაზე იყო გათვლა. ეკონომიკური სისტემის, სტრუქტურის, ფორმაციის ცვლილება რომ აუცილებელი იყო, ეს ყველასთვის ნათელი იყო, ნაციონალური ბაზრებიც რომ საჭირო იქნებოდა, ესეც ნათელი იყო ყველასთვის, მაგრამ იყო თუ არა მოსურნე მსოფლიოს დარჩენილი ნაწილი, დაშლილიყო საბჭოთა კავშირი, ასე არ ჩანდა. იყო სტარჩევიჩი, რომელიც გაეროს წარმომადგენელი იყო საქართველოში, რომელსაც ძალიან ხშირად ვხვდებოდი, რომელთანაც უამრავი ინფორმაცია მიმქონდა. მერე ეუთოს მრჩევლად გადავიდა. სხვათა შორის, სადაც მე ვმუშაობდი, ტერიტორიულად იქ იჯდა. მახსოვს, 93 წელია და სამაჩაბლოდან ჩამოვუტანე ინფორმაცია, რუსის ჯარის ცხვირწინ, სამშვიდობო ჯარის ცხვირწინ რა უქნეს ქართველებს, როგორ დახოცეს ქართველები, როგორ გაცვალეს გარდაცვლილი ქართველები ცოცხალ დატყვევებულ ოსებზე. ეს ინფორმაცია დავეუდე. ურთიერთობის დროს არის ხოლმე, რომ მტერშიც კი რაღაც სიმპათიას ინვევს შენი პრინციპული მოსაზრებები. ეტყობა, ამიტომ მითხრა, თორემ რატომ შეიძლებოდა ეთქვა ეს: სად არისო აქო ადამიანის უფლებების დარღვევაო, გაღიმებულმა. გამეცინა და ვუთხარი: რუსულად გელაპარაკები, თუ გინდა ინგლისურად მოგიყვები, ტექსტი დანერილია ორ ენაზე. მე მგონი, გასამართლავი არაფერი არა მაქვს. ხაზგასმულად არის, რომ სამშვიდობო ჯარიდან ათ მეტრში ხდება ეს ყველაფერი და თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ეს არის კერძო მეზობლური კონფლიქტი-მეთქი? მომიტრიალდა და მითხრა: თქვენ გგონიათ, რომ საქართველო რუსეთის გარეშე იქნება ოდესმე? მსოფლიო რას ფიქრობდა, ამ თვალსაზრისით მომყავს მისი ერთ-ერთი წევრის, უბრალო ჩინოვნიკის ფრაზა. ეს არ უთქვამს ნიშნის მოგებით, ის, თავის ჭკუაში, გზაზე მაყენებდა. იმიტომ, რომ, ეტყობა, შენუხდა ამდენი ინფორმაციისაგან, თან ვამონმებდი, ეს ინფორმაცია გადავიდა თუ არ გადავიდა იქ, სადაც უნდა გადასულიყო. პირდაპირ მეუბნებოდა: თქვენ რა, გგონიათ, რომ საქართველო როდისმე რუსეთის გარეშე იარსებებს? თუ რუსეთს უნერია დემოკრატიულ ქვეყნად გახდომა, მაშინ გვინერია ჩვენ ზოგადად არსებობა, მაგრამ არა რუსეთის გარეშე, რომ ეს არის გამორიცხული. ეს ფრაზა მახსოვს, ღიმილით, კეთილი

თვალეებით. ქვეტექსტი იყო ასეთი: გეყოფა რა. მაგაზე პასუხი ყოველთვის მქონდა. ჩემი პასუხი იყო ძალიან მარტივი და ძალიან უბრალო, რუსულად ვუთხარი: не бюджет этого. როცა კი ჩემს ქვეყანას აუტანია უარესი დამპყრობელი, რომ ისტორიულად ყოველთვის ასე ყოფილა, მაგრამ როგორც კი ოდნავი შანსი მისცემია ხალხს, რომ ეთქვა, მე დამოუკიდებლად არსებობა მინდა, ის შანსი არასოდეს ხელიდან არ გაუშვია. ეს შანსი აქვს დღეს ჩემს ქვეყანას და მე, როგორც მისი ერთი წევრი, ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებ და არც ჩემი ხალხი არ იზამს იმას, რომ ეს შანსი ხელიდან გაუშვას. სხვა საქმეა, ამ შანსიდან რა გამოვა, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს ქვეყანა, ეს ხალხი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს, რომ ხმამაღლა უთხრას ყველას: მე ვარ ღირსი და შემძლია, რომ ვიყო დამოუკიდებელი. მახსოვს, ჩათვალა, რომ გამოუსწორებელი იდეალისტი ვარ, ჩემთან ლაპარაკს აზრი არა აქვს და გაღიმებულმა დამპირდა, რომ რა მასალაც მივეცი, ამას აუცილებლად გადაანოღებდა და მართლაც პატიოსნად აწვდიდა. კიდევ მახსოვს, ამერიკის საელჩოში ქედი გრინი იყო, ტიმოთი რიჩარდსონი იყო, რომელსაც წარამარა დავარბენინებდი სასამართლო პროცესებზე. ორი საელჩო, რომელიც ძალიან აქტიურობდა გადატრიალების შემდეგ, ეს იყო გერმანიის საელჩო და ამერიკის საელჩო. რომ ვთქვა, რომ არ მეშინოდა-თქო, ტყუილი არ არის. უამრავი სიტუაცია ყოფილა, როდესაც შემზარავი შიში მქონია შინაგანად, მაგრამ საოცარი სიმართლე... გრძნობ, რომ შენ კი არ ლაპარაკობ, ვილაც სხვა ლაპარაკობს შენს მაგივრად. ესეთი სიტუაციები დანის პირზე გავლის... როცა შეხედავ აქციაზე ულამაზეს ბავშვებს... მათი მშობლები რომ გავიცანი მერე, მხოლოდ ასეთ მშობლებს შეიძლებოდა ასეთი შვილები ჰყოლოდათ. საოცარი ადამიანები გავიცანი. რომ არ მენახა ეს ადამიანები გადატრიალების შემდგომ პერიოდში, წინა პერიოდში, რომელთა უჯრედის მოთხოვნილება იყო დამოუკიდებელი ქვეყანა და ის, რომ მე რაღაცა მეკითხება ამ ქვეყანაში, ის ადამიანები რომ არ მენახა, დამიჯერეთ, ისეთ დეპრესიაში ჩავვარდებოდი... იმ გამყიდველი ზოგადად ნომენკლატურის, ადამიანების, რომლებიც დროზე ვერ მიხვდნენ, რა უნდა ეკეთებინათ... ეს მართლა ჩემი ლამაზი, მშვენიერი ქვეყანა ჯოჯოხეთად რომ მიქციეს, ეს ადამიანები იყვნენ და მე მათ მიმართ... თვით შევარდნაძე, რომელზეც მაქსიმუმ რაც მითქვამს, ეგ მანახა თოთხმეტლარიან პენსიაზე მის ცოლთან ერთად... იმიტომ, რომ ჩემთვის იყო ცხადი, მართლა ასე ვფიქრობდი, რომ ეს ქვეყანა არის არწივისისი და ბელურასი. ვინმემ გაჭლიტა ქვენარმავალი იმიტომ, რომ ქვენარმავალია? აი ეს იყო ჩემი მოცემულობა და ამ ლამაზ ქვეყანაში მათთან ერთად უნდა ვყოფილიყავი, მე არ ვიყავი მათდამი აგრესიული.

რაც შეეხება საქართველოს ჰელსინკის კავშირს, როცა ამბობენ, რომ ეს იყო ულტრანაციონალური ორგანიზაცია. ჰელსინკის პროცესი წარმოიგდინეთ, როცა აქ არ არის ლაპარაკი რაიმე ნაციონალურ საკითხებზე,

წმინდა ადამიანის უფლებრივი საკითხები არის. თავიდან უფლებრივი ორგანიზაციები ებრაელების დასაცავად შექმნილი ორგანიზაციები იყო. ასეთი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაცია ნაციონალური ინტერესების დასაცავად, შენივე ქვეყანაში როცა დაჩაგრული ხარ და შენი უფლებები შელახული არის, მე მიმაჩნია, რომ ბარე ბევრი მსოფლიოში ვერ დაიტრახებს, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სახით, ვინაც მთელი ეს მექანიზმი სწორედ ამისათვის მოიფიქრა. თუ მსოფლიოში არის ორი სუბიექტი: სუბიექტი – ერთი ადამიანი და კულტურშემოქმედების სუბიექტი – ერი, ეთნოსი. თუ კულტურშემოქმედების სუბიექტი ერი არის და ერთი სუბიექტი არის ინდივიდი, თუ ინდივიდს სჭირდება დაცვა, კულტურშემოქმედების სუბიექტს დაცვა არ სჭირდება? ეს ხომ უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომლის შესახებაც ტრაქტატები არ მახსოვს არც მეოცე საუკუნეში და არც იმის წინ. *Лес рубят, щепки летят* – ცნობილი ფრაზები გახსოვთ. ის, რომ ინდივიდი ზოგადს უნდა ემსახუროდეს, მთელი კლასიკური ფილოსოფია ამაზე იყო აგებული. სხვათა შორის, ჩვენი აღმოსავლური ცნობიერებაც სწორედ ასეთია, რომ ინდივიდი უნდა ემსახუროს ზოგადს. მთელი „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ამაზე არ არის? – ჰარმონიულ ურთიერთობაზე ინდივიდისა ზოგადთან. ეს საკითხები ამ კონტექსტში რომ წამოწეულიყო, ამისი ინიციატორები, ამისი გამკეთებლები და შემქმნელები ეს ჭკვიანი, განათლებული, მამაცი და გამბედავი ადამიანები იყვნენ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახით. თუმცა ამათ სულ ის უნდოდათ ეთქვათ, რომ აქ კბილებჩამოცვენილი, ლიბიდომოჭარბებული... მახსოვს, შეფასებები ეროვნული მოძრაობის, რომ ეს არის ცვედანი კაცების და აქტიური ქალების მოძრაობა. რა ულტრანაციონალური მოძრაობა. კაცი ჩავიდა აფხაზეთში, მერაბ კოსტავაზე და ზვიადზეა ლაპარაკი, ლიხნის მერე და ადამიანებს ეუბნება: ამ დიდ მუხაზეო ქართველების და აფხაზების მეგობრობის და სიყვარულის ტრაქტატს დავკიდებო. ვინმემ შეიძლება თქვას იმ მოძრაობაზე დღეს, დღევანდელი გადასახედიდან, რომ ის ულტრანაციონალური მოძრაობა იყო, თუ ელემენტარული, თუნდაც მეცნიერული შეფასება გაქვს? ნუ მიწყენენ ისტორიკოსები ზოგადად, სახელმწიფომ დაგიკვეთა, ეგრე უნდა დანერო. თუ მამარდაშვილს შეიძლებოდა ეთქვა: ჭეშმარიტება უფრო მეტია, ვიდრე სამშობლო, ეს ორი შეუდარებელი კატეგორია ფილოსოფოსმაც მაინც... სხვათა შორის, კონტექსტები ამოუგლიჯეს, ის სხვა რამეს ლაპარაკობდა, მაგრამ... თუ ჭეშმარიტება და სამშობლო შეიძლება ერთ სიბრტყეზე დადო, განსხვავებული კატეგორიები არის...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ამოუგლიჯა?

ლია ბერუაშვილი: ტელეგადაცემების დროს. მე წამდვილად არა ვარ ის ადამიანი, ვისაც მამარდაშვილის დაცვა სჭირდებოდა. მახსოვს, სრულიად სერიოზული პოლემიკა მქონდა ომის ფილოსოფიიდან დაწყებული

უზნადის თეორიამდე. მე ვამბობ ერთ რამეს: ადამიანი ამბობდა, რომ ქვემარტება უფრო მაღალი რანგის კატეგორიაა, ვიდრე სამშობლო. რა შუაშია ეს ორი კატეგორია ერთმანეთთან. ყოველთვის ვბრაზობდი, მეცნიერებზე განსაკუთრებით, საშუალო ფენაზე არ ვლაპარაკობ მეცნიერების. მე უნდა მეფიქრა კიბერნეტიკის ინსტიტუტში მყოფ თანამშრომელს? ვის ევალუბოდა ზოგადად მეცნიერული თვალსაზრისით, მზად დახვედროდა იმას, რა ეტაპიც ჩემს ქვეყანას უნდა გაეარა. ეს იყო ცხადი, ორი წლის განმავლობაში შვიდსაათიანი საუბრები გორბაჩოვის, რომლიდანაც, დასკვნაში რა უნდა გეკეთებინა, ვერ გაიგებდი. სხვათა შორის, ძველმა პარტიულმა ნომენკლატურამ მართლაც ვერაფერი გაიგო. გაიგეს ყოფილმა ჩეკისტებმა და კომკავშირლებმა, რომლებმაც უსწრაფესად შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაციები. ამას როდესაც მეცნიერება ხვდება მოუმზადებელი, ქვეყანა როგორ შეიძლებოდა დახვედროდა მომზადებული. მერე ადვილია ლაპარაკი. თუ ადამიანს, მოქალაქეს, ქართველს სულით ხორცამდე, არა მარტო ქართველს, სხვათა შორის, ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს... მე ბევრი ვნახე არაქართველი, ეგრე არ არის. პოლიცია როცა ამოვიდა, ჩემთან დარბევა უნდა ყოფილიყო სახლში, მასალები, რომლებიც გავიტანე, სად შევინახე, ჩემს მეზობელთან, რომელიც არაქართველი იყო, რომელმაც თვითონ მითხრა, მოდი, ჩემთან შეინახე, იმიტომ, რომ ჩემთან არავინ შემოვაო. იმიტომ, რომ იმან იცოდა, ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა მისთვისაც კარგი იყო. ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ როცა ამბობენ, რომ ეს იყო ულტრანაციონალური მოძრაობა... ეს იყო დაკვეთა და ვინც დღეს იმეორებს, რომ ეს იყო ულტრანაციონალური მოძრაობა, ისევ საბჭოთა რუსეთის შეკვეთას ასრულებს. იმიტომ, რომ გეგმა იმისა, რომ ეს მოძრაობა უნდა ყოფილიყო ამითი დისკრედიტირებული, ეს ფაქტობრივი მოძრაობაა და არაფერი საერთო განდისთან და არაფერი საერთო... განდი რელიგიური თვალსაზრისით კი არა, უფლებრივი თვალსაზრისით. მე მქონდა ერთი ასეთი სტატია: „განდიდან გამსახურდიამდე“. მე ამ ყველაფერს ვიცნობდი, ვკითხულობდი, ვიცოდი. არ არსებობდა მშვიდობიანი ბრძოლის ფორმა ჯაჭვებზე მიბმით. თუ რამ აქცია მოგვიწყვია იმ დროს, ეუთოსთან უამრავი აქცია მოვუნყე, ყველგან ამ მეთოდებს ვიყენებდი. ეს მართლა იყო ჩემი ცნობიერება და ჩემი კონსტიტუცია და არა ის, რომ რალაცას სხვაგვარად ვხედავი. ეს ძალიან მანუხებს, იმიტომ, რომ ეს ფრაზა არ არის შიდა მოხმარებისთვის მხოლოდ. შიდა მოხმარებისთვის ის შეიძლება პოპულარულიც იყოს, იმიტომ, რომ ამდენი დაჩაგრული ქართველია საკუთარ ქვეყანაში, მაგრამ გარე მოხმარებისთვის იყო ის ყოველთვის. მე მახსოვს გაოცებული სახეები ადამიანის უფლებების დამცავების, რომლებიც ჩამოდიოდნენ ხოლმე და გველაპარაკებოდნენ. ამ სიტუაციაში ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს ვახვედრებდით. ...ქალაქის საკრებულოში იყო ძალიან საინტერესო სამუშაოები

საკანონმდებლო თვალსაზრისით. მაშინ იყო აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ანდრიაძე. ის ერთ-ერთი საკრებულოს წევრიც იყო იმ პერიოდში. მე მახსოვს, ქალაქ თბილისის კანონზე იყო ლაპარაკი. მაშინ იყო ბალანსირებული სიტუაცია, რომ შენ იყავი კომუნისტი, შენ იყავი ეს, პარტიული ნიშნით არ იყო ადამიანების გამოყოფა. იმიტომ კი არა, რომ რაღაცას მივტირი, სიმართლე ხომ უნდა ითქვას, ფაქტები რატომ უნდა დაიმალოს. კომუნისტური ნომენკლატურის დიდი ნაწილი... მე, მაგალითად, ხომ ვიამაყებდი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მქონდეს მონერილი. იქ რა კომუნისტების გვარები ცოტაა? ადამიანები, ვისაც მოცემულ შემთხვევაში უნდოდათ მათი ქვეყნისთვის სიკეთე... ნიშანი ის, რომ შენ ხარ ჰელსინკის კავშირის წევრი ან მრგვალი მაგიდის წევრი, ამათ რომ უნდათ, რომ ესე გამოყონ, არ იყო ასე. ნამდვილად იყო მცდელობა იმისა, რომ ადამიანები, თუ პროფესიონალი იყო და რამე შეეძლო ერგო ამ ქვეყნისათვის, ასეთები მოეზიდათ.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ როდესაც ეს ხალხი გამოიყვანეს უზენაესი საბჭოდან, მაშინ მოხდა ამ ხალხის მიერ ზურგის შექცევა ეროვნული ხელისუფლების მიმართ.

ლია ბერუაშვილი: საიდან გამოიყვანეს?

ნათელა ვაჩნაძე: უზენაესი საბჭოდან.

ლია ბერუაშვილი: ძალიან კარგად მახსოვს მოტივაცია ერთადერთი კომუნისტური პარტიის შეფასებებთან დაკავშირებით. იმის წინა კონტექსტები არის ყოველთვის გასახსენებელი, რა დროს და პერიოდში ხდება ესა. ეს ხომ არ იყო აგრესია იმის გამო, რომ იქ შენ კონკრეტულად ვიღაცა გყავს.

ნათელა ვაჩნაძე: მე მახსოვს ბატონი მინდია სალუქვაძის უკანასკნელი ფრაზა: „ჩვენ კი წავალთ, ბატონო ზვიად, მაგრამ მე ვნახავ თქვენ რას იზამთ, ვისთან ერთად დარჩებით“. მე დედ-მამა დამიხვრიტეს 37-შიო.

ლია ბერუაშვილი: მინდია არ მახსოვს მაჟორიტარი იყო მაშინ თუ არა, მაგრამ... მინდია სალუქვაძეს, რომელსაც დედ-მამა დაუხვრიტეს, მინდია სალუქვაძეს ის უნდა ეკადრებინა, რომ ჩემთვის, ლია ბერუაშვილისათვის, ჩეკისტებმა რომ დამაპატიმრეს, სამეცნიერო საბჭოზე საქმის გარჩევა მოეწყო?

ნათელა ვაჩნაძე: იყო ეს?

ლია ბერუაშვილი: რას ჰქვია, იყო. მთელი საქმიანობა ჩემი იყო, სხვას რა დაუშავეს იმაზე აქტიური ქმედებები, მე სადაც ხელი მიმიწვდებოდა. არ დამავინყდება, ბზეჟინსკი იყო ჩამოსული აქა. თქვენ არ იცით, როგორ მოვახერხე ბზეჟინსკისთვის ინფორმაციის გადაცემა. თქვენ ვერ დამისახელებთ მაღალი რანგის ცრუ-სწარმომადგენელს და რაიმე ჩინოვნიკს, რომლისთვისაც არ მოხერხებინოს ან მე პირადად, ან იქვე ჩემთან გვერდზე მდომით ხელიდან ხელში ინფორმაციის გადაცემა. როცა დამაპატიმრეს, მახსოვს, შევარდნაძესთან შევიდა მაიკლ ლოქსი...

ნათელა ვაჩნაძე: როდის მოხდა ეს?

ლია ბერუაშვილი: ეს 92 წელია, მოსკოვიდან დაბრუნებულებივართ, ეხლავე გეტყვით, ზუსტად რიცხვსაც გავიხსენებ, როდის დაგვაკავეს. ბოლო ნომერი არ არის ჯერ ჩახურული. 26 იანვარს გამოვიდა „ქართული აზრის“ პირველი ნომერი და 93 წლის 26 იანვარს პრაქტიკულად ბოლო ნომერი იყო. ერთი წელიწადი გამოდიოდა. მერე „თავისუფალი საქართველო“ წამოვიდა. „თავისუფალი საქართველო“ ხომ პარტიული გაზეთი იყო მრგვალი მაგიდის. ქალბატონი თამარი იყო მაშინ რედაქტორი, ებრალიძე. ზვიადმა სთხოვა, რომ როგორც დამოუკიდებელი გაზეთი გატარებულიყო რეგისტრაციაში. ამისათვის პარტიის თავმჯდომარეებს უნდა ეთქვათ, რომ თანახმანი არიან, რომ ეს დამოუკიდებელი გაზეთი იყოს. ...მერე წამოვიდა „თავისუფალი საქართველო“. „თავისუფალი საქართველო“ ორი ნომერი იყო. ბუნებრივია, ინერციით, ვინც „ქართულ აზრს“ ვაკეთებდით, გადავედით „თავისუფალ საქართველოში“, გავაგრძელეთ. არ შეიძლება ესეთი რამეები დაკვეთით შეასრულოს ადამიანმა. ...ისევ ვამბობ ადამიანებზე. საშუალო ფენის მოტივაცია უმრავლეს შემთხვევაში იყო: არ მინდა რაღაცა განსაკუთრებული, მომეცი საშუალება პატიოსნად ვიშრომო, მქონდეს საარსებო საშუალებები და მომეცი საშუალება რეალიზების. ერთ მნიშვნელოვან დეტალს მოვყვები. ამ ყველაფერს ვყვები იმისი ანალიზისათვის, რა ძალა იყო ის ძალა, რომელიც მაშინ ხელისუფლებაში მოვიდა. მე პირადად მართლა მიმაჩნდა და ეს ისტორიული ფაქტი იყო, რომ პირველ ტალღაზე მოსული ხელისუფლება ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რომ იმას არ გააჩერებდნენ და უმრავლეს შემთხვევაში ექვემდებარებოდა დამხობას. ედუ, რომელიც მაშინ გარეგნულად მაინც მაგას ამბობდა, რომ მოდი, ნუ შევალთ ხელისუფლებაში, გარედანაც კარგად ვმართავთ ამ კომუნისტებს და შემდეგ ტალღაზე ჩვენ მოვიდეთ.

ნათელა ვაჩნაძე: და უცბათ ჩაუხტა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ და ისინი განულები არიან და არავითარი კავშირი ხელისუფლებასთან არა აქვთ.

ლია ბერუაშვილი: ისინი განულები არიან – ეგრე არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ასე ჩანს გია ჭანტურიას გამოსვლებიდან და ამას ძალიან დიდ ბრალდებად უყენებს ეროვნულ ხელისუფლებას. ჭკვიანი ხალხი არ გინდათო გვერდითო.

ლია ბერუაშვილი: არა, არა, ჭკვიანი ხალხი უნდოდათ. ჭკვიანი ხალხი კი უნდოდათ, მაგრამ პარტიული ორგანიზაცია და საერთოდ პოლიტიკური ორგანიზაცია ეს კლიშე არის, წესდება არის, თუ ურთიერთობა არის, ის ადებს გარკვეულ შეზღუდვებს ადამიანის ქმედებას. პოლიტიკური ორგანიზაციების გარეშე იყო აბსოლუტურად სხვა. როგორც კი მოხდა პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება... მე ძალიან კარგად ვიცი მონაყოლებიდან, ძალიან ბევრი ინფორმაცია მქონდა. იყო ასეთი დეპუტატი არაჩვეულებრივი ადამიანი ჯემალ გოლეტიანი, რომელიც გარდაიცვალა.

ნათელა ვაჩნაძე: ვიცნობდი არაჩვეულებრივად. ახალგაზრდობის მეგობარი იყო ზვიადისა.

ლია ბერუაშვილი: მე მახსოვს, რომ ყველა კულუარული ინფორმაცია... მახსოვს, მე ძალიან ვბრაზობდი, როცა ამბობდნენ, ეს სულელი, ის სულელი. კი, მაგრამ, ეს ერთუჯრედიანი კიტოვანი სულ რომ ამბობენ, რომ შენი დამეგობრებულია და შენ მიუყვანე ზვიადს, ჩემო ჭკიანო ჯემალ, ეს ამბავი...

ნათელა ვაჩნაძე: ეს კაცური ურთიერთობები კიდეც სხვა არის, ეს უბნის ბიჭობა და ეს თანატოლობა.

ლია ბერუაშვილი: კი, კი, მესმის. მე მახსოვს, რომ ჯემალი მიყვებოდა ისეთი აღშფოთებული, რომ მოიკლა თავიო, იქ კაბინეტი უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ მინისტრი უნდა ყოფილიყო... რალაც წვრილმან დეტალებს მიყვებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: საინტერესოა ეს ადამიანის დასახასიათებლად.

ლია ბერუაშვილი: მე ჯემალის მონაყოლს გიყვებით, საყვედურად ვუთხარი. ჯემალმა მითხრა: ლია, ამაში ჩემი მისხალი და პატარა ბრალი არ არისო. პირიქითო, როცა ჩემთან მოვიდაო და მითხრაო, რომ გამინიე რეკომენდაცია, მინისტრობა მინდაო, მე ვუთხარი, თავი ხომ არაფრისთვის მიგირტყიაო. მეო უარი ვუთხარიო. ტყუილია ეს, სიმართლეა... მეც რაც მითხრა, იმას ვამბობ.

ნათელა ვაჩნაძე: არა, ის ტყუილს რატომ იტყოდა.

ლია ბერუაშვილი: გროზნოში რომ ვიყავითო, ანალოგიური საუბრები იყო. ნიკლაური წამოდგაო, შალვაო, იმანო თქვაო, ეს სულ შენი ბრალიაო ეს ყველაფერიო, ეგ რომ მანდ არისო...

ნათელა ვაჩნაძე: კაცური ურთიერთობები გამსახურდიასა და კიტოვანს შორს არ ყოფილა და ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ე. ი. ვილაცამ რეკომენდაცია გაუწია.

ლია ბერუაშვილი: ბატონი გოგი მეუბნებოდა, ოჩიაური, ერთხელ მივედი: ლია, თუ იცი, გუშინ აქ ვინ მოვიდაო? გადატრიალების შემდგომ. ვინ? – ბატონო გოგი-მეთქი. კიტოვანო. რა უნდოდა-მეთქი. როგორ ბედავო ამ სახლში შემოსვლას, რა ქენი, ბიჭო, შენ ესო. რა ვქნა, ზვიადამ მანყენინაო. ...ჩემი მიზანია მოცემულ შემთხვევაში ჩემი ინფორმაცია, რაც ჩემი თვალით ვნახე, რაც თქვენ ანალიზისთვის გამოგადგებათ: ერთი, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებთან დაკავშირებით. მეორე, ხალხი, ჩვეულებრივი ადამიანები გადატრიალების შემდეგ. ჯერ 7-ში, მანამდეც, 3-შიც, მერეც... არავის არ მოუკრეფია, არავითარი ინსტრუქცია არ ყოფილა, ხალხი თვითონ მოდიოდა. როდესაც საერთაშორისო არხებით მიდიოდა, რა ხდებოდა საქართველოში... იმის გამო, რომ ტრასპარანტები არ გვქონდა და არ გვეჭირა იმიტომ, რომ ეს არაორგანიზებული იყო. მერე ვიზრუნეთ ჩვენ იმაზე, რომ ტრანსფარანტები ყოფილიყო.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. ქალბატონო ლია, ისეთ თემას მივადექი, როგორიც არის „ქართული აზრი“. შევამონმე საბჭოთა პერიოდის ის-

ტორიკოსებთან, ყველაზე უკანასკნელ ხანებზე ვინც მუშაობს და მათთვის ეს ცნობილი არ არის. მე ვარ ადრეშუასაუკუნეების ქრისტიანობის ჩასახვის დროის სპეციალისტი. მე რომ არ ვიცოდე, ამაში არაფერი არ არის გასაკვირი, მაგრამ იმათ რომ არ იციან, ძალიან გასაკვირია. ეს, ერთის მხრივ, ჩემთვის ძალიან კარგია, ჩემთვის ძალიან მომგებიანია, რომ ამ მასალას პირველად შემოვიტან, მე მიხარია ეს. მეორეს მხრივ, მიკვირს ძალიან, ამხელა შრომა იყო ჩადებული და აბსოლუტურად ეს გაზეთი... მაგრამ კონსპირაციასაც ხომ აქვს თავისი ხარისხი და ესეც სასიხარულოა, რომ კონსპირაცია არაჩვეულებრივად იყო გაკეთებული. პირველი შეკითხვა. ვისი იდეა იყო ამ გაზეთის შექმნა?

ლია ბერუაშვილი: რომ გითხრათ ილიჩისო, ხომ მოკვდებით სიცილით. ვხუმრობ, რა თქმა უნდა. 92 წლის 7 იანვარია. მანამდე, 23 დეკემბერს შევედი მე უზენაესი საბჭოს შენობაში, მერე, მახსოვს, გამოვედი 28-ში, დავალეხა მქონდა შესასრულებელი. მერე შევედი 1-ში და გამოვედი 3-ში. მაშინ მანქანით ვმოძრაობდი. სხვათა შორის, მანქანა ძალიან დიდ შეღავათს მინევედა კონსპირაციის დაცვასთან დაკავშირებით. ის, რომ მე ვიყავი საჭესთან, ბევრ საქმეს ამარტივებდა.

ნათელა ვაჩნაძე: ვისი იყო ეს მანქანა?

ლია ბერუაშვილი: ჩემი. მახსოვს, ხუმრობით „ნიქარას“ ეძახდნენ ჩემს მანქანას იმიტომ, რომ თუ ვინმე დაჭრილი გაგიგონიათ საავადმყოფოში გადაყვანილი, დეპუტატების ნასვლა გროზნოში...

ნათელა ვაჩნაძე: ეს როგორ გამოიჩინა ოპოზიციას? ერთი მანქანის ერთი ნომერი არ იქნებოდა ცნობილი?

ლია ბერუაშვილი: მართალია, მაგრამ ის ერთი მანქანის ერთი ნომერი, როგორც წესი, აქციებზე იყო ხოლმე მესამე თუ მეოთხე სახლში გაჩერებული. მაგალითად, ჩემი მანქანა სანყის ეტაპზე, როცა უზენაეს საბჭოში შევედიოდი, ჭიჭინაძის ქუჩაზე, უკანა ქუჩაზე ერთ-ერთ ეზოში შევავყენე და იქ იდგა. მოკლედ, ეს დეტალია.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ დაგებადათ ეგ აზრი, სად და რა ვითარებაში?

ლია ბერუაშვილი: ...7 იანვარია, მოვდივარ. არის შამპანიურების სხმა ერთ-მანეთზე და არის ერთი ამბავი.

ნათელა ვაჩნაძე: სად?

ლია ბერუაშვილი: რუსთაველზე, ინვის იქაურობა. საშინელი სიტუაცია არის. მახსოვს, მე მოვდივარ მარტო და ვტირივარ. მახსოვს ორი თბილისელი ბიჭი, ავტომატგადაკიდებული, მკვდარს და ცოცხალს რომ მაგინებს, რადგან ვტირი. წამოვედი და სადღაც „ივერიასთან“ ვხედავ — ხალხია შეკრებილი და ვიღაცა „ჭაუბიცასთან“ დგას კასკით. გავიარე და თვალი მოვკარი, რომ ეს იყო ჩემი თანამშრომელი მართვის სისტემების ინსტიტუტში, რომელთან ერთადაც უამრავი კარგი საქმე მიკეთებია სანყის ეტაპზე. მე მახსოვს, რომ ძალიან ბევრს მელაპარაკებოდა, რომ ეს რა საშინელი ფაშისტური სიტუაციაა. არ დამავინყდებია, ვიყავი სახენაშლილი და პირდაპირ შევხედე თვალეებში: ჩემო მალხაზ, შენ მეს-

როდი, მე იქ ვიყავი, ხომ იცი-მეთქი, აფერუმ შენს კაცობას-მეთქი და მოვტრიალდი და წამოვედი. და მახსოვს, რომ თავში სულ მიტრიალებდა, რა ვქნა, რა ვქნა, რა ვქნა, რა უნდა გავაკეთო. ჩვენ ხომ სუყველა ისე გამოგვზარდეს, პარტისტორიის გამოცდები ვაბარეთ და მახსოვს, ყურში ჩამესმა ხმა: “с чего начать? с газеты”. ეს ხომ სასაცილოა, არა? მახსოვს, გაზეთი, გაზეთი, გაზეთი, აუცილებელია ეს გაზეთი. წინა დღით იქ მივედი, ჩვენი შტაბ-ბინა სადაც იყო, ჰელსინკის კავშირის...

ნათელა ვაჩნაძე: სად?

ლია ბერუაშვილი: ვორონცოვზე დიდი შენობა რომ იყო, მოზაიკით მოპირკეთებული. ...იქ მივედი და ნაწილი ჩვენი მეგობრებისა იყო იქა, რომ დავლაპარაკებოდით ერთმანეთს, რომ რაღაც კონტაქტები გვქონოდა. იმიტომ, რომ 7-ში კი არა, 2 იანვარს უკვე ჯაბას განცხადებით დამნაშავე ორგანიზაციად გამოცხადებული იყო „მრგვალი მაგიდის“ ყველა ორგანიზაცია, ბუნებრივია, „წმინდა ილია მართალი“ და ჰელსინკის კავშირი. მახსოვს, მქონდა თავში ეს ფრაზა – რა გავაკეთოთ? გაზეთი. აქციები ხომ მიმდინარეობს, ამასობაში მეგობრებს ვხვდები, ამას ველაპარაკები, იმას... მახსოვს, თამაზ კალაძე, რომელიც საბურთალოს რაიონის პრეფექტი იყო. მე მიმაჩნია, რომ თუ ვინმეს განათლებაზე შეიძლება ილაპარაკო... თამაზი დოქტორია, ფიზიკოსია და, მე მგონია, რომ პრეფექტების სინდის-ნამუსი ეროვნული ხელისუფლების ნამდვილად იყო თამაზ კალაძე, თორემ საბურთალოს მოსახლეობის ნებისმიერი მოქალაქე გააჩერეთ, ვისაც მაშინ შეხება ჰქონია. მახსოვს, მე ვნახე ზურა შანიძე – სადგურზე არის აქცია – ზურა შანიძე, რომელსაც კამერა ჰქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს არის 7-ში.

ლია ბერუაშვილი: ხო, 7-ში, წინა დღეებზეც ვლაპარაკობ.

ნათელა ვაჩნაძე: 3 იანვარი.

ლია ბერუაშვილი: 3 იანვარს მე გარეთ ვიყავი, იქ ვიყავი. მე და გელა სალუაშვილი ავხტით ზემოთ და რომ ვნახეთ, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა არ ჩერდებოდა და ხალხიც არ ჩერდებოდა, ჩვენ ძალიან შევეხვეწეთ ადამიანებს, რომ ჩვენ აუცილებლად შევიკრიბებით და ეხლა იმის გამო, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა გრძელდება, ძალიან ვთხოვეთ, რომ დაშლილიყვნენ და სახლში წასულიყვნენ. ეს აქციები პერმანენტულად მიმდინარეობს. მახსოვს, სადგურზე ვარ, მივედი ზურასთან და ვეუბნები: შეგიძლიათ მითხრათ, სად არის „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორი, მათი წევრები, სად არიან, იქნება, დამაკავშიროთ – მე ხომ არ ვიცნობდი „თავისუფალი საქართველოს“ რედაქციის წევრებს – მე შემიძლია კომპიუტერზე ავკრიფო ტექსტები, მე შემიძლია ეს გავაკეთო, ის გავაკეთო და იქნება არალეგალური გაზეთი გავაკეთოთ. ორი საათის შემდეგ ზურა მოდის და მეკითხება, რა გვარი ვარ. მე ვეუბნები ჩემს გვარს, მე ვეუბნები, სად ვმუშაობდი, ვინა ვარ, რა ვარ და ა. შ. მე იქ უამრავი ადამიანი ვნახე. მე ასე მგონია, რომ ერთად ვიყავით დაბადებულები და

ერთად გავიარეთ მთელი ეს ცხოვრება. ვერც კი წარმომიდგენია, თუ ოდესმე არ ვიცნობდი მაია კერესელიძეს, ნანა ზუმბურიძეს, რომელიც გარდაგვეცვალა, სამაჩაბლოდან გალინა ჩლაჩიძეს, ჩვენი მეზობლები, სამაჩაბლოში რომ იბრძოდნენ: საოცარი ბიჭი იყო, „პუშკინა“ იყო მისი ზედმეტი სახელი, ზურა ქსოვრელი, არეშიძე ხანგიზი და ყველა ისინი, ვინც ამ აქციებზე დაილუპა. ...სანამ თათის და თემურ რეხვიაშვილს ეტყოდნენ, მე ვინა ვარ, ზურა და დალი გერმანიშვილი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ზურა ეუბნება, რომ წესიერი ადამიანი ჩანსო და აბა, მიდიო და შენც ნახე და დაელაპარაკეო. მერე დალი მოვიდა და დალისაც იგივე ფრაზა გავუმეორე: იცით რა, მე შემოიძლია სადღაც კონსპირაციულად დავსხდეთ, ავკრიფოთ, გავაკეთოთ ეს ტექსტი.

ნათელა ვაჩნაძე: კი, მაგრამ ეს „თავისუფალ საქართველოს“ ეხება.

ლია ბერუაშვილი: არალეგალური გაზეთი გამოვცეთ-მეთქი. ყველა გაზეთი მიხურულია, დარბეულია ყველაფერი. მთავარია, გამოვცეთ არალეგალური გაზეთი. მე მოვახერხებ, რომ მასალა შევაგროვო, სტამბა ჯერ არ ვიცი, მაგრამ იმასაც გავარკვევ. ამ ყველაფრის მომგვარებელი ვარ, ოღონდ დამენახონ რედაქციის წევრები. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გაზეთი გამოვიდეს. ამის მერე შევხვდი რეხვიაშვილებს, თემურ რეხვიაშვილს, საოცრად სიმპათიური ადამიანია. მერე მოვიდა თათი. ბუნებრივია, დავინყეთ ფიქრი იმაზე, რომ ამას როგორმე გავაკეთებთ, მაგრამ ტიპოგრაფიის საკითხები როგორ მოვაგვაროთ. სტამბა, სადაც ჩვენ ვბეჭდავდით ამას... დღესაც აზრზე არ არიან, სად იბეჭდებოდა ეს ყველაფერი. ეს იბეჭდებოდა ავლაბარში. მეტროს უკან რომ არის დიდი სახლი, იქ, კიბეებზე რომ ადისარ, იქ არის ბიბლიოთეკის შენობა მარჯვენა მხარეს. ეს იბეჭდებოდა ბიბლიოთეკის სარდაფში, რომლის დირექტორი გახლდათ აბესალომ სურმავა. ის არის ფიზიკოსი, რომელიც ოდესღაც მუშაობდა კიბერნეტიკის ინსტიტუტში, ერთად ვმუშაობდით. ტრაგიკული ადამიანი იყო, ქალიშვილი ჰყავდა გარდაცვლილი. ის არის სულით-ხორცამდე ქართველი, ინტელიგენტი თავისი კონსტიტუციით. ეს აბესალომი ცხოვრობდა სიგუას კორპუსში, სიგუას მეზობლად.

ნათელა ვაჩნაძე: სად იყო ეგ სახლი?

ლია ბერუაშვილი: საბურთალოზე, სადაც სიგუა ცხოვრობდა. ...თემო მე-ლაპარაკებოდა, რომ მითხრესო, რომ ტიპოგრაფიაშიო წყნარად, ჩუმად არიანო და წავიდეთ, ვნახოთ და დაველაპარაკოთო. მე და თემო უკვე ვლაპარაკობთ სტამბაზე. მივედი ტიპოგრაფიაში, გავაღე კარები და დაგვხვდა აბესალომი. გაუხარდა, საერთოდ ცოცხლები რომ ვიყავით. მე ვუთხარი: აბესალომ, მე როგორ გითხრა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია... თუ მოვიდნენ... აბესალომმა მითხრა ერთადერთი რამე:სელენი არა მაქვსო. ერაზეა ლაპარაკი, გადამღები აპარატი. ერთადერთი პრობლემა მაქვსო, ვინ გადაიღებს ერაზეო. წამოვედი. მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ჩემი ჯგუფელი მუშაობდა სწორედ

ერაზე და არაერთხელ მიყურებია, როგორ იღებდა. მან მაშოვნინა სელემი. მივედი მასთან, რომ ეს აპარატი ჩაგვეერთო და გვენახა. ის აზრზე არ იყო, მე რას ვთხოვდი და რას ვაკეთებდი. ერაზე გადაღებას ვაკეთებდი მე თავად.

ნათელა ვაჩნაძე: იქ გინწერიათ თქვენ რედკოლეგია. ვინ შედიოდა ამ რედკოლეგიაში?

ლია ბერუაშვილი: ყველაზე მთავარი, პირველი ანყობა სად მოხდა გაზეთის. იყო ძალიან სიმპათიური ადამიანი ზვიად ჭავჭავაძე, რომელიც ეხლა ემიგრაციაში იმყოფება.

ნათელა ვაჩნაძე: რომელ ქვეყანაშია?

ლია ბერუაშვილი: ბრიტანეთშია. ძალიან შევეუწყე ხელი, რომ წასულიყო იქა. ...მასალები კი მე ავკრიფე ჩემთან, მაგრამ დაკაბადონება და პირველი მაკეტი მაგისია. ჩასასმელი და გადასაღები გვექონდა თავი, „ქართული აზრის“ თავი, რომელიც ნიუ-იორკში გამოდიოდა. ეს ქართული ემიგრაციის გაზეთი იყო და თათიმ თქვა, რომ მოდით, ესე დავარქვათო. რედაქტორი თათი იყო, მაგრამ, როგორც წესი, მასალა მომქონდა მე. ინფორმაციებს ვიღებდი „წმინდა ილია მართლის“ წევრებისაგან, ან ჩვენი წევრებისაგან. ეთერ მგალობლიშვილს არაერთხელ მოუწოდებია ინფორმაცია. თბილისში ყველა იყო ჩვენთან არაჩვეულებრივ ურთიერთობაში. საწყის ეტაპზე ვიყავით მე, მაია, ნანა და ზურა შანიძე, რა თქმა უნდა. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ინფორმაციას კრეფდნენ. ჩემი ავტორიტეტი, რა თქმა უნდა, მუშაობდა, მაგრამ ზურას კამერას ენდობოდა სუყველა. არასოდეს არ უკითხავთ, ვინ არის ეს ზურა, საიდან მოვიდა.

ნათელა ვაჩნაძე: ცეცხლში იდგა თავისი კამერით.

ლია ბერუაშვილი: ზურას დაცვა სამი ადამიანი ვიყავით: მე, მაია და ნანა. პირველი, რაც აუცილებლად უნდა გვექნა, რომ კასეტა, რომელსაც გადაიღებდა, ის ხომ უნდა წაგველო და მიგვეტანა უხიფათო ადგილას, რომ მეორე კასეტა ჩაედო. იმიტომ, რომ ყოველთვის იყო ხიფათი იმისა, რომ რაც გადავიღეთ, დაგვეკარგებოდა. არ დამავინწყდება, ერთხელ, ზურიკო რომ დაიჭირეს, მეცხრე სართულზე იყო ასული. აქცია იყო სამედიცინო ინსტიტუტთან. ოთხი ქალი გადავხტით და ვგლეჯდით ზურას კამერას. ზამთარში ჩექმებში გვედო ხოლმე ინფორმაცია, სადარბაზოში ჩუმად შევიდოდით, იქიდან ამოვიღებდით და ისე ვცვლიდით ხოლმე. იყო ჩემი ჯგუფელი და ჩემი მეუღლის თანაკლასელი გოგი კობახიძე, რომელთან ერთადაც ვმუშაობდი, რომელიც ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. მოკლედ, სტამბაში იყო აბესალომ სურმავა, ტარიელ მაისურაძე და გვყავდა ერთი მუშა. იყო კიდევ იური ღონღაძე. იური ღონღაძე და აბესალომი იყვნენ ძველი მეგობრები. იური იყო მათემატიკოსი, რომელსაც უნივერსიტეტიდან და ადრეც ვიცნობდით, სანზონაში ცხოვრობდა ჩვენთან. იყო ერთი საინტერესო ამბავი. ეზოში იყო ხოლმე ყოველთვის ქეიფი. დაჰბატიყებდნენ იმ უბნის ინ-

სპექტორს, გამვლელს თუ გამოვლელს. იქ რომ გაქანებული „ქართული აზრის“ ბეჭდვა იყო, აზრზე არ იყო საერთოდ არავინ. ადამიანები, ვინც ამ საქმეს ვაკეთებდით, ვიყავით ერთმანეთის მეგობრები: მე, გოგი კობახიძე, ჩემი ჯგუფელი, აბესალომი, ჩემი თანამშრომელი, თათი, თემო, დალი – კიდევ ცალკე მეგობრები „თავისუფალი საქართველოდან“. მთელი ეს წრე – ინფორმაციის მომტანები იყო ცალკე ორგანიზმი, დაკაბადონება ცალკე საქმე და დასტამბვა კიდევ ცალკე საქმე. თუ დამიჯერებთ, ძალიან ვცდილობდი, რომ დამეცვა კონსპირაციის წესები. ერთხელ, არ დამავინყდება, უნივერსიტეტში აქცია აქვთ სტუდენტებს და ატანილი მაქვს მთელი შეკვრა გაზეთის. მახსოვს, ჩემს დას გამოვართვი ძალიან სიმპათიური პალტო, სათვალე მიკეთია, თმა მაქვს სხვაგვარად გაკეთებული, ვდგევარ უნივერსიტეტის ეზოში. მოტანილი მაქვს „ქართული აზრის“ ათასხუთასიანი დასტა, რომელიც სადღაც კუთხეში დევს, რომ მერე დავარიგოთ. 31 მარტი იყო. გოგი კობახიძე მიდგას გვერდზე, ვლაპარაკობთ ყველა ერთად. ოცი წუთის მერე გოგი მიხვდა, რომ ეს მე ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი იყო ტირაჟი თქვენი გაზეთის?

ლია ბერუაშვილი: ყველაზე დიდი რაოდენობა 2 თებერვლის იყო, 20 ათასი. მანამდე იყო 10 ათასი, 7 ათასი, პირველი ნომერი 5 ათასი ცალი გამოვიდა. მერე ძალიან პატარა ტირაჟებით ვაკეთებდით. 2 თებერვლის ნომერი იყო ყველაზე დიდი, 2 თებერვლის დარბევები რომ იყო. ზღვა რაოდენობის, ასი ათასობით ადამიანი იყო იქა. მახსოვს, ზურას კადრი აქვს გადაღებული, სადგურიდან ხალხი არ იყო ჯერ დამთავრებული და თამარის ხიდიდან ბოლოს წერტილი ჩანდა თავისუფლების მოედანზე. როგორც მტკვარი, ისე მიედინებოდა ადამიანები. ...26 იანვარს გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთის. ვთქვით ჩვენ თავიდან, რომ ფსევდონიმებით...

ნათელა ვაჩნაძე: არ იყო ხელმოწერილი. არის „თვითმხილველი“, მაგალითად, „მონადირე“, „მეწისქვილე“, „მეყანე“...

ლია ბერუაშვილი: „მონადირე“, სხვათა შორის, ვაჟა ფშაველას ფსევდონიმი იყო. პირველი ხელმოწერილი განცხადება, რომელიც წავიდა, ეს იყო ვახტანგ ჭითავას განცხადება. მერე საპატიმროდან ანა ჭავჭავაძის სტატია იყო. მე მახსოვს, რომ ზვიადს ძალიან გახარებია ეს გაზეთი. ...ლანჩავა მიადგა მაშინ თათის, ქალაქის კომენდანტი. არ დამავინყდება, პოსტამენტზე რომ შეხტა, ძალიან დიდი აქცია იყო მოედანზე. ვერაფრით ვერ გაგვანყვეტინა და მოვიდა ჩვენთან. მე ამას ლაპარაკი დაფუნყე და ვართობდი: რა გინდა, ბატონო გელა, რაც ზვიადს შენთვის კარგი უკეთებია, შვილი ცუდად გყავდა, ეს გაგიკეთა, ის გაგიკეთა.

ნათელა ვაჩნაძე: შვილი ცუდად ჰყავდა?

ლია ბერუაშვილი: კი. მახსოვს, რომ ზვიადმა საოცარი წამლები უშოვა და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ...რა გინდა, რას ერჩი, მე ვუთხარი, რას ერჩოდი ამ ქვეყანას და საერთოდ რა გინდა?

ნათელა ვაჩნაძე: რა გიპასუხათ?

ლია ბერუაშვილი: სულელივით იღიმებოდა. 2 სექტემბერის ერთ-ერთი ინსპირატორი გელა ლანჩავა იყო და ეს ჩვენს გაზეთში ეწერა. ...დალი და თათი იყვნენ სახლში და პოლიციის კორდონი მიადგა და თათი წაიყვანეს ლანჩავასთან.

ნათელა ვაჩნაძე: თათი რატომ?

ლია ბერუაშვილი: ეჭვი ჰქონდათ, რომ თათი იყო რედაქტორი. 2 სექტემბერზე რომ დავწერეთ, ამაზე გაგიჟდა, ეტყობა. რა თქმა უნდა, თათის იქ არ უთქვამს, რომ ჩემი დაბეჭდილია. მახსოვს, გამოსახსნელად კომენდანტურაში მე წავედი, რომ გამომეყვანა, ქალები რომ იყვნენ დაჭერილები. გელა ლანჩავას „ქართული აზრი“ მაგიდაზე ედო.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. გასცა ვილაცამ გაზეთი და თათი?

ლია ბერუაშვილი: არა, არც არავის არ გაუცია. ის არ იყო დარწმუნებული, რომ თათის გამოცემული იყო.

ნათელა ვაჩნაძე: მაინც რატომ?

ლია ბერუაშვილი: იმიტომ, რომ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: რა იყო ეს 2 სექტემბერი, თქვენი აზრით?

ლია ბერუაშვილი: 2 სექტემბერი ცნობილი ამბავია. ჩამოსულები არიან ამერიკელი კონგრესმენები...

ნათელა ვაჩნაძე: ასე არ არის საქმე, იქ სხვადასხვა აზრებია. თქვენი ვერსია თქვით. დაამთხვიეს?

ლია ბერუაშვილი: იხილებოდა დიდ სესიაზე ბალტიისპირეთის საკითხი და ამას უნდა მოჰყოლოდა ჩვენი ამბავიც. მაშინ არ ჩანდა და არ იყო ცხადი... ესენი რომ ამბობენ, რომ ყველამ სინზე დადებული მიიღო, მერე თურქმენეთიც განთავისუფლდა, არ იყო ეგრე.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ გასაგებია. ამით უნდათ დისკრედიტაცია ეროვნული მოძრაობის, ეროვნული ხელისუფლების, მათი მომხრეების დისკრედიტაცია, 9 აპრილის არაფრად ჩაგდება. აქ მთავარი სხვა რამ არის. ამერიკის კონგრესმენების ჩამოსვლის შესახებ მე ველაპარაკე ქალაქ თბილისის მილიციის – პოლიცია არ ერქვა მაშინ – სამმართველოს უფროსს, რომელმაც მითხრა, რომ მე რამდენჯერმე ვიყავიო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაშიო, პირადად ველაპარაკეო გია ჭანტურიას, ქალბატონ ირინა სარიშვილს, მამუკა გიორგაძეს და კიდევ სხვებს, ვისაც ჭკუა მოეკითხებოდათ და წამყვან პოზიციებზე იდგნენ. ათასჯერ ვთხოვეო, დავუჩოქეო, იმ დღეს ნუ იქნება, მეორე დღეს, მესამე დღეს, როცა გინდათ, როგორც გინდათ, ყოველგვარ პირობას შეგიქმნით, სადაც გინდათ ჩაატარეთ. არა, 2 სექტემბერს. ხომ იბადება ბუნებრივად კითხვა, რომ იცოდნენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ინფორმაციის ფლობის მექანიზმი აქვთ. ამას გარდა, ალექო მიქაბერიძემ შესთავაზა, რომ ვაკის პარკში წადითო. ამაზეც უარი უთხრეს.

ლია ბერუაშვილი: პროვოცირება სჭირდებოდათ. მსროლელი ვინ იყო, ეს ხომ მოსაკითხია?

ნათელა ვაჩნაძე: მაგას ვიძიებ და ვერ ვნახე ასეთი კაცი, რომელიც იტყვის, ვინ გასცა ბრძანება სროლის შესახებ.

ლია ბერუაშვილი: არ გინდათ არაფრის წაკითხვა. გადმოიღეთ პროკურატურის მასალები. თქვენ ხომ ოფიციალური მონაცემები გაინტერესებთ, რას ფიქრობს საქართველოს პროკურატურა მაგაზე. 2004 წელს გამოვიდა დადგენილება ზვიად გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებით. უამრავი საინტერესო მასალა არის იქა. 2 სექტემბერთან დაკავშირებით ჩვენებები აქვთ მიცემული ადამიანებს და ფაქტობრივი მასალა შეგიძლიათ ნახოთ.

ნათელა ვაჩნაძე: დაიჭრა ერთი ყმაწვილი, ჯავახიშვილის ქუჩა რომ იწყება, სადაც ცხოვრობდა მერაბ კოსტავა. მას მოხვდა კოჭთან ტყვია. მე ამისი მონემები მყავს, თვითმხილველები.

ლია ბერუაშვილი: ყველა მონემები და თვითმხილველები პროკურატურას დაკითხული ჰყავს. ყველა ჩვენება ჩამოყალიბებული სადღეისოდ პროკურატურას უდევს. ხელისუფლებას როცა სჭირდება, ყველა მასალა რომ უდევს, ეს ცნობილი ამბავია. სასამართლო პროცესებზე ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა დამცველი მე ვიყავი, პირველი თავისუფალი, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი დამცველი მე ვიყავი. საქმის წარმოება შეწყდა გარდაცვალების გამო და არა იმიტომ, რომ ადამიანი იყო უდანაშაულო. პროკურატურას უნდა დაენერა ეს და არა სასამართლოს.

ნათელა ვაჩნაძე: პროკურატურიდან მე ვნახე ვახტანგ რაზმაძე.

ლია ბერუაშვილი: თუ გნებავთ, მოგცემთ პროკურატურიდან აღებულ სრულ ამობეჭდილ ვარიანტს ზვიად გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებით. რეაბილიტაცია პროკურატურას უნდა მოეხდინა, იმიტომ, რომ ბრალი პროკურატურამ წაუყენა, ბრალი რაზმაძემ წაუყენა.

ნათელა ვაჩნაძე: რაზმაძე არ ამბობს.

ლია ბერუაშვილი: 4 იანვარს არის გაფორმებული დოკუმენტი. ვინ მიიყვანა ხელმოსაწერად, სხვა საქმეა, მაგრამ რაზმაძე არ იყო მაშინ პროკურორი, იყო პენსიაზე გასული ადამიანი. ეს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში მაქვს გადაგზავნილი და ეს არავის არ უარყვია. მანამდე ჩეკისტებს აღძრული აქვთ 629 საქმე, მერე იწყება პროკურატურის საქმე. ეს ბალუაშვილის ტექნიკაა. ბალუაშვილის ნაწერები წაიკითხეთ, ნახავთ იქ ყველაფერს. სულ ნომრების მიხედვით არის ჩამოლაგებული, როდის რომელი საქმე გაიხსნა. პირველი გახსნილი საქმე უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებით სწორედ რაზმაძისაა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ბალუაშვილმა დაწერა, მაგრამ რაზმაძემ ხელი მოაწერა. ისე არის ის ბრალდებები შედგენილი, რომ გინდა ასე წაიკითხავ, გინდა ისე. ხან ამბობენ, რომ ვერ დაიცვა ხელისუფლება ზვიად გამსახურდიამ, ხან ამბობენ, რომ უფლებამო-

სილებას გადააჭარბაო. იქ არის მოწმეების ჩვენებები. ეს არის პროკურატურის დასკვა, ჩემი კი არა.

ნათელა ვაჩნაძე: ორი სნაიპერი იჯდა კინოს სახლის თავზე. სნაიპერი ვინ დასვა, ეგ საკითხიც დგება.

ლია ბერუაშვილი: მე როცა დამაკავა ტერორიზმთან მებრძოლმა განყოფილებამ ჩეკისტებთან, პირველი კითხვა იყო ასეთი: ჩეკისტებს გვეძახით არა, ქალბატონო ლია? დიახ, გეძახით-მეთქი, სამწუხაროდ. მე ვერ ამიხსნით-მეთქი, მსტოვრების ინსტიტუტი როგორ ამოქაჩა დავით აღმაშენებელმა, მაგრამ აქ თქვენ ორ განყოფილებაში, ერთს რომ ივან ვასილიჩი ჰყავს და მეორეს ვასილ ივანიჩი, იცით-მეთქი, ცალკ-ცალკე რას აკეთებთ-თქო? სანამ ეს ასე იქნება, სამწუხაროდ ჩეკისტებს დაგიძახებთ-მეთქი და როცა ეს ასე არ იქნება, მსტოვრებს დაგიძახებთ და ამაყი ვიქნები, თქვენაირები რომ მყავს-თქო. ეს საუბარი იყო მანამდე, ბერიას ბუნკერებში რომ ჩამაყუდეს. ერთი 30 ჩეკისტი იყო. სუყველა მათგანი იყო ჩემთვის აღმოჩენა. ყველა მათგანი იდგა და გულზე ხელს იბრახუნებდა, რა კარგი ქართველები არიან. ჩემმა პრეზიდენტმა არ დაუჯერა მაგათ, თორემ ბევრი რამე უთხრეს. კი, მაგრამ მე ერთ ადამიანს რომ მომაგენით, სამსახურიდან წამომიყვანეთ და მაპატიმრებთ, ქალაქში იარაღიანი ადამიანები რომ დადიოდნენ, საჯარისო ნაწილები გყავდათ, ზვიად გამსახურდიას უნდა ეთქვა თქვენთვის, რომ მოუარეთ ქვეყანას და აღკვეთეთ სამართალდარღვევა-თქო?

ეს ცალკე პოლემიკის საგანია, მოვუბრუნდეთ ისევ „ქართულ აზრს“. ორჯერ იყო ურთულესი სიტუაცია დარბევებთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ მეგობრები ვიყავით, ჩვენი გამოჭერა საკმაოდ რთული ამბავი იყო. სამჯერ იყო ძალიან სახიფათო სიტუაცია, როცა შეიძლებოდა ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავყრილიყავით. სწორედ წინა დღეს აბესალომი მიუბნება, რომ ლია, გუშინ პოლიციელი რაღაც უშნოდ შემოვიდა, გავიდა, რაღაც ცუდად ათვალეირებდა აქაურობას, ცხრამეტი ნომრის ფოლგები დაგროვილი იყო და იქნება ფოლგები მაინც გავიტანოთო. ფოლგების გატანას ვერ ვბედავდი მე იქიდან, მაინც მეშინოდა, იმიტომ, რომ თვითონ გაზეთი რომ ვინმეს ენახა, ვიტყოდი, ვავრცელებ-თქო. ის მე ვარ და გავრცელება მე მეხება, მაგრამ სტამბას და ტიპოგრაფიას... რადგან აბესალომმა მითხრა, ამიტომ ესენი გავახვიე და ჩავდეთ მანქანაში. აბესალომი, გოგი კობახიძე, ბატონი ტარიელი, მუშები მიმყავდა ხოლმე სახლში, როცა გვიანობამდე შევრჩებოდით. ჯერ ბატონი ტარიელი მივიყვანე, ისიც საბურთალოზე ცხოვრობდა, მერე მივიყვანე აბესალომი. აბესალომი მივიყვანე სიგუას კორპუსში. უკვე შებინდებულია. შემეძლო სხვა მხრიდან წავსულიყავი, მაგრამ ვიჩქარე, რადგან კომენდანტის საათი იწყებოდა, თან გოგი უნდა მიმეყვანა ჯერ და სიგუას კორპუსიდან დავეში ჯაბას კორპუსისაკენ. უცბათ ქვემოდან ამოდის პოლიციის მანქანა, „კანარეიკებს“ რომ ეძახიან. მე ვაგრძელებ სვლას და ამ დროს რადიოხმა მესმის, მანქანის

ნომერს ამბობენ: 57-40 გააჩერეთ. ვაჩერებ მანქანას. ეს ადამიანი მოვიდა მანქანასთან. სანამ ეს მოვა მანქანასთან, მახსოვს, სახე გამიჩერდა, თვალები გამიჩერდა. გოგი რატომღაც იცინის. მოვტრიალდი და ვეუბნები: რა გაცინებს, შე უბედურო, ჩვენი თავი ჯანდაბას. ცხრამეტი ნომრის ფოლგები მანქანაში მიდევს და ფოლგებზე რა ჯანდაბა უნდა ვთქვა-თქო. გოგი მეუბნება: კარგი, ღია, დაწყნარდი, შენს მანქანაში არაფერი არ გვემართებაო. მოვიდა ეს ადამიანი, გამოვალე კარი და ვეუბნები: ეხლავე საბუთები, აგერ გასაღები, თუ გინდათ საბარგული დაათვალიერეთ-მეთქი. ეს ადამიანი აღმოჩნდა სრულიად... არა, რას ბრძანებთ, ქალბატონო, უთქვენოთ როგორ დავათვალიერებ თქვენს საბარგულს, როგორ გეკადრებათ, უბრალოდ დაგვავალეს, რომ ყველა მანქანის მძღოლი ვნახოთ. თქვენი საბუთები მანახეთ და მე თქვენთან პრეტენზია არა მაქვს. ბუნებრივია, საბუთები ვანახე. ეს რომ წავიდა, არ დამავიწყდება, გასაღები ხომ უნდა გადავატრიალო, გამიშეშდა ხელები და ვერ ვატრიალებ გასაღებს. მართლა გადავრჩი მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: გაზეთის სულ რამდენი ნომერია?

ღია ბერუაშვილი: 93 წლის 26 იანვარს იყო ბოლო ნომერი, სულ 70-ზე მეტი იყო. კვირაში ორჯერ ვუშვებდით საწყის ეტაპზე, მერე თვეში ერთხელ. როცა აქციები იყო, ისინი ხომ ამბობდნენ, რომ არაფერი არ მომხდარა, რომ ჭეჭყვაში... ეს ინფორმაცია ხომ უცნობი იყო. მე მაშინ ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, რომ ეს ინფორმაცია ხალხს სცოდნოდა. მე მაშინაც მქონდა ილუზია, დღესაც მაქვს და ამაზე ხელს ვერავინ ვერ ამაღებინებს. შეიძლება ადამიანმა ვერაფერი ვერ გაგიკეთოს, როცა ამ უბედურებას გაიგებს, მაგრამ თუ ეს მეთოდისა გჯერა და მიგაჩნია, რომ მშვიდობიანი ბრძოლის ფორმა სწორედ ის არის, რომ შენს ოპონენტს დაანახო, რომ შენ ხარ პირსისხლიანი, რომ არ შეიძლება ადამიანი ასეთი იყოს და მე ვარ შენი მსხვერპლი, ამაში მხარდამჭერები უნდა გყავდეს. მხარდამჭერი უნდა გყავდეს ის ადამიანი, რომელიც სახლში საჭმელს აკეთებს, შენთვის არ სცალია, მაგრამ შინაგანად შენი მომხრე უნდა იყოს. ეს არის აქსიომა მშვიდობიანი ბრძოლის ფორმის. ამ აქსიომიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო ინფორმაცია და ვიდეო. როგორ გგონიათ, ეს ვიდეოკასეტები სად მიდიოდა? პირველად ხომ მთელ საქართველოში ვრცელდებოდა. სად ჩავიტანეთ ეს კასეტები, არ იკითხავთ?

ნათელა ვაჩნაძე: გროზნოში?

ღია ბერუაშვილი: გროზნოში დაუმონტაჟებელი ერთი ეგ ზამპლარი მიდიოდა. ჩავიტანეთ მოსკოვში. მოსკოვში მივლინება მქონდა, კომპიუტერის რალაცა ნაწილი უნდა გამეკეთებინა. ირაკლი გოცირიძე იყო, ავთო იყო, დავითაია, ჩვენი მეგობრები „ჰელსინკიდან“, თათი იყო და თენგო ჩაჩავა. მთელი ეს მასალები ჩავიტანეთ და დიდი შეკრება მოვანყვეთ ჟურნალისტებისათვის. მთელი ეს ფირები ჩავიტანეთ და ვაჩვენეთ, რა ხდება საქართველოში. ნოვოდვორსკაიამ მოგვიხერხა ეგ ამბავი,

მაგასთან მქონდა ხოლმე კავშირი. ეს შეხვედრა იყო ქალაქის საბჭოს შენობაში.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა გაქვთ კავშირი ნოვოდვორსკაიასთან?

ლია ბერუაშვილი: კი, როგორ არა მაქვს კავშირი, მაგრამ შედარებით უფრო იშვიათი. მაგას ბლოკნოტი რომ უპოვეს, ჩემი გვარი ჰქონდა და ნოვოდვორსკაიას ჰგონია, რომ მე მაშინ იმიტომ დამაკავეს, რომ მაგის ბლოკნოტიდან ნახეს ჩემი გვარი. ვალერია რომ იყო აქ ჩამოსული, ის პერიოდი.

ნათელა ვაჩნაძე: მე მინახავს უნივერსიტეტის ბაღში და ისიც მინახავს, როგორ გალახეს.

ლია ბერუაშვილი: ...მთელი ეს კამპანია, სიკვდილის მუხლის გაუქმების... მაშინ ხომ ჭიდაობა იმაზე იყო, რომ ხალხი მზად არ არის სიკვდილის მუხლის გასაუქმებლად. ინიციატორი თუ არა, პეტიციების მბეჭდავიც, გამავრცელებიც, გამკეთებელიც „თავისუფალ საქართველოში“ მე ვიყავი, სამაჩაბლოს დევნილების ხელმონერები, რომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიკვდილის მუხლი უნდა გაუქმდეს. გახსოვთ, რუსები რომ იყვნენ ჩამოსულები აქა, სოფიკოს ჰყავდა ჩამოყვანილები. აღარ მახსოვს, რაღაცა ფესტივალი იყო. შუადღისას აქციაზე დაგვარბიეს და საღამოს კინოფესტივალი იყო ფილარმონიის დიდ დარბაზში. მე და ნონა დოჭვირი წავედით. მახსოვს, ძალიან ამიშალა ნერვები ფატეევამ. მერე ტუალეტში დამემალა და არ გამოდიოდა. მე ვთხოვდი, წაიღე-მეთქი შენი ხელმონერა, არავის არ სჭირდება-თქო. მახსოვს, მარდიუკოვამ ძალიან იტირა, ჩეკისტებთან ხელი მოვანერეო, სისხლი გამიშრეს და მე ვერაფერზე ხელს ვერ მოვანერო. მე სრულიად მშვიდად, წყნარად ველაპარაკებოდი: ნუ ყვირიხართ, აქ არის რუსების ხელმონერები, იმათ მოანერეს ხელი სიკვდილის მუხლის გაუქმების შესახებ. მე სიას გაჩვენებთ იმ ადამიანების, ვისაც ელოდებათ სასიკვდილო განაჩენი. გნებავთ, მოანერეთ ხელი, გნებავთ, ნუ მოანერთ ხელს. არადა, ისეთი გულამაჩუყებელი გამოსვლა ჰქონდა სცენაზე, იმიტომ გავბედე მაგასთან მისვლა. ლუჩკომ კი: ну-ка, девочки, встанте! რა თქმა უნდაო, მეო მიმაჩნიაო, რომ არ შეიძლებაო ადამიანის სიკვდილით დასჯაო. ყველა მაგათი გვარები, ვინც მოანერა ხელი, გაზეთშია დაბეჭდილი. კიდევ იყო ჟარიკოვი. ამ ჟარიკოვს მივუჯექი გვერდზე, მივანოდე ეს წერილი: რუსეთიდან დეპუტატების ხელმონერები არის აქა, რამდენიმე მსახიობისაც. გადახედეთ, წაიკითხეთ, გნებავთ, მოანერეთ ხელი, გნებავთ, ნუ მოანერთ ხელს. ამ გვარებს რომ კითხულობდა, რამდენიმე თავისი ნაცნობის გვარი ნახა და იქვე მოანერა ხელი. ძალიან თანაგიგრძნობთო, მითხრა, ჩემს ცოლთან მიდითო და ის ულაპარაკოდ მოანერს ხელსო. ამ დროს შემოვიდა ფატეევა. ესენი სუყველანი ხელს ანერენ და ფატეევამაც მოანერა. მე, რა თქმა უნდა, მანამდე ყველას ვეუბნებოდი, რას ანერდნენ ხელს, მერე რომ არ ეთქვათ, რაღაცაზე ხელი მომანერინესო. ფატეევამ მოანერა ხელი და მერე დაიწყო ყვი-

რილი: Этот ваш Звиад, მაგან გადაგვკიდა რუსები და ქართველები. მახსოვს, ვუთხარი: როგორ, ჩვენი კონფლიქტი ჩემი პრეზიდენტის ბრალია-თქო? თუ გაინტერესებს-მეთქი, ტოლსტოიზე გამოკვლევა რუსულად ზვიად გამსახურდიასი წაიკითხე, იქნება რამე გაიგო რუსული კულტურის-მეთქი. თუ თქვენ ასე ფიქრობთ, არავის სჭირდება თქვენი ხელმოწერა და წაშალეთ თქვენი ხელმოწერა-მეთქი. ეს ქალი შევარდა ტუალეტში და ტუალეტიდან რალაცა სისულელებს კივის. გამოვედი იქიდან, ეს ხელმოწერები მიჭირავს ხელში და ვხედავ, კულისებში დგას პეტრენკო. ძალიან მინდოდა პეტრენკოს ხელი მოეწერა. აჩვენებენ „ალავერდობის“ ახალ ვერსიას და პეტრენკო გაშტერებული უყურებს. მივედი და ვუთხარი: შენმა კოლეგებმა ხელი მოაწერეს, წაიკითხე რაც წერია და თუ სურვილი გაგიჩნდება, ხელი მოაწერე. წაიკითხა, მერე მომიტრიალდა და მეუბნება: если я не подпишу, вы скажите, вот приехал... მოვიდა, ჭამა, სვა და ხელიც არ მომიწერა. ავხედე და ვუთხარი: я не скажу, но подумаю-მეთქი. И думать не надо, дайте мне ручку, я сейчас-же подпишусь. მახსოვს, სანამ ხელს მოაწერდა, მოვიდა სოფიკო და ამისი ცოლი. საკმაოდ ასაკოვანი ცოლი ჰყავდა.

ნათელა ვაჩნაძე: სოფიკო რას ამბობდა?

ლია ბერუაშვილი: სოფიკოს არაფერი არ უთქვამს. თუ ამისი დახურვა უნდოდა, იქ რაციებით დარბოდნენ ჩეკისტები, ძალიან ადვილად მოახერხებდა ამ ამბავს. აი ასე გამოვიტანეთ მათი ხელმოწერები. სიკვდილით დასჯის გაუქმების კამპანია „თავისუფალ საქართველოში“ გაგრძელდა.

...კიდევ ერთხელ იყო უმძიმესი სიტუაცია. ბენზინი არ იშოვებოდა. ცხონებული თემო ჯანელიძე გროზნოში უნდა წასულიყო და ბილეთი უნდა მიმეტანა. უცბათ მოედანზე დამხვდა ბეტეერები, შერეული რეიდი იყო სამხედროების და პოლიციის ნაწილების. გაზეთი მიმქონდა გასავრცელებლად და კიდევ კარგი, რომ შეკრული მქონდა. გაზეთში გახვეულს მატანდა ხოლმე აბესალომი. მაშინ მართლა კარგად გასინჯეს იქაურობა. შემთხვევითა ვარ გადარჩენილი. ერთხელ იყო კიდევ, მე, მაია და ნანა მხედრიონს რომ გამოვექეცი. ზვიადის წერილი გვქონდა თან. მუხრანს სწერდა, რომ ძმაო, მუხრან, ჩამოდი. არავის არ ჰქონდა ეს წერილი. ჭინჭარაული უნდა წასულიყო გროზნოში და მხედრიონი გამოგვეკიდა კახეთის გზატკეცილზე.

ნათელა ვაჩნაძე: ჭინჭარაული ვინ არის?

ლია ბერუაშვილი: ერთ-ერთი დეპუტატი იყო. მაშინ სხდომები ხომ იქ იყო. გაზეთი უამრავ გაჭირვებულ ადამიანს ეხმარებოდა. ყველას მისვლა-მოსვლა გაზეთის დახმარებით ხდებოდა. თათი როცა იყო მოსკოვში წასული, რედაქტორი ანა იყო, ჭავჭავაძე.

გაზეთის თავთან დაკავშირებით იყო ერთი საინტერესო ამბავი, როგორ მოხდა ჩემი დაკავება. ზვიადის ბოლო მიმართვა იყო. 30 ცალი დისკეტა მქონდა, რომელზედაც ვწერდი ინფორმაციას. არასოდეს სამ-

სახურის კომპიუტერში ერთი სიტყვაც კი, რაც მე მჭირდებოდა, არ გამიკეთებია. საღამოა. მე და გოგი ვზივართ მართვის სისტემების ინსტიტუტში. მაშინ ბოტანიკური ლექსიკონი შემქონდა, კომპიუტერული ვერსია კეთდებოდა მაყაშვილის ლექსიკონის. ყველა ადგილი იყო ამოკეტილი, ვერსად ვერაფერს ვერ ვაკეთებდი, დენი არ იყო. იმ ერთი ტექსტის ამობეჭდვა მინდოდა. ჩემი ვინჩესტერი მქონდა, იმაში ვყრიდი ყველაფერს და მერე ვუშვებდი დასაკაბადონებლად. მახსოვს, კარები გაიღო და შემოვიდა მინდია სალუქვაძე და გურამ რამიშვილი, რომელიც, ნამდვილად ვიცი, ინიციატორი ის იყო. გურამ რამიშვილი იყო მინდია სალუქვაძის მოადგილე. ბატონმა მინდიამ თქვა, რომ სამსახურში კომპიუტერები ილუქება და ყველაფერი, რაც დევს, უნდა დაილუქოს. არის 7 ოქტომბერი, 92 წელი. მე ვუთხარი, კი, ბატონო. ჩანთაში მიდევს ჩემი დისკეტები და ხელი გავწიე, ჩანთა უნდა ავიღო და... არა, ქალბატონო ღია, დატოვეთ ყველაფერი, ყველაფერი რაც არის ოთახში, უნდა დაილუქოს. რა უნდა მექნა, მოვედი სახლში, სად წავალ. მთელი ეს მასალა, რაც გაზეთი ამიკრეფია, გამიკეთებია, ამ 30 დისკეტაში დევს, მაგრამ ვერ მიხვდნენ, რომ იქ გაზეთების მაკეტებიც იყო. იყო რჩევა, რომ წავსულიყავი, ცოტა ხანი იქნება დაიმალო. ჩემი პასუხი იყო, რომ მე ამას არ ვიზამ, იმიტომ, რომ ეხლა რომ წავიდე, მერე ამათ სულ უნდა ვემალო. თუ რაიმე მასალა მქონდა სახლში, ზოგი გავიტანე მეგობართან, ზოგი მეზობელთან, ნაწილი სარდაფში შევინახე. მაგრამ „ქართული აზრის“ თავი გადავმალე, იმიტომ, რომ ის, რაც ჩემს ხელში არ იყო, არ ვიცოდი, დარჩებოდა, თუ არ დარჩებოდა და ეს თავი კი... მივედი დილას. რა თქმა უნდა, მოლაგდა მთელი ჩეკა. მერე გავარკვიე, რომ ტერორიზმთან მეზობლი განყოფილება გახლდათ ეს. ერთ-ერთმა თქვა, რომ ფსიქოლოგი ვარო. მეოთხე სართულზე იყო ერთი ახალგაზრდა ვაჟი. ვხვდებოდი, რომ სპეცგანყოფილებასთან კავშირში იყო. რადგან ინსტიტუტში გვიანობამდე ვმუშაობდი, ეს ახალგაზრდა ხშირად გამოვივლიდა ხოლმე და მე რასაც ვფიქრობდი, იმას ვეუბნებოდი ხოლმე. დასამალი რა მქონდა. საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა ამ ადამიანთან, თუმცა ინტუიტიურად მქონდა ეჭვი, რომ ეს ბიჭი ის იყო. დახურულ დანესებულებაში ვმუშაობდი და ჩემთვის ეს გასაკვირი არ იყო. ეს ახალგაზრდა ვაჟი ჩამოიყვანეს ჩემს კომპიუტერთან. მე ვეუბნები, რომ კომპიუტერში ჩემს მასალებში პროკლამაციები არა მაქვს. შეკითხვა იყო ასეთი, მაქვს თუ არა რაიმე ამდაგვარი. ეს ბიჭი დაჯდა კომპიუტერთან. იმისი სახე არ დამავინწყდება, ძალიან აღელვებულნი, ანთლებული იყო, თვალეში ვერ მიყურებდა. ბოლოს თქვა, რომ ამ კომპიუტერის არაფერი არ ვიციო, არ იკადრა და გავიდა. ამ ბიჭის მერე შემოიყვანეს მანანა ხაჩიძე. ეხლა ინფორმატიკის მიმართულებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტში. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს იყო მისი ნათქვამი, რომ ჩვენ იქ რაღაცას ვაკეთებდით, თუმცა არასდროს მე ერთი ტექსტიც კი არ ამიკრეფია იქ. იმდენი ვქენი, რომ მა-

ნანა ხაჩიძე ავაყენებინე კომპიუტერიდან და გავაშვებინე ოთახიდან. მერე, როგორც იქნა, მე დამსვეს და პირველი, რაც გავაკეთე, ქართული დრაივერი წავშალე, რომ ქართული ტექსტები ვეღარ წაეკითხათ. რალაცეები ვაჩვენე კომპიუტერში და ავდექი. მერე ჩამოიყვანეს რამიშვილის განყოფილებიდან ვაჟა ანთიძე. კომპიუტერში მართლა არაფერი ამ მქონდა, ყველაფერი იყო ჩემს დისკეტებზე. მან თქვა, რომ დრაივერი არ არისო, მე მაქვს და ჩამოვიტანო. 8 საათის განმავლობაში ბეჭდავდნენ ამ დისკეტებს. მერე ვიცინოდი, კარგია, ნახონ, რა ქნეს და რა გააკეთეს-მეთქი. მე რომ სამსახურში ვიყავი, ჩხრეკაზე მოსულან ჩემთან სახლში. ერთ-ერთი აღმოჩნდა ჩემი ქმრის სტუდენტი, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა თურმე. ბოლოს გაირკვა, რომ მას შემწინეია გაზეთის თავი, რომელიც მე გადავმალე და ჩემი ქმრისთვის უთქვამს: მე იმიტომ ვაქტიურობდი, რომ სხვას არ ეპოვნა ესო. ...მე და გოგი წავიყვანეს ქალაქის განყოფილებაში...

ნათელა ვაჩინაძე: ვინ იყო მაშინ ქალაქის განყოფილების უფროსი?

ლია ბერუაშვილი: მიშა ოსაძე. პირველად არ ვიყავი დაკავებული და ყოველთვის, როცა მაკავებდნენ, ვამბობდი, რომ ბრალი წამიყენეთ და მერე მოგცემთ ჩვენებას. რამდენი აქციაც იყო ჩატარებული გადატრიალების მერე, მე ვიყავი მათი ორგანიზატორი და მონაწილე. არც ერთი აქციის მერე არ ამცდენია დაკავება. ერთი რამ იყო საოცარი. საკმარისი იყო პოლიციელისთვის გვარი და სახელი გეკითხა, წამხდარი იყო ნებისმიერი მათგანი, იმ წუთშივე სხვანაირები ხდებოდნენ. გოგისთან დაკავშირებით ვთქვი, რომ კომპიუტერზე პასუხისმგებელი ვარ მე, რომ გოგი კობახიძე არის თანამშრომელი, რომელსაც შეჰქონდა ბოტანიკური ლექსიკონი, რომ ის არაფერ შუაში არ არის, რომ მას ჰყავს ავადმყოფი ცოლი და უნდა გაუშვათ. აქ ვარ მე, ყველაფერი ხელში მიჭირავს და ამისი პასუხისმგებელი ვარ მე. არ დაიჯერებთ და გოგი სახლში გაუშვეს. ...მე ეხლაც იგივე ვუთხარი: მითხარით, რაში მედება ბრალი და მერე დავიწყებ წერას-მეთქი. მახსოვს, ერთი თავხელიძე იყო, ცნობილი მცემელი, ყოფილი ედუკელი. საშინელებებს აკეთებდა, ციხეში წინასწარი დაკითხვების დროს ხალხს სცემდა. ეს თავხელიძე იყო იქა. მიშა ოსაძეს ჩემი ტექსტები წინ უღაგია. საიდან თქვენ ზვიად გამსახურდიას ტექსტი, რომელიც არსად არ გამოქვეყნებულა და არ დაბეჭდილა? ეს იყო პირველი შეკითხვა. ამაზე ვუპასუხე: რადგან დამაკავებთ, შეიძლება ვიცოდე, ვის ველაპარაკები-მეთქი? და წახდა. რა თქმა უნდა, მიპასუხა, მიშა ოსაძესო. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას მიმართვას და ყველაფერ იმას, რასაც აქ უყურებთ, ეს არის ჩემი პირადი დისკეტები-მეთქი. მე გარდა იმისა, რომ ვარ თანამშრომელი, ვარ მოქალაქე, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი და ჰელსინკის კავშირის წევრი და ჩემი მოქალაქეობრივი ვალია ადამიანების უფლებების დაცვა. მე მზადა ვარ ნებისმიერი სამსჯავროს წინაშე პასუხი ვაგო-მეთქი. 30 მამაკაცი იჯდა, მარტო მე ვიყავი ქალი. რომ

გითხრათ, არ მეშინოდა, ტყუილი იქნება. მთელი სხეული მიკანკალებდა, მაგრამ ვცდილობდი, რომ ხმა მქონოდა ჩვეულებრივი. ამ თავხელიძემ თქვა: ხომ გითხარით, ამასთან ლაპარაკს აზრი არ აქვსო და მუშტი მოიქნია. ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენს გაზეთში ხშირად არის დამონმებული გაზეთი „საქართველოს ცის ქვეშ“, რომ იქიდან არის ინფორმაცია გადმობეჭდილი.

ლია ბერუაშვილი: „საქართველოს ცის ქვეშ“ გამოდიოდა გროზნოში. ...ისევ ოსაძეზე გადავალ. ბევრი ლაპარაკის მერე მითხრეს, რომ პროკურატურას აქვს ჩემთან პრეტენზია. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა ბალუაშვილი. ბალუაშვილისთვის სისხლი მქონდა გამშრალი. ფრაზა არ უთქვამს ბალუაშვილს, რომ არ დამებეჭდა. არასდროს არაფერი გადაჭარბებული არ დამინერია, არავითარი ემოცია არ დამიყოლებია არსად. ...შემოვიდა ბალუაშვილი. მე ვკითხე: ბატონო ანზორ, რა პრეტენზიები აქვს საქართველოს პროკურატურას ჩემთან-მეთქი? მე რასაც იქ ვლაპარაკობდი, გულწრფელად ვამბობ, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხვა ლაპარაკობდა ჩემი ხმით, მე არ ვლაპარაკობდი. ამ საუბრის შემდეგ თავხელიძემ მომკიდა ხელი და ჩამაყუდა ბერიას ბუნკერებში, რკინიგზის სამმართველოს პოლიციის განყოფილება რომ იყო. ოთხი დღის განმავლობაში ჩემმა ოჯახმა არ იცოდა, სად ვიყავი. იქ შიმშილობა გამოვაცხადე, ბრალი წამიყენონ, მე აქ უკანონოდ ვზივარ-თქო. იქ ვნახე ნოვოდვორსკაია. მშრალი შიმშილობა ჰქონდა გამოცხადებული. მერე ატყდა ერთი ამბავი, მერე შევიდა მაიკლ ლოქსი შევარდნაძესთან, ჩემი ნახვა უნდოდა. შევარდნაძემ ხელეები გაასავსავა, ვისზე მელაპარაკებით, არ ვიციო. მესამე დღეს გამომიშვეს ჩეკადან.



## ბესარიონ გუგუშვილი (ესაუბრა მაია გურაბანიძე)

2008 წლის ივნისი

მაია გურაბანიძე: ბატონო ბესარიონ, ჩვენმა ჯგუფმა 2006 წელს მიიღო სამეცნიერო გრანტი, რომლის სათაურია: „დამარცხებული საქართველო (1991-1992 წლების თბილისის მოვლენები)“. ეს თემა, სამწუხაროდ, არ არის მეცნიერულად შესწავლილი. თქვენ ბრძანდებოდით ეროვნული ხელისუფლების პერიოდში პრემიერ-მინისტრი და სწორედ იმ დროს იყავით ხელისუფლებაში, როდესაც ეს ტრაგედია დატრიალდა. ამიტომ თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩვენთვის მეტად ღირებული იქნება. სანამ დაგისვამდეთ კითხვებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მანამდე, თუ შეიძლება, გვითხარით თქვენი გავლილი ცხოვრების შესახებ: სად დაიბადეთ, რა განათლება მიიღეთ, სად მუშაობდით, ღებულობდით თუ არა მონაწილეობას ეროვნულ მოძრაობაში, იყავით თუ არა რომელიმე პარტიის წევრი, ეროვნულ ხელისუფლებაში რა თანამდებობები გეკავათ და ა. შ., რათა მომავალ თაობებს წარმოდგენა შეეძინათ თქვენი პიროვნების შესახებ.

ბესარიონ გუგუშვილი: ქ. თბილისი, 1945 წლის 5 მაისი.

საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო კინოკორპორაციის პრეზიდენტი, საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი.

- 1962-1964 – თსუ-ის ფინანსებისა და კრედიტის ფაკულტეტი – სტუდენტი;
- 1964-1967 – თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, თურქოლოგია – სტუდენტი;
- 1967-1971 – თსუ-ის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრა – ასპირანტი;
- 1967-1971 – თბილისის უცხო ენების ინსტიტუტი – ინგლისური ენა და ლიტერატურა – სტუდენტი;
- 1971 – საკანდიდატო დისერტაცია „თურქეთის მრეწველობის ტერიტორიულ-სივრცობრივი განვითარება მეოცე საუკუნეში“;
- 1971-1990 – თსუ-ის მასწავლებელი, დოცენტი – სსრკ და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გეოგრაფია, სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, სახალხო მეურნეობის ისტორია, ბურჟუაზიული ეკონომიკური თეორიების ისტორია, სივრცობრივი დაგეგმვა, ინფორმატიკა;
- 1973-1990 – მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის ცენტრის ეკონომიკის განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე, კომპიუტერიზებული საინფორმაციო სისტემის მთავარი კონსტრუქტორი;

- 1976-1990 – მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული დარგების კომპიუტერიზებული საინფორმაციო სისტემის მთავარი კონსტრუქტორი;
- 1984-1985 – სსრკ აკადემიის ინფორმატიკის უმაღლესი კურსები: სისტემური ანალიზი – კურსანტი, დიპლომანტი;
- 1985-1987 – სსრკ აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დოქტორანტურა – ეკონომიკის სივრცობრივი დაგეგმვა;
- 1987-1990 – კომპიუტერული ტექნოლოგიების (პირველი ქართული კომპიუტერული ფონტები და კომპიუტერიზებული ქართულენოვანი სასტამბო-საგამომცემლო სისტემები, კომპიუტერის მეშვეობით მპზადებული პირველი ქართული გაზეთი) – საქართველოში პირველი ჰაი-ტექ კერძო და ფრიად წარმატებული ფირმის (კოოპერატივის) „ინფოტექ“-ის მესაკუთრე (ფირმა აფინანსებდა ეროვნულ მოძრაობასა და სამაჩაბლოში მებრძოლ რაზმებს);
- 1990-1991 – კულტურის მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო კინოკორპორაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (სახელმწიფო კინოგაქირავება და კინოსტუდია „ქართული ფილმი“ გარდაიქმნა შერეულ სახელმწიფო-კერძო სააქციო ფირმების გაერთიანებად) – მთელ ყოფილ სოციალისტურ სივრცეში პირველი კერძო, პრივატული შემოქმედებითი ფირმების სახელმწიფოს მიერ დაფუძნება-ინვესტირება-წახალისების ინიციატორი და რელიზატორი (ე. წ. „შვედური მოდელით“);
- 1990-... – „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ გამგეობის წევრი, „მრგვალი მაგიდის“ წევრი;
- 1991-... – საქართველოს ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი (პოსტი შემოღებული იქნა 1991 წლის 26 აგვისტოს სახელისუფლებო სისტემის რეორგანიზაციისას. ამდენად, დაზუსტებით, საქართველოს ისტორიაში პირველი პრემიერ-მინისტრი) – „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის“ და „გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო კაპიტალიზმის“ დოქტრინა. მთელ ყოფილ სოციალისტურ სივრცეში პირველი საპრივატიზაციო აქტის ინიციატორი და შემსრულებელი (ღია, საჯარო აუქციონის წესით სახელმწიფო სანარმოს გაყიდვის, პრივატიზების პირველი შემთხვევა!);
- 1992-1994 – იჩქერიის პრეზიდენტ ჯ. დუდაევის ეკონომიკური მრჩეველი, იჩქერიის სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი, იჩქერიის მინისტრთა კაბინეტის წევრი („სამხედრო“, ანუ „საომარი, საალყო“ ეკონომიკის მოდელის წარმატებული პრაქტიკული რეალიზება).

მაია გურაბანიძე: როგორც თქვენ ბრძანეთ, ეროვნული ხელისუფლების პერიოდში, სანამ პრემიერ-მინისტრი გახდებოდით, თქვენ იყავით სახელმწიფო კინოკორპორაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. თქვენმა დანიშვნამ ამ თანამდებობაზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კინემატოგრაფისტთა შორის. მე მახსოვს თქვენი პირველი ვიზიტი კინემე-

ტოგრაფისტთა კავშირში. ამის შესახებ ფილმიც იყო გადაღებული, რომელიც მაშინ აქტიურად ვრცელდებოდა ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში. მას შემდეგ, რაც ეროვნული ხელისუფლება დაემხო, ეს ფილმი ტელევიზიით აჩვენეს, როგორც მაგალითი იმისა, თუ რა არაკომპეტენტური კადრებით იყო დაკომპლექტებული ეროვნული ხელისუფლების ნებისმიერი რგოლი. პრეზიდენტში სხედხართ თქვენ, ბატონი გიორგი მარჯანიშვილი და ბატონი ალექსანდრე ჟღენტი. ჩანს, რომ არის ძალიან დიდი ვნებათაღელვა, რომელიც გამონვეული იყო თქვენს მიერ დაგეგმილი რეფორმებით. თქვენ გადანაშაულებდნენ იმაში, რომ ასეთი სახის რეფორმები გამოიწვევდა ქართული კინოხელოვნების ნგრევას. რა სახის რეფორმები იყო ეს და რატომ იყო მათი გატარება აუცილებელი? ამან ხომ ძალიან დიდი ბიძგი მისცა იმას, რასაც ჰქვია დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის?

ბესარიონ გუგუშვილი: 1991 წლის პუტჩის წინა პერიოდში ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ კრიმინალური ოპოზიციის მიერ წარმოებული ერთ-ერთი პროპაგანდისტული ხრიკი იყო ე. წ. „ომი“ ქართულ კინემატოგრაფში. ეროვნულ ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ ვითომ ქართული კინოხელოვნების დაკნინებას. ეს უშუალოდ დაუკავშირეს საქართველოს სახელმწიფო კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარედ ჩემს დანიშვნას და შემდგომ ამ კომიტეტის სახელმწიფო კინოკოორპორაციად გარდაქმნას.

ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთი დიდი და რთული წამოწყება იყო საქართველოს კინომრეწველობის საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი რეფორმა, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველი მასშტაბური საბაზრო ხასიათის ეკონომიკური რეფორმა იყო. კომპარტიის მიერ კონტროლირებად საბჭოთა სისტემაში მიღებული იყო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ასეთი სქემა: კინოგაქირავებიდან (კინოთეატრებიდან, კლუბებიდან და ა. შ.) შემოსული თანხები მთლიანად გადაირიცხებოდა საკავშირო ბიუჯეტში, ხოლო შემდეგ კი ფილმების გადაღების დაფინანსება საკავშირო ბიუჯეტიდან ხდებოდა საბჭოთა ცენტრის პარტიული ნომენკლატურის ნება-სურვილის შესაბამისად. ამრიგად, ქართული კინომრეწველობა ფინანსურად (ასევე იდეოლოგიურად) მთლიანად დამოკიდებული იყო საკავშირო სისტემაზე.

ქართული კინოს რეფორმამ სიტუაცია კარდინალურად შეცვალა: შეიქმნა სახელმწიფო კინოკოორპორაცია, რომელსაც პირდაპირ გადაეცა კინოგაქირავებიდან შემოსული მთელი ფულადი შემოსავალი. ამას გარდა, კინოკოორპორაციას მიეცა უფლება პირდაპირ გაეყიდა უცხოეთში ქართული ფილმები და ეს შემოსავალიც კინოკოორპორაციას ერიცხებოდა. ამით დამოუკიდებელი საქართველოს კინოინდუსტრია ფინანსურად დამოუკიდებელი გახდა კრემლისაგან და საკუთარი შე-

მოსავლების წყარო გაუჩნდა. ქართული კინემატოგრაფი განთავისუფლდა აგრეთვე საკავშირო ცენტრის იდეოლოგიური კონტროლისაგანაც. ამას გარდა, კინოკორპორაციის შესახებ მიღებულ კანონში ჩაინერა, რომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს წლიურად რამდენიმე ფილმის დამატებით დაფინანსებას, ანუ გარანტიას აძლევს კინოკორპორაციას, რომ მას, კინოგაქირავებიდან შემოსული ფულის გარდა, მიეცემა კიდევ დამატებით სახელმწიფო დაკვეთისათვის (რამდენიმე ფილმისთვის) საკმარისი ფული. ამით ეროვნულმა სახელმწიფომ ქართული კინოინდუსტრიისათვის მყარი და გარანტირებული ფინანსური ბაზისი შექმნა, რათა პატარა სახელმწიფოში, რომელსაც ძალზე მცირე კინობაზარი გააჩნია, უსახსრობის გამო არ ჩამკვდარიყო ქართული მხატვრული ფილმების წარმოება.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საკუთრივ კინოკორპორაციის ორგანიზაციული სტრუქტურის რეფორმა: კინოკორპორაციის შიგნით დაარსდა კერძო (პრივატული) შემოქმედებითი კინოკომპანიები, რომლებსაც კინოკორპორაციამ გამოუყო, აჩუქა უპროცენტოდ და უპირობოდ სანყისი კაპიტალი, საკმარისი იმისათვის, რომ ამ კინოკომპანიებს მუშაობა დაეწყოთ (ასეთი რამ არსად არ მომხდარა, რომ კერძო კომპანიები სახელმწიფოს ნაჩუქარი ფულით დაარსებულიყვნენ). შემოქმედებით კინოკომპანიებს ნება დაერთოთ ფილმები გადაეღოთ გარეთ მოპოვებული ფინანსებითაც (კრედიტი, დახმარება, სპონსორი), მაგრამ კინოგადაღებების მთავარი წყარო რჩებოდა კინოკორპორაციის შემოსავლები. რეფორმის შემდეგ ამ შემოსავლებით კინოგადაღებების საკითხს წყვეტდა არა კინოკორპორაციის პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭო, რომელშიც ყველა კერძო კინოსტუდიის დირექტორები შედიოდნენ, არამედ კინოკორპორაციის სამხატვრო საბჭო. სამხატვრო საბჭოს კი ირჩევდა ფარული კენჭისყრით კინორეჟისორთა კრება, რომელშიც ყველა რეგისტრირებული კინორეჟისორი იღებდა მონაწილეობას. კინოკორპორაციის სამხატვრო საბჭოს ფართო, დემოკრატიულ ბაზისზე დაფუძნება უნდა გამხდარიყო ამ დარგში პლურალისტური და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების გარანტია. ამდენად, რეფორმების შედეგად სახელმწიფო კინოკორპორაციაში მკვეთრად გაიყო ეკონომიკური და შემოქმედებითი დარგები. ეკონომიკური სტრუქტურების საქმე იყო ფულის შოვნა, ხოლო შემოქმედებითი სტრუქტურების საქმე იყო ამ ნაშოვარი ფულით ფილმების გადაღება. საკუთრივ შემოქმედებითი სფერო მთლიანად კინოხელოვანთა ნება-სურვილს ახორციელებდა და თავისუფალი გახდა სახელმწიფო მოხელეთა ჩარევისაგან. ახლადგებული ფინანსური სისტემა, მარტივად თუ წარმოვადგენთ, ასეთი იყო: ყოველწლიურად კინოკორპორაცია (ანუ სახელმწიფო) სამხატვრო საბჭოს გადასცემდა რამდენიმე ფილმისათვის საკმარის თანხებს, ხოლო ამ თანხებით კი, ვინ და რას გადაიღებდა, წყვეტდა სამხატვრო საბჭო. შემოქმედებითი კინოს-

ტუდიები აბსოლუტურად დამოუკიდებელი გახდნენ შემოქმედებითად და ფინანსურად. მეტიც, კინოსტუდიებს გადაეცათ მფლობელობაში მათში შემავალი რეჟისორების მიერ უკვე გადაღებული ფილმები და ამ ფილმებიდან მიღებული შემოსავალი! კინოკორპორაციაში შედიოდნენ, შემოქმედებითი პრივატული სტუდიების გარდა, კინონარმოების კომერციული ობიექტებიც: ფირის დამუშავების, ხმის ჩამწერი და ასე შემდეგ საწარმოები, რომლებიც ასევე კერძო საწარმოებს წარმოადგენდნენ. ამას გარდა, საქართველომ შეწყვიტა ნახმარი ფირის საკავშირო სისტემისათვის ჩაბარება და თვითონ დაიწყო ამ ფირის უტილიზება, რაც კინოკორპორაციას წლიურად რამდენიმე ასეულ კილოგრამ სუფთა ვერცხლსა და ათობით ტონა ლავსანის ბოჭკოსათვის საჭირო მასალას აძლევდა. სახელმწიფო კინოკორპორაციისაგან გარანტირებულ ფასებში ყიდულობდა ვერცხლსა და პლასტიკს და ამით კინოკორპორაციას დამატებითი საკამოდ დიდი ფულადი რესურსი უჩნდებოდა. კინოინდუსტრიის ეს რეფორმა უნიკალური იყო მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეში და გააფთრებული ვითომ კრიტიკის მიუხედავად, პრაქტიკულად უცვლელი დატოვეს პუტჩის შემდგომაც, რამდენადაც ვერ შეძლეს საბოლოოდ დაეთრგუნათ უკვე შექმნილი პრივატული სტუდიები და საწარმოები (მას მხოლოდ სახელი შეუცვალეს). შესახედად და ვიზუალურად ქართული კინემატოგრაფის რეფორმით გამოწვეული ცვლილება ასე გამოიყურებოდა: იმ კაბინეტში, რომელშიც ათობით წელი უცვლელად იჯდა კინორეჟისორი და შეთავსებით კინოდიქტატორი რეზო ჩხეიძე, დაჯდა ნიჭიერი და უპრეტენზიო ეკონომისტი და ბიზნესმენი ბატონი ზურაბ რევიშვილი (რომელიც, რა თქმა უნდა, არ აპირებდა თვითონ რაიმე ფილმის გადაღებას), ხოლო რ. ჩხეიძეს მიეცა შესაძლებლობა მთელი თავისი დრო და ენერჯია დაეთმო შემოქმედებითი წვისათვის (რომლისთვისაც, როგორც შემდგომ გაირკვა, მას სულიერი სანჯავი არ გააჩნდა). უნიჭო კინოელიტას მოესპო ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედთა ექსპლუატაციის საშუალება, ვინაიდან ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება საკუთარი დამოუკიდებელი კინოკომპანიები შეექმნათ და ელიტისაგან დამოუკიდებლად მიეღოთ დაფინანსება, მაგრამ ასეთი დემოკრატიული, ლიბერალური და ხელოვნების წამახალისებელი კინორეფორმის შემდეგ კინოელიტა აჯანყდა.

მაია გურაბანიძე: რატომ? რამ გამოიწვია მათი ასეთი უკმაყოფილება?

ბესარიონ გუგუშვილი: კინოელიტამ დაკარგა გავლენა კინოინდუსტრიაზე და მოისპო კინონომენკლატურის დიქტატურა, რამდენადაც ფილმების გადაღების საკითხს ფარული კენჭისყრით უკვე დემოკრატიულად არჩეული სამხატვრო საბჭო წყვეტდა! ამას გარდა, კინონომენკლატურას მოესპო დაუსჯელი ქურდობის შესაძლებლობა, რამდენადაც კინომრეწველობის ისეთი საწარმოები, როგორიც იყო ფირის დამუშავება, კოსტუმების დამზადება, ხის დეკორაციების დამზადება და სხვ., დამოუკიდებელი კერძო საწარმოები გახდნენ. კინოინდუსტრიის

რეფორმის პერიოდში ჩატარებულმა რევიზიამ ცხადყო კინოელიტის მიერ ჩადენილი უმახინჯესი დარღვევები და კრიმინალი:

მაია გურაბანიძე: ძალიან მძიმე ბრალდებაა, ბატონო ბესარიონ.

ბესარიონ გუგუშვილი: მაგალითად, ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას ჩამონერილი იყო ისეთი ოდენობის ტყავის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რესპუბლიკაში. გამოირკვა, რომ წლიდან-წლამდე, ვითომ დეკორაციებისათვის, საბაზრო ფასებში მოსკოვ-ლენინგრადის საკომისიოებსა და კერძო ვაჭრებისაგან ყიდულობდნენ უძვირფასეს ანტიკვარულ ავეჯს, იარაღსა და ჭურჭელს, რომელსაც შემდეგ უხმარად ჩამონერდნენ და სახლში მიჰქონდათ (ქურდობდნენ). ასევე, ვითომ კინოგადაღებისათვის ყიდულობდნენ ძვირფას მსუბუქ ავტომობილებს, რომლებიც თითქმის უხმარები ჩამოინერებოდა და კაპიკებად მიეყიდებოდა კინოელიტას. ერთ-ერთი კინოს გადაღებისას რამდენჯერმე ააშენეს ზღვის ნაპირას ძვირფასი ხის სახლი, რომელიც ყოველ ჯერზე თურმე აღელვებულ ზღვას გაუტაცნია ისე, რომ ერთი მეტრი ფირის გადაღებაც ვერ მოუსწრიათ. წლიდან წლამდე უძვირფასესი აპარატურა იატაკქვეშა კრიმინალური გარიგებებით გატანილი იყო საწყობებიდან და მიექირავებოდა რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების კინოსტუდიებს. ასევე უხმარად ჩამოინერებოდა დიდძალი გადაუღები უცხოური ძვირფასი კინოფირი და კრიმინალური გარიგებით მიეყიდებოდა საქართველოს გარეთ კინოფირმებს. ამას გარდა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კინონდუსტრიაში რეფორმის ჩატარებამდე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საწარმოო ბაზა დილომში გადაქცეული იყო კრიმინალური შეიარაღებული დაჯგუფება „მხედრიონისა“ და სხვა კრიმინალური შეიარაღებული დაჯგუფებების საყრდენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად. რეფორმის შემდგომ ამ კრიმინალურ დაჯგუფებებს აქ ფეხი ამოეკვეთათ, რაც, რა თქმა უნდა, ფრიად მტკივნეულად აღიქვეს პუტჩის მზადებაში აქტიურად ჩაბმულმა პუტჩისტმა კინონომენკლატურელებმა. და ბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ პუტჩის წინა და უშუალოდ პუტჩის შემდგომ პერიოდში კინოსისტემაში მომხდარი ეს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე „ინციდენტი“, ანუ ფართოდ გახმაურებული „ომი“ (შემდგომ არც ერთხელ არ უხსენებიათ და საერთოდ დაასამარეს, იმდენად არამომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა კინონომენკლატურა) ვითომ არც მომხდარა.

მაია გურაბანიძე: მოწინააღმდეგეების გარდა კინოკორპორაციაში თუ იყვნენ ისეთები, რომლებიც თქვენს მიერ გატარებულ რეფორმებს უჭერდნენ მხარს?

ბესარიონ გუგუშვილი: საგანგებოდ და მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კინოკორპორაციის ასობით რიგითი მუშაკი და თანამშრომელი მთელი პუტჩის წინა და პუტჩის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერ მიტინგებსა და მსვლელო-

ბებში. მრავალი მათგანი პუტჩის შემდგომ ამისათვის შეავინროვეს და დაჩაგრეს.

მაია გურაბანიძე: ეროვნულ ხელისუფლებას დღემდე ბევრ ბრალდებას უყენებენ. ერთ-ერთი ასეთი ბრალდებაა, რომ გამსახურდიამ დაავიანა, შეაფერხა პრივატიზაციის პროცესი და ამით დალუპა საქართველოს ეკონომიკაო. ბატონი თენგიზ სიგუა ამბობს, რომ ჩვენ ხალხს მივეცი ამისი პირობა, ჩვენს სამოქმედო პროგრამაში ეს ეწერა, გამსახურდიამ კი ეს პირობა დაარღვია და ხალხი მოატყუაო. რას იტყვით ამ ბრალდების შესახებ? რატომ შეფერხდა პრივატიზაციის პროცესი?

ბესარიონ გუგუშვილი: ეროვნული ხელისუფლების დამყარებისას (1990 წლის ნოემბერი) პრივატიზების პროცესისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა იყო. ამდენად, პრივატიზების პროცესის დაწყებისათვის აუცილებელი და სავალდებულო იყო საქართველოსა და სსრკ-ს შორის ქონების (ფაბრიკა-ქარხნები, მაღაზიები, საწყობები და სხვ.) გამიჯვნა, რასაც სსრკ-ის ცენტრი არ ახორციელებდა. ასეთი გამიჯვნის გარეშე კი ნებისმიერი ქონების დაპრივატიზება საქართველოს მიერ წინააღმდეგობაში მოდიოდა სსრკ-ის კანონმდებლობასთან და მას, შესაძლოა, მოჰყოლოდა სსრკ-ის „სამართალდამცავი და ძალის სტრუქტურების“ მხრივ რეპრესიები როგორც მთლიანად საქართველოს მიმართ, აგრეთვე დაპრივატიზებაში ჩაბმული კერძო მოქალაქეების მიმართ. პრივატიზებას იურიდიულ საფუძველს უსუსტებდა აგრეთვე ის ფაქტორები, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა და მოქალაქეობა. მაგრამ საქართველოში დაწყებული იყო ინტენსიური მზადება პრივატიზების პროცესისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნისათვის და დაიწყო საცდელი პრივატიზება გამოცდილების მიღების მიზნით.

მაია გურაბანიძე: რა ნაბიჯები იქნა გადადგმული ეროვნული ხელისუფლების მიერ, რათა საქართველოში განხორციელებულიყო ეკონომიკური რეფორმა, ქვეყანა გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე? შეიქმნა თუ არა ამისათვის რაიმე საკანონმდებლო ბაზა?

ბესარიონ გუგუშვილი: 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველმა სესიამ საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლების მომზადებისათვის ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“, რამაც მყარი იურიდიული საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ რეფორმას. 1991 წლის 26 მაისს სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების დაწყების მიზნით მიღებული იქნა არაერთი კანონი, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული

ბანკის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანარმოთა პრივატიზაციის შესახებ“, „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ და სხვ. 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს რესპუბლიკის წილის შესახებ, რომლის თანახმადაც, საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაავალა მინისტრთა კაბინეტს დაეწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრების არსებულ ქონებაში (ოქროსა და ალმასის ფონდები, სავალუტო რეზერვები, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, თავდაცვის ობიექტები და სხვ.) საქართველოს წილის განსაზღვრისა და მისი მიღების პირობების შესახებ, ასევე, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვალებში საქართველოს რესპუბლიკის წილის განსაზღვრისა და აღებული ვალდებულებების შესრულების წესებისა და პირობების შესახებ.

უზენაესი საბჭოს კომისიებსა და მინისტრთა საბჭოში (შემდგომ მინისტრთა კაბინეტში) მიმდინარეობდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ინტენსიური შესამზადებელი სამუშაოები. არავითარი გამოცდილება, მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია აღნიშნული პერიოდისათვის მსოფლიო მასშტაბით არ არსებობდა. შეიქმნა შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურები და დაიწყო მათი მომზადება, შემზადდა ნაიდაგი და შეიქმნა საწყისი სტრუქტურები ეროვნული ხელისუფლების პერიოდში.

მაია გურაბანიძე: როგორ მიმდინარეობდა პრივატიზაციის პროცესი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში? იქ უკეთესი ვითარება იყო?

ბესარიონ გუგუშვილი: დეტალურ ინფორმაციას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პრივატიზების პროცესზე იძლევა „მსოფლიო ბანკის“ „პრივატიზების მონაცემთა ბაზა“. <http://rru.worldbank.org/Privatization/>. მის შესაბამისად პირველი საცდელი პრივატიზებები ჩაატარეს ისეთმა მოწინავე ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა, როგორებიც იყვნენ „ევროკავშირის“ კანდიდატები ესტონეთი, ლატვია და ლიტვა:

- ესტონეთი 1992 წ. – „Manufacturing & Services Eestii Piim-Est Milk Ltd“ (ამ წელს მხოლოდ ერთი სანარმო – რძის კომბინატი);
- ლატვია 1992 წ. – „Manufacturing & Services Aldaris“ (ამ წელს მხოლოდ ერთი სანარმო – ლუდის კომბინატი. შემდგომი აქტები მხოლოდ 1994 წელს);
- ლიტვა 1992 წ. – „Manufacturing & Services Hotel Meguva“ (სულ ამ წელს 4 ობიექტი – 1 სასტუმრო, დანარჩენი – საპარიკმახერო, რესტორანი). ბალტიის სამივე მოწინავე და სამაგალითო რესპუბლიკამ 1992 წელს გააპრივატა ჯამში: 6 მცირე და საშუალო ზომის სანარმო.

1990 ან 1991 წელს ბალტიის არც ერთ რესპუბლიკას (ისევე როგორც სხვებს) პრივატიზების არც ერთი შემთხვევა არ ჰქონი-

ათ! საქართველოში კი პრივატიზების პირველი აქტი მოესწრო ჯერ კიდევ 1991 წელს (სამაჩაბლოში სსრკ-ის მიერ გაჩაღებული ომის, კატასტროფული მიწისძვრისა და „მცოცავი პუტჩის“ პირობებში), ხოლო ჯამში – 1991 წლის საპრივატიზაციო სიაში რამდენიმე ათეული ობიექტი იყო. „სამწუხაროდ“, ანუ სპეციალურად „მსოფლიო ბანკის“ საქართველოს მონაცემთა ბაზაში მალაზია „გოლიათის“ 1991 წლის ოქტომბერში ღია საჯარო ვაჭრობით – აუქციონით – დაპრივატიზება არაა დაფიქსირებული, რომელიც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პრივატიზების პირველ აქტს წარმოადგენდა, ანუ მიჩქმალულია საქართველოს პიონერული როლი! ამას გარდა, ჯერ კიდევ 1991 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა ფართომასშტაბიანი პრივატიზაციული ხასიათის ეკონომიკურ რეფორმა საქართველოს კინემატოგრაფიულ მრეწველობაში, როდესაც სახელმწიფო კინოკორპორაციის შიგნით შეიქმნა რამდენიმე კერძო-პრივატიზებული საწარმო, რომლებსაც პრივატიზულ სანყისებზე გადაეცათ შესაბამისი საწარმოო სიმძლავრეები და ფინანსური რესურსები.

დასკვნა: საქართველოს ეროვნული ხელისუფლება არა თუ არ ჩამორჩებოდა, არამედ უსწრებდა ყველა სხვა რესპუბლიკებს პრივატიზების დარგში, ისევე როგორც რეფორმების ყველა სხვა მიმართულებაში.

მაია გურაბანიძე: ბატონო ბესარიონ, თქვენ წელან ახსენეთ „გარდამავალი პერიოდი“. რის გაკეთებას გეგმავდით ამ პერიოდში და რა მიზნები გქონდათ? რა პოლიტიკური და ეკონომიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა „გარდამავალი პერიოდი“?

ბესარიონ გუგუშვილი: საქართველოს 1990-1991 წლების მდგომარეობის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ქვეყნისა და სახელმწიფოს სპეციფიური, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ ქვეყნად თანდათანობითი გადაქცევის თავისებურებები. ახლა ბევრს ისე წარმოუდგენია თითქოს ან უზენაესი საბჭოს არჩევნებით 1990 წელს, ან დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის ჩატარებით, ან თუნდაც დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღებისთანავე საქართველო უცებ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

„მრგვალი მაგიდისა“ და ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკური პლატფორმა ეფუძნებოდა „გარდამავალი პერიოდის“ იდეას, დოქტრინას. „გარდამავალ პერიოდში“ უნდა შექმნილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები. ამ დოქტრინით, ფაქტობრივად, უზენაესი საბჭო ცხადდებოდა „გარდამავალ პერიოდში ერის ნების გამომხატველ ერთადერთ ორგანოდ“. მას ჰქონდა უმაღლესი საკანონმდებლო ფუნქცია და ითავსებდა „გარეშე ძალისადმი ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის განხორციელების იურიდიული ინსტიტუტის სტა-

ტუსსაც“. ამდენად, თვით საქართველოს საკანონმდებლო ორგანოც კი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ინსტიტუციას წარმოადგენდა.

„გარდამავალი პერიოდი“ დამთავრებოდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ქვეყნები და საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობდნენ. ამის შემდგომ უნდა დანიშნულიყო დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს პარლამენტის ახალი, დემოკრატიული არჩევნები.

„გარდამავალ პერიოდში“ უნდა მომხდარიყო არსებული საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემის, მისი შემადგენელი სტრუქტურების „თანდათანობითი დემონტაჟი“ და ისინი უნდა შეეცვალა „დემოკრატიულ სტრუქტურებს“, ანუ „გარდამავალ პერიოდში“ იგულისხმებოდა და ფაქტობრივად მოქმედებდა ერთი მხრივ საბჭოთა კანონები და სტრუქტურები, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი კანონები და სტრუქტურები.

სწორედ „გარდამავალი პერიოდის“ მანძილზე გარკვეულ დროში უნდა მომზადებულიყო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები, განსხვავებით რეფერენდუმით განმტკიცებული და უზენაესი საბჭოს მხრივ დეკლარირებული ცალმხრივი, თვითდეკლარირებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაგან.

ფრიად ნიშანდობლივია, მაგალითად, „გარდამავალი პერიოდის“ თვალსაზრისით „საქართველოს სსრ“ კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესწორება, რომლის მიხედვითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ პერიოდში ქართული სახელმწიფო ორ კარდინალურად განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებს შორის იყო.

„გარდამავალი პერიოდის“ სამართლებრივ სისტემაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სისტემის თავისებურებანი და სირთულეები. „გარდამავალი პერიოდის“ არსებით ნაწილში საქართველო რჩებოდა ცენტრალიზებულად გეგმვადი და ცენტრალიზებულად მართვადი საბჭოთა ეკონომიკური სისტემის ნაწილად, საქართველოსათვის აუცილებელი ნებისმიერი ეკონომიკური რესურსის მიწოდება, ხორბლიდან და ენერგორესურსებიდან დაწყებული და მედიკამენტებითა და კბილის პასტით დამთავრებული, მხოლოდ საბჭოთა ცენტრის ნებართვითა და ნება-სურვილით ხდებოდა. რამდენადაც ფინანსური რესურსებიც, ფულის ნიშნებით (ბანკნოტებით) მომარაგების ჩათვლით, ცენტრალიზებული იყო, საქართველოს არ ჰქონდა საშუალება დამოუკიდებელი ფინანსური პოლიტიკა გაეტარებინა. რამდენადაც საბჭოთა სისტემაში მოქმედებდა საქონლებზე ცენტრალიზებულად დადგენილი მტკიცე ფასების

სისტემა, საქართველოს არ ჰქონდა საშუალება, რაიმე ცვლილებები შეეტანა საქონლების დანესებულ ფასებში. რამდენადაც გარდამავალ პერიოდში საქართველო საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრების შიგ იმყოფებოდა, მას არ ჰქონდა საშუალება ეწარმოებინა რაიმე საერთაშორისო ვაჭრობა და საქონელგაცვლა უცხოეთის სახელმწიფოებთან, ანუ იმპორტი და ექსპორტი.

საბჭოთა ცენტრალიზებული ეკონომიკის კანონების ნებისმიერი უხეში დარღვევა კიდევ უფრო გაამკაცრებდა კრემლის მხრივ საქართველოზე დამოუკიდებლობის დეკლარირებისთანავე დადებულ შეზღუდვებსა და სანქციებს (ფაქტობრივად ბლოკადას), რაც საქართველოს სრულ ენერგეტიკულ კოლაფსს და მასობრივ სასიკვდილო შიმშილობას მოუტანდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე არსებითი ფაქტორი ის იყო, რომ საქართველო კვლავ იმყოფებოდა „რკინის ფარდის“ მიღმა, საქართველოს საზღვრებს სრულად აკონტროლებდნენ საბჭოთა სასაზღვრო ჯარები. საქართველოში კვლავ მოქმედებდა ამიერკავკასიის უძლიერესი სამხედრო შტაბი და მისადმი დაქვემდებარებული მრავალათასიანი საბჭოთა ჯარები. ამავე დროს საქართველოს არ გააჩნდა რაიმე საკუთარი შეიარაღებული ძალები. „ეროვნული გვარდია“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ქვეგანაყოფი იყო და მისი საბრძოლო იარაღით უზრუნველყოფა იმ პერიოდში დაუძლეველ სირთულეებს აწყდებოდა. თვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კი, არსებული საბჭოთა კანონმდებლობით, საკავშირო დაქვემდებარების სამინისტრო იყო, რომელიც უშუალოდ კრემლიდან ფინანსდებოდა და იმართებოდა.

„გარდამავალი პერიოდის“ დასაწყისში, 1991 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა არც საბჭოთა უშიშროების კომიტეტის საქართველოს განყოფილება – საქართველოს უშიშროების კომიტეტი. ისიც უშუალოდ კრემლიდან ფინანსდებოდა და იმართებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისადმი დამორჩილება ძალზე მტკივნეული და რთული პროცესი იყო თუნდაც იმის გამო, რომ ეს უწყებები დაფინანსებას, და მათ შორის ხელფასებს, საკავშირო წყაროებიდან იღებდნენ და თუკი საქართველოს ხელისუფლება მათ დამორჩილებას შეეცდებოდა, ისინი მას საკუთარი ფინანსური რესურსებით უნდა ერჩინა, რაც უაღრესად რთული და ერთ პერიოდში პრაქტიკულად დაუძლეველი პრობლემა იყო. ასე მაგალითად, როგორც კი პრეზიდენტმა გამსახურდიამ სახუმკომის თავმჯდომარედ უშიშროების საბჭოთა მუშაკებიდან უფრო ლოიალური პირი დანიშნა, ამას მოჰყვა კრემლის გააფთრებული რეაქცია და ეკონომიკური ბლოკადის გამკაცრება.

საქართველოს მდგომარეობას ძალზე ართულებდა ის ფაქტორი, რომ, განსხვავებით ბალტიის რესპუბლიკებისაგან, სხვა საბჭოთა

რესპუბლიკების განახლებული საბჭოთა კავშირიდან გასვლა დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გარიგებაში არ იგულისხმებოდა. ამ გარიგებიდან გამომდინარე დასავლეთი და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია (ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ჯარების გაყვანის პროცესში იყო) კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლას.

მრგვალი მაგიდა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია ქართველ ხალხს არ უქმნიდა ილუზიებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, მეტიც – არსებითად ომის სირთულეებთან დაკავშირებით. მან ხალხსა და 1990 წელის 14 ნოემბერს შეკრებილ ახალ უზენაეს საბჭოს მიმართა წინასწარმეტყველური სიტყვებით: „მეგობრებო, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყოველივე დასაწყისია ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ომისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთით აღდგინება!“ მისი ამ განცხადებიდან თვალნათელია, რომ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მოპოვება არც მარტივ, იოლ და არც ხანმოკლე პროცესად არ იყო წარმოდგენილი. ამდენად, „გარდამავალი პერიოდში“ საქართველო გარკვეული თვალსაზრისით კვლავ რჩებოდა საბჭოთა რესპუბლიკად, ისეთ რესპუბლიკად, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გასვლის პროცესში იყო! „გარდამავალ პერიოდში“ უნდა მოემზადებულიყო საფუძვლები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და მომხდარიყო თანდათანობითი გადასვლა დამოუკიდებლობაზე. ეს უნდა ყოფილიყო პროცესი, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდებოდა.

მაია გურაბანიძე: ე. ი. ეროვნული ხელისუფლების უზენაესი მიზანი იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა ნებისმიერ ფასად. ამას კრემლი, რა თქმა უნდა, არ შეეგუებოდა. რა ქმედებები იყო მოსალოდნელი მათი მხრიდან?

ბესარიონ გუგუშვილი: იმპერიის მოსალოდნელი ქმედებები: ჩეხოსლოვაკიაში „ხავერდოვანი რევოლუციის“ საბჭოთა ინტერვენციით ჩახშობის მსგავსი ქმედებები; შინაგანი ძალებით (მათ შორის სამოქალაქო ან სამხედრო პუტჩით – პოლონეთის ან ავღანეთის სცენარებით) ჩახშობა.

მაია გურაბანიძე: რითი უნდა დაპირისპირებოდით მსგავს ქმედებებს?

ბესარიონ გუგუშვილი: ეროვნული ხელისუფლების საპასუხო ქმედებები: საკმარისი მატერიალური სასიცოცხლო რესურსების დაგროვება; შესაძლებელი სამოქალაქო და შეიარაღებული წინააღმდეგობის იდეოლოგიური და პრაქტიკული მომზადება. უზენაესი მიზანი მიღწეული იქნა მცირე სისხლითა და ტერიტორიული დანაკარგების გარეშე.

მაია გურაბანიძე: თქვენ ბრძანეთ, რომ არც უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ, არც დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმით, არც და-

მოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციით საქართველო უცებ არ გამხდარა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაშინ რას წარმოადგენდა ის? ბესარიონ გუგუშვილი: 1991 წლის 9 აპრილიდან (როდესაც მან ცალმხრივად დამოუკიდებლობა გამოაცხადა) და 1991 წლის დეკემბრის ბოლო დეკადამდე (როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს მსოფლიოს გავლენიანმა სახელმწიფოებმა) არსებითად საქართველო წარმოადგენდა „თვითგამოცხადებულ“, „თვითდეკლარირებულ“ სახელმწიფოს, დაახლოებით ისეთსავე, როგორსაც ამჟამად წარმოადგენენ თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, ალანია ან დნესტრისპირეთი. ამის დაძლევა შეუძლებელი იყო ეროვნული ხელისუფლების პერიოდში, ეს დამოკიდებული იყო გარე ფაქტორზე.

მაია გურაბანიძე: როდესაც „მრგვალი მაგიდა“ მოვიდა ხელისუფლების სათავეში, თქვენ დაგხვდათ საბჭოთა სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი. სრულად მოხდა ამ აპარატის შეცვლა?

ბესარიონ გუგუშვილი: 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ ხელისუფლების პირამიდის წვერის შეცვლა, მრავალ ასეულ ათასიანი საბჭოთა ბიუროკრატიის შეცვლა კი ფიზიკურად შეუძლებელი იყო. საბჭოთა ბიუროკრატია (საწარმოთა მართვის აპარატის ჩათვლით) არ ფლობდა მართვის სხვა ხერხებს, გარდა გეგმიურისა და მისი ხელახელი სწავლება და წვრთნა არსებით რესურსებს, დროს და სტრუქტურას მოითხოვდა. თვით გადამზადების სტრუქტურა ასევე დროს, რესურსებს და მეთოდებს მოითხოვდა, რომელიც შესაქმნელი იყო. ეს ნაწილობრივ დაძლეული იქნა ეროვნული ხელისუფლების პერიოდში.

მაია გურაბანიძე: რაიმე ნაბიჯები თუ იქნა გადადგმული მოქალაქეობისა და საპასპორტო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით?

ბესარიონ გუგუშვილი: დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაფერისი მოქალაქეობის სისტემა საქართველოს ამ პერიოდში არ გააჩნდა. არ არსებობდა მოქალაქეობის საკანონმდებლო ბაზა (საქართველოს მოქალაქეები საბჭოთა მოქალაქეებად ითვლებოდნენ). საქართველოს მოქალაქეებს გააჩნდათ მხოლოდ საბჭოთა პასპორტები, უცხოეთში გასასვლელი სპეციალური პასპორტის მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოსკოვის გავლით. საერთაშორისო ცნობის გარეშე მოქალაქეობისა და საპასპორტო სისტემის შემოღება პრაქტიკულად ნიშნავდა საქართველოს მოქალაქეების სააღყო წესების ვითარებაში მოქცევას. ამისი დაძლევა შეუძლებელი იყო ეროვნული ხელისუფლების პერიოდში. ესეც გარე ფაქტორზე იყო დამოკიდებული.

მაია გურაბანიძე: რას იტყვით საფინანსო პოლიტიკის შესახებ?

ბესარიონ გუგუშვილი: საქართველოში მიმოიქცეოდა მხოლოდ საბჭოთა ფულის ნიშნები და მომარაგება ხდებოდა გეგმიური წესით, ცენტრალ-

იზებულად მოსკოვიდან. ნებისმიერი გადასახდელეები და ტრანზაქციები უცხოეთთან შესაძლებელი იყო მხოლოდ მოსკოვის ნებართვით. საქართველოს არ გააჩნდა (არ ჰქონდა უფლება) საბანკო ანგარიშები უცხოეთში. კერძო პირებს არ გააჩნდათ უფლება, ჰქონოდათ უცხოური ვალუტა (ამაზე გათვალისწინებული იყო უმკაცრესი სასჯელი – პატიმრობა 15 წლამდე). საკუთარი ვალუტის შემოღებისათვის საქართველოს არ გააჩნდა მხარდამჭერი ფინანსური და ფისკალური სისტემა.

საბჭოთა ეკონომიკის ნგრევის პერიოდში კატასტროფული ტემპები მიიღო ინფლაციამ. ჰიპერინფლაციის პირობებში ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო პრივატიზების დაწყება, სასაქონლო მასის დაგროვება-აკუმულირება ფულადის ნაცვლად.

საბჭოთა ცენტრმა 1992 წლიდან გამოაცხადა ფასების სრული ლიბერალიზება (ფიქსირებული სახელმწიფო ფასების გაუქმება). ფასების ლიბერალიზების მოლოდინში ცენტრალური და არსებითი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში საქართველომ შეაჩერა მაღალი მოთხოვნილების საქონლების რესპუბლიკის გარეთ რეალიზება, რათა ლიბერალიზების შემდეგ შეძლებოდა ამ სასაქონლო მასის მაღალ ფასებში რეალიზება. დარეზერვებული იქნა სპირტიანი სასმელებისა და სხვა ადგილობრივი წარმოების მზა საქონლისა და ნედლეულის მთელი წლიური პროდუქცია (პუტჩის შემდგომ ამ რესურსის ხარჯვის დოკუმენტები არ არსებობს). დარეზერვებული იქნა და მთელი არსებული ფინანსური რესურსებით სასწრაფოდ მოხდა საკავშირო ბაზარზე მისაწვდომი ძვირფასი საქონლების შექენა: თვითმფრინავები, ვაგონები, ოქრო, იმპორტული ელექტრონიკა, ძვირფასი ქურქები და სხვ. (პუტჩის შემდგომ ამ რესურსის ხარჯვის დოკუმენტები არ არსებობს).

სავალუტო-ფინანსური სირთულეები ნაწილობრივ დაძლეული იქნა საკავშირო ბიუჯეტში ჩანარცხების პარტიზანული ხერხებითა და მეთოდებით. ამას გარდა, ფულის ნიშნების მოწოდების წყაროებთან კერძო-პირადი პირდაპირი (საკავშირო ცენტრის გვერდის ავლით) საქმიანი ურთიერთობების დამყარებით.

დაწყებული იყო ნაციონალური ვალუტის შემოღების საკანონმდებლო და ორგანიზაციული ღონისძიებები.

მაია გურაბანიძე: ე. ი. თქვენი აზრით, იმ პერიოდში, როდესაც ინფლაციამ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო პრივატიზების დაწყება. თქვენი ოპონენტებიც სწორედ ამაში გედავებიან. კიდევ რა მიზეზებს დაასახელებთ ამის დასამტკიცებლად? საკუთრების პრობლემა ხომ ცენტრალური ეკონომიკური პრობლემაა.

ბესარიონ გუგუშვილი: საკუთრება წარმოების საშუალებებსა, ბუნებრივ რესურსებსა და მიწაზე – ყველა ეს საბჭოთა კავშირის საკუთრებად ითვლებოდა (საკუთრების კანონიერი, საბჭოთა სისტემასთან შეთანხმებული). გაყოფაზე საბჭოთა ცენტრი არ თანხმდებოდა). სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და მომსახურებითი

საწარმოები ნედლეულით, ენერჯით, ხელფასის ფონდით საკავშირო გეგმის მიხედვით ცენტრიდან მარაგდებოდნენ. რამდენადაც საწარმოები საბჭოთა კავშირის საკუთრებად ითვლებოდნენ, შეუძლებელი და კანონსაწინააღმდეგო იყო არსებული სამართლებრივი ნორმებით მათი ნებისმიერი სახით გასხვისება. მაგალითად, პრივატიზების სახით. სახელმწიფო საწარმოების მთელი პროდუქცია სსრკ სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა და მისი რეალიზება მხოლოდ სახელმწიფო სისტემის მეშვეობით შეიძლებოდა. კერძო ბინათმფლობელობების გარდა, მთელი საბინაო ფონდი ითვლებოდა საბჭოთა საკუთრებად. ამდენად, შეუძლებელი იყო არსებული კანონის ფარგლებში საბინაო ფონდის რაიმე სახით პრივატიზება. მიწა, რომელზე აგებული იყო თუნდაც კერძო ბინათმფლობელობა, სსრკ სახელმწიფო საკუთრება იყო, რაც მის პრივატიზებას გამორიცხავდა. კერძო ტიპის საწარმოები (მაგალითად, კოოპერატივები) კანონის მიხედვით შესაძლებელი იყო დაარსებულიყო მხოლოდ რომელიმე სახელმწიფო საწარმოს ან დაწესებულების ფარგლებში და მისი გარანტიით, რომელსაც მისი ფინანსური კონტროლი ევალებოდა (მათ საქმიანობაზე სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებელი, საბოლოო ჯამში, ეს სახელმწიფო საწარმო ან დაწესებულება იყო). პრივატიზების პერსონალური თვალსაზრისით, საბჭოთა კანონების შესაბამისად, დამნაშავედ ჩაითვლებოდა არა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, არამედ ის მოქალაქეც, რომელიც პრივატიზების აქტში მონაწილეობას მიიღებდა და სსრკ შეეცდებოდა მის დაპატიმრებას ნებისმიერი ხერხებით საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც (დასავლეთის სახელმწიფოების ჩათვლით).

მაია გურაბანიძე: როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ამ სირთულეების დაძლევა?

ბესარიონ გუგუშვილი: სირთულეთა დაძლევა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: ცენტრთან საკუთრების გაყოფის მოლაპარაკებებით (მცირედ შედეგიანით); ძალაუფლებრივ-ნებისყოფითი (ძალისმიერი) მეთოდებით. პრემიერ-მინისტრის განკარგულებით (საკანონმდებლო ბაზის გარეშე), შეიქმნა საცდელ-სადემონსტრაციო პრივატიზებისათვის რამდენიმე ათეული ობიექტის (მაღაზიების, რესტორნებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების) ნუსხა, რომლიდანაც მოესწრო ერთი მაღაზიის, „გოლიათის“ ღია აუქციონის წესით გაყიდვა (ეს მთელი ყოფილი საბჭოთა სივრცის მასშტაბით, როგორც უკვე ვთქვი, პრივატიზების პირველი შემთხვევა იყო). ნებისყოფითი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ნაწილობრივ იქნა დაძლეული ეროვნული ხელისუფლების პერიოდში.

მაია გურაბანიძე: ცენტრალიზებული მართვის პირობებში როგორ ხდებოდა ქვეყნის მომარაგება სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკური რესურსებით (ელექტროენერჯია, საწვავი, ხორბალი) იყენებდა თუ არა

მოსკოვი რაიმე ბერკეტებს დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოს წინააღმდეგ?

ბესარიონ გუგუშვილი: საქართველოს ესაჭიროებოდა წლიურად დაახლოებით 0,3-0,5 მილიარდი დოლარის ღირებულების ენერჯია, რომლის 75-80% რუსეთიდან შემოდოდა ცენტრალიზებული გეგმიური პრინციპებით. სანვავი ძირითადად აზერბაიჯანიდან შემოდოდა საკავშირო ცენტრალიზებული გეგმის შესაბამისად. საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი მარაგების გაკეთება შეუძლებელი იყო, რამდენადაც მარაგების ოდენობა კონტროლდებოდა საიდუმლო სპეცოროგანოების მიერ.

განსაკუთრებით მძიმე იყო სანვავით დამოკიდებულება. როგორც კი დაიძაბებოდა პოლიტიკური ურთიერთობები საკავშირო ცენტრთან, მაშინათვე კატასტოფულად მცირდებოდა მონოდები. გარკვეულწილად სათბობით მომარაგების სიმწვავე შენელებული იქნა აზერბაიჯანის ეროვნულ მოძრაობასთან ფარული, საიდუმლო მოლაპარაკებების შედეგად.

საქართველოს წლიურად ესაჭიროებოდა დაახლოებით 0,3-0,5 მილიარდი დოლარის ღირებულების მარცვლეული, რომლითაც იგი მარაგდებოდა უმთავრესად სსრკ-ის მიერ აშშ-დან და კანადიდან სსრკ-თან ხელშეკრულებით იმპორტირებული რესურსებით, რომლის საფასურსაც სსრკ იხდიდა. მარცვლეული ძირითადად ფოთის პორტიდან შემოდოდა თვითი განრიგით, ისე, რომ საქართველოს არ ჰქონოდა საშუალება რაიმე მარაგები გაეკეთებინა (მარცვლეულის ხარჯვა საიდუმლო სპეცოროგანოების მიერ კონტროლდებოდა, რომლებიც მიუწვდომლები იყვნენ ეროვნული ხელისუფლებისათვის. მარცვლეულის არაგეგმიური შესყიდვა სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებიდან აკრძალული იყო.

ყველაზე მძიმე იყო მარცვლეულზე დამოკიდებულება. რამდენჯერაც კი დაიძაბებოდა პოლიტიკური ურთიერთობა საკავშირო ცენტრთან, მაშინათვე ფერხდებოდა ხორბლის მონოდება და საქართველო შიმშილის რეალური საფრთხის წინაშე დგებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ელევატორებში მხოლოდ 2-3 დღის სამყოფი მარცვლეული რჩებოდა.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღებისთანავე საბჭოთა ცენტრმა საქართველოს წინააღმდეგ წამოიწყო ბლოკადების სერია: ფინანსური, ენერგეტიკული, სასაქონლო (ღვინისა და მაღალალკოჰოლური სასმელების რუსეთის მიერ 2006 წლის მარტ-აპრილის ბლოკადის მსგავსი), სანედლეულო და ინფორმაციული. ამ პრობლემების დაძლევა შეუძლებელი იყო ეროვნული ხელისუფლების პერიოდში. ესეც დამოკიდებული იყო გარე ფაქტორზე.

მაია გურაბანიძე: გამოდის, რომ საქართველოში ორხელისუფლებიანობა იყო.

ბესარიონ გუგუშვილი: დიას. საქართველოში პრაქტიკულად ერთ ტერიტორიულ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და სამხედრო-სტრატეგიულ სივრცეში თანაარსებობდა ორი ხელისუფლება: გარდამავალი პერიოდის ლეგიტიმური ეროვნული ხელისუფლება და საბჭოთა სახელმწიფო-ძალაუფლებრივი სტრუქტურები. ეროვნული ხელისუფლება წარმოდგენილი იყო: უზენაესი საბჭო; მინისტრთა საბჭო – შემდგომ მინისტრთა კაბინეტი (არსებითად უცვლელი აპარატით (ხშირად არასანდო); ქალაქების მერები და პრეფექტები (მერიები-სა და პრეფექტურების აპარატი (დიდ ნაწილში არასანდო); სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოები (პრაქტიკულად უცვლელი აპარატით (უდიდეს ნაწილში არასანდო და ხშირად მტრულად განწყობილი); პოლიციური აპარატი (რომლის ზედაფენის არსებითი ნაწილი იმავდროულად სუკის თანამშრომლები იყვნენ); უცვლელი საკადრო სისტემით (გარკვეულ ნაწილად მტრულად განწყობილი). საბჭოთა სახელმწიფო-ძალაუფლებრივი სტრუქტურები: საბჭოთა არმია, რომლის რიცხვოვნობა 80-150 ათასის ფარგლებში მერყეობდა; საბჭოთა არმიის სამხედრო ბაზები და გამაგრებული პუნქტები; საბჭოთა არმიის სტრატეგიული და ბირთვული ძალები; საბჭოთა სასაზღვრო ძალები, რომლებიც აკონტროლებდნენ საქართველოს სასაზღვრო პერიმეტერს; საბჭოთა არმიის სადაზვერვო სტრუქტურები; რესპუბლიკური სუკი და საკავშირო სუკი. მათზე შესაძლებელი იყო მხოლოდ ნაწილობრივი ზემოქმედება და დაძლევა ეროვნული ხელისუფლების პერიოდში, არსებითად დამოკიდებული გარე ფაქტორზე.

მაია გურაბანიძე: 1991 წლის ზაფხულში საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი და ნგრევა. ეს კატასტროფა, რა თქმა უნდა, მძიმე იქნებოდა ახლადფეხადგმული სახელმწიფოსათვის, რომელსაც ისედაც მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში უხდებოდა საქმიანობა. როგორ გაართვით თავი ამ პრობლემის მოგვარებას?

ბესარიონ გუგუშვილი: მიწისძვრის შედეგად რამდენიმე რეგიონში უმძიმეს ნგრევას ჰქონდა ადგილი, რომელსაც ვერ შეედრება არა თუ თბილისში პუტჩის დროს მომხდარი ნგრევა, არამედ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ომით გამოწვეული ნგრევაც. საქართველომ მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის ვერ მიიღო აბსოლუტურად ვერავითარი გარეშე დახმარება. 1991 წლის ბოლოსათვის შინაგანი რესურსებისა და რეზერვების მობილიზებით მიწისძვრის შედეგები 75%-ით იქნა ლიკვიდირებული (გზები, ხიდები, საცხოვრებელი და სანარმოო შენობა-ნაგებობები). რამდენიმე თვის განმავლობაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაზე გადიოდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 15-25%. უდიდესი ნაწილი დაიძლია ეროვნული ხელისუფლების პერიოდში.

მაია გურაბანიძე: ის, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ბევრი პრობლემის მოგვარება, როგორც თქვენ ბრძანებთ, გამოწვეული იყო

გარე ფაქტორებით, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის განვითარებას და რაც მთავარია, ჩვენი უზენაესი მიზნის მიღწევას – სრულ დამოუკიდებლობას. საბოლოო ჯამში კი ეს ეროვნული ხელისუფლების კრახით დამთავრდა და ჩვენ ისევ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცის ნაწილად ვიქცეთ. მხოლოდ ბალტიის რესპუბლიკებმა მოახერხეს საბჭოთა კავშირიდან დახსნა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც, ისევ თქვენ დაგემონებთ, დასავლეთსა და სსრ კავშირს შორის გარეგების შედეგად მოხდა. თუ იყო ამისთვის რაიმე წინაპირობები და რა უპირატესობით სარგებლობდნენ ბალტიის რესპუბლიკები?

ბესარიონ გუგუშვილი: მათ ჰქონდათ სპეციფიური საერთაშორისო სტატუსი. მაია გურაბანიძე: რაში მდგომარეობდა ეს სტატუსი?

ბესარიონ გუგუშვილი: მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის შესაბამისად მოახდინა ბალტიის რესპუბლიკების ოკუპირება და ანექსია 1940 წლის 23 ივლისს, აშშ-ის ხელისუფლებამ სიმფსონის დოქტრინა განავრცო ბალტიის რესპუბლიკებზეც: „ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა ანექსიისა და სსრკ-ში ჩართვის არ ცნობით“. ამავე დროს აშშ-მა განსაზღვრა, რომ იგი შეინარჩუნებს ამ ქვეყნების დამოუკიდებელ საელჩოებს აშშ-ში შემდგომი 50 წლის განმავლობაში, ანუ 1990 წლის ჩათვლით (სინქრონოლოგია: ლატვიამ და ლიტვამ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და სსრკ-დან გასვლა ზუსტად 1990 წელს).

1959 წელს აშშ-ის კონგრესმა 14 ივნისი გამოაცხადა „ბალტიის დამოუკიდებლობის დღედ“. 1975 წელს მანვე მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ევროპის სახელმწიფოების საზღვრების უცვლელობის პრინციპი არ ვრცელდებოდა იმ ქვეყნებზე, რომელთაც ეხებოდათ „არ ცნობის“ დოქტრინა. დამოუკიდებელი ბალტიის რესპუბლიკებს ოკუპაციის პერიოდში მხარს უჭერდნენ აგრეთვე სხვა ქვეყნებიც, მაგალითად, ესტონეთის მთავრობა (ჩამოყალიბდა ემიგრაციაში (შვედეთში) 1953 წელს). ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენისა და ესტონეთის პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, 1992 წლის 8 ოქტომბერს, ესტონეთის მთავრობამ ემიგრაციაში ემიგრანტული პრეზიდენტის ჰეინრიხ მარკის სახით ძალაუფლება გადასცა ახალარჩეულ ლენარტ მერის.

1989 წლის 2 დეკემბერს კუნძულ მალტასთან მოხდა სსრკ-ის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისა და აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის შეხვედრა. ამ შეხვედრაზე გადაწყდა „ცივი ომის“ დასრულება და ამ ომისაგან გამომდინარე წინააღმდეგობების დარეგულირება. მათ შორის იგულისხმებოდა აგრეთვე სსრკ-ის მიერ ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაცია და ანექსიაც (სინქრონოლოგია: მალტის შეხვედრიდან სამი კვირის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 24 დეკემბერს ბალტიის რესპუბლიკების – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის – ოკუპაცია და ანექსია 1940 წელს საბჭოთა

კავშირის მიერ უკანონოდ ცნო და განაცხადა, რომ ეს საბჭოთა ხალხის სურვილისა და ნების წინააღმდეგ და მეტიც, საბჭოთა კანონების დარღვევით მოხდა. ამით არსებითად საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ ლეგიტიმური საფუძველი მისცა და ნააქეზა ბალტიის რესპუბლიკების გასვლას საბჭოთა კავშირიდან. 1991 წლის 6 სექტემბერს სსრკ-მა ოფიციალურად გამოაცხადა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ!).

მაია გურაბანიძე: ანუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა შეიქმნა უკვე ბალტიის რესპუბლიკების გარეშე.

ბესარიონ გუგუშვილი: დიახ. 1991 წლის 8 დეკემბერს საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკების ლიდერები, რომლებიც გაეროს დამფუძნებელი წევრები იყვნენ (რუსეთი, ბელორუსია და უკრაინა) შეიკრიბნენ ბელორუსიაში, ბელოვეჟში და ხელი მოაწერეს დსთ-ს შექმნის ხელშეკრულებას. 1991 წლის 21 დეკემბერს ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში დსთ-ს დამფუძნებლებმა მიიწვიეს ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეთაურები, გარდა ბალტიის ქვეყნებისა, მათ ხელი მოაწერეს დსთ-ში განწევრიანებას (სინქრონოლოგია: საქართველომ დსთ-ს წევრობაზე უარი განაცხადა. 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოში დაიწყო პუტჩი). მას შემდეგ, რაც 1991-1992 წლების პუტჩით დაამხეს ეროვნული ხელისუფლება, საქართველოც, აფხაზეთის ომის დროს ვითომც შევარდნაძის სოხუმში ალყიდან განთავისუფლების საფასურად, აიძულეს შესულიყო დსთ-ში. ამით დასრულდა საბჭოთა კავშირის რეორგანიზება.

მაია გურაბანიძე: საქართველოს არ ჰქონდა მსგავსი საერთაშორისო სტატუსი?

ბესარიონ გუგუშვილი: საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას (ნოე ჟორდანიას მთავრობას), რომელიც ერთა ლიგის მიერ ლეგიტიმურ ხელისუფლებად იყო აღიარებული, ოფიციალური სტატუსი შეეცვალა საბჭოთა კავშირთან გარკვეული გარიგებისა და გერმანიის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეობის ძიების გავლენით. ეს მოხდა 1937 წელს.

მაია გურაბანიძე: 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. როდის მოხდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირება?

ბესარიონ გუგუშვილი: ლიტვა – 1990 წლის 11 მარტი; ლატვია – 1990 წლის 4 მაისი; მოლდავეთი – 1990 წლის 2 სექტემბერი; საქართველო - 1991 წლის 9 აპრილი (სინქრონოლოგია: 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში მოხდა „გკჩპ“, რომელსაც მოჰყვა „სუვერენიტეტების აღლუმი“). შემდეგ ესტონეთი – 1991 წლის 20 აგვისტო; უკრაინა – 1991 წლის 24 აგვისტო (გაეროს წევრი); რუსეთი – 1991 24 აგვისტო (გაეროს წევრი); ბელორუსია – 1991 წლის 25 აგვისტო (გაეროს წევრი); უზბეკეთი – 1991 წლის 31 აგვისტო (სინქრონოლოგია: ლიტვის, ლატვიისა და ეს-

ტონეთის დამოუკიდებლობის ცნობა სსრკ-ის მიერ მოხდა 1991 წლის 6 სექტემბერს). ტაჯიკეთი – 1991 წლის 9 სექტემბერი; აზერბაიჯანი – 1991 წლის 18 ოქტომბერი; სომხეთი – 1991 წლის 23 სექტემბერი (რეფერენდუმი); თურქმენეთი – 1991 წლის 27 ოქტომბერი (სინქრონოლოგია: 1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის პრეზიდენტები აუქმებენ სსრკ-ს). ყირგიზეთი – 1991 წლის 12 დეკემბერი; ყაზახეთი – 1991 წლის 12 დეკემბერი.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ ცნობალტიის რესპუბლიკების – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის – დამოუკიდებლობა, თუმცა ამ დროისათვის დამოუკიდებლობა უკვე ჰქონდათ გამოცხადებული სომხეთს, მოლდავეთს, საქართველოს, უკრაინას, ბელორუსიასა და უზბეკეთს.

მაია გურაბანიძე: ბატონო ბესარიონ, როგორც თქვენ ბრძანეთ, საქართველომ უარი განაცხადა დსთ-ს წევრობაზე, რის გამოც ქვეყანაში დაიწყო პუტჩი და დაემხო კანონიერად არჩეული ხელისუფლება. ამაში თქვენს მონინააღმდეგეებს ზურგს უმაგრებდა რუსეთი. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს არც დასავლეთი და კერძოდ, არც აშშ უჭერდა მხარს. ამაში თქვენი ოპონენტები ეროვნული ხელისუფლების იდეოლოგიებს და კერძოდ, ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებენ. ისინი ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდია გამუდმებით ლანძღავდა დასავლეთის ლიდერებს, აშშ-ის შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, რომ ზვიად გამსახურდია იყო ულტრანაციონალისტი, რაც მიუღებელი იყო თანამედროვე მსოფლიოსათვის. აშშ-ის მაშინდელ ინტერესებში არ შედიოდა საბჭოთა კავშირის დაშლა, რასაც ადასტურებს ჯორჯ ბუშის 1991 წლის გამოსვლა („კიევური კოტლეტი“) კიევის უნივერსიტეტში. ამასთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიამ გააკეთა განცხადება: „ჯ. ბუშმა მოუწოდა საბჭოთა კავშირის დაპყრობილ ხალხებს, ნებაყოფლობით ჩამოიცივან კისერზე იმპერიის ყულფი, შეურიგდნენ მონობას.“ ბატონი თენგიზ სიგუა თავის ჩანაწერებში ამბობს, რომ მართალია, ჯ. ბუშმა კიევის უნივერსიტეტში გამოსვლისას საბჭოთა რესპუბლიკებს მოუწოდა, ყურადღებით მოჰყიდებოდნენ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და მიეღოთ იგი, მაგრამ იმუამად ბევრმა ვერ გაიაზრა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ეს განცხადება პოლიტიკური თამაში იყო. იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი რამდენიმე თვეში უნდა დაშლილიყო და გამსახურდიას ეს უნდა სცოდნოდაო. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბრალს სდებს გამსახურდიას არაკორექტულობაში, ასეთი სახის განცხადება არც ერთი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს არ გაუკეთებიაო და თვლის, რომ ეს იყო ტლანქი პოლიტიკური შეცდომა. რა აძლევდა საბაბს ზვიად გამსახურდიას, გამოეთქვა ასეთი აზრი აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლაზე და საერთოდ, თუ შეიძლება, გვითხარით თქვენეული ანალიზი ჯორჯ ბუშის „კიევური კოტლეტისა“.

ბესარიონ გუგუშვილი: აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ცნობილი „კიევიური კოტლეტი“, სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1991 წლის 1 აგვისტოს, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის განვითარების ვაშინგტონისეულ პროგრამას, დირექტივას და გაფრთხილებას მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ (ბალტიის რესპუბლიკების გარდა), არ გაენიათ წინააღმდეგობა მიმდინარე პროცესებისათვის და დამორჩილებოდნენ მოსკოვისა და აშშ-ის შეთანხმებულ პოლიტიკურ გეზს საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისათვის.

ზუსტად იმ დღეებში საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში უკვე კომისიების დონეზე განიხილებოდა და მაგიდაზე იდო კანონი ბალტიის რესპუბლიკების ცნობის შესახებ, რაც ბუშის კიევიური სიტყვის შემდეგ 5 კვირაში განხორციელდა. ეს იმ დროს რაიმე საიდუმლოებას არ წარმოადგენდა და, რა თქმა უნდა, ბუშმა ეს მშვენივრად იცოდა. ამდენად, ბუშის სიტყვა მთლიანად და სავსებით ეხებოდა მხოლოდ სსრკ-ის არაბალტიის რესპუბლიკებს.

პრეზიდენტი ბუშის ეს სიტყვა, მომზადებული კონდოლიზა რაისის მიერ, მსოფლიო დიპლომატიასა და პოლიტიკაში ცნობილი გახდა, როგორც „კიევიური კოტლეტი“. აქ მოცემულია ბუშის გამოსვლის ის მომენტები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა საქართველოს: „მოსკოვში მე უკვე დავაფიქსირე ჩვენი პოზიცია. ჩვენ დავეხმარებით ყველას როგორც ცენტრში, ასევე რესპუბლიკებში, მათ, რომლებიც მიისწრაფვიან თავისუფლებისაკენ, დემოკრატიისაკენ და თავისუფალი ეკონომიკისაკენ. ჩვენი დახმარება არ იქნება პერსონიფიცირებული, ის დაეყრდობა პრინციპებს და არა პიროვნებებს. ვერ გეტყვით, თუ როგორ უნდა მოხდეს თქვენი საზოგადოების რეფორმირება. ამ პოლიტიკურ პროცესში ჩვენ რესპუბლიკებსა და ცენტრსა თუ თვითონ რესპუბლიკებს შორის მოგებულისა და წაგებულის გარჩევას არ დავინყებთ. ეს უკანასკნელი მხოლოდ თქვენი საქმეა. ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ეხება“. აქ ბუში საგანგებოდ არ ახსენებს პრიორიტეტებში სსრკ-ის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.

„ჩვენი განზრახვაა ისეთი სამუშაოს ჩატარება, რომელიც ორივე მხარეს მოუტანს სარგებელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ჩავერევით თქვენს შიდა საქმეებში. ზოგიერთმა უკვე მიმართა შეერთებულ შტატებს თხოვნით, გააკეთონ არჩევანი გორბაჩოვსა და საბჭოთა კავშირის თითოეული რესპუბლიკის მმართველს შორის. ჩემი აზრით, ეს ჩვენთვის არ წარმოადგენს მისაღებ ალტერნატივას“. აქ გორბაჩოვსა და თითოეული რესპუბლიკის მმართველს შორის არჩევანში იგულისხმება ზოგი რესპუბლიკის და მათ შორის საქართველოს მოთხოვნა და მიმართვა, ვაშინგტონს ელიარებინა მათი დამოუკიდებლობა და ეწარმოებინა მათთან ურთიერთობა კრემლის გვერდის ავლით.

„უნდა ვაღიაროთ, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვს საოცარი მიღწევები აქვს პოლიტიკის სფეროში, საუბარია მის მიერ გატარებულ გლას-

ნოსტზე, პერესტროიკაზე და დემოკრატიზაციის პროცესზე. ამ ყველაფერს კი დემოკრატიისაკენ, თავისუფლებისაკენ და თავისუფალ ეკონომიკურ სისტემამდე მივყავართ. ჩვენ განზრახული გვაქვს, ყველა ახლო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან გორბაჩოვის სახით დავამყაროთ“. აქ ბუში კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს იმას, რომ ცალკეულ რესპუბლიკებთან განსაკუთრებული ურთიერთობები, რომლებმაც ამ დროისათვის დამოუკიდებლობა უკვე გამოაცხადეს, ვაშინგტონს არ ექნება და მათთან ყოველგვარი ურთიერთობები მხოლოდ კრემლის გავლით იქნება.

„როგორც ლორდ ექტონი შენიშნავს: ნამდვილად თავისუფალია ქვეყანა, სადაც უმცირესობები დაცულია. თავისუფლებას წინ უნდა უძლოდეს ტოლერანტობა. ...უკრაინაში, რუსეთში, სომხეთში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ყვავის თავისუფლების სული. მაგრამ თავისუფლება ვერ გადარჩება, თუ ჩვენ ხელს შუფუნყოფთ დესპოტიზმის აყვავებას...“ აქ ბუში იმ რესპუბლიკებს შორის, რომლებშიც „ყვავის თავისუფლების სული“, არ ასახელებს საქართველოს. სამაგიეროდ ასახელებს რუსეთსა და სომხეთს!

„თავისუფლება არ უნდა გავაიგივოთ დამოუკიდებლობასთან. ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ იმათ, რომლებიც ცდილობენ, მიაღწიონ დამოუკიდებლობას ლოკალური დესპოტიზმის შექმნის ფასად. მათ უნდათ მოიშორონ ცენტრალიზებული ტირანია, მაგრამ სამაგიეროდ თვითმკვლევლობრივ ნაციონალიზმს ნერგავენ, რომელიც ეთნიკურ ზიზღზეა დაფუძნებული“. აქ ბუშმა დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა რესპუბლიკების სწრაფვა გააიგივა ლოკალური დესპოტიზმის შექმნასთან და სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ „თვითმკვლევლობრივი ნაციონალიზმი“ უწოდა.

მომდევნო პერიოდში საქართველოში ანტიეროვნულმა ძალებმა, აიტაცეს რა ბუშის აღნიშნული სიტყვის ტერმინები, წამოაყენეს ლოზუნგები: „ჯერ თავისუფლება, შემდეგ დამოუკიდებლობა“ (რითაც ცდილობდნენ შეეფერხებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება) და „თვითმკვლევლობრივი ნაციონალიზმი“ (რომლითაც ცდილობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიეგივებინათ ექსტრემისტულ ნაციონალიზმთან).

ინგლისური ვიკიპედიის განმარტების შესაბამისად, ბუში თავის სიტყვაში უკრაინას აფრთხილებს, არ დაადგეს „თვითმკვლევლობრივი ნაციონალიზმის“ გზას, რაც არსებითად კიდევ უფრო ნიშანდობლივია, რამდენადაც ამ პერიოდისათვის, დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების გარდა, უკრაინაში არავითარი ეთნოკონფლიქტები არ იყო (Chick-en Kiev is also the label used by the media for a speech made in Kiev in 1991 by then U.S. president George H.W. Bush. It was drafted by Condoleezza Rice and cautioned Ukrainians against “suicidal nationalism”. A few months later, Ukrainians voted to withdraw from the Soviet Union).

პრეზიდენტ ბუშის სიტყვა კიდევ იმითაა მნიშვნელოვანი და არსებითი, რომ იგი ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებსა და განზრახვებში არ შედიოდა საბჭოთა კავშირის დაშლა და მისი შემადგენელი რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მიღება. მეტიც, ამ გამოსვლაში დაუფარავი მუქარაა იმ რესპუბლიკების მიმართ, და პირველ რიგში საქართველოს მიმართ, რომელიც არ იქნა ჩამოთვლილი იმ სიაში, სადაც იყვნენ ის რესპუბლიკები, რომლებშიც „დემოკრატია ყვავის“, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ და ილწვოდნენ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისათვის. ამავე ასპექტში ნიშანდობლივია ვაშინგტონის სრულიად განსხვავებული პოლიტიკა ბალტიის რესპუბლიკების მიმართ, განპირობებული ვაშინგტონის საბჭოთა ანექსიის „არ ცნობის“ დოქტრინით.

წყარო: Quelle: U.S. Policy Information and Texts (USIS Bonn), Nr. 104, 2.8.1991; Übersetzung: Europa-Archive.

იგივე თვალსაზრისია გამოთქმული “The Washington Times” მიერ: In that speech, delivered in Kiev months before a referendum in which Ukrainians voted to withdraw from the Soviet Union, Mr. Bush cautioned against “suicidal nationalism.

რამდენადაც პრეზიდენტ ბუშის „კიევური კოტლეტის“ სიტყვამ როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ასევე თვით აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში სკანდალური გამოსმაურება გამოიწვია, იგი, უკვე ექს-პრეზიდენტის როლში, კიევში 2004 წლის ვიზიტის დროს შეეცადა, გამოეხსნორებინა საკუთარი შეცდომა:

KYIV – President George H.W. Bush, notorious for his reference to “suicidal nationalism” in what has come to be called the “Chicken Kiev” speech, finally explained his statement on his first trip back to the Ukrainian capital 13 years later, on May 21.

That’s not what I said, explained the 41st president of the United States, referring to the statement, which he made in Ukraine’s capital just three weeks before the Soviet Union collapsed and Ukraine declared independence in August 1991.

I encouraged them not to do something stupid. My speech here - if you look at it, if you read it - I said to restrain from doing anything that would cause them to react when things were going the right way, he added... noted Mr. Bush.

ბუში აქ თავს იმართლებს, რომ მას სწორედ ვერ გაუგეს და მან მხოლოდ და მხოლოდ გააფრთხილა უკრაინა და სხვა რესპუბლიკები, რაიმე „სისულელე“ არ ჩაედინათ. აქედან სწორედაც ის დასტურდება, რომ მისი „კიევური კოტლეტი“ იმ დროს გაგებული იქნა, როგორც სსრკ-ის რესპუბლიკების მიმართ პირდაპირი მუქარა, არ ეცადათ გასვლა საბჭოთა კავშირიდან!

მაია გურაბანიძე: არა მარტო მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდია მოვიდა ხელისუფლებაში, არამედ მანამდეც არსებობდნენ ძალები როგორც

ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რომლებიც იბრძოდნენ ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა...). საინტერესოა ის, მათ ებრძოდა არა მარტო საბჭოთა იმპერიის სისტემა, არამედ ცნობილი დისიდენტებიც. მათ თავს ესხმოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც იმის გამო, რომ მათ მოინდომეს თვითგამორკვევა და ეროვნული ფასეულობები წამოსწიეს წინ. რით იყო გამოწვეული ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების დისკრედიტირებისა და დევნის კამპანია?

ბესარიონ გუგუშვილი: ეროვნული მოძრაობის დისკრედიტირება, საბჭოთა სისტემისა და ზოგადად გლობალიზმის მსოფლიო სისტემის ერთ-ერთი არსებითი იდეოლოგიური ფრონტი, დაწყებული იყო ხრუშჩევისეული „დათბობის“ პერიოდიდან და იგი საბჭოთა სისტემის კრიზისის გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო მძაფრდებოდა. 1980-იანი წლების დასაწყისიდან ჩაისახა და სულ უფრო გაღრმავდა აშკარად გამოხატული იდეოლოგიური წინააღმდეგობა ერთი მხრივ ქართულ ეროვნულ მოძრაობასა (რომელიც მანამდე არსებითად საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფრთა იყო) და მეორე მხრივ, ინტერნაციონალისტურ-გლობალისტურ საბჭოთა დისიდენტურ მოძრაობას შორის (სახაროვი, მამარდაშვილი). მაშინ, როდესაც საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის უმთავრესი მიზანი საბჭოთა კავშირის მარტოდენ შელამაზება-მოპირკეთება და მისი საბაზრო ეკონომიკის თარგით განყოფილება იყო და არა იმპერიის მიერ დაპყრობილ ერთა გათავისუფლება (მაგალითად, სახაროვის ე. წ. „ახალი საბჭოთა კონსტიტუცია“), ქართული ეროვნული მოძრაობა ცალსახად და კატეგორიულად იბრძოდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, როგორც უზენაესი მიზნისათვის. ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გაუცნობიერებლად შეუძლებელია ქართული ეროვნული მოძრაობისადმი გარეშე ძალების მტრული დამოკიდებულების სწორად გაგება. ამ პერიოდის წინააღმდეგობები თვალნათლივ აისახა ფართო და საჯარო ოდიოზურ დისკუტში (1988-1991 წწ.): „ჯერ დემოკრატია, თუ ჯერ დამოუკიდებლობა“. საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები საქართველოში ამტკიცებდნენ, რომ არ ივარგებს საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული მთელი საბჭოთა სისტემის დემოკრატიზება. ქართული ეროვნული მოძრაობა კი სავსებით მართებულად ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებლობის გარეშე ვერავითარი დემოკრატია ვერ იარსებებს. ანტიეროვნული, ანუ ნომენკლატურული „დისიდენტური“ საბჭოთა ინტელიგენციის სახე ყველაზე თვალნათლივ წარმოადგინა რუსი დისიდენტების ლიდერის სახაროვის ცინიზმით აღსავსე ლოზუნგმა „საქართველო – მცირე იმპერია“, რაც არსებითად მოწოდება იყო, პირველ რიგში, აფხაზი და ოსი სეპარატისტებისათვის, დაეწყოთ აქტიური სეპარატისტული მოქმედებები. სწორედ ეს ლოზუნგი გახდა საბჭოთა (რუსულ) დისიდენ-

ტურ მოძრაობასა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის საბოლოო განხეთქილების მიზეზი. ანტიეროვნული საბჭოთა ნომენკლატურული ინტელიგენციის ზოგადი პოლიტიკური პოზიცია ქართული ეროვნული მოძრაობის მიმართ მტკიცედ ჩამოაყალიბა მერაბ მამარდაშვილმა: „თუ ჩემი ხალხი პრეზიდენტად აირჩევს გამსახურდიას, მე წავალ ჩემი ხალხის წინააღმდეგ“. აღნიშნული განხეთქილება და მტრობა ეროვნულ მოძრაობასა და ზოგად ანტისაბჭოთა მოძრაობებს შორის გახდა იმისი მიზეზი, რომ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, ზოგადად ქართული რადიკალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბჭოთა დისიდენტურმა წრეებმა, ნომენკლატურულმა ინტელიგენციამ საქართველოში, მთელ საბჭოთა კავშირსა და დასავლეთში წამოიწყეს დევნა-ცილისწამების ფართო კამპანია. საქართველოში ამ დევნის მთავარი განმახორციელებელი გახდა „კრიმინალური წითელი ინტელიგენცია“ და ეროვნულ მოძრაობაში საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ ჩანერგილი საექვო ძალები. 1988-1989 წლებში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყვნენ თაოსანნი და აქტიური მონაწილენი საქართველოში ჩატარებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი აქციისა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1989 წლის აპრილის მრავალათასიანი მშვიდობიანი საპროტესტო აქცია თბილისში. აქცია დასრულდა 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიით, როდესაც კრემლის მითითებით საგანგებოდ გამოგზავნილმა სადესანტო შენაერთმა ორლესული სასანგრე ნიჩბებით დაჩეხა აქციის მონაწილენი (როგორც ცნობილია, გამოყენებული იქნა მომწამლავი გაზი და ცეცხლსასროლი იარაღიც). იმავე დღეს აქციის სხვა ლიდერებთან ერთად დააპატიმრეს გამსახურდია და კოსტავა. 9 აპრილის მოვლენებმა არაერთმნიშვნელოვანი, მაგრამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში. სამწუხარო იყო ის, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის მტრულმა ძალებმა ამ მოვლენებს არაადეკვატური შეფასება მისცეს. მაგალითად, ამერიკის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ბუშმა ამ მოვლენასთან დაკავშირებით შენიშნა, რომ დიდად სამწუხაროა ადამიანების დაღუპვა, მაგრამ ასეთმა წინააღმდეგობამ შესაძლოა შეაფერხოს „პერსტროიკის“ პროცესიო. ამ განცხადებიდან კარგად ჩანს, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლისაკენ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები მტრულ ასპექტში განიხილებოდა დასავლეთის მიერ. საქართველოში ეროვნული მოძრაობის აზვირთებისთანავე „ნომენკლატურულმა ინტელიგენციამ“, ანუ „კრიმინალურმა ინტელიგენციამ“ დაიწყო ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ორგანიზაციების, პარტიების, მოძრაობების შექმნა (რისი კულმინაციაც გახდა პარალელური „ხელისუფლების“ – „ეროვნული კონგრესის“ – შექმნა), უკანონო შეიარაღებული (პარამილიტარული) რაზმების შექმნა და ამავე დროს ეროვნული მოძრაობისა და მისი

ლიდერების, ეროვნული ხელისუფლების დევნა-დისკრედიტირების გააფთრებული კამპანია. ეს კამპანია განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში გაიმარჯვა ჯერ საპარლამენტო არჩევნებში 1990 წლის მინურულს და შემდგომ კი გაიტანა დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი და გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში.

მაია გურაბანიძე: ოპოზიცია ეროვნულ ხელისუფლებას ბევრ ბრალდებას უყენებდა: პრეზიდენტის ძვირადღირებული „მერსედესი“, პურის გა-  
იაფება, გამსახურდიას კავშირის იანაევთან...

ბესარიონ გუგუშვილი: ეს იყო შორს გამიზნული პატარა ტყუილები. ან-  
ტიეროვნული ძალები ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ და ნერგავდნენ ცილისმწამე-  
ბლურ, ყალბ ცნობებსა და მტკიცებულებებს. რაც შეეხება ბრალდე-  
ბებს: პრეზიდენტის „მერსედესი“, რომელიც საქართველოს მთავრო-  
ბის მიერ პრეზიდენტისათვის იქნა შესყიდული, იყო საშუალო კლასის  
დაჯავშნული ავტომობილი. ეს ფაქტი გახადეს იმის ერთ-ერთ „დადას-  
ტურებად“, რომ მთავრობა ფულებს ფლანგავდა...

მთავრობამ პურის ფასი რომ არ გაზარდა, ეს გამონვეული იყო  
იმით, რომ 1991 წლის სექტემბრიდან მოყოლებული საქართველოს  
ბიუჯეტს ძალზე არსებითი პროფიციტი (შემოსავლების ნაჭარბი  
გასავლებზე) ჰქონდა და ამ ნაჭარბით წლის ბოლოს უზენაესი საბჭოს  
ნებართვით შესყიდული იქნა თვითმფრინავები, მეტროს ვაგონე-  
ბი, ოქრო და სხვა ძვირადღირებული საქონელი. ზედმეტია რაიმეს  
დამატება, მით უმეტეს, რომ პური მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი  
საკვები იყო და პურის ფასის გაზრდა მოსახლეობის ყველაზე ღარიბი  
ფენებისათვის პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე ყოფნას ნიშნავდა...

გადამდგარმა და უკანონო პარამილიტარისტულ დაჯგუფებას შეხ-  
იზნულმა ყოფილმა მინისტრმა საბჭოს თავმჯდომარე სიგუამ თბილისის  
ცენტრში ქალაქის მოსახლეობა მიიწვია „საინფორმაციო მიტინგზე“,  
რომელზეც შეჰპირდა შესაბამისი „დოკუმენტების“ გამოქვეყნებას  
გამსახურდიას კავშირზე იანაევთან. მართლაც, ამ მიტინგზე ათასობით  
მოქალაქე მივიდა სენსაციური ინფორმაციის მოსასმენად და ეს მიტინ-  
გი შემდეგ ოპოზიციის მხარდამჭერთა მიტინგად მოინათლა. მაგრამ ამ  
მიტინგზე, და არც ოდესმე შემდგომ, ამ სიცრუის დამასაბუთებელი ვე-  
რაფერი იქნა წარმოდგენილი. სიგუას შეპირებულ „მამხილებელ დოკუ-  
მენტებს“ დღესაც მოუთმენლად ელოდება საქართველო...

დასკვნა: ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ანტიეროვნული ნომენ-  
კლატურული ინტელიგენცია, ანუ „კრიმინალური ინტელიგენცია“,  
რომელიც მშვენივრად ეთვისებოდა საბჭოთა სისტემასაც და 1991-  
1992 წლების პუტჩის შემდგომ დაფუძნებულ შევარდნაძის კრიმინალ-  
ურ რეჟიმსაც, ვერ შეეგუა და შეეთვისა 2003 წლის „ვარდების რევო-  
ლუციის“ შედეგად დაფუძნებულ ხელისუფლებსაც, რისთვისაც მან  
„მტვერწაყრილებისა“ და „ჩარეცხილების“ სახელი დაიმკვიდრა 2007

წლის მიწურულს სამოქალაქო დაპირისპირების გზით სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობის შემდგომ.

მაია გურაბანიძე: კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – 1991 წლის 2 სექტემბერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო მიტინგის დარბევა კინოს სახლთან, რის შემდეგაც განსაკუთრებით გამძაფრდა დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. თქვენი აზრით, რა მოხდა 2 სექტემბერს?

ბესარიონ გუგუშვილი: 1991 წლის 2 სექტემბერს საქართველოში დაიწყო მცოცავი პუტჩი.

მაია გურაბანიძე: ბატონო ბესარიონ, შეიძლებაოდა თუ არა 1991-1992 წლების ტრაგედიის თავიდან აშორება? რას დაარქმევდით ამას? ეს იყო ომი რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის, თუ იყო სამოქალაქო ომი?

ბესარიონ გუგუშვილი: რამდენიც არ უნდა მალონ და ჩქმალონ ანტიქართულმა, პროიმპერიულმა და გლობალისტურმა ძალებმა, ისტორია ადრე თუ გვიან მივა იმ უცილობელ დასკვნამდე, რომ 1987 წლიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირმა წამოიწყო სსრკ-კავკასიის ახალი ომი, რომლის ერთ-ერთი ფრონტი გახდა ჯერ სსრკ-საქართველოს (სამაჩაბლოს ფრონტითა და აფხაზეთის ფრონტით) და შემდგომ რუსეთ-საქართველოს ომი. ამ ომის სხვა ფრონტები იყო რუსეთ-ინგუშეთის ომი, რუსეთ-ჩეჩნეთის ომი, რუსეთ-აზერბაიჯანის ომი. მაგრამ ამ საკითხის განხილვისას, პირველ რიგში, უნდა ის მოვიძიოთ, თუ რატომ არ აწყობთ გარკვეულ ძალებს საქართველოში ამ ომის აღიარება მაშინაც კი, როდესაც სავსებით ნათელია, რომ ეს ომი, რომლის შედეგადაც რუსეთმა სამაჩაბლოს ნაწილისა და აფხაზეთის უდიდესი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა, ჯერაც არ დასრულებულა და მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის ფაქტი არსებობს, რამდენადაც საქართველო ამ ოკუპაციას არ შეურიგდა.

აქ საქმე იმაშია, რომ, თუ ვაღიარებთ სსრკ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ომების ფაქტს, მაშინ სულ სხვაგვარ შუქში გამოჩნდება იმ ძალების ფუნქცია და როლი, რომლებმაც საქართველოში ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლება განდევნეს ჯერ თბილისიდან, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ხელისუფლება კვლავ აღსდგა დასავლეთ საქართველოში, იგი სწორედ რუსეთის ადმირალ ბალტინის საექსპედიციო კორპუსისა და ძერჟინსკის დივიზიის მეშვეობით ხელახლა განდევნეს!!!

თუ სსრკ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ იგი ჯერ „ცივი ომის“ სახით დაიწყო (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ საინფორმაციო ომით), შემდგომ თანდათანობით სულ უფრო გახურდა და თბილისში 9 აპრილის სისხლისღვრის შემდგომ ჯერ სამაჩაბლოში, შემდგომ თბილისში და ბოლოს აფხაზეთში ცხელ ომად გამოვლინდა...

თუ სსრკ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ ყველა ის ძალა, რომელიც ებრძოდა და ასუსტებდა რუსეთთან ფაქტობრივი ომის მდგომარეობაში მყოფ საქართველოს ეროვნულ, ლეგიტიმურ ხელისუფლებას, მოლა-ლატეები იყვნენ და საველე ტრიბუნალს იმსახურებდნენ...

თუ სსრკ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ არავითარი ქართულ-ოსური, ან ქართულ-აფხაზური დაპირისპირება და, მით უმეტეს, ომი არ ყოფილა...

თუ სსრკ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ არავითარი „სამოქალაქო ომი“ არ ყოფილა და იყო ომი საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასა და საქართველოში რუსეთის აგენტურას შორის...

კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ თუ სსრკ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ იმ პერიოდში დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატებიც საქართველოს წინააღმდეგ და რუსეთის მხარეს იყვნენ! და ეს კი საქართველოს ფაქტობრივი მმართველებისათვის უფრო რთული ფაქტორია ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ვიდრე საქართველოს ნები-სმიერი მოლალატობრივი ძალის ფაქტორი...

მაგრამ რადგან საქართველოში დღემდე ხელისუფლება უპყრიათ იმათ (და მათ შვილებს), ვინც (ნებით თუ უნებლიეთ) ჯერ სსრკ-ის და შემდგომ რუსეთის აგენტურის ფუნქციასა და როლს ასრულებდა 1989-1993 წლებში, ვინც საქართველოს წინააღმდეგ ომში რუსეთის მხარეზე მონაწილეობდა, ხელისუფლება უპყრიათ ისეთ ძალებს, რომლებიც ვერ ბედავენ დასავლეთს საქართველოს სამართლიანი პრეტენზიები წაუყენონ, ამიტომ სსრკ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტის აღიარება არ მოხდება.

სსრკ-საქართველოსა და რუსეთ-საქართველოს ომის ასპექტში შეიძლებოდა თუ არა „თბილისის ომის“ თავიდან აშორება? რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ასპექტში შეიძლებოდა თუ არა რუსეთის თავდასხმის თავიდან აშორება? რუსეთ-ინგუშეთის ომის ასპექტში შეიძლებოდა თუ არა პრიგოროდნი რაიონზე რუსეთის თავდასხმისა და ამ რაიონის დაკარგვის თავიდან აშორება? რუსეთ-აზერბაიჯანის ომის ასპექტში შეიძლებოდა თუ არა მთიანი ყარაბაღის დაკარგვის თავიდან აშორება? პასუხის გაცემა თქვენთვის მოგვიჩვენეთ...

მაია გურაბანიძე: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენი ოჯახი ახლო ურთიერთობაში იყო გამსახურდიების ოჯახთან.

ბესარიონ გუგუშვილი: დიახ. მამაჩემი და დედაჩემი კონსტანტინე გამსახურდიასა და მირანდა ფალავანდიშვილის ქორწინების ოფიციალური მონმე-ხელისმომკიდებები იყვნენ, ხოლო მათი ოჯახების მჭიდრო მეგობრობა 1937 წლიდან მოდის. ამდენად, ზვიადსა და თამრიკოს ბავშვობიდან ვიცნობდი.

ჯემილა მესხია

5 აგვისტო, 2007 წელი

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონო ჯემილა, თუ შეიძლება ჩვენი მკითხველისათვის ორიოდ სიტყვით მოგვახსენეთ თქვენი განვლილი ცხოვრების გზის შესახებ მოკლედ, თქვენი ოჯახის შესახებ, სად დაიბადეთ, როდის, რა განათლება გაქვთ მიღებული, რა სპეციალობის ბრძანდებით და როდის ჩაებით აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თქვენი ცხოვრების რა ეტაპზე და რამ განაპირობა ეს.

ჯემილა მესხია: დავიბადე ზუგდიდში 1935 წელს. დავამთავრე სკოლა ოქროს მედალზე. ჩამოვედი, ჩავირიცხე უნივერსიტეტში, დავამთავრე წარჩინებით, დავრჩი ასპირანტურაში. დავამთავრე გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. ამ დარგში კათედრაზე დავიცავი ორი დისერტაცია — საკანდიდატო და სადოქტორო. დავრჩი უნივერსიტეტში. ახლა გარეთ ვარ საერთოდ, როგორც ყველა. იცით, ეს ამბები 2006 წლის, განათლების რეფორმა. ამის შემდეგ ვარ სახლში. რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მასში ვიყავი 1978 წლიდან, მაგრამ აქტიური გავხდი მას შემდეგ, რაც სამაჩაბლოში ატყდა ერთი ამბავი. სამაჩაბლოში რუსის ჯარი რომ შემოვიდა და ქართველებს ხოცავდა, ამან ერთგვარი ბიძგი მომცა, რომ დამეარსებინა ჯარისკაცის დედათა კომიტეტი საქართველოში და მივუერთდით — მოსკოვშიც იყო ასეთი. იცოდა, რასაც ვაკეთებდი ბატონმა ზვიადმა და როცა დასჭირდა, მთხოვა, თუ შეგიძლია. მიიღე მონაწილეობაო. თავმჯდომარე ვიყავი ამ საქმისა — საქართველოს ჯარისკაცთა დედათა კომიტეტის თავმჯდომარე. მაშინ გავაქტიურდი განსაკუთრებით. მერე მოსკოვთანაც კავშირი მქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: მოსკოვში ვისთან გქონდათ კავშირი?

ჯემილა მესხია: შუაზიელი იყო ის კაცი, აღარ მახსოვს გვარი. ეს ყველაფერი მაქვს მე, უფრო ზუსტად, მქონდა შენახული. ზოგი ნათელასთან იყო და ზოგიც ბიბლიოთეკაში. ახლა არ ვიცი, სად რა არის.

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონ ნათელასთან რაც იყო, ის წაიღო სოფელში. იქ ყოფილა რაღაცა ნაწილი და რაც ბიბლიოთეკაში იყო, ის მე მომიტანეს. მე მას გავეცანი და თქვენ იქ ძალიან აქტიურად ფიგურირებთ. აქედან გამომდინარე, მე დამჭირდა თქვენი ჩანერა. თქვენ შიმშილობდით მოსკოვში...

ჯემილა მესხია: კი.

ნათელა ვაჩნაძე: ... სად შიმშილობდით, რა ადგილას, თუ გახსოვთ და რით იყო ეს აქცია გამოწვეული?

ჯემილა მესხია: დიდი ხანი გავიდა და ესე ადვილად ვერ ვიხსენებ. რაღაც

შენობა იყო, რომელიც ეკუთვნოდა პარტიის რაღაცას. ჩვენ იქ ვცადეთ შიმშილობა, მაგრამ ბოლომდე ვერ ვიშინებოდით. იმიტომ, რომ გაირკვა, რომ სიტუაციაა ისეთი, რომ ჩვენ აქტიურად უნდა ვიაროთ, სხდომებია და იმას უნდა დავესწროთ.

ნათელა ვაჩნაძე: აპრილის თვეს.

ჯემილა მესხია: ორჯერ იყო. აპრილში იყო მოსამზადებელი. იქ დავუკავშირდი იმას, მოსკოვში ვინც იყო. ისიც არ იყო ქართველი. იმანაც სხდომა მოინვია და იმ სხდომაზე 100-მდე გენერალი იყო და დედები არ ვიცო, რამდენი. უზარმაზარი დარბაზი იყო. მე ვიყავი, თამრიკო ფიცხელანი და ნათელა კიკნაძე. მერე, როცა ჩვენ მოვემზადეთ, რომ კონვენტი იქნება და იქ გამოსვლა მოგვინევს, იქნებ ყურადღება მოგვაქციონ, გადავწყვიტეთ, რომ ქალბატონ მარიკას გაეკეთებინა მოხსენება ისტორიული კუთხით სამაჩაბლოზე კონვენტზე. ბატონმა ზვიადმა მითხრა, იქნებ ვინმე გამოვიდესო და მე ვუთხარი, მარიკა ლორთქიფანიძე-მეთქი. კი, ბატონოო და ქალბატონ მარიკას ვთხოვეთ და სიამოვნებით მიიღო ეს მიწვევა. ნავედით მოსკოვში. პირველ დღეს სხდომა იყო, სექციების მიხედვით ვესწრებოდით. ერთი ასეთი შემთხვევა გვქონდა, რის გამოც მე ზოგიერთები ძალიან დამამახსოვრდნენ. როცა ჩვენ ჩავედით აქედან – ჩვენ მივდიოდით როგორც საქართველოს წარმომადგენლები – საქართველოს წარმომადგენლები იქ დავგვხვდნენ აბსოლუტურად სულ სხვა ხალხი. იქ იყო ჯანაშია, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე მომუშავე. მაშინ დოცენტი იყო და მერე პროფესორს წერდნენ, ალბათ გაპროფესორდა. იყო თოდუა, ვილაც ახალგაზრდა, იყო მოლდავეთიდან.

ნათელა ვაჩნაძე: დედა ჰყოლია მოლდაველი და მამა ქართველი. სრულიად არ სცოდნია ქართული.

ჯემილა მესხია: ჩვენ რომ მივედით იქ, ჯანაშია მაშინათვე გამოჩნდა ჩვენ თვალწინ და ის რას აკეთებდა და რას არა, ჩვენ არ ვიცოდით ჯერ კიდევ. მერე გაირკვა, რომ საშა რუსეცკი და ეს ხალხი იყო საქართველოს წარმომადგენელი. ჩვენ გაცხადებული დავრჩით, ჩვენ პრეზიდენტმა გაგვაგზავნა და ესენი ვინ არიან. ეს ხალხი, მერე მე როგორც მითხრეს, დაუკავშირდა აქედან აქაურს, ამის გამოგზავნილებიან და გვარიც მითხრეს. პრორექტორი იყო ჩვენი აქა უცხოეთში ნამყოფი შვიდ წელიწადს ბატონი იაბლოჩკინი. გაგზავნილი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

ნათელა ვაჩნაძე: მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჯემილა მესხია: შეიძლება, ასე იყო. სრულიად შემთხვევით, ჩვენ კი არ ვიცოდით, რომ ეს არსებობს... გვეჩქარება, 3 საათზე სხდომა იწყება და უნდა მივიდეთ იქა და 10 წუთი რომ აკლია, მივედით შენობასთან, შევედით ლიფტში – და ქართულად ვლაპარაკობთ. ამ დროს გამოგველაპარაკა ვილაცა: Вы что грузины? მე ვუთხარი, Да-მეთქი. Я тоже грузин. გვარი-მეთქი. მითხრა, თოდუა. ქართული იცი-მეთქი. არაო, რუსულად

მითხრა. აბა მაშინ რანაირი ქართველი ხარ-მეთქი. დედა მოლდაველი მყავს და მამა მეგრელიო. სამეგრელოში ბებიასთან დავდივარ და ამიტომ მეგრული ვიცი ცოტაო. გამოველაპარაკე და გავიგე, რომ რაღაცა ესმის მეგრულად. ამას ისე გაუხარდა ქართველების დანახვა... ეს არ არის საქმის კურსში, ჩართულია საქმეში და არაფერი არ იცის. ახლა მე რომ მივალო, ჯანაშიას ვეტყვი, თქვენ რომ ჩამოსულები ხართო. მივედით სხდომაზე, შესვენება გაკეთდა. ეს თავს გვევლებოდა, ძალიან ახლოს იყო ჩვენთან. ჯანაშიაც ნახა. სხდომის გაგრძელებაზე ის არ მოსულა და საერთოდაც გააგდეს. გააგდეს იმიტომ, რომ შენ რატომ გამოაჩინე, ვინ ხარ.

ნათელა ვაჩნაძე: ვერ შეასრულა მან დავალება, რაც ჰქონდა მას მიცემული. ჯემილა მესხია: არ იყო ის გაცნობიერებული, რა საქმეში მონაწილეობდა. დავდივართ მერე შენობაში, ინერენ რაღაცეებს და ერთ მომენტში დავინახე, აქტიურობს რუსეცკი. იყვნენ უცხოელები, ზოგი შვედეთიდან იყო, ზოგი სხვა ქვეყნიდან...

ნათელა ვაჩნაძე: დანიელ ნებელი იყო იქ დიდ მუშაობაში ჩართული.

ჯემილა მესხია: ... ისეთ რაღაცას აკეთებს ეს ბიჭი, რომ არ მომეწონა. ქურთები იყვნენ იქ. როგორც შევხედე, იმ ნუთას ვუთხარი ჩვენს ქალებს, რომ ესენი ქურთები არიან-მეთქი. ეს აპრილია.

ნათელა ვაჩნაძე: თბილისელი ქურთები იყვნენ?

ჯემილა მესხია: თბილისელები იქნებოდნენ. ქურთები იყვნენ გენეტიკურად, მაგრამ ისინი უბრალო ქურთები არ იყვნენ.

ნათელა ვაჩნაძე: საქმე იყო რაღაცა ჩაფიქრებული?

ჯემილა მესხია: რაღაც საქმე იყო. რუსეცკი აქტიურობს ამასთან დაკავშირებით და ქალი, რომელიც უთარგმნის აქ ქურთებს და იმ ნებელს, რუსია. მერე სხვათა შორის ვკითხე, ვინ არიან და რაზე არიან ესენი-მეთქი. რა ვიცი, ვინ არიან და რაზე არიანო. მაინც რაზე არიან, თქვენ ხომ თარგმნით-მეთქი. გამიცინა და იმათი ნათქვამი არ გასცა. მე რომ ვზივარ და იქ ინერენ, თბილისი, თბილისი შიგადაშიგ მესმის. გოგოებს ვუთხარი, თბილისს ახსენებ-მეთქი. მერე მივიდა ვიღაცა და კიო, თბილისს ახსენებენო. თბილისთან არის რაღაც დაკავშირებული და რომ სასიკეთო არ არის, ჩანს, იმიტომ, რომ რატომ მიმაღავს?..

ნათელა ვაჩნაძე: უშიშროების დავალება იქნებოდა.

ჯემილა მესხია: ... რუსეცკიც მიმაღავს. ჯანაშია ხომ საერთოდ არ გაგვეკარა სიახლოვეს. რუსეცკი დავიჭირე და ვუთხარი, რაზე გყავს ჩამოყვანილი-მეთქი. რა თქმა უნდა, არაფერი არ მიპასუხა. მერე ჩაიარა ამან ყველაფერმა. ერთი სიტყვით, მოვილაპარაკეთ, რომ იქნება კონვენტი და ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას. ჩამოვედით. როგორც კი ჩამოვედი, მოხსენებითი ბარათი მაშინათვე დავწერე, მოვახსენე, ქურთები რომ იყვნენ. აქ მათ სცადეს რაღაც, თუ გახსოვთ, და „ჩაარტყეს“ თავში. იქ გავიგეთ ჩვენ ეს.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. მოძრაობა იყო ეროვნულ უმცირესობაში.

ჯემილა მესხია: რალაცას დაობდნენ, ისინი ოთხნი იყვნენ. მერე ჩვენ თოდუა არ გვინახავს, ყველაფერი დამთავრდა და ჩამოვედით. მერე კიდევ ვიყავით უკვე კონვენტზე. ორჯერ ვიყავით მანამდე.

ნათელა ვაჩნაძე: ჯერ მოსამზადებელი თავყრილობა იყო და მერე მოგცეს ნება, რომ თქვენ მონაწილეობა მიგელოთ კონვენტში, პროგრამები დაგირიგეს.

ჯემილა მესხია: დაგვირიგეს პროგრამები და მერე რომ ჩავედით, იყო ქალბატონი მარიკა ჩვენთან. იქ ისევ რუსეცკი აქტიურობდა, ისევ ჯანაშია აქტიურობდა. აქედან იყო ის პიროვნება, რომელიც იქ იმათ თავობდა და ამუშავებდა. ზვიადმა მაგის შესახებ არაფერი არ იცოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ჩანაწერებში მე ვნახე სამი გვარი: გია ბარამიძე...

ჯემილა მესხია: გია ბარამიძე მინერია?

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არა, ნათელას უნერია, მე თქვენი დოკუმენტები არ მინახავს.

ჯემილა მესხია: ნათელა უჩემოდ ვერაფერს ვერ დანერდა, გამორიცხულია. დამავინყდა ალბათ. მაშინ გია ბარამიძე მაინცდამაინც არ ფიგურირებდა.

ნათელა ვაჩნაძე: ... რეზო ადამია...

ჯემილა მესხია: არა, არა. ეს ნათელას ჩანაწერები არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: იყო კიდევ მესამე პიროვნება, გვარი არ მახსოვს. და იყო კიდევ ნახსენები „მწვანეებიდან“ დათო ლალიძე.

ჯემილა მესხია: დათო ლალიძე არა, სოხუმელი იყო, გვარს ვერ ვიხსენებ. ისიც არ იყო წმინდა წყლის, შევატყვე. ჩვენთან თითქოს კარგად იყო, მაგრამ საუბრობდა მხოლოდ მარიკასთან. ის იყო, სხვათა შორის, „მწვანეების“ წევრი და იქ არ ჩანდა, რომ ჩვენთან გაბუტული იყო ან რაიმე ცუდი აზრები ჰქონდა, მაგრამ უჩვენოდ ელაპარაკებოდა მარიკას და დიდხანს.

ნათელა ვაჩნაძე: თითქოს მან მოიტანა პირველად ამბავი იმის შესახებ, რომ აფხაზეთში 16 აგვისტოს უნდა გავარდნილიყო ტყვია.

ჯემილა მესხია: არ იქნებოდა ეგეთი, მაგას ეს არ ეცოდინებოდა. ეგ კი აფხაზეთიდან იყო, მაგრამ იქ რომ ტყვია უნდა გავარდნილიყო, ზვიადმა ეს როდის თქვა, იცით? როცა ზვიადი უნდა გაქცეულიყო, შევიკრიბებით წინასწარ მთავრობის სასახლეში. ყველაფერი გაკეთდეს და აფხაზეთში თოფი არ გავარდესო — ეს მისი სიტყვებია. ის მესამე აფხაზეთიდან იყო. შეიძლება, ესეც აურიეს გოგოებმა. მაშინ ნათელა არ იყო, თამრიკო იყო ჩემთან. მერე ისიც გაიქცა, მაგრამ იმ დროს მე ვიყავი. დარბაზში შეგვიყვანეს და იქ ზვიადი თითქოს ემშვიდობებოდა, მაგრამ ჩვენ არ გვითხრა, რომ მივდივარო.

ნათელა ვაჩნაძე: კი, რა თქმა უნდა. თქვენ როგორ შეხვედით შიგ?

ჯემილა მესხია: შიგნით ვიყავი სულ, მე მქონდა საშვი. ისეთი რალაცეები იყო, რომლებსაც დამავალებდა და გავაკეთებდი. ლალი მაისურაძე იყო...

ნათელა ვაჩნაძე: რომელიც მერე მოკლეს.

ჯემილა მესხია: ხო. ... არ სცალიაო და არ გამიშვებდა ხოლმე. იქიდან ჩამოტანილი ამბავი რომ მქონდა, ლალიმ არ შემიშვა, დააშავა და არ შემიშვა და ის გადამაცემინა დეპუტატისთვის, რობერტისთვის გადამაცემინა. მე წავედი ზუგდიდში. მერე რალაცეები მოხდა და გამომიძახეს ზუგდიდიდან. რა იცი ამის შესახებო, რატომ არ მომეცი მოხსენებითი ბარათიო. მე ვუთხარი, რომ ეს მე გადავეცი — შვიდი ფურცელი იყო — რობერტ პეტრიაშვილს-მეთქი. იმ წუთასვე გამოიძახა ლალი, მოხსენებითი ბარათი მოატანინეს საჩქაროდ, წაიკითხა, გამოიძახა ლალი და უთხრა: რა დროც არ უნდა იყოს, ვინც არ უნდა მყავდეს, ქალბატონი ჯემილა რომ მოვა, შემოუშვიო.

ნათელა ვაჩნაძე: რა ეწერა იმ მოხსენებით ბარათში?

ჯემილა მესხია: იქ რაც ვნახეთ, ის ეწერა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორც დოკუმენტებში ვნახე, თქვენ იაზოვს და პუგოს შეხვედრიხართ.

ჯემილა მესხია: იმ ჯგუფში ვიყავით, თორემ ჩვენ რას შევხვდებოდით, სხვები შეხვდნენ. იქ ქვეყანა იყო, სომხებიც იყვნენ, აზერბაიჯანელებიც იყვნენ. სხვათა შორის, მაგათ მხარი აგვიბეს, როცა ვთქვით, რა ამბავია ჩვენთან.

ნათელა ვაჩნაძე: ელენ ბონერმა ძალიან სანინააღმდეგო პოზიცია გამოხატა.

ჯემილა მესხია: ო, ბონერი რა ყოფილა? იქ ვნახე პირველად და გავგიჟდი, რა უნდა ამ ქალს-მეთქი. თურმე სომეხია.

ნათელა ვაჩნაძე: კი, სომეხია, რა თქმა უნდა, ალიხანიანი, ეს ცნობილია. ბონერი ქმრის გვარი იყო.

ჯემილა მესხია: ვიცი, მეორე ქმარი იყო ეს, ამის გვარს არ ატარებდა. ვითომ ქალიშვილობის გვარი ჰქონდა, სინამდვილეში კი ალიხანიანი იყო. აშკარად გამოდიოდა ქართველების წინააღმდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გქონდათ წაღებული ფილმი.

ჯემილა მესხია: ის ფილმი რომ ვაჩვენეთ, რა ხდება სამაჩაბლოში, სუყველა, ვინც იყო იქ – მარტო კავკასიელები კი არა, ვინც იყო – სუყველა მოვიდა ჩვენთან. ჩვენ მერე იაზოვის შენობის წინ მარშირება გავაკეთეთ და ისინი მონაწილეობდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: იაზოვი მაშინ შეიარაღებული ძალების მინისტრი იყო.

ჯემილა მესხია: იქაც, კონვენტზე, ისე აქტიურობდა რუსეცკი, მეტი რომ არ შეიძლება... ჩვენ დავიშალენით. მე შევედი იმ დარბაზში, სადაც რუსეცკი უნდა გამოსულიყო, სხვები — სხვა დარბაზებში, მარიკაც ცალკე იყო. ძალიან ცხელი ვითარება იყო. აშკარად ჩანდა, რომ ჩვენ იქ უბრალოდ არა ვართ. კონვენტის დროს იყო, მე რომ გენერლებს შევხვდი. მარიკამ მოხსენება გააკეთა სამაჩაბლოზე. რახან გააკეთა მოხსენება ისტორიული კუთხით, მე არ მინდოდა გამოსვლა. მარიკამ გვითხრა, მე უკვე ვილაპარაკე და გამოდით რომელიმეო. მე გამოვედი და ვილაპარაკე, როგორ ხოცავენ სამაჩაბლოში ქართველებს. მარიკამ დაამტკიცა, რომ ეს ქართული მიწაა და მე ვილაპარაკე,

დღეს რა ვითარებაა, როგორ ერეკებიან ქართველებს იქიდან და რუსის ჯარს აქვს უფლება გენერალიტიტიდან, რომ ხოცოს ხალხი. შეიძლება, საკუთარ ჯარს საკუთარი ხალხის დახოცვა უბრძანო-მეთქი. ნამოდგა ერთი გენერალი და თქვა: თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს მე არ მაქვს უფლება ვუბრძანო ჯარს, რომ ესროლეთ. მე ვუთხარი, არ იცით, რომ არ გაქვთ უფლება-მეთქი. თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ ესროლოთ საკუთარ ხალხს. ისინი ხომ ჩვენი შვილები არიან და ჩვენ ვაჭმევთ მაგათ და თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ ესროლოთ. იცით, რამხელა ტაში იყო დარბაზში? სიტყვა არ უთქვამს, დაჯდა მაშინათვე.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაინტერესებს სამაჩაბლოს ვითარება.

ჯემილა მესხია: მე თვითონ დავდიოდი სამაჩაბლოში მანქანით, ზვიადი რომ დამავალბდა. ძალიან აქტიური ვიყავი, მეგონა, რომ რალაცას ვაკეთებდი. აფხაზეთთანაც დაკავშირებით ძალიან აქტიური ვიყავი. მაისურაძემ მითხრა, ბატონმა ზვიადმა თქვა, ესეთი ხუთი რომ მყავდეს, მეტი არაფერი არ მინდაო. დუდაევი რომ აირჩიეს, მე მაშინ დედათა კომიტეტის სახელით მივულოცე...

ნათელა ვაჩნაძე: გაპრეზიდენტება?

ჯემილა მესხია: გაპრეზიდენტება კი არა, განთავისუფლება.

ნათელა ვაჩნაძე: კონვენტის დღეებში თქვენ არ მოგიკრავთ ყური, რომ რალაცა სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა?

ჯემილა მესხია: ძალიან დაძაბული ვიყავით, რა მოხდა, მე ახლაც არ ვიცი. ჩვენ გვინდოდა კიდევ რამდენიმე დღით დარჩენა და კიდევ რალაცეები გაგვეგო. ხომ არ ვიცოდით რომ პუტჩი იქნებოდა ხვალ, მაგრამ წინა სალამოს რომ შევიკრიბებით, ვერ გეტყვით, ისეთი სიტუაცია იყო, რომ მე გოგოებს ვუთხარი, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენ აქედან უნდა წავიდეთ, რალაცა მოხდება და აქ არ ჩავრჩეთ-მეთქი. არაო, ხვალ, ზეგ. არა, ამ სალამოს მივდივართ-მეთქი. იმ სალამოსვე საელჩოში გავაკეთე ყველაფერი და გადმოვფრინდით. ზაურ მესაბლიშვილმა შეგვინო ხელი. იმას რომ არ გაეკეთებინა, ისეთი სიტუაცია იყო, ჩვენ ვერაფერს ვერ გავეკარეთ. 2 საათზე ჩამოვედი, რადიო ჩავრთე და დავწექი. რადიო ჩართული დამიტოვებია და დილით მალვიძებს რადიო და... პუტჩი. მე ვთქვი, რა იყო ეს, რა შეგრძნება მქონდა, რომ ავიჩემე, დღესვე მივდივართ.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვფიქრობ, რომ გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ პუტჩი მზადდებოდა.

ჯემილა მესხია: პუტჩი კი არ მიფიქრია, მაგრამ რალაცა მოხდა ისეთი, რომ ვიფიქრე, ჩვენ იქ ჩავრჩებოდით.

ნ. მ.: დაძაბული ვითარება იყო. მე იქ ვიყავი და მე ეს ვიგრძენი ტანით. მე ხომ არ ვიცოდი, რომ პუტჩი იქნებოდა. მე არ ვესწრებოდი კონვენტს, მაგრამ იქიდან მოსული ქალბატონი მარიკა ისეთი აღელვებული იყო, რომ ნუთში ერთხელ რეკავდა წარმომადგენლობაში — მიშოვით სა-

დაც გინდათ ბილეთი. მე სასწრაფოდ უნდა გავფრინდეთ, თუმცა ჩვენ ვაპირებდით იქ დარჩენას.

ჯემილა მესხია: ჩვენთან ერთად წამოვიდა მარიკა. რაღაც საშინელება იყო, ქუჩაში რომ მივდიოდით და გამოველაპარაკებოდით რუსს, რაღაცა იგრძნობოდა.

ნათელა ვაჩნაძე: გადატრიალებასთან დაკავშირებით ხომ არ შეგიძლიათ რაიმე გაიხსენოთ?

ჯემილა მესხია: კვირა დღე იყო. იმ დღეს ჩემი კენჭისყრა უნდა ყოფილიყო. მე დეპუტატად მირჩევდნენ მესხეთში, ასპინძის რაიონში. წინასწარ ითქვა, რომ გადადებენ კენჭისყრასო, მაგრამ კენჭისყრა არ გადაიდო. წავედი და სადღაც – ვერ ვიხსენებ – უკვე ჩამდგარი იყო ხალხი. ჩვენი კი არა, ანტიხალხი. გამიკვირდა. მივედი და მოვახსენე, დგანან იქმეთქი. იქ გავიგე, რომ იქიდან ემზადება კიტოვანი. შევედით შიგნით და მერე ატყდა სროლა. მერე შიგნით ვიყავი. შიგნით ვიყავი ერთი ღამე და ორი დღე.

ნათელა ვაჩნაძე: რა სიტუაციაში იყავით შიგნით?

ჯემილა მესხია: შესულები ვიყავით როგორც წარმომადგენლები და დავრჩით შიგნით. ჯერ ზევით ვიყავით, მაგრამ მერე ზვიადის ფანჯარას რომ ესროლეს, ზვიადი გამოვიდა და ზვიადის კაბინეტის შესასვლელში სავარძლებში ვისხედით. ღამეც იქ ვიყავით. რომ ამბობენ, აქედან ისროდნენო, თავიდან არ იყო იქით სროლა, აქეთ გვესროდნენ. ზვიადს ეუბნებოდნენ, გაეცი პასუხიო. ვის გავცე პასუხი, რუსს მე ვაჯობებო. ქართველები არიანო. არა, რუსები არიან ეგენიო, რუსი მესვრისო. ე. ი. ვინც იქ იყო, ის იყო ყველა რუსი. მერე რა რომ გენეტიკურად ქართველია, ტვინი აქვს მოწყობილი ისე. მერე ჩვენ გვითხრეს, რომ ჩადით დაბლაო, შეიძლება რამე მოხდესო და თქვენ, ხელს შეგვიშლით, ქალები ხართო. მაშინ ვნახე მე პირველად, რომ ამბობენ ბუნკერი, ბუნკერი. ის არავითარი ბუნკერი არ იყო. დიდი მოედანივით იყო და გარშემო იყო სასადილოები. ჯარს ასადილებდნენ იქ და ჩვენც იქ ვსადილობდით. არავითარი ბუნკერი იქ არ ყოფილა. ზვიადი იმ ბუნკერში არ ყოფილა, ის არ ჩამოსულა იქ. მერე გაგვიყვანეს იქიდან. და როგორ გაგვიყვანეს, იცით? წინიდან ვერ გახვალ, სროლაა. ჩვენ ვიყავით აქეთა, ზვიადი რომ იყო, იმ ბლოკში. ერთი ბლოკიდან მეორე ბლოკში რომ გადახვიდე, ის პატარა მონაკვეთი ფეხით უნდა გახვიდე. სროლა რომ ცოტა შენეულდა, გაგვიყვანეს იქიდან. გავედით და ერთმა ოჯახმა შეგვიფარა იმ ღამეს. ღამე ისეთი სროლა იყო, რომ ამ სახლის ეზოში ვარდებოდა ტყვიები. დილით ადრე, 6 საათზე, დიასახლისი ადგა და თქვა, სროლა შეწყდა და როგორმე უნდა გაგაპართო. როცა შემოვიდა ეს ქალი, თქვა, რომ რუსის ოფიცერი მკვდარი გდიაო. მერე ჩვენ გამოვედით, გვინდოდა მისვლა, მაგრამ ვერ მივედით.

ნათელა ვაჩნაძე: ოპოზიციური ნაწილი ამბობს, რომ სროლა დაიწყო პირველად პარლამენტის შენობიდანო.

ჯემილა მესხია: არა, არა, იქ ვიყავი და როგორ. რა თქმა უნდა, იმათმა დაინ-  
ყეს. მე არ გამიგია, იქით რომ ესროდნენ, მაგრამ აქეთ რომ გვესროდ-  
ნენ და ჩოჩქოლი ატყდა, ეს ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ვისთან ერთად იყავით?

ჯემილა მესხია: მე და თამრიკო ბოლომდე ვიყავით. კიდევ იყვნენ ჩვენი ქა-  
ლები, მანანასთან არიან ისინი ახლა. ... მერე გავიგე, რომ არჩევნები  
ჩაუტარებიათ და ავურჩევიათ მესხეთში, მაგრამ უკვე თოფი გაის-  
როლეს, მთავრობა გაიქცა... მე მაინც ვაგრძელებდი, მანანასთან და-  
ვდიოდი, როცა დაბრუნდა მანანა. ახლა არსად არ დავდივარ. წლებს  
თავისი მიაქვს.

ნათელა ვაჩნაძე: მაინც რა მოხდა? თუნდაც იმას რომ აბრალებენ ეროვნულ  
ხელისუფლებას, რომ სამაჩაბლოს პრობლემა, არის მაგათი პრობლე-  
მა, თითქოს ე. წ. სამხრეთ ოსეთი ხელისუფლების დაკარგულია. ამის  
მიმართ რა დამოკიდებულება გაქვთ?

ჯემილა მესხია: მე ერთი რამე ვიცი, რას აკეთებდა კიტოვანი. კიტოვანი  
თავიდანვე იყო განზე. ჩვენ რომ მივდიოდით მოსკოვში, კიტოვანთან  
შევედით. იმან გაგვატანა სამაჩაბლოს ფირი.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ხომ ძალიან რთული იყო, შეიძლებოდა გატანა?

ჯემილა მესხია: ჩვენ კი წავიღეთ მოსკოვში და.

ნათელა ვაჩნაძე: ვისი ფირი იყო ეს?

ჯემილა მესხია: არ ვიცი, ვინ გადაიღო.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენიმე ფილმი იყო გადაღებული, ოპოზიციას თავისი  
ფილმი ჰქონდა.

ჯემილა მესხია: არა, კიტოვანმა მოგვცა ჩვენ ეს ფირი. მეორეჯერ რომ მი-  
ვდიოდით მოსკოვში, ისევ ვიყავით კიტოვანთან, უკვე განზე იყო ის.  
ჩვენ რომ შევედით, თავისი წიგნი გვაჩუქა. არაფერს არ აკეთებდა,  
ედო თეთრი ქალაღი და პატარა კაცუნებს ხატავდა ზედ.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება ჯარის განლაგებას ხატავდა.

ჯემილა მესხია: არა, მაგას ვერ მივხვდებოდი? არა, უსაქმურობდა.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვნახე დოკუმენტებში, რომ იაზოვთან იყო შეხვედრა.  
რაზე იყო ლაპარაკი? ალბათ იმაზე, რომ არ შეიძლება საკუთარი ერის  
ხოცვა.

ჯემილა მესხია: რა თქმა უნდა, ამაზე იყო, აბა რაზე იქნებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: და შეხვედრა იყო პუგოსთან. პუგო მაშინ შინაგან საქმეთა  
მინისტრი იყო.

ჯემილა მესხია: პუგო იყო თუ იაზოვი, მაინც ჯარი იყო და შეიარაღებული  
იყო.

ნათელა ვაჩნაძე: დოკუმენტებში არის რამდენიმე კაცი ნახსენები, სახელით  
და მამის სახელით მიმართავთ. ხომ არ შეგიძლიათ გაიხსენოთ, ვინ  
არის ეს ხალხი?

ჯემილა მესხია: ალბათ მივმართავ, მაგრამ ახლა ვერ გავიხსენებ, ვინ არიან.  
...ჩვენ ისე გავითქვით სახელი, რომ მერე როცა ყველაფერი დამთავრ-

და – ზვიადი უკვე პრეზიდენტი იყო – წერილს ვიღებ რუსეთიდან, რომ ქართველმა დატოვა სამსახური, გაიქცა და საქართველოში იმყოფება. ჩვენ მას დავსჯით და გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რომ დაბრუნდესო. მე მივწერე, თქვენ ვერ გაიგეთ, რომ დამთავრდა ყველაფერი, ესენი უკვე თავიანთ ქვეყანას იცავენ-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გინდოდათ, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური ადამიანებს გაელოთ თავის მინა-წყალზე.

ნათელა ვაჩნაძე: დოკუმენტებში თქვენ ხშირად გინერიათ ნოდარ ამაღლობელი, თემურ ხუროძე. დადიოდნენ ეგენი თქვენთან ერთად მოსკოვში? ჯემილა მესხია: არა, მოსკოვში არა, ხელს გვინწყობდნენ. ამაღლობელი გვიშვებდა ჩვენ უნივერსიტეტიდან, თორემ ისე როგორ წავიდოდით. ხუროძეც გვინწყობდა ხელს. მომზადება როცა იყო, ამაღლობელს ტელეფონით ვუკავშირდებოდი, შევდიოდი ამაღლობელთან და ველაპარაკებოდი პირდაპირ. მაგ მხრივ ამაღლობელზე საყვედურს ვერ ვიტყვი.

ნათელა ვაჩნაძე: ღმერთმა აცხონოს მისი სული, კარგი კაცი იყო.



თენგიზ კიტოვანი

2008 წლის დეკემბერი

მაია გურაბანიძე: ბატონო თენგიზ, მოკლედ გვიამბეთ თქვენი ცხოვრების შესახებ: როდის და სად დაიბადეთ, როგორ ოჯახში, სად სწავლობდით, სად მიიღეთ უმაღლესი განათლება, როგორი იყო თქვენი ახალგაზრდობის წლები...

თენგიზ კიტოვანი: დავიბადე და გავიზარდე თბილისში, ძნელადი ქუჩაზე. საბავშვო ბაღში დავდიოდი იქვე, ჩემს სახლთან, ძნელადისა და წყალსაზიდის ქუჩაზე. თენგიზ სიგუას დედა იყო ბაღის გამგე, ლიდა შავდია. თენგიზ სიგუა ცხოვრობდა აბაშიძის ქუჩაძე, 50 მეტრით დაშორებით ჩემგან. სამხატვრო აკადემიის მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა ზვიად გამსახურდია. მერე, მოგვიანებით, ბატონ კონსტანტინეს აუშენეს სახლი ვერაზე და იქ გადავიდნენ მთელი ოჯახი. ჩვენ ყველანი ვიყავით 1-ლ სკოლელები. სიგუა იყო ჩვენზე უფროსი. მე და ზვიადი ვიყავით პარალელურ კლასებში. დღესაც ვამაყობ, რომ ჯაჯუ ჯორჯიკიას გაზრდილები ვიყავით, ჯაჯუს სკოლელები.

პირველი რევოლუციური ნათლობა მივიღე საბავშვო ბაღში, ლენინის ბიუსტი ჩამოვადგე, და დღესაც მახსოვს, ყურებანეული როგორ მიმათრიეს სახლში (მე რა ვიცოდი მაშინ, თუ მთავარი ლენინის ჩამოგდება მომიწევდა ლენინის მოედნიდან).

მშობლები ორივე პედაგოგები იყვნენ. მამაჩემი 43 წელს გაასამართლეს 58-ე მუხლით; ჯერ მიუსაჯეს დახვრეტა, მერე შეუცვალეს 25 წლით, გადაასახლეს კარაგანდის „ლაგერებში“. ალბათ ყველამ იცის ცნობილი გაქცევა 45 წლის. მამაჩემი გაიქცა და სტალინის სიკვდილის შემდეგ მიიღო რეაბილიტაცია.

რაც შეეხება პირველ სკოლას: ჩვენს დროს „გოლოვინის“ პროსპექტზე ესე ადვილად ქართველ გოგონებს უჭირდათ სიარული, რადგან სომეხ ახალგაზრდობას ჰქონდა პრიორიტეტი იქ გასეირნების. ჩვენს თაობას მოუწია მასთან სერიოზული ჩხუბები და ნელ-ნელა ავლაბრის მოედნისაკენ მათი აწევა და რუსთაველის პროსპექტის „განთავისუფლება“.

ერთ მშვენიერ დღეს სომეხი და რუსი ახალგაზრდები შემოვიდნენ „ალექსანდროვის“ ბაღში, რათა ჩვენთვის ანგარიში გაესწორებინათ. ბევრი დაიჭრა მაშინ ამ ჩხუბში. იქ ყველა ჩხუბობდა – მერაბ კოსტავაც, ზვიადი, მე, რეზო ჯორჯაძე, ასტამურა, ლადო, რა ვიცი, ყველა, ვინც იყო პირველსკოლელები, ყველამ მიიღო თითქმის მონაწილეობა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

მაია გურაბანიძე: ბატონო თენგიზ, როდის ჩაებით ეროვნულ მოძრაობაში? თენგიზ კიტოვანი: ეხლა რა შეეხება მთავარ საკითხს ჩემს ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებით. 9 აპრილმა, რასაკვირველია, ყველა ქართველს გაუღვიძა ეროვნული სული, მაგრამ მანამდე მოხდა მუსლიმური მოსახლეობის გამოსვლა ქართველების წინააღმდეგ. ეს იყო ბოლნისის რაიონი. კარგად მახსოვს, ჩემი ჯგუფით თითქმის იქ ვიყავით ჩასულები. ეხლა საინტერესო არ არის, რას ვაკეთებდით. ერთი ეს იყო, რომ სუყველა ვიცავდით ქართულ მიწაზე ქართულ ინტერესებს. ჩემი ბოლო შეხვედრა იყო მერაბთან მაშინ. მას მერე მე იგი აღარ მინახია, ისე დაიღუპა, უფრო სწორედ, მოკლეს. მე ამაში დარწმუნებული ვარ და მაქვს უტყუარი ფაქტები, რომ მერაბი მოკლულია და ჭავჭავაძე მოკლულია. საქართველოს მაშინ სჭირდებოდა ერთი მართვადი ლიდერი, რაც იქნა შესრულებული და ამის სპეციალისტები, კარგად მოგეხსენებათ, მაშინდელ ჩეკისტებს არ ეშლებოდათ, დატოვეს ერთი მართვადი ლიდერი.

მაია გურაბანიძე: იყავით თუ არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი? შედიოდით თუ არა გაერთიანებაში – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“?

თენგიზ კიტოვანი: 9 აპრილმა გაააქტიურა ჩვენი ეროვნული ცხოვრება. მე და კაკო ასათიანი შევედით ახალ პარტიაში თემურ ჟორჯოლიანის თხოვნით. ეს იყო მონარქისტული პარტია, თემურ ჟორჯოლიანი იყო თავმჯდომარე. პირველად ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა ყველა პარტიასთან, შეიქმნა ფორუმი, სადაც გავერთიანდით თითქმის სუყველა, სანამ ჯაბა იოსელიანმა ფორუმს არ დაუშინა ტყვიები. ჯაბა იოსელიანს უკვე ჰქონდა შექმნილი „მხედრონი“, რომელიც დააფინანსა კომუნისტურმა პარტიამ: გურამ მგელაძემ მას გამოუყო 6 მილიონი მანეთი. ეს მაშინ იყო უზარმაზარი თანხა. მე აქ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ იყო გია ხონელიძის აზრი და მისი ინიციატივით შეიქმნა. მასში რამოდენიმე პარტია გავერთიანდით. ასე შეიქმნა „მრგვალი მაგიდა“. მე მახსოვს, როგორ გამოვუძახეთ გარეთ კომკავშირლები და როგორ შევედით იმ შენობაში. მაშინ გამიჩნდა ის აზრი, რომ შემექმნა ეროვნული გვარდია, რადგან ჩვენი „მრგვალი მაგიდა“ იყო დაუცველი და ძალის მაგალითი უკვე გვქონდა ჯაბას თავდასხმის შემდეგ. გაჩნდა ის ძალა, რომელიც დაიცავდა ეროვნულ ინტერესებს და, რაც მთავარია, მის წევრებს. ჩვენს წესდებაში იყო ჩადებული ის, რომ „მრგვალი მაგიდიდან“ რომელიმე პარტია რომ გასულიყო, „მრგვალი მაგიდა“ იშლებოდა. თემურ ჟორჯოლიანმა, ეტყობა, გია ჭანტურიას თხოვნით (გია ვერ იტანდა ზვიად გამსახურდიას), მონარქისტული პარტია გამოიყვანა „მრგვალი მაგიდიდან“. იმ ღამესვე ჩემთან სახლში შევიყარეთ კაკო ასათიანი, გია ხონელიძე და რამდენიმე ადამიანი და შევექმენით ახალი პარტია – „ტრადიციონალისტები“. კაკო ასათიანი დავაყენეთ თავმჯდომარედ.

ასე გადავარჩინეთ ჩვენი „მრგვალი მაგიდა“ დაშლას, თორემ შეიძლებოდა საქართველოს ისტორია სხვა გზით წასულიყო. მითუმეტეს, ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ბევრი ბზარი გაჩნდა, რამაც მერე გამოყოფა თავი, რასაც მოჰყვა მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირება ჯერ სამაჩაბლოს საკითხში და მერე აფხაზეთთან მიმართებაში. ეს მაშინ ისე არ იყო გამოკვეთილი, მაგრამ გამსახურდიას პოლიტიკამ გაამძაფრა სიტუაცია ქართლში. მე ბევრის დანერა არ შემიძლია და არც მაქვს უფლება. ეს, მაშინაც და ეხლაც, საიდუმლოებაა.

მაია გურაბანიძე: როგორ მოხდა და რა კრიტერიუმით შეირჩა თქვენი კანდიდატურა თავდაცვის მინისტრის პოსტზე? თქვენ გარდა განიხილებოდა თუ არა სხვა კანდიდატურაც?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: როგორ მიმდინარეობდა ეროვნული გვარდიის ფორმირება? როგორ დაიწყეთ, რა სიძნელეები შეგხვდათ, როგორ მიმდინარეობდა ეროვნული გვარდიის აღჭურვა ტანსაცმლით, იარაღით, ტყვია-წამლით, რა თანხები იყო გამოყოფილი სახელმწიფოს მხრიდან, აპირებდით თუ არა უცხოეთიდან სამხედრო ექსპერტების ჩამოყვანას, როგორი იყო ზოგადად განწყობა ეროვნულ გვარდიაში?

თენგიზ კიტოვანი: რაც შეეხება ეროვნული გვარდიის შექმნას. ეროვნული გვარდია შეიქმნა მაშინ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ არაფორმალური ვიყავით. ამით ჯაბას „მხედრიონი“ იქნა შეჩერებული „მრგვალი მაგიდის“ დასაშლელად და ეროვნული ძალების გასაფანტავად. ამის გარეშე ზვიად გამსახურდიას და მისი გუნდის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. მე რა მინდა ამით ვთქვა, რომ ეროვნული გვარდიის ყოფნამ შეინარჩუნა „მრგვალი მაგიდა“, თორემ მოხდებოდა ისე, როგორც მოხდა ეროვნული ფორუმის არსებობის დროს.

დავინწყით იქიდან, რომ ჩვენ მოვიგეთ არჩევნები, კომუნისტური პარტია დამარცხდა. ესეც კარგი გათამაშებული სპექტაკლი იყო. ასე თუ ისე, ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში. მე მაშინვე დავიწყე გვარდიის ოფიციალურად ჩამოყალიბება. სახელმწიფო ჩვენ ჯერ არც ერთ მანეთს არ გვაძლევდა, მაგრამ შემონირობებით და წარმოებების მიერ გადმორიცხული თანხებით 12 ათას კაცს ჩავაცვი, დავახურე და სასწავლო იარაღი ამოვიღეთ სკოლებიდან – სამოსწავლო ავტომატები და ვაკეთებინებდი საბურთალოს მექანიკურ ქარხანაში, სადაც ჯაბას „მხედრიონი“ დაეცა თავს და ნაწილი დეტალების წაიღო, ვერ წაიღო მთავარი ნაწილები, რადგან ის ჩვენ გვექონდა შენახული კარგად. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ დაიქირავა რუსის ჯარი და ჯაბა და „მხედრიონი“ იქნა დაპატიმრებული შავნაბადაზე. ამით „მხედრიონის“ და ჯაბას პარპაშს წერტილი დაესვა იმ პერიოდში.

მე გამალებით ვმუშაობდი ახალგაზრდა გვარდიის განვრთნაზე. პირველი ახალწვეულების ნაკადი მივიღეთ ყოფილ სამხედრო სკოლაში. ქართველი ხალხი ამაცობდა, რომ ეროვნულ გვარდიაში მიჰყავდათ

თავიანთი შვილები. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 26 მაისს ვთხოვე ზვიადს, რომ მოსულიყო ეროვნულ სტადიონზე და ენახათ ეროვნული გვარდიის ალლუმი. მე მზად მქონდა ფიცის ფურცელი. მე იგი მივეცი ზვიადს და მან წაიკითხა ეროვნული გვარდიის ფიცი. არავინ მოელოდა, რომ ასეთი მომზადებული ჯარი ეყოლებოდა საქართველოს. ხალხი სიხარულით ტიროდა, როდესაც დაინახეს თავიანთი შვილების ალლუმი. ეს ჯარი რამდენიმე თვეში იქნა შექმნილი — იმ უძილო ღამეების და შრომის შედეგი. მაშინ, მახსოვს, თემურ ქორიძემ თქვა და ზვიადს უთხრა: ჩვენ ამაზე დიდი საქმე არ გავგიკეთებიაო. ეროვნული გვარდია იყო ქართველი ხალხის პირმშო და მისი დამცველი. მისი დაშლა და უარყოფა იყო სამშობლოს ღალატი. გვარდიასთან შეკვეთნი უშიშროების სამმართველო. საქართველოში იქმნებოდა ის სტრუქტურა, სადაც ნარკოტიკი ვერ გაიჭაჭანებდა, გადავკეტეთ სვანეთის არხები, საიდანაც შემოდოდა ნარკოტიკი. აფხაზეთში შეიქმნა ჩვენი განყოფილება, გალში და გულრიფში ჩადგინენ ჩვენი გვარდიელები. მე წავედი ისრაელში, შევხვდი არიელ შარონს (თურმე ის თბილისში ყოფილა დაბადებული). შემპირდა იარაღს, ცემენტში ვცვლიდით. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ქართულ სახელმწიფოს სჭირდებოდა. ბევრის დაწერაც არ შეიძლება და შეუძლებელიც არის. ჩვენი მტრები შურით სკდებოდნენ, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე ჩვენს გვარდიელებს უყურებდნენ ჩაცმულ-დახურულებს და ზრდილობით სავსე ახალგაზრდებს.

მაია გურაბანიძე: საზოგადოების ერთი ნაწილი, და არც თუ უმნიშვნელო, თვლის, რომ ბატონი პრეზიდენტის ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა თავდაცვის მინისტრის პოსტზე თენგიზ კიტოვანის დანიშვნა იყო. რა კომენტარს გააკეთებდით ამის თაობაზე?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: როდის და რა საბაბით მოხდა თქვენი პირველი დაპირისპირება ბატონ ზვიად გამსახურდიასთან?

თენგიზ კიტოვანი: მოხდა (ალბათ ქართველი ერი ვილაცამ დაწყევლა) 19 აგვისტოს პუტჩი მოსკოვში. 15 აგვისტოს ზვიადმა თენგიზ სიგუა გაათავისუფლა თანამდებობიდან. ზვიადმა მოინვია მთელი მთავრობა და განაცხადა: მე გვარდია უნდა დავშალოო, რადგან რუსეთის გენერალიტეტის მოთხოვნა იყო, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები არ ჰყოლოდა. მე არ ვიცი, ვინ რას ლაპარაკობს, მაგრამ ერთი კი არის: ბევრმა იქ, მთავრობის წევრმა, მხარი დაუჭირა გვარდიის გაუქმებას. ეს მერე მოიგონეს, რომ შინაგან ჯარებში გადაყვანათ გვარდიის ნაწილები. „გვარდიას“ ჩვენ ვექაჩდით, თორემ იურიდიულად იგი შინაგან ჯარებად იყო გაფორმებული. ისე რომ, მე არ მინდა ვინმემ შეცდომით გაიგოს, რომ კიტოვანი იმიტომ გადაუდგა ზვიადს, რომ გვარდია შინაგან ჯარებად გადააკეთაო. არა. ზვიადი გახდა კაპიტულანტური პოლიტიკის მსხვერპლი და იმ აგენტურის მსხვერპლი, ვინც მას გვერდზე ეხ-

ვია. ეს, პირველ რიგში, მისი მეუღლე, არჩვადის ქალბატონი და მისი და  
ლელე იყვნენ, რომლებიც, ფაქტიურად, მართავდნენ ზვიადს და საქა-  
რთველოს.

მაია გურაბანიძე: ვიდრე დაუპირისპირდებოდით ბატონ ზვიად გამსახურ-  
დიას და გადადგებოდით, მანამდე გქონდათ თუ არა მასთან რაიმე  
უთანხმოება? და თუ გქონდათ, რა საკითხზე და როდის?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: როდის გახვედით რკონის ხეობაში? რას იძლეოდა სტრა-  
ტეგიულად რკონი? როგორ მიმდინარეობდა იქ სამხედრო წვრთნები?

თენგიზ კიტოვანი: 19 აგვისტოს მე არ დავშალე გვარდიის ნაწილები. ჯერ  
მინდოდა ხევისურეთში გაყვანა, მაგრამ მერე შევიცვალე აზრი და გავი-  
ყვანე რკონის ხეობაში. რკონის ხეობა მაინც ახლოს იყო სომხეთ-თურ-  
ქეთის საზღვართან. თუ რუსის ჯარი დაგვარტყამდა, ჩვენ შეგვეძლო  
ბრძოლებით საზღვრის გადაკვეთა. ეს ამ აზრით იყო დაკეთებული,  
რადგან ჩვენ მაინც ველოდებოდით რუსებისაგან თავდასხმას. მაგრამ  
ჩვენ მაინც ზვიადზე არ ვიყავით განაწყენებული და არც გულში არ  
მქონდა ჩადებული მისი წყენინება.

მაია გურაბანიძე: ამ პერიოდში გქონდათ თუ არა ბატონ პრეზიდენტთან  
კავშირი?

თენგიზ კიტოვანი: პუტჩი დამარცხდა. ეხლა ხდებოდა ის, რომ ზვიადის  
მომხრეებს და მის გვერდზე მყოფ აგენტურას სჭირდებოდა ახალი  
პოლიტიკური საკვები. 28 აგვისტოს, მარიამობის დღეს, მე ჩამოვედი  
მარტო თბილისში და პირდაპირ შევედი ზვიადთან მთავრობის სახლში.  
რომ მივდიოდი, არავის სჯეროდა, რომ მე მარტო მივედი მთავრობის  
სახლში 28 აგვისტოს. მე ზვიადს ვუთხარი, რომ გვარდია მის გვერდზე  
დგას. ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს და მე წამოვედი რკონის ხეობა-  
ში 4 სექტემბერს. მე უნდა ჩამომეყვანა გვარდია თავის დისლოკაციის  
ადგილას. ზვიად გამსახურდიამ გასცა ბრძანება სიგუას დაპატიმრე-  
ბის. სანამ სიგუას მოხსნიდა, მე თენგიზს ვუთხარი: ვინც მოვა შენთან  
„ნათიას“ სახელით (ნათია ჩემი პატარა გოგოს სახელია), იმ წუთში გა-  
მოყევი. გავუგზავნე ჩემი გვარდიელები სიგუას. როგორც კი უთხრეს  
„ნათიას“ სახელი, თენგიზი იმ წუთშივე გამოჰყვა მათ.

მაია გურაბანიძე: ვინ იყო რკონში მაღალი რანგის სამხედროთაგან? სახელ-  
მწიფო ხელისუფალთაგან? ან ვინ ჩამოდიოდა ხოლმე?

თენგიზ კიტოვანი: რკონის ხეობაში ჩამოდიოდნენ მთავრობის წევრები,  
კაკოც იყო ასათიანი. დაპირისპირების ფონი არ იყო, მაგრამ ხდებო-  
და ის, რაც არ უნდა მომხდარიყო – ენებს არ უნდა აჰყოლოდა გამ-  
სახურდია. ცოცხალია რობინზონ თუშურაშვილი, მის კაბინეტში  
ხდებოდა მოლაპარაკება ზვიადის მთავრობის მოხელეებსა და შინა-  
განი ჯარების სარდალ პუზირნს შორის, როგორ გაენადგურებინათ  
ეროვნული გვარდია. ცოცხალია პატრიკევი – როგორ აძლევდნენ 30  
მილიონს, რომ გაენადგურებინა საქართველოს ეროვნული გვარდია.

ეს ეროვნული მთავრობა რუსეთის მეშვეობით ფიქრობდა 15 ათასი ახალწვეულის განადგურებას. რაზეა საერთოდ ლაპარაკი. ამას ესენი ყველაფერს მაღავენ, ის, რაც მთავარია, ამდენი ბავშვების განადგურებას და დაღუპვას. რასაკვირველია, ამას არავინ არ აღირებს. მე კი გეუბნებით – დაკითხეთ, სანამ ცოცხლები არიან ის სამხედროები და ის მოხელეები, ვინც ამის გაკეთებას აპირებდნენ, ყველაფერი გახდება დღესავით ნათელი.

... გვარდია ჩამოვიდა რკონიდან და დასახლდა შავნაბადაზე. თვითონ გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა შექმნეს გვარდია ოპოზიციად, რადგან სჯეროდათ, თუ ისინი გვარდიას გაანადგურებდნენ ან დაშლიდნენ, სხვა ოპოზიციას ადვილად მოერეოდნენ. მათ დაიწყეს გვარდიის წევრების მშობლების მობილიზაცია და შემოტევა მშობლების და თავიანთი შვილების გაყვანა ჯარის რიგებიდან. ეს იყო ყველაზე დიდი სისულელე ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის ან მისი, ვინც ამას ურჩევდა. მე იძულებული ვიყავი, გვარდია ჩამეყვანა ტელევიზიასთან, სადაც ოპოზიციის მიტინგი ტარდებოდა. ამით ოპოზიცია და ქართული ინტელიგენცია მყარად დადგა, დარბევის არ შეეშინდათ. გამსახურდიას უმრავლესობა აღმოჩნდა უმცირესობაში. სოფლის ხალხი გარბოდა სოფელში, ქალაქელები კი იყვნენ გვარდიის გვერდზე. მერე ქვემეხი გავარდა შემთხვევით, გამსახურდია დარჩა უმცირესობაში.

თენგიზ სიგუა მე ამოვიყვანე შავნაბადაზე. როგორც ადრე მოგახსენეთ, მის დაპატიმრებაზე სანქცია უკვე გაცემული იყო. რატომ და რისთვის, მე არ ვიცი და არც არავინ იცოდა.

მაია გურაბანიძე: გვიამბეთ იმ პერიოდის შესახებ, როდესაც თქვენ დაბანაკდით თბილისის ზღვაზე?

თენგიზ კიტოვანი: ტელევიზიის შენობიდან ჩვენ შევიცვალეთ დისლოკაციის ადგილი და გადავსახლდით თბილისის ზღვაზე, რაც სტრატეგიულად გამართლებული აღმოჩნდა. თბილისის ზღვა გახდა ერთადერთი წერტილი, ვისი იმედიც ჰქონდათ ქართველ ინტელიგენციას და თბილისელებს. სამი კაცის მეტმა არავინ იცოდა, საით განლაგდებოდა გვარდიის ნაწილები. დილის 7 თუ 8 საათი იქნებოდა, როცა გვარდიას თავს დაესხნენ ზვიადის მომხრეები. 3-4-საათიანი შეტაკების შემდეგ ზვიადის გვარდიელები კუდამოძუებულები გაიქცნენ. მოკლული იქნა ერთი ჩვენი მხრიდან ახალგაზრდა გვარდიელი, იქიდან – შანავა, ისიც იმათი მოკლული იყო, უკნიდან ჰქონდა ტყვია ნასროლი, როგორც მერე გაირკვა. ამისთანა შეტაკებებმა სერიოზული დაპირისპირება მიიღო. აქ უკვე სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება დაიწყო.

მაია გურაბანიძე: ვინ გაფინანსებდათ?

თენგიზ კიტოვანი: ჩვენი დამფინანსებლები იყვნენ ჩვენი მენარმეები, ჩვენი ხალხი. არის ვიდეოკადრები, სადაც თბილისის მოსახლეობას ჩვენთვის მოაქვს პური და სანოვაგე.

მაია გურაბანიძე: რა კავშირი ჰქონდა თენგიზ სიგუას მოსკოვთან, კერძოდ, შევარდნაძესთან? როგორია შევარდნაძის როლი ამ მოვლენებში?

თენგიზ კიტოვანი: ზვიადის დამხობას, მე, პირადად, არ ვაპირებდი, მაგრამ ძალიან მწყინდა, რომ მას ესე მართავდნენ. ძალიან უგუნურ ფრაზებს ხმარობდა ოპოზიციის წინააღმდეგ. ამ დროს ზოგიერთი ოპოზიციის წარმომადგენლები დადიოდნენ მოსკოვში შევარდნაძესთან კონსულტაციებზე. მე დანამდვილებით ვიცი, რომ თენგიზ სიგუას მასთან კავშირი არასოდეს ჰქონია, მითუმეტეს მე. რაც შეეხება იმას, რომ მე მოსკოვში დავდიოდი, ეს არის სიცრუე. მე ჩემი გვარდიელები ერთი საათითაც არ მიმიტოვებია.

მაია გურაბანიძე: არსებობს თვალსაზრისი, რომ „პუტჩისტებს მართავდნენ დასავლელი ემისრები“, ანუ ამერიკელები, გერმანელები... რა ურთიერთობები გქონდათ მათთან?

თენგიზ კიტოვანი: მე კიდევ ვიმეორებ: სხვა ქვეყნებთან ან მის აგენტურასთან ჩვენ და, პირადად, მე არავითარი შეხების წერტილი არ გვქონია, არც დასავლეთთან და არც არავისთან, და ვინც დადიოდა მათთან, ეს მე კარგად ვიცოდი და რა კავშირიც ჰქონდათ. ჰკითხეთ შევარდნაძეს, ის იტყვის სიმართლეს. თუ სიმართლეს იტყვის, ძალიან კარგი იქნება. ველი, რომ ეგ ზვიადზე იტყვის ბოლოს მის მოღვაწეობას ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე „ლაგერში“, რა გაუკეთა ზვიად გამსახურდიას შევარდნაძემ და რითი ჰყავდა მას ის დაბმული. ეს მანანამაც კარგად იცის და კარგად იცოდა ცხონებულმა მერაბ კოსტავამ.

ზვიადის და მერაბ კოსტავას შერიგებას დიდი დრო დასჭირდა. მერაბი იყო მართალი ყველაფერში. ზვიადმა ფულიც კი მიუტანა მერაბს ტუბზონაში. მერაბმა არ მიიღო და ის ფული უპატრონო ბავშვებს გაუგზავნა. ეტყობა, ქართველმა საზოგადოებამ ბევრი რამ არ იცის. მეც არ შემიძლია, ამ თემაზე ბევრი ვილაპარაკო.

მაია გურაბანიძე: არსებობს თვალსაზრისი, რომ 2 სექტემბერს საქართველოში ფაქტობრივად დაიწყო მცოცავი პუტჩი. გქონდათ თუ არა თქვენ ამ მოვლენასთან რაიმე კავშირი?

თენგიზ კიტოვანი: რაც შეეხება 2 სექტემბრის აქციას, ეს სუფთა პროვოცირება იყო ედუ-სი. მათ სჭირდებოდათ გამსახურდიას პოლიტიკის მარცხი, რაც ნაწილობრივ მოახერხეს.

მაია გურაბანიძე: რა მოუტანა ამ აქციამ საქართველოს?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: ვისი ბრძანებით მოხდა გასროლა ამ აქციაზე? გაქვთ თუ არა რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: როგორ დაიწყო 1991-1992 წლების „თბილისის ომი“? ვინ ისროლა პირველმა?

თენგიზ კიტოვანი: რაც შეეხება „თბილისის ომს“. თითქმის ყველა თბილისელმა იცის, როგორ დაიწყო „თბილისის ომი“. თენგიზ სიგუა ჩასუ-

ლი იყო მიტინგზე. ეს დაფიქსირებულიც არის ვიდეოკამერებზე. დილის 9 საათი იქნებოდა ალბათ, ლელე და ნუგზარ მოლოდინაშვილი შევარდნენ შინაგანი ჯარის განყოფილებაში, პირველ სართულზე პარლამენტის შენობაში და უბრძანეს ჯარისკაცებს, რომ ესროლათ ოპოზიციისათვის. ამ დროს რომან გვენცაძე იმყოფებოდა მიწისქვეშა გასასვლელთან. პირველი ტყვიები მას მოხვდა. მერე მოხვდა ოპერატორს, რომელიც იღებდა და მოხვდა ვილაც ქალბატონს. ასეა თუ ისე, ლელეს და ნუგზარ მოლოდინაშვილის ბრძანებით დაიწყო „თბილისის ომი“. თენგიზ სიგუას თან ახლდა რამდენიმე გვარდიელი, ორი მათგანი დაიჭრა. მოკლედ, ამ გაფანტულმა უწესრიგო სროლამ გამოიწვია არეულ-დარეულობა. გვარდიელები ამოვარდნენ თბილისის ზღვაზე. მე უკვე მივხვდი, რომ ჩვენ უკან დასახევი გზა არ დაგვიტოვებს. გავეცი ბრძანება და ჩვენი დარჩენილი გვარდია ჩავიდა თბილისში. ასე დაიწყო „თბილისის ომი“. მერე მას მოჰყვა ჩეჩნების ჩამოსვლა თბილისის აეროპორტში, მათი განიარაღება. ისინი შეიარაღებული იყვნენ კბილებამდე. ზვიად გამსახურდიას ჰყავდა 4435 კაცი, კბილებამდე შეიარაღებული, ბუნკერში, მაგრამ ჩვენმა სტრატეგიამ აჯობა. ჩვენ ალყა შემოვარტყით პარლამენტის შენობას და არ დავუშვით ის მომენტი, ისინი რომ ამოგვეშვა გარეთ. 24 დეკემბერს ჩვენ ძალიან ცუდი მდგომარეობა გვქონდა, ტყვია-წამალი გაგვითავდა. მე იძულებული ვიყავი, წავსულიყავი ლილოში და რუსი სამხედროებისაგან მეყიდა ტყვია-წამალი. ასევე ტყვია-წამალს ყიდულობდა ზვიად გამსახურდია. ეს მიღებული ფორმა იყო. ისინი ყიდდნენ, ჩვენ ვყიდულობდით. მე 24-ში ზღვიდან ჩამოვედი თბილისში. მაშინ დაიწყო ნამდვილი „თბილისის ომი“.

მაია გურაბანიძე: ათენებდით თუ არა 3AKBO-ს შენობაში ბატონი თენგიზ სიგუა და თქვენ და თუ ათენებდით, რატომ?

თენგიზ კიტოვანი: ვინ მოიგონა, რომ მე რუსების შტაბში ვათენებდი ლამეს? იმ დღესვე ყველა წავიდოდა სახლებში და გვარდია დაიშლებოდა, მე თუ ვერ მნახავდნენ მათ გვერდზე. ეტყობა, ვილაცხეებს აწყობს ესეთი ლაპარაკი.

მაია გურაბანიძე: რუსეთის ჯარის რომელ მაღალჩინოსანთან გქონდათ ურთიერთობა? დაასახელეთ ეს პიროვნება ან პიროვნებები და გვიამბეთ ამ ურთიერთობათა შესახებ.

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: სამხედრო პირთა აბსოლუტური უმრავლესობა გაურბის ჩვენთან შეხვედრას, ასევე არავითარ ჩვენებას არ იძლევა საიდუმლო სამსახურის ზოგი მაღალჩინოსანი. შეგიძლიათ თუ არა დაგვაკავშიროთ ინფორმაციის მფლობელ რომელიმე პიროვნებასთან?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: შეგიძლიათ თუ არა დაგვაკავშიროთ იმ დროის რუსეთის რომელიმე სამხედრო მაღალჩინოსანთან, ან მოგვანოდოთ მათი

მემუარები, ინტერვიუები, ჩანაწერები, დღიურები საქართველოში მომხდარ გადატრიალებაზე, როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი.

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: რა შეიარაღება გქონდათ: იარაღი, ტყვია-წამალი. ტანკი, „ბტრ“ გყავდათ თუ არა და თუ გყავდათ, რამდენი?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: რა დაჯდა ეს გადატრიალება? ვინ გაფინანსებდათ? იყო თუ არა გარე დაფინანსება, თუ მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ თანხებს იყენებდით? ხომ არ დაგვისახელებდით იმ პიროვნებებს, ვინც გაიღო თანხები გადატრიალებისთვის ქვეყნის შიგნით და გარეთ.

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: ამბობენ, რომ ოპოზიცია 28 დეკემბრისათვის უკვე მარცხდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიდა ბატონი ჯაბა იოსელიანი, თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა და სწორედ ამის მერე მოხდა ეროვნული ხელისუფლების დამარცხება. რა როლი შეასრულა ამ საქმეში ჯაბა იოსელიანი?

თენგიზ კიტოვანი: ვინ ამბობს, რომ ჯაბას გამოყვანით ვითომ გვარდია გაძლიერდა? „მხედრიონი“ მოვიდა გამარჯვების შემდეგ. ჯაბამ რომ შეკრიბა თავისი ხალხი ჭადრაკის სასახლეში, არ მისულა 10 კაცი. „მხედრიონი“ გაძლიერდა იმის შემდეგ, როდესაც ამნისტია გაკეთდა. ჯაბა მე ციხიდან გამოვიყვანე 28 დეკემბერს. მე რომ არ მიმესწრო, ჯაბა, ჭანტურია, ხაინდრავა და ბევრი სხვა ჩაიფერებოდნენ საკანში. მათ გამოყვანას ციხიდან 2 გვარდიელი შეეწირა. ოსეთის მაშინდელი პრეზიდენტი კულუმბეკოვი სულ სირბილით გარბოდა ცხინვალამდე.

მაია გურაბანიძე: უჭერდით თუ არა მხარს ბატონ ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამობრძანებას პირველი პირის რანგში? თუ იმედოვნებდით, რომ ის სხვა რაიმე თანამდებობას დასჯერდებოდა, ხოლო თქვენ მის საერთაშორისო ავტორიტეტს გამოიყენებდით. როგორ გესახებოდათ თქვენი ადგილი შევარდნაძის გვერდით?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: ვის უდევს ლომის წილი ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამობრძანებაში?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება, არ დახვედროდით ბატონ ედუარდ შევარდნაძეს აეროპორტში და რატომ წაგიყვანეს იძულებით უკანასკნელ წუთს?

თენგიზ კიტოვანი: (არ პასუხობს).

მაია გურაბანიძე: როგორ დაახასიათებდით ზვიად გამსახურდიას მმართველობას? რა იყო ეს – დიქტატურა, როგორც თქვენი მომხრეების გარკვეული ნაწილი უწოდებს, ავტორიტარული რეჟიმი თუ რა?

თენგიზ კიტოვანი: ზვიადი თვითონ არ იყო დიქტატორი თავისი ხასიათიდან

გამომდინარე, მაგრამ გარემოცვა, რომელსაც მანანა ხელმძღვანელობდა, საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებდა. ზვიადი მართვადი იყო. მე ვერავინ გადამაჯერებს იმას, რომ გამსახურდიების ოჯახს შეუგზავნეს მანანა არჩვადე და მისი და ლელე. ყველა შეცდომა, რაც დაუშვა ზვიად გამსახურდიამ, ეს იყო მანანა არჩვადის დაჟინებითი მოთხოვნა. ეხლა მე გეკითხებით: შეეძლო თუ არა ზვიად გამსახურდიას ჩეჩნეთში წასვლა? თუ სხვები წავიდნენ, მოასწრეს მიმალვა, ზვიად გამსახურდიას ხომ ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა, წასულიყო ისევ ჩეჩნეთში. ზვიადმა თავი შესწირა იმიტომ, რომ იგი ჩეჩნეთში არ დაბრუნებულყო, იმ სახეების დანახვა აღარ უნდოდა. აქაც უღალატეს, მე თვითონ მეგრელი ვარ და მინდა საყვედური ვუთხრა მეგრელებს – ნუთუ ერთი კაცის შენახვა არ შეეძლოთ, რომ არ გაეყიდათ და არ მოეკვლევინებინათ. ედუარდ შევარდნაძე აკეთებდა თავის საქმეს. მან პირნათლად შეასრულა, რაც დავალებული ჰქონდა. მე იმიტომ დამიჭირა, რომ უფლებას არ მივცემდი, რომ საქართველო გაეყიდა. მან იმიტომ მომხსნა კლინტონისა და ელცინის საშუალებით, რომ მე აფხაზეთს არ დავთმობდი. ეს სხვა თემაა, ამას ისტორია იტყვის.

მაია გურაბანიძე: ამდენი წლის შემდეგ როგორ შეაფასებდით ამ მოვლენებს? შედეგებიდან გამომდინარე, დღესაც თვლით თუ არა, რომ ეს გადატრიალება სწორი ნაბიჯი იყო თქვენი და თქვენი მომხრეების მხრიდან და წაადგა თუ არა ის თქვენს ქვეყანას და თუ წაადგა, რაში?

თენგიზ კიტოვანი: რამდენი წელი გავიდა უკვე და მე ვფიქრობ, ომის და გადატრიალების გარეშე შეიძლებოდა საქართველოს გადარჩენა. რაც გაკეთდა, ალბათ, ღმერთი განსჯის ან ქართველი ერი შეაფასებს ყველა იმ მოვლენას, რაც იყო, რაც ხდება და რაც მოხდება. მე აღვწერე ის მოვლენა, რისი მონმე და შემსრულებელი ვიყავი.

მაია გურაბანიძე: ყოფილხართ თუ არა როდისმე საბურთალოს იმ სასაფლაოზე, სადაც რამდენიმე მწკრივად განისვენებენ გადატრიალების შედეგად დაღუპული ბიჭები? და თუ ყოფილხართ, რა გრძნობა დაგუფლებიათ?

თენგიზ კიტოვანი: ის სასაფლაო, ჯერ არც ომი იყო დანწყებული, არც არაფერი, თენგიზ სიგუას მე გამოვაყოფინე. თითქოს ვგრძნობდი, რომ საქართველოს ომები მოელოდა.

## ლუიზა შაკიაშვილი

2008 წელი

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონო ლუიზა, თქვენ ძალიან პოპულარული ადამიანი ბრძანდებით...

ლუიზა შაკიაშვილი: ვბრძანდებოდი.

ნათელა ვაჩნაძე: ...მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს პოპულარობა გარკვეულ თაობებს ხვდება. ამდენი წლის განმავლობაში უკვე ახალი თაობები წამოვიდნენ, რომელთათვისაც თქვენ უკვე იმდენად ნაცნობი სახე აღარ გაქვთ. ამიტომ ახალგაზრდობისთვის, მომავალი თაობისთვის, შემდგომი თაობებისთვის რომ ნათელი იყოს, ვისი საუბარი მაქვს ჩანერილი, ვის მოსაზრებას ვუწევ ანგარიშს, ვინ არის ჩემთვის ახლა უტყუარი პირველი წყარო, როგორც თვითმხილველი, ისტორიკოსისათვის ამას ხომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ გთხოვთ, ჩვენი მომავალი წიგნის მკითხველისათვის ცოტა რამ გვიამბოთ თქვენი ცხოვრების შესახებ: სად დაიბადეთ, სად აღიზარდეთ, სად მიიღეთ განათლება, როგორ მოხვდით ბოლოს ამ პოლიტიკურ პერიპეტიებში, სად მსახურობდით, რა იყო თქვენი მიზანი, მიაღწიეთ თუ არა მიზანს, კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი საბოლოო შედეგებით, რისთვისაც იღწვოდით, რისთვისაც ციხეშიც იყავით და ა. შ., მოკლედ რომ იყოს დახატული თქვენი პორტრეტი.

ლუიზა შაკიაშვილი: მე დავიბადე დიდი სამამულო ომის... მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1942 წლის 13 მარტს სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო ბოდბეში, ეს არის ჩემი დედუღეთი. მამა ომის დაწყებისთანავე წაიყვანეს ომში. ჩვენ ვცხოვრობდით თბილისში, მაგრამ ვინაიდან დედა მარტო დარჩა, ფეხმძიმედ იყო, მისმა მშობლებმა წაიყვანეს თან. ამიტომ ისე მოხდა, რომ დავიბადე იქ და სამ წლამდე ვიზრდებოდი სოფელში 45 წლამდე. როგორც კი ომი დამთავრდა, მამა დაბრუნდა ომიდან. ცოტა ხანი ვიყავით სოფელში და მერე დავბრუნდით თბილისში და გავაგრძელეთ აქ ცხოვრება. დავამთავრე ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლა. ეს გახლავთ ისნის რაიონში. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ პირველ წელიწადს ვაბარებდი სამედიცინო ინსტიტუტში დედაჩემის დაჟინებული მოთხოვნით, ექიმი უნდოდა გამოვსულიყავი. ვერ გავინიწინააღმდეგობა. მე კი ვოცნებობდი მსახიობობაზე. ძალიან თეატრალური მყავდნენ დედა და გაუთხოვარი დეიდა, ბავშვობიდანვე მატარებდნენ სპექტაკლებზე: რუსთაველში, მარჯანიშვილში, მოზარდის თეატრში, მუსკომედიის თეატრში. მაშინ ძალიან პოპულარული გახლდათ მუსკომედიის თეატრი, ძალიან დიდი არტისტები იყვნენ, უნდა მოგახსენოთ, იმ პერიოდში. ისეთი სპექტაკლები მახსოვს, ჩემს თანამედროვეებს უკვირთ კიდევაც, შენ ეგ საიდან გახსოვსო. აკვნი-

დან მატარებდნენ და იქიდან მახსოვს. აქედან გამიჩნდა მსახიობობის სურვილი, მაგრამ ჩავაბარე სამედიცინოზე. თან ვოცნებობდი, ნეტავ, ჩავიჭრა-მეთქი, არ მინდოდა აბსოლუტურად. ეს იყო გელბახიანის დრო, ის იყო რექტორი იმ პერიოდში. ეს იყო 59 წელი, სკოლა იმ დროს დავამთავრე. ქართულ წერაში მივიღე ხუთიანი, მერე რუსულში იყო გასაუბრება, ისიც გავიარე და ფიზიკაში მივიღე ოთხიანი. ეს ოთხიანი ჩაჭრას უდრიდა. მაშინ შეიძლება სულ ხუთიანები მიგელო და მაინც გარეთ დარჩენილიყავი. მეორე წელს უკვე ჩავაბარე სამსახიობო ფაკულტეტზე, ეხლა რომ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია, მაშინ შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი ერქვა. ძალიან დიდი კონკურსი იყო. 420 ახალგაზრდა აბარებდა, სულ რაღაც 20 თუ 25 კაცი უნდა მიეღოთ და ბედმა არ მიმუხთლა და მოვხვდი სამსახიობო ფაკულტეტზე. ბედმა იმითაც გამიმართლა, რომ არაჩვეულებრივ პედაგოგთან მოვხვდი. რესპუბლიკის სახალხო არტისტია, ათასი პრემიის ლაურეატია, ძალიან ცნობილი რეჟისორი და ძალიან ცნობილი პიროვნებაა ბატონი გიზო ჟორდანიას. ის გახლდათ ჩემი სპეციალობის პედაგოგი. სასცენო მეტყველებაში მყავდა მალიკო მრეველიშვილი, აგრეთვე ძალიან ცნობილი პედაგოგი სასცენო მეტყველების. ბევრი რომ არა გავაგრძელო, ასე დავამთავრე სამსახიობო ფაკულტეტი თეატრალური ინსტიტუტის.

ნათელა ვაჩნაძე: მერე დაგახვედით ჟურნალისტიკაზე?

ლუიზა შაკიაშვილი: არ გადავსულვარ, გეტყვით, როგორ იყო. არ მოგატყუებთ და ინსტიტუტში დიდად არ გამოვირჩეოდი. ერთხელ ილია თავაძემ კრებაზეც კი დამამუშავა: ლუიზა შაკიაშვილი როგორიც შემოვიდა, ისევე ისეთიაო, უნიჭო აღმოჩნდაო. ამიტომ მე ძალიან გამიტყდა გული. ჯერ კიდევ მეორე კურსიდან სულ მეხვეწებოდა ეთერ გუგუშვილი, მაშინ პრორექტორი იყო, თეატრმცოდნეობაზე გადმოდიო. თემა დავწერე ვერიკო ანჯაფარიძეზე და ძალიან მოენონა: ნიჭი გაქვს ანალიტიკური, ნაკითხი გოგო ხარ, განვითარებული, გადმოდი თეატრმცოდნეობაზე, შენგან დადგება შესანიშნავი თეატრმცოდნეო, მაგრამ მე არ მინდოდა, მე მსახიობობა მინდოდა. მსახიობობაზე კი გული გამიტყდა, მაგრამ არც თეატრმცოდნეობა მინდოდა. 59 წლიდან საქართველოში, ვიცით ყველამ, გაიხნა საქართველოს ტელევიზია. მე რომ სკოლას ვამთავრებდი, იმ წელიწადს გაიხნა ზუსტად. ამ წლებში უკვე დამკვიდრდა და ძალიან პოპულარული გახდა და მოდაში შემოვიდასავით იქ მუშაობა. ხოდა, მეც მომინდა იქ მუშაობა. რომ დავამთავრე, მაშინ განაწილება იყო და გამანაწილეს გორის სახელმწიფო თეატრში მსახიობად. მაშინ მამაჩემმა მითხრა, თუ ნახვალ გორში, აიკარი გუდა-ნაბადი და წადი სახლიდანო. მე ისე შემაშინა ამ ნათქვამმა, რომ, მიუხედავად ჩემი მეზობლი ბუნებისა, ვერ გავრისკე. მაშინ ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდათ მსახიობებს, 60 მანეთი თვეში. ამიტომ გადავწყვიტე დავრჩენილიყავი, დამენყო ტელევიზიაში მუშაობა და და-

ვინყე ამაზე ფიქრი. შემთხვევით ისე მოხდა, რომ ჩემი ნაცნობი ქალის დახმარებით მივედი ტელევიზიაში. ვაჟა ფაჩულია იყო რეჟისორი, თუ გაგიგიათ, გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინ. იმასთან მიმიყვანა. ის გამესაუბრა, დამელაპარა და დიდი სიამოვნებით – უკვე დიპლომიანი ვიყავი – და შემიყვანა ბატონ აკაკი ძიძიგურთან, რომელიც მაშინ მოადგილე იყო კომიტეტის თავმჯდომარის. კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ ახალი დანიშნული კარლო გარდაფხაძე, კელენჯერიძის შემდეგ. ბატონმა კაკო ძიძიგურმა ჯერ უშტატოდ მომანყო... დაუძახა ხელმძღვანელს, მუსიკალური რედაქციის ვინც იყო. სოლომონ ლაფაური იყო ასეთი, ისიც გარდაიცვალა, ძალიან ცნობილი მუსიკისმცოდნე იყო, ლოტბარი და მომღერალი, ხალხური შემოქმედების ძალიან დიდი მცოდნე. ამ სოლომონ ლაფაურს დაუძახა მუსიკალური რედაქციის მთავარმა რედაქტორმა და მიაბარა ჩემი თავი: ეს ქალი ჩაიბარეო და მიხედო, უშტატოდ გყავდესო და როგორც კი რამე შტატი გამოჩნდებო, რომელიმე რედაქციაშიო მივიღებო. იმანაც წამიყვანა და ასე აღმოვჩნდი ტელევიზიაში ჯერ უშტატოდ რეჟისორის თანაშემწედ ეს დიპლომიანი ქალი. არც ხელფასი, არც არაფერი. ეს ის პერიოდი, როდესაც ტელევიზია განთავსებული გახლდათ და რადიოც საქართველოსი კავშირგაბმულობის შენობაში. ორი სართული გვეკავა. ერთ სართულზე იყო რადიო და ერთ სართულზე ტელევიზია, რუსთაველის გამზირზე. გადაცემები მიმდინარეობდა მაშინ ფუნიკულიორიდან და რალაც საშინელი სამუშაოები პირობები იყო. წარმოიდგინეთ... პასპარტუები ერქვა სახელად, დიდი მუყაოს, სპეციალურად ფოტოების ჩასალაგებლები. ხანდახან ზოგ გადაცემაში 50-60 ფოტო გვეჭირდებოდა და აქვე ვამზადებდით ყველაფერს, იქ არ იყო მაგის საშუალება და ჩავალაგებდით და აი ამ პასპარტუებით ხან ფეხით გვინევდა ფუნიკულიორზე ასვლა. ეხლა რომ აქვთ პირობები სამუშაო, ეგრე კი არ იყო მაშინ. ასე ორი-სამი წელი მომიწია ამ პირობებში მუშაობა. ეს იყო 1964 წელი. 1966 წელს გამოჩნდა შტატი, მხოლოდ საბავშვო გადაცემათა რედაქციაში და გამაფორმეს შტატში. შემდეგ ისევ გადავედი მუსიკალურ გადაცემათა რედაქციაში. ასე ერქვა – მუსიკალურ გადაცემათა მთავარი რედაქცია საქართველოს ტელევიზიის, რომლის მთავარი რედაქტორიც გახლდათ სოლომონ ლაფაური. მისი მოადგილე გახლდათ მზია რამიშვილი, ნინო რამიშვილის ძმისშვილი, მუსიკათმცოდნე, კონსერვატორიის კურსდამთავრებული. დამოუკიდებელ გადაცემებს ვაკეთებდი, ძალიან ხშირად მადლობები მიმიღია ამ გადაცემებში.

ნათელა ვაჩნაძე: რა სულისკვეთება იყო ტელევიზიაში?

ლუიზა შაკიაშვილი: სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად ამ კომუნისტური წყობისა, განსაკუთრებით მას მერე, რაც ნუგზარ ფოფხაძე გახდა ჩვენი თავმჯდომარე...

ნათელა ვაჩნაძე: ეს გვიან არის.

ლუიზა შაკიაშვილი: ეს გვიან არის. მე მინდა ვთქვა, რომ ეროვნული გახდა

საოცარად ნუგზარ ფოფხაძის დროს. ამას თამამად ვაცხადებ. თუ ჩემი გჯერათ, ეს ესე იყო. იყო კარლო გარდაფხაძე ჩემს დროს, შემდეგ იყო გურამ ენუქიძე და მერე იყო ნუგზარ ფოფხაძე. ნუგზარ ფოფხაძის მერე იყო არმაზ სანებლიძე.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი ნუგზარი ძალიან დიდხანს იყო.

ლუიზა შაკიაშვილი: დიდხანს. ზუსტად აღარ მახსოვს, მე მგონი, სადღაც 80-იანი წლებიდან იყო უკვე ნუგზარ ფოფხაძე. მაგან შემოიტანა საოცარი ტალღა ეროვნულობის გადაცემებში. ეს კაცი იყო ძალიან ეროვნული, მიუხედავად იმისა, რომ მერე ცეკა-ში იყო იდეოლოგიურ დარგში გადაყვანილი. ძალიან პატრიოტი კაცი იყო და როგორც შეეძლო, რაც შეეძლო, რამდენიც შეეძლო, არ ზოგავდა თავს იმისთვის, რომ ჩვენი ეკრანი ყოფილიყო ძალიან ეროვნული და ძალიან პატრიოტული. და მართლაც, ნებისმიერ მუშაკს ტელევიზიისას, რომელსაც ხანგრძლივი დროით გამოვლილი აქვს ეტაპები, ვისაც გინდათ ჰკითხეთ, ყველა ერთხმად ამბობს, რომ ასეთი თავმჯდომარე ჩვენ არ გვყოლია. არა მარტო ეროვნულობის თვალსაზრისით, პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ნიჭიერების თვალსაზრისით, თანამშრომელთა მიმართ დამოკიდებულებით.

... მე ეროვნულ მოძრაობაში ჩავერთე, ენის პრობლემა რომ დადგა, 1978 წლის 14 აპრილს. პირველად მე მაშინ მივიღე მონაწილეობა ამ დიდ აქციაში, რასაც ერქვა მთელი რუსთაველის გამზირის გავსება ხალხით და იქიდან დაიწყო ჩემი აქტიური მოღვაწეობა ეროვნულ მოძრაობაში.

ნათელა ვაჩნაძე: დამოუკიდებლად გამოხვედით, თუ რაღაც ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას?

ლუიზა შაკიაშვილი: ჯერ დამოუკიდებლად, ორგანიზაციაში არსად არ ვიყავი. ავთო იმნაძე და მე ვმეგობრობდით. მოგეხსენებათ, ავთანდილ იმნაძე იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე, რომელიც აგრეთვე მუშაობდა ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციაში რეჟისორად. მე და ავთო წავედით ამ აქციაზე. ჩვენ ზუსტად ერთნაირი აზრები გვანუხებდა, ერთი აზროვნება გვქონდა და ერთი იდეალები და, ბუნებრივია, ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. მთელი ჩემი ინდივიდუალური მოღვაწეობა ეროვნულ მოძრაობაში იმით გამოიხატებოდა, რომ მაგალითად, ვიშოვიდი თვითგამოცემის ჟურნალებს: „ოქროს სანმისი“ იყო, „მოამბე“ იყო... თათია ხაინდრავა იყო ჩემი მეგობარი, რომელიც, მოგეხსენებათ, ზვიად გამსახურდიას ალალი მამიდაშვილი იყო და, რა თქმა უნდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამ ოჯახთან. თათიას ერთ-ერთ პირველთაგანს მოხვდებოდა ხოლმე ხელში ეს ჟურნალები და როგორც კი თვითონ წაიკითხავდა, მერე მე გადმომცემდა. მერე ხელიდან ხელში გადადიოდა და ვავრცელებდი ამ ჟურნალებს. ვავრცელებდი კაკო ბაქრაძის, ნოდარ წულეისკირის, მუხრან მაჭავარიანის აკრძალულ ლიტერატურას, ამათ პუბლიცისტურ წერილებს, რომლებსაც დღის სინათლე არ ელ-

ირსებოდათ ხოლმე და არსად არ იბეჭდებოდა, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ვრცელდებოდა...

ნათელა ვაჩნაძე: ამაზე ჩავარდით?

ლუიზა შაკიაშვილი: არა, გეტყვით. ...მე ვიყავი ერთ-ერთი გამავრცელებელი იმიტომ, რომ ნოდარ წულეისკირსაც ვიცნობდი, კაკო ბაქრაძესაც ვიცნობდი და ჩემი ეროვნულ მოძრაობაში მოღვაწეობა მაშინ ამით ამოიწურებოდა. ამას მე ვაკეთებდი 70-იანი წლებიდან, მაგრამ 78 წელს ეს ამბავი რომ მოხდა, მაშინ უკვე განვენწყვე ისე, რომ ასე ინდივიდუალურად და მარტო ავთო იმნაძესთან ერთად არაფერი არ იქნებოდა, თუ რაღაცა ჯგუფში არ ჩავეერთობოდი. იყო დაახლოებით 81 თუ 82 წელი, მარიკა ბაღდავაძემ (ეროვნული მოძრაობის ცნობილი მოღვაწე იყო), მაშინ სრულიად ახალგაზრდა გოგონამ, დაიწყო შიმშილობა იმის გამო, რომ მამამისი დააპატიმრეს და შეუთითხნეს საქმე, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ მარიკა დაესაჯათ. ეს იყო საქართველოში პირველი შიმშილობა. 32 დღე იშიმშილა, 18 წლის იყო მაშინ. ამასობაში მე ჩავეერთე ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლებთან. ესენი იყვნენ: ნანა ჯაფარიძე, ციალა არდაშელია. მწერალია ციალა არდაშელია, ნანა ჯაფარიძე – ცნობილი ჟურნალისტი და მხატვარი. ეგენი „ცისკარში“ მუშაობდნენ. მერე ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდნენ ციცი ბუქურაული, გიზო კორძაძე, გურამ ვანიძე და სხვები და სხვები. ამათთან უკვე ვმეგობრობდი, ხშირად დავდიოდი...

ნათელა ვაჩნაძე: ირაკლი შენგელაიაც მანდ მუშაობდა.

ლუიზა შაკიაშვილი: კი, ირაკლი შენგელაიას ორგანიზაციის წევრი გავხდი, როგორც კი შექმნა ორგანიზაცია. ...„ცისკრის“ რედაქციაში და ლიტერატურის მუზეუმში დავდიოდი და ერთად ვმოქმედებდით. სოხუმში ჩავსულვართ 40-50 კაცი და იქ მიტინგები გვიტარებია. ლიხნის ცნობილი წერილის მერე, სანამ აქ აქციები დაიწყებოდა, ჩვენ აფხაზეთში ჩავდიოდით, იქ ვატარებდით მიტინგებს. ...მარიკა ბაღდავაძის შიმშილობისას უკვე ჩავეერთე მაგ ბავშვებთან: მარიკა ბაღდავაძე, ნანა კაკაბაძე, თამრიკო ჩხეიძე, გელა ნიკოლაიშვილი, ირაკლი წერეთელი... ესენი იქ გავიცანი. ზვიადი სულ იქ იყო ყოველდღე. ზვიადს მე ისედაც მანამდე ვიცნობდი თათია ხაინდრავასგან. მერაბს არ ვიცნობდი, კოსტავას. მერაბი გავიცანი ციხიდან დაბრუნების შემდეგ, თუმცა ჩემი იმან უკვე ყველაფერი იცოდა რუსუდან ბერიძისგან. რუსუდან ბერიძე ხომ მისი მეუღლე იყო მაშინ და მე რუსუდანთან ვმეგობრობდი. აი ასე აღმოვჩნდი მაგ ხალხთან. მაგათთან მე მიმიყვანა ნანა ჯაფარიძემ. მოკლედ, აი ასეთი ჯგუფი ვიყავით: „ცისკრის“ რედაქცია, ლიტერატურის მუზეუმი, ტელევიზია და ეს ახალგაზრდა გოგოები. „მცხეთის პროცესი“ რომ იყო, მე მაშინ ჯერ არ ვიცნობდი მაგათ, ერთი წლის თავზე გავიცანი, როცა შიმშილობა დაიწყო მარიკა ბაღდავაძემ. „მცხეთის პროცესზე“ მე არ ვიყავი მაგათთან, მაგრამ ვლოცულობდი მაგ ჯგუფთან მიახლოებაზე.

ნათელა ვაჩნაძე: „მცხეთის პროცესი“ როგორ გავაგებინოთ ამ თაობას?

ლუიზა შაკიაშვილი: მაგაზე ალბათ იმათ უნდა ელაპარაკოთ, ვინც ესწრებოდნენ და ვინც მონაწილეობდნენ. მე რაც გადმოცემით ვიცი, შემოძლია გითხრათ, რომ ზვიად გამსახურდია რომ უნდა აეყვანათ მცხეთაში ერთ-ერთ სვეტიცხოვლობაზე, მარიკა ბაღდავაძე დაუნვა მანქანას, რომელშიც პოლიციამ ზვიად გამსახურდია ჩასვა და ველარ წაიყვანეს, ხომ ვერ გადაუვლიდნენ. ...ეს გაცნობა მოხდა მარიკა ბაღდავაძის შიმშილობისას, ნანა ჯაფარიძემ წამიყვანა. ნანა ყოველდღე დადიოდა და ერთ-ერთ წასვლაზე მეც წამიყვანა.

ნათელა ვაჩნაძე: სად იყავით?

ლუიზა შაკიაშვილი: სახლში მარიკასთან, ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, სადაც ის შიმშილობდა. ნანამ წარუდგინა ჩემი თავი, მარიკა ძალიან თბილად შემხვდა. შემდეგ ნანას რომ ვეუბნები, წამიყვანე, აღარ მივყავარ, არ მეუბნება მიზეზს. ვერ მივხვდი. რომ გაგებაში არა ხარ და კვბ ისეთი შორს არის შენგან, როგორც... რანაირად უნდა იფიქრო, მაშინ არც ამდენი გამოცდილება მქონდა. პირველად შევდიოდი ეროვნულ მოძრაობაში და ვერ მივხვდი. ერთ მშვენიერ დღეს ნანამ დამირეკა და წავიდეთო. მარიკამ ძალიან მთხოვაო, სად არის ის ქალი, რატომ აღარ მოგყავსო. მკითხულობდა თურმე და არ ეუბნებოდნენ და მერე უთხრეს, ეგ ალბათ სუკთან არის შეკრულიო და გაგიყდა ქალი. აი ასე შევედი ამ კოლექტივში. ...ორგანიზაცია არ გვქონდა, მერე დაარსდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. ეს იყო პირველი არაფორმალური ორგანიზაცია, ეს უკვე მერაბ კოსტავას ციხიდან გამოსვლის შემდეგ იყო. ეს იყო 1988 წლის შემოდგომა. ...მე, თამარ ჩხეიძე და ავთო იმნაძე დავდიოდით ინტელიგენციაში და ვაგროვებდით ხელმოწერებს ტრანსკავკასიური რკინიგზის წინააღმდეგ. ასე დავდიოდით, იქ ამას შევეწინააღმდეგეთ, იქ აფხაზეთის საკითხი იყო, მერე ერთად წავედით მიტინგის ჩასატარებლად „ცისკრის“ რედაქციის ხალხი, ლიტერატურის მუზეუმში, ტელევიზიიდან, თამრიკო ჩხეიძის ჯგუფი. თამრიკო ჩხეიძესთან იყვნენ: ზურაბ ცინცაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია, რომელიც ჩვენთან ერთად ციხეში მოხვდა, ჩინო აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძის ვაჟიშვილი, გურამ მამულია, რომელიც მერე GPY-ს აგენტი აღმოჩნდა. ზვიადი კი გვეუბნებოდა, მაგრამ ვინ უჯერებდა.

ნათელა ვაჩნაძე: მართალია ეგ?

ლუიზა შაკიაშვილი: აბა რა არის. ...ესენი მივდიოდით ხოლმე მიტინგების ჩასატარებლად: წერეთელი, ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, გელა ნიკოლაიშვილი... სულ ერთად ვიყავით. მერე მერაბიც გამოვიდა ციხიდან და გადაწყდა ორგანიზაციის შექმნა. პირველი ორგანიზაცია იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. მე გახსნაზე ვერ ვიყავი, იმიტომ, რომ 1987 წლის აგვისტოს კუმურდოში გაგვყარეს მივლინებაში, ჩვენ რომ ხელმოწერებს ვაგროვებდით ტრანსკავკასიური რკინიგზის წინააღმდეგ, იმის გამო და იქ ფეხი მოვიტყხე და ვინეჭი. დანარჩენი ყველა ერთად,

ვინც ჩამოვთვალე, გაერთიანდა ილია ქავჭავაძის არაფორმალურ ორგანიზაციაში. მერაბ კოსტავაც იქ იყო, მინუს ზვიად გამსახურდია. ზვიადი არ მიიღეს იმ ორგანიზაციაში, იმიტომ, რომ ზვიადი უკვე ლიდერად აღარ ითვლებოდა მონანიების შემდეგ. აღარ ვთვლიდით ჩვენს ლიდერად, იმიტომ, რომ ჩვენ მონანიებას მისას ესე არ ვხსნიდით, როგორც ამას ავადმყოფი ზვიადისტები ხსნიან, რომ ეს ესე იყო და ესე მოილაპარაკეს მაგან და მერაბმა. ჩვენ მოლაპარაკების არ გვჯეროდა. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს მისი სისუსტე იყო და მერაბმა კი გაუძლო ამ შემოტევებს, ფსიქოლოგიურ სტრესს გაუძლო და იმან კი ვერ გაუძლო. მე ვოცნებობდი ზვიად გამსახურდიას დაპატიმრების შემდეგ, როდის გამოვიდოდა და როდის ჩავდგებოდი მის ლაშქარში ჯარისკაცად, მაგრამ როდესაც ეს მონანიება ჩემი თვალით ვნახე ეკრანზე და მოვისმინე, ამან ისე იმოქმედა, რომ მთელი თვე მე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი, დეპრესიაში ჩავვარდი, სამსახურშიც კი ვეღარ დავდიოდი. ჩემთვის ის მოკვდა, როგორც ლიდერი, იმ დღიდან. რა ვქნა, ვისაც როგორც უნდა, ეს ისე გაიგოს, ვერ გავამართლე, არ შემეძლო, იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია იყო ზვიად გამსახურდია. მერაბ კოსტავა უფრო ძლიერი რომ აღმოჩნდა სულიერად, ეგ სულ სხვა რაღაცაა. ქართველი ერი, როგორც ლიდერს, მაინც ზვიადს შეჰყურებდა, იმიტომ, რომ ის კონსტანტინეს შვილი იყო, კოლხურ კოშკში გაიზარდა, სხვა ტრადიციები და სხვა წარსული ჰქონდა. მერაბიც გადასარეგოჯახში გაიზარდა, მაგრამ მაინც უპირატესობა აქეთ იყო. არ გამომდის ტვინიდან ინაურის ნათქვამი: რას გვაბრალებთო, რა, მერაბ კოსტავასთვის არ გვეყო ის წამალიო, რაც ზვიადს გავუკეთეთო? ვითომ წამლის ქვეშ რომ ალაპარაკეს. ამიტომ არ მიიღეს ზვიადი ამ ორგანიზაციაში. მე სულ არ ვესწრებოდი მაგ სხდომებს, ეს უჩემოდ მოხდა. მე ვიზიარებდი მაგ აზრს, ამის თქმა მინდა.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ბატონო. თქვენ იზიარებდით ამ აზრს, ეს თქვენი ნებაა, როგორც ლიდერის მიმართ, თქვენი ოცნება დაიმსხვრა. 28 ოქტომბერს შემოდის თავისი „მრგვალი მაგიდით“ და იმარჯვებს არჩევნებში...

ლუიზა შაკიაშვილი: მერე რა, მე გამეხარდა, თქვენ გგონიათ? არ გამხარებია. იმიტომ, რომ მე ვიცოდი, რომ დალუპავდა ქვეყანას მაგისი ცოლი და მაგის ცოლის ანტიურაჟი, რომლებიც ფაქტიურად არ აცდიდნენ კაცს მუშაობას.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება 28 ოქტომბრის არჩევნების შესახებ და მე გეტყვით, რატომ მაინტერესებს ეს. როცა გამოაცხადეს არჩევნების შედეგები და გავიგეთ, რომ კომუნისტებთან ერთად გავიდა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ და მათი ლიდერი ზვიად გამსახურდია, მსმენია, რომ ქალბატონმა ლუიზამ თქვაო, აი ახლა მიყუროს მაგანო, ეგ თუ მანდ დამაგრდებო.

ლუიზა შაკიაშვილი: ეგ ტყუილია, ეგეთი რამე არ ყოფილა. მე ესეთ დიდ რამეებს ჩემს თავზე არასოდეს არ ვიღებ...

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომ, რომ აქედან მერე ლოგიკურად სხვა ამბავი გამოდის. თუ ვლასპარაკობთ ჩვენ ზვიად გამსახურდიასა და „მრგვალი მაგიდის“ შეცდომებზე... კი, მაგრამ დღეს რომ გავიდნენ, ხვალ ჯერ ხომ არ არის შეცდომა არაფერი. თუ თავიდანვე შეცდომაა, ესენი რომ გავიდნენ?

ლუიზა შაკიაშვილი: თავიდანვე შეცდომაა და მაგაზე ადრე იყო შეცდომა, გეტყვით, ჯერ მიმიყვანეთ იქამდე. ჩემში ჩაისახა იმ შერიგების მერე, რომელიც მოხდა ჩემსა და ზვიადს შორის. და მერე ხომ გითხარით, რომ მას აღარ ვცნობდი. ჭავჭავაძის საზოგადოებაში რომ არ მიიღეს, მე ვემხრობოდი მათ აზრს და გადაწყვეტილებას, თუმცა ფიზიკურად ვერ მივიღე მონაწილეობა. მაგათზე ადრე მე არ ველასპარაკებოდი ამ კაცს. შემდეგ ჩვენ ბევრი ვილაცეები შევურიგდით ზვიადს, დავდექით ისევ მაგის გვერდში უკვე მერაბის წყალობით, მერაბი რომ გამოვიდა ციხიდან. მერაბი 10 წელი იყო და ეგ წელიწად-ნახევარი, არც კი და ხომ გამოუშვეს მალე. ეს აქ იყო კარგა ხანს და მერაბი 7-8 წლით მეტი იჯდა იქა. ამ წლების განმავლობაში ჩვენ არ ვიკარებდით ზვიადს ახლოს, ჩვენ, ეს ჯგუფი, რაც ჩამოგიტვალეთ: თამრიკო ჩხეიძე, ნანა კაკაბაძე, მე, ავთო იმნაძე, გია ჭანტურია, სხვები და სხვები, იქამდე, სანამ მერაბ კოსტავა არ გამოვიდოდა ციხიდან. მერაბი რომ გამოვიდა ციხიდან, მან მერე გვაიძულა, რომ დაგვიყენა ისევ გვერდში ზვიადი. მაგრამ აღმოჩნდნენ ზოგიერთები, რომლებიც არ აყვნენ მერაბის ამ მოთხოვნას, არ გაიზიარეს და მაინც არ დადგნენ ზვიადის გვერდში, მაგალითად, თამრიკო ჩხეიძე, ნანა კაკაბაძე, თამრიკო ბაღდავაძე და ეგ ჯგუფი. მაგრამ მე იმდენად ძალიან მიყვარდა მერაბი და იმდენად დიდ პატივს ვცემდი და იმდენად ველოდებოდი მის ციხიდან გამოსვლას (მე ხომ არ ვიცნობდი, ხომ გითხარით, ჩვენ შორის რუსუდანი იდგა), რომ მე ველარ გავუნე მერაბს წინააღმდეგობა, დავუთმე და დავდექი მერე უკვე ზვიადის გვერდში იმ დონემდე, რომ მერე კოლხურ კოშკში ვიჯექი სულ. მე და მერაბი რამდენჯერ ერთად ავსულვართ, უმერაბოდაც ავსულვართ, მე და ავთო დავდიოდით ხოლმე (ავთოც შეურიგდა), მე და ირაკლი კაკაბაძე, მე და ირაკლი ბათიაშვილი, ხან ვისთან ერთად და ხან ვისთან. ავდიოდით კოლხურ კოშკში ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად და მთელი საქართველო შემოვიარეთ ფეხით მიტინგებით. გავიყოფოდით, მერაბ კოსტავა თავისი ხალხით ნავიდოდა აღმოსავლეთ საქართველოში, ჩვენ ნავიდოდით მე და ზვიადი დასავლეთ საქართველოში, ხან ერთად სუყველა ნავიდოდით. პირველი მატანობა და პირველი ჩოლოყაშვილობა ჩვენ ჩავატარეთ მატანში, ჩვენ დავაარსეთ ქაქუცობა. მეც კი სიტყვაში ვარ გამოსული. მაშინ ბევრი არაფერი ვიცოდი ჯერ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, ვეხვეწებოდი, არ გამომაცხადო, ბიჭო, მაგრამ ძალით მიმაგდო მიკროფონთან: შენ ისეთი ნიჭიერი ქალი ხარ, რაღაცას მოახერხებო. აი ასეთი ურთიერთობები გაიბა ჩვენს შორის. 50 წლისა რომ შესრულდა, იუბილეზე არ დაგვპატიჟა რომ თავ-

ისტან კოლხურ კოშკში. აი ასეთი ახლო ურთიერთობა გაიბა მერაბის წყალობით. მერე უკვე გაიხლიჩა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. წმ. ილია მართლის საზოგადოება დააარსეს და მერე უკვე იქ ირაკლი ბათიაშვილი იყო, გია ჭანტურიაც შევიდა, ზვიადის მეთაურობით მოხდა ეგა. მერაბი აქაც იყო, იქაც იყო. მე დავრჩი ჭავჭავაძის საზოგადოებაში. ზვიადთან ჯერ ვიყავი მაშინ კარგად და ზვიადთან უსიამოვნება მე მერე მეორეჯერ მომივიდა უკვე. ეხლა ეს მეორედ რა იყო, სად ვამტყუნებ მე ზვიადს. მე მინდა, რომ ეს იყოს წიგნში. ჩემს მოსაზრებას გეტყვი, თქვენ შეგიძლიათ გაიზიაროთ, ან არ გაიზიაროთ...

ნათელა ვაჩნაძე: ჩემს მოსაზრებას აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ლუიზა შაკიაშვილი: ...მაგრამ ეს არის ჩემი ღრმა რწმენა. მე ვიტყვი, რას ვუთვლი ზვიად გამსახურდიას დიდ შეცდომად, არ ვიცი, უნებლიედ, არ ვიცი, შეგნებულად. კარგად მოგეხსენებათ, 1990 წლის იანვარში შეიკრიბა ეროვნული ყრილობა ფილარმონიის დიდ დარბაზში. სამი ათასი თუ ოთხი ათასი კაცი იყო. ყრილობა მიჰყავდა ზვიად გამსახურდიას, ირაკლი წერეთელს.

ნათელა ვაჩნაძე: სულ არის ლაპარაკი: ყრილობა, ყრილობა, ეროვნული ყრილობა, მერე ფორუმი, მერე კონგრესი...

ლუიზა შაკიაშვილი: ჰო, ჰო, მაგას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ომის დაწყებისთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა და აბა როგორ შეიძლება მაგაზე... ეროვნული ყრილობიდან დაიწყო. მაგრამ ეროვნულ ყრილობაზე არაფერი არ მოხდა, მერე ფორუმში, ფორუმის დროს მოხდა ეს ყველაფერი, რასაც ეხლა ვიტყვი და მე რაშიც ვადანაშაულებ ზვიადს. ეს ყრილობა ჩატარდა იმ მიზნით, რომ შექმნილიყო ეროვნული ფორუმი, რომელშიც აქ მყოფი ხალხი თავისი მანდატებით ღია კენჭისყრით აირჩევდა ეროვნული ფორუმის წევრებს. იქ მოხდა ღია კენჭისყრით არჩევნები. სხდომა მიჰყავდათ ირაკლი წერეთელს, ზვიად გამსახურდიას და აღარ მახსოვს, კიდევ ორი-სამი კაცი იჯდა პრეზიდენტში. მთელი არსი ამ ყრილობისა რა იყო: რომ არჩეულიყო ეს ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი წარმმართველი ძალა, სადაც გადწყდებოდა ეროვნული მოძრაობის შემდგომი მოქმედებები. სისტემატიური შეხვედრები უნდა ყოფილიყო, „იმელის“ შენობაში მოგვცეს დარბაზი. ეროვნული ფორუმი აირჩა 40 კაცის შემადგენლობით. იმ 40 კაცში მეც მოვხვდი.

რა იყო მთავარი არგუმენტაცია არჩევნებისა, ვინ უნდა შესულიყო და ვინ არ უნდა შესულიყო. ფორუმში შევიდნენ ორგანიზაციები (იმ დროისთვის რამდენიმე ორგანიზაცია უკვე იყო, გარდა ჭავჭავაძისა) და ცნობილი სახეები. ზვიად გამსახურდია გამოვიდა სიტყვაში და დაამთავრა, რომ ეროვნულ ფორუმში შემდეგი ნიშნით ვირჩევთ ხალხს: იმ ხალხს შევუშვებთ მხოლოდ, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ საბჭოურ არჩევნებს, რომელიც უნდა იმ გაზაფხულზე ჩატარებულიყო. ზვიადის

ტექსტებს გეუბნებით: ფორუმში ავირჩევთ იმ პიროვნებებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ საბჭოურ არჩევნებს. იმ ორგანიზაციებს და ხალხს, რომლებიც თანახმანი არიან არჩევნებში მონაწილეობაზე, არა აქვთ ფორუმში ადგილი. აი ეს გაითვალისწინეთ და აქედან გამომდინარე, დავინყოთ არჩევნები. უკვე იცოდა ყველამ, ვის უნდოდა და ვის არ უნდოდა, ეგ უკვე ცნობილი იყო. მაშინ უკვე „დასი“ არსებობდა: რეზო შავიშვილი, ხმალაძე... ეგენი არსებობდნენ...

ნათელა ვაჩნაძე: „დასი“ – დემოკრატიული არჩევნები საქართველოსი

ლუიზა შაკიაშვილი: ...ნმ. ილია მართლის საზოგადოება არსებობდა, ჭავჭავაძის ორგანიზაცია ხომ არსებობდა, ირაკლი შენგელაიას საზოგადოება, მეც კი იქ ვიყავი და ავთო იმნაძე...

ნათელა ვაჩნაძე: ირაკლი შენგელაიას საზოგადოებას ერქვა ეროვნული-სამართლიანობის კავშირი.

ლუიზა შაკიაშვილი: ...ესენი ხომ არსებობდნენ. ესენი, ვინ უცხადებდა და ვინ არ უცხადებდა, ეს ყველამ ვიცოდით ჩვენ წინასწარ. ხო, სახალხო ფრონტიც არსებობდა ნოდარ ნათაძის, რუსთაველის საზოგადოებაც არსებობდა.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იღებდა მონაწილეობას და ვინ არ იღებდა მონაწილეობას საბჭოურ არჩევნებში?

ლუიზა შაკიაშვილი: ამ დროისთვის თანახმანი იყვნენ არჩევნებში მონაწილეობაზე ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, სახალხო ფრონტი და დასი. დანარჩენები ყველანი ბოიკოტს აცხადებდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ისინი ვერ შევიდოდნენ ფორუმში?

ლუიზა შაკიაშვილი: და ვერც შევიდნენ, ვერც თამრიკო ჩხეიძე, ვერც ნოდარ ნათაძე... ედუ-ც უკვე არსებობდა... რესპუბლიკელებიც მომხრე იყვნენ არჩევნების, ეგრე მახსოვს, იმიტომ, რომ რესპუბლიკელებიც არ შესულან. დანარჩენი ყველა იყო ბოიკოტზე და ყველა შევიდა. მათ შორის იყო: რუსთაველის საზოგადოებიდან თენგიზ სიგუა (მაშინ უკვე თავმჯდომარე იყო), თენგიზ კიტოვანი (აღარ მახსოვს, რომელი ორგანიზაციიდან შევიდა), ვაჟა ადამია, თემურ ჟორჟოლიანი, ირაკლი წერეთელი, თემურ ქორიძე, გია ჭანტურია, მე (იმიტომ, რომ მე უკვე ჭავჭავაძის საზოგადოებაში აღარ ვითვლებოდი, აქვთ ვითვლებოდი, ირაკლი შენგელაიასთან, ბოიკოტს უცხადებდა ირაკლი შენგელაია), რა ვიცი, ვინ ჩამოვთვალო, 40 კაცი ვიყავით. ხო, ჯაბა იოსელიანი – „მხედრონი“, ეგენიც უცხადებდნენ ბოიკოტს, „თეთრი გიორგიც“ შედიოდა, ხელმძღვანელი ვინ იყო, დამავინცდა...

ნათელა ვაჩნაძე: მანაგაძე.

ლუიზა შაკიაშვილი: ხო. ეს „თეთრი გიორგი“ შეიარაღებული ფორმირება იყო არაფორმალური, ზვიად გამსახურდიასი იყო. ქალი მარტო მე ვიყავი 40 კაცში. ეს აირჩა მაგ ნიშნით ყრილობაზე, არაფერი ისეთი ჯახაჯუხი არ ყოფილა და დაინყო ამ ფორუმის მუშაობა. ძალიან ხშირი შეხვედრები გვქონდა, თითქმის ყოველდღიური. რაღაცა ორი კვირის, თუ

ერთი თვის დაწყებულიც არ იყო ჩვენი მუშაობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს გვაქვს სხდომა, ყველა ესწრება და უცბათ მესმის ავტომატის ჯერი ქუჩიდან. შეწყდა ეს სხდომა. მე იარაღის მეშინია და ამიტომ შიშისგან გარეთაც კი ვერ გავედი. ყველანი ჩაცვიდნენ და გავარდნენ გარეთ. მე იქ ვდგევარ და ველოდები, როდის ამოვლენ და ამოიტანენ ამბავს, რა მოხდა. მოხდა ის, რომ დაერივნენ „თეთრი გიორგის“ და „მხედრიონის“ წევრი ბიჭები. „მხედრიონის“ და „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელები ორივე ისხდნენ სხდომაზე. იმის მაგივრად, რომ... ვინ მტყუან-მართალი იყო, ვინ დაიწყო, ვინ დაამთავრა, პირველმა ვინ ისროლა, ეს ხომ ვერავინ ვერ დაინახა არა? ჩვენ რომ ხმა გავიგეთ, ესენი ხომ მერე გაცვიდნენ. ეს თავის სასარგებლოდ იტყოდა, ის თავის სასარგებლოდ იტყოდა...

ნათელა ვაჩნაძე: იქ ხომ ვილაცა იყო ქუჩაში.

ლუიზა შაკიაშვილი: ხო, მაგრამ ამას ხომ გარკვევა სჭირდებოდა. ხომ ვერ დაიჭერ უცხოს და ხომ ვერ დაჰკითხავ უცხოს, თუ არ იცნობ, ხომ ისევ იმათ უნდა ჰკითხო, წევრებს არა? ვისგან გაიგებდი სიმართლეს, თვითონ ისინი სიმართლეს არ იტყოდნენ, მაგრამ რალაცა ფორმა ხომ უნდა მისცემოდა, ამის განხლვა ხომ უნდა მომხდარიყო ფორუმში, რომლის სხდომა შეწყვიტა ამ ამბავმა. ეს სხდომა ან უნდა იმავე დღეს გაგრძელებულიყო, რალაცეები გარკვეულიყო, ან მეორე დღეს დანიშნულიყო სპეციალურად ამ საკითხის განსახილველად: რა მოხდა, რანაირად მოხდა და როგორ. ეს კი არ მოხდა, მოხდა ის, რომ... ცოტა ხნის მერე, როცა რალაცეები გაარკვიეს, ეს შეწყვეტილი სხდომა განახლდა, ადგა ზვიადი, მოითხოვა სიტყვა და იქ თქვა ეგეთი რალაცა: ვინაიდან მოხდა ეს უმსგავსო საქციელი, შუა რუსთაველზე მოხდა ასეთი შეუწყნარებელი რამ, რასაც ჰქვია ავტომატის ჯერი, არ მაინტერესებს, ვინ იყო დამნაშავე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მე ვტოვებ ეროვნულ ფორუმს და მივდივარ, ვისაც სურვილი გაქვთ, გამომყევით. ადგა და წავიდა და გაჰყვნენ ესენი.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ?

ლუიზა შაკიაშვილი: თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, თემურ ჟორჟოლიანი, ვაჟა ადამია, „თეთრი გიორგი“, თავისი დაქვემდებარებული, ერთ-ერთი მონაწილე ამ სროლების, მეტი არ მახსოვს. ესენი გაჰყვნენ. ამათ ხომ ზურგს უკან ყველას თავთავიანთი ორგანიზაცია ჰყავდა: ვაჟა ადამიას – მერაბ კოსტავას საზოგადოება, თემურ ჟორჟოლიანს – მონაქისტული, მაშინ საკმაოდ აღზევებული პარტია...

ნათელა ვაჩნაძე: რალაც ტრადიციონალისტებს არ ახსენებთ, არ არიან?

ლუიზა შაკიაშვილი: ხო, კაკო ასათიანი თავისი ტრადიციონალისტური პარტიით...

ნათელა ვაჩნაძე: მეტი დარჩა, თუ მეტი წავიდა?

ლუიზა შაკიაშვილი: თითქმის თანაბრად, შეიძლება, ერთ-ორი კაცით აქეთ მეტი დავრჩით.

ნათელა ვაჩნაძე: არის ასეთი ინფორმაცია (მე რისი დამტკიცება შემიძლია, მე ვარ ისტორიკოსი, მე მჭირდება დოკუმენტი, ახლა მე ვლაპარაკობ ზეპირმონათხრობზე დაყრდნობით), რომ ბუღამ ისროლა პირველმა.

ლუიზა შაკიაშვილი: ხო, მეც ეგრე გამიგია, მაგრამ მე არ შემიძლია დამტკიცება. ეგ მარტო თვითმხილველმა იცის და ისიც ან მოგატყუებს, ან სწორს გეტყვის. ბუღა აღარ არის... იქ შეხლა-შემოხლა ყოფილა და ჩვენ ხომ ვერ გავიგეთ შეხლა-შემოხლა, ჩვენ გავიგეთ სროლა.

ნათელა ვაჩნაძე: სროლა იყო ჰაერში.

ლუიზა შაკიაშვილი: აი ეს მოხდა ეს განხეთქილება. ყველაზე მეტად რატომ დავიბოღმეთ ზვიად გამსახურდიაზე. ამ შემთხვევაშიც არ ვეთანხმები არანაირად, რომ ესე დატოვა... იცით რა? ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩიტი გაფრენაზე იყო და ხელის აქნევას ელოდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს საბაბი იყო? წასვლა უნდოდა?

ლუიზა შაკიაშვილი: ხო და რატომ უნდოდა, მერე გამოჩნდა. იმ წუთში კი ვერ მივხვდი, მაგრამ მერე მივხვდი. იმიტომ, რომ წასვლისთანავე ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ გამოაცხადა, რომ არჩევნებში ღებულობდა მონაწილეობას, კომინისტების არჩევნებში, მარტში რომ უნდა ჩატარებულყო, რომელიც მერე ხალხმა აღარ ჩაატარებინა და, მოგეხსენებათ, გადადეს საშემოდგომოდ. კაცმა ფორუმში არ მიიღო ის ხალხი, რომლებიც ღებულობდნენ მონაწილეობას არჩევნებში და მერე თვითონ გავარდა და გამოაცხადა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი. რა ხასიათზე დავდგებოდით და რას ვიფიქრებდით, თუ არა იმას, რომ ამასობაში მოიფიქრა არჩევნებში მონაწილეობა და ისე ხომ ვერ წავიდოდა... მე მიმაჩნია, რომ ეს, რაც მოხდა, არ იყო სწორი საქციელი მისი მხრიდან, რადგანაც ის იყო ეროვნული ფორუმის ერთ-ერთ წამყვანი ლიდერი და თითქმის მთავარი, მას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართებოდა ფორუმის შემდგომი მუშაობა და მოღვაწეობა. და აქედან გამომდინარე, ესე ადვილად, ესე უბოდიშოდ და ესე უბრალოდ არ უნდა დაეტოვებინა ეს თავშეყრის ასპარეზი და არ უნდა გავარდნილიყო, გაქცეულიყო და არ უნდა გამოსცლოდა და არ გასცლოდა ამ ფორუმს. იმიტომ, რომ ადგილზე ხომ უნდა გარკვეულიყო, რაში იყო საქმე. მე ესე ვთვლი და მიმაჩნია, რომ ის კი არ უნდა წასულიყო და დაეტოვებინა ფორუმი, არამედ როგორც ლიდერს უნდა ეთავკაცა და მიეღო გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ჩვენი თანხმობით, რომ შემდგარიყო საგანგებო სხდომა, რომელზეც ერთადერთი საკითხი განიხილებოდა: რა მოხდა იმ დღეს „იმელის“ შენობის წინ, გარკვეულიყო ეს საკითხი და დამნაშავე უნდა დასჯილიყო, დამნაშავე ორგანიზაციის ხელმძღვანელი გარიცხულიყო ეროვნული ფორუმიდან.

ნათელა ვაჩნაძე: აქედან გებადებათ თქვენ ეჭვი, რომ „თეთრმა გიორგიმ“ დაინყო? მაშინ გაირიცხებოდა „თეთრი გიორგი“, ვისიც იყო.

ლუიზა შაკიაშვილი: ვისი იყო და ზვიადის იყო. მე არ ვესწრებოდი იმ ჩხუბს, მაგრამ ესეთი ხმა მოვიდა, რომ იმათ დაინყესო.

ნათელა ვაჩნაძე: თუ არადა, გაირიცხებოდა „მხედრონი“.

ლუიზა შაკიაშვილი: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: მერე ჯაბა იოსელიანი მაგას გადაიტანდა, რომ ლუიზა შაკიაშვილი გამოსულიყო და ეთქვა: ბატონო ჯაბა, თქვენ უნდა დატოვოთ ფორუმი?

ლუიზა შაკიაშვილი: რატომ მარტო ლუიზა შაკიაშვილი?

ნათელა ვაჩნაძე: სულ ერთია, ვინ.

ლუიზა შაკიაშვილი: რატომ რატომ. ჯაბა იოსელიანზე ნაკლები იქ ეროვნულ მოძრაობის წარმომადგენელი რომელი იჯდა? შეიძლება, ჯაბა იოსელიანისნაირი ნაკლები საკავშირო მნიშვნელობის ქურდი და პროფესორი არ იყო იქ, მაგრამ ირაკლი წერეთელმა ოთხი წელიწადი რომ ხეხა ციხე კომუნისტებთან ბრძოლაში და გია ჭანტურიამ და ლუიზა შაკიაშვილმა, რატომ არა გვექონდა უფლება, გვეთქვა?

ნათელა ვაჩნაძე: აიტანდა?

ლუიზა შაკიაშვილი: აიტანდა თუ არ აიტანდა, მაპატიეთ და, სრულიადაც ერთ ყურზე არ მეკიდა. მე ვამბობ, რომ ეს ესე უნდა მომხდარიყო, მე ესე მიმაჩნია, ეს არის ზნეობრივი და მორალური კოდექსის შემადგენელი ნაწილი ასეთ სიტუაციაში, რომ თავიდან აგვეცილებინა ერის შუაზე გახლეჩა. ერის შუაზე გახლეჩა იმ დღეს დაიწყო. იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას რომ გაჰყვა თავისი მომხრეები დიდი რაოდენობის და აქეთ დარჩა მეორე ნაწილი იმავე რაოდენობით, მეტი თუ არა, არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ჩვენი მომხრეები გვეყავდა, იმას თავისი მომხრეები ჰყავდა. როდესაც ჩვენ დაუპირისპირდით ერთმანეთს, ეს ორი განაყარი ეროვნული ფორუმიდან, ეს ორი ფრთა ერთმანეთს რომ დაუპირისპირდა, ბუნებრივია, ჩვენი მომხრეებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. აქედან დაიწყო?

ლუიზა შაკიაშვილი: რა თქმა უნდა, მე ესე მჯერა და ესე მნამს. ამაში მე ვერავის ვერ ვარწმუნებ, ეტყობა, არ მყოფნის ძალა, რომ დავარწმუნო.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ არ გეთანხმებიან?

ლუიზა შაკიაშვილი: არ ვიცი, არ მეთანხმებიან, ან არ აწყობთ, ეტყობა, რომ დამეთანხმონ. იმიტომ, რომ აქ ხომ ზვიადის დანაშაული იკვეთება. დანაშაული ჰქვია მაგას, რაც ჩაიდინა და იმიტომ. არ აწყობთ გიჟ ზვიადისტებს ამისი დაჯერება. თორემ ფაქტს ვყვები, მე ხომ არაფერს არც ვამატებ და არც ვაკლებ. მე ხომ იმას ვყვები, რაც მოხდა, ისტორიული ფაქტი და იმას ვაანალიზებ. და ეს ჩემი ანალიზი თუ არასწორია, შენ რომ მოწინააღმდეგე ხარ, დამისაბუთე, რომ არასწორს ვამბობ. ვერავინ ვერ მისაბუთებს. მე ამაზე პრესაში რამდენჯერ დავწერე. ერთხელ და ორჯერ კი არა ვთქვი, რომ აქედან იწყება გახლეჩა-მეთქი და შემეკამათოს, ვისაც დიდი გული აქვს. ვერავინ ვერ შემეკამათა, სხვათა შორის, ვერც პირადად და ვერც საჯაროდ. ნავიდნენ თუ არა, შექმნეს „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანია, დაიწყეს მიტინგების

ტარება ჩვენ სანინალმდეგო მაჩაბლის ქუჩაზე ბერიას სახლის წინ. იყო თუ არა ეგრე? შეიჭრნენ, ჩვენი ოფისებიანო, დაინაწილეს ეს ბერიას სახლი ოფისებად, ეხლა რომ სახალხო დამცველის ოფისია, იქ. ყოველდღე საღამოს 6 საათზე ეგენი მანდ ატარებდნენ მიტინგს. ჩვენი ფრთა ოპერის წინ ატარებდა მიტინგებს, ქუჩას გადაკვეტავდით. ერთდროულად, საღამოს 6 საათზე იმათი მიტინგი იქ იყო, ჩვენი მიტინგი აქ იყო. მერე შიმშილობა დაინყეს მხედრიონელებმა ოპერის ბაღში. ოპერის წინა ტერიტორია ავიღეთ ჩვენ, მაგათ მაჩაბლის ქუჩა. ჩვენ უფრო კარგი ტერიტორია გვეკავა. სხვათა შორის, ყოველდღე 10-15 ათასი კაცი მოდიოდა ჩვენს მიტინგებზე. იქ მაგდენი ხალხი არც კი დაეტეოდა და როგორ მივიდოდა. იქიდან ისინი ჩვენ გვასხამდნენ ლაფს, აქედან ჩვენ ვასხამდით. ეს არ ინვევდა ერის გახლეჩას აბა? ამან არ გამოიწვია ერის გახლეჩა შუაზე? რამდენი წავიდა და რამდენი დარჩა, არა აქვს ამას მნიშვნელობა. ერი ორ ნაწილად ხომ გაიხლიჩა ამის შედეგად. თორემ ეროვნული ფორუმი რომ შეიქმნა, არ იყო ერი გახლეჩილი, ყველა ერთად ვიყავით.

ნათელა ვაჩნაძე: მე მახსოვს ასეთი ეპიზოდი: ვდგევარ საინფორმაციო მიტინგზე ოპერის ბაღის წინ. ჯაბა იოსელიანი უკვე შიმშილობს, კარავშია და მოვიდა ვილაცა და მითხრა: მე ვნახე ბატონი გიზო და ბატონი ნოდარ გურაბანიძეო, შევიდნენ კარავში ჯაბა იოსელიანთან და ძალიან დიდხანს არ გამოვიდნენო. საღამოს გიზოს ვკითხე და მითხრა: ჩვენ გვინდოდა, რომ ამდგარიყო. დიდხანს ველაპარაკეთო და სანამ ეგ არისო, აქედან არ ავდგებო. ვერ დაითანხმეს. მე იმის თქმა მინდა, რომ რალაცა მცდელობა იყო. მამაკაცები გულხელდაკრეფილი არ იდგნენ თქვენსა და მათ შორის შუაში, რუსთაველი დროსტარების ადგილი არ იყო. ეს იყო დიდი ფიქრის, დიდი დარდის, დიდი წუხილის ადგილი. რომ ამტყუნებენ ადამიანებს, არ არიან მართლები. მარტო ტელევიზიებში გამოხტომა და ეკრანზე დოგმა, ეს არ არის საქმე. მე თუ მკითხავთ, ეს უფრო სერიოზული საქმეა, მაგრამ შედეგი რომ ვერ გამოიღო, ეს არის სამწუხარო და სავალალო. მაგრამ არა მგონია, რომ იქ ვინმე შესულიყო და ბატონო ჯაბა აეყენებინა.

ლუიზა შაკიაშვილი: არა, ეგ არ მოხდებოდა. იმ მიტინგებზე, რომელიც ოპერას წინ ჩვენი ფრთის მიერ ტარდებოდა, მე ვიყავი თითქმის მუდმივი გამომსვლელი. 10-15 ათასი კაცი იდგა და გვისმენდა. სულ ვამბობდი, რომ, ხალხო, იმ ფრთამ გამოაცხადა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი. ძალიან ახლოს ვიცნობ ზვიად გამსახურდიას მისი ოჯახით. ძალიან ბევრი რამ ვიცი, რაც არ ითქმის საჯაროდ, მაგრამ, გთხოვთ, თუ ვინმეს გჯერათ რამე ჩემი, ქვეყნის პირველ პირად ნუ აირჩევთ ამ ადამიანს, იმიტომ, რომ ეს არის კაცი, რომელიც საკუთარ ოჯახს და ორ ქალს ვერ უვლის და ამხელა ქვეყანას, მიუხედავად იმისა, რომ პატარაა, ვერ მოუვლის და ვერავითარ შემთხვევაში ვერ გასწევს ის ქვეყნის პირველ პირობას, დაილუპავს თავის თავსაც და ქვეყანასაც

დალუპავს იმ ქალების წყალობით. დამიჯერეთ, ძალიან გთხოვთ, არ მისცეთ ხმა და არ აირჩიოთ. აი ამას ვქადაგებდი ყოველ ჩემს გამოსვლაში. მე კი ძალიანაც კარგად ვიცოდი, რომ არავინაც არ დამიჯერებდა, მაგრამ ჩემს მორალურ ვალს ვიხდიდი.



## მარიამ ლორთქიფანიძე

19 მაისი, 2007 წელი

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონო მარიამ, ჩვენ განუხებთ ერთ საკითხთან დაკავშირებით. ეს არის X საერთაშორისო კონვენტი, რომელიც ჩატარდა მოსკოვში 1991 წლის 14-17 აგვისტოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცენტრში. თქვენ მინვეული ბრძანდებოდით ოფიციალურად ამ კონვენტში მონაწილეობისათვის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენი მოხსენება დღის წესრიგშიც იდგა, ეს იყო 15 აგვისტოს დღის წესრიგი. თქვენი მოხსენება კონვენტმა მოისმინა 15 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში. რა იყო მთავარი. რამდენიმე საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას და ეს კიდევ უფრო შეგვიწყობს ჩვენ ხელს, რომ თქვენ უფრო მეტი რამ გაიხსენოთ. საკმაოდ დიდი დრო არის გასული ამ დღიდან და, მე ვფიქრობ, ეს ამბავი დაგვეხმარება, აღვადგინოთ რაღაც რეალური სურათი. საერთოდ ძირითადი თემა იყო, როგორ შევაჩეროთ სამხედრო წარმოება იმისათვის, რომ შეწყდეს იარაღის ექსპორტი. ეს იყო უმთავრესი საკითხი, რაზედაც უნდა გამახვილებულიყო კონვენტის მონაწილეთა ყურადღება — მშვიდობიანი გზები ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტების გადასაწყვეტად. მშვიდობიანი გზებით ამ საკითხების გადაწყვეტა არ ეხებოდა მთელ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. ეს ეხებოდა, ძირითადად, სამ რესპუბლიკას. უფრო სწორედ, ორ რესპუბლიკას კავკასიაში და შუა აზია დღის წესრიგში ზოგადად არის მოხსენებული. ბუნებრივია, ამიერკავკასიაში იმხანად მხოლოდ და მხოლოდ ორი რეგიონი იდგა დღის წესრიგში. ეს იყო ე. წ. სამხრეთ ოსეთი და მეორე ყარაბაღი. თქვენ, რა თქმა უნდა, უნდა გამობრძანებულიყავით სამხრეთ ოსეთის პრობლემასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი სხდომის ორგანიზატორს იყო ალექსანდრ რუსეცკი, რომელსაც, ვიდრე თქვენი მოხსენება იქნებოდა, მოხსენებაც ჰქონდა დაახლოებით ამ საკითხებთან დაკავშირებით. და იმ სხდომას, რომელზეც თქვენ გამობრძანდით მოხსენებით, იმ დღეს თავმჯდომარეობდა სწორედ ალექსანდრ რუსეცკი. რა შეგიძლიათ გვითხარათ თქვენი იმდღევანდელი მოხსენების ირგვლივ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ეს მოხსენება დაწერილი სახით არა გაქვთ, ამისი ოქმის ან სტენოგრაფიული ჩანაწერის მოპოვება ძალიან ძნელია. ისე მე კი წარმომიდგენია თქვენ რასაც იტყოდით, ის არაერთხელ საქართველოშიც გითქვამთ. იქ უფრო ფართო აუდიტორია იყო. მსოფლიოს 48 ქვეყანა ისმენდა ამას. სხვათა შორის, ეს პირველი გასვლა იყო ამ ინფორმაციისა, უკვე შეგვიძლია ვუწოდოთ, უცხოეთში. იმიტომ კი არა, რომ მაშინ რუსეთი უცხოეთი ჩვენთვის იყო. ჩვენ ყველანი მაინც ვიყავით საბჭოთა კავშირის

შემადგენლობაში, ვიდრე არ დაიშალა საბჭოთა კავშირი 1991 წლის 30 დეკემბრამდე. ამიტომ, ბუნებრივია, საქართველოს არავითარი უშუალო კონტაქტები არ ჰქონდა უცხოეთთან, ძალიან ძნელი იყო აქედან ინფორმაციის გატანა და, ბუნებრივია, რომ მოსკოვი იყო ერთადერთი საშუალება, რომ ქართველ მეცნიერებს ან ქართველ პოლიტიკოსებს რეალურად არსებული სიტუაცია გაეტანათ უცხოელებისათვის მოსასმენად და ეს თავყრილობა ამისთვის იყო გამოყენებული. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამაში უპირველესი ნება-სურვილი იყო საქართველოს ხელისუფლების. ხელისუფლებას რომ არ ნდომებოდა საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა და ქართველი მეცნიერის იქ მოხსენებით წარდგენა, ალბათ ძალიან ძნელი იქნებოდა ოფიციალური გზით. არაოფიციალურით ალბათ შეიძლებოდა კამათში მონაწილეობის მიღება, ეს უკვე ნებისმიერ ადამიანს ალბათ შეუძლია. რამდენადაც მე ვიცი და თუ ეს მართალია, სახელმწიფო სტრუქტურები და საერთოდ ხელისუფლება ამ ამბის საქმის კურში იყო და ალბათ ისიც იცოდნენ, ვინც გამოდიოდა მოხსენებით.

მარიამ ლორთქიფანიძე: მე ნელ-ნელა აღვიდგინე, რა იყო და როგორ იყო. მე არ მახსოვდა არც წელი, არც დღე, არც არაფერი. საღამო ხანია, მოვიდა ჩემთან თამარ ფირცხელანი და თუ არ ვცდები, შეიძლება მართო იყო და შეიძლება მასთან იყო ერთად ნათელა კიკნაძე. მითხრეს, რომ დღეს 1 საათზე მოსკოვის რეისით უნდა წავიდეთ მოსკოვში და თქვენ იქ მონაწილეობა უნდა მიიღოთ რალაცა დიდი სხდომის მიმდინარეობაში. არც ის ვიცოდი, რისთვის მივდიოდი, არც ის ვიცოდი, იქ რა საკითხი იქნებოდა ან რა უნდა მელაპარაკა. მე ვუთხარი, რანაირად წამოვიდე. არ შეიძლება, ქალბატონო მარიკა, თქვენი არ წამოსვლა არ შეიძლება. კარგი, ბატონო, მე ვუთხარი, წამოვალ. თუ არ ვცდები, იქ ეთერ ავსაჯანაშვილიც იყო. მივედით აეროპორტში მანქანით, არც გვიშევებენ შიგნით. გადავიდა თამრიკო, ვილაცასთან მივიდა, რალაცა უთხრა, შეგვიშვეს. აგვიღეს ბილეთები, ჩაგვსხეს თვითმფრინავში. ჩავფრინდით მოსკოვში, მივედით ჩვენი წარმომადგენლობის სასტუმროში, იქ გვეუბნებიან, ჩვენ არაფერი არ ვიცით, არაფერი არ გვაქვს. ეს მივიდა, ვილაცას რალაცა უთხრა, ის ვილაცა ვილაცას დაელაპარაკა, ის კი გავიგონე, რომ უთხრა, მარიკა ლორთქიფანიძეა ჩამოსული და ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვიდა დირექტორის მოადგილე. კარგა ხანს გვალოდინეს, სხვათა შორის, ძალიან კარგა ხანს. ბოდიში მოგვიხადეს და მოგცეს ნომრები. მერე წავედით სადღაც, მათ იციან, სად უნდა წავიდეთ, და ეს რუსეცკი შეგვხვდა. მე არც კი ვიცოდი, რომ ეს ორგანიზატორი იყო ამისი. ამ რუსეცკის ვეკითხები: რა უნდა გავაკეთო. იქ გაარკვევთ, რა უნდა გავაკეთოთ. რა საკითხებია. ეს კი მითხრა — კონფლიქტების საკითხები. მივედით სხდომაზე. ეს იყო უზარმაზარი დარბაზი, გაჭედილი. დავსხედით.

ნათელა ვაჩნაძე: Цветной бульвар, дом N2.

მარიამ ლორთქიფანიძე: ხო, ეხლა გამახსენდა. რაღაცეები იყო და მერე გამოვიდა ბონერი. გამოვიდა ბონერი, ჩაგვდო მინაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და განსაკუთრებით ოსეთის საკითხთან დაკავშირებით.

ნათელა ვაჩნაძე: ჯერჯერობით არ იდგა აფხაზეთის საკითხი.

მარიამ ლორთქიფანიძე: არა, მარტო ოსეთი იყო, აფხაზეთის საკითხი არ იდგა. და რაც მთავარი იყო, რომ გამოაცხადეს ბონერი, ეს დარბაზი თუ არ დაინგრეოდა, არ მეგონა, ისეთი ამბავი ატყდა. მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მიაცილებდა ბონერს ტრიბუნამდე. ბონერმა ჩაგვდო მინაში, დაამთავრა ბონერმა და გამოაცხადეს მე. რომ მივდიოდი ტრიბუნისკენ, მუხლები მიკანკალებდა და ვფიქრობდი, რომ მე აქ ჩამქოლავენ. მაგრამ ჩამქოლავენ, თუ რას მიზამენ, მე ჩემი სათქმელი უნდა ვთქვა. დავდეგი ტრიბუნაზე და ვხედავ, პირველ რიგში სულ სამხედროები, დიდი-დიდი ჩინოსნები სხედან და დავიწყე. დავიწყე და ვთქვი, რომ ოსები ამ და ამ დროიდან ჩნდებიან აქ, საერთოდ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა იყო უძველესი დროიდან, მეზობლები ვართ, დაქირავებული რაზმები, საერთო მტრების წინააღმდეგ ერთად ბრძოლა და მაგრამ გარკვეული დროიდან, ის, რაც მოხდა საქართველოში XV საუკუნის ბოლოს, XVI საუკუნის დასაწყისში, რომ ქვეყანა დაიშალა, დასუსტდა. ამავე დროს აღმოვჩნდით მთლიანად მუსლიმურ გარემოცვაში და დაიწყო ჩამოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან სხვადასხვა მომთაბარე ტომების. ხდება ჩრდილოეთიდან რუსეთის მოწოლა, კახეთში ლეკების, შიდა ქართლში ოსების და დასავლეთ საქართველოში – სხვათა შორის, მაშინ პირველად ვიხმარე ტერმინი აფსუა, რომლებსაც ჩვენმა წინაპრებმა ვუნოდეთ აფხაზები, იმიტომ, რომ ისინი დასახლდნენ ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინცია აფხაზეთში. ამითი შეწყდა აფხაზეთზე ლაპარაკი, რაღაცა რეპლიკები კი იყო. მერე ვთქვი, რომ ამ დროიდან მოდიან ოსები, სახლდებიან აქ ხიზნებად, ძირითადად ეს მშვიდობიანი პროცესია, თუმცა შეხლა-შემოხლაც იყო, ქართველი გლეხების მიწებს იკავებენ, ქართველი თავადები იღებენ, იმიტომ, რომ მოსახლეობა ბარში დაცლილია. რუსეთიდან მოწოლის შედეგად გადმოდიან ჯერ კავკასიის ჩრდილო კალთებში, იძულებული გახდნენ, რომ შესულიყვნენ. შემდეგ გადმოდიან სამხრეთ კალთებზე, იმიტომ, რომ ქართული მოსახლეობა მთიელებისგან დაიცალა, ბარში ჩამოდიან და ოსების კომპაქტურად დასახლების პროცესი როგორ მიმდინარეობს ისტორიულ შიდა ქართლის ტერიტორიაზე. ეს შიდა ქართლი რომ ვახსენე, ვიღაცამ დაიძახა: Что за Шида Картли? და ავუხსენი, რა არის ეს შიდა ქართლი, რას წარმოადგენდა და ამავე დროს საგანგებოდ გავუსვი ხაზი იმას, რომ არასოდეს საერთოდ ეს ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ XIX საუკუნემდე არ არსებობდა. XIX საუკუნეში გაჩნდა „სამხრეთელი ოსები“, „южные осетины“ და იმავე XIX საუკუნეში ერთი ორგანიზაცია იყო, რუსებმა შექმნეს ოსეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით და

პირველად იმათ დოკუმენტებში გაჩნდა ტერმინი “Южная Осетия”, მაგრამ ძალიან ძნელად მოიკიდა ფეხი. მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ჩნდება უფრო ხშირად და საბოლოოდ მოიკიდა ფეხი 1921 წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. კარგად მახსოვს, ბონერმა თქვა: Когда существовала грузинская меньшевитская правительство, Грузия три раза устроила разгром, геноцид осетин. ამაზე ვუთხარი მე: После распада царской власти, как было, что было, это длительная история, сейчас ни время об этом говорить, но 26 мая, как и потом в Азербайджане и Армении, во всем на южном Кавказе, образовалась грузинская демократическая республика. Что осетины, компактно проживающий в северо-западной части Шида Картли три раза устроили восстание против законного правительство. Нравится нам это правительство или нет, это другая сторона вопроса, но каждая нормальная законная правительсво защищает свои права. Они требовали выделение из Грузии и создание независимого – ამაზე ამიყვირდნენ – мотозтнического осетинского госурадство.

ნათელა ვაჩნაძე: მთოზტნიჩესკოგო თავისთავად გულისხმობს იმას, რომ სხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა იქ აღარც უნდა ისუნთქონ. Они коренные, ни коренные ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა.

მარიამ ლორთქიფანიძე: მე, სხვათა შორის, მე ისიც ვთქვი, რომ по современным мировым стандартам, даже средновековым грузинским источникам закон Вахтанга VI, когда хизани, хизани – это пришедший поселившийся, в третьем поколении он уже считается коренным населением. Они коренное населения. Они требовали – независимая от Грузии моноэтническая осетинская государство, которое должно было выделиться из Грузии. იმან ახსენა \_ Джугели, который там устроил... Да, государство послало Джугели, государство послало гвардию, которая там устроила... конечно была война и была редня населения и с одной стороны и со второй стороны. Когда здесь, Госпажа Бонер... ეს რომ ვთქვი, Бонер ვილაცამ იყვირა იქიდან, ის იჯდა პირველ რიგში. Когда Госпажа Бонер заявила, что там была разлита кровь, погроми были, даже слово геноцид... чем было это вызвано, чем? Среди этих трех восстаний, особенное тяжелое восстание была 1920 года, надо с этим считаться, чем это было вызвано. Потом, когда уже установилась Советская власть, у осетин был свой ревком здесь, без конца уже ставили вопрос о выделении из Грузии. Несколько были собраний, там даже участвовали и Грузини, были споры. Стоял вопрос так – уже после установлении советской власти – независимая юго-осетийнская автономная республика; потом пошел вопрос – независимая автономная область. Долго диспутировался вопрос и когда на северном Кавказе, на родине ни какого осетинского ни административного, ни политического, ни культурного, ни какое объединение не существовало, здесь постановили и создали юго-осетинскую автономную область. Здесь

стоял вопрос так – юго-осетинская автономная республика в составе РСФСР, или юго-осетинская автономная область в составе Грузии. В конце концов решили автономная область в составе Грузии, хотя госпажа Бонер сказала, что это было сделано для Грузии, хотя трудно сказать, но в польне возможно, что кто решал в конце концов это, они сочли, что для той цели, которую преследовало и которую мы сейчас прекрасно видим что такое, может быть было лучше, что это образование было бы внутри Грузии, хотя я наверняка ничего сказать не могу, просто нужно предположить.

ნათელა ვაჩნაძე: Как бомбу.

მარიამ ლორთქიფანიძე: Как бомбу дальнего действия, которая задействовала, когда она стала нужной. Потом, через чуть ли ни года, была создана северо-осетинская автономная республика. Там несколько раз менялся статус этой республики. Две Осетии – цель была ясна – объединение этих двух Осетии. Никто никогда осетин, проживающих на территории Грузии и до этого и после в области никто там не претиснял... Там были осетинские школы, были двуязычные осетино-русская и грузино-осетинская школы. В Цхинвали существовал педагогический институт, который был единственным осетинским высшим учебным заведением в Советском Союзе. На Северном Кавказе Орджоникидзевский университет, как сами они нам говорили, было русское высшее учебное заведение...

ნათელა ვაჩნაძე: იქ ქართველებიც სწავლობდნენ და ჩვენ ვიცით, რომ ის იყო რუსული უმაღლესი სასწავლებელი.

მარიამ ლორთქიფანიძე: უნივერსიტეტის ერთ-ერთ იუბილეზე, მე ეხლა აღარ მახსოვს იმ რექტორის გვარი... როდესაც ჩამოვიდა, წაიყვანეს ცხინვალში და აჩვენეს, რა ხდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში... მე ვარ პირადად მოწმე იმისა, რომ მან თქვა, ეს არის ერთადერთი ოსური უმაღლესი სასწავლებელი, მე ვარ რექტორი იმ უნივერსიტეტის და მე ვიცი, რას წარმოადგენს ის უნივერსიტეტი.

...помимо этого, существовал филиал Академии Наук Грузии, где разрабатывалось и потом вышли несколько томов сравнительный словарь осетинского языка, в трех или четырех томах “История осетинской литературы”, осетинские сказки, переводы, ничего этого на Северном Кавказе, настоящем Осетии не делалось. Наши языковеды работали, Ахвледиани, Андроникашвили, целое поколение здесь воспиталось осетинских ученых, так что взаимоотношения были в полне нормальные и человеческие. როცა ვთქვი – თ. ნ. “Южная Осетия” – მაგაზე მიყვირეს საშინლად. გავიმეორე так называемая, потому что некакой Южной Осетии, как таковой, в природе не существовала. Это было искусственно созданная что-то с определенной целью. მერე ვთქვი, ჟურნალები, გაზეთები, რა გამოდიოდა, თეატრს ორი დასი რომ ჰყავდა, ოსური დასი და ქართული დასი. Я считаю, что осетины, во-первых... по мимо т. н. Южной Осетинской Автономной Области осетины очень многие проживают и в других

районах Грузии, в Раче, Бакуриани. Автономия нужна какая-то этой части, они, помоему, имеют права только на культурную автономию. ამაზე ამბავი ატყდა, უბედურება. Что касается территориальных требований, это историческая грузинская земля и никто не имеет право ставить вопрос об отторжении этой земли от Грузии. ატყდა უბედურება. როცა გაჩერდნენ, ორი სამხედრო ადგა და ერთმა თქვა: Я требую, прекратить такие выступления. მითხრეს, გააგრძელეთო. Я заканчиваю и заканчиваю тем, что территориальные требования не имеют ни юридического, ни морального право. Что касается культурной автономии, на это осетины омеют право, осетины имеют право жить на этой земле, никто их не претеснял, но отторгать эту землю, нельзя. როცა დავამთავრე, იყო ტაში, მაგრამ, რასაკვირველია, ბონერთან შედარება არ არის. და ვთქვი: Если кто-нибудь интересуется, если нет возможности все факты приводить, конкретные факты, при себе этих фактов у меня нет, могут придти ко мне, мы поседим, поговорим. Все документы, о которых здесь я говорила и приводила, часть этих документов издана на русском языке, большее часть этих документов хранится в архивах Москвы, все это можно проверить. Я могу вам дать не только адреса архивах, где это хранится, но даже сказать фонд и страницу, где это написано. როცა დავამთავრე, ბონერი ადგა. მე მეგონა, რამეს შემეკითხებოდა, მაგრამ ადგა და დარბაზიდან გავიდა. შემდეგ გამოაცხადეს, რომ მას, სამნუხაროდ, არ შეეძლო დარჩენა, იმიტომ რომ საზღვარგარეთ მიემგზავრება. აი ამითი დამთავრდა ჩემი მონაწილეობა იქ.

ნათელა ვაჩნაძე: მე არ ვიცი, თქვენ მოისმინეთ თუ არა, მოსკოველი, წარმოშობით ქართველი ვახტანგ ჯანაშიას მოხსენება, კონვენტმა მოისმინა. თქვენ ხომ არ მოგისმენიათ?

მარიამ ლორთქიფანიძე: არ ვიცი. ჩვენ, ეტყობა, განკარგულება ესეთი იყო, იმ დღესვე წამოვედით.

ნათელა ვაჩნაძე: 15-ში წამოხვედით?

მარიამ ლორთქიფანიძე: მე რიცხვი არ მახსოვს. მე რომ გამოვედი იქ, იმ დღეს თუ მეორე დღით წამოვედი, აღარ დავრჩენილვართ. რა თქვა იმ ჯანაშიამ?

ნათელა ვაჩნაძე: ანტიქართული პოზიცია ეჭირა, მაგრამ იმისი მოხსენებაც ისევე არა მაქვს, როგორც თქვენი მოხსენება და ამიტომ მე არა შემიძლია, ვიმსჯელო მისი მოხსენების შესახებ. ალბათ ისევე ოსეთს ეხებოდა, მე არ ვიცი. თუმცა უკვე შეიძლება... ჯანაშია ან სოხუმელია, ან...

მარიამ ლორთქიფანიძე: არ იდგა სოხუმის საკითხი.

ნათელა ვაჩნაძე: ... ან არ არის სოხუმელი, არ ვიცი. მაგრამ ერთი სოხუმელი მოქალაქე ხომეხი კი გამოსულა. ალბათ ჩვენი საწინააღმდეგო გამოსვლა იქნებოდა, თორემ ეს ჯანაშიაც და ის სოხუმელი მოქალაქეც, რომლის გვარი მე არ ვიცი, ეროვნებით სომეხი. მერე კი ვიცი უკვე, ბაგრამიანის რაზმმა რაც გააკეთა და რაც მოიმოქმედა და მერე სომეხებს უკვე

როგორი პოზიცია ეკავათ იმ ომში, მაგრამ ეგ უკვე სხვა საკითხებია. მე, ძირითადად, რადგან იმ პერიოდზე ვმუშაობ, როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა, ამიტომ მხოლოდ ამ თემით შემოვიფარგლები. ე. ი. თქვენ ჯანაშიასთვის არ მოგისმენიათ?

მარიამ ლორთქიფანიძე: არა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ძალიან მძიმე პერიოდი იყო მთელი საბჭოთა კავშირის ისტორიაში და, რა თქმა უნდა, სხვა რესპუბლიკების ისტორიაშიც. არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი იყვნენ კარგ დღეში. ეს ყარაბაღი როგორი გასაყოფი იყო მათ შორის და რა ამბავი იყო.

მარიამ ლორთქიფანიძე: გახსოვს, ლენინგრადში კარენმა რა გვითხრა. კარენი იყო სომხეთის დამოუკიდებლობის კომისიის წევრი და პირდაპირ გვითხრა: Стоял вопрос, начинать с Карабаха или с Джаваха, с четырьмя голосами перевесил Карабах.

... მოსკოვში ერთი გამგზავრება იყო კიდეც, მარტო მე კი არ წავედი, დელეგაცია წავიდა — ზურაბ ფორაქიშვილი, თემურ ხუროძე, ნოდარ ამაღლობელი, ოთარ ჯაფარიძე და მე. როდესაც მივედით ჩვენს წარმომადგენლობაში, წარმომადგენლობის უფროსმა დარეკა ზვიადთან, უთხრა, რომ მოსულები არიანო. ზვიადმა უთხრა, ოთარ ჯაფარიძე იყოს უფროსიო. იქ რომ მივდიოდით, ჩვენ დაკისრებული გვექონდა მისია, უნდა მოგვეხერხებინა შესვლა იაზოვთან და მოგვეთხოვა, გაეყვანა მას სამხრეთ ოსეთიდან ვერტალიოტების ბატალიონი (верталетный баталион). იაზოვთან მოხვედრა ადვილი საქმე არ იყო, დაგვაკავშირეს ზურაბ წერეთელთან, ზურაბ წერეთელმა დაურეკა ვილაც სამხედროს და იმისი დახმარებით მეორე დღეს შეგვიყვანეს იაზოვთან. იაზოვი გვესაუბრა საქართველოს კულტურაზე, იყო ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილი და დავაყენეთ საკითხი, რომ გაეყვანათ ეს ბატალიონი. ძალიან დელიკატურად გვიპასუხა: Этот вопрос так не решается, я буду знать, что правительство Грузии в вашем лице просит об этом и об этом поговорим потом.



## ნემო ჭანტურია

სექტემბერი, 2008 წელი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ნემო, თუ შეიძლება, სულ მოკლედ, მიაბზეთ თქვენი ცხოვრების შესახებ მკითხველისათვის: რომელი თაობის ადამიანი ბრძანდებით, როდის დაიბადეთ, სად დაიბადეთ, სად მიიღეთ განათლება, როგორ შემოხვედით ეროვნულ მოძრაობაში, შეიძლება ეროვნულ მოძრაობაში არ იყავით, არც ერთ პარტიაში არ იყავით ოფიციალურად გაერთიანებული, მაგრამ გულშემატკივრობდით, დაბრძანდებოდით მიტინგებზე, იყავით თუ არა დაკავშირებული ლიდერებთან – აი, ასეთ საკითხებზე, რომ ჩვენს მკითხველს წარმოდგენა შეექმნას თქვენზე.

ნემო ჭანტურია: ბევრის გახსენება შეიძლება. დაბადებული ვარ 1959 წელს. წარმოშობით ვარ ფოთელი. დედაჩემი იყო გალის რაიონიდან. მამაჩემი ადრე მოკვდა და ამიტომაც მომიწია ბებიასთან ცხოვრება სოფელში, ენგურის მარჯვენა სანაპიროზე არის სოფელი თავილონი იქ გავიზარდე, მერე საბჭოთა ჯარი მოვიარე. სკოლა იქ დავამთავრე. მერე ვცხოვრობდი სოხუმში, მე მინდოდა სამხედრო გამოვსულიყავი, ეს იყო ჩემი ოცნება. სულ ამაზე ვმეცადინებოდი თეორიულად, ყველანაირად იქითკენ მიმინევდა გული, მაგრამ არ გამოვიდა ეს ბევრი მიზეზის გამო. ამიტომაც დავრჩი განათლების გარეშე. ვმუშაობდი დაცვაში სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტისა სარეჟიმო განყოფილებაში. როდესაც 1988 წელი დადგა, იმას შევხვდი, ეტყობა, რაც მინდოდა და რასაც ვეძებდი, მაგრამ ეს მოხდა ისე, რომ არ მქონდა ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რა იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. გამეგო კოსტავაზე, გამეგო ზვიად გამსახურდიაზე, ვნახე მიტინგზე იქვე სოხუმში ბევრი მაშინდელი ლიდერები, მაგრამ მაინც უკანა დასახევე გზას ვიტოვებდი მაგ დროს. იმიტომ, რომ არ მქონდა შეცნობილი, არ მქონდა გასისხლხორცებული ის სიტუაცია, რომ როგორ და რანაირად. მე ხომ ისე გავიზარდე, დიდ ქვეყანას ვემსახურებოდი. საქმე იმაშია, რომ იქაურ არაფორმალებს დაუუკავშირდი და გავხდი რუსთაველის საზოგადოების წევრი.

ნათელა ვაჩნაძე: ვის დაუუკავშირდით? ადამია იყო ვინმე?

ნემო ჭანტურია: ადამიას მე ვიცნობდი, ის სამხედრო საქმეში იყო, მხედრონიც იქ ყალიბდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ამა ადამიაზე არ გეუბნებით, უნივერსიტეტში მუშაობდა ისტორიკოსი ადამია.

ნემო ჭანტურია: აღარ მახსოვს. საქმე იმაშია, რომ რუსთაველის საზოგადოებაში რომ წავედი, ეს უფრო ისეთი საზოგადოება იყო, რომელიც არ ეძებდა ისეთ რადიკალურ გზებს, რომელიც მე მინდოდა. არადა,

მე უფრო იმ სამხედრო გზისკენ ვილტვოდი და ეს განწყობა მქონდა. ვფიქრობდი, რომ ასეთი მოძრაობის დროს აუცილებელია, ისწავლო თავდაცვა. იმიტომ, რომ ვგრძნობდი, რომ ეს იყო საშიშროება, რაღაცა საშიშროების მოლოდინი. მაგრამ მეც მინდოდა მათ გვერდში ვყოფილიყავი და ოფიციალურად გავფორმდი 1988 წლიდან რუსთაველის საზოგადოებაში. ჰელსინკის კავშირში მგალობლიშვილი იყო, მანამდე იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი. ზვიადის ჩამოსვლისას მიტინგზე, მაშინ გამოაცხადა მან, რომ ის ხდებოდა ჰელსინკის კავშირის წევრი. ეს იყო იქაური ქართული თეატრის მხატვარი, ძალიან კარგი კაცი, ძალიან თავგანწირული კაცი. მე ვაფასებ ამას როგორც გაცნობის დღიდან, ისე... მახსოვს მაგისი დახატული წმინდა გიორგი, რომელიც იყო გამოფენილი თეატრის წინ, როცა ტარდებოდა მიტინგები, მაგრამ ეს უფრო გვიანდელი მომენტი. შემდეგ ხდებოდა ესეთი რაღაცა. აზგარჰუკი არის ეგეთი სოფელი გუდაუთის რაიონში. ეს აფხაზურიდან ითარგმნება, როგორც „ტურების კნავილი“. იქ არიან 1952 წელს იმერეთიდან გადასახლებული ქართველები და ისინი ლტოლვილები გახდნენ. პირველი ლტოლვილები აფხაზეთში ისინი იყვნენ. იქ ზნეობაზე თავდასხმის მცდელობა იყო აფხაზების მხრიდან.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება საყოფაცხოვრები საკითხი იყო.

ნემო ჭანტურია: არა, ეს იყო ახალგაზრდის ახალგაზრდის მიმართ, მაგრამ ეს ხალხმა აღიქვა ისე... განწყობა იცოდა იქაური აფხაზობის, ანტიქართული დამოკიდებულება. ეს იგრძნობოდა. მაგრამ მოთმენის მომენტი იყო, არგახმაურების მომენტიც იყო, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდით მაშინ და მერე იმისი უცოდინარობაც, რომ როგორ გახმაურებულიყო ეს და რა გზებისთვის მიემართათ.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ არ გახსოვთ, როგორც ჩააცხრეს ეს კონფლიქტი იმ იმერეთის სოფლის?

ნემო ჭანტურია: კონფლიქტი, დაპირისპირება ესეთი არ ყოფილა. უბრალოდ ქართული ქორწილი იყო რომელიღაც ოჯახის და იმ საღამოს გადაწყდა, ადგა ეს საზოგადოება, დარჩნენ მოხუცები მარტო და წამოვიდა უმრავლესობა აქეთ. ესენი დაბანაკდნენ აგუძერაში და მე მომანდვეს მაგათი თვალყურის დევნება. მე არაფორმალურ საქმიანობას მივდევი. ის მდგომარეობა იყო შემდგომში, რომ გამოჩნდნენ მერე, როგორც მაშინ ვეძახდით, ფერგანელი თურქები და არა ისე, როგორც ეძახიან ეხლა, რადგანაც...

ნათელა ვაჩნაძე: ფერგანელი თურქები, ე. წ. თურქი-მესხები.

ნემო ჭანტურია: თურქი-მესხები რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ მაგ დროს ამ სახელით, როცა ისინი ფერგანიდან მოდიოდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ფერგანიდან კი მოდიოდნენ, მაგრამ ფერგანაში მოხვდნენ მესხეთიდან.

ნემო ჭანტურია: კი. წამოვიდა ეს ტალღა. ჩვენ პიკეტირება მოვახდინეთ ლესელიძეზე. ეს საშიში იყო მაგ დროისათვის ჩვენთვის ძალიან, ჩვენ

პრობლემას საქართველოში შეგვიქმნიდა, იმიტომ, რომ... მე ჩემს დამოკიდებულებას გეტყვით. ვინც არ უნდა მოსულიყო საზღვრებს გარედან, თუ... აშკარა იყო დამოკიდებულება პროსაბჭოთა კავშირის მიმართ. ესეთი ტენდენციაც იყო – შიში იყო იმისა, რომ ჩვენ დამოუკიდებლად ვერ ვიცხოვრებთ, შიში იყო იმისა, რომ ესე არ უნდა მოხდეს, ის ესე არ უნდა მოხდეს. მე არაფორმალურად ვიყავი, იმისგან მოსმენით, ამისგან მოსმებით, ვიზრდებოდი კი არა, უფრო სწორედ, მაინც არ მინდოდა იმათ გავეშორებოდი, რალაცას ვგრძნობდი, გაცნობიერებული კიდეც არ მქონდა ბოლომდე, თუ რა ხდებოდა.

ნათელა ვაჩინაძე: პროსაბჭოური ტენდენციები იგრძნობოდა? უნდოდათ აფხაზებს საბჭოთა კავშირის დარჩენა?

ნემო ჭანტურია: საბჭოთა კავშირის დარჩენაც ფიქსირდებოდა მაგათი მხრიდან, მაგრამ ასე აშკარად არა. აშკარად მარტო ის ფიქსირდებოდა, რომ წადით თქვენს ქვეყანაში, ე. ი. ენგურს გაღმა.

ნათელა ვაჩინაძე: თქვენ რომ გეთქვათ, რომ თქვენ თვითონ წადით კავკასიის იქით?

ნემო ჭანტურია: ჩვენ ვუფრთხილდებოდით, ჩვენ ყოველთვის ვუფრთხილდებოდით. მათ თავიანთი წარსული არ ახსოვდათ, ჩვენ გვახსოვდა ეს, კარგად ვიცოდით. ...ამ მიტინგების დროს უფრო დავუახლოვდი ლიდერებს. როდესაც ეს თურქი-მესხები მოდიოდნენ რუსეთის მხრიდან, ჩვენ უკვე პრობლემები გვექმნებოდა ქვეყნის შიგნით. ჩვენთვის არ იყო ცნობილი, თუ რა ტალღა იყო ეს. ეს იყო მეხუთე კოლონა, თუ სხვა მიზნები ამოძრავებდათ. ჩვენთვის გაუცნობიერებელი იყო მაგათი მიზნები. იმიტომ, რომ შეუსწავლელი მომენტი იყო. ძალიან აჩქარებულად ხდებოდა, ისე, რომ ამაში მართლაც შეიძლებოდა საფუძვლიანი ეჭვის შეტანა, თუ ამ დროს რატომ უნდა მომხდარიყო ამდენი მასის შემოსვლა საქართველოში. მე მაშინ წინააღმდეგი ვიყავი მაგათი შემოსვლის მაგ დროს და ამიტომაც ვიდექი იქ.

ნათელა ვაჩინაძე: ბევრი ხალხი იდგა?

ნემო ჭანტურია: ბევრი ხალხი იდგა, ბევრიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ იმ ადგილიდან მიდიოდა ცნობა, რომ მეტი საჭირო არ არის და დაწყნარებულიყვნენ. ხდებოდა ის მომენტი, პირველ საშუალო სკოლასთან რომ იყო დაკავშირებული, უნივერსიტეტის ფილიალი რომ გაიხსნა. 15-16 ივლისი იყო. მე, უკვე სამსახურიდან წასული, შევუერთდი იმ ტალღას, ახალგაზრდები იკრიბებოდნენ. აფხაზს და ქართველს ვერ გამოიცნობ და ზედა ტანსაცმელი გაიხადეს, ქალიშვილებმაც ეგრე გააკეთეს და ამით ჩვენ ვცნობდით ერთმანეთს. შევიკრიბეთ, ჩვენს პროტესტს გამოვხატავთ, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო, პირველი საშუალო სკოლის დარბევა. მე ვიცი, რომ მაშინდელი მილიცია, მაშინდელი მაღალი ხელმძღვანელობა, ზუსტად ვერ ვასახელებ იმ პირებს, მაშინ მქონდა საბუთი ამაზე შეგროვებული, რომ ზედმეტსახელად „გენერალი“, ანატოლი ავიძბა, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობ-

და და გააკეთა ის, რომ აფხაზ მილიციონერებს უნდა სცმოდათ თეთრი „რუბაშკები“ და ამით განსხვავდებოდნენ ისინი ქართველი მილიციონერებისაგან.

ნათელა ვაჩნაძე: ქართველებს როგორი ეცვათ?

ნემო ჭანტურია: ქართველებს ჩვეულებრივად, ლურჯი ფერის „რუბაშკები“ იყო, მოკლესახელოიანი მილიციის ფორმა და იმათ თეთრი. შეიძლება ბევრ ქართველსაც სცმოდა მაშინ, მაგრამ ეს იყო განმასხვავებელი ნიშანი. მაშინ, როდესაც ჩვენ რუსთაველის პარკში შეკრებილი ვართ და ვბჭობთ, რომ ეს არ უნდა მოხდეს, ამ დროს აფხაზები აქეთ გვემუქრებიან კიდევ. ჩვენ ლიდერებს ველოდებით და ამ დროს გამოდის ლიდერი ვოვა (ისტორიის მასწავლებელი მე-5 საშუალო სკოლაში, ძალიან კარგი კაცი) ვეკუა აკანკალებული. როგორ მიყვარდა ის კაცი...

ნათელა ვაჩნაძე: საქართველოს ისტორიის სპეციალისტი იყო.

ნემო ჭანტურია: ... იცითო, რა მითხრეს აფხაზებმაო? ჩვენ გვირჩევენიაო მგლის ხახაში მოხვედრას ლომის ხახაში მოხვედრაო. აი ასე გვითხრეს ჩვენმა ძმებმა აფხაზებმაო. ამ დროს მანქანა შემოდის ჩვენს ჯგუფში და პროვოკაციულ მოძრაობებს აკეთებს. აქედან შეძახილი, იქიდან შეძახილი. ისეთი საჯდომები იყო ამ პარკში, ხის „პლანკები“ და ამისი აწყვეტა და დაგვერივნენ და დაიწყეს ცემა ჩვენი. ვოვა ვეკუას დაარტყეს თავში. ცოტა შორს ვიდექი და არც ვიცოდი, თუ დარტყმისაგან რალაცა მოხდებოდა, მაგრამ, ეტყობა, ლურსმანი შეერჭო თავში, გარდაიცვალა, კაცი მოკლეს. ისინი შეიარაღებულები იყვნენ რკინის არმატურებით და რა თქმა უნდა, მოგვინია უკან დახევა. გავარდით, კინოთეატრი იყო „აფსნი“ და იქ ვიყავით. იმას ჰქონდა წინ მოედანი, იქ ვიკრიბებოდით და იქ რამდენიმე მიტინგი ჩატარდა. მოკლედ, ასეთ კონფლიქტურ სიტუაციებში ვიზილებოდა და ეს მიქმნიდა მე განწყობას, რომ საქართველოში უბედურება ხდება და ამ ქვეყანას სჭირდება დაცვა, ამ ხალხს სჭირდება თანადგომა. მერე ამ ლტოლვილებთან როცა ვიყავი, ამათმა დააპირეს ზვიადისთან შეხვედრა. როცა წამოვიდნენ ზვიადისთან, მე ვუთხარი: გინდათ წერილს გაგატანთ, გინდათ სიტყვით, უთხარი-მეთქი, სადაც უჭირს საქართველოს, ეს სამაჩაბლოშია, მე არ ვიცოდი ზუსტად, რა ხდებოდა სამაჩაბლოში, მაგრამ, ასეთი კაცი ვარ, რომ შემოძლია ვიფიქრო სამხედრო თვალსაზრისით, რომ ჯანმრთელობაც ხელს მიწყობს, სურვილიც მაქვს და მოახსენეთ-მეთქი. მე ვღებულობ ზვიადისაგან პასუხს. თავისი საქმე მოახსენეს ამ პირველმა აბგარჰუკელმა ლტოლვილებმა და როცა გამოდიოდნენ გარეთ, გადაეცითო ჭანტურიას, რომ ის იქ იქნება საჭირო, ადგილზეო. მართლაც მძიმე მდგომარეობა იყო იმ დროს. მე ამით ამაყი ვიყავი და სურვილი მქონდა, რომ უფრო აშკარად და მკვეთრად მეგრძნო ის, სადაა ჩემი კონკრეტული ადგილი. მე ავიღე შვებულება და იმავე დღეს წამოვედი თბილისში. როცა იყო უკვე დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასა და ე. წ. კონგრესს შორის...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ მაშინ აქ იყავით, თბილისში?

ნემო ქანტურია: ჩამოვედი, მივატოვე იქ ყველაფერი, ავიღე დედაჩემისგან კურთხევა და წამოვედი. წამოვედი და რომ ვნახე ამდენი ხალხი ერთად შეკრებილი, რა საუბარი, რა განწყობა, რა გულისტკივილი ჰქონდათ, აი იქიდან, მე მგონი, გადავწყვიტე, ჩემი ადგილი იყო მაშინდელ ხელისუფლებასთან. ეს ერთადერთი იყო შანსი, რომ მე ჩემს ადგილას დავმდგარიყავი და მე მგონი, ვიპოვე, იმ დროს ასე ვფიქრობდი. მერე მე შინ არ დავბრუნებულვარ, დავრჩი აქ ბოლომდე და ვაკეთებდი იმ საქმეს, რაც უნდა გამეკეთებინა. სურვილი იყო ჩემი ამ პერიოდში სამხდრო-საზღვაო ფლოტში, იმიტომ, რომ ამის სპეციალისტი ვიყავი მე და შევმდგარიყავი. ჯავახიშვილი იყო მაშინ სარდალი და მინდოდა, ფლოტის რიგებში გავწევრიანებულიყავი. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნოდარ გიორგაძემ, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ასე მითხრა (ვმეგობრობდი ავღანელებთანაც): არა, საჭიროა ჯერ გვარდიაში. მოხალისეების რიგების შედგენა გვინდა, რომ ეს კონფლიქტური სიტუაციები უზენაესი საბჭის წინ რალაცნაირად გავაკონტროლოდ ამ გზით. მე მაშინვე დავთანხმდი და შედგა პირველი ასეული. გვარდიის რიგებში რატომღაც გავგანწევრიანეს, დროებით ხდებოდა ეს ამბავი.

ნათელა ვაჩნაძე: აბა სად უნდა განწევრიანებულიყავით სამხედრო პირი, თუ არა გვარდიაში?

ნემო ქანტურია: მე მინდოდა საზღვაო ფლოტში. მაშინ იყო ისეთი დუღილი ამ მიტინგების, რომ, ეტყობა, მართლაც ვერ მოიცალეს და ის მთხოვეს მე, რაც მიაჩნდათ საჭიროებად და მე დავემორჩილე ამ საქმეს. შევეგროვდით 130 კაცი. მხატვრის სახლში დაგვაბანაკეს და ვაკეთებდით ჩვენს საქმეს. მიტინგი როცა დგებოდა, აქეთ ხელისუფლების მომხრეები და იქეთ ე. წ. კონგრესის ხალხი, მაგრამ ორივენი ქართველი ხალხი... მე ასე მჯერა და მწამს, რომ ესენი იყვნენ ძალიან გზასაცდენილი, ძალიან... არ ვიცი როგორ ვთქვა, მაგრამ მეცოდებიან მე ისინი, ძალიან მეცოდებიან, ხო ჩანს, როგორ მოხდა ეს, დღევანდელი გადასახედიდან და მაშინაც ესეთი აზრი მქონდა და იმიტომაც ვიდექი აქ. ზოგიერთი ოპოზიციონერი, რომელიც მიცნობდა, მეუბნებოდა, მოდი აქ ჩვენთან, მაგრამ მე არ მივდიოდი, იმიტომ, რომ უკვე დავრწმუნდი, სადაც იყო სიმართლე და ვიდექი იქ. ჩვენს მოვალეობას რა წარმოადგენდა, რომ შუაში ვყოფილიყავით, რომ ერთმანეთი... თუ არ ვცდები, ეს პრეზიდენტისაგან მოდიოდა, როგორც უმაღლესი მთავარსარდლისაგან. ვაკონტროლებდით, რალაც კონფლიქტური სიტუაციები რომ არ მომხდარიყო, ვინმეს ვინმე რომ არ დაეჩაგრა. თუნდა 4 ნოემბრის ამბავი მაშინდელი 91 წლისა, ჩემი თვალით ვნახე ვინ ისროდა.

ნათელა ვაჩნაძე: რა ხდებოდა 4 ნოემბერს? ეხლა არ მაგონდება.

ნემო ქანტურია: რა იყო და პირველი გასროლა, რომელიც უზენაესის მიმართულებით მოხდა. თეთრპლაშიანი ახალგაზრდა კაცი, დღეს რომ ვნახო, დღესაც ვიცნობ, მგონია... პირველი გასროლა მოხდა უზენაე-

სის მიმართულებით.

ნათელა ვაჩნაძე: სად იდგა ეს კაცი?

ნემო ჭანტურია: კავშირგაბმულობის სახლი რომ არის, იქ იდგა, იმ ადგილებში და იქიდან მოხდა გასროლა. წამოვიდა ეს ტალღა ოპოზიციისა და ჩვენ შიგნით შევედით, უზენაესში, იმიტომ, რომ ჩვენ იარაღები არ გაგვაჩნდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ სად იდევით?

ნემო ჭანტურია: ვიდევით უზენაესი საბჭოს წინ, მოედანზე ვიდევით.

ნათელა ვაჩნაძე: იცავდით.

ნემო ჭანტურია: ცარიელი ხელებით ვიდევით, მკერდებზეშვერილები.

ნათელა ვაჩნაძე: იარაღი არ გქონდათ?

ნემო ჭანტურია: იარაღი არც ერთს არ გაგვაჩნდა მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: აბა რა დაცვა იყავით?

ნემო ჭანტურია: ესე უნდა ყოფილიყო და მე მგონი, სწორიც იყო მაშინ. სხვანაირად არც შეიძლებოდა, იმიტომ, რომ ჩვენ...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ჩამოგართვათ იარაღი?

ნემო ჭანტურია: ჩამოგვართვა კი არა, საერთოდ არ გვექონია. ჩვენ ვიყავით მოხალისეთა რაზმი და ვაკეთებდით იმ საქმეს რასაც დაგვავალებდა... ესეთი ორგანო იყო მაშინ ჩამოყალიბებული მაკონტროლებელი: რაღაც კომიტეტი იყო, პირველ სართულზე განლაგებული, რომელიც ხელმძღვანელობდა, რომ წესრიგში ყოფილიყო...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო იმისი ხელმძღვანელი?

ნემო ჭანტურია: აღარ მახსოვს. ...საქმე იმაშია, რომ ჩვენ როცა შიგნით შევედით, ატყდა კიდევ მეტი სროლა. ჩვენ გვეგონა, რომ ეს დროებითი იყო. წამოვიდოდნენ, მაგრამ ისევ წავიდოდნენ უკან, რადგანაც... მაშინ ხელისუფლების მომხრეები ცოტა იდგა ხალხი. საქმე იმაშია, რომ მერე მოვარდებოდა ეს ხალხი. ჩვენ ვიცოდით ეს ტენდენცია, რომ ასე მოხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ შეატყობინებდით იმ ხალხს, ტელევიზიით?

ნემო ჭანტურია: მაშინ ეს ხდებოდა ესე.

ნათელა ვაჩნაძე: გამოვიდოდა ბატონი ზვიადი და მოიხმობდა ხალხს?

ნემო ჭანტურია: არა მართო. მე მინახავს, რომ ზვიადი არ გამოდიოდა, მაგრამ ხალხი იდგა იქ, ძალიან ბევრი იყო ხალხი, 200 ათას კაცამდე იყო. ზვიადი გამოდიოდა მიტინგზე, რა თქმა უნდა და ეს უფრო მეტ აღფრთოვანებას იწვევდა. და იმ საღამოსაც მოხდა ესეთი რაღაცა. უცბათ შეიყარა ეს ხალხი და მასა, რომელიც იყო ხელისუფლების მომხრე, მიანვა ამ ტალღას. ისინი იქიდან ისროდნენ. სიკვდილი არ მომხდარა, დაჭრა არ ვიცი, ფაქტი არა მაქვს და ვერ ვიტყვი. საქმე იმაშია, რომ გაიქცნენ ისინი. მე, იმის შიშით, რომ იქიდან ისევ სროლა მოხდებოდა და ეს ხალხი არ გაეჭყლიტა, ამ ყვირილიში ხმა ჩამეხლიჩა. ის ხალხი, რომელიც ჩემთან იყო და ეს საქმე გაეკეთებინა, ხალხი შეეჩერებინა, ფიზიკურად ვერ შესძლებდნენ ამას. იმიტომ, რომ ეს ხალხი გარბოდა

უკვე. მე ვამბობ აქ ხელის კვრაზე, თორემ იარაღის ხმარება არ იყო ხელისუფლების მომხრეების მხრიდან. ხალხი იმელის შენობამდე ჩავიდა და თანდათან დაწყნარდა მერე ხვეწნა-მუდართით, რომ არ გინდათ. იმიტომ, რომ უფრო გაღიზიანდებიან და მომინია ხალხის დაშოშმინება და გაჩერდა ხალხი. სექტემბერში იყო ბარიკადები, თუმცა იქიდან ქვეების სროლა იყო, წყლის ჭავლი, საიდან მოიყვანეს ეს ტექნიკა, ბენზინის ბოთლები, რატომ უნდოდათ, არ ვიცი. როგორ შეიძლებოდა ეს ქართველს გაეკეთებინა, წარმოდგენაც არ მქონდა. მაგრამ მოხდა ის, რაც მოსახდენია. ხალხმა გადასძალა, ისინი გაიქცნენ. ნაწილი შევიდა მაშინ იმელის შენობაში და განთავისუფლა იქაურობა და გაინმინდა. დაიკავა ხალხმა ეს ადგილი. შემდგომში სულ ესე ხდებოდა წარამანარა. მე მახსოვს კიდევ, უზენაესი საბჭოს წევრებმა მოაწყვეს მიტინგი. მე იმდენი ხალხი არ მინახავს რუსთაველზე, როდესაც უკვე აფხაზეთიდანაც შეიკრიბა ხალხი. ეს მასა თავისუფლების მოედნიდან უნივერსიტეტამდე გაიშალა, იმდენი ხალხი იყო. ოპოზიციის წარმომადგენლები არ ჩანან, მაგრამ ჟვანია ნახეს უნივერსიტეტში.

ნათელა ვაჩნაძე: ჟვანია თანამშრომელი იყო უნივერსიტეტის.

ნემო ჭანტურია: არა, უზენაესი საბჭოს წევრი იყო, მაგრამ ოპოზიციაში იყო და თან თანამშრომელიც იყო, კი. ამ დროს მოხდა მაგისი გამოყვანა. ყოველთვის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ექსცენტრულ მომენტებს გამოავლენდნენ ხოლმე. მიესია ეს ხალხი ჟვანიას და მომინია მისი დაცვა და მიკროფონამდე მოყვანა. როგორია, საკუთარ ხალხს წინააღმდეგობა გაუწიო, მაგრამ მომინია ამის გაკეთება და გავაკეთეთ ეს, მადლობა ღმერთს. მივიდა მიკროფონამდე და ასე გამოაცხადა, კარგად მახსოვს მაგისი სიტყვები, რომ მოგესალმებით ოპოზიციის სახელით. თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხმა ტაში დაუკრა. ამით განეიტრაღდა ყველაფერი და მორჩა დაპირისპირება. ხალხი იყო ძალიან გაბრაზებული, მაგრამ ძალიან მიმტყვებელი იყო. რა არ შეეძლო ამხელა მასას, მაგრამ არ ხდებოდა ძალადობა ხელისუფლების მომხრეების მხრიდან, მე გაოცებული ვარ. მე გაოცებულივარ თუნდაც იმით, რომ როცა მივიხედ-მოვიხედე, სიგარეტის ნამწვავი რომ ვერ ვნახე, ჯიბეში იდებდნენ, არც ეწეოდნენ. აი ასეთი მომენტები იყო, რომ დღესაც განმანყოფს, რომ მაშინ მართლა საოცარი რაღაცა ხდებოდა. ის ხდებოდა, რისი ღირსიც იყო საქართველო სინამდვილეში. ეს ხდებოდა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ირგვლივ კონსოლიდაციით, თორემ ერთი რომ ეთქვა, ვინმეს, მიდით, მოხდებოდა უბედურება. ფილარმონიის შენობასთან დგანან და იქით არ წავიდეთო. ე. ი. იმათ არ ვაწყენინოთო, კიდევ კომპრომისზე წავიდეთო და მერე ეს მასა დაიშალა, უკან დაბრუნდა. ჩატარდა მიტინგი, ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ ასე არ გვინდა, ქართველები არიან მაინც, გონს მოვლენ. გაიგებენ და ა. შ. და ა. შ. და მოხდა ამ უზარმაზარი მასის დაშლა. ვინ აკეთებდა ამას? ისევ ხელისუფლება აკეთებდა ამას. განა

ესეც ინტერესი არ იყო ქართველი ხალხის სახელით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე... მერე მესმის სულ ღალატი, ღალატი, ღალატი და ვერ ვგებულობდი. სულ ვეძებდი, მარცვალ მენახა მაინც, რაში მდგომარეობდა ეს ღალატი.

ნათელა ვაჩნაძე: ყველამ უღალატაო, მე მითხრა ბატონმა სიგუამ. შინაგან საქმეთა მინისტრიდან მოყოლებული, ყველა განუდგაო და ახლა ეძებთ მიზეზიო.

ნემო ჭანტურია: მე ერთმა ძვირფასმა ადამიანმა მითხრა, შუახნის კაცმა: შენ იცი, ნემო, რა არ აპატიეს ზვიადსო? ის, რომ ის ერთი თავით კი არა, სამი თავით მაღლა იდგა სხვებზეო. ნეტავი მას, ვისაც ზვიადისთვის თვალეში ჩაუხედია, ნეტავი მას, ვისაც ზვიადი უნახავს იმ მომენტში, როდესაც ის იყო დამნუხრებული. არადა, კარგად ვიცოდი, რა მდგომარეობაში იყო. აი თუნდაც ერთი ჩემთვის საყვარელი მომენტი, რომელიც კარგად გამიხსენებია პატრიარქთან დამოკიდებულებაში... აი ასეთი მომენტი იყო, რომელსაც მე პირადად შევესწარი. ქალების ჯგუფმა რომელიღაცამ გადაწყვიტაო, რომ წავიდეს პატრიარქთან და შუაში ჩადგესო, რაღაცა მოთხოვნილებები წაეყენებინათ პატრიარქისთვის. მე ჩემი ხალხით... იმდენად კარგად არ ვიცნობდი მე მაშინ თბილისს. რაც ვიცოდი, ვიცოდი, მაგრამ იმდენი კი არ ვიცოდი, რომ საპატრიარქომდე ჩქარა მიმეღწია. ჩვენ არ გვქონდა სატრანსპორტო საშუალებები და სამოქალაქო ტანსაცმელში გავიქეციით რამოდენიმე კაცი, ვინც იქ მყავდა ახლოს. ჩვენ მივედით იმ დროს, როცა ეს ქალები უკვე უკან ბრუნდებიან და ზარებს რეკავენ საპატრიარქოში. იქიდან გამოდიან, რომ ასე არ უნდა ყოფილიყო, ასე უნდა ყოფილიყო და არ გვისმენენ... მორჩა ეს სიტუაცია იმ დღეს, მილაგდა, ღამდება. ამ დროს მე ვარ შიგნით, სადაც აუზია უზენაეს საბჭოში და კუთხეში ვდგევარ. ამ დროს გამოდის ზვიადი. აქ დგანან პიროვნებები. მე ყველას არ ვიცნობდი, ძალიან მცირეს ვიცნობდი. უცბათ წამოვიდა ვიღაცა ახალგაზრდა გვერდითა კარებიდან და ზვიადი, ეტყობა, იცნობდა მაგას და გაჩერდა. ეს ახალგაზრდა კაცი ზვიადს უყვება იმ ისტორიას, რასაც მე მივუსწარი ბოლოს. ზვიადის სახე მახსოვს მე მონყენილი და კიდევ ზვიადი მახსოვს ეგეთი, როცა მერაბ კოსტავა გარდაიცვალა. მახსოვს მისი ჩალაპარაკება: როგორ შეიძლებოდა, კაცო, ის ხომ საქართველოს პატრიარქია. მე ყველას ვეუბნებოდი მიტინგებზე ექსორიის მერე, დასავლეთში რა მიტინგებიც იყო, ასე თქვა ზვიადმა და ასე გააკეთეთ თქვენც. ეს მოდიოდა ზვიადისგან. პატრიარქს მე არასოდეს არ ვიცნობდი და არც ურთიერთობა მქონია, მაგრამ ეს იყო ფაქტი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბევრი გამიგია, რომ ზვიადი უკმაყოფილოა პატრიარქით, რომ განწყობაც პატრიარქის მხრიდან არ არის დადებითი ზვიადის მიმართ, მაგრამ არ ვიცი, არც მჯერა, იმიტომ, რომ ის სახე, რაც მე ვნახე, სულ სხვას ლაპარაკობდა. ეს ჩამრჩა და მაღლობა ღმერთს, რომ ბერამდე ხმა მივანვდინე და რას აკეთებდნენ შემდგომში

და რას აკეთებდნენ, მე ეს არ ვიცი, მაგრამ ასე იყო. ამ უდიდეს ადამიანს უყვარდა თავისი სულიერი მამა და პატივს სცემდა მას. საქართველოს მას უყვარდა და განა შეიძლებოდა პატრიარქი არ ჰყვარებოდა, მე ვერ წარმომიდგენია. შემდგომში ბევრი რაღაცეები ხდებოდა. ხალხის განწყობა – ეს იყო ჩემთვის გადამწყვეტი, რომ ეს არის სიმართლე, რომ აქ არის ყველაფერი კარგი. და რა მახსოვს, იცით? აი ბუნკერს რომ ეძახიან, არადა, ის სასაფლაოდ მახსოვს მე. რატომ მოხდა ასეთი სახელის შერქმევა, მე არ ვიცი.



## შოთა გორგოძე

14 აგვისტო, 2007 წელი

ნათელა ვაჩნაძე: დღევანდელი ქართული საზოგადოება თქვენ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად გიცნობთ, მაგრამ ჩვენ ვაკეთებთ დოკუმენტების კრებულს ერთ ტომად. ვაკეთებთ ამავე დროს მონოგრაფიულ გამოკვლევას საქართველოში მომხდარი გადატრიალების შესახებ. ამიტომ მომავალი თაობებისათვის რომ იყოს ნათელი, ცოტა რამ გვიამბეთ თქვენს შესახებ, რასაც თქვენ მიიჩნევთ საჭიროდ.

შოთა გორგოძე: მე არ ველოდებოდი ამ შეკითხვას. მე ისეთი პიროვნება არა ვარ, რომ ისტორიაში შევიდე.

ნათელა ვაჩნაძე: ეს თქვენ გგონიათ, რომ არა ხართ. თქვენ ისტორიაში ისედაც შესული ხართ უკვე, მაგრამ მე მინდა, რომ თქვენ ჩვენს წიგნში შეხვიდეთ.

შოთა გორგოძე: შემიძლია მოგახსენოთ, რომ დავიბადე 1932 წელს 10 ნოემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემში, პოლიციის დღეს, სხვათა შორის, მაშინდელი მილიციის დღეს. მამაჩემის დიდი სურვილი იყო, ინჟინერი გამოვსულიყავი, დედას უფრო პედაგოგად ვუნდოდი, მაგრამ მაინც მამის სურვილმა გადასძლია. იყო მძიმე წლები, იყო კოლექტივიზაციის პერიოდი, უჭირდა გლეხობას. ხუთი და-ძმანი ვიყავით. მერე დაიწყო დიდი სამამულო ომი, მამა მობილიზებული იქნა ომში და ჩვენ ამოვუდექით დედას მხარში. მერე ომიც დამთავრდა. ძალიან მძიმე წლები გამოვიარეთ ჩვენმა თაობამ, მაგრამ სამაგიეროდ ჩამოვყალიბდით როგორც მშრომელი ადამიანები. დავამთავრე ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხის – აბაშიძეების და დეკანოსიძეების სოფელს ეძახიან – საშუალო სკოლა. ჩვენდა საბედნიეროდ მამა დაბრუნდა ფრონტიდან. მას უნდოდა, ინჟინერი გამოვსულიყავი და ჩამომიყვანა თბილისში. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, ერთ-ერთი წარჩინებული მოწაფე ვიყავი. ძალიან მიყვარდა მათემატიკა, ფიზიკა, ქართული ლიტერატურა, რუსული. მაშინ პლენხანოვზე იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის ინსტიტუტი და იქ ჩავაბარე. დავამთავრე ინსტიტუტი და გამანაწილეს რუსეთში, ვიმუშავე სხვადასხვა ქალაქებში, სხვადასხვა თანამდებობებზე. შემდეგ ჩამოვედი საქართველოში და ვმუშაობდი ქარხანაში. რაიკომში გვეძახდნენ ხოლმე ახალგაზრდა ინჟინერს სხვადასხვა საკითხების დასამუშავებლად და პირველი მაისის რაიკომში იყო მაშინ ედუარდ შევარდნაძე რაიკომის მდივანი. სჭირდებოდათ წარმოებაში საკითხების შესწავლა და რამდენიმე ახალგაზრდა ინჟინერი აგვიყვანეს შტატგარეშე ინსტრუქტორებად. ვსწავლობდი სამშენებლო საკითხებს, წარმოების საკითხებს და ვანვდიდით ბიურო-

სათვის მოსამზადებლად. მაშინ შევხვდით და გავიცანით შევარდნაძე. ნათელა ვაჩნაძე: როგორ მოხვდით ორგანოებში?

შოთა გორგოძე: მაშინ იყო გამოცხადებული ახალგაზრდა ინჟინრებს შორის კონკურსი საბჭოთა კავშირის ხაზით კარგ გამოგონებაზე. მე ამ კონკურსში გავიმარჯვე და გამარჯვების დიპლომი, საჩუქრები და ფულადი პრემია გადმოგვცა შევარდნაძემ. შემდეგ მან ოფიციალურად დააყენა საკითხი ჩემი პარტიულ სამუშაოზე გადაყვანის შესახებ წარმოებიდან. დამნიშნეს რაიკომის მრეწველობის განყოფილებაში 1963 წელს. შემდეგ შევარდნაძე გადაიყვანეს შინაგან საქმეთა მინისტრად და მან სთხოვა მყოფანაძე, მაშინდელ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მიენვიათ ახალგაზრდა კომუნისტები შინაგან საქმეთა ორგანოებში და მომხდარიყო წმენდა ძველი მუშაკებისა. მყოფანაძე, რა თქმა უნდა, დაეთანხმა და მათ შორის მეც ამ სიაში მოვყევი ალბათ შევარდნაძის ინიციატივით. ასე მიმინვიეს შინაგან საქმეთა ორგანოებში. მე არ ვიცოდი რა იყო და მითხრეს, უნდა წამოხვიდე ОБХС-ის უფროსის მოადგილედ. ОБХС არის Отдель борьбы с хищениями социалистической собственности и спекуляции. ქართულადაც ОБХС შერჩა. წინააღმდეგი ვიყავი, წავსულიყავი ორგანოებში სამუშაოდ, იმიტომ, რომ იურიდიული განათლება არ მქონდა, არც ვიცოდი ОБХС რას ნიშნავდა, რისთვის უნდა მემუშავა იქ და წინააღმდეგობა გავუნიე მაშინდელ საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ცეკაში — ეს დიდი თანამდებობა იყო მაშინ — მიშა გოგიჩაიშვილს...

ნათელა ვაჩნაძე: მერე თავი მოიკლა.

შოთა გორგოძე: თავი მოიკლა. გამომიძახეს და ვუთხარი, ვერ წამოვალ-მეთქი, ამხანაგო მიშა. ასე მივმართვდით მაშინ. რატომ ვერ წამოხვალ-ლო? მე ვუთხარი, მე არ მაქვს იურიდიული განათლება, საერთოდ არ ვიცნობ ამ დარგს და აზრი არა აქვს ჩემს იქ მუშაობას. თუ პარტიულ სამუშაოზე ზედმეტი ვარ, მე თანახმა ვარ, დავბრუნდე წარმოებაში, მიყვარს ჩემი სპეციალობა-მეთქი. გამიბრაზდა ძალიან, ეწყინა, როგორ ბედავ, რომ 2 წლით უარს ამბობ, რომ გაგიშვათ ორგანოებშიო. ამ დროს გაიღო კარები და შემოვიდა შევარდნაძე. ეგენი მეგობრობდნენ. რაშია საქმე, რას ხმაურობთო. ნახე, წინააღმდეგიაო. მერე მომიბრუნდა შევარდნაძე და მითხრა — მისი ისტორიული სიტყვებია, ალბათ დამიდასტურებს, რომ შეხვდეთ — მეც დიდი ხანი არ არის, შოთა, რაც ორგანოებში ვარ, მინისტრი ვარ, მაგრამ ჯერჯერობით მეც ტყემალზე ვზივარ და ამიტომო წამოდი და ერთად ვისწავლით მუშაობასო. მე ვიგრძენი, რომ წინააღმდეგობის განწევა ზედმეტი იყო, შეიძლება, დავესაჯე კიდეც, მაშინ პარტიულ მუშაობაში ასე იყო. გამიყვანეს ბიუროზე, დამამტკიცეს და მიმავლინეს შინაგან საქმეთა ორგანოებში რესპუბლიკის ОБХС-ის უფროსის მოადგილედ. უფროსი იყო პოლკოვნიკი ბონდარენკო, დამსახურებული პიროვნება, კარგი ქალაქელი კაცი. 2 წლის ვადა გავიდა, მაგრამ ვინღა გამიშვა უკან. ასე

შევრჩი საბოლოოდ. დაიწყო ბრძოლა შევარდნაძემ ე. წ. საქმოსნების წინააღმდეგ, ახლა რომ ბიზნესმენები ჰქვიათ. ესენი იყვნენ ლაზიშვილები, ბაბუნაშვილები, ჯავახიძეები და სხვა.

ნათელა ვაჩნაძე: ძმები ჯიბლაძეები არ იყვნენ პლესანოველები?

შოთა გორგოძე: იყვნენ, კი. დაიწყო ძალიან დიდი ბრძოლა. მე, როგორც ინჟინერს და წარმოების ხელმძღვანელს, მესმოდა წარმოება ძალიან კარგად და საბუღალტრო ანგარიშსა და ბალანსის შედგენას ვერ მომატყუილებდა, რაც არ უნდა „დელეჯი“ ყოფილიყო. ამიტომ შევარდნაძემ გადაწყვიტა ამ უბანზე ჩემი გაშვება. პარალელურად ჩამრიცხეს იურიდიულ ფაკულტეტზე, კაკო კარანაძე იყო მაშინ. კარანაძე პარტიული კომიტეტის მდივანი იყო, მერე გადმოიყვანეს ცეკაში. ესე შეგვიწყვეს ხელი და მივიღე იურიდიული განათლება. ჯერ ОБХС-ის განყოფილების უფროსის მოადგილე ვიყავი, მერე გავხდი ამ განყოფილების უფროსი, მერე სამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდეგ სამმართველოს უფროსი, შემდეგ მინისტრის მოადგილე და შემდეგ მინისტრი. ამას იმიტომ გიყვებით, რომ კადრებს ზრდიდნენ. ასე იყო, თუ ისე, მაინც პროფესიონალად ვთვლი ჩემს თავს. კომუნისტებს ეს ჰქონდათ ძალიან კარგი. გამოცდილებას რომ მიიღებდნენ, მერე უყურებდნენ მის ცენზს, უყურებდნენ მის საქმიანობას და ხარისხს და ამის მიხედვით აწინაურებდნენ. მე პრეტენზია არ მქონია მინისტრობაზე, არც ერთ თანამდებობაზე. ჩემი თხოვნა მუდამ იყო ხელმძღვანელობის მიმართ, რაც ჩქარა გამიშვებთ ორგანოდან, ვალში დამრჩებით-მეთქი, იმიტომ, რომ ვერ ვიტანდი, სიმართლე რომ გითხრათ, ვერ შევეგუე. ვერ შევეგუე სხვადასხვა მიზეზების გამო, რთული სამსახური იყო. როცა მინისტრად მიმიწვიეს, მაშინ კატეგორიული უარი განვაცხადე. ეს არის მწ წელი, პატიაშვილი მოვიდა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად, როცა შევარდნაძე გადაიყვანეს მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრად. გამომიძახეს და მითხრეს, რომ ნიკოლსკი — მეორე მდივანი იყო, მოსკოვის წარმომადგენელი — და პატიაშვილი გიბარებსო...

ნათელა ვაჩნაძე: ნიკოლსკი მერე ერთ-ერთი რაიკომის მდივანი იყო მოსკოვში.

შ. დ.: მოსკოვში იყო, დიახ. მერე მოსკოვის მთავრობის თავმჯდომარე იყო. ეხლაც მუშაობს იქ სადღაც, ვხვდებით ხოლმე, სხვათა შორის. ... ასე იყო, თუ ისე იყო, მოვხვდი მინისტრის პოსტზე. ერთი კვირა დავიმაღე, არ ვეკარებოდი ცენტრალურ კომიტეტს. მერე მაინც ჩემი ძმის საშუალებით მომძებნეს, მიმიყვანეს და როგორც იცოდნენ კომუნისტებმა, ტყავი გამაძრეს უდისციპლინოების გამო, რომ მე დავიმაღე, არ მივედი ბიუროზე და უარს ვაცხადებ ამ თანამდებობაზე. ცენტრალური კომიტეტის კაბინეტიდან მიკრეს თავი პირდაპირ მოსკოვში კოლეგიაზე. სხვანაირად არ ამტკიცებდნენ არა მარტო მინისტრებს, მინისტრების მოადგილეებსაც, სამმართველოს უფროსებსაც. ესეც

თავისებური დისციპლინა იყო. იქ ვერ მოხვდებოდა შემთხვევითი ადამიანი, ყველაფერს უყურებდნენ, წარმოშობით ვინა ხარ, ოჯახურ მდგომარეობას, სოციალურ მდგომარეობას, რა განათლება გაქვს, სად გიმუშავია, რა პრაქტიკა გაქვს გავლილი და ამის მიხედვით მერე აძლევდნენ თანხმობას. კადრები ირჩეოდა სწორად და ნამდვილად სამართლიანად. ფედარჩუკი იყო უკვე მაშინ მინისტრი, შროლოკოვი რომ გადადგა. შროლოკოვმა მერე თავი მოიკლა. ფედარჩუკთან რომ შემიყვანეს, მე განვაცხადე უარი. С желанием идете, молодой человек? Не как нет, მე ვუთხარი. А что это значит? Меня заставляют. А кто заставляет? Центральный комитет Компартии Грузии. Как можно заставить человека, если он не хочет. Нет, не хочу. А почему, по какой причине? У вас хорошее прохождение – ნაიკითხა ყველაფერი. Когда здесь сидят товарищи, которые мечтают о том что, когда прекроют эту большую шашличню, т. н. Грузию, я не хочу работать с этими товарищами. ეს მისი სიტყვები იყო და მოხვდა გულში მწარედ. თათბირზე უთქვამს ОБХС-ის მუშაკებისათვის – იქ ქართველებიც იყვნენ და მომიტანეს მე ეს ამბავი – Когда же вы прикроите большую шашличню. მერე წამოდგა ფეხზე, მომეფერა, დამანყნარა და ისე დამამტკიცა, არ გამიყვანა კოლეგიაზე. კოლეგიაზე იმიტომ არ გამიყვანა, იქ არ თქვას იგივეო. კოლეგიის წევრები, სხვათა შორის, მისი წინააღმდეგეები იყვნენ, ძალიან დიდი დაჯგუფებები ჰქონდათ და გამოიყენებდნენ ამას მის წინააღმდეგ. მაშინ ძალიან მძიმედ ჟღერდა, за разжигания межнациональной розни – ასეთი სტატია იყო, 12, 15 წლამდე დასჯას ითვალისწინებდა, თუ ძალიან მძიმე გარემოება იყო, შეიძლება დახვრეტაც ყოფილიყო. არ გამომივიდა და ასე შევრჩი მინისტრად. 21-ე მინისტრი ვიყავი ისტორიულად საბჭოთა ხელისუფლების პერიოდიდან. მინისტრი ვიყავი 1985-დან 1990 წლის ჩათვლით. ეს იყო უმძიმესი პერიოდი...

ნათელა ვაჩნაძე: მძიმე პერიოდი. 1988 წლის 12 ნოემბერი, ძალიან დიდი პირველი მიტინგი იპოდრომზე. 1990 წლის რა მომენტიდან აღარ ბრძანდებოდით მინისტრი?

შოთა გორგოძე: სექტემბრიდან. სანამ ჩატარდებოდა 28 ოქტომბრის არჩევნები, მანამდე გადავდექი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენს შემდეგ ვინ იყო მინისტრი?

შოთა გორგოძე: დილარ ხაბულიანი.

ნინო თომაძე: დილარ ხაბულიანი ზვიადმა დანიშნა მინისტრად და სექტემბერ-ოქტომბერში არავინ არ იყო მინისტრი?

შოთა გორგოძე: არავინ არ იყო.

ნინო თომაძე: ვინ ითავსებდა ამას?

შოთა გორგოძე: ჩემი პირველი მოადგილე შადური. ...ვიდრე მოხდებოდა შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზ და ქართველ და ოს და ქართველ ხალხს შორის, ამას წინ უძღოდა ძალიან მძიმე ოპერატიული და პოლიტიკური ვითარებები საქართველოში. მაშინ 1987 წლიდან, 88, 89

ნლებში თანდათან გაძლიერდა ეროვნული მოძრაობა საქართველოში. ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა თავისი პროგრამა, საქართველოს ერთიანობა მთლიანად შენარჩუნებულიყო, მაგრამ კინოს სახლთან გრანდიოზულ მიტინგზე 1989 წლის დასაწყისში, ეს იყო, თუ არა ვცდები, იანვარი ან თებერვალი, ითქვა ასეთი დევიზი – „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის“. ეს არ უნდა თქმულიყო, მე ამის წინააღდეგი ვიყავი. მაშინ ყველა ერთად იყო, დაყოფილი არ იყვნენ: კოსტავა, გამსახურდია, წერეთელი, ბათიაშვილი და ჩხეიძე. ამან გამოიწვია ძალიან ცუდი რეაქცია ავტონომიურ რესპუბლიკებში. რა თქმა უნდა, ამისათვის ისინი უკვე წინასწარ შემზადებულები იყვნენ, ძალიანაც არ ვეხატებოდით გულზე, მაგრამ ბიძგი მისცა ამან...

ნათელა ვაჩნაძე: გახსოვთ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ძალიან დიდი თავყრილობა რომ იყო აფხაზეთში გუდაუთის რაიონში?

შოთა გორგოძე: ახლა მივალ იქამდე. ...და საპირისპიროდ აფხაზეთმა მოიწვიეს ე. წ. ლიხნის 1989 წლის 18 მარტის მიტინგი. მერე სხვადასხვა ქარხნებში იკრიბებოდნენ ჩვენები, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები და ეს შტრიხი – „საქართველო ქართველებისათვის“ – ყველა მიტინგზე ჟღერდა არა მარტო ლიდერებისაგან, არამედ რიგითი გამომსვლელებისაგანაც. ამან ჩვენ დაგვლუპა, ასეთმა დამოკიდებულებამ.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ეს ლოზუნგი ჩემთვის მიუღებელი იყო.

შოთა გორგოძე: ჩემთვის მიუღებელი იყო და თუ რატომ, ამასაც დაგისაბუთებთ.

ნათელა ვაჩნაძე: საქართველო მრავალეროვანია და იმიტომ.

შოთა გორგოძე: მრავალეროვანი იყო და მერე... დავბრუნდები, ჯერ აფხაზეთზე გეტყვით. აფხაზეთში ჩაატარეს საპასუხო მიტინგი 1989 წლის 18 მარტს ლიხნში და იქ მიიღეს დადგენილება, რომ გამოეყოს საქართველოს აფხაზეთი და შეიქმნას დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ამას სათავეში ჩაუდგნენ ოზგანი, კობახია, ქეიბა და სხვები. ადლები იყო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს იყო ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი.

ნათელა ვაჩნაძე: ადლები, მე როგორც შემომჩნევია და გამიგია კიდევ, პროქართული ორიენტაციის იყო, ოჩამჩირელი კაცი იყო, დედით ქართველი.

შოთა გორგოძე: სწორი ბრძანდებით. ის იყო პატიოსანი კაცი, ერთადერთი აფხაზი, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა ჩვენთან. დანარჩენ აფხაზებს რცხვენოდათ, რომ ქართულად ელაპარაკათ. მაგრამ რა მოხდა, იცით? ხალხმაც იმიტომ... მოხდა ის, რომ კომუნიტური საზოგადოებრივი ნყობა, მაშინდელი ცენტრალური კომიტეტი, ხელმძღვანელობა ნელ-ნელა წავიდა ხელიდან. რა მაქვს მხედველობაში, იცით? შემოკრიბეს „კომსომოლები“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის

აპარატებში ხელმძღვანელებად, რაიკომის მდივნებად, აღმასკომის თავმჯდომარეებად, გოგო-ბიჭები, ძალიან ახალგაზრდები, გამოუცდელები და ხალხში ავტორიტეტი დაკარგა. არ მინდა კონკრეტულად ვთქვა... მახსოვს, ერთი ახალგაზრდა კაცი მიავლინეს ბორჯომში რაიკომის მდივნად ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისელი კაცი. ჩავიდა იქ და ბიუროზე მსჯელობა არის – მსხვილფეხა საქონელი, წვრილფეხა საქონელი, მშრალი საქონელი, ბერნი საქონელი, ეს ტერმინოლოგია სოფლის მეურნეობის არ იცოდა, გაგიჟდა და ძმაკაცს დაურეკა, ჩამოდი, თუ ძმა ხარ, მომეშველე, ვერაფერი ვერ გამიგია, რას ლაპარაკობენო. ესეთი კადრები რომ მოიყვანეს, ეს შევარდნაძის ბრალია, სხვათა შორის, შევარდნაძემ დაიწყო ასეთი კადრების შერჩევა. მუჟანაძის კადრები რომ განდევნა, მაშინ დაიწყო გადაგვარება. ბევრმა მათგანმა ვერ გაამართლა და არც იცოდა მუშაობა, როგორც ეხლა არიან. ხოდა, ასეთმა დამოკიდებულებამ ხალხს შეაჯავრა კომუნისტური პარტია და ნყოფა და უმრავლესობა გადავიდა ეროვნული მოძრაობის მხარეზე. ამას არ ელოდებოდნენ, რა თქმა უნდა, ელოდებოდნენ უფრო ალბათ კარგ ცხოვრებას, უფრო უკეთესს, თავისუფლებას, ნამდვილ თავისუფლებას, რასაც ქადაგებდნენ, მაგრამ ესე არ გამოვიდა, სამწუხაროდ. ამიტომ ეროვნული მოძრაობა გაიზარდა და უმეტესობა ხალხის და ხელმძღვანელი აპარატის მუშაკების გაჰყვნენ ამ ეროვნულ მოძრაობას. მათ შორის, არ დაგიმაღავთ, ჩვენც აღარაფერი გვაკლდა, რომ იმათ მხარეზე გადავსულიყავით. 9 აპრილი თავისთავად ამისი გამოვლინება იყო, რომ მთელი მილიცია იძულებული იყო, გადავსულიყავით მომიტინგეების მხარეზე. ამიტომ გაძლიერდა ეროვნული მოძრაობა და – ადლებაზე ვლაპარაკობდით – ნოლამდე დავიდა ადლებას ავტორიტეტი. იმიტომ, რომ რაც კი შემოსავლიანი წარმოებები იყო აფხაზეთში – ხორცკომბინატები, სატყეო კომბინატი, ცეკავშირის კომბინატი, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, სულ ნათესავები დანიშნა იქ ხელმძღვანელებად და დირექტორებად.

ნათელა ვაჩნაძე: აფხაზები?

შოთა გორგოძე: აფხაზები და ზოგიერთი ქართველიც იყო, მაგრამ უმეტესობა აფხაზები დანიშნა.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ აფხაზები რატომ იქნებოდნენ ადლებას წინააღმდეგი?

შოთა გორგოძე: იმიტომ, რომ ყველას ხომ ვერ დანიშნავდა. ვინც ვერ დანიშნა, ის ჩადგა ოპოზიციაში.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი სიტყვით, დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული.

შოთა გორგოძე: ყველაფერი ფულზეა, დიახ. ეს მერე გამოიყენა ადლებამ, რომ საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ ინერებოდა დადგენილება და პირველმა მოაწერა ხელი გამოყოფაზე. ეს იყო ყოვლად მიუღებელი რამ. ამით მან ხალხის გული მოიგო, უფრო

სწორედ, მოატყუა მისივე ხალხი, აფხაზი ხალხი – აი, მე თქვენთან ვარ და საქართველოდან გამოყოფას მე ჩავუდგები სათავეში. ეს არის 1989 წლის 18 მარტი.

ნათელა ვაჩნაძე: ოზგანის გარდა, კიდევ ვინ იყო იქ ლიდერი?

შოთა გორგოძე: კობახია იყო...

ნათელა ვაჩნაძე: დიმიტრი გულიას ვაჟი, გიორგი გულიაც ხომ არ მონაწილეობდა?

შოთა გორგოძე: მონაწილეობდა, მაგრამ წამყვანი ფიგურა არ იყო. ...კეხეიბა იყო იდეოლოგი, ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, ბზიფის ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორი იყო კიდევ ერთ-ერთი ძალიან დიდი, თუ შეიძლება ითქვას, ნაცისტი. ვერ იტანდა ქართველებს და ქართველების მტერი იყო. ის მერე დავაპატიმრეთ. ასე წარიმართა ეს მიტინგი და მიიღეს დადგენილება, საქართველოდან გამოყოფის შესახებ. ამან, რა თქმა უნდა, დაძაბა საქართველოში ოპერატიული ვითარება. ეხლა მანამდე რა მოხდა. 9 აპრილამდე მოხდა 1 აპრილი. 1 აპრილს, 2 კვირის შემდეგ, აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა – აფხაზეთში 300 ათასი ქართველი ცხოვრობდა და 80 ათასი აფხაზი – გადანყვიტეს საპასუხო მიტინგის ჩატარება ლესელიძეში. ამ მიტინგს ჩაუდგნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები სათავეში, მაგრამ რადგან ძალიან დიდი დაძაბულობა იგრძნობოდა, მე იძულებული ვიყავი, მივავლინე წინასწარ ჩემი პირველი მოადგილე შადური, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურის მთელი უფროსობა, რომ რაიმე შეხლა-შემოხლას ამ მიტინგზე აფხაზებსა და ქართველებს შორის ადგილი არ ჰქონოდა, იმიტომ, რომ დაპირისპირება თანდათან უკვე ძლიერდებოდა. ასეთ სიტუაციაში ვართ 1 აპრილს, მიტინგი მიმდინარეობას, რა თქმა უნდა, ჩვენ გვანვდიან ინფორმაციას ყოველ წუთში, ვინ გამოდის, რა სიტყვებით... აკრძალული გვექონდა იმათთვის, რომ თუ პატრიოტი ქართველები ხართ, არ აგინოთ აფხაზებს, ძმობასა და მეგობრობაზე ილაპარაკეთ, როცა აფხაზს შეეხება, ხოლო რა პრეტენზიებიც გაქვთ მთავრობაზე, გამოდით და ღიად თქვით, მხოლოდ ეროვნულ საკითხს ნუ შეეხებით, როგორც ყველაზე მძაფრ და მტკივნეულ საკითხს. დამიჯერეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი სიტყვა არ თქმულა იქ აფხაზების წინააღმდეგ, ძმობასა და მეგობრობაზე იყო მხოლოდ ლოზუნგები. ამ პერიოდში კონსტანტინე ოზგანი იყო გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი. მან გაუკეთა ორგანიზება „ბოევიკებს“, გუდაუთელ აფხაზ ბიჭებს, ჩაიყვანა იქ და დაარბია ეს მიტინგი. მაშინ, როდესაც 18 მარტს ლიხნში ქართველებს არ დაურბევიათ აფხაზები. ეს ძალიან ცუდი გამოვლინება იყო. ეს იყო ზუსტად ის разжигание межнациональной розни, ეს მუხლი, რომელიც ჩვენ კიდევ ხელში გვექონდა მაშინ, ზუსტად მიუდგებოდა ოზგანს. სისხლის სამართლის კოდექსში 273-ე მუხლი იყო, რომელიც ითვალისწინებდა დაპატიმრებას ძალიან ხანგრძლივი დროით და უკიდურეს შემთხვევაში, თუ მოჰყვებოდა ამას ძალიან

მძიმე შედეგები, დახვრეტასაც ითვალისწინებდა.

ნათელა ვაჩნაძე: დააპატიმრეთ ოზგანი?

შოთა გორგოძე: არა. ასე დაიწყო დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის.

ნათელა ვაჩნაძე: თუმცა ათეული წლების მანძილზე დაპირისპირება მაინც არსებობდა. მე მახსოვს ბიჭვინთა, მე მახსოვს გაგრა, განსაკუთრებით ბიჭვინთა.

შოთა გორგოძე: სულ არსებობდა. მადულარა ქვაბში რომ რაღაც დულს, დულს და მერე ერთბაშად აფეთქდება, ისე მოხდა.

ნათელა ვაჩნაძე: დანებით დაჭრები გახსოვთ ახალგაზრდა ყმანვილების, რომლებიც დასასვენებლად იყვნენ თბილისიდან ბიჭვინთაში?

შოთა გორგოძე: დიახ. თქვენ გახსოვთ ალბათ ნესტორ ლაკობა, რომ დააპატიმრა ბერიამ, იმ პერიოდიდან არსებობდა.

ნათელა ვაჩნაძე: საშინელ ინტერვიუებს იძლეოდა მისი შვილი.

შოთა გორგოძე: ლაკობა იყო ქართველების მტერი და სწორედ მოიქცნენ, რომ დააპატიმრეს, სტალინის და ბერიას პოლიტიკა იყო სწორი მაშინ მათ მიმართ.

ნათელა ვაჩნაძე: არის საწინააღმდეგო აზრიც.

შოთა გორგოძე: მე ასე ვფიქრობ, იმიტომ, რომ იგივე უნდოდათ, რაც გააკეთეს ეხლა აფხაზებმა. ლაკობა ლიდერი იყო და მოუწოდებდა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფაზე. ეხლა ვინც წამოიწყო ეს, არძინბამ და მისმა დამქაშებმა, არ იყო დასაპატიმრებელი? არ უნდა დაეპატიმრებინათ, ამათ რომ ძალა ჰყოფნოდათ, ან გამოცდილება? უნდა დაეპატიმრებინათ და დამთავრებოდა მთელი ბაზარი.

ნათელა ვაჩნაძე: არძინბას სადოქტორო ხარისხი მივანიჭეთ აქ ისტორიის ინსტიტუტში. მე არ ვიყავი ამ საბჭოს წევრი, მაგრამ... ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მიანიჭა მას დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მოსკოვში არ აძლევდნენ გაქანებას.

შოთა გორგოძე: ...დაარბიეს ქართველების მიტინგი აფხაზებმა და ამას მოჰყვა ძალიან დიდი დაძაბულობა. ამის მიტოვება და რეაგირების გარეშე დატოვება ხელმძღვანელობისაგან აღარ შეიძლებოდა. ამ პერიოდში ცენტრალური კომიტეტის პირველი დივანი გახლდათ ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი. მე დაფურეკე და ვუთხარი: რადგან ეს ამბავი მოხდა, მე აღარ მაქვს უფლება, აქ ადგილზე ვიყო, უნდა გავფრინდე, ჩავიყვანო ხალხი, მივიღო ყველა ზომები და დავაპატიმრო ის ადამიანები, ვინც ეს ჩაიდინეს აფხაზეთში. მომიწონა წინადადება, რა უნდა ეთქვა აბა სხვა და გადავწყვიტეთ, რომ წავსულიყავით. წინასწარ გავუშვი ოპერატიული ჯგუფები, 1-ში ლამით გავუშვი და მეორე დღეს მე უნდა გავფრენილიყავი სპეცრეისით და წამეყვანა კიდევ გარკვეული ჯგუფები გამომძიებლებისა. მეორე დღით 10 საათზე უკვე გამზადებული იყო თვითმფრინავი აეროპორტში და მირეკავს პატიაშვილი და მეუბნება: რომ მიდიხარო, აქ მიტინგს აპირებენ ზვიადისტი-

ბი დღესო და შემოგვესევიანო და აქ ვინ იქნებაო, შადურიც იქ არის და აქ არავინ პატრონი არ არისო და იქნებ გადადოო. მე ვუთხარი, ამ საკითხის გადადება აღარ შეიძლება-მეთქი და თუ უფლებას მომცემთ, მე შევხვდები ზვიადს და ავუხსნი, რაზე მივდივარ, რისთვის მივდივარ და თუ ის ამის წინააღმდეგი იქნება, კი, ბატონო, დავრჩები-მეთქი. კი, ბატონოო. მანამდე მე ზვიადთან შეხვედრილი არ ვიყავი, ვიცნობდი შორიდან, მაგრამ ერთი-ერთზე რომ გვესაუბრა, ეს არ ყოფილა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ შეხვდით ზვიადს?

შოთა გორგოძე: ასე მოხდა. მე რომ მოვახსენე ეს პატიაშვილს, დავბრუნდი კაბინეტში, დავავალე ჩვენს მუშაკებს – ეს იყო ტარიელ ვარდანაშვილი, ადრე კგბ-ში მუშაობდა, ის და მისი თანამშრომლები იცნობდნენ ახლოს მას – მოიწვიეთ ჩემთან, თუ იკადრებს, თუ არა და სადაც იტყვის, მე მივალ-მეთქი. არ გასულა ათი წუთი და მოვიდა ზვიადი ჩემთან კაბინეტში.

ნათელა ვაჩნაძე: არც ისეთი ქედმაღალი ყოფილა, როგორც ამბობენ, გენწი-ათ პირადად ფეხით.

შოთა გორგოძე: არა, ვაჟკაცურად მოვიდა. მომეწონა მისი საქციელი, დიდი სიმპათიები დამებადა მის მიმართ, როდესაც თვითონ მოვიდა. ჯერ მივულოცე დაბადების დღე, 31 მარტს იყო მისი დაბადების დღე, პატარა სუვერენიც ვაჩუქე, რაც მქონდა კაბინეტში, მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება მქონდა „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი“. მერე კონიაკით დავლოცე, სულ გვექონდა კაბინეტში სტუმრებისათვის და ასე შევხვდით ერთმანეთს, პირველი გაცნობა ასე შედგა ჩემი და ზვიადის. მერე ავუხსენი, რაც ხდებოდა აფხაზეთში და ვიციო, მითხრა.

ნათელა ვაჩნაძე: იმას თავისი ხალხი ჰყავდა, ყველაფერი იცოდა, აბსოლუტურად ყველაფერი.

შოთა გორგოძე: იცოდა, რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყო. მე ვუთხარი, მე მივდივარ-მეთქი, ხალხი გაგზავნილი მყავს და ნუ შემიშლით ხელს. თუ თქვენ აქ მიტინგობას დაიწყებთ, იძულებული ვიქნები, დავრჩე-მეთქი. მომეცით ათი დღე და ათ დღეში დავამყარებ წესრიგს, ამ ხალხს ავიყვან-მეთქი, ვინც მოთავეები იყვნენ დარბევების. გახსოვთ, სტუდენტებს ავტობუსში ქვები დაუშინეს, როცა ბრუნდებოდნენ ლესელიძიდან გუდაუთის ტერიტორიის გავლით. იქ დაახვდრეს „ბოევიკები“, დასცხეს, ავტობუსი დაამტვრიეს, წაართვეს. ესროლეს კიდევაც, მართალია, არავინ დაჭრილა. მერე მივიდნენ სოხუმის მილიციაში და ერთი ამბავი ატეხეს აფხაზეტმა. ამიტომ ამას ვერ ვპატიობთ-მეთქი, ეხლა რომ ვაპატიოთ, მერე უფრო შორს წავა, მე ვუთხარი.

ნათელა ვაჩნაძე: მკვლელობა მანდ არ მოხდა მაშინ?

შოთა გორგოძე: არა, მაშინ არა. ეს 14 ივლისს მოხდა, ცოტა ხნის შემდეგ. ...მომეცით ათი დღე, კოსტავა ხომ იქ არის-მეთქი. იქ იყო კოსტავა მაშინ. მერაბს დაუკავშირდი, კოსტავასთან მექნება მე კავშირი და ის გაცნობებს და თუ ათ დღეში მე ვერაფერი ვერ გავაკეთე, მერე თუ გინ-

და თავდაყირა დააყენე მთელი მთავრობა საქართველოსი-მეთქი, არ შეგიშლით ხელს, მეც თქვენს გვერდში დავდგები. ეხლა ამის პატიება არ შეიძლება და მივდივარ-მეთქი. ასნია ხელები, ჩვენც ეს გვინდა, თუ ამას გააკეთებთ, ბატონო შოთაო და გავიდა და ხუთ წუთში დაშალა მიტინგი. წავედი და გავფრინდი აფხაზეთში. ჩავედი აფხაზეთში და მივედი ადლებასთან. ახლოს ვიცნობდი, სხვათა შორის, როგორც კაცი, როგორც მეგობარი პატივს ვცემდით ერთმანეთს. მე ვუთხარი: Борис Викторович, я приехал для того, что или я должен тебя арестовать, или должен уходить на пенсию. Я на все готово, митხრა, только сейчас помощи, Шота дорогой, как нибудь. იქ ხალხია შეკრებილიო და ანგრევენ ყველაფერს სუბტროპიკულ ინსტიტუტშიო. იქნებ ახვიდე და ის მიტინგი დამიშალოო და მე მზად ვარ, როცა მეტყვი, დავწერ განცხადებას და წავალო, სიტყვა მომცა კაცური. კარგი-მეთქი. გურამ ენუქიძე – აი ცოცხალი კაცი, შეგვიძლია შევხვდეთ – ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო, მერე განათლების მინისტრი იყო, ეგ იყო გამოგზავნილი იქა. ეგ მოავლინეს სტუდენტებთან, რექტორატთან შესახვედრად, რექტორი იყო ნაპოლეონ ქარქაშაძე. მივედი, ფორმით ვიყავი, მიცნეს სტუდენტებმა, გამოვიდნენ, დამხვდნენ ეზოში და მთხოვეს, გვითხარი, რაზე ჩამოხვედი, რას აპირებთ აქ, ხომ ხედავ, დაგვარბიესო. მე ვუთხარი, ეზოში მე არ ვლაპარაკობ, შემოდით კლუბში, დავსხდეთ და მე ჩემს გეგმას გაგაცნობთ-მეთქი. არაო. ერთი სიტყვით, გამინიეს წინააღმდეგობა, გინდა თუ არა, ეზოში გამოდიო. მე ეზოში მიტინგზე არ გამოვიდოდი. ნაპოლეონ ქარქაშაძემ მითხრა, კი, ბატონოო, შევიდეთ კლუბში, ვისაუბროთ და დანყნარდება ხალხიო. შევედი კლუბში, ორასი კაცი მოვიდა პედაგოგ-მასწავლებლების, ნაწილი სტუდენტებისაც, ავედი ტრუბუნასთან და ასე დავინყე: ჩამოვედი იმისათვის, რომ ან უნდა მოვხსნათ ადლება, ან უნდა დავაპატიმროთ, რაც ვუთხარი ადლებას. მაცადეთ, მე ვუთხარი, ათი დღის ვადაში ამას მე გავაკეთებ, მხოლოდ ნუ შემიშლით ხელს მიტინგებით და ასეთი გამოსვლებით. ეს რომ ვთქვი, უკვე ეზოშიაც გაიტანეს ამბავი და სტუდენტებმა თქვეს, შეჩერდიო, ყველამ მოისმინოსო. შემოვიდა მთელი სტუდენტობა, აღარ ეტეოდა კლუბში, ზოგი ფანჯრებზე, ზოგი ტრიბუნასთან იდგა. მითხრეს, თავიდან გაიმეორე, ყველამ მოისმინოსო და გავიმეორე: ან უნდა დავიჭიროთ ადლება, ან უნდა თავისი განცხადებით წავიდეს და წაეთრიოს აქედან-მეთქი, ოზგანს და მის დამქაშებს, ვინც თქვენ შეურაცხყოფა მოგაყენათ, არ ასცდება დაჭერა-მეთქი. მხარი დამიჭირეს ტაშის დაკვრით და დაიშალა მიტინგი. მე ჩემი მოვალეობა შევასრულე და პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ჩავედი ადლებასთან და ვუთხარი: Борис Викторович, я про тебя говорил, что ты преступник... Я знаю, ты прав, во всем прав. Ты меня извини, Шота дорогой, только сейчас помощи еще раз. В чем помочь? აფხაზეთში იყო გაყოფილი უნივერსიტეტი...

ნათელა ვაჩნაძე: მერე გაიყო აფხაზური დასიც.

შოთა გორგოძე: ხო, აქედან დაიწყო უბედურებები. ...მითხრა, წადი აფხაზურ უნივერსიტეტში, იქ შეკრებილია აფხაზი ხალხი, პროფესორ-მასწავლებლები და ნაწილობრივ სტუდენტები და იქნებ იქაც დააწყნარო. თუ გინდა, მაგინე, რაც გინდა ის ქენი, მხოლოდ ხალხი დამიწყნარეო, გამოგყვება კობახიაო. ეს იყო პირველი ნაციონალისტი, პირველ წამომწყები ამ საქმეებისა ნესტორ ლაკობას შემდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: დიდი გავლენა ჰქონდა?

შოთა გორგოძე: ძალიან დიდი.

ნათელა ვაჩნაძე: ოზგანზე მეტი?

შოთა გორგოძე: ოზგანზე მეტი. ოზგანი არ უყვარდათ აფხაზებს. ოზგანი იყო თურქი წარმოშობის. იცოდნენ ეს და არ უყვარდათ, მაგრამ მერე გახდა გმირი 9 აპრილის შემდეგ. გეტყვით, როგორ იყო. ასე იყო, თუ ისე იყო, წავედით აფხაზურ უნივერსიტეტში და წამომყვა თან ვალერი კობახია და გურამ ენუქიძე. მივედით იქა, მიგვიღეს ძალიან კარგად, ერთი შეკითხვა არ მოუციათ აბსოლუტურად აფხაზებს. მოვთხარე ადლები. მე ვუთხარი, რაც ხდება აფხაზეთში, ეს არის ადლებას ბრალი, რომ დაიპირისპირა მან ხალხი, კომუნისტურ პარტიას დაუპირისპირა საზოგადოება, საქმოსნობამ. კომბინატორობამ, ამ მაქინაციებმა თავი იჩინეს და მისმა ნათესავებმა ეს გააღრმავეს. ამიტომ ჩამოვედით, რომ პასუხი აგოს ამ ხალხმა, ადლებასაც მოუწევს ეს მათრახი, ან წავა და ან დავიჭერთ, ანდა მის ხალხს მოუწევს, პასუხი აგოს ყველაფერზე. კი, ბატონოო, ხელები ასწიეს. იქ აფხაზი მოხუცებულებიც იყვნენ, სხვათა შორის, 120 წლიანი მოხუცები ფაფახებით და ხანჯლებით. ყოველ შემთხვევაში, რომ იცოდეთ, მე იმათი მაღლობელი ვარ, მხარი დამიჭირეს. მერე იმ დღეებში მე იქ დავიწყე ღონისძიებების ჩატარება დაპატიმრებულების შესახებ ოზგანზე და სხვებზე და მხარში დამიდგნენ მთელი აფხაზები. მათ შორის იცით, ვინ მედგა გვერდში? ანქვაბი, ეხლა რომ მთავრობის მეთაურია. ანქვაბი იყო ჩემი მოადგილე o политической работе, ის მყავდა თან წაყვანილი. ეგ გვინდოდა, დაგვენიშნა ოლქკომის მდივანად. რამდენი ვეხვეწე შევარდნაძეს, მერე გუმბარიძეს, როგორმე გაგვეყვანა ეგ კაცი, არა ქნეს.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

შოთა გორგოძე: ჯერ არ ვიცნობთ მაგასო, პატარა ბიჭიაო და ვისკენ წავა და საით წავა, ხომ არ ვიცითო. ჩემთვის რომ დაეჯერებინათ მაშინ... მე ვუთხარი, ჯერ დეპუტატად ავირჩიოთ აფხაზეთიდან ეს კაცი, მე ვიცნობ უკვე, ჩემს გვერდით მუშაობს წლების მანძილზე, პატრიოტი ბიჭია, ერთგული ბიჭია, არ გვიღალატებს. თავი მოიკლა გვეტაძემაც მაშინ, არ ქნა, გუმბარიძემ ქვა ისროლა და თავი შეუშვირა. მერე გვითხრა ანქვაბმა, რომ გავა დრო და მაინც ჩემთან მოხვალთ თქვენ ბოლოს, მაგრამ უკვე გვიან იქნებაო. მართლაც ასე მოხდა, იწინასწარმეტყველა, მისი სიტყვები ახდა, ზუსტად თქვა, ზუსტად გათვალა ყველაფერი. ანქვაბთან მე ძალიან კარგი კონტაქტი მქონდა და ეს რომ

გაელრმავებინა მთავრობას და მხარი დაეჭირა, დღეს იქ არაფერი არ მოხდებოდა. რა თქმა უნდა, წყობა სოციალისტური აღარ იქნებოდა, მაგრამ ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ეს არ მოხდებოდა, მე დარწმუნებული ვარ ამაში. ეს რუსებმა გამოიყენეს დაშლის შემდეგ. ასე იყო, თუ ისე იყო, ადლებამ დაწერა განცხადება. დაწერა განცხადება და მომცა, რომ მე გადავდექი ავადმყოფობის გამო და მიმართავს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს პატიაშვილს და კოპიოს უგზავნის გორბაჩოვს. ეს წერილი მე მომცა და წამოვიღე იმ პირობით, რომ თუ ამას ის დაწერდა, თავისი სანათესაო „ცეხები“ რომ დალუქული ჰქონდა, ადგილობრივ ОБХС-ს გადავცემდით და ჩვენ აღარ ჩავერეოდით შიგ. ესეთი პირობით ვიყავით მოლაპარაკებული. ერთი კოპიო გადავიღე და მე შევინახე, რა თქმა უნდა. ცოტა ხანში უკან მივუტანე. ვიფიქრე, ასეთი დაძაბული პერიოდია და შეიძლება ვინმეს საპროვოკაციოდ გამოეყენებინა. პეტრე ჩხეიძე იყო ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, იქ იყო ჩამოსული. ვუთხარი ადლებას, იმას მიეცი ეს განცხადება-მეთქი. ვიფიქრე, МВД-ს მინისტრი ვარ, განცხადება მე მაქვს, რომ თქვას, დამაწერიან და მაიძულა, არ ივარგებდა, პროვოკაცია შეიძლება დაენყოთ. შემდეგ ამ განცხადების შესახებ მოვახსენე პატიაშვილს. ამას კიდევ თავისი ნიუანსები აქვს, აღარ მინდა ამაზე ვისაუბრო. ჩხეიძემ ეს გამოიყენა თავის სასარგებლოდ, დაურეკა პატიაშვილს, ვაიძულე ადლებაო. თვითონ არ გამკარებია, სადღაც იყო დამალული. 5-ში ღამით ველაპარაკე ძალიან დიდ ხანს პატიაშვილს, დავნიშნოთ თუ არ დავნიშნოთ პლენუმი, რომ ავირჩიოთ ახალი კაცი, ვის დაუჭერენ მხარს. იყო ორი ვარიანტი. პირველ ვარიანტი იყო... იმ დროს საორგანიზაციო განყოფილების გამგე იყო ცენტრალურ კომიტეტში აფხაზი კაცი, გაგრის ყოფილი რაიკომის მდივანი, სავაჭრო განყოფილების გამგე ცეკაში ვალერი... გვარი აღარ მახსოვს. მეორე იყო ხიჟბა, სატყეო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მოსკოვში ჰქონდა განათლება მიღებული და არაფერი შეხება არ ჰქონდა პარტიულ მუშაობასთან. იყო ხე-ტყის დამუშავების ინჟინერი და იყო მინისტრის მოადგილე ამ დარგში. მაგრამ რადგან აფხაზია, შეიძლება ესეც მიიღოს ხალხმაო. მთელი ღამე ვიმუშავეთ ანქვავთან ერთად. მიიღო ხალხმა და იმ старейшина-საც რომ ველაპარაკეთ, ყველამ ისურვა ხიჟბა. იცნობდნენ, იქაური კაცი იყო, წესიერი კაცი იყო. პლენუმის წევრებიც – 45 კაცი იყო პლენუმის წევრი – გარდა ორი კაცისა, დაგვეთანხმა, რომ ავირჩევთო. დავურეკე პატიაშვილს, წამოიყვანე ხიჟბა-მეთქი. 6-ში ჩამოფრინდნენ ხიჟბა და პატიაშვილი, მას ახლდა მაშინდელი კომკავშირის ცეკას მდივანი სესილი გოგიბერიძე. ჩავატარეთ პლენუმი, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გავიდა ხიჟბა და ასე გახდა ხიჟბა საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. ეს მოხდა 6-ში. 6-ში მოფრინავს პატიაშვილი უკან, მაგრამ მეუბნება, რომ უნდა წამოხვიდე შენცო. რატომ, მე ვუთხარი, მე საქმე მაქვს, დავამთავრო

ადლებას საქმე, ოზგანი და სხვები უნდა დავაპატიმრო-მეთქი. სხვათა შორის, ვინც ხულიგნობა ჩაიდინა, გზაში სტუდენტები რომ დაარბიეს, ეს 12 კაცი დავიჭირეთ, უკვე ციხეში იყო. ეხლა გავდიოდით ოზგანზე, ოზგანი იყო ამის ორგანიზატორი. ოზგანი უნდა დაგვეჭირა სწორედ იმ მუხლით за разжигания межнациональной розни. არ ჰქონდა მას უფლება, რომ დაეტოვებინა თავისი სამოქმედი ტერიტორია. ლესელიძე არის გაგრის ტერიტორია და არა გუდაუთის. ის იყო გუდაუთის ტერიტორიაზე რაიკომის მდივანი და იქ რა უფლებით ჩავიდა. ჩავიდა, როგორც „ბოევიკი“, ჩაიყვანა ხელ-კეტებით შეიარაღებული ხულიგანი ბიჭები და დაერივნენ ქართულ მიტინგს და ამითი გააღვივა ნაციონალური შუღლი ქართველ და აფხაზ ხალხს შორის. ამ მუხლით გვინდოდა მისი დაჭერა და დავინწყეთ ამაზე მუშაობა. ავუხსენი პატიაშვილს. პატიაშვილმა მითხრა, შადური დატოვე და შენ მაინც წამოდიო.

ნათელა ვაჩნაძე: უკვე ჰქონდა ალბათ რაღაც ინფორმაცია.

შოთა გორგოძე: მიტინგი შეიკრიბა 4-ში. ხომ არ უნდა შეკრებილიყვნენ, სიტყვა მომცა ზვიადმა.

ნათელა ვაჩნაძე: მასზე არ იქნებოდა დამოკიდებული, უფრო ხალხზე იყო დამოკიდებული.

შოთა გორგოძე: ხალხიც და კიდევ იყო ორი გარემოება. 4 აპრილს თამაში იყო დინამოს სტადიონზე. თამაშის დასრულების შემდეგ კომუნისტები – ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ჩხეიძე და ნიკო ჭავჭავაძე გამოვიდნენ მიკროფონებით, წავიდეთ, მიტინგი ჩავატაროთ და მხარი დაუჭიროთ ჩვენს მთავრობას აფხაზეთის პოლიტიკის საკითხშიო. ეს იყო კომუნისტების შეკრების მიტინგი 4-ში. ამათ რომ ნახეს, რომ კომუნისტებმა მიტინგი მოიწვიეს იქა, ადგნენ და შემოესივნენ, წაართვეს იმათ ადგილი და წაიყვანეს მიტინგი.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ყოფილა პროვოცირებული მიტინგი.

შოთა გორგოძე: ეს იყო სუფთად პროვოცირებული მიტინგი. იქ კაცს სიტყვა მივეცი, ვმუშაობდით და წამომიყვანეს აქ, ოზგანისათვის ვილას ეცალა. აქ უკვე ჯარები დაგვხვდა ჩამოსული, აქ უკვე მზადება მიმდინარეობდა მიტინგის დაშლის შესახებ. იყო ჩამოსული კორჩეტოვი. კორჩეტოვი იყო თავდაცვის საკავშირო მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი. თავის დროზე აქ მუშაობდა „ოკრუგის“ უფროსად როდიონოვამდე. გასაგები იყო, რომ რაღაც დაძაბული მდგომარეობა იყო საქართველოში და სამხედროების ჩარევას აპირებდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იცით, სად იყო ჯარი დაბინავებული?

შოთა გორგოძე: ყველა არ ვიცოდი, მაგრამ ნაწილი უკვე გავიგე, სად ვინ იყო. ჯარის ნაწილები დააბინავეს სხვადასხვა ადგილას. შინაგანი ჯარები იყო ძირითადად მობილიზებული, ერთადერთი იყო სადესანტი ბრიგადა, რომელსაც როდიონოვი ხელმძღვანელობდა პირადად. ეს იყო ავღანეთში ნაბრძოლი სადესანტო ბრიგადა, რომელმაც დაარბია ბაქოში მიტინგი და თავები გაუხეთქეს „ლაფატკებით“ ხალხს. ეს რომ

გავიგე მე, შევიკრიბეთ პატიაშვილის კაბინეტში 8-ში.  
 ნათელა ვაჩნაძე: მე მახსოვს, რომ ცხვარიჭამიაში იდგა ჯარი.  
 შოთა გორგოძე: ცხვარიჭამიაში, მახათას გორა, პროფკავშირების სასახ-  
 ლეებში. ჯარი არ უნდა ჩამოეყვანათ, ამაშია უბედურება.  
 ნათელა ვაჩნაძე: ვინ მოითხოვა ჯარი?  
 შოთა გორგოძე: მე არ ვიცი, ვინ მოითხოვა, მე არ დავსწრებივარ, მაგრამ  
 ის კი ვნახე, რომ გორბაჩოვი გამოვიდა ტრიბუნაზე და წაიკითხა პა-  
 ტიაშვილის და ნიკოლსკის ხელმოწერილი შიფროგრამები, რომ თხოუ-  
 ლობდნენ, ჯარები ჩამოიყვანეთო.  
 ნათელა ვაჩნაძე: ეს აღიარა ბატონმა ჯუმბერმა?  
 შოთა გორგოძე: არ ვიცი, ვერაფერს ვერ გეტყვით.  
 ნათელა ვაჩნაძე: მე მახსოვს ბატონი ჯუმბერის გამოსვლა, როდესაც მან  
 ბრძანა, ყველაფერი გაიხსნებო, ახლა არ მინდა ყველაფერზე ლაპა-  
 რაკიო. მოსკოვში ჰქონდა გამოსვლა უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა  
 ყრილობაზე.  
 შოთა გორგოძე: იცით, რა ხდება? შევარდნაძეს და გორბაჩოვს აბრალებს  
 იგი.  
 ნათელა ვაჩნაძე: გორბაჩოვი კი ამბობს, ნიკოლსკის და პატიაშვილის ხელ-  
 მოწერით მაქვს ქაღალდიო.  
 შოთა გორგოძე: მე არ მინდა ამაზე ვილაპარაკო. შინაგან საქმეთა ორგა-  
 ნოებში არსებობდა ადგილობრივი ჯარის დანაყოფი, ჩვენ გვყავდა  
 ჩვენი ე. წ. „ვოსმოი“ პოლკი...  
 ნათელა ვაჩნაძე: არ ენდობოდნენ თქვენსას.  
 შოთა გორგოძე: ნდობის გარდა, ცოტანი იყვნენ.  
 ნათელა ვაჩნაძე: ჯერ ერთი, ცოტანი იყვნენ, მერე არ ენდობოდნენ იმი-  
 ტომ, რომ ადგილობრივი ჯარი დაინდობდა მოსახლეობას.  
 შოთა გორგოძე: ამიტომ ჩამოიყვანეს ჯარი, არ უნდა ჩამოეყვანათ, დიდი  
 შეცდომა იყო ეს.  
 შოთა გორგოძე: ბატონ ედუარდს ჰქონდა ამაში მონაწილეობა მიღებული?  
 შოთა გორგოძე: მაგას რომ არ სცოდნოდა, არ შეიძლებოდა ისე. მე გეტყვით,  
 რა მითხრა ამის შესახებ, შევარდნაძე 9 აპრილს ჩამოფრინდა.  
 ნათელა ვაჩნაძე: 9 აპრილს არ იყო ის ქალაქში შემოსული, ის აეროპორტში  
 იყო, მგონი, თვითმფრინავში. მერე 16-ში იყო უნივერსიტეტში შეხვე-  
 დრა დიდ სამეცნიერო საბჭოსთან. მე ვესწრებოდი იმ შეხვედრას.  
 შოთა გორგოძე: მანამდე შევარდნაძე ჩამოვიდა 9-ში საღამოს. პატიაშვილი  
 ამბობს, აეროპორტში იყო და იქიდან ხელმძღვანელობდაო. ვერ გე-  
 ტყვით, მე არ მინახავს. რომ გადავამოწმე, არავინ არ დამიდასტურა.  
 ნათელა ვაჩნაძე: თქვენ საიდან იცით, რომ 9-ში ჩამოფრინდა?  
 შოთა გორგოძე: ოფიციალურად ჩამოვიდა და კრწანისის რეზიდენციაში და-  
 ბანაკდა ეგ და რაზუმოვსკი.  
 ნათელა ვაჩნაძე: თუ 9-ში აქ იყვნენ ის და რაზუმოვსკი, ხომ არ არის ორი  
 მოვლენა ერთმანეთში არეული? იმიტომ, რომ 16-ში, როცა იყო შეხვე-

დრა დიდი საბჭოს წევრებთან, კვირა დღე იყო, ჩაკეტილი იყო უნივერსიტეტი. სპეციალურად კვირა დღე დანიშნეს, რომ სტუდენტობა არ ყოფილიყო, ბევრი ხალხი არ ყოფილიყო. ეს მახსოვს კარგად. და 9-ში რომ რაზუმოვსკი ყოფილიყო აქ, მე არ გამიგია.

შოთა გორგოძე: კი, 9-ში ჩამოვიდა და დაბანაკდა კრწანისის რეზიდენციაში. ნათელა ვაჩნაძე: 9-დან 16-მდე სულ აქ იყვნენ, თუ წავიდნენ და ჩამოფრინდნენ?

შოთა გორგოძე: აქ იყვნენ, 20-ში წავიდნენ, ორი კვირა იყვნენ აქა, ვითომ წესრიგს ამყარებდნენ. მერე ჩვენ „გადაგვიარეს“, ჩვენ დაგვაბრალეს ეს ყველაფერი, ტანკებით რომ გადაუარეთ, რად გინდოდათ ესეო. ტანკები და ჯარები თავის თავის ჰკითხონ, ჩვენ ვინ გვეკითხებოდა, ჩვენ რად გვინდოდა ტანკები და ჯარები. ასე იყო, თუ ისე იყო, ეს პოლიტიკაა და თვითონ გასცემენ პასუხს. შევარდნაძემ დამიძახა და მითხრა, თუკი ასე იყო, შენ ხომ გქონდა უფლება, დაგერეკაო, რატომ არ დამირეკე, თუ ასე მძიმე მდგომარეობა იყო. მე რომ 8-ში ჩამოვფრინდი გორბაჩოვთან ერთად ლონდონიდანო, მაშინ მითხრა აეროპორტში გორბაჩოვმაო, საქართველოში დაძაბული მდგომარეობაა და წადი, იქნებ დაამყარო წესრიგიო. გახსოვთ, ნოემბერში რომ ჩამოვიდა 1988 წელს, ასეთივე ღონისძიების ჩატარებას ფიქრობდა გორბაჩოვი. მე, ვიდრე ჩამოვიდოდიო, ავდექი და დავურეკე პატიაშვილსო და პატიაშვილმა მითხრა, აღარ გინდა ჩამოსვლა, წყნარდებიანო. და თუ ასეთი მდგომარეობა იყო, რატომ არ დამირეკეო. მე ვუთხარი, თუ პატიაშვილი თქვენ გელაპარაკათ და ასე გითხრათ, მე რაღად უნდა დამერეკა-მეთქი. ასე წარიმართა ეს ყველაფერი და ბოლოს 14 აპრილს დანიშნეს პლენუმი, სადაც უნდა გადაერჩიათ პატიაშვილი და დაენიშნათ ახალი მდივანი. შევარდნაძემ დამიძახა და მითხრა: პატიაშვილი გამოვიდა და თქვა უნივერსიტეტში და აკადემიაშიო, რომ მე უნდა გადავდგე და ამის შემდეგ აღარ დავრჩები ცენტრალური კომიტეტის მდივნადო, მაგრამ დღემდე განცხადება არ დაუწერია და არ მიდისო. და შენ ხომ არ შეგიძლია, რომ მიხვიდე და შეახსენო, ჩვენ რომ ვუთხრათ, უხერხულიაო. მე ვუთხარი, კი, ბატონო, ჯუმბერთან ახლოს ვარ და რასაც დამავალებთ, გადავცემ-მეთქი. მივედი ჯუმბერთან და ვუთხარი: ჯუმბერ ილიჩ, ესეთი აზრი არის-მეთქი. თქვენ მაინც ხომ მიდიხართ-მეთქი, მეც გამოგყვებით უკან, მე გამჩერებელი აღარ ვარ-მეთქი, მაგრამ რომ დაწყნარდეს სიტუაცია და აირჩიონ ახალი მდივანი... გახსოვთ, ქუჩაში რა ამბები იყო, რა უბედურება ტრიალებდა, კომენდანტის საათი და... ამისი მეშინოდა, კიდეც არ დაეხოცათ ხალხი. ...და მითხრა, რომ კი, ბატონო, მე დავწერ, დღესვე გაუფრავნი შევარდნაძეს და გადავდგებიო. დაწერა, გაუფრავნა და გადადგა. 13-ში გადადგა. მერე დამიძახეს ამ განცხადების შემდეგ და მეუბნებიან, ორივე ერთად არიან: Не думали, მე მეუბნება შევარდნაძე, кого можно избрать на пост первого секретаря центрального комитета компартии

Грузии? მე რას მეკითხებოდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: როდის იყო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს ეკითხებოდნენ, ვინ იქნება ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი?

შოთა გორგოძე: მე ვუთხარი: Не думал, Эдуард Амбросович. Хорошо, тогда я вам скажу. Мы так думаем, что может быть мы назначим товарища Гумбаридзе. გუმბარიძე იყო კგბ-ს თავმჯდომარედ გადაყვანილი ინაურის ადგილზე, ახალი გადაყვანილი იყო. სულ ოთხი თვე იყო, მეტი კი არა. და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედო ჭითანავას ვფიქრობთო. მე მოვუტრიალდი და იქვე ვუთხარი... პრესაშიაც იყო ჩემი ეს სიტყვა. მე ვუთხარი, ედუარდ ამბროსოვიჩ, არ ივარგებს ეგრე-მეთქი, იმიტომ, რომ გუმბარიძე ძალიან ახალგაზრდა არის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობისთვის, გამოცდილება არა აქვს და ხალხიც არ იცნობს-მეთქი. სადაც იმუშავა, ერთი წელი, ორი წელი, თვეები...

ნათელა ვაჩნაძე: გივი გუმბარიძე ხომ ჩამოყვანილი იყო, ადგილობრივი კადრი არ იყო.

შოთა გორგოძე: ადგილობრივი იყო, ცენტრალური კომიტეტის რიგითი ინსტრუქტორი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: მე პირველად ვნახე 16 აპრილს უნივერსიტეტში შევარდნაძესთან და რაზუმოვსკისთან ერთად.

შოთა გორგოძე: 14-ში აირჩიეს. მე წინააღმდეგი წავედი ამისა. რადგან შემეკითხნენ, თორემ მე ამის არც დანიშვნას მეკითხებოდა არავინ, არც მოხსნას, მე ჩემი აზრი ვუთხარი მაინც. ჭითანავა ჯობია, თუ გადაითამაშებთ ამას. ჭითანავა გამოცდილი კაცია, ხალხიც იცნობს-მეთქი. კარგო, მოვიფიქრებთო და მე გამომიშვეს. გათენდა 14-ის დილა, ათ საათზე პლენუმია დანიშნული, მირეკავს შევარდნაძე. სულ რეზიდენციაში იყვნენ კრწანისში, იქიდან იშვიათად გამოდიოდნენ. პლენუმზე მოვიდა მხოლოდ და უნივერსიტეტში მივიდა. მეუბნება, ჩვენი ბევრი ვიფიქრეთო, обсудили мы ваши предложения, но все-таки мы думаем, что центральный комитет не будет руководящий аппарат. Теперь вся тяжесть ложится на премьер-министра. იმიტომ ვფიქრობთო, რომ გუმბარიძე ცეკას მდივანი იყოსო და ნოდარ ჭითანავა იყოსო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო. მე ვუთხარი – მე იმიტომ გითხარით ჩემი აზრი, რომ შემეკითხეთ, თორემ ეგ სულ არ არის ჩემი ფუნქცია და თქვენ როგორც იტყვით, ისე გადაწყდება-მეთქი. მოვიდნენ ცენტრალურ კომიტეტში ათ საათზე ეგ და რაზუმოვსკი. პლენუმის წევრები შეკრებილია. წავიდა ძალიან დიდი დავა. პატიაშვილის მომხრეები აყვირდნენ, გუმბარიძეს არ მივიღებთო. 15 წუთი იყო თავჩალუნული შევარდნაძე, ხმას არ იღებდა არც რაზუმოვსკი.

ნათელა ვაჩნაძე: ნათესავი ხომ არ იყო? რაღაც ყური მომიკრავს.

შოთა გორგოძე: შევარდნაძე ხომ ლანჩხუთელია და გუმბარიძეც ლანჩხუთელი იყო, ნათესაური კავშირი არ ვიცი. მამამისი იყო პოლკოვნიკი კაცი, იქიდან თუ იცნობდნენ ერთმანეთს, არ ვიცი. ძალიან ენდობოდა

და უყვარდა შევარდნაძეს გუმბარიძე, იმან მისცა მთელი გზა ცხოვრების. ასე დაინიშნა გუმბარიძე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. ...კომენდანტის საათი 9 აპრილს გამოაცხადა ღამის 11 საათზე როდიონოვმა, 15 წუთი აკლდა თერთმეტს რომ გამოაცხადა და ასე არ შეიძლებოდა. წესით, ამის შესახებ 4 საათით ადრე უნდა იყოს ხალხისათვის ცნობილი.

ნათელა ვაჩნაძე: ამიტომ მსხვერპლი მოჰყვა ამას. გია ქარსელაძე ამან იმსხვერპლა.

შოთა გორგოძე: 8-ში დილით, როდესაც წყდებოდა ეს, მე შევთავაზე, რომ ჩვენი ძალებით დავშლით მიტინგს-მეთქი. მე და რომან გვენცაძეს გვეკონდა შემუშავებული გეგმა, რომ მიტინგი მშვიდობიანად დაშლილიყო. მაგრამ კორეტოვს მიჰყავდა სხდომა და მან თქვა, რომ руководитель операции будет товарищ Родионов, а Горгодзе будет его заместителем по милиции. მე ცოტა მეწყინა, ჯარებს ვინ ჰკითხავს საზოგადოებრივ წესრიგს, ხალხთან ურთიერთობას.

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომ, რომ დახოცვა ჰქონდათ გადაწყვეტილი და ამით უნდა დაეშინებინათ კიდეც სხვა რესპუბლიკები.

შოთა გორგოძე: მე ვუთხარი, а почему министр не должен быть руководителем, везде так. Я отвечаю за порядок, а не Родионов. პატიაშვილმა განმარტა მაშინ, რომ როდიონოვი გენერალ-პოლკოვნიკია და შენ გენერალ-ლეიტენანტი ხარ, „ზვანიით“ მეტია და ამიტომ შენ მოადგილე უნდა დადგეო. რა უნდა მეთქვა, გავეჩერდი. კორეტოვს კი ვუთხარი: Вы не имеете права задействовать армию против митингующих, если не будет нападение на правительства. ამ შემთხვევაში აქვთ კონსტიტუციური უფლება ჯარებს. ეს არ მოხდება და ამიტომ ეს არ შეგეშალოთ-მეთქი. 4 საათზე იმიტომ დაიწყო, რომ – 4 საათი ჩემი მოგონილია – ცოტა ხალხი რჩებოდა იქ, მხოლოდ მოშიმშილეები რჩებოდნენ. ჩვენ ისიც გავითვალისწინეთ და ველაპარაკეთ მენაღარაშვილს, რომ მოშიმშილეების გაყვანის უფლება არ გვაქვს ჩვენ, თუ ექიმი არ იქნება იქ, რადგან ზოგს მოწამლავენ, თავბრუ დაესხმება, შეიძლება გული წაუვიდეს, რამე დაემართოს. თუ ექიმი იტყვის სტაციონარშია წასაყვანი, უნდა წაიყვანონ, თუ შეუძლია ადამიანს, სახლში წაიყვანონ.

ნათელა ვაჩნაძე: იყო კიდეცაა მომზადებული „არამიანცის“ ყოფილი საავადმყოფო, პალატები მზად იყო.

შოთა გორგოძე: მზად იყო, ჩვენი გაკეთებული იყო ეს, ვერავინ ვერ მიითვისებს. 12 საათზე დღისით 8-ში წამოვიდა ჯარები რუსთაველის პროსპექტზე, ტანკები, ბეტეერები და გადავირიე, ვინ განსცა ეს განკარგულება-მეთქი. ვეცი, ტელეფონზე პატიაშვილს ვურეკავ, მე არ გამიცია განკარგულება. ნიკოლსკის ვურეკავ, მე არაფერი არ ვიციო, კგბ-ში ვრეკავ გუმბარიძესთან, არაფერი ვიცი და როდიონოვს ჰკითხეო, როდიონოვს ვურეკავ, არ იღებს ტელეფონს. ავიღე და იძულებული ვიყავი, დავურეკე ბაკატინს, საკავშირო მინისტრს. კარგი კაცი იყო,

სხვათა შორის, მხარს გვიჭერდა, გვეხმარებოდა ჩვენ. დავურეკე და ვუთხარი: Товарищ министр, я снимаю с себя ответственность. За что? Кто дал приказ и пустил среди митингующих. Я не имел права, такой приказ дать. А кто дал, მე ვუთხარი, все отказываются. Наверно, Родионов дал. А Родионова нет. Не торопись, я сейчас уточню. როგორც ჩანს, ეს როდიონოვის ბრძანება იყო. რაღა უნდა მექნა, დაიმალა.

ნათელა ვაჩნაძე: დეპუტატთა პირველ ყრილობაზე რომ გამოვიდა სიტყვით როდიონოვი სრულიად განითლებული, მაშინ თქვა, რომ ჩემი ბრძანება იყო?

შოთა გორგოძე: არ უთქვამს. ეხლა თქვა, ბოლოს, მე დამავალესო.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ დამავალაო?

შოთა გორგოძე: არ თქვა, ვინ დამავალაო. იაზოვი იყო მინისტრი. იაზოვს დაავალებდა გორბაჩოვი, რა თქმა უნდა. პატიაშვილიც ტყუილად იჭყლიტება ამაში. ვინც არ უნდა ყოფილიყო პატიაშვილის ადგილზე, ის გაიჭყლიტებოდა, იმას დააბრალებდა ხალხი. მაგრამ ხალხმა ხომ არ იცის, როგორ მოდის ეს... აი, ესე მოხდა ეს უბედურება. ...4 საათი ახლოვდებოდა და უკვე უნდა დაენყოთ სამხედროებს ღონისძიება. ხალხი დაგროვდა და დაგროვდა. მე ვუთხარი, გათვლილი იყო ხალხის გაყვანა 100 კაცზე და 20 ათასი ადამიანია მოსული, ვინ გაიყვანს ამას. მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ მოშიმშილეებთან მისვლისა და გაყვანისა და შევწყვიტოთ ღონისძიება, ჯობია-მეთქი. პატიაშვილმა მითხრა, დაურეკე მაშინ როდიონოვსო. ვურეკავ როდიონოვს, კაბინეტში არ არის. მერე გამახსენდა, იმას ხომ მანქანაში აქვს ტელეფონი, ჯუმბერ ილიჩ, შენ პირადად დაელაპარაკე, ჯობია-მეთქი. ერთი გენერალი იყო ჩამოსული ეფიმოვი, რომელიც ღონისძიებას წინ უძღოდა, ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას, იმას ვუთხარი: Не начинайте, если не будет приказ первого секретаря, не начинайте. Не дай бог, видите, что творится. მითხრა, я тоже против. და წავიდა და წავიდა. მე ვუთხარი, Вы найдите Родионова и передайте ему первого секретаря ЦК и мое мнения. მერე მე აღარ მინახია ეფიმოვი, შევხვდი მხოლოდ ერთხელ დაკითხვაზე. მერე ხომ მოეწყო სასამართლოები ამ პროცესის შესახებ, მთავრობის კომისია ჩამოვიდა, სამხედრო კომისია ჩამოვიდა, პროკურატურის კომისია ჩამოვიდა, ერთი ექვსჯერ დაგვიძახეს და დაგვიკითხეს. იქ ეფიმოვი ყველგან იმ ჩვენებას აძლევდა, რომ – რაც ვუთხარი მე – წინააღმდეგი იყო მინისტრიო. მითხრა, მონახე როდიონოვი და დაელაპარაკოს პატიაშვილსო. მერე რატომ მოხდაო. რომ მივედი, როდიონოვი მანქანაში იჯდაო, გამოვიდაო, ვუთხარიო, დაურეკა პატიაშვილს, გადმოვიდა მანქანიდან და დაიძახა в перед-ო.

ნათელა ვაჩნაძე: დაურეკა პატიაშვილს და რა უთხრა?

შოთა გორგოძე: რა უთხრა, კაცმა არ იცის. გადმოვიდა მანქანიდან და ბრძანება მისცა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს უკვე ჯუმბერ ილიჩმა უნდა თქვას.

შოთა გორგოძე: იტყვის ალბათ, მე რა ვიცი. მერე იძულებული ვიყავით ჩვენ,

ჩავუდეგით სათავეში მილიცია, რომ როგორმე, ალყა რომ შემოარტყეს... ლენინის მოედნიდან მოდის ჯარები, ხალხი მთავრობის სასახლესთან არის თავმოყრილი და ადექი, შე კაი კაცო და თუ განდევნა გინდა... ამათმა შეკრეს, ქაშვეთის ეკლესიას შემოუარეს, ალყაში მოაქციეს და ხალხს გაქცევის საშუალება არ მისცეს. აქ მთელი საიდუმლო მექანიზმია ჩადებული როდიონოვის და რუსეთის. მთავრობის სასახლესთან კიბეები რომ არის, იქ იდგა ჩვენი მილიცია. ჩვენი მიზანი იყო, რომ ხალხი იქით არ წასულიყო. ეს ამდენი ხალხი მთავრობის სასახლისკენ რომ დაძრულიყო...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ უნდა დაგეცვათ მთავრობის სახლი.

შოთა გორგოძე: უნდა დაგეცვა. გარდა ამისა, იქმნებოდა იმიტაცია, რომ ხალხი მიდის მთავრობის სასახლის ასაღებად, როგორც ეს იყო „ზიმნი დვარეცის“ შტურმი. მაშინ ისინი ამართლებდნენ თავიანთ მოქმედებას. იმიტომ, რომ კონსტიტუციურად უფლება აქვთ ჯარებს ამ შემთხვევაში, დაიცვას სახელმწიფო. გადატრიალების მცდელობა უკვე სახეზე იქნებოდა, აი, გაანგრიეს, ავიდნენ კიბეებზე და შევიდნენ მთავრობის სასახლეში და მორჩა. ამიტომ ლესია უკრაინკას ქუჩა გავხსენით, პირადად ჩავედი, რომან გვენცაძე ხელმძღვანელობდა და ამ ბიჭებს ვუთხარი, არავინ არ გააკაროთ მთავრობის სასახლისაკენ, ჩაუდექით და ლესია უკრაინკას ქუჩაზე გავატაროთ ეს ხალხი. და წავიდა, როგორც მდინარის ნაკადი, ლესია უკრაინკას ქუჩით ზევით ავიდა ეს ხალხი. მერე ნაწილობრივ ქვევითაც მოვახერხეთ რუსთაველის გახსნა და იქითაც წავიდა ხალხი. ეს რომ ნახეს მაგათმა, რომ მილიციამ გზა გაუხსნა, ჩაეშალათ ეს ღონისძიება. და აქ შევხვდით მე და როდიონოვი ერთმანეთს. რუსთაველის გამზირიდან მოდის, ლესია უკრაინკასთან ჩამოვდივარ და აქ შევეფეთეთ ერთმანეთს, სამხატვრო გალერეა რომ არის, იმის წინ. თავისი დაცვით მოდიოდნენ, ეს „ავტომატჩიკები“ და ვილაციები, მე უფორმოდ ვიყავი და გვერდში მახლდა ბარსკი, სამდივნოს უფროსი იყო მბდ-სი, ჭანტურიშვილი და ტარიელ ვარდანაშვილი, ესენი ვიყავით და მოვდივართ. Я тебя не доверяю, გამოიწია როდიონოვმა. ამ დროს ეს ხალხი ჩახოცილია, აქედან მოვდივართ გაცეცხლებული და ველარ შევიკავე თავი და А я тебя не доверяю, ვუთხარი და გავინიე. რო გავინიე და... მე არავინ არ მყავდა იარაღიანი გვერდში, გავაიარაღე ყველა და ჩემი თავიც გავაიარაღე, იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა იქ იარაღის ტარება. სამხედროებს ეგ უნდოდათ, რომ... დასცხეს, 46 მილიციის მუშაკი სასიკვდილოდ სცემეს, თავი დაუხეთქეს, ხელი მოსტეხეს. იარაღი რომ ჰქონოდა, ხომ ესროდა, ამიტომ გავაიარაღეთ. ერთი ჯარისკაციც რომ მოეკლათ ჩვენებს, ან დაეჭრათ ამას მოჰყვებოდა დიდი ამბავი და გადაგვივლიდა სუყველა. ერთმანეთზე რომ გავინიეთ, ავტომატები მომიშვირა იმისმა დაცვამ, თავზე გვესხმიან და ვერავინ ვერ გაამტყუნებდა. მერე დამტაცეს ხელი და გამომიყვანეს გვერდზე, გავმორდით ერთმანეთს. იმ სახლის თავზე მდგარა ვენგრიის ჟურნალისტი, ფოტოკორესპონდენტი, სახ-

ლების სახურავებზე ასული იყვნენ ჟურნალისტები. ეს დაინახა იმან და თურმე გვიღებს იქიდან. მერე გადასცა ბუდაპეშტის ტელევიზიამ, როდესაც მე და როდიონოვი ერთმანეთზე ვინევით და გაუკეთეს კომენტარი. უნგრეთში ერთი კარგი მეგობარი მყავდა და ჩემს მეუღლეს ურეკავს, რა მოხდა იქ, ხომ არ დაიჭირესო. ...რა თქმა უნდა, იყო ბევრი შეცდომებიც. ჩემი შეცდომა, მაგალითად, ამ საქმეში არის ძალიან დიდი. ვისაც არ უნდა ებრძანებინა ჩემთვის, აფხაზეთიდან არ უნდა წამოვსულიყავი. მერე ოზგანსაც შერჩა, სხვებსაც შერჩათ...

ნათელა ვაჩნაძე: აქ თავზე გენგრეოდათ ქვეყანა და?

შოთა გორგოძე: გვენგრეოდა, მერე რა მოხდებოდა. გვენგრეოდა იმიტომ, რომ აფხაზეთში ასეთი მდგომარეობა იყო. როდესაც ისინი ნახავდნენ... აქ აღარ მოხდებოდა ეს. 9 აპრილამდე ოზგანსაც დავიჭერდით, სხვები ხომ დავიჭირეთ, ადღეობა გადავაცენეთ, ახალი მდივანი ავირჩიეთ. ამ ინფორმაციას რომ ვანვდიდით აქა და რომ ჩამოვიდოდა, მიხვდებოდა იმას, რომ მართლა რაღაცას აკეთებს მთავრობა. ამიტომ ასე არ დაიძაბებოდა მდგომარეობა, ამიტომ ჩემი შეცდომა ეს არის. მე რაც დამკითხეს, ერთი შვიდგან ვარ დაკითხული ამ თემაზე, ერთი და იგივე შეკითხვას მაძლევდნენ: ошибка министра внутренних дел. მე ვუთხარი: моя ошибка заключается в том, что я бросил Абхазию и приехал. ეს აფხაზეთზე და მერე იმის შემდეგ რაც მოხდა, ძალიან დიდი თემაა. მერე იმავე წელს მოხდა ოსეთში, 89 წელს.

ნათელა ვაჩნაძე: ოსეთი ძალიან მძიმე თემაა, აფხაზეთიც ძალიან მძიმე თემაა. ბევრი დარჩა ხომ აფხაზეთზე კიდევ მოსაყოლი?

შოთა გორგოძე: ოპ. რამდენიც გნებავთ. მერე ძალიან მძიმე თემაა, აზერბაიჯანელები რომ წამოიშალნენ 22 ივნისს აქ, რომ აპირებდნენ დიდ უბედურებას. ერთდროულად მოხდა დაპირისპირება.

ნათელა ვაჩნაძე: არ გაგახსენდათ 18-21 წლები?

შოთა გორგოძე: ზუსტად, ზუსტად. აქედან შემოგვესივნენ აზერბაიჯანელები, აქედან – ოსები, აქედან – აფხაზები, კიდევ შინაგანი არეულობა. ეს იყო ჯოჯოხეთის წლები ჩემი ცხოვრებისა. მე არ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. ყველაზე რთული მდგომარეობა იყო, რა თქმა უნდა, 9 აპრილის შემდგომი პერიოდი, რადგან ამან გამოიწვია ჩვენი ქართული საზოგადოების, ეროვნული მოძრაობის და საერთოდ მთელი ქართველი ხალხის დაპირისპირება რუსის ჯართან და რუსეთთან. ამან ერთხელ კიდევ გააღრმავა დაძაბული მდგომარეობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ამიტომ ყველაზე პირველი ამოცანა ამის შემდეგ ჩვენი, ხელმძღვანელობისა, პირველ რიგში, ჩემი, როგორც МВД-ს მინისტრისა, იყო, როგორმე გაგვეუქმებინა კომენდანტის საათი, ვინაიდან კომენდანტის საათი კიდევ უფრო ძაბავდა ისედაც დაძაბულ ოპერატიულ-პოლიტიკურ ვითარებას იმ პერიოდში. რა გზით გაგვეკეთებინა ეს – ავდექი და მე გამოვცხადდი შევარდნაძესთან, რაზუმოვსკისთან, ორივესთან ერთად, შევიტანე წინადადე-

ბა მხოლოდ წინასწარი მოთათბირებით. მე დავურეკე ბატონ რეზო ჩხეიძეს, დავურეკე უნივერსიტეტის რექტორს, დავურეკე ГПИ-ს რექტორს და ა. შ., ვინც იყვნენ სტუდენტობასთან კონტაქტში, პლიუს ამას წარმოება-დანესებულებების ხელმძღვანელობას, კიროვის ქარხნის, ელმავალმშენებელი ქარხნის დირექტორებს და ველაპარაკე. თუ გსურთ თქვენ, რომ ავიცილოთ კომენდანტის საათი და აქედან გამომდინარე მძიმე შედეგები თავიდან, ამიტომ МВД იღებს თავის თავზე, თქვენი დახმარებით, საზოგადოების დახმარებით, სტუდენტი ახალგაზრდების, პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით, კომენდანტის საათის დროს ჩაგრთავთ წითელ რაზმელებში და დავიცვათ წესრიგი ჩვენ ქალაქში და ასე მივალწევთ რუსების აქედან მოცილებას. და დამეთანხმნენ ყველანი. როცა დამეთანხმნენ, მერე – ქალაქკომის მდივანი იყო იმ პერიოდში ბეგლარ მახარაშვილი – შევუთანხმდი ბეგლარს. ბეგლარს ვუთხარი, რომ ბეგლარ დიმიტრიჩ, მე მზადა ვარ, მთელი საზოგადოება დამეთანხმა და მთელ ძალებს გადავრთავ, მხოლოდ გამაუქმებინეთ რამენაირად კომენდანტის საათი. კომენდანტის საათის გაუქმებაზე უნდა იმსჯელოს ბიურომ, რომელსაც ხელმძღვანელობდა შევარდნაძე და რაზუმოვსკი. არადა, ისე იძაბებოდა მდგომარეობა, არა მარტო დედაქალაქში, ეს ერთ ათ დღეს რომ გაგრძელებულიყო, მთელ საქართველოს მოიცავდა უკვე საკომენდანტის საათი, ისე მიჰყავდა მდგომარეობა როდიონოვს. მთელი ძალაუფლება უნდოდა აელო ხელში მთელს ამიერკავკასიაში. ბეგლარ დიმიტრიჩმა დამიჭირა მხარი, შევედით – ცეკას მდივნად უკვე არჩეული იყო გუმბარიძე – წინადადებით წარვდექით, მოიწონა ძალიან და მოვახსენეთ მერე ერთად შევარდნაძეს და რაზუმოვსკის. შევარდნაძემ მოიწონა, სხვათა შორის, ეს წინადადება, ძალიან კარგიაო. მაშინ ადექით და გამოდით ტელევიზორში ეხლავეო, ტელევიზიით აცნობე ამის შესახებ საზოგადოებას, განაცხადე თქვენი გეგმის შესახებ, როგორ ახორციელებთ თქვენ ამას და მე ხვალვე ვიმსჯელებ ბიუროზე და გავაუქმებ მაგასო. წავედი ტელევიზიაში, გამოვედი ექსპრომტად, რამოდენიმე სიტყვით მივმართე საზოგადოებას, ხალხს, რომ ასე დაიძაბა ოპერატიული ვითარება საკომენდანტის საათის არსებობის გამო, რომ საჭირო არის ჩვენ ავილოთ ძალაუფლება ხელში და ჩვენ უნდა დავიცვათ წესრიგი ჩვენს ქალაქსა და ჩვენს ქუჩებსა და პროსპექტებზე. ასე დავბრუნდი. შევარდნაძემ თვითონ მოისმინა ესა, ერთი-ორი სიტყვა მაგის სასარგებლოდაც ვთქი, ამას ყველაფერს ხელმძღვანელობს საქართველოს რჩეული შვილი ედუარდ შევარდნაძე-მეთქი (იცინის). ესეც ესია მოვნა, ამას კიდევ იტყვი ზეპირად ჩემს წინაშე, რაც თქვი იქაო, ხუმრობით მითხრა. ასე იყო, თუ ისე იყო, შედგა ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომაზე მოიწვიეს როდიონოვი, კოჩეტოვი და სამხედრო ხელმძღვანელებიც იყვნენ, გენერალიტეტი მთელი და მე გამაკეთებინეს ინფორმაცია, რომ როგორ აპირებთო და მერე ბეგლარ მახარაშვილს,

რა გეგმა შევადგინეთ და ა. შ. მერე შევარდნაძემ თქვა, რადგან ამხანაგები ამას თავის თავზე იღებენ, მე მჯერა მათიო და მე შემომაქვს წინადადება, რომ საკომენდატო საათი დღეიდან გაუქმებული იქნესო. 18 აპრილი იყო დილით, საღამოთი უნდა გაუქმებულიყო საკომენდატო საათი. უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა როდიონოვი, როგორ გააბრაზა. Вы что, бирете на себя, ერთი რამდენჯერმე შემომხედა, вы на себя бирете такое ответственность? А почему нет, а в чем дело? მე ვუთხარი, что обязательно вооруженные люди должны на улице выходить. Хорошо, хорошо, хорошо, решайте сами. წამოხტა, მიატოვა ბიურო და წავიდა. რა უნდა ექნა მეტი, არაფერი დარჩა სათქმელი. ავიღეთ მთელი სიმძიმე და მართლაც 20 დღის მანძილზე მიმდინარეობდა საზოგადოებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებები ქუჩებში. და უნდა გითხრათ, რომ რაიმე დანაშაული რომ მომხდარიყო, რაღაცა ისეთი გახმაურებული საქმე, ან რეზონანსული საქმე, არაფერი არ მომხდარა, საზოგადოება ისე იყო მობილიზებული, ერთმანეთთან ისე იყო მილიცია და საზოგადოება უკვე შეხმატკბილებული. სხვათა შორის, 9 აპრილის მერე მილიციამ ავტორიტეტი აიმაღლა, მოიპოვა. მოდიოდნენ, ლექსებს წერდნენ, გორგოდის ბიჭებს, ხეებზე აკრავდნენ. სამი დიდი „მეშოკი“ გაივსო ამ წერილებით, სამადლობელი წერილებით. მერე რომ დავბრუნდი მე ოთხი-ხუთი წლის მერე ორგანოებში, რომ დამაბრუნეს აკადემიაში, მაშინ მოვითხოვე, აქედან გამოვიყენებ-მეთქი, წიგნი მინდოდა დამენერა 9 აპრილზე. განადგურებული დამახვედრეს ეს არქივი, დაუნვიათ ყველაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: სად?

შოთა გორგოძე: МВД-ში.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

შოთა გორგოძე: ჰკითხე იდიოტებს, გაანადგურეს ყველაფერი, არაფერი არ დატოვეს. ...ამით ჩათავდა 9 აპრილი საქართველოში ერთობლივი საზოგადოებრივი ღონისძიებების გატარებით შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად. მაგრამ იძაბებოდა მდგომარეობა უკვე პერიფერიებზე განსაკუთრებით, არასასიამოვნო სიგნალები მოდიოდა აფხაზეთიდან.

ნათელა ვაჩნაძე: დიახ, თუ შეიძლება ისევ აფხაზეთის თემა გავაგრძელოთ, რომ ჩვენი მაგისტრალური ხაზი არ შეწყდეს და აფხაზეთს რომ დავამთავრებთ, მერე სამხრეთ ოსეთზე გადავიდეთ.

შოთა გორგოძე: კი. ბატონო. 6 აპრილს გადმოვფრინდით მე და პატიაშვილი აფხაზეთიდან, გახსოვთ, გითხარით უკვე, პლენუმი რომ ჩატარდა, ხიჟბა რომ ავირჩიეთ და იმის მერე მე აფხაზეთში აღარ ჩავსულვარ. ჯუმბერ ილიჩთან ერთად განვიხილეთ ეს, მერე ჯუმბერ ილიჩი გადადგა უკვე. მე გულწრფელად უნდა გითხრათ, ძალიან დამწყდა გული, რომ გადადგა. იმიტომ დამწყდა გული, რომ მაინც ვაჟკაცი კაცი იყო და პატრიოტი კაცი იყო, გუმბარიძეს ვერ შევადარებთ პატიაშვილს.

გუმბარიძე, აკი გითხარით, რომ გამოუცდელი ახალგაზრდა კაცი იყო, წესიერი კაცი იყო, პატიოსანი, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ისიც ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ არ იცოდა საქმე და როგორ უნდა ეხელმძღვანელა ამხელა რესპუბლიკისათვის და მითუმეტეს ასეთ რთულ ოპერატიულ-პოლიტიკური ვითარების პერიოდში, ძალიან ძნელი იყო. ამიტომ არა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, როდესაც ჯუმბერ ილიჩი გაუშვეს. თუკი მე მტოვებდნენ მბმ-ს მინისტრად, ჩემს ხელში მოხდა ყველაფერი ეს. მე დამტოვეს იმიტომ, 9 აპრილის შემდეგ ხალხმა აღარ გამიშვა, თორემ გადადომას მაშინვე ვაპირებდი, როგორც გადადგა პატიაშვილი. დავრჩი და ამიტომ გავაგრძელეთ მუშაობა. ამის შემდეგ დაიძაბა აფხაზეთში მდგომარეობა და რატომ. შერჩათ აფხაზებს ის ჩადენილი დანაშაული. მოგახსენეთ, ჩვენ იქ ჩავედით ამ საქმის გამოსაძიებლად. ოზგანი უნდა დაგვეჭირა პირველ რიგში. მაგრამ 9 აპრილის ამბებმა და მოვლენებმა შეაჩერა ჩვენი შემდგომი ღონისძიების გატარება აფხაზეთში და აფხაზებმა თავი წამოყვეს და იქამდე მივიდნენ, რომ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, არ აძლევდნენ უფლებას ქართველებს, მიტინგი ჩატარებინათ. აი აქამდე დაიძაბა მდგომარეობა. იძულებული გავხდი მე, 25-ში დილით გადავფრინდი სოხუმში, რომ დამერეგულირებინა ხელახლა საკითხი, რამე შეხლა-შემოხლა არ მომხდარიყო. ხიჟბა მხარს გვიჭერდა ჩვენ, სხვათა შორის, წესიერი კაცი იყო, პატიოსანი კაცი იყო. გამოცდილება არ ჰქონდა პარტიული მუშაკობის საერთოდ, არც ოპერატიული მუშაობის, მაგრამ პატიოსანი კაცი იყო და სალად აზროვნებდა და ამიტომ მასთან კარგი ურთიერთობა გვქონდა ღონისძიებების გატარების დროს. მე ვუთხარი, როგორ აკეთებ ამას-მეთქი. ჩვენ ვფიქრობთ იმას, რომ არ დაიძაბოს მდგომარეობა აფხაზებსა და ქართველებს შორის, ისევ აღსდგეს ტრადიციები, ამისთვის ვმუშაობთ და იმიტომ გამოგაგზავნეს შენ აქა და ეხლა შენ თუ იმ დადგენილებას მიიღებ ოპკომის ბიუროზე, რომ ქართველებს აუკრძალო მიტინგი სოხუმში, ეს დაძაბავს მდგომარეობას და შენც არ შეგრჩება დიდხანს ეს პოსტი, მე ვუთხარი. მე სულ არ მინდა ეს პოსტიო. მითხრა. მე ვუთხარი, არც მე ძალიან არ მინდა ჩემი პოსტი, მაგრამ რადგან გვაკისრია, გამოვიყენოთ ეს ჩვენი სამსახურეობრივი მოვალეობა და საზოგადოებრიობასთან ერთად გადავწყვიტოთ საკითხი ისე, რომ არ იყოს დაძაბულობა და მტრობა ქართველ და აფხაზ ხალხს შორის. როგორ გავაკეთოთო. მე ვუთხარი, მე ვიღებ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე, არაფერი არ მოხდება. ჩვენ გვემინია იმისიო... სხვა ბიუროს წევრები იყვნენ, რომლებიც განწყობილი იყვნენ ქართველების წინააღმდეგ ცუდად. მე მითხარეს, რომ ჩვენო მივცემთ მიტინგის ჩატარების უფლებას მხოლოდ და მხოლოდ სუბტროპიკული ინსტიტუტის ტერიტორიაზე, რომელიც ქალაქგარეთ არის 12-13 კილომეტრით მოშორებული სოხუმიდან. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ ამხელა გზაზე მსვლელობა მომიტინგეების, 13 კილომეტრი

უნდა გაიარონ, მერე იმიტინგონ, მერე დაბრუნდნენ ამ გზაზე... გუდაუ-  
თაში რაც მოხდა, რა გარანტია გვექონდა, უარესი არ გაკეთდებოდა. ამ-  
იტომ, მე ვუთხარი, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მაგის, არავითარ  
შემთხვევაში ამის უფლებას არ მოგცემთ. აბა რა ვქნათო. ჩავატაროთ  
ცენტრალურ მოედანზე, მე ვუთხარი. მე ვარ „ოტვეჩაი“, სანაპიროზე,  
სადაც ჰქონდა დაგეგმილი მომიტინგეებს და ლიდერებს. მაშინ ის იყო  
ლიდერი, მანანა ძოძუაშვილი, მაგან დალუპა ეგ, დიმა ჯაიანი, მსახიო-  
ბი, ნუგზარ მგალობლიშვილი, თეატრის მთავარი მხატვარი იყო. ეგენი  
იყვნენ ლიდერები, მაგათ მიჰყავდათ პარადი. ყველაზე კარგად მდგო-  
მარეობას აგინერეთ, რა ხდებოდა შიგნით, გოგი ქავთარაძე, ეგ იყო  
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სოხუმის დასის, ჩვენს გვერდში  
იდგა სულ მუდამ ყველა მიტინგებზე, ყველა ღონისძიებებზე. ყველა  
ლამეები გაათენა ჩვენთან ერთად, რამე არ მომხდარიყო. ძალიან კარ-  
გი კაცია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, გვეხმარებოდა ძალიან, მე  
მაგის პატივისცემას ვერ დავივინყებ, გვერდში გვედგა სულ ეროვნულ  
მოძრაობასთან ერთად. სწორ პოზიციას ატარებდა და არა იმას, რო-  
გორც ზოგიერთები გაჰყვიროდნენ, აფხაზები გავდევნოთ, ჩვენ შევი-  
დეთ. ამ ღოზუნგმა დალუპა ყველაფერი. არ უნდა გვექნა, ეს ქართველ  
კაცს ეს არ უნდა ეთქვა. ამაში იყვნენ პროვოკატორები გარეულები და  
ისინი აკეთებდნენ ამას.

ნინო თომაძე: მე რომ მკითხოთ, ბატონო შოთა, ჩვენ ძალიან დიდი ბოდიში  
გვაქვს აფხაზებთან მოსახდელი. ჩვენ დავინყეთ ეს ომი და ჩვენი ბრა-  
ლია ყველაფერი.

შოთა გორგოძე: კი, ბატონო, თანახმა ვარ, გეთანხმებით ასპროცენტიანი,  
„მაღადეც“ თქვენ, ასპროცენტიანი მართალი ხართ. მე გეტყვით ამის  
შესახებ ბოლოში. ...და ასეთ ვითარებაში მივალნიე იმას, რომ დავი-  
თანხმე ბიურო და ლიდერები მაშინდელი აფხაზი ექსტრემისტებისა,  
რომ ჩაგვეტარებინა საპორტო მოედანზე სოხუმში ქართველთა მიტინ-  
გი, დამოუკიდებლობის მიტინგი, 26 მაისი. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე  
მშვიდად ჩაიარა, ისე კარგად ჩაიარა. იქ ვიდექი, სანამდე არ დაიშალ-  
ნენ, სიტყვითაც გამოვედი. ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი მეგო-  
ბრობისა და ძმობის ხელახალი სიმღერა ქართველების და აფხაზების  
ერთობლიობაში. ერთი ცუდი სიტყვა არ თქმულა აფხაზებზე, პირიქით,  
ძმობა და მეგობრობა. ეს მოიწონეს აფხაზებმა, სხვათა შორის, და  
ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. ჩატარდა ყველაფერი და მე დავტოვე,  
რა თქმა უნდა, სოხუმი და გადმოვფრინდი უკან, გავაგრძელე ჩემი  
სამსახური ადგილზე. ამის შემდეგ მოხდა რა. 9 აპრილს მემორიალის  
გახსნას აპირებდნენ ქართველები სოხუმში და ამის წინააღმდეგი წა-  
ვიდნენ აფხაზები, არ გაგახსენებთო. ამან კიდევ უფრო ამაღელვა,  
კიდევ იძაბებოდა მდგომარეობა და ამიტომ გადავწყვიტე, ხელახლა  
წავსულიყავი, მაგრამ ამ დროს მოხდა... 22 ივნისს, ღამით, მოულოდ-  
ნელად... ატარებდნენ მიტინგს ეროვნული მოძრაობის ლიდერები.

იქ დადიოდა ნოდარ ნათაძე, ზვიად გამსახურდია, კოსტავა მერაბი, ვაჟა ადამია, წერეთელი ირაკლი, ბათიაშვილი ირაკლი, ჩადიოდნენ ბოლნისში და ატარებდნენ მიტინგებს, ქართველებს კრებდნენ და რაიკომის წინა მოედანზე იქ იყო თითქმის ყოველ საღამოს მიტინგი. მოუწოდებდნენ დამოუკიდებლობისკენ და შიგდაშიგ მოუწოდებდნენ, ვითომ აზერბაიჯანელებმა წაგვართვეს მიწები ჩვენ და უნდა დავიბრუნოთ ქართული მიწები და ა. შ. აი ეს ჟღერდა ძალიან ცუდად და აზერბაიჯანელებს ამის ძალიან ეშინოდათ, ასეთი განცხადებები გამომიწვევს დაპირისპირებასო. მეც წინააღმდეგი ვიყავი, რა თქმა უნდა, ასეთი განცხადებების. და უნდა გითხრათ ერთი ასეთი მომენტი. ღამით გვიან, ღამის 3 საათზე მირეკავენ, სახლში მოვედი გვიან ძალიან და ეს ეს არის დაძინებას ვაპირებ და მირეკავს რომან გვენცაძე, რომ მარნეულში ატყდა ამბავი, გამოვიდნენ აზერბაიჯანელები ქუჩაში და გადაკეტეს თბილისთან მისასვლელი გზები, გამოიყვანეს დიდი მანქანები, „სამასვალეები“, მოზიდეს ბეტონის „სინკარები“, ჩაყარეს გზაზე და ველარ გადიოდა ვერც ერთი მანქანა მარნეულისკენ. აი ესეთი რამე მოხდა ღამის 3 საათზე. რა იყო ამისი მიზეზი, მერე გამოირკვა. სამწუხაროდ, მაშინდელი მილიციის უფროსი მარნეულის აღმოჩნდა გამყიდველი. ძალიან „იარი“ ზვიადისტი იყო, ღმერთმა ხელი მოუშარტოს, მე არ ვუშლიდი იმას.

ნათელა ვაჩნაძე: რა გვარი იყო?

შოთა გორგოძე: მეგრული გვარის იყო, ქარჩავა, ქარჩავა, მე მგონი, ქარჩავა, კი. დაიბარა ლიდერები აზერბაიჯანელების თურმე იმ ღამეს და უთხრა, ამაღამო მოდიან ქართველები შეიარაღებულიო, დაგესხმებიან თავსაო და გაგრეკავენ სუყველას აქედანაო. ეს იყო მიზეზი, წამოიშალნენ, ერთმანეთს შეატყობინეს მთელმა სოფლებმა, გაიხიზნენ, მოსახლეობა ტყეში გახიზნეს, მამაკაცები დარჩნენ ადგილებზე საბრძოლველად და ასე ჩაგვიხერგეს გზები და მიუდგომელი გახდა ყველაფერი. ამის გამო აფხაზეთში წასვლის საკითხი გადამედო, ველარ წავედი, რომ გამეგრძელებინა იგივე ოზგანის საქმე და სხვების და სხვების. ამან კიდევ ერთხელ გაუკეთა საქმე აფხაზებს და ჩვენ უფრო გაგვიფუჭა, მათ სასარგებლოდ დატრიალდა ეს ბორბალი. რა თქმა უნდა, იმ ღამეს ჩავედი ადგილზე, გავანმენდინე გზები, მერე დიდხანს მოვუნდით ამას, მთელი დღე გზების განმენდას, აღვადგინეთ მოძრაობა, შევატყობინეთ ცენტრალური კომიტეტს ხელმძღვანელობას. კიდევ ვიმეორებ, გუმბარიძე აბსოლუტურად არ ერეოდა ასეთ საქმეებში, მიტინგებზე ათასში ერთხელ თუ მიათრევდნენ, რაღაც ორ სიტვას იტყოდა, ან კამერის წინ რაღაცას. არ იცოდა მუშაობა ამ კაცმა. ამიტომ მთელი სიმძიმე დაანვა პროკურატურას და უშიშროებას, კგბ-ს, კისერზე ჩამოეკიდა. ასეთ დღეში ვიყავით მაშინ. აღარც ცეკა იყო, აღარც მთავრობა იყო, არავინ აღარ მართავდა ქვეყანას და ქაოსი იყო სუფთა რესპუბლიკაში. ძალიან მძიმე დღეები შეგვექმნა. და იმდენი ვქენით, რომ შევარიგეთ,

დავარწმუნეთ ხალხი, აზერბაიჯანელები, რომ ეს ტყუილია ყველაფერი, რომ ქართველი ხალხი თქვენს წინააღმდეგ თოფს არ აიღებს, ტყვიას არ გაისვრის, დაბრუნდით ოჯახებში, მაგრამ ძალიან გაჭირდა. ამიტომ დავრეკე აზერბაიჯანის ჩემს კოლეგასთან, ახალგაზრდა კაცი იყო მინისტრი იქა, სხვათა შორის, ჩემი მეგობარი ალიევი. ჩამოფრინდა, შევხვდი „ვერტალიოტი“ წითელ ხიდთან, ავუსხენი მდგომარეობა, უნდა მომეხმარო. თვითონ მარნეულელი იყო წარმოშობით. უნდა მომეხმარო, მე ვუთხარი, ასეთი მდგომარეობაა. და ააშენა ღმერთმა, სოფელ-სოფელ, კარდაკარ დავდიოდით და ასეთნაირად ვესაუბრებოდით ხან რუსულად, ხან ქართულად, ხან აზერბაიჯანულად ის და ასე, ამ გზებით, როგორც იქნა, მოსახლეობა დავაბრუნეთ თავის სახლკარს. თანაც ამ დროს გამოდიოდნენ ჩვენი ლიდერები მიტინგებზე და აცხადებდნენ, რომ ირანთან შეიკრნენ ეგენი, ირანიდან შემოაქვთ იარაღი, გვიპირებენ თავდასხმას, ა. შ. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ, მიტინგის ჩატარების უფლება როცა მივეცით იქ, გამოვიდა ნათაძე და რა თქვა მიტინგზე. თქვა, რომ მე უტყუარი ინფორმაცია მაქვსო, რომ ამაღამო აპირებენ ეგენიო ხრამჭესის, პლატინის გაშვებასო, უნდა ააფეთქონ გასასვლელებიო და წყალი წალეკავს მთელ ჩვენ ქართველ მოსახლეობასო.

ნათელა ვაჩნაძე: საიდან მაქვს ეს ინფორმაციაო?

შოთა გორგოძე: აი კითხე, ასე მაქვსო და სისულელე ინფორმაციები მაგისტრანა ხალხს, პროვოკატორები იყვნენ ეგენი. ავიღე და იმ ღამეს გადავისროლე ძალები, ავედი, ჩემი თვალით დავათვალიერე ეს პლატინა, შემოვუარე პერიმეტრს, დავაყენე გუშაგები საგუშაგოზე და ხალხი დაწყნარდა. ვუთხარი, არაფერი მსგავსი არ არის. არაფერი არ მომხდარა, რა თქმა უნდა. შემდეგ გამოაცხადა, რომ ტყეში არიან გახიზნულები აზერბაიჯანელებიო და ათასობით შეიარაღებულები დგანან ტყეებშიო. რა უნდა ქნა, კაცო. ამ დროს აფხაზეთში მდგომარეობა იძაბება, ხალხი მყავს გასაგზავნი აფხაზეთი, „ვოსმოი“ პოლკის ნაწილი გადავისროლე იქა, 14 ივლისი მოდის, ახლოვდება, 14 ივლისს ველოდებით ყველაზე მძიმე დღეს აფხაზეთში, ამ დროს აქ ესეთ ამბავს მიტეხავენ, ძალები აღარ მყოფნის. რა გავაკეთე (იცინის). ავიღე და გამოვიძახე არასაუნყებო დაცვის უფროსი, ეხლა რომ დაცვის დეპარტამენტი პოლიციის, ასე ერქვა მაშინ არასაუნყებო დაცვა. იქ გვყავდა ჩვენ 45 ათასი კაცი, რომლებიც იყვნენ ნებით დაქირავებულები. იქ აფიცრები არ იყვნენ, მხოლოდ ჯარში გავლილები ვინც იყვნენ, იმათ ჰქონდათ უფლება. ჯარი ჰქონდათ გავლილი და იცოდნენ რაღაცა. ამიტომ საბჭოთა ჯარში ნამსახურები ვინც იყვნენ 40 წლამდე, სუყველას გავუკეთე მობილიზაცია ერთ ღამეში და ჩამოვაცალიბე ახალ-ახალი სამხედრო ბატალიონები და სამხედრო ნაწილები, ჩავუყენე სათავეში ჩვენი აფიცრები – „კამანდირ ზვოდა“ ჩვენი აფიცერი იყო, „კამანდირ როტა“ ჩვენი აფიცერი იყო,

„კამანდირ ბატალიონა“ და ა. შ. და ჩავსხი ავტობუსებში ეს ხალხი და გავუძეხი. ეს ხდება უკვე 10 ივლისს და ვემზადები რომ ჩავიდე აფხაზეთში, რომ აქ ჩავანყნარო რამენაირად, ეს ძალები დავტოვო აქა, რომ რამე არ მოხდეს კიდევ და ხელახლა არ წამოიშალნონ აზერბაიჯანელები და ქართველები ერთმანეთის წინააღმდეგ. წაავიყვანე ეს ხალხი, ჩავაცვი. ჩვენი გვექონდა მაშინ სამხედრო ბაზა, სადაც გვექონდა ჩვენი შინაგანი ჯარების ფორმა იარაღი. ჩავაცვი და... ზაფხული იყო თანაც, ივლისი იყო, პაპანაქება. ეს პანამას ქუდები რომ არის, ამერიკელები როდესაც შედიოდნენ ვიეტნამში, იმათი ქუდები გვექონდა ძალიან ბევრი. ეს დავახურე, ჩექმები ჩავაცვი და „ვობშემ“ ასე იყო, თუ ისე იყო, დაახლოებით ერთი 15 ათასი კაცი შევექმენით შინაგანი ჯარების დამატებითი რეზერვი და გავუძეხი წინ. პლიუს ამას გვექონდა ჩვენ ძალების „პიტომნიკი“, პოლიციის ძალის გვეყავდა, დაახლოებით ერთი 60 ძალის იყო. გამოვიძახე მისი უფროსიც და მისი ძალებიანად ჩავსვი ერთ ავტობუსში და გამოვუშვი წინ და ჩვენ უკან მიყვევით. რომ ჩავედით მარნეულში, ყველამ თავთავისი ძალის დაიჭირა ხელში, გადმოიყვანეს (იცინის). ხალხმა რომ ნახა ეს უცხო ფორმა, Что за войска? Войска особого назначения – გავუშვით ასეთი „უტკა“, მაპატიეთ ასეთი გამოთქმისათვის. ხოდა, დაიჯერეს და „სმირნაზე“ იდგნენ, სად გაპარულიყვნენ, აღარ იცოდნენ. ეს საჭირო იყო, იცით, ფსიქოლოგიური ფაქტორი, თორემ იმდენად იყვნენ გათამამებულები, რომ იქიდან აფხაზეთის თავდასხმას ელოდებოდნენ, აქედან ოსეთის და საქართველო „ვობშე“ უნდა ჩაეყლაპათ რა, დაახლოებით ასეთი გეგმა ჰქონდათ მის მტრებს. ამას, რა თქმა უნდა, ყველაფერს აფინანსებდა და სათავეში ედგა რუსეთის ექსტრემისტები და „პოდჟიგატელები“. ამას ვერც აფხაზი გაბედავდა, ვერც ოსი და ვერც აზერბაიჯანელი მაგათ გარეშე. ვინ იყვნენ ესეთი გენერლები, მე ყველა ვიცი ზეპირად. მე იძულებული ვიყავი, მერე ჩავფრინდი მოსკოვში, ამის შესახებ მერე გეტყვით, ბაკატინს ავუხსენი, ვინ რა როლი ითამაშა ამ უბედურებაში და ბაკატინმა აიღო და ეს ოთხი გენერალი იმავე ღამეს ავღანეთში გაუშვა სასჯელად. ზოგი ჩამოვიდა, ზოგი ვერ ჩამოვიდა და ა. შ. აი ასეთი გენერლებიც გვეყავდა ჩვენ საბჭოთა შინაგან ჯარებში და ორგანოებში, რუსი შოვინისტები. ასე იყო, თუ ისე იყო, მერე ავედით ბოლნისში, ტყეში. უნდა გენახათ, ეს უმოძრაო ხალხი რომ გავუშვით ტყეში, წარმოიდგინეთ, ზოგი ღიპიანი იყო, ზოგი რაღაც, ძლივას ახოხდნენ მთებში, ტყეებში, ერთი ხუთ-ხუთი კილო დაიკლეს და მოვიდნენ, მადლობა მითხრეს. ვნახეთ, სად არის, ერთი შეიარაღებული კაცი... შეგვხვდა ორი მონადირე, მწყერის პერიოდი იყო მაშინ, ნადირობდნენ მწყერებზე და ხის ძირში დასძინებიათ, ხეებზე ჰქონდათ ორი თოფი ჩამოკიდებული. მივედით, გავალვიძეთ, შეეშინდათ, რა ხდება. მე ვუთხარი, გავუშვით თავის თოფებიანად. ...არავითარი მსგავსი არ დადასტურდა. ე. ი. მე რა მინ-

და გითხრათ. ნათაძის ასეთი ინფორმაცია იყო სულ ტყუილი. ასეთ რამეებს აკეთებდა მაგი. ამის მერე ჩატარდა მიტინგი და რა თქვა იმავე საღამოს. რომ გამოვედი, ვუთხარი, არ დადასტურდა ასეთი ინფორმაცია, არავითარი შეიარაღებული ძალები არ არსებობს, ტყეები დავათვალიერეთ. არასწორი ინფორმაცია გაქვთ, დაწყნარდით, ხალხო, ნუ ლაპარაკობთ, ნულარ იმეორებთ ამას. ამას ვამბობდი ლიდერების გასაგონად. ადგა და გამოვიდა. ახლავ გავიგეო, ახალი ინფორმაცია მივიღეო, რომ შემოტანილი იარაღი საფლავეებში შეუნახიათო. რამხელა პროვოკაციაა. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ, ქართველებმა, უნდა ავიღოთ კირკა და ნიჩაბი ხელში, ამოვთხაროთ საფლავეები... წარმოიდგინეთ, რამხელა პროვოკაციაა. გინდა მაჰმადიანი იყოს, გინდა ქრისტიანი, ვინ შეგარჩენს ამისთანა რამეს. გამოვედი და ისე მინდოდა გამელახა ნათაძე. აბა, ხომ არ შეიძლება ამისთანა რამე, საჯაროდ ყვირის ამ სისულელეს. აი ამაში იყო უბედურება, რომ გიჟები იყვნენ მთელი, ლიდერები, უმეტესობა. ასე იყო, თუ ისე იყო, რადგან ჩავაშოშმინე, ავდექი და 13 ივლისს გავფრინდი. ბაკატინს გავუგზავნე ტელეგრამა, ვაცნობე, რომ მე ვტოვებ პოსტს თბილისში და ჩემს მოადგილედ ვტოვებ გვენცაძეს და მივდივარ აფხაზეთში იქ შექმნილი ოპერატიული მდგომარეობის გასამუხტავად. იცოდა, სულ მირეკავდა, ძალიან მძიმე მდგომარეობა არის იქა, ჩახედე, მანდ მიხედავენ, ადგილზე ჩადი, ადგილზე. კი, ბატონო, მაგრამ, მე ვუთხარი, ძალები არ მყოფნის, მომეცი ჩემი ჯარების ნაწილი. ჩვენი შინაგანი ჯარების მთელი დივიზია ბაკატინის ბრძანებით გადაისროლეს ყარაბაღში. იქ ბრძოლები მიმდინარეობდა, ჯარები აღარა მყავდა, დამრჩა მარტო მილიცია, რა მექნა. ავიღე და დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონიდან გადავისროლე მთელი მილიცია აფხაზეთში, რაც დამრჩა აჭარიდან, გურიიდან, სამეგრელოდან და დაახლოებით 1000 კაცამდე გამომივიდა. მაგრამ ამავე დროს ბაკატინმა მითხრა, რომ ორ დღეში დაგიბრუნებ ნახევარს, გადმოვისვრი და აფხაზეთში დაგახმარო. მაგან შეასრულა თავისი სიტყვა და ორ დღეში უკვე ჩამოფრინდნენ ჩვენი ბიჭები აფხაზეთში და ხელად განვალაგე უღელტეხილებზე და ჩავკეტე საზღვარი. იმიტომ, რომ იყო ისეთი სიგნალები, რომ კავკასიელი „ბოევიკები“ – ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები, ოსები და სხვადასხვა ჯურის ხალხი უცხადებდნენ ნდობას და ერთგულებას აფხაზეტს ამ საქმეში. შექმნეს მათ „მთიელ ხალხთა საზოგადოება“, დამავინყდა სახელი. მქონდა საშიში სიგნალები, რომ გადმოვიდონენ შეიარაღებული „ბოევიკები“ და შეურთებოდნენ აფხაზეტს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გქონდათ ასეთი ინფორმაცია და იმიტომ ჩაკეტეთ თუ ინტუიციით?

შოთა გორგოძე: არა, ინფორმაცია მქონდა ამის შესახებ, აგენტურა მუშაობდა მაშინ მაღალ დონეზე. ისე როგორ უნდა იმუშაოს ოპერატიულმა მუშაკმა, თუ ინფორმაცია არა გაქვს. მერე გადამოწმებული ინფორმაცია

უნდა იყოს, აბა ჭორის დონეზე მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება დაგეხმაროს. ახლა სატრაბახოდ არ ვიტყვი, მაგრამ სად ჭიანჭველა გაივლიდა და სად კოლო გაფრინდებოდა საქართველოში, ყველაფერზე მქონდა ინფორმაცია, ძლიერი აგენტურა გვყავდა. ეს ტრადიციულად მოდიოდა საქართველოში, რუსებს უკვირდათ ხოლმე ჩვენი...

ნათელა ვაჩნაძე: საიდან დაინერგა? ორი სიტყვით მითხარით, რომ ცენტრალური გზიდან არ გადაგიყვანოთ.

შოთა გორგოძე: ბერიას დროიდან, მაგას ვერ წაართმევ, უნიჭიერესი კაცი იყო მაგ საქმეში. ...გადავკეთეთ ეს გზები და თენდება 14 ივლისი. ჯერ 13-ში ღამით არის მისვლა-მოსვლა, ინფორმაციები მომდის, ქართველებს ავუკრძალე კატეგორიულად გამოსვლა ქუჩაში, დაგვიჯერეს. ჩვენი ადგილობრივი ბიჭები დავაყენე ფეხზე, უბნის რწმუნებულები, ჩასული ძალები მივამაგრე და ერთი სიტყვით, ქართველებს თოფი არ ავალებინე ხელში, არ შეიძლებოდა. არ შეიძლებოდა თოფის აღება ქართველებს და აფხაზებს შორის, ისე, როგორც არ შეიძლებოდა ქართველს და ოსს შორის. რა თქმა უნდა, თქვენ სწორი ხართ, თოფი ავალე ბინეთ ჩვენ აფხაზებს ხელში. ჯაბას რომ შეუგზავნი იქა და კიტოვანს შეუგზავნი და ყაჩაღებს და ბანდიტებს, რალა დარჩათ მეტი. ასე იყო, თუ ისე იყო, დღისით 2 საათზე მაინც მოხდა დაპირისპირება. პირველი შეჯახება მოხდა გუმისთასთან. რა თქმა უნდა, იარაღი არ იყო. შემოგვიერთდნენ, სხვათა შორის, სვანები, კოდორის ხეობიდან გადმოვიდნენ. უნდა გენახათ, სვანები როგორ ჩამოვიდნენ. ყველა წელს ზევით ტიტველი აბსოლუტურად, ერთმანეთი რომ არ შეშლოდათ ამ ბრძოლაში, ყველა „დუბინკა“ ხელში და ქამარი მოჭერილი წელზე. ასეთი ბიჭები ჩამოვიდნენ, დარაზმულები, გესიამოვნებოდათ. სასიამოვნო არაფერი არ იყო, მაგრამ მხარდაჭერაზე ვამბობ, ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩემთვის. გამაჟრიალა ტანში, რომ შევხედე ამათ, თანდათან გვიერთდებოდნენ და სიმღერით ჩამოდიოდნენ, სხვათა შორის. მოხდა იქ გუმისთასთან დაჯახება და იქ მოკლეს მაშინ ჩვენი ლიდერი და დამთავრდა ამით ყველაფერი. გავაზავე, ჩავრიე მილიცია, ჩავრიე ჯარები და დავაშოშმინე ერთმანეთი.

ნათელა ვაჩნაძე: იარაღი ჰქონდათ?

შოთა გორგოძე: იარაღიც ჰქონდა ბევრს, ავტომატები. იქ იყო გივი აგრბა, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში განყოფილების უფროსი. მერე ეს გივი აგრბა თავდაცვის მინისტრი იყო აფხაზების, ეხლაც რაღაც თანამდებობა უჭირავს იქა. გამოვიძახე ისა და გავაგდე თქვიდან, მინდოდა გამეღახა. ჩასულა იარაღის საწყობში და უცებ შემატყობინეს, ავტომატებს ურიგებს აფხაზებსო, მილიციის თანამშრომლებს. რისთვის ურიგებ, რა უფლებით, მე ვუთხარი, შენ ვინ მოგცა ამის უფლება, რა, ომი გინდა ატეხო ერთმანეთში-მეთქი. მოვგლიჯე ეს ცალი „პაგონი“ გაბრაზებულმა და გამოვაგდე იმ კაბინეტიდან. ჩავედი და რაც იარაღი იყო დარჩენილი, დავურიგე სუყველა ჩვენებს.

მაგრამ ის ღამე იყო ურთულესი ღამე, არც ერთს თვალი არ მოგვიხუჭავს, დავრბოდით სოფელ-სოფელ. შეგვატყობინებდნენ, აქეთ წავიდნენ „ბოევიკები“, ამ სოფელს ესხმიან თავს, იმ სოფელს ესხმიან თავს.

ნათელა ვაჩნაძე: რამე თარიღი იყო 14 ივლისი?

შოთა გორგოძე: არაფერი, უბრალოდ დაემთხვა ასეთი რიცხვი. ...ყოველ შემთხვევაში ჩანყნარდა ყველაფერი, მადლობა ღმერთს, ავიცილეთ ეს უბედურება თავიდან და დავბრუნდი ერთი კვირის შემდეგ უკან თბილისში. დავბრუნდი თბილისში იმ აზრით, რომ ცოტა ხნის მერე აფხაზეთში ჩაგვეტარებინა ძალიან დიდი ღონისძიება. ეს 14 ივლისი ავიცილეთ. მერე გამოვიდნენ ქართველები, იქ ატეხეს ამბავი, დაიწყო მიტინგობია ისევე აფხაზეთის წინააღმდეგ, ხელახლა აფხაზები დაჯგუფდნენ, იარაღდებოდნენ უკვე.

ნათელა ვაჩნაძე: მაინც რომელი ნაწილი იყო ეროვნული მოძრაობის?

შოთა გორგოძე: კოსტავა იყო წასული იქა და კოსტავა ხელმძღვანელობდა ამას ყველაფერს. დასავლეთ საქართველოში ჩასული იყო და ეს თავდასხმები, იარაღების წართმევა, მერე შეიარაღება. იკრიბებოდნენ ზუგდიდის სტადიონზე და იქიდან მერე უნდა წასულიყვნენ შეიარაღებულები აფხაზეთისკენ. მერე ხელახლა წავედი. წამომყვა *командующий внутренних войск Советского Союза*, გენერალ-პოლკოვნიკი იყო. ეს კაცი წამომყვა, თუ არ შევაჩერეთ საქართველოში ეს შეიარაღება, მოხდება ომი და უბედურება. მეც ვიზიარებდი ამ აზრს. ჩემთად ერთად თვითმფრინავით წამოვიდა ირაკლი ბათიაშვილი, ნერთელი და კიდევ ვილაც ბიჭები, მე ვუთხარი, უნდა დავსვათ-მეთქი, რომ თავისი თვალთ ენახათ, რა ხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: მერაბ კოსტავა უკვე იქ იყო.

შოთა გორგოძე: ზუგდიდში იყო. ჩამოვფრინდით, სტადიონზე დავეჯექით ზუგდიდში ამ გენერალთან ერთად და წამოვედით ქალაქკომის მდივანთან კაბინეტში. ფიფია იყო იმჯერად ქალაქკომის მდივანი. იქ იყვნენ შეკრებილები ბიუროს წევრები: გურამ მგელაძე, საჯაია ჩვენი, ნუგზარი და სხვები, ყველა არ მახსოვს, თითქმის მთელი ბიუროს წევრები იქ იყვნენ ჩასული და ხელმძღვანელობდნენ ამ ღონისძიებას, რომ ხალხი არ გასულიყო. მაგრამ ისე იყვნენ საწყლები შეყუჟული კაბინეტში, რომ გარეთ ვერ გამოდიოდნენ ამ ხალხის შიშით. ხალხი დადიოდა, იარაღებს ართმევდნენ მილიციას. როცა შევიყვანე ეს გენერალი, წარვუდგინე ბიუროს წევრებს, მითხრეს, რომ ძალიან გახშირდა თავდასხმები მილიციაზე და ამ დრის ქალაქის მილიციის უფროსი რეკავს, მომეშველეთ, თავს მესხმიან, მთელ მილიციას ანგრევენ და მიაქვთ იარაღებიო. ჯოჯუა მიშა იყო. იმ წუთში ეს თათბირი მივატოვე, გამოვხტი გარეთ, მომდევს ეს გენერალი, სად მიდიხარ, მოგკლავენ, გესვრიან. მშიშრები იყვნენ რუსები, სხვათა შორის. რას მესვრიან, მე ჩემი ხალხი არ მესვრის, არ არსებობს, მე ვუთხარი. არავინ არ გამიყოლებია, გავიქეცი, ფორმით ვიყავი. ახლოს იყო მილიცია, დაახლოებით სამას

მეტრში იყო ქალაქკომის შენობიდან. მივირბინე და ვხედავ, ზღვა ხალხი მოდის სტადიონიდან დაძრული, რომ მილიციას დაესხნენ თავს და წაართვან იარაღი. მივედი და წინ მოუძღვის მერაბი. მერაბ-მეთქი – და რომ დამინახა, შეცბა, არ ელოდებოდა, რომ მე იქ ვიყავი – შენ აფხაზეთში არა ხარ? ჩამოვედი, რომ ასეთი მდგომარეობაა და ძალიან გთხოვ, შეაჩერე ეს ხალხი, არ შემოხვიდეთ მილიციაში, მე ვუთხარი, არავითარ შემთხვევაში. ხელი ასწია სანყალმა, გააქნია ხელი და დადგა ხალხი. რა კარგი „კამანდირი“ იქნებოდა ომში, ხელი ასწია და ხელად გაშეშდა ხალხი ხეებივით. ისეთი კარგი სურათი იყო. შეგმურდებოდა, ხომ მართალია, ასეთი ავტორიტეტი კაცი იყო. გააჩერა ხალხი და მერე მითხრა: რა ხდებო აფხაზეთში. მე ვუთხარი, ყველაფერი კარგად არის, მე გაძლევთ სიტყვას, სუყველაფერი ნავა ჩვენს სასარგებლოდ, მხოლოდ იარაღს თავი დაანებეთ და გაეცი განკარგულება, იარაღი არავითარ შემთხვევაში არ წაართვათ მილიციას-მეთქი. წამოდი მაშინო, სტადიონზე მიტინგს ჩავატარებ და გამოდი იქ სიტყვითო და მერე დავშლიო, პირობას გაძლევო. რა უნდა მექნა, წაყვეცი სტადიონზე, გაიმართა მიტინგი, ერთი 20 ათასი კაცი იქნებოდა. ხოდა, გამომიყვანეს იქ სიტყვით და ავუხსენი ოპერატიული ვითარება, რა მდგომარეობა იყო იქა, რა ზომებს ვღებულობდით ჩვენ, რომ გადაკეტილია საზღვრები, ვერ შემოვლენ დახმარე „ბოევიკები“ ჩრდილოეთ კავკასიიდან. ერთადერთი საშიშროება არის დასავლეთ საქართველოდან. თუ თქვენ ამას გააკეთებთ და გააგრძელებთ იარაღის ჩამორთმევას, იქ მე თქვენ ვერ გაგატრებთ, მე ვუთხარი. პლიუს ამას, შინაგანი ჯარების ნაწილები მომივიდა, გადაკეტილი მაქვს თქვენი გადმოსასვლელი ამ ჯარებით და იქ თქვენ რომ იარაღით დაგინახონ, გესვრიან და უბედურება დაიწყება. ამიტომ, მე ვუთხარი, არ გირჩევთ, დაყარეთ ეს იარაღი, ჩააბარეთ ისევ პატრონს, მილიციას, დაიშალებთ და დაელოდეთ ჩემს განკარგულებას. თუ დაგვჭირდა და აფხაზეთმა ისე გაგვიჭირეს საქმე, მე თვითონ ჩამოვალ და მოგინვევთ საბრძოლველად და მე გაგიძღვებით წინ-მეთქი. რა უნდა მეთქვა სხვა, ასე დავამთავრე სიტყვა. დამიჯერეს, გამოვიდა კოსტავა, მადლობა მითხრა და დაშალა ხალხი, თქვენ წარმოიდგინეთ, დაშალა. გამოვედი და მოდიან... რა გაუკეთე ამ ხალხს, როგორ დაშალე, მეუბნება გურამი, მგელაძე, საჯაია და ობკომის მდივანი. ცოცხალი კაცია, შეგიძლიათ ნახოთ, ობკომის მდივანი, თბილისში ცხოვრობს ეხლა, სხვათა შორის, ფიფია გურამი. ეს მონაწილეა ამის ყველაფრის, რაც იქ ხდებოდა, ემზადებოდნენ აფხაზეთზე თავდასასხმელად. აფხაზეთიც დარბოდნენ იარაღის საძებრად. ეს ყველაფერი ჩაშოშმინდა, ჩამოვედი თბილისში. ბაკატინმა მითხრა, მე ჩემს მოადგილეს დავტოვემ იქ, გააგრძელებს ღონისძიებებს, მხოლოდ შენ დაბრუნდი ადგილზე თბილისში, მიიღე ზომები, რომ ეს წართმეული იარაღი ამოიღეთ, მოსახლეობაში ნუ იქნება ეგ იარაღი. ამას განიცდიდა ძალიან. ავიღე, ჩავატარე თათბირი

კოლეგიის სხდომათა დარბაზში ძერჟინსკის კლუბში. მოვიწვიე მთელი დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მილიციის უფროსები და ვთხოვე, რომ მიეღოთ ზომები, ჩაებარებინათ იარაღი მოსახლეობას, ძალიან კარგად იცნობთ ლიდერებს, ვინც წაგართვათ იარაღი-მეთქი. ამ დროს რაზმადემ მოითხოვა, გვესწრებოდა კოლეგიაზე, რამოდენიმე მილიციის უფროსი უნდა დავიჭიროთო, რომ არ გამოიყენა იარაღი, უნდა ესროლათ პრაქტიკულად. მე ვუთხარი, როგორ უნდა ესროლა, ვახტანგ, თავის ხალხს არ ესვრის მილიცია, მე ამის განკარგულება გაცემული მაქვს. მე ვუთხარი, თავზედაც რომ დამესხან, მე არ ვესვრი იარაღს ჩვენს ქართველ ხალხს. ეს არ უნდა აპატიოო, უნდა გარიცხო პარტიიდან, მოხსნა. მე ვუთხარი, 20 დღის ვადაში ამოიღებთ იარაღს, არ ამოიღებთ იარაღს, მაშინ არც ერთი ადგილზე აღარ დარჩებით-მეთქი. დავბრუნდი უკან აფხაზეთში, მდგომარეობა ძალიან იძაბებოდა. სხვათა შორის, გუმბარიძე ჩამოვიდა. ღალიძგაზე იყო მომდგარი ხალხი. ისინი შეიარაღებულები არ იყვნენ, მაგრამ ძალიან ცუდი შეძახილებით გამოდიოდნენ მიტინგებზე აფხაზეთის მიმართ და ეს აღიზიანებდათ აფხაზებს. ოჩამჩირეში ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო, გალში. გამოდიოდნენ ქართველები, აფხაზებს თავს ესხმოდნენ, ართმევდნენ, იჭერდნენ. ბორის ადღეობა აღარ იყო მდივანი, მაგრამ ოჩამჩირელი იყო და აწყნარებდა თავის ხალხს. აქედან ჩვენ დავრბოდით, იქიდან ისა. ყოველ შემთხვევაში, გვეხმარებოდა, შეიარაღებული დაპირისპირება რომ რამე არ მომხდარიყო. აღარ არის ცოცხალი, გარდაიცვალა. ამ დროს შეგვატყობინეს, რომ... კოჩარა არის ასეთი სოფელი, იმერლებით არის დასახლებული, სხვათა შორის. ...ძალიან მძიმე მდგომარეობაო, შეკრებილია სოფლის ახლო-მახლო მოსახლეობა, მიმდინარეობს მიტინგი, დააპატიმრეს ოთხი აფხაზი, ახალგაზრდა ბიჭებიო, დამწყვედული ჰყავთ ერთი კვირაო, არ უშვებენო. აფხაზი სოფლები ამაზე ირაზმებიან და უნდათ თავდასხმა ამ კოჩარელებზეო. ძალიან ცუდი სიგნალი იყო, რა უნდა მექნა. ერთი შონია იყო, „აგროპრომის“ ხელმძღვანელი და შონია წამომყვა, ავტორიტეტი პიროვნება იყო. ის იცნობდა ყველას, სხვა აღარავინ აღარ დარჩა, სუყველა იყო მობილიზებული პოსტებზე, თანამშრომლები. ჩავედით გალში, მივედით სოფელ კოჩარაში. ფორმით ვიყავი, რა თქმა უნდა. ვნახეთ დიდი მიტინგი საბჭოს ეზოში, მთელი მოსახლეობა შეკრებილია, დაახლოებით 15 ათასი კაცი, არის მუქარა ერთმანეთის მიმართ. „დაჟე“ იქამდეა მისული, რომ ბარიკადები აქვთ გაჭრილი მეზობელ სოფლებს შორის. ამ სოფლის გარშემო არის სულ აფხაზური სოფლები და იმათი სოფლებიდან დაჭერილი ბიჭები ჰყავდათ ამათ და ისინი იქიდან ემზადებოდნენ თავდასასხმელად, აქედან – ესენი. 20-22 წლის ბიჭები ჰყავდათ დაჭერილი ერთი კვირის მანძილზე. მივედი, საბჭოს თავმჯდომარეს მიჰყავდა ეს მიტინგი. ლიდერები მომიყვანეთ, ვინც არიან-მეთქი. გავეცანი ლიდერებს, დაველაპარაკე. მე ვუთხარი, ძალიან ცუდ საქმეს

აკეთებთ-მეთქი. გამოიყვანთ და მომცემთ იმ ოთხ ახალგაზრდას, თუ არა და ატყდება უბედურება და მე არ დაგიცავთ თქვენ-მეთქი. ძალიან დიდხანს ვივაჭრეთ. ბოლო ბოლო, დამითმეს. მიმითითეს ის ოჯახი, სადაც იყვნენ დამწყვდეული ეს ბიჭები. მივედი. საჭმელს კი აჭმევდნენ, მაგრამ ცუდ პირობებში ჰყავდათ შენახული. გამოვიყვანე ოთხივე, დავჯექით მანქანაში და ჩავედით იმ სოფელში. ხალხი დგას, მიტინგია, აფხაზები შეკრებილი. გადმოვედი მანქანიდან. როგორც კი გადმოვედი მანქანიდან, შეჩერდნენ იმ წუთში ეს აფხაზები. იმ სოფელში არ ვიყავი ნამყოფი, მაგრამ მიცნობდნენ, ტელევიზიით ხშირად გამოვდიოდი აფხაზეთში. შეჩერდნენ და წამოვიდა ერთ-ერთი პიროვნება, ხანდაზმული კაცი, ეტყობა, ლიდერი იყო. მომიახლოვდა და მითხრა: За что вы приехали? Гарантирую, что здесь будет порядок. Отсюда уезжайте, будет нападение на вас. Я не боюсь, ме ვუთხარი. Вот я забрал этих четырех ваших мальчик, примите, пожалуйста. Где они? В машине сидят. გააღეს კარი და აბა ტაშის გრიალი. მოვარდა ეს კაცი, გადამეხვია, მაკოცა. ჩავაბარე ეს ოთხი ბიჭი. იქიდან გამოვიდნენ კიდევ ვიღაცეები, მადლობა გადამიხადეს და წამოვედი ასე, დავბრუნდი. ჩაშოშმინდა, განიმუხტა ეს დაძაბულობა, თორემ იმ ღამეს აპირებდნენ თურმე თავდასხმა ეს ორი სოფელი ერთმანეთზე. დავბრუნდი, ისევ ოჩამჩირეში ჩავედი, გუმბარიძე მელოდებოდა. გავაგრძელეთ ღონისძიებები. გადვანყდა, რომ გალში ჩაეტარებინა მიტინგი ეროვნულ მოძრაობას და გამოსულიყო გუმბარიძე ამ მიტინგზე სიტყვით და აესხნა მდგომარეობა, რას ვაკეთებთ, რომ ხალხი დაშოშმინებულიყო. თქვენ წარმოიდგინეთ, მიტინგი ძალიან კარგად ჩატარდა, კარგი სიტყვა თქვა, სხვათა შორის. გამოსვლა კარგი ჰქონდა, რუსული იცოდა ძალიან ბრწყინვალედ. განათლებული კაცი იყო, მაგრამ გამოცდილება არ ჰქონდა. ეხლა მე რომ მითხრან, ლექსი წაიკითხე ჩინურადო, რა უნდა გავაკეთო. გამოვიდა მიტინგზე, ხალხმა ეს ყველაფერი მოისმინა, დაიჯერა და ტაშის გრიალით გამოაცილეს გუმბარიძე იქიდან. მეც გამოვედი ამ მიტინგზე. ნოდარ ჭითანავაც იყო ჩამოსული, მთავრობის თავმჯდომარე. ნოდარ ჭითანავა წავიყვანეთ სამეგრელოში, მეგრელია და მეგრელებს უყვართ თავისი კაცის გამოჩენა და ანგარიშს გინევენ. ბორის წიფურიაც იყო, დამყავდა ყოველთვის, ვახტანგ გვარამია, კუკური როგავა. ამათ გავიყოლიებდი გვერდში, ვატარებდით ღონისძიებებზე, გვიჯერებდა ხალხი და მართლაც საქმეც გამოდიოდა და არ ხდებოდა უბედურება. ასე იყო, თუ ისე იყო, ეს მიტინგი დამთავრდა გალში, ვჯდებით „ვერტალიოტში“ და მოტრიალდა ხალხი და ვის რა მოჰყვა ხელში, ქვა, კეტი, დაგვიშინეს და ჩაამტვრიეს, ძლივს „ვერტალიოტჩიკმა“ მოასწრო ასვლა თვითმფრინავში. რა იყო, რა მოხდა, ვერაფერი ვერ გავიგეთ. მოულოდნელად შემოგვესივნენ და დავცხეს ქვები სტადიონზე. სტადიონზე გვეყენა თვითმფრინავი. ტაშის გრიალით გამოგვაცილეს და მერე დაგვაყარეს ქვები. იქვე გალში არის ვაკე ადგილი და ვთხოვე,

ტრასაზე ჩამოვესვი, რომ დავბრუნებულყავი უკან მანქანით, რომ გამეგო, რა მოხდა. ცენტრალური კომიტეტის მდივანს დაესხნენ თავს, მთავრობის თავმჯდომარეს და შინაგან საქმეთა მინისტრს, მეტი რაღა უნდა იყოს. მოვტრიალდი, უცებ მილიციის უფროსს დავუკავშირდი, გამოვარდა, ხელად გამოვიდა. რა იყო-მეთქი. რა იყო და, თქვენ რომ წახვედითო, მიტინგზე მოვიდა ერთი ქალი აბრამიანი, სომეხი. მე რატომ ხაზს ვუსმავ ამას, რომ რამდენი პროვოკატორი გვყავდა ამ ეროვნულ მოძრაობაში, ხალხს აღიზიანებდნენ, უბრმავებდნენ თვალებს და ჭკუას უტრიალებდნენ, ვერ აგინერთ რა. ყოველ დღე ახალ-ახალი პროვოკაციები. გამოსულა და უთქვია მიტინგზე: ხალხო, მოგტყუათ თქვენ გუმბარიძემ და გორგოძემო, არაფერი მართალი არ უთქვიათო. აგერ ეხლა სოხუმის მატარებელი მოდიოდა, „ელექტრიჩკაო“, დახვდნენ აფხაზი „ბოევიკები“ გალის შემოსასვლელთანო და ქართველ ბავშვებს და ქალებს ისროდნენ ფანჯრებოდაო. ტყუილი, მსგავსი არაფერი არ მომხდარა. შევამონმმეთ, გავიგეთ, მემანქანეს შევხვდით, ველაპარაკეთ. არაფერი მსგავსი არ ყოფილა. ხოდა, ეს ხალხმა დაიჯერა, წამოიშალნენ და ასეთი პროვოკაცია მოგვინყვეს. ეს იყო, გამოირკვა, ქუთაისელი სომეხი ქალი, ჩასული იქ. რა უნდოდა, რაზე დაეთრეოდა იქ, პროვოკატორი. ეხლა იმას საქართველო აინტერესებდა და ქართველი ხალხის ბედი აინტერესებდა? ვილაცის აგენტი იყო, ვილაცის მამაძალი იყო, შპიონი და ჩავიდა იქა და მოაწყო პროვოკაცია. ამისთანა ბევრი გვყავდა, სამწუხაროდ, მიტინგებზე ძალიან ბევრი ხალხი გამოდიოდა ტყუილებით. ეს აღიზიანებდა საზოგადოებას და ეს იწვევდა არასწორი ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისათვის და აქედან იწყებოდა მერე ყველაფერი უბედურება. ასე იყო, თუ ისე იყო, იძულებული გავხდი, მომენვია იქ შინაგანი ჯარები საბჭოთა კავშირის. დაფურეკე ბაკატინს. მაშინ იყო, რომ გადმოაფრინა командующий внутренних войск Советского Союза, გენერალ-პოლკოვნიკი და გამომიგზავნა 5 ათასი ჯარისკაცი.

ნათელა ვაჩნაძე: გვარი ვერ გაიხსენეთ?

შოთა გორგოძე: ეხლავე გავიხსენებ.

ნათელა ვაჩნაძე: ჩანანერები არა გაქვთ, ბატონო შოთა?

შოთა გორგოძე: კი მაქვს, მე წიგნს ვწერ, მაგრამ ნერვები აღარა მაქვს. სულ მინდა ყოველდღე დავუჯდე და აღვწერო ეს ყველაფერი. ...ჩამოვიდა ეს 5 ათასი კაცი და გავანაწილეთ სოფლებში. გადავწყვიტეთ, ყველა სასოფლო გზებზე გაგვეკეთებინა პოსტები, მაგრამ ეს командующий ჯარებს არ გვაძლევს. ჩურკოვი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი აფხაზეთის რესპუბლიკის. ამ ჩურკოვის კაბინეტში ვზივართ და ვწყვეტავთ ამ საკითხებს. ეს მეუბნება: არავითარ შემთხვევაშიო. სანამდე არ გამოაცხადებთ კომენდანტის საათს აფხაზეთშიო, მანამდე არ მოგცემთ ჯარებსო, ისე არაო. მე ვუთხარი, ეს უნდა გამოაცხადოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მე რატომ მეუბნები ამას. ანდა, რა

აუცილებლობაა ამისი. ეს რუსი *командующий* იყო იმათ მხარეს, სხვა-თა შორის, აფხაზებმა აუშენეს იმას „დაჩა“, მთელ ცხოვრებას იქ ატარებდა 9 აპრილის მერე. ეს კაცი წავიდა ჩემს წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები ვიყავით. მეუბნება, არაო, დაძაბულობა არ მოიხსნებაო, თუ არ გამოაცხადებთ კომენდანტის საათით. გუმბარიძეს ვუთხარი, არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმო და არ გამოაცხადო კომენდანტის საათი. ეს გამოინვევდა შემდგომში აფხაზეთის ჩამოცილებას. ეს რუსული პოლიტიკის გაგრძელებაა, შოვინისტი იყო ის ძალიან მაგარი. რატომ არ მაძლევ ჯარებს, მე ვუთხარი. ჯერ ერთი, რომ არის ბრძანება მინისტრის, ჯარები არის ჩემს განკარგულებაში. ასე იყო მაშინ. როდესაც ჩამოდიოდა სხვა რესპუბლიკის ჯარები მეზობელ რესპუბლიკაში, ემორჩილებოდა ოპარატიულად ადგილობრივ შინაგან საქმეთა მინისტრს. ეს ჯარები ჩემს განკარგულებაში უნდა იყოს და არა *командующий*-ის განკარგულებაში. მე შემოძლია ამასთან შეუთანხმებლად მართვა და გამოყენება. ავიღე და მის თვალწინ დავურეკე ბაკატინს და ვუთხარი პირდაპირ იმის გასაგონად, რომ დაძაბულობა მატულობს, პატრონი არ არის. რისთვის ხართ თქვენ მანდაბაო, 5 ათასი კაცი მოგეცი, როგორ მეუბნები ამასო. მე ერთი კაციც არა მყავს თქვენი გამომგზავნილი, მე ვუთხარი, მე ჩემი მილიციით ვარ ჯერჯერობით აქა-მეთქი. როგორ? როგორ და შენი *командующий* აგერ ზის და არ მაძლევს ჯარებს. ეს ატარებს აფხაზების ინტერესებს, მე ვუთხარი. როგორ? მიეცი მაგას ყურმილიო. ის იყო ძალიან ფიცხი. მესმოდა, როგორ აგინა, რა უქნა, გაასწორა მიწასთან. *Есть товарищ министр, есть товарищ министр, понял, понял* სიმწრის ოფლი ასხამს, თეთრი გახდა. *Передайте трубку*, გადმომცა „ტრუბკა“ და ეს ჯარი გადმოვიდა ჩემს განკარგულებაში იმ წუთიდან. გაგიჟდნენ აფხაზები, არ ელოდებოდნენ ამას და ჩავუყენე სოფლებში ეს ჯარი ეგზეკუციასავით. აქედან საზღვრები ჩავუკეტე, შიგნიდან მარწუხები მოვუჭირე, გაგიჟდნენ. მარტო რა უნდა გაეკეთებინა 80 ათას აფხაზს, არაფერი. ხოდა, ისე კარგად წარმართეთ, ერთი თვე ვიმუშავეთ იქა და ჩავანყნარეთ, ჩავაშოშმინეთ. პირიქით, აქეთ იხვეწებოდნენ აფხაზები, რომ ჩვენ ძმები ვართ, მეგობრები ვართ და ასე დამთავრდა ჩემი მოღვაწეობა აფხაზეთში. მერე მე გადავდექი სექტემბერში, შვილი მყავდა ძალიან ავად და ნავედი მოსკოვში. იქ მოვისმინე, რომ შევიდნენ შეიარაღებული ფორმირებები აფხაზეთში, კიტოვანი და ვილაციები. 92 წელი იყო. ველარ შევიკავე თავი და წამოვვარდი – დავკარგეთ აფხაზეთი-მეთქი, იმ წუთში ვთქვი, ჩემი მეუღლეა მოწმე. ჯერ კიტოვანი და ჯაბა ვინ არის და მერე შეიარაღებული ჯარის ჩასვლა? ამით უნდათ დააამყარონ წესრიგი? დაკარგულია აფხაზეთი. ავლელდი, კაცს აღარ ვგავდი. ჩვენც შეგვეძლო შევსულიყავით, მაგრამ ასე არ შეიძლებოდა. ამის მოწმე მე არ ვყოფილვარ, მაგრამ როგორც მომიყვინენ, მარადიურობა როგორ დაინყეს, ოჯახებში შედიოდნენ, აუპატიურებდნენ ქალებს მამაკაცი-

ბის წინაშე ნარკომანები და ვილაცა „მალჩიშკები“, უბედურება ტრი-  
ალებდა. ამით აფხაზეთის ჩემი ეპოპეა დამთავრდა და მე მონაწილეობა  
ალარ მიმილია, მეტი არ ვიცი. როგორ არ ვიცი, ინფორმაციები მაქვს,  
რაც ხდებოდა ვიცი, მაგრამ მონაწილეობა არ მიმილია. შევარდნაძე იქ  
რომ შედიოდა, მე არ ვამართლებ მაგას, ვითომ მატარებლების დასა-  
ცავად, იცით, როგორ ხსნიან ამას ეხლა? რომ მატარებლებით ტვირთი  
მოჰქონდათ ერევანში...

ნათელა ვაჩნაძე: სომხეთისათვის და სომხებმა განაცხადეს პროტესტი, ჩვენ  
დავრჩით მშვიდები, ქართველებმა გადაკეტეს გზა სამტრედიასთან.  
მერე ეგ მართალია?

შოთა გორგოძე: არ არის მართალი. შე კაი კაცო, თუ გინდა შესვლა, ჯერ  
საზღვრები ჩაკეტე. მე გიყვი ხომ არ ვიყავი, საზღვრები რომ ჩაკეტე.  
მწერვალის თვისებაა, ვინც მწვერვალზე პირველი ავა და დაიჭერს  
მწვერვალს, ის გამარჯვებული გამოდის ყოველთვის. ყაბარდოელები,  
ჩეჩნები გადმოდიოდნენ გადასასვლელებზე, მაგრამ მე ვუთხარი  
ჩვენს ბიჭებს, ისროლეთ ჰაერში ავტომატის ჯერი, რომ გაიგონონ,  
რომ მწვერვალს ჩვენს ხელშია. იყურებოდნენ ქვევიდან და რომ დაარ-  
წმუნდნენ, რომ საზღვარი ჩვენს ხელშია, ცხვრის ფარასავით მიტრი-  
ალებდნენ და წავიდნენ უკან. ესე რომ გაეკეთებინა, მაშინ კი, ბატონო.  
ჯერ საზღვრები ჩაკეტე, აქედან შენ შედი და მერე მოუარე შენს ხალხს  
იქა. ამან საზღვარი ღია დატოვა, ყველა, ძალი და ღორი შემოდიო-  
და რუსეთიდან, ადღერის მხრიდან. ჩემი „კურსანტები“ წაუყვანიათ  
ფრონტზე და 18 წლის პატარა 26 ბიჭი ჩახოცეს იქა, გაგრაში.

ნინო თომაძე: ბატონო შოთა, ამბობენ, რომ შევარდნაძეს დავალება ჰქონდა  
რუსეთიდან მიღებულიო, რომ აფხაზეთი ჩაებარებინა. თქვენ რა აზ-  
რის ხართ?

შოთა გორგოძე: ვერ დავიჯერებ ამას.

ნინო თომაძე: აბა, ამხელა შეცდომა რატომ მოუვიდა?

შოთა გორგოძე: შეცდომა კი არ მოუვიდა, მეტი არ იცოდა, Военный стратег  
უნდა იყოს. მას გვერდში უნდა ჰყოლოდა სამხედრო პიროვნება, რო-  
მელიც უხელმძღვანელებდა ამას. ძალიან ნიჭიერი კაცია, ოცდაათი  
წელი ვიმუშავე მასთან, მაგრამ გამოუცდელიობითა და უცოდინარო-  
ბით მოუვიდა ყველაფერი.

...მოგახსენეთ, რომ ჩემი ეპოპეა დამთავრდა აფხაზეთში. ამის მერე  
მე აფხაზეთში ფეხი არ ჩამიდგია. ინფორმაციები გამიგია სხვადასხვა  
წყაროს საშუალებით, მაგრამ მე მონაწილეობა არ მიმილია და ამიტომ  
მე იმ ინფორმაციას ვერ გადმოგცემთ და ვერ დავადასტურებ. როდე-  
საც იძაბებოდა მდგომარეობა საქართველოში, ჯერ კიდევ ჩემს პოს-  
ტზე რომ ვიყავი, ყოველთვის მივმართავდი ხოლმე ედუარდ შევარდ-  
ნაძეს მოსკოვში, როდესაც ის იყო პოლიტიბიუროს წევრი, საგარეო  
საქმეთა მინისტრი. მის ხელში გაზრდილი ვიყავი, დიდ პატივს ვცემ-  
დი, ისიც დიდ პატივს მცემდა და მინდოდა კონსულტაციები. იმიტომ,

რომ ისეთ ვითარებაში ჩავვარდით, რესპუბლიკას პატრონი არ ჰყავდა. ცენტრალური კომიტეტი არაფერს აღარ აკეთებდა, მინისტრთა საბჭო არაფერს არ აკეთებდა, მოსკოვმა ხელი ჩაიქნია ჩვენზე და დავრჩით ქუჩაში. მილიცია აქეთ, მილიცია იქით. ჩაუკეტავდნენ რაიოკომის მდივანს კარებს, აუჭედავდნენ, აბა, გორგოძე გვიშველე. ჩაუკეტავდნენ პრეზიდენტის თავმჯდომარეს კარებს, არიქა, გორგოძე გვიშველე. ჩაგვაგდებდნენ სადღაც ძეგლებს, აბა, გორგოძე გვიშველე. და ბოლოს ვიყავი ძეგლების დამცველი და კარების გამხსნელი მინისტრი, ეს იყო ჩემი მოვალეობა. ანეგდოტი რა, ამომივიდა ყელში ყველაფერი. ერთ მშვენიერ დღეს შევედი კაბინეტში, 8 საათია და მირეკავს ბაკატინი. Что за у вас такой бардак там? Какой бардак? Вчера, вы не в курсе, что в Гулрипшском районе только збили 25 бюстов Ленина и памятников? სად იყო ამდენი, არც ვიცოდი. ეს ყველაფერი გაუბოჭიათ ერთ ღამეს და გადაუგდიათ წყალში. ეროვნული მოძრაობის მეტი ვინ გააკეთებდა. У меня пока нет такой информации. А что вы там занимаетесь, почему нет информации? ხომ იცით, ქორს აფრენა რომ უნდა და ხელის აქნევას რომ ელოდება, ესეთ დღეში ვარ და მინდა, რომ ახლა შევასკდე ამას, რადგან ასეთი სიტყვა რომ იხმარა – бардак. მე ვუთხარი მაშინ: Знайте что, вы сначала наведите порядок у себя там в Центральном Комитете в Москве, в Кремле наведите порядок и у нас будет порядок. Все что здесь происходит, начинается от вас. Когда вы по центральному телевидению показывали, как жечь портреты Ленина и что вы хотите от периферии? ნითელ მოედანზე რომ დაწვეს ლენინის სურათი, ეს ის არის. დავუგდე ყურმილი და დავამთავრე ამით ჩემი მოღვაწეობა, მინისტრს ვეჩხუბე, ჩემი გაჩერება აღარ შეიძლება, ვილა დამტოვებს, მეც აღარ დავრჩები უკვე. მაპატიეთ და შეგინებამდე მივედით ერთმანეთზე. ეხლა ველოდები იმას, რომ პატიაშვილი უნდა მოვიდეს ცეკაში, უნდა მოვახსენო, რომ ასეთი მდგომარეობაა და მე გადავდექი და წავედი. მინისტრთან ასეთი კონფლიქტი მაქვს და არ შეიძლება ჩემი აქ მუშაობა. ველარ ვპოულობ ადგილს კაბინეტში და დავდივარ, დავდივარ და მირეკავს მორიგე აპარატი. ვიფიქრე, ეხლა კიდევ მინისტრი და მივვარდი, თუ დამინყებს შეგინებას, მე დავასწო შეგინება. თქვენ წარმოიდგინეთ, მოხდა სასწაული. Шота Варлаамович, дорогой, не обижайтесь на меня, ныали დამასხა თავზე. მე ვუთხარი, რა იყო. Время у нас очень сложное, видите, что творится во всех республиках, такой бардак у нас. Не обижайтесь на меня. Давайте, останемся друзьями. Тогда вы меня тоже извените, товарищ министр. ვუთხარი პატიაშვილს, ასეთი შემთხვევა მქონდა-მეთქი. ამის მერე მოვიდა ასეთი ინფორმაცია, რომ 90 წლის 25 თებერვალს ეროვნულმა მოძრაობამ გადაწყვიტა, ჩაეტარებინა მიტინგი. მათ უნდათ ეს მიტინგი ჩაატარონ მთავრობის სასახლის წინ, სადაც მოხდა 9 აპრილი. ეხლა ეს უნდა გადაწყდეს, მაგრამ გუმბარიძე ამის გადამწყვეტი არ არის, მეუბნება, შენ გადაწყვიტეო. რა ვქნა? ძალიან

ახლოს ვიყავით ჩვენ 9 აპრილის შემდეგ ბიჭებთან, იგივე ზვიადთან, ნერეთელთან, ყველესთან ძალიან ახლოს ვიყავი. მოდიოდნენ ჩემთან, მეც მივდიოდი მათთან, შევაჯერებდით ინფორმაციას, რომ რამე არ მომხდარიყო ცუდი. ასე იყო, თუ ისე იყო, დავრთე ნება და ეს იყო უკვე სანქცირებული მიტინგი. შემპირდნენ, რომ 4 საათზე დავინწყებთ და 6-ზე დავასრულებთო. მიდის გეგმით მიტინგი, ოპერატიული ინფორმაცია მქონდა წინდანინ, ვის არ უნდა ეთქვა და მაინც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ „რეზერვაციებს“ ვსვამდით ძერჟინსკის კლუბში, რამე რომ ყოფილიყო, თავდასხმა მთავრობაზე ან რალაცა, რომ უცებ გვყოლოდა под рукой შეიარაღებული ძალები. „რეზერვაციების“ უფროსად გვყავს დაყენებული შალამბერიძე გრიშა, ქალაქის სამმართველოს უფროსი იყო იმ პერიოდში, „პატარა კუბოს“ ეძახდნენ. მისი მამა იყო ძველი ჩეკისტი, ქუთაისის სამმართველოს უფროსი იყო, ბერიას დროს მუშაობდა. ძალიან კარგი კაცი იყო, მეც მოვუსწარი, როცა მუშაობდა. იმას ეძახდნენ „დიდ კუბოს“, მიუკარებელი ხალხი იყვნენ მამა-შვილი. ერთ ნაბიჯს უკან ვერ დაახევინებდი, რასაც იტყოდა, უნდა მიეტანა ბოლომდე. მთავრდება მიტინგი ის-ის არის, ნორმალურად მიდის ყველაფერი, ღამდება, 6 საათია, იშლებიან ნელ-ნელა და ამ დროს მირეკავს ერთი აგენტი და მეუბნება: თქვენ თუ ხართ საქმის კურსში, რომ ეგენი მიდიან ლენინის მოედანზე და ძეგლს ჩამოგიგდებენო. არამეთქი. ნამდვილად ვიცხო. მე ვუთხარი, არასწორია ეგ ინფორმაცია, რატომ არ მქონდა აქამდე მე. ეხლა გავიგე მეო. ავიღე, დავურეკე გუმბარიძეს. ვეკითხები: ასეთი ინფორმაცია მაქვს და იცით-მეთქი? არაო, არ გამიგია, პირველად შენგან გავიგეო. ვკითხოთ კგბ-საო. ტარიელი იყო ლორთქიფანიძე, ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი იყო. იქიდან წამოიყვანეს და დასვეს კგბ-ს უფროსად, კარგი კაცი, პატიოსანი, მაგრამ ოპერატიული მუშაობის არაფერი რომ არ იცოდა. თვითონ ტიროდა, რა მინდოდა აქაო. იმიტომ აირია ყველაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: არც იმან არ იცოდა?

შოთა გორგოძე: არ იცოდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ უკეთესი მოენეები გყოლიათ, ვიდრე იმას.

შოთა გორგოძე: იმიტომ, რომ დაიშალა ეს ძველი კოლექტივი, ინაური რომ წავიდა, დაიშალა. იქ ისეთი ბიჭები მუშაობდნენ, ბუზი საიდან გაფრინდებოდა, იმას გებულობდნენ. მოვიდა ტარიელი და იმან თავისი ხალხი მოიყვანა, ვილაც-ვილაცეები, ძველები გაუშვა და ჩავარდა ოპერატიული მუშაობა და, რალა თქმა უნდა, ინფორმაცია აღარ იყო. ხო, რა მითხრა კიდეც, „კრანი“ ჰყავთ მზადო. ახლო-მახლო ქუჩაზე უნდა იყოს „კრანი“, მოიყვანენ და ჩამოაგდებენ ძეგლსო. ძალიან ცუდი სიგნალი იყო. მე ვუთხარი ამას, აიყვანე ასი კაცი იმ ათასი კაციდან, ახლო-მახლო ქუჩებში ათ-ათი კაცი, ჯგუფები გაუშვი და ყველგან ეძებეთ „კრანი“. სადაც იქნება „კრანი“, დამირეკეთ და მე იქ გავჩნდები, მე ვუთხარი. მეც ავდექი და, ყოველ შემთხვევაში, კაბინეტიდან ჩავედი ფეხით.

ხალხი მიდიოდა, მომიტინგეები, გავყევი და შევუერთდი, მივედი და ლენინის ძეგლთან დავდექი. ჯერჯერობით ჩვეულებრივად მოძრაობაც არის და ეს მომიტინგეები მოდიან ნელ-ნელა. ერთ ათ წუთში 20 ათასი კაცი შემოეხვია ამ ლენინის ძეგლს, გადაიკეტა მოძრაობა, შეურთდნენ გამვლელები, გამოვლელები სეირის საყურებლად. მიტინგზე მაშინ უფრო მეტი სეირის მაყურებლები იყვნენ, ვიდრე მომიტინგეები. სახელდახელო ტრიბუნას ამზადებს ირაკლი წერეთელი ცეკავშირის წინ, რომ იქ უნდა გამოვიდეს სიტყვით. დავალებული ჰქონდა ირაკლის ეს აქცია ზვიადისგან. ერთად მოილაპარაკეს, რა თქმა უნდა, მაგრამ ზვიადი არ გამოვიდა იმ მიტინგზე, გამოიყვანა ირაკლი. ავიდა ტრიბუნაზე, ზვიადიც გვერდში უდგას და გამოაცხადა, რომ ამ სატანას საქართველოში რა უნდაო, ეს უნდა ჩამოვაგდოთ. ხოდა, ემზადებიან, მაგრამ ჯერჯერობით არც „კრანი“ ჩანს, არც მე არავინ არ მირეკავს. უცებ შოფერი მეუბნება, შალამბერიძე გეძახის ტელეფონზეო. ეხლა სადაც გინდა რომ არის ტელეფონი, ესე კი არ იყო მაშინ. მანქანაში მქონდა რაცია და „ალტაის“ ტელეფონი. ეგ იყო ჩვენი სიგნალი, მეტი არაფერი. მივედი, რა იყო-მეთქი, გრიშა სადა ხარ. მაიდანში ვარო, „კრანი“ ჰყავთო მზადო და მოდიანო. ეხლა უნდა მივიღო გადაწყვეტილება. სანამდე მე იქ ჩავალ, იმას გადმოატარებენ, თანაც უფორმოდა ვარ. ვუთხარი: გრიშა-მეთქი, ამოიღეთ პისტოლეტები სასწრაფოდ და ყველა „პაკრიშკა“ ჩაცხრილეთ. კარგია, კარგიაო. იმედი მაქვს, რომ შეასრულებენ ამ დავალებას და „კრანი“ ვეღარ ამოვა, სადღა გამოცვლიან, ასე უცებ სად იშოვიან ამ ღამეში. წყნარად ვარ და ირონიული ღიმილით ვადევნებ ამ ტრიბუნას თვალს. გამოდიან და ეხლა „კრანი მოვა და... კი, მოვა, ჩემთვის ვლაპარაკობ. ბიჭოს, ერთ ათ წუთში ვხედავ, პუშკინის ქუჩიდან ვუუ და... პროჟექტორები და... ვეებერთელა „კრანი“ არ მოდის. თურმე ამ იდიოტს ვერ შეუსრულებია, შეშინებია. ისე სწორი გააკეთა, მართალი რომ გითხრათ, იმიტომ, რომ იცავდა სულ ახალგაზრდობა. „პაკრიშკას“ კი ესროდა, მაგრამ იმას აქვს „დისკები“ ფოლადის. იქიდან ტყვია რიკოშეტით საით ნავიდოდა, ღმერთმა იცის. წამოვიდა ეს და ტაშის გრიალი ატყდა, „კრანი“ მოვიდა, თანაც პროჟექტორებით, სიგნალებით მოდის. პირდაპირ წამოვიდა ძეგლზე, ძლივს გადავასწარი. შევხედე, ჩემს ბედზე მძლოლი ზის მარტო. ვიფიქრე, ვინ უნდა იყოს, ვერ გავუმკლავდე. ფიზიკურად მომზადებული ვიყავი, მოჭიდავეც ვიყავი, ცხენოსნობაშიც გამოვდიოდი. შევუვარდი კაბინაში მეორე მხრიდან. თანაც შევხედე, ვერზილა, კარგი დიდი ბიჭია. რომ არ ეცნოთ, სახეზე აქვს ჩამოცმული თეთრი „ჩულქი“ და თვალები აქვს ამოჭრილი მხოლოდ. სანამ ჩამოადგებს, ერთი ნახევარი საათი მაინც უნდა. ამიტომ დავუჭირე მარჯვენა ხელი. ცოცხალი თავით ამას არ ჩამოგადებინებ შენ, ჩადი, შე მამაძაღლო, მე ვუთხარი, როგორ ბედავ. მიყურებს და ამ ხელს ვეღარ მართმევს. ვართ ესე ძიძგილაობაში. ის იქით მექაჩება, მე

აქეთ ვექაჩები. ერთი 15 წუთი გავიდა. ხალხი ელოდება, გაისუსა ხალხი. ამ დროს გააღეს კარები „ლანირაკმა“ ბიჭებმა, მტაცეს ამ მკლავში ხელი და მაგდებენ ძირს. გამოდი და... თან მაგინებენ, ყველა ხომ არ მიცნობს, მაინც ვერ დამითრიეს. ამ დროს ჩამოიარა გიორგაძე მამუკამ. დავუძახე, ამის ღირსი ვარ? დაუძახე ირაკლის-მეთქი. ირაკლიმ ალბათ იფიქრა, ეს მაინც არ გადავიკიდოო და გაუშვით ხელი ამა-სო და მომაშორა. გამოალო კარები, გადმოაგდო, აგინა. მე შენ ხომ გითხარი, 45-ტონიანი „კრანი“ მოიყვანე, ეს რა მოგიტანაო, 15-ტონიანი. ამით აპირებ გადმოგდებასო. ხომ იცით, მიზეზ-მიზეზ. მე შენ საკითხს განვიხილავ პარტიის კრებაზეო. ჩამოვდივარ და ხალხმა, ვინ ხარ, შე იდიოტო, შე კრეტინო, შე ასეთო, შე ისეთო. ამ დროს კგბ-ს ბიჭებს ვხედავ, წინიდან მოდიან, სურათებს გვიღებენ. კი არ მოგეხმარებოდნენ. ჩემი მაშინდელი მოადგილეები და სამმართველოს უფროსები, რომ ნახეს ამ დღეში ვარ, გაიპარნენ. შალამბერიძე, გვარამია, პოლკოვნიკები, სუყველა გაიპარნენ და მიმატოვეს იქა. მარტო წერეთელი მომეშველა, მეტი არავინ. ავდექი და... ამის დამდგმელის დედაც, ამის დედაც და თქვენი დედაც, რომ მაგინეთ-მეთქი. ეს რომ ვთქვი, ატყდა სიცილი, ხარხარი. რომ ლენინს შევაგინე, ეს მოენონათ. მოცვივდნენ და გამიხსნეს კორიდორი და მიყვევარ ექიმთან. ამ დროს მესმის, ფანჯრებიდან ყვირიან: შოთა ვარლამოვიჩ, შოთა ვარლამოვიჩ, აქ ამოდი. შევხედე, გუმბარიძე, ჭითანავა, მგელაძე, საჯაია, მთელი ბიურო თურმე იქ არის და სეირს უყურებენ იქიდან. აბა, მე ვაჯობებ, თუ ის აჯობებს. თუ გავიმარჯვებდი მე, ესენი იყვნენ გამარჯვებულები, თუ წავაგებდი მე, დაითესებოდნენ, წავიდოდნენ. აი, ესეთ დღეში ჩამაგდეს. რომ შევხედე, რომ ესეთ დღეში ვარ და ესენი არ მომეხმარნენ და ეხლა მეძახიან, წადით, თქვენი დედაც, თქვენი პოლიტბიუროც, თქვენი კაცობაც, თქვენი ნამუსიც. ხმამაღლა ჩახლეჩილი ხმით შევუკურთხე და წავედი. ეს რომ გაიგონეს ამათ, რომ შევაგინე, თქვენი ბიურო, სულ ტაშის გრიალით გამიხსნეს გზა და მიმიყვანეს კაბინეტამდე. დავუძახე მორიგეს, პალტო გავახდევინე და ამ დროს მორიგე შემოდის – თქვენთან ერთი ახალგაზრდა ბიჭია მოსული, რალაც საჩქაროა გადასაცემიო. კი, ბატონო-მეთქი, შემოიყვანეთ. შემოვიდა ერთი პატარა ბიჭი. მაძლევს დაკეტილ კონვერტს ხელში და თვითონ გარბის. მე ვუთხარი, არ ნახვიდე, მორიგეს ვუთხარი, არ გაუშვა. შეიძლება ასაფეთქებელია, შეიძლება დანომრილი ფულია, რა იცი, რა დროა, ათას პროვაკაციებს უწყობდნენ მაშინ ხალხს. ვუთხარი, გახსენი შენი ხელით. გახსნა, ამოიღო მორიგემ და ნაიკითხა — ლექსი. წერია: „მალე შეიტყობს მსოფლიო, საქვეყნოდ გამოჩენილი, დიდი ლენინი რომ არის, გორგოძის გადარჩენილი“ – რუსლან მიქაბერიძე. მომაცოლა ლექსი უკან, გამაშაყირა. ასე დამთავრდა ლენინის ძეგლის ისტორია. ამას უკავშირებენ მოსკოვთან კავშირს. ეხლა აგიხსნით. მეორე დღე გათენდა, მოვდივარ კაბინეტში და მირეკავს წერეთელი: ჩვენი პარტიის

ერთ-ერთი წევრს შენთან შეხვედრა უნდა, პატარა დახმარება უნდა შენგანო და თუ შეიძლება მოვიდესო. მე ვუთხარი: ეხლავე ამოვიდეს-მეთქი. ხომ მომეხმარა წინა დღეს და ახლა რაღაცა შემომანერა იქიდან. გაიღო კარები და მოდის ერთი ახალგაზრდა ახმახი კაცი, ძალიან მოკრძალებულად მოაბიჯებს ფეხს. ვუკვირდები, კაცო, ეს ის „კურტკა“ არის, რომელიც ეცვა იმას, „რულზე“ ვინც იჯდა. ცოტა კი ჩამეცინა და იმასაც ეღიმება. რატომ გეცინებათ, ბატონოო, მეკითხება. მე ვუთხარი, ბიჭო, რაღაცა შენ იმ კაცს გავხარ, ის ხომ არა ხარ შენ. მე ვარ, ბატონოო, მითხრა. რა გვარი ხარ შენ, ბიჭო. ჩხეიძე ვარო. სადაური ჩხეიძე ხარ. ზესტაფონელი. ხოდა, შე იდიოტო, მე ვუთხარი, ეს ორი იდიოტი ზესტაფონელი რომ ვიკლავდით თავს ამ სულელი ლენინის გამო, ჭკუა ან შენ გქონებოდა თავში, ან მე, მე ვუთხარი. გავიცანი ეს ბიჭი, ძალიან კარგი ბიჭი აღმოჩნდა, ირაკლის პარტიაში იყო თურმე. მამა ჰყავდა ომის ინვალისი ზესტაფონში, სოფელში. ამ დროს ზესტაფონში რაიკომის პირველი მდივანი იყო ჩემი ძმა ჯემალ გორგოძე. იქ ჰქონია პრობლემები სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით. იმ დღესვე დაფუკავშირდი ჩემს ძმას, რომ დახმარებოდა. იმ დღიდან ეს გელა ჩხეიძე და მე გავხდით მეგობრები. დღე არ გავა ისე, ორჯერ რომ არ დამირეკოს მოსკოვში. ...გადავწყვიტეთ, რამენაირად რომ შევინარჩუნოთ ლენინის ძეგლი, უნდა დავაყენოთ სიგნალიზაცია. ფუნიკულიორის ჩამოსასვლელიდან, სამადლო რომ არის დავითაშვილზე, იქ ცოტას რომ ჩაჰყვებით, არის პატარა ხვრელი, ერთმეტრიანზე მეტი. იქიდან შემოდიხარ ლენინის მოედანზე გვირაბით. მოედნის ქვეშ არის ქვეყნისხელა ქალაქი, კომუნიკაციები იქ გადის. წავიყვანე ბიჭები პროჟექტორებით, დავათვალიერე, რომ ან დამეცვა ძეგლი, ანდა რაღაცა მიზეზით აგველო ძეგლი იქიდან. ვუთხარი გუმბარიძეს, მე და ჩემი ბიჭები ვიმუშავებთ, ძირს გამოვუთხრით და მეორე დღეს დახვდებათ ლენინის ძეგლი გადახრილი-მეთქი. თქვენ გაქვთ მერე იმის უფლება, რომ გამოაცხადოთ, რომ რეკონსტრუქცია უნდა იმიტომ, რომ ჩაინგრა. ვიდრე ეგ ლენინის ძეგლი არის, ეგ პრობლემა არ მოიხსნება, ანდა სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ-მეთქი. მოეწონა, მაგრამ არაო, ეგ რომ გავაკეთოთ ჩვენ, მიხვდებიანო. მშიშარა კაცი იყო, ამაშიაც კი არ დამეთანხმა. რა უნდოდა ამის გაკეთებას, მე ვიღებდი ჩემს თავზე. მე ჩავანგრევე ამას და შენ მხოლოდ დადგენილება მიიღე, რომ რეკონსტრუქცია უნდა მოედანს. არ ქნა. იძულებული ვიყავი, გავაკეთე სიგნალიზაცია. დაახლოებით ათი მეტრის მანძილიდან, ძეგლს ვინც მიუახლოვდებოდა, იმ ნუთში ნათურა აინთებოდა. ეს იყო OBP-ის შენობაში, ოქროსულობის მაღაზია რომ იყო, იმის გვერდით. გავიდა ეს ხმა გარეთ, ხომ იცით, ჩვენთანაც იყვნენ გამყიდველები და მამაძალეები. გორგოძემ სიგნალიზაცია გააკეთაო და რამდენი ვინმე გაივლის, ყვირის: შოთა, მიშველე, შოთა, მიშველეო. მერე მარნეულში ჩამოაგდეს ძეგლი, კახეთში და კიდევ სადღაც და სადღაც. ავდექი, გავფრინ-

დი მოსკოვში. დავურეკე შევარდნაძეს, ჩამოსვლა მინდა და ჩამოდიო. ჩავედი, ავუხსენი ვითარება და ვუთხარი: თუ აღარ იქნება ეს პარტია, თუ აღარ იქნება ეს წყობა... თქვენი გაზრდილი კაცი ვარ, ხომ არ მილა-ლატია ცხოვრებაში. კაცურად მენდე, ჩავალ და იმას, რასაც ხალხი თხოულობს, რაც კანონიერი მოთხოვნა არის, ჩვენი ხელით გავაკეთებთ ისევ, ჩვენი კადრებით გავაკეთებთ ამას ჩვენს ხალხთან ერთად და აგვცდება ეს უბედურება-მეთქი. იმან იცოდა ჩემი პრინციპული ხასიათი. წამოდგა ზეზე, ბეჭზე დამარტყა ხელი, დამანყნარა და წადი, შოთაო, სამი თვე გაუძელიო და სამ თვეში ყველაფერი შეტრი-აღდებაო.

ნათელა ვაჩნაძე: როდის გითხრათ?

შოთა გორგოძე: ეს არის მარტი 90 წლის.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. 1990 წლის 28 ოქტომბერს მოდის გამსახურდია მრავალპარტიული არჩევნების გზით. სამ თვეში რა შეიცვლებაო?

შოთა გორგოძე: აღდგება ეს წყობა ისევ, როგორც იყოო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ძალიან საინტერესოა.

შოთა გორგოძე: მისი სიტყვებია ესა. ორი საათი ვისაუბრეთ ამ თემაზე და რომ დარწმუნდა, რომ მე ხელი მაქვს აღებული და ველარ გავუძლებ ამ ამბებს, წამოხტა სკამიდან და დამანყნარა. ისეთი კაცია, ისე მოგიდგება, რომ ეშმაკს დააბამს, ისეთი მიდგომა აქვს ადამიანებთან. ის მითხრა, რომ გაუძელი სამი თვეო და ისევ აღდგება, როგორც იყო, ძალიან ლამაზად და კარგადო, საბჭოთა ხელისუფლება ისევ ძალაში შევაო. მაშინ ჯერ დანგრეული არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: საბჭოთა კავშირმა მერე მთელი 90 და 91 წელი იარსება.

შოთა გორგოძე: მერე ელცინმა დაშალა. ...მე ვიფიქრე, ბოლო სამი წელი გავუძელი და სამ თვეს როგორ ვერ გავუძლებ-მეთქი და ამიტომ გადავწყვიტე დაბრუნება. მაშინ ვუთხარი შევარდნაძეს: კარგი, მჯერა თქვენი და წავალ-მეთქი, სამ თვესაც გავუძლებ-მეთქი. დანყნარდი, შოთა და ყველაფერი კარგად იქნებაო.

ნათელა ვაჩნაძე: რისი იმედი ჰქონდა? რა საინტერესოა.

შოთა გორგოძე: არ ვიცი. აი, რა მომენტი დადგა მერე. ჯაბა რომ იძახის, მე ჩამოვიყვანე შევარდნაძეო. ჯაბამ კი არ ჩამოიყვანა, მე ვუთხარი: ედუარდ ამბროსოვიჩი, ძალიან ცუდი მდგომარეობაა საქართველოში, ძალიან ცუდი. ამას არავინ არ ელოდებოდა და მე გირჩევთ, თქვენ თუ არ დაბრუნდებით საქართველოში და ამას არ მიხედავთ, მერე გვიან იქნება ძალიან. ეხლა უნდა თქვენი ხელი იქა-მეთქი. იცით, რატომ ვუთხარი ესა? შოთაო, ქართველ ხალხს ეხლა უნდა შენი ხელიო და ეხლა ნუ იზამ ამასო. ჩემი ხელი კი არ უნდა, თქვენი ხელი უნდა-მეთქი. იმიტომ, რომ თქვენს მერე პატიაშვილმა 9 აპრილის გამო ქუდი დაიხურა და ყველაფერი გაფუჭდა, გუმბარიძემ არაფერი არ შეცვალა და არაფერი მაგისგან არ გამოვა, მე ვუთხარი, აბსოლუტურად. ინგრევა, რასაცა უნდა, იმას აკეთებს ყველა. ამიტომ თავის დროზე თუ ჩამოხ-

ვალთ, ძალიან კარგს იზამთ-მეთქი. რა მითხრა, იცით? რა სტატუსით უნდა ჩამოვიდე იქაო. ამას მოვიფიქრებთ, რა სტატუსი უნდა-მეთქი. მე ვუთხარი, მე მაქვს ინფორმაცია უტყუარი, არ მკითხო ოლონდ, საიდან-მეთქი, რომ თქვენ ცოტა ხნის მერე ამ ადგილიდან მაინც გაგანთავისუფლებენ-მეთქი. შეცბა. იმან იცოდა ჩემი უტყუარი ინფორმაციების ამბავი. საიდანო? ვიცი-მეთქი, ნუ მათქმევინებთ, საიდან ვიცი, მაგრამ ვიცი-მეთქი. თქვენ ვერ აგიტანათ რუსმა ხალხმა ქართველი კაცი ამ არენაზე. მსოფლიო არენაზე დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეთ, თქვენ უფრო წინ დგახართ ეხლა, ვიდრე პარტიის ლიდერი და ამიტომ არ გაპატიებთ ამას რუსი ხალხი, როგორც სტალინს არ აპატიეს და მოთხარეს. ამიტომ ვიდრე დრო არის, წამოდი-მეთქი. მე ისიც ვიცი, რომ აქედან მოგხსნიან და ვიცე-პრეზიდენტად დაგაყენებენ და ვიცე-პრეზიდენტი ეს არის თავში წამოსარტყმელი ადგილი-მეთქი. პრეზიდენტი იქნებოდა გორბაჩოვი. მითხრა: შოთაო, მე გორბაჩოვს ამის შესახებ ველაპარაკე თვითმფრინავშიო, როდესაც მოვდიოდით გერმანიიდანო. ახალი ჩამოსულები იყვნენ. მე ვუთხარიო, თუკი მე ზედმეტი ვარ და აღარ ვარ საჭიროო, მე გადავდგები და წავალო. და რა მითხრა, იციო? Не вер этих сплетником, сиди и работай. მერე შენ გჯერა გორბაჩოვის სიტყვები? გორბაჩოვი არის მატყუარა კაცი, შენ დარწმუნდებო ამაში, მე ვუთხარი. ასე დავშორდით ერთმანეთს. ის სამთვიანი გარანტია ხომ მომცა და ველოდები, რა მოხდება სამ თვეში. მოხდა ის, რომ აიღო და გადადგა. ეხლა მე რატომ გეუბნებით ამას. შევარდნაძე ისეთი ეშმაკი კაცია, განათლების დონე შეიძლება იმხელა არა აქვს, მაგრამ ისეთი ოპერატიული ჭკუა აქვს ბუნებით, რომ გადაამონმა ეს ჩემი ნათქვამი, დარწმუნდა, რომ მართლაც ასე უპირებდნენ, გამოვიდა ყრილობაზე და ინივლა და იყვირა: Наступает диктатура и я ухажу. გორბაჩოვმა, თუ გახსოვთ, თქვა, კარგად გაისმა ტელევიზიიდან: Ты смотри, а я хотел его вице-президентом сделать. იქ არაფერი არ ყოფილა, არც დიქტატზე ყოფილა ლაპარაკი, არც არაფერი. ჩემი ინფორმაცია გადაამონმა, დარწმუნდა ამაში და აიღო და გადადგა. ეს არის ისტორიის სიმართლე.

ნათელა ვაჩნაძე: და მე ვფიქრობ, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მამინვე ჩაესახა თავის გენიალურ ტვინში საქართველოში დაბრუნება, მაგრამ რა სტატუსით? ამისათვის უნდა შემზადებულიყო ყველაფერი, ეროვნული ხელისუფლება უნდა გადატრიალებულიყო და ბატონი ედუარდი ჩამოსულიყო, რასაკვირველია, არა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად, არა კომუნისტური პარტიის ლიდერად, არამედ... შეიძლება თვითონ ეს პოსტი მას მოფიქრებული არ ჰქონდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სახელწოდებას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ის პირველი უნდა ყოფილიყო. მე ასე ვფიქრობ. ხომ არ იქნებოდა ვინმე პრეზიდენტი და ის ჩამოსულიყო თავისი ქვეყნის ჩვეულებრივ მოქალაქედ.

შოთა გორგოძე: რა თქმა უნდა, ის პირველობის გარეშე... ასე იქნებოდა. მა-

გრამ მოხდა ისე, რომ გავიდა რამდენიმე ხანი და შევარდნაძე დაბრუნდა პოსტზე. შევარდნაძე დაბრუნდა პოსტზე და მნიშვნავს ისევე მინისტრად. სამ თვეში მოხდა ის, რომ გადადგა პოსტიდან, მეტი არაფერი. უარესად დაიძაბა მდგომარეობა საქართველოში. შეიქმნა ეს მრავალპარტიულობანა, ერთმანეთში ქიშპი, მტრობა, რაც სჩვევია ჩვენს ერს ყოველთვის ისტორიულად.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო კონგრესი, ეს იყო ეროვნული ფორუმი, ედუ — უმთავრესი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, გია ჭანტურია. მამუკაც კარგად მუშაობდა, გიორგაძე. კარგად მუშაობდა ირაკლი ქადაგიშვილი, ვანო ხუბუნიეშვილი. აქეთ ჭავჭავაძის საზოგადოება, იქით ირაკლი წერეთლის პარტია, აკაკი ასათიანი — ტრადიციონალისტები, მაგრამ ტრადიციონალისტები „მრგვალ მაგიდაში“ შევიდნენ.

შოთა გორგოძე: ასეთ ვითარებაში შევრჩი მე ჯერჯერობით, ეს იყო 90 წელი. სუსტად არ მახსოვს, შევარდნაძე დაბრუნდა რამდენიმე თვეში.

ნათელა ვაჩნაძე: არა, შევარდნაძე დაბრუნდა ერთი წლის თავზე. მაგრამ მისი ჩამოყვანის გახანგრძლივება შემთხვევით მოხდა, იმიტომ, რომ აქ დატრიალებულმა მოვლენებმა ეს გეგმა შეცვალა.

შოთა გორგოძე: მისი დაბრუნების თარიღები არ მახსოვს, არ ვიცი. მხოლოდ ვიცი ერთი რამე, რომ 1990 წლის სექტემბერში, როდესაც ახლოვდებოდა უკვე „მრგვალი მაგიდის“ არჩევნები, საარჩევნო მზადება მიდიოდა ძალიან მაგრად „მრგვალი მაგიდის“ მხრიდან და არავითარი კომუნისტური მოძრაობა არ შეიმჩნეოდა. რაიკომები, აღმასკომები, ცეკა, ტეკა არავითარ ზომებს არ ღებულობდნენ არჩევნებში მისაღებად. ამ დროს მიმდინარეობდა ფალსიფიკაცია საარჩევნო ურნების. ზოგიერთ ადგილას, ჩემი უტყუარი ინფორმაციით, საარჩევნო ოლქებში წინდანინ, სადაც ძალიან სანდო ხალხი ჰყავდათ, ეს ურნები შეიტანეს, ჩაყარეს შიგ შევსებული ბიულეტენები „მრგვალი მაგიდის“ სასარგებლოდ და შეინახეს. მერე არჩევნების წინ დაგიდგამდნენ და გეტყობდნენ, 97 პროცენტისანი მოგება ჩვენიაო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ მაინც გავიდოდა ობიექტურად?

შოთა გორგოძე: მე ეჭვი უკვე აღარ მეპარებოდა, იმიტომ, რომ კომუნისტები, აკი გითხარით, არაფერ ზომებს არ ღებულობდნენ. არც ცეკა მუშაობდა, არც ტეკა მუშაობდა. მილიცია ერთი...

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო შოთა, სხვათა შორის, რასაც ეხლა თქვენ ბრძანებთ, ეს მე არც ისე დიდი ხნის წინ თბილისიდან დამირეკა ვალერიან ადვაძემ და მითხრა, რომ... ძალიან მიკვირს, ნაკითხული ჰქონდა... მე მაქვს ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ძველი ქართულიდან რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანი და ამაზე დამინყო ლაპარაკი...

შოთა გორგოძე: ასეთი ინფორმაცია მივიღე, რომ გაყალბებული ურნები დგას ზოგიერთ საარჩევნო ოლქებში, წინასწარ მომზადებული. შევკრიბე ხალხი, უნდა გავანაწილო ჯგუფებად, რომ ამაღამ ამოვიღოთ ეს გამზადებული ურნები და ხვალ დილით გამოვიდე ტელევიზიით და

ხალხს ვაჩვენო, აი, როგორ მიმდინარეობს დემოკრატიული არჩევნები საქართველოში. ამით ის მინდოდა მეტქვა, რომ ჩვენ მოგვეპოვებინა მილიციის ძალებით დაცვის უფლება საარჩევნო ოლქებში, სადაც არ გვიშვებდნენ უკვე. ადრე, გახსოვთ, კომუნისტების დროს დაცვა იყო, ამათმა აკრძალეს, მილიციას არ უშვებდნენ იქა. ამ მიზეზით აკრძალეს, რომ ასეთ რამეს აკეთებდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: სხვა ქვეყნებში როგორ არის, მილიციით გარშემორტყმულია?

შოთა გორგოძე: გარშემორტყმულია, აბა რა არის. საერთოდ, წესრიგის დასაცავად ყველგან ესე არის. ...ამ ღონისძიებას ვაპირებ, მაგრამ ხომ ვერ ჩავატარებ ამას, პოლიტიკური აქციაა თავისთავად. არ ატარებს ის და იძულებული ვარ, მე გავაკეთო. მე რატომ ვარ ნაწყენი, იცით? საბჭოთა კავშირს ზურგს უკან ანგრევდა თურმე შევარდნაძე, ასე გამოდის ბოლოს და მე მეხვეწებოდა, როგორმე საბჭოთა ღირსება შეინარჩუნე საქართველოში. ამ მიზნით მითხრა, სამი თვე როგორმე გაუძელიო და პრაქტიკულად მე შემატოვა. ეგ არაფერი, სხვა საკითხია. ამიტომ მინდოდა ჩამეტარებინა ასეთი ოპერაცია იმ ღამეს, 15 სექტემბერს.

ნათელა ვაჩნაძე: არჩევნებამდე თვე-ნახევრით ადრე.

შოთა გორგოძე: სწორედ ამაში იყო მარილი, დამენახებინა, რომ არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა და ყუთები მზად არის. აი, ამ მიზეზით ვატარებ ოპერაციას, მაგრამ რადგან ასეთი პოლიტიკური ოპერაციაა, ჩემს ფუნქციებს სცდებოდა თითქმის ეს ყველაფერი. ამიტომ მე უნდა მომეხსენებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისთვის, მთავრობისთვის. დავურეკე გუმბარიძეს და ვთხოვე, რომ მაქვს ძალიან საინტერესო ინფორმაცია და უნდა მოვიდე თქვენთან, ოღონდ ჭითანავაც დაესწროს ამ თათბირს-მეტქი და სამივემ გადავწყვიტოთ ეს საკითხი. კი, ბატონო, მითხრა, მოდიო. ავდექი და ერთ ნახევარ საათში მივედი, დამხვდა ჭითანავა და გუმბარიძე. მოვახსენე, რაც ეხლა თქვენ მოგახსენეთ. ასე და ასეა ჩემი ინფორმაციით, გადამონმეზულია ეს, უტყუარია ინფორმაცია და მივიღე ესეთი გადაწყვეტილება. ამალამ ვინყებ ამ ოპერაციას, ამოვიღებ ურნებს, ხვალ დილით გამოვალ ტელევიზიაში და მაგათ...

ნათელა ვაჩნაძე: არ დაგთანხმდებოდათ გუმბარიძე.

შოთა გორგოძე: რა მითხრეს და მომიტრიალდა ჭითანავა და მეუბნება: შოთაო, არასწორი ინფორმაცია გაქვს შენაო. ჩვენო, კომუნისტებს, ხალხი არ დაგვთმობსო, კომუნისტები არ წააგებენო. ყელში მაქვს ყველაფერი და ვუთხარი: დათმობილზე მეტი არა გაქვთ? რას აკეთებთ, როგორც მთავრობის ხელმძღვანელი? ჩხუბი მომივიდა. ან თქვენ რას აკეთებთ ცენტრალური კომიტეტი? თქვენი რაიკომები რას აკეთებს, თქვენი აღმასკომები? რომელი მუშაობს დღეს არჩევნებზე, რა ღონისძიებებს ატარებთ, რომ აგირჩიოთ ხალხმა-მეტქი. ისინი დარბიან... სწორია, მეც რომ ვიყო იმ „მრგვალ მაგიდაში“, მეც ასე მოვიქცეოდი. ყველა თავი-

სას ცდილობს. მე იმ ხალხს არ ვამტყუნებ, მაგრამ თქვენ თუ გინდათ, მართლა კომუნისტური წყობა შეინარჩუნოთ, დადექით და იმუშავეთ, მე ვუთხარი. ეს რომ მითხრა, ძალიან მენწყინა, არა გაქვს სწორი ინფორმაციაო. ეხლა გუმბარიძის გადანყვეტილებას ველოდები. ეს შეიძლება მაინც დამეთანხმოს, ცეკას მდივანია. ამან მითხრა: კი, გასაგებია შოთა, სწორი ხარ შენ ყველაფერში, მაგრამ აქო ჩამოდიან საერთაშორისო დამკვირვებლებიო. ახლა ასეა წესიო, დემოკრატიული არჩევნები ტარდებაო. ეს საერთაშორისო დამკვირვებლები რომ ნახავენ, მილიცია არის გარშემორტყმულიო, მილიცია ატარებსო, ამბებს დამინერენო და არ გამოვაო. რაო-მეთქი? რაც თქვენ დემოკრატიული არჩევნები ჩაატაროთ, შოთა გორგოძეს არ გაუზიაროთ-მეთქი. კარგად იყავით, დაგემშვიდობეთ, მე დღეიდან თქვენი მინისტრი აღარ ვარ.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ წამოხვედით? შევარდნაძე კი იყო დემოკრატიის მხარეს. ყოველი მისი ოფიციალური გამოსვლა ამას ქადაგებდა.

შოთა გორგოძე: მაშინ წამოვედი. ...ჩამოვედი კაბინეტში და ხალხი მელოდება უკვე. ხალხში შეკრებილი მყავდა, რომელ მისამართზე ვინ უნდა წასულიყო ხელმძღვანელად.

ნათელა ვაჩნაძე: მთელი საქართველოს მასშტაბით?

შოთა გორგოძე: არა, 7-8 ოლქი იყო, სადაც ინფორმაცია მქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: სულ რამდენი ოლქი იყო?

შოთა გორგოძე: უამრავი. ...მოვედი და ვუთხარი შადურს: все, отнынь, გაუშვი ბიჭები სახლში. რა მოხდაო. შემატყო, რომ გაფითრებული, გაბრაზებული ვარ. მიხვდა, რომ კიდევ არასწორი გადანყვეტილებაა მთავრობიდან. ნადით-მეთქი და გააგრძელეთ თქვენი მუშაობა-მეთქი. მე ვრჩები ცოტა ხანს და მე მივიღებ გადანყვეტილებას, მე ვუთხარი. არ ესიამოვნა შადურს. ეს ის პერიოდია, როდესაც ყველა ჩემი მოადგილეები და ჩემი ყველა თანამშრომლები МВД-ს კორპუსიდან, ლესია უკრაინკას ქუჩიდან გადავიყვანე ორთაჭალაში, ახალ შენობაში. ჩემი ხელმძღვანელობით აშენდა МВД-ს კორპუსი ორთაჭალაში. შოთა ყავლაშვილი იყო მისი არქიტექტორი, იმან გამაკეთებინა. ისინი გადასულები არიან და მე არ გადავდივარ იქა. გავჯიუტდი, არ მივდივარ. კაბინეტი მზად არის, მოწყვეს „მებელით“, ტელეფონები დადგეს, მოწყვეს მისაღები და არ გადავდივარ. მე ვუთხარი შადურს მერე, რომ მე პირობა მაქვს მიცემული ჩემი თავისთვის, ჩემი ძველი კაბინეტიდან გავიხურავ კარებს და წავალ სახლში. გაგიჟდა ამაზე შადური. საწყალი, კარგი კაცი იყო. დამინყო დარიგება. ჩემზე უფროსი იყო 10-12 წლით. მითხრა: შვილო, რატომ აკეთებ ამას, ეს არ გააკეთო, ლალატია ეს. კარგი, წადი, დაისვენე და მე მივიღებ გადანყვეტილებას. დავრჩი მარტო და დავურეკე ბაკატინს, საკავშირო მინისტრს. მე ვუთხარი: Товарищ министр, разрешите, приехать к вам завтра. Что такое? У меня очень важная информация, я лично должен вас доложить. Давай, выезжай. სხვათა შორის, საქართველოდან პირველი მინისტრი ვიყავი, რომელიც

აირჩიეს საკავშირო კოლეგიის წევრად.

ნათელა ვაჩნაძე: მანამდე არც ერთი მინისტრი არ იყო?

შოთა გორგოძე: საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში არც ერთი მინისტრი არ ყოფილა, მე მომიწია ეს.

ნათელა ვაჩნაძე: არც ბერია იყო?

შოთა გორგოძე: არა. ბერია მერე თვითონ წავიდა იქ. ბერია ცეკას მდივანი იყო, როცა წავიდა იქ. ...ხოდა, გაფრინდი, ჩავიცვი ფორმა და ჩავედი ბაკატინთან დილით ადრე პირველი რეისით. 11 საათზე უკვე მისაღებში ვარ. მდივანმა მითხრა, გელოდებო და შევედი. გავაკეთე ინფორმაცია, რა მდგომარეობა იყო. მე ვუთხარი: Я хочу попроситься, мы останемся друзьями, я не ваш подчиненный министр. Как так და წამომიხტა. მოუწყევი მერე ეს ამბები – რომ არა გვყავს პატრონი, გუმბარიძე ვერ მართავს რესპუბლიკას, მთავრობასთან ასეთი კონფლიქტი მაქვს, არ შემოძლია, ესენი ზურგს უკან გვყიდიან ჩვენ, მე მეუბნებიან, საბჭოთა ხელისუფლება დაიცავი. საბჭოთა ხელისუფლება რომ დავიცვა, მე „შტიკები“ ხომ ვერ დავხდები ეროვნულ მოძრაობას. მაშინ მე ხალხის მტრად გამოამაცხადებენ. ამიტომ არ მინდა, ჩემს სისხლში არ არის, ხალხი დავიპირისპირო. ამიტომ მე გადავდგები და წავალ-მეთქი. არაო, ვერ გაგიშვებთო. დამეტაკა, მედავა, რა არ მომიყვანა მიტივი, მაგრამ არა. რომ ვერ მომერია, აილო, დააჭირა მეგაფონს და შემოიყვანა შილური, პირველი მოადგილე. იმან უთხარა: Какое решение принял он? Он уходит с поста министра. მომეფერა, იმას ძალიან ვუყვარდი, როგორ გეკადრებათ, сейчас какое время. მეჭიდავა ორივე, მაგრამ ვერ მომერივნენ. გამოიძახეს გენერალი, ებრაელი იყო. იმას უთხრეს, შენს გარდა ვერავინ ვერ მოერევაო. არც იმას თანხმობა არ მივეცი. მე ვუთხარი, მაშინ შევარდნაძესთან გამიშვით-მეთქი. შევარდნაძესთან უნდა წავიდე, მერე დავბრუნდები და ვილაპარაკოთ-მეთქი ამ თემაზე. კარგო. უცებ აკრიფა შევარდნაძის შიდა ტელეფონი. საიდან რეკავო. მე ვუთხარი, ბაკატინთან ვარ კაბინეტში და მინდა თქვენთან 10-15 წუთი შეხვედრა-მეთქი. ჩამოდი ეხლავეო, ოღონდ ჩქარა მოდიო, მანქანას ხომ მოგცემენო. რიჟკოვთან ვარ თათბირზე დაბარებული, ერთ საათში უნდა მივიდე და მოასწარი, მანამდე მოდიო. მომცა მანქანა მინისტრმა, გააფრთხილა შოფერი, დაელოდები იაროსლავის მოედანზე, სადაც ეს სამინისტროა, МИД-ი და მერე უკან მოიყვან ამას ჩემთანო. მივედი. დამახვედრა მისაღებში კაცი უკვე, მელოდებოდა შევარდნაძე. შევედი. მომიკითხა, მოვიკითხე და ვუთხარი იმ ოპერაციის შესახებ, ასე მოხდა ნუხელ და მივიღე გადაწყვეტილება, ედუარდ ამბროსოვიჩ, რომ გადავდგე. მაგრამ რომ არ ჩაგაყენოთ თქვენ საქმის კურსში, არ შეიძლება-მეთქი. თქვენ მიმიყვანეთ მე ორგანოებში, თქვენს ხელში ვიმუშავე, არასდროს არ მიღალატია, თქვენ თვითონ იცით-მეთქი. არაო, როგორ გეკადრებო. ამიტომ არ ჩამითვალთ ეს ამბავი არც გაქცევაში, არც ღალატში, არც შიშში, არავითარი შიში მე არ მამოძრავებს. უბრალ-

ოდ, მე არ მინდა გამოვიდე ხალხის მტერი, მე უნდა გადავდგე. ეს გადაწყვეტილება მიღებული მაქვს და ჩამოვედი ბაკატინთან, მე ვუთხარი. ბაკატინი წინააღმდეგობას კი მიწევს, მაგრამ... ბაკატინმა, რა ქნას. გამოიძახა თვითმფრინავი – თავიანთი თვითმფრინავი ჰყავდა მბდ-ს – ჩაიყვანეთ შოთა თბილისში სასწრაფოდ, შედი კაბინეტში და იქიდან მომასხენე მდგომარეობაო. ასეთი გადაწყვეტილებაც მიიღო ბაკატინმა, იქ რომ ვიყავი. მაგრამ მე არ დავეთანხმე. მე ვუთხარი, იქიდან რომ დავბრუნდები, შევარდნაძისგან, მერე გავაგრძელოთ ეგ საუბარი. შევარდნაძეს ეს რომ ვუთხარი, იმან იცოდა ჩემი პრინციპული გადაწყვეტილება, დაურეკა იმ წუთში რიჟკოვს. მე ავდექი და გავდიოდი, შევატყვე, რომ რიჟკოვს ელაპარაკება. Николай Иванович, у меня гость из Грузии и если разрешите, я чуть позже заиду. მერე ადგა სკამიდან და ჰქონდა, იცით, როგორი „კრესლო“? ლენინი რომ გორკაში??? ხატია, ტყავის „კრესლოები“ რომ არის ძველის-ძველი... თვითონ იქით ჩაჯდა, აქეთ მე ჩავჯექი. ორივე ერთნაირ „კრესლოებში“ ვზივართ. ეგ ხომ იცით, რანაირი ტიპია, ეხლა უნდა გამიხაროს გული და რაღაცა მოიგონოს, სულ გადამიგდო ბანზე სიტყვა. ეხლა, შენ თუ იცი, სად ზიხარო და მეო. მე ვუთხარი, არ ვიცი-მეთქი. ეს „კრესლოები“ ისტორიულიაო. რაში გამოიხატება-მეთქი. სადაც შენ ზიხარო, მანდ რიბენტროპი იჯდა მაგაშიო და აქ მოლოტოვიო და აქ გაფორმდა ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებო. მე ვუთხარი, ძალიან კარგი, მე ეს არ ვიცოდი, მაგრამ ეხლა ორი ქართველი ვზივართ ამაში და ესეც ისტორიულია-თქო. მერე მითხრა: შოთაო, მე მესმის შენისო, ეს შენი გადასაწყვეტია, მაგრამ ამ სიტუაციაში არ გირჩევ ამასო, ვერ მოგეძალეები, მაგრამ არ გირჩევო. იმიტომ, რომ ეს ხალხი ღალატი გამოდისო. მართლა გულით უნდოდა, რომ დავეტოვებინე. მე ვუთხარი, ედუარდ ამბროსოვიჩი, არ გამოვა, არავინ არ მუშაობს საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, სუყველა წინააღმდეგია და მე მამალივით ხომ არ ვიყვლებ-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: გუმბარიძეც კი ხელს არ უწყობდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

ნინო თომაძე: ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სპეციალურად გაჩერებული იყო კომუნისტური პარტია და პირიქით ხელს უწყობდა იმას, რომ ეროვნულ მთავრობას გაემარჯვა არჩევნებში.

შოთა გორგოძე: კი, ასე იყო. ...ასე იყო, თუ ისე იყო, დაახლოებით ერთი საათი ვისაუბრეთ, გამომაცლა, დავემშვიდობე. მე ვუთხარი, მე მაინც გადავდგები და წავალ-თქო. შენი გადასაწყვეტიაო, მითხრა, მაგრამ მაინც არ გირჩევო. ავდექი და წამოვედი. წამოვედი და ვიფიქრე გზაში, არც მბდ-მ გამიშვა მე, არ გამანთავისუფლა, ცეკას დადგენილება არ არის განთავისუფლებაზე, ესეც მეუბნება, არ წახვიდე. კარგი, ვიფიქრე, რამე რომ მოხდეს ხვალ, პასუხიმგებლობა მე დამეკისრება კისერზე, მინისტრი ვარ ჯერჯერობით, ასე ვითვლები, წავიდე და შეიძლება,

გადამაყოლონ თან. ავდექი და წავედი МВД-ს პოლიკლინიკაში, ჩვენი პოლიკლინიკა იყო იქ. მე არა ვარ მშიშარა კაცი, გავიქეცი და მივტოვე პოსტი, მაგრამ მაინც გავუფრთხილდი ჩემს წესდებას. ასე ვიყავით ჩვენ გაზრდილი კომუნისტური პარტიის მიერ. როგორც საბჭოთა აფიცერი, მე არ მქონდა უფლება პოსტის მიტოვების. ეს ლაღატს უდრის. თუ რამე მოხდება ამ შემთხვევაში, შეუძლიათ მოგაკერონ ათასი რამე და არ მინდოდა, რომ ვინმეს გაველანძღე. ამიტომ ბაკატინის მძღოლს ვუთხარი – ის მელოდებოდა, ბაკატინთან უნდა წავეყვანე – ცუდად ვარ და პოლიკლინიკაში დამტოვე-მეთქი და მე თვითონ მოვალ ბაკატინთანო. ამით მოვიცილე ეს. წავედი პოლიკლინიკაში. რუსი კაცი იყო იქ გენერალ-პოლკოვნიკი, სამხედრო ექიმი. მე ვუთხარი, „მოსტი“ მაქვს გატეხილი. ვიღას ეცალა კბილებისთვის, ბოლო წლებში ისეთ დღეში ვიყავი. უნდა ამომიღო ეს კბილები და უნდა მიმკურნალო-მეთქი. დაუძახა ყველაზე კარგ სპეციალისტს, ერთი ებრაელი ჰყავდათ. მოვიდა, ჩამხედა, მითხრა, ამოსაღებია ეს კბილები. ხარ ამისთვის მზადო. მე ვუთხარი, მე მზად ვარ-მეთქი. ბევრიაო და ერთად ვერ ამოგიღებო. არა, მე ვუთხარი, მე მინდა დღესვე ამომიღოთ-მეთქი. ცამეტი კბილიაო ამოსაღები. არა უშავს, ამოვიღებ-მეთქი. გამიყვანეს საოპერაციოში. ეს ქალები ნემსებს მიკეთებენ, ქირურგიც ქალია. ხომ არ ვიყვირებ ეს აფიცერი კაცი. ამიტომ დავაჭირე ხელი ხელს, რომ თითები ვიტკინო და გადავიტანო ყურადღება. ერთ ათ წუთში ცამეტივე კბილი ამომიღეს. წამოვედი სასტუმროში, რომ მეორე დღეს მივიდე ისე კლინიკაში, მაგრამ რა მოხდა. იმ ღამეს მოვედი სასტუმროში, დავწექი გვიან, დაახლოებით 9-10 საათი არის და შემოფრინდა ყვავი, ფანჯარა მქონდა ღია. დამჩხავლა და დამჩხავლა. მტკივა, მტკივა, საშინელ ტკივილს ვიტან. ველარც ვჭამ, ველარც ვსვამ, რისი თავი მაქვს. თანაც სულ მარტო ვარ. ვატყობ, რომ სიცხე მომცა, შეიძლება, ინფექციაც წავიდა. ვიფიქრე, აქ რომ მოკვდე რუსეთში, ვინ არის ჩემი პატრონი, საიდან მოხვდი რუსეთში, ისედაც გამოპარული ვარ, არავინ არ იცის საქართველოში, მარტო მეუღლემ იცოდა. ავდექი და დავრეკე წარმომადგენლობაში. ვანო, ან ბოლო რეისზე უნდა გამიშვათ, ან აქ უნდა მოვკვდე, მე ვუთხარი. კარგი კაცი იყო, ყველას ეხმარებოდა. ისედაც ვალდებული იყო, მე კოლეგიის წევრი ვიყავი, მინისტრი ვიყავი, ცეკას წევრი ვიყავი და ვალდებული იყო, მომსახურებოდა. მოვარდა ხელად მანქანით, დამსვა თვითმფრინავზე და გამომიშვა. როცა შევედი თვითმფრინავში, მახსოვს, ვილაც ახალგაზრდა ბიჭმა დამითმო ადგილი წინა რიგში. იყო ადგილები, მაგრამ ამან პატივი მცა, თვითონ უკან გადაჯდა და მე აქ დამსვა. მე ცხირსახოცი მაქვს აფარებული. ხალხი მიყურებს, მინისტრს რა დაემართა, სახეს არ გვაჩვენებს, იმალება. ჩავჯექი ჩემთვის, თავი არ ამინევია. ჩავფრინდი აეროპორტში, მივედი მილიციაში. არც დამირეკია, რომ მანქანა დამხვედროდა. იქ დელფინა იყო თურქმენიძე. მივედი მასთან, დამხვდა კაბინეტში. მე ვუთხარი,

ნამიყვანე სახლში, სიცხე მაქვს. მივედი სახლში და ამ დროს მირეკავს გუმბარიძე – მთავრობის ტელეფონი იდგა სახლში – და მეუბნება: შენ სად იყავიო, შენ მოსკოვში იყავიო. ვიყავი-მეთქი. რატომ არ მითხარო. მე ხომ თქვენ დაგემშვიდობეთ, მე თქვენი მინისტრი აღარ ვარ და სადაც მინდა იქ წავალ და წამოვალ-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: შევარდნაძე ელაპარაკა ალბათ.

შოთა გორგოძე: არა, გითხრათ, რა მოხდა. თურმე ეს ახალგაზრდა ბიჭი, ვინც ადგილი დამითმო, ყოფილა მაგისი შვილი, იქ სწავლობდა, თენგიზი. ვერ შევხედე იმას სახეზე. იმას მამამისი ელოდებოდა კაბინეტში, მანქანა დაახვედრა და აეროპორტიდან გამოუარა იმ ბიჭმა მამამისს და უთხრა, შოთა ბიძია ვნახე იქაო. რაღაცა მოხდა ალბათო, ხმას არ იღებდაო, თავჩაღუნული იჯდა და არავის არ ელაპარაკებოდაო. მე ვუთხარი, ცუდად ვიყავი, ექიმთან გავფრინდი და ჩამოვედი. გამომიარა, თქვენ წარმოიდგინეთ, ლამის 2 საათია და მოვიდა. ლაურამ შემოიყვანა, ვინეტი. ნახა თავისი თვალით, კბილები აღარ მაქვს, კარგი, ბოდიში, ბოდიშიო და წავიდა. ასე ვიყავი სამი დღე, სახლში ვინეტი. 15-ში გავფრინდი, 16, 17, 18 და 19-ში ავდექი და წავედი სამსახურში ლესია უკრაინკას ქუჩაზე ძველ კაბინეტში. გამოვიძახე ჩემი „პომოშნიკი“, გელაშვილი იყო, ჩავაბარე სეიფი. სეიფიდან, რაც იყო, ჩემი პირადი ნივთები გამოვიღე, საიდუმლო დოკუმენტაცია გადავეცი. დაფურეკე ნოდარ ჯამბერიძეს, იმიტომ, რომ მბმ-ს მერე ეს შენობა უნდა დაეკავებინა მხატვართა კავშირს. ისინი უშენობოდ იყვნენ და გადაწყდა, რომ ეს შენობა მიცათ მათთვის. მბმ-ს შენობა რომ აშენდა ორთაჭალაში, იმას ვაძლევდი ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს. რადგან ინგრეოდა საბჭოთა კავშირი და აღარაფერი რჩებოდა, მინდოდა, იქ არ შევსახლებულიყავით ჩვენ, მაგრამ შევარდნაძე წავიდა წინააღმდეგი. რაზუმოვსკისთან ერთად როცა იყო ჩამოსული, მაშინ ვუთხარი ეს აზრი და არ გააკეთა. იმიტომ, რომ ნოდარ ჯამბერიძე დარჩება ქუჩაში და ეწყინებაო. ამიტომ გავჩერდი. დაფურეკე ნოდარის, ამოდი-მეთქი, ჩაიბარე შენობა. წამოიყვანა თავისი ხალხი, მე ჩემი „ხოზაისტვენიკები“ დავუტოვე. შეამონმეს ყველაფერი, დათვალეს ოთახები, რაც დარჩა ნივთები. ჩავაბარე, დავიხურე ქუდი, კარგად იყავით-მეთქი და წამოვედი. ასე დავემშვიდობე მბმ-ს.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო შოთა, მე თქვენი გამოსვლებიდან, თქვენი ინტერვიუებიდან, ოფიციალური განცხადებებიდან ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა თავის დროს, რომ თქვენ ძალიან ღრმად ხართ ჩახედული ოსეთის პრობლემებში, ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემებში. როგორც თქვენ ბრძანეთ, 90 წლის სექტემბერში უკვე დაწერეთ განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. თქვენ ამის შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდით და როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე ისე ადევნებდით ალბათ თვალ-ყურს ოსეთში მიმდინარე პრობლემებს. მაგრამ სანყისი ამ გაღვივებული კონფლიქტისა, თუ არ ჩავთვლით ჩვენ

1921-22 წლებს და უფრო ადრინდელ წლებსაც, სწორედ იმ წლებზე მოდის, როდესაც თქვენ ბრძანდებოდით პირველი პირი შინაგან საქმეთა სამინისტროში. თქვენ გახსოვთ ალბათ ეს ყველაფერი და გთხოვთ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დატრიალებული მოვლენების შესახებ რაც გახსოვთ, ის გვიამბოთ.

შოთა გორგოძე: კი, ბატონო. სამხრეთ ოსეთის პრობლემა, რა თქმა უნდა, არსებობდა იმთავითვე, როდესაც შექმნეს ასეთი ავტონომიური ოლქი. ისტორიაში ითქვა ამის შესახებ, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ რაიმე პრობლემა ქართველ და ოს ხალხს ურთიერთობაში არ ჰქონიათ. მითუმეტეს, უმეტესობა ოსი ხალხისა მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და ესეც იყო საფუძველი მათი ერთიანობისა. ისტორია თქვენ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, თამარ მეფიდან დაწყებული ურთიერთობები ოს ხალხთან და ა. შ. მე ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, მე ვიყავი შინაგან საქმეთა მინისტრი და რაც შემეძლო კანონის ფარგლებში, და ხშირად კანონებსაც ვარღვევდით, რომ მხარი დაგვეჭირა ეროვნული მოძრაობისათვის სამართლიან საკითხებში. მაგრამ იყო შეცდომებიც და მათ შორის ერთ-ერთი ძალიან მძიმე შეცდომა ის იყო ეროვნული მოძრაობის, როდესაც გამოაცხადეს, რომ საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის. ამ დევიზმა გამოიწვია ძალიან დიდი აჟიოტაჟი.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ არ გახსოვთ, როდის გაჩნდა ეს დევიზი და ვისი ინიციატივით?

შოთა გორგოძე: ეროვნული მოძრაობის ინიციატივა იყო ეს.

ნათელა ვაჩნაძე: ზოგადად ეროვნული მოძრაობის? იქ ხომ იყვნენ სხვადასხვა პარტიები, დაჯგუფებები და კონკრეტულად ვისი ლოზუნგი იყო ეს?

შოთა გორგოძე: რომელი თვე იყო არ მახსოვს, ძალიან დიდი მიტინგი ჩატარდა კინოს სახლთან. მთელი რუსთაველი გადაკეტილი იყო იმელამდე თითქმის და იქ გამოვიდნენ და განაცხადეს ამის შესახებ. ყველამ ტაშის გრიალით დაუჭირა მხარი. კონკრეტული პიროვნება რომ დავასახელო, არ მახსოვს. ეს იყო ერთ-ერთი შეცდომა. მე თუ მკითხავთ, ალაღად გეუბნებით, ზოგს შეიძლება არ მოეწონოს ეს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა მონაცემები, რომ ყველაზე კარგი, დემოკრატიული, თავისუფალი რესპუბლიკა ჩამოყალიბებულიყო საქართველოში. ეს შეიძლებოდა ამ მოძრაობით, რომ დაეშვათ ეს შეცდომა, რომ არ შეხებოდნენ ეროვნულ საკითხებს. საქართველოში ასამდე სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა ისტორიულად და ეს საკითხი არ უნდა წამოეწია ეროვნულ მოძრაობას, მე ასე მიმაჩნია. ვინც უნდა იმან განსაჯოს, მაგრამ ამას მოჰყვა ეს კონფლიქტები, რომლებიც შემდეგში გაღვივდა და დღემდე გრძელდება, სამწუხაროდ, ეს იმის შედეგი არის.

ეროვნულმა მოძრაობამ მთავრობას დაუყენა საკითხი, რომ სასწრაფოდ მიეღო დადგენილება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ გაუქმებუ-

ლიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და წასულიყო საქართველოს ტერიტორიული დარაიონება. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ამაზე არ წავიდა, ვერც წავიდა. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო, მოგეხსენებათ, და ასეთ გადაწყვეტილებას ვერავინ ვერ მიიღებდა.

ნათელა ვაჩნაძე: როდის იყო ეს მოთხოვნა დაყენებული?

შოთა გორგოძე: ამ მიტინგის შემდეგ. თითქმის 88 წლიდან ღვივდებოდა ეს საკითხი თანდათან, როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ მიიღო აქტიური ხასიათი. ეს მოთხოვნა თითქმის ყოველ შეკრებაზე ისმოდა, რომ გაუქმდეს ოლქი და სამაჩაბლო დაერქვას. შეიძლება სამართლიანი იყო ეს მოთხოვნა, მე ასე მიმაჩნია, მაგრამ გამკეთებელი არავინ არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ვის უნდა გაეკეთებინა ეს?

შოთა გორგოძე: უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მთავრობას, ხელმძღვანელობას. ეს საკითხი უნდა დაეყენებინათ მოსკოვის წინაშე, მაგრამ ვერ აყენებდნენ, ყველას ეშინოდა მაშინ. კომუნისტური პარტია თუმცა უკვე ინგრეოდა, იშლებოდა, მაგრამ ამ საკითხებს არ თმობდა. როგორც ეხლა რუსეთი ვერ ეგუება საქართველოს დამოუკიდებლობას და მითუმეტეს მაშინ ეს იყო ძალიან საშიში. მოქმედებდა ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივების კანონი და ეს სათუთი საკითხი იყო საქართველოსთვის. შეიძლება სომხეთისათვის არ იყო ეს ისეთი მტიკვნეული. სომხეთში არავინ არ არის, გარდა სომხებისა, თითო-ოროლას თუ ნახავთ სხვა ეროვნების წარმომადგენელს. აზერბაიჯანშიც თითქმის ასეა. საქართველოში კი, ჩვენდა საუბედუროდ, საუკუნოებით მოდის ასე. ერთხელ, როდესაც მიტინგზე გამოაცხადეს, რომ საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის და შემდეგ დაიწყო კონფლიქტური სიტუაციები ოსებსა და ქართველებს შორის, მაშინ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ვთხოვე, წამოსულიყვნენ და მიტინგიდან ავიყვანე მეტეხის პლატოზე, გორგასალის ძეგლთან. მე ვუთხარი – გადახედეთ ეხლა აქედან, რომ იძახით, კომუნისტებმა ხალხი ჩამოასახლეს, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები. გადახედეთ აქედან და შეხედეთ ჩვენს ისტორიას, ხელის გულზე იკითხება. ჩვენი სიონის გვერდზე ებრაელთა სინაგოგაა, რომელი საუკუნის ძეგლია, ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ, შეხედეთ აქეთ სომხების ეკლესიაა, გრიგორიანული ეკლესიაა, რომელი საუკუნის ძეგლია, აგერ მეჩეთი – მაიდანში, რომელი საუკუნის ძეგლია, გაღმა – რუსების ეკლესია და ა. შ. 70 წლის განმავლობაში იარსება კომუნისტურმა წყობამ საქართველოში. 70 წლის მანძილზე არც ერთი მეჩეთი არ აშენებულა, არც ერთი სხვა სალოცავი არ აშენებულა, პირიქით...

ნათელა ვაჩნაძე: ერთი მეჩეთი კიდეც დაინგრა მაიდანში ჩემს ბავშვობაში.

შოთა გორგოძე: ...ეს ჩვენი წინაპრების ისტორიაა, ჩვენი ხალხების ერთობლივი ცხოვრების ისტორიაა, ასეთი ბედი ერგო საქართველოს და რატომ აბრალებთ ამას კომუნისტებს. ჩვენი წინაპრები იძულებული იყვნენ ალბათ ეს დაენერგათ და ძმურად და მეგობრულად ერთ ოჯახში ეცხოვრათ. ამით საქართველო კიდეც ამაყოფდა. არც ერთი პრობლემა არ იყო ეროვნებებს შორის დამოკიდებულებაში.

ნათელა ვაჩნაძე: ზანგიც კი ცხოვრობდა საქართველოში.

შოთა გორგოძე: კი, მეხანძრე იყო. ...ხალხებს შორის ურთიერთობა ასე წარიმართა ერთ ჭერქვეშ, ერთ ცის ქვეშ მეგობრულად და ძმურად. როდესაც გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მერე შეიძლებოდა ნელ-ნელა ამ საკითხების დაყენება და არა ასე პირდაპირ – განვდევნოთ, გავყაროთ. ასეთმა დამოკიდებულებამ ასეთი სათუთი საკითხისადმი, როგორც არის ეროვნებათა შორის ძმობა და მეგობრობა, ამან გამოიწვია ყველაფერი ის, რაც დღეს ჩვენს თავზე ტრიალებს და ვერ მოგვიცილებია ეს მტკიცუნეული სენი – კონფლიქტები და დაპირისპირებული სიტუაციები. სწორედ ამ პერიოდში ამ დევიზის გამო ბევრი ოსი – ჩვენი ქალაქის მაცხოვრებლები, რაიონებში მაცხოვრებლები – წავიდა საქართველოდან, თუნდაც ბაკურიანი, დაიცალა თითქმის. იმათ არავინ არ გაჰკიდებია, მაგრამ ამის გამო ცოტა დაშინდნენ, მოწოდებები ისეთი იყო და წავიდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: გაიყიდა სახლები ოსებისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამის შესახებ არის ცნობები.

შოთა გორგოძე: ასევე ბევრი აზერბაიჯანელები ჩამოგვშორდნენ მარნეულ-იდან, ფონიჭალიდან, ზოგი ბაქოში წავიდა. რუსი მოქალაქეებიც ბევრი წავიდნენ, სხვათა შორის.

ნათელა ვაჩნაძე: მე მგონია, აქ სახელმწიფო ენის პრობლემა დადგა არაოფიციალურად. ეროვნულმა მოძრაობამ დღის წესრიგში დააყენა ასეთი საკითხი, რომ ვისაც უნდა საქართველოს მინა-წყალზე ცხოვრება და მისი მოქალაქეობა, კეთილი ინებოს და ისწავლოს ქართული ენა, როგორც ძირითადი ეთნოსის ენა.

შოთა გორგოძე: მე მომსწრე ვარ ერთი ამბისა და მინდა მოგიყვებთ მაგასთან დაკავშირებით. სწორი ბრძანდებით, კი, ბატონო, მაგრამ ამას ნუ მიითვისებენ მარტო ეროვნული მოძრაობის ხალხი. ამ საკითხს თავის დროზე პარტიის ცენტრალური კომიტეტი, კომუნისტებიც აქცევდნენ ყურადღებას.

ნათელა ვაჩნაძე: ეს მე არ ვიცოდი.

შოთა გორგოძე: ერთ ფაქტს მოგიყვებით. როდესაც დადგა საკითხი სტალინის მავზოლიუმიდან გამოტანის შესახებ, რომელიც ხრუშჩოვმა დააყენა პლენუმზე...

ნათელა ვაჩნაძე: და როდესაც ბატონი გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გაინვიეს აქედან...

შოთა გორგოძე: ...და როდესაც გადაწყდა იქ... გეგეშიძე იყო ქალაქკომის პირველი მდივანი, გიორგი ანდრევიჩი, ძალიან მაგარი პიროვნება, დიდი პატრიოტი, ქართველი კაცი. ნეტავ, ისეთი ხელმძღვანელობა როდესმე გვყოლოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ, მომავალ თაობებს, ეხლა შემოგვრჩა მარტო ჟორა გეგეშიძის ბაღი.

შოთა გორგოძე: სხვათა შორის, ძალიან კარგი ქართველი კაცი იყო. რაც თბილისში აშენებულა, მართალია, ჩარკვიანის დროს ბევრი რამ აშენ-

და და ბერიას დროს თბილისში, მაგრამ ჟორა გეგეშიძემ თავისი ხელი დაუტოვა თბილისსა და საქართველოს. თბილისის კომიტეტის მდივანი იყო დასაწყისში და მერე ცენტრალური კომიტეტის მდივანიც იყო. ...როდესაც ეს პლენუმი ტარდებოდა სტალინის გამოსვენების შესახებ მავზოლიუმიდან, იქ ესწრებოდა ჟორა გეგეშიძეც. და როდესაც გადაწყდა იქ საკითხი, რომ უნდა გამოასვენონ სტალინი, ჟორა გეგეშიძე დაიბარეს კრემლში – მისი ნაამბობიდან გეუბნებით – რომ მოსალოდნელია, ამას მოჰყვეს რაიმე გამოსვლები საქართველოში და ამიტომ საჭირო არის, თქვენ დაბრუნდეთ და წესრიგი დაამყაროთ ადგილზე. ჩამოვიდა ღამე გვიან და მეორე დილით 10 საათზე მოიწვია აქტივის კრება. მე მაშინ ქარხანაში ვმუშაობდი, მთავარი ინჟინერი ვიყავი და მე, როგორც აქტივის ერთ-ერთი წევრი, მიმიწვიეს ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად. ეს ტარდებოდა მთავრობის შენობაში, ეხლა ჩვენი პარლამენტი რომ არის. გეგეშიძეს უნდა გაეკეთებინა ინფორმაცია იმ პლენუმის მუშაობის შესახებ, სტალინის წინააღმდეგ ბრალდებები და ა. შ. გამოვიდა გიორგი ანდრეევიჩი და დაიწყო მოხსენება ქართულად. როგორც კი დაიწყო ქართულად მოხსენება, ერთ ხუთ წუთში დაიწყო რეპლიკები აქედან — по-русски, по-русски, мы не понимаем ваш язык.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ამბობდა?

შოთა გორგოძე: რუსები დარბაზიდან. გამოვარდა ჟორა ტრიბუნიდან და ძალიან გაბრაზებულად უპასუხა: Вы знаете, те, которые живут в Грузии, они должны знать грузинский язык, есть грузинские школы. Пожалуйста, если хотите, куда хотите, уезжайте. და ამით დაამთავრა. ბევრი მათგანი წამოდგა და გავიდა დარბაზიდან. ეს იმიტომ გითხარით, რომ ენის საკითხი, ენის სინმინდის საკითხი მარტო ეროვნულ მოძრაობას კი არა, კომუნისტებსაც აწუხებდათ...

ნათელა ვაჩნაძე: ნამდვილად კომუნისტი იყო ჟორა გეგეშიძე.

შოთა გორგოძე: ...ადგა და თავიდან ბოლომდე ქართულად გამოვიდა, მითუმეტეს, მაშინ მიღებული არ იყო ქართულად გამოსვლები და მოხსენებები და ერთი მაგრადაც გადაუარა არაქართველ მოქალაქეებს, რომლებმაც მოითხოვეს რუსულ ენაზე მოხსენების წაკითხვა. ესაა პატარა ფრაგმენტი ისტორიიდან.

ნათელა ვაჩნაძე: საინტერესო დეტალია.

შოთა გორგოძე: ...ამ ამბებმა გამოიწვია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქში მაცხოვრებელი ქართველების აქტიური მოღვაწეობა, იქ ეროვნული მოძრაობა ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი ლიდერი იყო თუთმელიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ახალგაზრდა კაცი იყო და ეს ედგა სათავეში ეროვნულ მოძრაობას, ეს იყო დასაყრდენი ეროვნული მოძრაობისა სამხრეთ ოსეთში. იქაური ქართველი ხალხი გაერთიანებული იყო ამ მოძრაობაში, პედაგოგი, სტუდენტი, მასწავლებელი, გლეხი, მუშა იკრიბებოდნენ

და ტარდებოდა მიტინგები ეროვნული მოძრაობის საკითხებზე. ამ ამბავმა ძალიან გააღიზიანა ოსი ხალხი და ამიტომ ჩამოაყალიბეს პოლიტიკური საზოგადოება „ადამონ ნიხასი“ და ჩაუყენეს სათავეში ვინმე ჩოჩიევი და გაზაევი. ამ მოძრაობამ გააერთიანა ექსტრემისტი ოსები. იმათ რომ პირველად დაიწყეს, ნუ ვიტყვით ამას, ისტორიულად ასე არ იყო. პირველად ჩვენი ეროვნული მოძრაობა შეიქმნა და მერე იმათმა ჩამოაყალიბეს თავიანთი ეროვნული მოძრაობა ადგილზე, დაგვიპირისპირდნენ. აფხაზეთშიც ასე იყო, ყველგან ასე იყო. ყოველ შემთხვევაში, გაძლიერდა თანდათან ეს ორგანიზაცია და გაერთიანდნენ იქა ავტორიტეტი პირები. მოგეხსენებათ, ოსი ხალხის საწყენად არ ვამბობ, აუღლი გაუნათლებელი ხალხი ცხოვრობდა და როცა მოდიოდნენ ამ მიტინგებზე, თითქმის ყველა შეიარაღებული მოდიოდა, დღეს თუ ხვალ ელოდნენ თავდასხმას ერთმანეთზე ქართველები და ოსები და სიტუაცია ძალიან დაიძაბა. ამიტომ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, რაიმე მიტინგები ჩატარებულიყო საერთოდ, რომ არ გართულებულიყო ოპერატიული ვითარება და სისხლი არ დაღვრილიყო. ამიტომ, როდესაც დაგეგმა ეროვნულმა მოძრაობამ 23 ნოემბრისთვის იქ ჩასვლა და დიდი მიტინგის ჩატარება ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით – ეს 1989 წელია, ჩვენ არ გვითანხმებდნენ საკითხებს – საშიში იყო ასეთი ღონისძიების ჩატარება იმ პერიოდში. მითუმეტეს, კიდევ ვიმეორებ, ძალიან დაძაბული მდგომარეობა იყო და შეიარაღებული იყო თითქმის ყველა, ჩამოაყალიბეს „ბოევიკები“. არსებობდა ჯერ კიდევ გაუნათლებელი ხალხი და მათ იცოდნენ მხოლოდ იარაღის ხმარება და მზად იყვნენ ამისათვის სისხლი დაეღვარათ, განირავდნენ მეზობელსაც, ახლობელსაც და მზად იყვნენ საომრად. ეს ვითარება მაიძულებდა იმას, რომ გამენია წინააღმდეგობა ეროვნული მოძრაობისთვის და არ მიმეცა ნება მიტინგის ჩატარებისა, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს. მოდი, ვიმსჯელოთო და სხვათა შორის, პირველი შეკრება შედგა ჩემს კაბინეტში. ისინი მოდიოდნენ ხოლმე ჩემთან და იქ ესწრებოდნენ ბიუროს წევრებიც, მაგალითად, გურამ მგელაძე, ვახტანგ რაზმაძე გვესწრებოდა ხშირად, როგორც გენერალური პროკურორი და ა. შ. მერე გადაინაცვლა ამ შეკრებებმა გურამ მგელაძის კაბინეტში, „აგროპრომი“ იყო მაშინ ლენინის ქუჩაზე, ეხლანდელ კოსტავას ქუჩაზე. მე არაფერი საწინააღმდეგო ამის არ მქონდა. მე, სად დამიძახებდნენ, ყველგან მზად ვიყავი, მივსულიყავი ეროვნულ მოძრაობაში და რაც სათქმელი იყო, იქ მეთქვა მათთვის.

ნათელა ვაჩნაძე: საინტერესოა, რატომ მოხდა ეს გადაინაცვლება? გურამ მგელაძის კაბინეტს რატომ მიანიჭეს უპირატესობა?

შოთა გორგოძე: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო, ბიუროს წევრი იყო. ეს ფაქტორიც იყო და პლიუს ამას ჯაბა და გურამი იყვნენ ბავშვობის მეგობრები. ვილაცებმა მიიტანეს ამბავი, რომ გორგოძეს კაბინეტში ვიკრიბებით და ის ალბათ იწერს ყველაფერს და მერე

ნინ დაგვიდებს. რად მინდოდა მათი ჩანერა მე? მაინც იქ მბმ-ს კაბინეტია და იქ არ გინდათ სიარულიო. ამ გზით განხეთქილება შეიტანეს ჩვენსა და ეროვნულ მოძრაობას შორის.

ნათელა ვაჩნაძე: არგუმენტის არსი მე მაინც არ მესმის.

შოთა გორგოძე: მე რად მინდოდა ჩანერა, როცა ჩემი ყურებით მესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ. ქართული ამბავია. ეროვნულ მოძრაობასთან მბმ-ს მუშაკების ურთიერთობა განმტიკცდა...

ნათელა ვაჩნაძე: უნდობლობა იყო თქვენს მიმართ სწორედ ხელისუფლების მხრიდან და არა ეროვნული მოძრაობის მხრიდან. ასეც ხომ შეიძლება გავიგოთ.

შოთა გორგოძე: რა თქმა უნდა, ხელისუფლება ეჭვის ქვეშ აყენებდა, ჭითანავასთან და გუმბარიძესთან ყოველდღე ჩხუბი მქონდა ამ საკითხებზე. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო, თუ ისე იყო, შევიკრიბეთ ჩვენ 22 ნოემბერს გურამ მგელაძის კაბინეტში, მაშინდელ „აგრომრეწველობის კომბინატის“ კლუბში. მოვიდა ეროვნული მოძრაობის ყველა ლიდერი, დაახლოებით 30 კაცი. მირეკავს გუმბარიძე, რა ვქნა, მე დავესწრო, თუ არ დავესწროო. მე ვუთხარი – არ გინდა, ნუ დაესწრები შენ, მე კატეგორიული წინააღმდეგი უნდა ნავიდე ხვალ იქ მიტინგის ჩატარებისა და შენ ნუ გაიმწვავებ საქმეს ამათთან-მეთქი. მე გავამწვავებ ამას, რომ არ შეიძლება ეროვნული მოძრაობის მიერ მიტინგის ჩატარება ამ ეტაპზე ცხინვალში. კარგი, მაშინ კარგიო. ჩვენ დავინწყეთ და ველოდებით, მოხსენებას ვინ გააკეთებს. გადაწყდა, რომ მოხსენება უნდა გააკეთოს წერეთელმა, ნათაძემ, გამსახურდიამ. ყველა თავის სიტყვას ამბობს, რომ აუცილებელია მიტინგის ჩატარება, ჩავალთ ჩვენ, იქ არაფერს არ დავაშავებთ, ადგილობრივ მოსახლეობას ჩვენი იმედი უნდა ჰქონდეს, ამიტომ გვინდაო.

ნათელა ვაჩნაძე: წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიშლებოდა იქ ეროვნული ძალები.

შოთა გორგოძე: კი ბატონო, მაგრამ ეხლა დაძაბული მდგომარეობაა და ამ ეტაპზე არ შეიძლება ამის გაკეთება და გავაკეთოთ ცოტა გვიან – მე ვუთხარი. ამის უფლება მომეცით მე, მე ამ საკითხს მოგიგვარებთ, მე მაქვს საშუალება ოსებთან მუშაობის და ჩავატარებინებთ ერთ-ორ მიტინგს მეგობრობისას და ძმობისას. ამ საუბარში ვართ და მოვიდა გუმბარიძე და ჭითანავა თათბირზე. თითქმის ვასწრებდი ამ საკითხის გადატანას და ესენი მოვიდნენ და დაეთანხმნენ, ჩავატაროთო. ამის უკან რა იყო, ბოლოში გეტყვით. გამიკვირდა, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი...

ნათელა ვაჩნაძე: ზარი იყო მოსკოვიდან?

შოთა გორგოძე: ალბათ. ...და გადაწყდა, რომ სპორტის სასახლესთან 23 ნოემბერს დილის შვიდი საათიდან თავს მოიყრიდა 200-მდე ავტობუსი და ვისაც სურვილი ჰქონდა –აცხადებდნენ ამას ტელევიზიით, რადიოთი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, საზოგადოება

– წამოვიდოდნენ იქ. მე მაშინ ვთხოვე: თუ თქვენ ამას გააკეთებთ, მე პასუხისმგებლობას ვიხსნი-მეთქი, ამას მოჰყვება ძალიან ცუდი შედეგი. და თუ ეს აუცილებელია, მოვუტრიალდი გუმბარიძეს, მოდიო, შევთანხმდეთ და ჩავატაროთ ეს მიტინგი ერგნეთთან, ცხინვალის შესასვლელთან. დიდი მოედანია იქ ГАИ-ს პოსტთან. გამოვლენ იქაური ქართველები, ჩვენ აქედან ჩავალთ და ჩავატაროთ მიტინგი, იქით ნუ წავალთ-მეთქი. კარგო, სწორიაო, ასე გავაკეთოთო. დაიფიცეს, არ დამავინწყდება...

ნათელა ვაჩნაძე: უკაცრავად, შეგანყვეტინებთ, რა იყო საფუძველი თქვენი ასეთი მოსაზრების?

შოთა გორგოძე: იმიტომ, რომ, ოპერატიული ინფორმაცია გვექონდა, ატეხავდნენ სროლას ოსები.

ნათელა ვაჩნაძე: ერგნეთს არ მოანწყებოდნენ?

შოთა გორგოძე: არა, აქეთ არ გამოვიდოდნენ. თუ ცხინვალში ჩვენ დავაპირებდით შესვლას, მაშინ აპირებდნენ სროლას. ასპროცენტური ინფორმაცია იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გყავდათ თქვენი ხალხი ოსეთში?

შოთა გორგოძე: რა თქმა უნდა, ოსებშიაც გვყავდა, იქ მაცხოვრებელ ქართველებშიაც და ყველგან.

ნათელა ვაჩნაძე: კი, მაგრამ ქართველები არ იქნებოდნენ ისე ინფორმირებულები. ოსებს შორის თუ გყავდათ?

შოთა გორგოძე: ოსებს შორის გვყავდა ისეთი ხალხი, რომელიც გვანვდიდა ინფორმაციას. ...ვუთხარი, რომ მერე არ დამინყოთ იქ ჭიდაობა, არ იყოს საზღვრის გადაჭრა, ცხინვალში შესვლა მერე არ მოითხოვოთ. ეს რომ არ მოხდეს-მეთქი, მე იქ ჩავაყენებ ტექნიკას, ჩავაყენებ ჩემს შინაგან ჯარებს და მილიციას. კი, ბატონოო, თქვენ სადაც დადგებით, იქ ვიქნებით, წინ არ წავალთო. ასე გადაწყდა. მე ძალიან გულნატკენი კი დავრჩი, მაგრამ იმავე ღამით ჩავედი. გადავისროლე ჩვენი შინაგანი ჯარები, მილიცია, ჩავყვევი იქა, გავანანილეთ, პოსტები გავაკეთეთ და შესასვლელები გადავკეტეთ ქალაქში. გახდა 12 საათი 32 ნოემბერს, კარგი ამინდია, დარი იყო შესანიშნავი და მოგვადგა ჩვენი ეროვნული მოძრაობის ხალხი, თავი მოიყარა დაახლოებით 20 ათასმა კაცმა. არ დამავინწყდება, БТР-ზე შეხტა წერეთელი – მე არ ვიცი გორგოძის განკარგულება, უნდა შევიდეთ ცხინვალშიო. რა წინააღმდეგობა უნდა გამეწია, ჩხუბს ხომ არ დავუწყებდი. ვთხოვე ძალიან, არ გააკეთოთ ეს, ძალიან გთხოვთ, არ შეგიშვებენ მაინც, ნუ გააკეთებთ. შევიდნენ ერგნეთის რესტორანში, თვითონ ეს ლიდერები არ შესულან. ხომ იცით, ასეთ მომიტინგე ხალხს მოსდევს ქუჩაში თავშეყრილი ხალხი და უსაქმურები. შეიყარნენ ამ რესტორანში, დალიეს, შეჭამეს, სკამები დალენეს, დაამტვრიეს ყველაფერი, გამოვიდნენ და... სკამები რომ დაამტვრიეს ზოგიერთმა ახალგაზრდა ბიჭებმა, მათ შორის ნარკომანი იყო ძალიან ბევრი, ზოგს სახეზე ვცნობდი და ზოგს ეტყობოდა, „კაიფ-

ში“ იყო, სკამის ფეხებზე წამოაგეს ჩანგლები და... გამიშვით, უნდა ამოვხოცოთ ოსები – ყვიროდნენ. ასეთი ფაქტის წინაშე დაგვაყენა ჩვენ ზოგიერთმა შემთხვევითმა ადამიანმა. ამან გამოიწვია ის ამბავი, რომ დაეშვნენ ერგნეთის ჩასასვლელ გზაზე, რომელიც შედის ცხინვალში. იქ არის დაახლოებით 200 მეტრის მანძილი. უკვე წამოვიდა შუალამე, ვიდრე ჩავიდნენ, ითათბირეს, შევხვდით იქაურ ხალხს. ლიდერები გვინდოდა შეგვეხვედრებინა. არც ერთი ლიდერი არ გამოვიდა იმათთან შესახვედრად, ოსების ლიდერებთან. ოსებს უნდოდათ შეხვედრა, მაგრამ არ შევხვდებითო. იქ არის ერთი პატარა გორა. ჩემი თვალთ ვნახე ამ გორაზე ჩამწკრივებული „ბოევიკები“ ავტომატებით, თოფებით, ხანჯლებით და ყველაფრით. 200-300 კაცი იყო ცხინვალის შესასვლელთან და წამოვიდნენ, ვისვრითო. მე გავიხადე შინელი, ქამარი მოვიხსენი, ქუდი გადავაგდე და გნებდებით-მეთქი, თოფი არ ისროლოთ, მე „ზალოჟნიკად“ დავრჩებ-მეთქი. ჩვენს ხალხს იარაღი არა აქვს და არავინ არაფერს არ დაგიშავებს, ჩავატარებინოთ მიტინგი-მეთქი. არავითარ შემთხვევაშიო. მერე შენუხდნენ ოსის ლიდერები, აიღეს შინელი, მომანოდეს. რამეირად იქნებ შევთანხმდეთო, რომ ჩავატაროთ ეს მიტინგი სტადიონზეო. სხვათა შორის, სტადიონი უფრო ახლოს იყო, ვიდრე ცხინვალის ცენტრალური მოედანი. გამოვედი და ვუთხარი ბიჭებს: ასეთი განკარგულება მიიღეს და თუ შეიძლება სტადიონზე ჩავატაროთ, ამაზე თანახმანი არიან-მეთქი. არ გვინდაო და წამოვიდნენ უკან, მოტრიალდნენ. დაბრუნდნენ უკან სუყველანი და შევრჩით ჩვენ ჩვენი შინაგანი ჯარებით. იმ დღიდან დაიძაბა მდგომარეობა.

ნათელა ვაჩნაძე: დარჩით იქა?

შოთა გორგოძე: ჯარებიც დავიტოვე იქა და მეც დავრჩი. საღამოს რომ დაიძაბა მდგომარეობა, ჩამოვიდა გუმბარიძე და მგელაძე. ხომ გეუბნებოდით, რომ არ შეიძლება, რა შედეგი მიიღეთ-მეთქი. ჯერ რატომ მოხვედი თათბირზე და მერე ავტობუსები მიეცით და რაც შეიძლება მეტი ხალხი წამოიყვანეთ – ვეჩხუბე. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო ასეთ ვითარებაში? აღელვებული ვარ, სისხლი მონოლილი მაქვს კისერში. მითხრა, რომ ჩემზე ნუ ბრაზდებიო. აბა ვისზე გავბრაზდებ? შენ ხარ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, შენ აუბი მხარი ამ არასწორ გადაწყვეტილებას. თითქმის გადაწყვეტილი მქონდა, არ მოდიოდნენ, გადავდებდით ამ მიტინგს. შენ და ჭითანავა რომ არ დათანხმებულყავით, ხომ არ მოხდებოდა ეს ამბავი, არ დაიძაბებოდა მდგომარეობა, ეხლა უკვე გაიხლიჩა შუაზე ოსი და ქართველი ხალხი – მე ვუთხარი. მაშინ გეტყვი, რა მოხდაო. გამიყვანა გვერდზე და მითხრა: შევარდნაძემ დამირეკა, ეგრე გამეკეთებინაო. აბა უყურე შენ. შევარდნაძე იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლიტიბიუროს წევრი, გუმბარიძე ამას არ მოიტყუებოდა. რა უნდოდა, მერე ჩამოვიდა და ჩვენ ძმები ვართ, ეს ვართ, ის ვართ. სინამდვილეში კი „ბალამუტი“ გააკეთა. მე რაც მითხრეს, ის გითხარით. თქვენ შეგიძლიათ ამის

შესახებ შეეკითხით გუმბარიძეს. თუ ნამუსიანი კაცია, მე პირზე და-  
ვადგები და იტყვის. თუ არა და მაშინ მისი გამოგონილია, მერე თავი  
რომ ემართლებინა ჩემთან.

ნინო თომაძე: მემუარები რომ დანერა შევარდნაძემ, ნაიკითხეთ, ბატონო  
შოთა?

შოთა გორგოძე: არა, არც ვკითხულობ.

ნინო თომაძე: ტყუილები უნერია.

შოთა გორგოძე: ტყუილებს წერს ეგ, მე ხომ ვიცი. მე მომიყვინენ და არც ერთი  
მართალი რამ შიგ არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: გინდათ ეგ წიგნი, ბატონო შოთა?

შოთა გორგოძე: არა, არც მინდა ვნახო. იმიტომ, რომ მაგას რომ ჰქონდეს  
ნამუსი, ერთხელ მაინც უნდა დაეძახა ჩემთვის და ეთქვა, ამ საკით-  
ხებზე... როცა მოდიოდა, მე მაგას ვთხოვე მოსკოვში, მე ვალდებული  
ვარ, შენთან ერთად წამოვიდე და დაგიდგე გვერდში-მეთქი. მოვალეც  
ვარ, როგორც ქართველი კაცი, როგორც მინისტრი კი არა. მე უკვე  
გადამდგარი ვიყავი. მე იქ ხალხს ვიცნობ, აფხაზეთშიც ვიცნობ, ოს-  
ეთშიაც ვიცნობ და შემიძლია, დაგეხმარო, მაგრამ ჯერ ვერ მოვდივარ  
მდგომარეობის გამო-მეთქი. არა, ბავშვს მიხედო. მაშინ ერთ რამეს  
გირჩევ, როცა ჩახვალ, პირველი, რაც უნდა გააკეთო-მეთქი... გამოვ-  
იდა ტელევიზიით კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი და ასე განაცხადეს:  
ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთო, როცა ზვიადი გადააგდეს და  
გაიხლიჩა ქართველობა შუაზე. მოვალეობის შესრულებად მიაჩნდათ  
ზვიადის გაგდება და ეროვნული მოძრაობის ჩახშობა. მე მხატვარი  
კაცი ვარო და, კერძო საუბრებშიც ამბობდა, რექტორად წავალ ალ-  
ბათ სამხატვრო აკადემიაშიო. ჯაბა კი ამბობდა, თეატრალური ინ-  
სტიტუტის ხელმძღვანელად წავალო. გამოიყენე ეს-მეთქი, დაუძახე,  
ისინი მზად არიან ამისათვის და ერთიც გადაიყვანე იმ ადგილზე და  
მეორეც-მეთქი. ამით ქვეყანა არ დაინგრეოდა, დროებით თუ დადგე-  
ბოდნენ ისინი იქ. სამაგიეროდ, დაშალე კიტოვანის გვარდია და და-  
შალე ჯაბას მხედრიონი-მეთქი. მე არ ვიძახი, რომ სუყველა ნარკო-  
მანები, მამაძაღლები, ყაჩაღები და კრიმინალები არიან იქ, იქ არიან  
კარგი ბიჭებიც, პატრიოტებიც. ვინც საბჭოთა ჯარში ნამსახურები  
ბიჭები არიან, ისინი დაიტოვე, ჩამოაყალიბე შინაგან საქმეთა ჯარები  
და ამ ჯარებს ჩაუდექი სათავეში-მეთქი და გეყოლება ძალიან ძლიერი  
ძალა. დიდი მადლობა გადაუხადე იმ ბიჭებს ამ ბრძოლებისათვის,  
ეროვნული მოძრაობისათვის, მხედრიონელებსაც, გვარდიელებსაც  
და ასე ნელ-ნელა დაშალე-მეთქი.

ნინო თომაძე: რატომ არ დაიჭირა ჯაბა და კიტოვანი?

შოთა გორგოძე: პირიქით, მე იმაზე გავსივდი გულზე, როცა ჩამოვიდა და  
თქვა, ჯაბა და კიტოვანი ჩემი მეგობრები არიანო.

ნინო თომაძე: ჯაბამ და კიტოვანმა ხელი შეუწყეს ჩამოსვლაში და...

შოთა გორგოძე: საბოლოო ჯამში, მაგათ რომ უარი ეთქვათ, ვერ გაბედავდა

ჩამოსვლას.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გჯერათ, რომ ბატონო თენგიზი და ბატონი ჯაბა შემოიფარგლებოდნენ რექტორის თანამდებობით?

შოთა გორგოძე: შემოიფარგლებოდნენ, რატომაც არა.

ნათელა ვაჩნაძე: მერე რა შეუშალათ ხელი, რაღა სამხედრო საბჭოში შევიდნენ?

შოთა გორგოძე: მერე რომ ჩამოვიდა შევარდნაძე, თქვა, ეს ხალხი მჭირდებაო.

ნათელა ვაჩნაძე: იმათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ არა, ბატონო, ჩვენ ვერ ვერკვევით პოლიტიკაში, ჩვენ არ შეგვიძლია ქვეყნის მართვა, თქვენ ისეთი გენიოსი ხართ, მსოფლიო პოლიტიკოსი ხართ, თქვენ წარმართავთ სწორად საკითხებს და მე გამიშვით რექტორად.

შოთა გორგოძე: ეს უნდა უთხრათ განათლებულ კაცს.

ნინო თომაძე: ეს იყო კლასიკური მაგალითი. გამოიყენა მაგან ჯაბა და კიტოვანი თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად და მერე ორივე ჩაძირა.

შოთა გორგოძე: ჩვენ გამოგვიყენა შევარდნაძემ თავისი კარიერისათვის მთელი პარტიული მუშაკები. მე OBX-ში წამიყვანა, რა ჩემი საქმე იყო OBX-ში მუშაობა. ჩემი ჭაბუკობის წლები და ჩემი ჯანმრთელობა შეეღია მის კარიერას. მე რისი დამჭერი ვიყავი, ვისი დამჭერი ვიყავი, რაში მაინტერესებდა. მე ინჟინერი კაცი ვიყავი და ჩემთვის ვიყავი. მაგრამ მაგან კადრების ცნობა იცოდა, მერე მოგენდობოდა და გამუშავებდა ვირივით, ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვისთვის. გამოგვიყენა და მერე ქუჩაში გაგვყარა სუყველა. რომელი მეგობარი და თანამშრომელი დაიყენა გვერდში? არავინ არ დაიტოვა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო შოთა, თქვენ დარჩით არა იმ გიორგობის ღამეს ცხინვალში?

შოთა გორგოძე: დავრჩი და მუშაობა ჩავატარე. იყო ამოცანა, როგორმე გავსულიყავი ჩოჩიევზე და გაზაევზე. იქ იყო ერთი ძალიან კარგი პიროვნება ალიკა ცხოვრებოვი. ალიკა ცხოვრებოვი გახლდათ ზაურ ცხოვრებოვის ძმა, ფეხბურთელის, „დინამოელის“. კარგი ბიჭი იყო, „დინამოში“ თამაშობდა და ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა მე, როგორც „დინამოს“ მაშინდელ თავმჯდომარეს. ფეხბურთელებთან და სპორტსმენებთან კარგი ურთიერთობა მქონდა საერთოდ. ძალიან მენდობოდა მისი ძმა და ეს ერთ-ერთი ლიდერი იყო ოსების მხრიდან, თუმცა ნეიტრალიტეტს იცავდა და ცდილობდა, მეგობრობის ხიდი არ ჩატეხილიყო. ალიკა და მისი ჯგუფი დიდი ავტორიტეტი იყო იქა. მათი საშუალებით გავედი „ადამოს ნიხასის“ ლიდერებზე და განვუმარტე – სამი დღე ერთად ვიმუშავეთ იქა – რომ არ შეიძლება ჩვენს ერებს შორის ასეთი დაპირისპირება, ეს არის დიდი შეცდომა, ეს აინტერესებთ სხვა ერებს, ეს აინტერესებს რუსეთს. ამიტომ უნდა ჩვენ გამოვნახოთ საერთო ენა, არავინ თქვენ არ გერჩით.

ნათელა ვაჩნაძე: იმათი პოზიცია როგორი იყო, თქვენ როგორ შეამჩნიეთ?

შოთა გორგოძე: დამიჯერეს და მე ვუთხარი: მაშინ თუ თქვენ ეს გჯერათ და თუ თანახმა ხართ, ერთ თვეში ჩვენ მოვამზადოთ ნამდვილი ძმობის და

მეგობრობის მიტინგი, ჩავატაროთ ცხინვალში ერთობლივი მიტინგი და რაც პოლიტიკური საკითხებია – რაც თქვენებს აწუხებთ და რაც ჩვენებს – დავსვათ ეს მთავრობის წინაშე, არავითარი შეიარაღება და არავითარი „ბოევიკები“ ამას არ სჭირდება, არც დაპირისპირება და სისხლის ღვრა. ინსტიტუტის ბევრი ოსი მეცნიერ-თანამშრომელი, პედაგოგ-მასწავლებელი დამიდგა მხარში და მითხრეს: კი, ბატონო, მოგეხმარებით, გავაკეთოთ ეს. მე ვუთხარი: თუ თქვენ ამაში მომეხმარებით, მე პირობას გაძლევთ, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ქართველები შეიარაღებულები თავის დღეში არ ჩამოვლენ აქ არასდროს. ეს ტყუილია, არავის არ უნდა თქვენი გაძვეება აქედან-მეთქი. რა გავაკეთოთ. რა უნდა გავაკეთოთ და ჩოჩიევი და გაზაევი გამატანეთ თბილისში, გამოვიყვან ტელევიზიით და რასაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, გამოვიდნენ და ხალხს მიმართონ, საქართველოს მოსახლეობას. კი, ბატონოო. ნავიდნენ, იმუშავეს და აღმოჩნდა ჩოჩიევი მოსკოვში წასული. მოვიდა გაზაევი და ახლდა ერთი ახალგაზრდა პედაგოგი კაცი. წამოვიყვანე ორივე, დამეთანხმნენ და გამოვიყვანე საქართველოს ტელევიზიაში. არმაზ სანებლიძე იყო მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: რა ენაზე?

შოთა გორგოძე: რუსულად. არ იცოდა ქართული, მართლა არ იცოდა. ბევრი კი ლაპარაკობდა ქართულად, მაგრამ ის გაზაევი ახალგაზრდა კაცი იყო. რომ ველაპარაკებოდი მე ქართულად, ის რუსულად მპასუხობდა. რამდენიმე სიტყვა ქართულად სცადა და ამტვრევდა და ამიტომ გამოვალ რუსულადო და მეც არ მითქვია უარი. გამოვიდა და ზუსტად, კარგად ჩამოაყალიბა, რომ ჩვენ მზად ვართ ერთობლივი მეგობრობისთვის, ძმობისთვის, მხოლოდ ამჟამად ხალხშია მუშაობა ჩასატარებელი. იქ შეცდომაშია შეყვანილი ხალხი, შეია რაღებულები არიან და ასე ჰგონიათ, რომ თქვენ გვიპირებთ გასახლებას და ამიტომ ერთი თვე მოგვეცითო, რომ მოვემზადოთ ამისათვის და ჩავატაროთ ეს მიტინგიო. და ამაზე დავინწყეთ მუშაობა, მაგრამ მერე მაინც არ მოგვეცეს ამის საშუალება. ისევ ხელახლა მიტინგების დაწყება, როგორც ხდებოდა, დაუჯერებლობა. ტელევიზიაში გამოვიდა ბატონი ზვიადი და თქვა, ერთ კვირაში ჩამოვალთ და ჩავატარებთ მიტინგსო. ამან ხელახალი გაღიზიანება გამოიწვია და ა. შ. და ა. შ.

ნათელა ვაჩნაძე: აქ რა იყო, იცით, ბატონო შოთა? ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში, ჩემს მონა-წყალზე ქართველმა კაცმა ვერ უნდა შემოვდგა ფეხი? ალბათ ეს იყო.

შოთა გორგოძე: რა თქმა უნდა, ეს იყო ფაქტორი გულისტკივილისა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო, რაც აღიზიანებდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ქართული ეროვნული მოძრაობა ცდილობდა, თავისი ძალები ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაეკავშირებინა. ამიტომ შექმნა იქ თავისი მომხრეებისაგან დასაყრდენი, რომ ქართველთა ინტერესები დაეცვა.

შოთა გორგოძე: რა თქმა უნდა, თორემ არც ერთს არ გვნდომებია, ჩავალთ და ოსებს გავყვრით იქიდან, ასეთი განცხადებები არ გავგიკეთებია.

იმათ მიიღეს ასე, ექსტრემისტებმა, პროვოკატორებს რა გამოლევს. ნათელა ვაჩნაძე: გავყრიტ კი არ იყო, მაგრამ მათ სხვა არხები კიდეე ჰქონდათ და აჯერებდნენ, რომ ეს ასე იქნება.

შოთა გორგოძე: ამაში დიდი როლი ითამაშა ცაგალაევმა, ოსმა გენერალმა, რომელიც ავღანეთში იყო, შემდეგ დაბრუნდა და სამხედრო აკადემიაში კითხულობდა ლექციებს მოსკოვში, მე მგონი, ფრუნზეს აკადემიაში, იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ეს მოძრაობა რომ დაიწყო, ჩამოვიდა თბილისში. გენერლის ფორმით ჩამოვიდა და მოვიდა ჩემთან. მე ჩამოვედი იმიტომ, რომ ერთობლივ ღონისძიებაში დაგეხმაროთ და არ მოხდეს ჩვენს ხალხებს შორის დაპირისპირებაო. მე ვუთხარი, ძალიან კარგს იზამთ, თუ ასეთ პოზიციას დაიჭერთ და დამეხმარებით, მაღლობელი ვიქნები-მეთქი. წავიყვანე ცენტრალურ კომიტეტში, გავაცანი გუმბარიძეს, იმასაც იგივე ელაპარაკა. გადაწყდა, რომ რომან გვენცაძე გამეყოლებინა მისთვის და დაეწყოთ ერთობლივი მუშაობა. მილიცია იქ მაშინ ჩვენს ხელში იყო. მილიციის უფროსად იქ დიდი ბრძოლის შედეგად გავიტანე ლუდუშაური, თბილისიდან მივავლინე, წარმოშობით ყაზბეგელი კაცია. ოსეთში ბევრი მოჭიდავე იყო და ეს ბიჭიც თავის დროზე ჭიდაობდა, საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამოდიოდა და იქ ბევრი მეგობარი ჰყავდა. ეს იყო პოლკოვნიკი კაცი, შტაბის უფროსი იყო ქალაქის სამმართველოში ჩვენთან და ამიტომ მიმავლინე და დავნიშნე იქა სამმართველოს უფროსად, რომ როგორმე ურთიერთობა აღმდგარიყო და არ ყოფილიყო დაპირისპირება. სიტყვით ამაში თითქოს მონაწილეობას ღებულობდა ცაგალაევი, მაგრამ სულ სხვა რამეს აკეთებდა. ჩავიდა იქა, დაუკავშირდა ოს ექსტრემისტებს, დაუკავშირდა რუსის გენერლებს, რომლებიც ჩამოსულები იყვნენ იქ თითქოს წესრიგის დასამყარებლად...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არ იცნობდით იმ გენერლებს?

შოთა გორგოძე: როგორ არ ვიცნობდი, ჩემს გარეშე ფეხს არ ადგამდნენ, მაგრამ ყველა ნაბიჯზე ხომ ვერ გავყვებოდი. ხვდებოდნენ ჩუმად, ზურგს უკან ექსტრემისტებს, აქეზებდნენ...

ნათელა ვაჩნაძე: ალბათ მისი ჩამოყვანილები იყვნენ.

შოთა გორგოძე: რა თქმა უნდა. ...და ამაზე ძალიან დიდი შეხლა-შემოხლა მოგვივიდა ჩვენ...

ნათელა ვაჩნაძე: ეს არის ისევე და ისევე რუსეთ-საქართველოს ომი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიისათვის.

შოთა გორგოძე: ...ბოლოს ავიღე და დავურეკე გვენცაძეს, ცხინვალში იყო ჩასული – ინფორმაცია მომივიდა ძალიან ცუდი, ამზადებდნენ პროვოკაციებს – და ვუთხარი: სასწრაფოდ მოკიდე ხელი ცაგალაევს, ჩასვი მანქანაში და გადაიყვანე ჩრდილოეთ ოსეთში, ორჯონიკიძეში და გადააფრინე მოსკოვში, სანამ თავი შერჩენია მხრებზე, ასე გადაეცი ჩემგან-მეთქი. წაიყვანა და გააგდო და იმ დღიდან მისი „დუხი“ აღარ ყოფილა საქართველოში. მაგრამ რა ქნა. წავიდა და მივიდა ბაკა-

ტინთან. არ აქვს მინისტრს უფლება, რომ არ მიიღოს ასეთი კაცი.  
 ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ ეს სამხედრო უწყების კაცი იყო და არა შინაგანი.  
 შოთა გორგოძე: რა თქმა უნდა. ხოდა დამირეკა ბაკატინმა: Что за генерал Цагалаев, который сейчас сидит и ждет приема? принять его или не принять? მე ვუთხარი: только с плохой стороны, приехал специально, чтобы разжечь розни между нашими народами, осетинскими и грузинскими народами. Потому я вынежден выгнать его от сюда. Еще хуже я скажу. Он работал в Авганистане и все обмундирования продавал там в авганцам. გამოაგდეს იმიტომ, ეს ვიცოდი. მე დავინტერესდი, ავღანეთიდან როგორ გამოაგდეს, რატომ წამოვიდა. თუ კარგი მებრძოლი იყო, არ უშვებდნენ იქიდან გენერლებს. დავუკავშირდი იქ ჩემს მეგობრებს, გენერლებს, ვისაც ვიცნობდი და მითხრეს, ასეთ რამე ჩაიდინაო. სხვათა შორის, როდიონოვმა იცოდა ამის შესახებ, როდიონოვთან ერთად მუშაობდა ავღანეთში. ამიტომ ვუთხარი, ასეთი რამე გააკეთა და ბანდიტია-მეთქი. К чертовой бабушке его, არ მიიღო, დაუძახა მდივანს, მესმოდა, выкенте его от туда, я не буду принимать Цагалаева და დამთავრდა ამით. იმის მერე ცაგალაევს საქართველოში ფეხი აღარ ჩამოუდგამს. ასე იყო, თუ ისე იყო, ოპერატიული ვითარება დაიძაბა ძალიან სამხრეთ ოსეთში და გაძლიერებული შინაგანი ჯარები იქნა შეყვანილი. მერე ეროვნული მოძრაობის ძალებმა ძალიან დიდი მიტინგი მოაწყვეს ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ, დაიწყეს შიმშილობა ფოიეში და გამოაცხადეს, ვინცებთ შიმშილობას, ვიდრე არ გამოიყვანთ შინაგან ჯარებს, რადგან შინაგან ჯარებს იყენებს ოსი ხალხი და ოსების მხარეზე არიანო. ფაქტიურად, ის გენერლები ნამდვილად იმათ მხარეზე იყვნენ. ამიტომ ჩავედი იქა, რომ დამერწმუნებინა ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რომ თქვენ სწორი ხართ და მე ამაზე ზომებს ვღებულობო. ჩავედი ცხინვალში ღამით გვიან, წავიყოლე მარტო „პომოშნიკი“, შვევხვდი ჩვენი ჯარების წარმომადგენელს. სკრიპკინი იყო, გენერალი, საქართველოს შინაგანი ჯარების ხელმძღვანელი. წარმოშობით კაზაკი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: არა საქართველოში დაბადებული და გაზრდილი კაცი?  
 შოთა გორგოძე: არა, მაგრამ ძალიან ახლობელი და მეგობარი ჩემი. ჩემი დაწინაურებული კაცი იყო და მე გავუკეთე სუყველაფერი „плоть до генерала“. ძალიან დიდ პატივს მცემდა და ჩემი ერთგული კაცი იყო, მაგრამ იქიდან ჩამოსულმა გენერლებმა გაუჭირეს საქმე. იქიდან ჩამოსული მაინც უფრო выше стоящий командир-ია, ვიდრე აქედან ჩასული. ამიტომ იძულებული იყო, ჩამოეყარა ხელები და ვერაფერს ვერ აკეთებდა. მე ვუთხარი: ამალამვე შეკრიბე შინაგანი ჯარები, სასწრაფოდ გაიყვანე მთელი „ზვოდები“, ბატალიონები და მივდივართ უკან, ვბრუნდებით თბილისში-მეთქი. ეს რომ გაიგონ ოსებმაო, გაგიჟდებიანო, გადაგვიკეტავენ გზასო. მე ვუთხარი, არა უშავს-მეთქი. ამიტომ დავიბარე ყველანი ღამის 3 საათზე პედაგოგიური ინსტიტუ-

ტის კლუბში, წარმომადგენლები ოსების და ჩვენი ხალხის, რომლებიც მუშაობდნენ ამ საკითხებზე ერთობლივად. ვუთხარი: დიდი ხანია აქ არის ჩვენი ჯარები, ძალიან გვიჭირს აქ მათი მოვლა და იძულებული ვართ, შევცვალოთ. სხვა ნაწილი მოდის, გზაშია-მეთქი. ისინი შეცვლიან ამათ და ესენი გაატარეთ და გაუშვით. ტყუილი ვთქვი პირველად ცხოვრებაში. ამათ „კამანდა“ მოვეცი, марш, вперед და იქიდან უკან აღარავინ აღარ ჩასულა. როცა გამოსცილდნენ ცხინვალს ჯარები, ჩამოვედი, მიტინგზე მივედი და გამოვუცხადე ეროვნული მოძრაობის ლიდერებს. ლუიზა აქტიურობდა მაშინ ძალიან, სულ ქალები ჰყავდა მოყვანილი შაკიაშვილს. მე ვუთხარი: აი, ბატონო, მითხარით, გამოიყვანე ჯარები, გამოიყვანე და დაიშალებ, რაღა გინდათ-მეთქი. არა, უნდა დავრწმუნდეთ მაინცო. გააგზავნეთ თქვენი წარმომადგენლები და შეხვდით მცხეთაში და ნახავთ, რომ ჯარები მოდის. გააგზავნეს ნატახტართან, პოსტთან ხალხი, ჩავიდნენ და ნახეს, რომ მთელი დივიზია გამოვიდა უკან. ამოვიდნენ და დაიშალნენ. ეს არის უკვე ჩემი მუშაობის ბოლო პერიოდი, დაახლოებით თებერვალი, მარტი, 90 წელია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენს წასვლამდე კიდევ ბევრი დროა.

შოთა გორგოძე: ჩემს წასვლამდე კიდევ ბევრი დროა, მაგრამ რაიმე საკითხებზე, მე იქ ღონისძიება ჩამეტარებინოს, აღარ ყოფილა, ჩანყნარდნენ ოსები ნელ-ნელა, თოფი არ გასროლილა. ისინიც შეშინდნენ, შინაგანი ჯარები რომ აღარ იდგა იქა.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. სწორი იყო მოთხოვნა შინაგანი ჯარების მიერ ტერიტორიის დატოვების შესახებ.

შოთა გორგოძე: სწორი იყო. მეც ვხედავდი, რომ სწორი იყო და იმიტომ შევასრულე. არასწორი რომ ყოფილიყო, არც მე არ შევასრულებდი. ასე იყო, თუ ისე იყო, მერე ჩადიდნენ აქედან, არავინ აღარ უშლიდა ქართველებს, აღარ იდგნენ „ბოევიკები“ იქა. როცა უნდოდან ჩავიდოდნენ, როცა უნდოდან ჩამოვიდოდნენ, მიდიოდა ჩვეულებრივი ცხოვრება, მაგრამ დაძაბულობა კი იყო, რა თქმა უნდა. ძალიან დაიძაბა მდგომარეობა ქართველებსა და ოსებს შორის. რამ დაძაბა. ერგნეთთან რომ შეიკრიბნენ 23 ნოემბერს, ხომ ბევრი ხალხი გამოვიდა იქიდან და როდესაც დაიშალა მიტინგი, დადგნენ ოსები და უყურებდნენ, რომელი ქართველი იყო ამ მიტინგზე გამოსული ცხინვალიდან. ყველა აღრიცხვაზე აიყვანეს და იმათ ავინროვებდნენ ყველანაირად. მერე ჩვენც ვერეოდით ამ საქმეში, ღუღუშაურს დავავალე ამ საკითხებზე მუშაობა, მილიცია ერეოდა, უბნის რწმუნებულები. დიდ ამბებს ვერ ბედავდნენ, ჩხუბში და დიდ კონფლიქტში არ გადაზრდილა, მაგრამ ეს დაძაბულობა შეიმჩნეოდა ძალიან. ასეთ პერიოდში მე ეს საკითხები დავტოვე, მერე, გახსოვთ თქვენ, რითაც დავამთავრე. აქ დაძაბული ვითარება იყო, მე უკვე გადადგომას ვაპირებდი, არჩევნებთან დაკავშირებით რომ არ ტარდებოდა ღონისძიებები და მერე მე გადავდექი და

ნავედი. აქ ჩავაბარე ჩემი „პოლნომოჩიე“ მთავრობას.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო თქვენი კავშირი, რაც შეგეძლოთ გეთქვათ, ოსეთის პრობლემასთან?

შოთა გორგოძე: ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ. შემდეგ, მე როცა ნავედი, დანიშნეს შინაგან საქმეთა მინისტრად საბუღიანი. სპორტსმენი ბიჭი იყო, ვიცნობდი ახლოს, კარგი პიროვნება იყო, მაგრამ მინისტრი როგორი იყო, მე არ ვიცი, ვერ შევაფასებ, ჩემს პერიოდში არ უმუშავია. კვანტალიანი იყო მინისტრის მოადგილე, ჩემს პერიოდშიც მოადგილე იყო და მერე ეს ხალხი წავიდა იქ საბრძოლველად, იმათმა ჩაატარეს ოპერაციები. ოთხი წლის მერე დავბრუნდი და დამნიშნეს პოლიციის აკადემიის რექტორად. მერე ხომ ვხვდებოდი ამ ბიჭებს, ჩემს თანამშრომლებს და რა გააკეთეთ-მეთქი, ვეკითხებოდი, ნააგეთ ომი და ხალხი დახოცეთ. რა ვქნათ, გვიბრძანესო.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო შოთა, თქვენი პოსტიდან გამომდინარე ალბათ უნდა იყოთ ჩახედული მესხეთიდან გასახლებული მოსახლეობის უკან დაბრუნების საკითხებში.

შოთა გორგოძე: კი, ბატონო. იმდენად, რამდენადაც იმ წლებში დაიწყო ეს მოძრაობა, როგორც სამხრეთ ოსეთის პრობლემები წამოიჭრა, აფხაზეთის პრობლემები წამოიჭრა, ქვემო ქართლის პრობლემები და პარალელურად დაგვანვა კისერზე კიდევ თურქი-მესხების საკითხი. თითქოს საჯიჯგნად აიღეს საქართველო ვილაცეების ხელმძღვანელობით, თორემ ამას ერთდროულად ვერ გაბედავდა ვერავინ. ან თურქი-მესხები ამას გაბედავდნენ, რომ პროვოცირებული არ ყოფილიყო ვინმეს მიერ? იმ ექსტრემისტულმა ძალებმა, შოვინისტურმა ძალებმა, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოს წინააღმდეგ, ერთდროულად წამოჭრეს ეს საკითხები.

ნათელა ვაჩნაძე: გესმით, რამხელა გენერალური გეგმა იყო შედგენილი, ბატონო შოთა?

შოთა გორგოძე: აბა რა, ძალიან დიდი გეგმა. უზბეკეთში ატყდა ივნისის თვეში რაღაც თავდასხმა ადგილობრივ მოსახლეობასა და თურქ-მესხ მოსახლეობას შორის ბაზარში, თითქოს რაღაც ხილის გაყიდვის გამო მოხდა ეს შეხლა-შემოხლა. 300 ათასი კაცი დაიძრა საქართველოში ჩამოსასვლელად.

ნათელა ვაჩნაძე: დეპუტატთა ყრილობაზე გამოაცხადეს, из за клубники.

შოთა გორგოძე: из за клубники იყო მიზეზი.

ნათელა ვაჩნაძე: მიზეზი ის იყო, რომ მაგათი მოშორება უნდოდათ და რუსეთი ხელს უწყობდა, რომ საქართველოში დაბრუნებულიყვნენ.

შოთა გორგოძე: უნდა ჩამოსულიყვნენ და მომხდარიყო დაპირისპირება ქართველებსა და თურქ-მესხებს შორის და კონფლიქტის კიდევ ერთი კერა გაეკეთებინათ საქართველოში. ეს იყო მიზანი, მაგრამ ვერ შეძლეს მაინცდამაინც ბოლომდე თავიანთი მიზნების განხორციელება. ამას ხელი შეუშალა ბევრმა გარემოებამ. პირველ რიგში, სარვაროვი,

ე. ნ. თურქი-მესხების ლიდერი, მივიდა გორბაჩოვამდე და დაუმტკიცა, რომ თითქოს თურქი-მესხები სტალინმა გადაასახლა იმიტომ, რომ არ მოსწონდათ მათ მისი პოლიტიკა. ჩვენ სტალინის წინააღმდეგი ვიყავით და არა ქართველი ხალხისო. ჩვენი ნამოსახლარი ადგილები დღესაც თავისუფალი არის და ვითხოვთ იქ დაბრუნებასო.

ნათელა ვაჩნაძე: მიზეზი ის იყო, რომ საზღვრისპირა ოლქებში იყვნენ ჩასახლებულები და პრაქტიკულად მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თურქი იყო თურქეთის საზღვართან.

შოთა გორგოძე: ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ თურქებს უჭერდნენ მხარს და თურქეთი მზად იყო, რომ ჩავეყლაპეთ ჩვენ, თუ იაპონია გაგვიხსნიდა ფრონტს აღმოსავლეთიდან. ამ შემთხვევაში თურქეთი იწყებდა ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელდა, მოგეხსენებათ. თურქი-მესხები მხარს უჭერდნენ გერმანელებს, როგორმე შემოსულიყვნენ თურქეთში და თურქებს მიეტაცებინათ ჩვენი მხარე. ხოდა, სარვაროვმა შეიყვანა შეცდომაში გორბაჩოვი. შეიყვანა შეცდომაში თუ იმან ვითომ შეცდომა ჩაიდინა, ეს კიდევ საკითხავია. გორბაჩოვმა დაავალა ბაკატინს, მე მიმტკიცებ სარვაროვიო, რომ მათი ნამოსახლარი ადგილები თავისუფალია, იქ არავინ არ ცხოვრობს და ამიტომ ითხოვენ იქ დაბრუნებასო. ბაკატინმა დამირეკა და მეუბნება: ასეთი მდგომარეობაა და რა ვქნათო. მე ვუთხარი: ერთი გზა არსებობს მარტო, Вадим Викторович, давай, сейчас садись и прилетай сюда-მეთქი. წავიდეთ, დავათვალიეროთ და დარწმუნდები, რომ იტყუება სარვაროვი-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: ჩამოვიდა?

შოთა გორგოძე: ჩამოვიდა, კი, რა თქმა უნდა. გაეხარდა კიდევაც ეს „პრიგლაშენი“, დავხვდი აეროპორტში. მითხრა, აეროპორტიდან წამიყვანე პირდაპირ მესხეთ-ჯავახეთშიო. მე, რა თქმა უნდა, წინდანინ დავრეკე ასპინძაში, ახალციხეში, რაიკომის მდივნებს ახლოს ვიცნობდი ყველას.

ნათელა ვაჩნაძე: მილიციის განყოფილებებიც ხომ ყველა თქვენს ხელში იყო?

შოთა გორგოძე: ყველა, ყველა, მაგრამ აქტივი მაინც უნდა შეეკრიბა რაიკომებს და არა მილიციას. მილიცია თავისთავად გავაფრთხილე. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო, თუ ისე იყო, ჩამოფრინდა ბაკატინი და მთხოვა, აეროპორტიდან წამიყვანე, გუმბარიძეს შემახვედრეო და მიიღო გადანყვებილება, ადგილზე წავალთ და ვნახავთო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს რომელი წელია, თუ გახსოვთ?

შოთა გორგოძე: ეს არის 90 წლის გაზაფხული, ჯერ კიდევ მე ჩემს პოსტზე ვარ. 89-ში დაიწყეს თურქ-მესხებმა მოძრაობა, მაგრამ 90-ში ძალიან გართულდა მდგომარეობა. ხან აზერბაიჯანის მხრიდან აპირებდნენ შემოსვლას, ხან ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან, ორჯონიკიძიდან, ხან აპირებდნენ ლესელიძის მხრიდან შემოსვლას და ა. შ. იყო საამისოდ დიდი მზადებები, უახლოვდებოდნენ საზღვარს. ჩვენ გვქონდა

ინფორმაციები, რომ ბევრი მათგანი დაიძრა შუა აზიიდან და თავიანთ ნათესავეებთან გაჩერდნენ აზერბაიჯანში, მოგვიახლოვდნენ, რომ ერთდროულად შემოსულიყვნენ საქართველოში. უნივერსიტეტში დავრეკე და ფორაქიშვილი გავაყოლე ბაკატინს, როგორც კაცი, კარგი მოქალაქე.

ნათელა ვაჩნაძე: არაჩვეულებრივი კაცია, ათეიზმის კათედრის გამგე იყო. შოთა გორგოძე: ყველაზე კარგად მან იცოდა მალაკნების საკითხი, ახალქალაქში რომ ცხოვრობდნენ. იქაც მყავდა ხშირად ჩაყვანილი ზურაბი, მერე ერთად ჩავდიოდით ხოლმე. სექტანტების ისტორია იცოდა და ძალიან მეხმარებოდა. ეგეც ჩაუუსვი ბაკატინს „ვერტალიოტი“ და გადავფრინდით მესხეთ-ჯავახეთში. ჩავფრინდით ასპინძაში, ახალციხეში, ადიგენში და ყველა რაიონები შემოვიარეთ. დაგვხვდა ხალხი მზადყოფნაში. Далой турк-месхетинцев, ყვიროდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ მოგზაურობამ ბაკატინზე? შოთა გორგოძე: გეტყვით. ვაჩვენეთ ის ადგილები, საიდანაც გაასახლეს ის ხალხი, ვაჩვენეთ, ვინ არიან ჩამოსახლებულები იქ სტალინის მიერ დასავლეთ საქართველოდან. მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსასახლეს, ჭიათურიდან, საჩხერედან, საირმედან, ბაღდადიდან. არც ერთი სახლი არ იყო თავისუფალი. გაგიჟდა, ეს რომ ნახა. შვიდკილომეტრიანი ზონა იყო საზღვართან თავისუფალი. აქეთ საბჭოთა კავშირის საზღვარი იყო, იქით – თურქეთის. ამაზე ლაპარაკობდნენ. არ შეიძლება ეს, სახელმწიფოთაშორის თავისუფალი ზონა უნდა არსებობდეს. პარალელურად ზურაბს ვთხოვე, დაენერა, ვინ არიან ეს თურქი-მესხები და რანი არიან. დამინერა ეს, მე მგონი, მარიკასთან ერთად და მომიტანა ხუთგვერდიანი ტექსტი. დავნერეთ კიდევ ძალიან დიდი ტექსტი, აზერბაიჯანელები რომ წამოიშალნენ. მომიტანეს მერე მე ეს ტექსტი, დიდი იყო ძალიან და მთელი ღამე ვიჯექით მე და ჩემი „პომოშნიკი“, ერთი რუსი მყავდა, ძალიან კარგი ბიჭი იყო და დავიყვანეთ ხუთ გვერდზე. გორბაჩოვი 26-გვერდიან ტექსტს არ წაიკითხავდა. ჩამოვაყალიბეთ, ვინ იყვნენ და რანი იყვნენ, წინ რა ისტორიული ფაქტები უძლოდა, როგორ ჩამოსახლდნენ საქართველოში, რომ ეს ტერიტორია ქართულია და ა. შ. თურქ-მესხების შესახებაც იგივე გავაკეთეთ, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ფაშიზმს და ა. შ. ეს ყველაფერი ჩავაბარე ბაკატინს. იმ ღამესვე ჩამოვფრინდით „ვერტალიოტით“ და აეროდრომიდან წავიყვანე ზურაბ წერეთლის სახელოსნოში, ბაგებში. ზურაბი აქ იყო ჩამოსული ჩვენს ბედზე. ზურაბმა კარგი პურ-მარილი დაგვახვედრა, მომღერლები მოიყვანა. გაგიჟდა ბაკატინი, ისე მოენონა, პირველად იყო საქართველოში. ამანაც დაუკრა გიტარაზე, იმღერა, იქეიფა და გავაცილეთ. ჩავიდა და მოახსენა გორბაჩოვს, что все не так, რასაც ამბობს სარვაროვი, მატყუარა და გათახსირებული და იმ დღიდან მოიხსნა ეს საკითხი. ეს საკითხი რომ მოიხსნა, ჩვენც ამოვისუნთქეთ, აღარც აზერბაიჯანელები ატარებდნენ აქეთ და არც არ-

ავინ. მოიხსნა საშიშროება, მაგრამ მოხდა რა. როდესაც აფხაზეთში დაიძაბა მდგომარეობა, ამ დროს მოვიდა ინფორმაცია, რომ ესენი აპირებდნენ შეკრებას ადლერში. თუ არა ვცდები, ეს იყო მაისის თვე. მოვიდა ინფორმაცია, რომ ისინი უნდა ჩამოფრინდნენ ტაშკენტიდან, ზოგი, ვინც ახლოს იყო, უნდა მოვიდნენ მანქანებით კრასნოდარიდან და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან და, თუ არა ვცდები, 10 მაისი იყო, თუ 11, უნდა შეიკრიბონ ადლერის სტადიონზე. ასეთი ბრძანება გასცა სარვაროვმა. მათ მოლაპარაკება ჰქონდათ აფხაზებთან, ისინი გამოუშვებდნენ ყოველგვარი შეიარაღების გარეშე, წელს ზევით მამაკაცები შიშვლები იქნებიან, დანარჩენები წამოჰყვებიან და აბა, გვესროლონ ქართველებმა, თუ ბიჭები არიან. დაახლოებით ასეთი გეგმა ჰქონდა სარვაროვს. ამის შემდეგ იძულებული გავხდი, ეს ინფორმაცია რომ გავიგე, ჩვენი შინაგანი ჯარები სკრიპკინის ხელმძღვანელობით გადამესროლა საზღვართან. ჩავიდნენ და შეუდგნენ საზღვრების გამტკიცებას ლესელიძეში. თან ხალხია გამოსული, ადგილობრივი მოსახლეობა. დავჯექით მერე მე და ზურაბი „ვერტალიოტში“ და ჩავფრინდით ლესელიძეში. დავუკავშირდი წინა დღით ბაკატინს, ვუთხარი, ასეთი ინფორმაცია არსებობს და თქვენი დახმარება გვინდა, რომ როგორმე შეზღუდოთ მაგათი მოძრაობა, არ მისცეთ საშუალება, თვითმფრინავებზე ან მატარებლებზე ბილეთები გაიყიდოს. გასცა ბრძანება და შექმნა შტაბი. ლიცაუსკასი იყო მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე, „პრიბალტიკელი“. ლიტველი იყო, ჩემი მეგობარი კაცი. ადრე მინისტრი იყო იქ და მერე დაანინაურეს. ბაკატინმა მას დაავალა, რომ შექმენი შტაბი სასწრაფოდ, რა ძალებიც საჭიროა, გამოიყენე, შენ პირადად დაუკავშირდი ყველა იმ რეგიონებს, სადაც თურქი-მესხები ცხოვრობენ და შეაჩერე სვლა. ეს ძალიან მოგვეხმარა ჩვენ, არც ერთი ბილეთი არ გაყიდეს თურქ-მესხებზე, შუა აზიიდან ვერ წამოვიდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ხომ იყო ადამიანის უფლებების შელახვა?

შოთა გორგოძე: მაშინ ისეთი პერიოდი იყო, რომ ვინღა უყურებდა ამას. მთავარი იყო, აგვეცილებინა სისხლისღვრა, თორემ ამას, თუ საჭირო იქნებოდა, დავიჭერდით და შევაგდებდით კამერაში. ბაკატინის დახმარებით ავიცილეთ დიდი უბედურება, მაგრამ მაინც მოახერხეს თურქ-მესხებმა, ვინც ახლოს ცხოვრობდა, კრასნოდარიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან, ისინი ჩამოვიდნენ და 10000 კაცზე ცოტა მეტი მაინც შეიკრიბა ადლერის სტადიონზე. მე ჩავფრინდი ამ დროს იქა. შევხვდი ჩვენს ხალხს, ქართველებს, მესაზღვრეებს, დავათვალიერე, გამაგრებულია პოსტები. ძალიან გაეხარდათ იქ მაცხოვრებელ ქართველებს, გამოსული იყო 10000 კაცი, ელოდებოდნენ უბედურებას. მე ვუთხარი, ვერაფერს ვერ იზამენ, ვაჩვენებ ამას სარვაროვს-მეთქი. ჩავჯექი მანქანაში და გავედი ადლერში. ჩავიჯინე სარვაროვი მანქანაში და კიდევ ორი კაცი. წამოდით და ნახეთ-მეთქი. ვუთხარი: გახვალთ

აქ? შეხედეთ, რა მდგომარეობაა. ჯერ საზოგადოებაა გამოსული, მერე ვაჩვენე ტექნიკა და ჯარები. აქ აპირებთ შემოსვლას? რითი უნდა გაარღვიოთ? ომი გინდათ ატეხოთ? შეიარაღებული წამოხვალთ? აქ 20000 კაცი დგას და როგორ ბედავთ ამას. ერთი სიტყვით, ასე იყო, თუ ისე იყო, ასწია ხელები, გატრიალდა, მისცა „კამანდა“ და დაიშალნენ ეს თურქი-მესხები. ამას ხელს უწყობდნენ აფხაზი ექსტრემისტები, მათთან ჰქონდათ მოლაპარაკება. მათგან არავითარ შემთხვევაში ხელშეშლა არ ექნებოდათ, მაგრამ არ ელოდებოდნენ, ასე თუ წარიმართებოდა მოვლენები, ხალხი გამოვიდოდა და საზღვრებს გადავკეტავდით. აი ასე ავიცილეთ მაგათი შემოსვლა საქართველოში 1990 წლის გაზაფხულზე. მაშინ, მახსოვს, ეროვნული მოძრაობის ყველა ლიდერს და მთავრობას ერთი პირი ჰქონდა, არც ერთს არ უნდოდა თურქი-მესხების შემოსვლა საქართველოში.



თამრიკო ჩხეიძე, კახა კახაძე

17 მაისი, 2007 წელი

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონოთი უნდა მოგმართოთ თამრიკო, იმიტომ რომ ეს წიგნში შევა ყველაფერი და უკვე ქალბატონიც ხართ, პატარა ბავშვი ნამდვილად არა ხართ. როდის შემოხვედით ეროვნულ მოძრაობაში, როდის, რა ასაკში, რა ფორმით, რა გვარად?

თამარ ჩხეიძე: ბავშვობიდან ეს წარმოადგენდა, გაცნობიერებული მქონდა, როგორც მთავარი მიზანი ცხოვრების, რომ საქართველო არ იყო დამოუკიდებელი, რომ გამხდარიყო დამოუკიდებელი. სულ პატარა ასაკიდან, როგორც კი დავინწყე აღქმა გარემოსი, ეს საკითხი მთავარი გახდა ჩემთვის. მერე დავინწყე უცხოური, ქართული რადიოსადგურების მოსმენა. თავიდან არა ზოგადად პოლიტიკის ინტერესის გამო, არამედ ეროვნული ინტერესის გამო. მერე უკვე ამ მოსმენაში ზოგადად საერთაშორისო პოლიტიკამაც დამაინტერესა. მერე უკვე სკოლის ბოლო წლებში ვცდილობდი, რაღაც ჯგუფი შეგვექმნა და რაღაცეები გაგვეკეთებინა, დაგვენყო მუშაობა. რაღაც პატარა ჯგუფის მონახაზივით იყო, მაგრამ მოქმედება უკვე დავინწყეთ პირველ კურსზე. სკოლაშიც იყო რაღაც ინციდენტები, კგბ-ს დაინტერესება ჩემით უკვე სკოლის ბოლო წლებში დაიწყო.

ნათელა ვაჩნაძე: რომელი სკოლა იყო ეს?

თამარ ჩხეიძე: 17-ე სკოლა, ეხლა, მგონი, აღარც არსებობს, არ ვიცი, კამოს ქუჩაზე იყო. ეხლა რომ განათლების სამინისტროა, იქ იყო ჩვენი სკოლა. ბოლო კლასებიდან დაიწყო კგბ-ს დაინტერესება ჩემით. პირველი ინციდენტები საჭიროა, რაც მოხდა?

ნათელა ვაჩნაძე: კი, რატომ არა, საინტერესო იქნება მკითხველისათვის. არის ეს დეტალები დაბეჭდილი, გამოქვეყნებული?

თამარ ჩხეიძე: არა მგონია, შეიძლება სადმე ინტერვიუში ნათქვამი მაქვს, არ მახსოვს. პირველი გამოვლინებები ჩემი საჯარო პოლიტიკური შეხედულებების პირველად ხდებოდა ისტორიის გაკვეთილებზე.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი სწავლის პერიოდში რომელ ისტორიას გადიოდით? თამარ ჩხეიძე: ყველანაირს.

ნათელა ვაჩნაძე: იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია... ცალკე საქართველოს ისტორიას ზოგიერთ წლებში არ გადიოდნენ.

თამარ ჩხეიძე: ჩემს დროს, მე მგონი, იყო. ყოველ შემთხვევაში სახელმძღვანელო იყო ცალკე.

ნათელა ვაჩნაძე: სახელმძღვანელო იყო, მაგრამ საათები თუ იყო და თუ ასწავლიდნენ?

თამარ ჩხეიძე: მე მგონი კი, ჩემს დროს კი. ძირითადი შეჯახებები იყო ისტორიის გაკვეთილზე, იმიტომ, რომ... განსაკუთრებით როცა ახალ ისტორიას გავდიოდით, იმიტომ, რომ იქ ყველაფერი დამახინჯებულად იყო და ჩემში პროტესტს ინვევდა და ღიად ვაცხადებდი ხოლმე პროტესტს, რომ ეს სინამდვილეში ესე კი არა, ასე იყო, ვამბობდი ხოლმე და ა. შ. ეს თვითონ ისტორიის მასწავლებელს შეიძლება გულში კიდევაც მოსწონდა, მაგრამ მერე უკვე კვბ ჩაერია მას შემდეგ, რაც ასეთი ინციდენტი მოხდა, რომ ჩემს გვერდით მეგობარს ეკეთა კომკავშირის ნიშანი. მე შეგნებულად კომკავშირში არ შევსულვარ პროტესტის ნიშნად. კომკავშირის ნიშანი ეკეთათ მაშინ ბავშვებს, სავალდებულო იყო, ლენინისთავიანი რაღაც პატარა. ხოდა, ძალიან ნერვებს მიშლიდა ლენინის თავის ყურება ყოველ წუთში ჩემს გვერდით და ჩამოვგლიჯე, ნავართვი ეს, გადავუგდე. რატომღაც ისე მოხდა, რომ კვბ-მდე მივიდა ეს ამბავი და ატყდა ერთი ამბავი. რომ ესეთი რაღაცა მოხდა, მშობლების დაბარება, კვბ და ერთი ამბავი იყო. თვითონ დირექტორის დაბარება. თვითონ მე არ დაფუბარებივარ. ალბათ ჩათვალეს, რომ ბავშვის დაბარებას არ ჰქონდა აზრი. ყოველ შემთხვევაში, მშობლების დონეზე ხდებოდა ეს დაბარებები. ცოტა კურიოზული ამბავია — დირექტორს თავი რომ ემართლებინა, რომ ეს პოლიტიკასთან კი არ იყო კავშირში და ანტისაბჭოთა გამოვლენა კი არ იყო, ასე უთხრა თურმე კვბ-ს, რომ ეს იმიტომ გააკეთათ ამ გოგომ, რომ უთხრაო, რომ შენ ოთხიანებიც გირეგია ნიშნებშიო და არა ხარ ღირსიო რომ გეკეთოს ლენინის ნიშანიო და ამიტომ წაართვაო, თორემ პოლიტიკური მიზნით კი არაო. ამ დროიდან კვბ-ს მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: კარგი დირექტორი გყოლიათ, სხვათა შორის.

თამარ ჩხეიძე: კი, სხვათა შორის, საკმაოდ სიმპათიური ადამიანი იყო, ეხლა, მე მგონი, აღარ არის ცოცხალი.

ნინო თომაძე: „პლენანოველი“ ხართ?

თამარ ჩხეიძე: წარმოშობით, ალბათ, ხო, იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობდით უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე, სანაპიროზე რომ სახლია. მეათე კლასის ჩათვლით იქ ვიყავი და სკოლაც იქვე დავამთავრე. ხოდა, სკოლის პერიოდში ამით შემოიფარგლებოდა ჩემი პოლიტიკური აქტივობა, ისტორიის გაკვეთილებზე გამოვხატავდი ხოლმე პროტესტს, ვერ ვითმენდი, როცა აშკარა სიყალბეზე იყო ლაპარაკი. გარდა ამისა, ვცდილობდი აქტიურად, რომ რაღაც ჯგუფი შემექმნა, ხალხს ვეძებდი, უკვე სრულიად გაცნობიერებული მქონდა, რომ ჩემი მთავარი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, გაცილებით ადრე მოხდა ამის გაცნობიერება, ეს უფრო ადრე, დაბალ კლასებში და რადიოსადგურებით დაინტერესების ნიადაგზე უკვე პოლიტიკითაც დავინტერესდი. თავიდან ეს მხოლოდ ეროვნული ნიშნით დავინწყე სმენა, როგორც ქართული ემიგრაციის გადაცემები. მერე უკვე პოლიტიკითაც დავინტერესდი და ვწერდი ხოლმე მიმოხილვებს, პოლიტიკურ მი-

მოხილვებს. მერე ეს რვეულები ყველა კგბ-ში მოხვდა თავის დროზე, წაიღეს. თავიდან, დაბალი კლასებიდან პირველი რეაქცია ესეთი მქონდა, ანტირუსული, რუსების საწინააღმდეგო განწყობა იყო ჩემი პირველი განწყობა და ერეკლეს საწინააღმდეგო განწყობა, ერეკლე მეფეს ვერ ვიტანდი, მაინცდამაინც არც ახლა მეხატება გულზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის დამნაშავედ ვთვლიდი. ანტირუსულმა განწყობამ მერე უფრო სხვა ხასიათი მიიღო, ანტიიმპერიული და არა რუსები კერძოდ.

ნათელა ვაჩნაძე: ეროვნული მოძრაობის რომელიმე ჯგუფთან იყავით დაკავშირებული?

თამარ ჩხეიძე: როდესაც დავინწყე რადიოსადგურების მოსმენა, იქიდან შევიტყვე ზვიად გამსახურდიას ჯგუფის არსებობის შესახებ და ძალიან მომეწონა, ბუნებრივია. მე მგონი, მეათე კლასში ვიყავი მაშინ, როდესაც წავედი, ჩემი ძმა წამყვა.

ნათელა ვაჩნაძე: სადღაც ყოფილა აღწერილი თქვენი წასვლა ზვიად გამსახურდიების ოჯახში, თქვენ გაამბნიათ.

თამარ ჩხეიძე: შეიძლება, სადმე გაზეთში. მივედით ზვიადთან პირდაპირ, ვესტუმრეთ, ძალიან კარგად მიგვიღო. ცხადია, როგორც ბავშვი, ჯერ ბავშვი ვიყავი, სადმე ჯგუფში ხომ არ შემიყვანდა. რაღაც ლიტერატურა მომცა...

ნათელა ვაჩნაძე: ძმა თქვენზე უფროსია?

თამარ ჩხეიძე: კი. მომცა ლიტერატურა, არ მახსოვს, “Русская мысль” იყო, პარიზში გამოცემული და თავიანთი ჟურნალები და ა. შ. დიდხანს ურთიერთობა არ გაგრძელებულა ჩვენი, იმიტომ, რომ მალევე დაიჭირეს ეგენი, 1977 წელს. ესენი რომ დააპატიმრეს, პირველ კურსზე ვიყავი მე მაშინ და უკვე რაღაც ჯგუფიც მქონდა, ზოგი კურსელი შედიოდა, ზოგიც სხვა, არაკურსელი და მაშინ რამდენჯერმე გავავრცელეთ პროკლამაციები. ძირითადი ნაწილი პროკლამაციების ეძღვნებოდა პოლიტპატიმრების განთავისუფლების მოთხოვნას. იყო კიდევ ანტისაბჭოთა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის შემცველი პრიკლამაცია, 7 ნოემბერს გავავრცელეთ ეგ, 1977 წელს, იმიტომ, რომ რაღაც წლისთავი იყო, 60 წლისთავი და გადმოვყარეთ ქუჩაში.

ნათელა ვაჩნაძე: რაღაც ინციდენტი მახსოვს ბუნდოვნად, 14 ოქტომბერი, სვეტიცხოვლობა მცხეთაში, ....

თამარ ჩხეიძე: სვეტიცხოვლობაზე კი, დაგვაკავეს, ეგ უფრო გვიანი პერიოდია.

ნათელა ვაჩნაძე: ... გადაუდექით მანქანას.

თამარ ჩხეიძე: მე არა პირადად, ეგ ჩემი მეგობარი იყო, მარიკა ბაღდავაძე. 81 წელია, მაგ დროს უკვე დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტი.

ნათელა ვაჩნაძე: პირველად როდის იყო ის თავყრილობა, როდესაც პირველი ბზარი გაჩნდა თქვენსა და ზვიად გამსახურდიას ჯგუფს შორის?

თამარ ჩხეიძე: ეს, რა თქმა უნდა, გვიან იყო, ეს უკვე იყო მას მერე, რაც ის გამოვიდა ციხიდან, მანამდე არავითარი ბზარი არ იყო, საიდან იქნებოდა,

ბავშვი ვიყავი და გავიცანე, როგორც ასეთი მოღვაწეობის ავტორი და შემდეგ პატიმრობის პერიოდში მქონდა მის ოჯახთან ურთიერთობა. გამოსვლის მერეც რაღაც პერიოდში ურთიერთობა მქონდა, იმიტომ, რომ... მიუხედავად იმისა, რომ ამ მონანიების ფაქტორმა ჩემზე ძალიან უარყოფითად იმოქმედა, მაინც კონტაქტი არ გამიწყვეტია, თუმცა არ მსიამოვნებდა ეს ფაქტორი, ძალზე ცუდად მოქმედებდა ჩემზე. იმ პერიოდში იყო ისეთი სიტუაცია, რომ მასთან ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე ადამიანს, ძალიან შეზღუდულ წრეს. უმეტესად მარტო იყო, რამდენიმე ადამიანი თუ ელაპარაკებოდა, არიდებდნენ თავს მასთან ურთიერთობას. ზოგი მონანიების გამო, ზოგი შეიძლება იმის გამო, რომ საშიშად თვლიდა, მაგრამ უფრო ალბათ მონანიების გამო, ბევრი არიდებდა თავს ურთიერთობას.

ნათელა ვაჩნაძე: საშიშად რაც ნიშნავს?

თამარ ჩხეიძე: ზოგს, შეიძლება, ეშინოდა, როგორც ყოფილ პოლიტპატიმართან, მასთან ურთიერთობა, მაგრამ ბევრზე მოქმედებდა ეს ფაქტორი, მონანიების.

ნათელა ვაჩნაძე: შიში, რა თქმა უნდა, საყოველთაო შიში არსებობდა. ვინც კომკავშირში იკეთებდა ძალიან დიდ კარიერას, რად უნდოდა იმას, რომ ვინმეს დაენახა, რომ ის ელაპარაკება ზვიად გამსახურდიას.

თამარ ჩხეიძე: ხო, მაგრამ, მაინც სხვა ფაქტორი უფრო მოქმედებდა. ძირითადი განხეთქილება რაზე მოხდა — მოხდა იმაზე, რომ თვითონ ხაზგასმით მოითხოვდა, რომ ეს მონანიება ყოფილიყო დადებითად შეფასებული. არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ არ ყოფილიყო საერთოდ ამ თემაზე საუბარი, რაც იყო, იყო და არ ყოფილიყო ამაზე გამახვილებული ყურადღება. ამითი არ კმაყოფილდებიდა, ხაზს უსვამდა ყოველთვის, რომ ეს ძალიან კარგი საქმე გააკეთა.

ნათელა ვაჩნაძე: მე წავიკითხე ბატონ მერაბ კოსტავას მეუღლის განცხადება თუ... რა დავარქვა, არ ვიცი, რომელმაც გადასახლებიდან ჩამოსულმა თქვა, რომ მერაბმა მითხრაო, რომ კარგო, რაც იყო, იყო და ეხლა ნუ ვილაპარაკებთ ამ თემაზეო, გავანებოთ თავიო, ასე იყო საჭიროო და მორჩა და გათავდა.

ნათელა ვაჩნაძე: ხო, ეგრე იტყოდა. დაწერა კიდევაც განცხადება, უფრო სწორედ, მაგან არ დაწერა, ზვიადმა დაწერა და ხელი მოუწერა, რომ ეს მოლაპარაკებული იყო. ამაზე მე თავს შევიკავებ, იმიტომ, რომ სინამდვილეში ვიცი, როგორც იყო, მაგრამ პირად საუბარში რა აქვს ადამიანს ნათქვამი, ამას ვერ გეტყვით. ეს გააკეთა იმიტომ, რომ მისი მეგობარი იყო.

მეორე უთანხმოების ფაქტორი იყო მისი თვისება — შეუწყნარებლობა განსხვავებული აზრისა. როგორც კი რაღაც განხეთქილება მოხდებოდა ვინმესთან აზრობრივ დონეზე, ის მაშინვე აცხადებდა მას კგბ-ს წარმომადგენლად. ეს თვისება ჰქონდა. რა თქმა უნდა, კგბ-ს აგენტები, მართლაც, ძალიან ბევრნი იყვნენ რეალურად, მაგრამ ეს ამ ნიშნით

განსაზღვრავდა, უთანხოებისა და აზრთა სხვაობის ნიშნით განსაზღვრავდა ამ ფაქტორს.

ნათელა ვაჩნაძე: რატომღაც ჰგონიათ, რომ კგბ-ს აგენტობა, ეს არის მუდმივი და აუცილებელი სამსახურის ნიშანი და ადამიანები თავს იმით იმართლებენ, რომ არ ვმსახურობდი იქ, ბატონო. მაგრამ ერთი ინფორმაციის მიწოდება არ არის აგენტობა?! შენ იყავი შტატში, თუ შენ არ იყავი შტატში, ადამიანი, რომელიც მიაწვდი ინფორმაციას, ძალიან მნიშვნელოვანს, რას ნიშნავს ეს?!

თამარ ჩხეიძე: მიუხედავად იმისა, რომ რეალურად არსებობდნენ კგბ-ს აგენტები, მაინც ის სხვა ნიშნით განსაზღვრავდა ამას, პირადად დაპირისპირების ან აზრთა სხვაობის ნიშნით შეეძლო ადამიანი... ერთ დღეს ეთქვა, რომ... კიდევაც გვეცინებოდა ხოლმე, ასეთი კომიკური სიტუაციები იყო, რომ, მაგალითად, წინა დღეს ჩვენთან ნათქვამი ჰქონდა ერთ ადამიანზე, რომ... კიდევაც შეიძლება ვთქვა, გარდაცვლილია ეს ადამიანი, უთანხმოება ჰქონდა მერე მასთან. მამულია რომ იყო გურამი. ნათქვამი ჰქონდა ერთ დღეს ჩვენთან, რომ ეს არის კგბ-ს აგენტი და მეორე დღეს უკვე შეურიგდა და უთხრა, რომ შეუცვლელი კაცი ხარ ეროვნულ მოძრაობაშიო. ესეთი თვისება მას ჰქონდა ზოგადად. ეს მეორე უთანხმოების საგანი, რასაც ვერ ვეგუებოდით ხოლმე. მესამე უთანხმოების მიზეზი... ჩვენზე კი არ ამბობდა, მაგრამ ეს თვისება ჰქონდა. მერე კი, როცა ჩვენც დავუპირისპირდით, მერე ჩვენზეც ამბობდა ამას.

ნათელა ვაჩნაძე: მერე ხომ იცოდით მისი ეს თვისება და?

თამარ ჩხეიძე: რასაკვირველია. მესამე კი, რაზეც მოხდა საბოლოოდ განხეთქილება...

ნათელა ვაჩნაძე: ეს კოკას სახლში ხომ არ იყო?

თამარ ჩხეიძე: არა, არა, კოკას სახლში არა, იქ უკვე მომხდარი იყო, არა ეს მარიკა ბაღდავაძის სახლში იყო. ...განხეთქილება მოხდა იმაზე, რომ ყოველთვის იწყებდა ლანძღვა-გინებას დასავლეთის დემოკრატიის და ამტკიცებდა, რომ მამათმავლების სისტემა არისო. ამაზეც მოგვივიდა ბოლოს შეტაკება, ისეთი შეტაკება, რომ მერე უკვე ურთიერთობაც ფაქტიურად განყვეტილი გვექონდა. ჩვენ ასეთ დემოკრატია არ გვინდაო, თეოკრატია გვინდაო და ასეთ რალაცეებს იძახდა.

ნათელა ვაჩნაძე: ამას დიდი ხნის წინ ამბობდა.

თამარ ჩხეიძე: არა, ალბათ დიდი ხნის წინათაც ამბობდა, მაგრამ მერე ეს ოფიციალურად არსადაც არ უწერია და არ მოუთხოვია. ეს არის კონკრეტულად 81, 82 წელი. მე მაშინ ისე კომიკურად აღვიქვამდი ამას და ისე არასერიოზულად, რომ დეტალები არ დაგვიზუსტებია. მე მაღიზიანებდა მაშინ, მითუმეტეს, დემოკრატიის... შეიძლება ეხლა ისე აღფრთოვანებული არ ვიყო...

ნათელა ვაჩნაძე: ამ დემოკრატიით.

თამარ ჩხეიძე: არა, ყოველთვის დემოკრატიის მომხრე ვარ, მაგრამ კონკრეტული სახელმწიფოებით ეხლა შეიძლება ისე აღფრთოვანებული

არ ვიყო, მაგრამ მაშინ ძალიან დიდ პატივს ვცემდი და... ახლაც პატივს ვცემ, ბუნებრივია, მაგრამ არა დღევანდელ პოლიტიკას. მაშინ ეს, მი-  
თუმეტეს, ჩემთვის ძალიან დიდი ფასეულობა იყო და ამიტომ ამაზე  
ძალიან ვლიზიანდებოდი.

ნათელა ვაჩნაძე: დროგამოშვებით ხდებოდა ეს თქვენი შეხვედრები და თან-  
დათან მნიფდებოდა ეს, თუ უბრალოდ შეხვდებოდით, ისაუბრებდით?  
თამარ ჩხეიძე: იყო ხოლმე ესეთი ინციდენტები.

ნინო თომაძე: თუ დემოკრატია ლანძღავდა, რა დემოკრატიაზეა საუბარი?  
თამარ ჩხეიძე: საერთოდ დემოკრატია უარყოფდა, როგორც ასეთს და ამ-  
ბობდა, თეოკრატია უნდა იყოსო.

ნინო თომაძე: სხვათა შორის, მე გამიგია ბევრი მისი მომხრისგან, რომ  
ძალიან დიდი დემოკრატია იყო თვითონო?

თამარ ჩხეიძე: ეს უკვე შემდგომი პერიოდის განცხადებაა, მერე კი აღარ  
იძახდა მაგას, რომ დემოკრატია ნინაალმდეგი ვარო.

ნინო თომაძე: ანუ ჯერ ამ აზრზე იყო და მერე შეიცვალა?

თამარ ჩხეიძე: არა, ოფიციალურად ეგ არსად არ დაუფიქსირებია და არსად  
არ უთქვია, რომ თეოკრატია შევექმნათო, არა. მერე, რეალურად რახან  
პოლიტიკაში ჩაება და სახელმწიფოს მეთაურის პრეტენზიები ჰქონდა,  
მერე ხომ აღარ იტყოდა, თეოკრატია უნდა შევექმნათო, დემოკრატია  
ნინაალმდეგი ვარო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო ალბათ პირველი ბრალდება თუ პრეტენზია (ეხლა  
ნელ-ნელა ვუახლოვდებით გადატრიალებას), რაც წაუყენეს მას, რომ  
დემოკრატია პრინციპებს უღალატა და ბოლოს და ბოლოს დემოკრა-  
ტია უკან გადასწიაო. პირველ რიგში დამოუკიდებლობას აცხადებდაო.  
ამბობდაო, რომ ჩვენი მიზანი არის, საქართველო გახდეს დამოუკიდე-  
ბელი, ჩვენ ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ ბოლომდე უნდა მივიყ-  
ვანოთ ეს საქმე და დემოკრატია მერე. რას გულისხმობს დემოკრატია?  
ვთქვათ, რეფორმების გატარებას. რეფორმებისათვის ჰყავდა პრე-  
მიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრმა თქვა, წუთობრივად მქონდა გან-  
ერილი ყველაფერი, როდის რა ნაბიჯი უნდა გადამედგა დემოკრატია-  
ის გზაზე და ამისთვის არაფერი არ ჩანდა. მეუბნებოდა, რა დროს ეგ  
არის, ბატონო თენგიზ, ხვალ.

თამარ ჩხეიძე: მაგაში ნამდვილად მართალია.

ნათელა ვაჩნაძე: არ გატარდა რეფორმები?

თამარ ჩხეიძე: გადატრიალება რომ მოხდა, ამას გამართლება აბსოლუ-  
ტურად არა აქვს, მაგრამ მაგ საკითხებში ნამდვილად მონდომებული  
იყო თენგიზ სიგუა. საქართველოს ხელისუფლებაში ვინც ყოფილა,  
რასაც მე შევსწრებოვარ, ამ შემთხვევაში უნიკალური მოვლენა არის,  
მე ვფიქრობ, სიგუა, ყოველ შემთხვევაში, მე ესე აღვიქვამ ნამდვილად.  
ამ საქმეში რომ გაერია, ეს ძალიან ცუდია, რასაკვირველია, ამაში ორი  
აზრი არ არსებობს, მაგრამ ზოგადად ესეთი პიროვნება ხელისუფლე-  
ბაში საქართველოში არ არის დამახასიათებელი. ყველა, ვინც კი ხელი-  
სუფლებაში ყოფილა, ფაქტიურად, იყვნენ სრულიად კორუმპირებუ-

ლი, სრულიად არასახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული, ამბიციური ხალხი, მხოლოდ პირადი ინტერესები ამოქმედებდათ. ეს კაცი ამ მხრივ იყო გამონაკლისი როგორც ზვიადის დროს, ისე მერე ედიკას დროსაც. მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად ზოგი გულუბრყვილობებისა და იმ ამბავში გარევისა და ა. შ., ზოგადად ეს კაცი ორიენტირებული იყო მართლაც სახელმწიფოებრივ ინტერესებზე და აბსოლუტურად არაკორუმპირებული პიროვნება.

ნათელა ვაჩნაძე: გამიგია, ამის დამტკიცება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება... სხვათა შორის, როგორი სანყენია, რომ თვითონ მისი დარგის, ტექნიკური დარგის წარმომადგენლებისაგან გამიგია, რომ გაყიდა ქარხნები, გაყიდა ფაბრიკები, სადაც ყველგან ღირექტორებად მისი ხალხი დაინიშნა, მერე იმათი წილები...

თამარ ჩხეიძე: არა მგონია, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ იმ პერიოდში ყველაფერს ეგ არ წყვეტდა, იქ იყო ათასი სხვა ფაქტორები და შეიძლება ისინი მოქმედებდნენ ალბათ, მაგრამ მთავარი გაყიდვები და უბედურებები მერე მოხდა, თუმცა მაშინაც რაღაც ძალები იქნებოდა. არა მგონია, რომ პირადად ყოფილიყო კორუმპირებული. მე არ გამოვრიცხავ, რომ მისი პრემიერ-მინისტრობის დროს ალბათ ეგეთი რაღაცეები ხდებოდა, ალბათ დარწმუნებულიც ვარ, რომ ხდებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, არა მგონია, იმ მასშტაბით, როგორც მერე და თანაც მაგისი წვლილი პირადად ნაკლებად იქნებოდა მაგაში.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ამ მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის მხრივ, რა თქმა უნდა, ძალიან ჩამოვრჩით ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

თამარ ჩხეიძე: ზოგადად ანტიდემოკრატიულობა და ავტორიტარიზმი ეს მარტო ზვიადის დამახასიათებელი არ ყოფილა, ზოგადად, პოსტსაბჭოთა... ზვიადზე პოსტსაბჭოთას ვერ იტყვი, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის პარალელურად იყო. ზოგადად საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესიდან დღემდე ეს საქართველოს ხელისუფლებების დამახასიათებელი ნიშანია — ავტორიტარიზმი და სწრაფვა ტოტალიტარიზმისაკენ.

ნათელა ვაჩნაძე: დიქტატურა ალბათ ძალიან გადაჭარბებული იქნება. თქვენ როგორ ფიქრობთ?

თამარ ჩხეიძე: შეიძლება ცოტა გადაჭარბებული იყოს, თუმცა მისწრაფებები ყველას აქვს ამისაკენ. ყოველ შემთხვევაში ადამიანების უფლებათა დარღვევა როგორც მაშინ, ასევე შემდეგაც სახეზე იყო, ეს ფაქტია, პლურაზმი ფაქტიურად არ არსებობდა. საქართველოში დემოკრატიული არჩევნები არც ერთხელ არ ჩატარებულა, ეს ილუზიაა, რომ როდესმე ჩატარდა, თუმცა ამის პროგრესული გაუარესება ხდებოდა. ასე რომ ვთქვათ, ზვიადის დროს იყო შედარებით დემოკრატიული, თუმცა არც მაშინ არ იყო დემოკრატიული, მაგრამ შემდეგ არჩევნებთან შედარებით უფრო დემოკრატიული.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ საინტერესო აზრია, იმიტომ, რომ თქვენ პირველი არა ხართ. მე გამიგია კიდევ ერთი პიროვნებისაგან, რომელიც პრაქტიკულად კონკურენტი იყო მისი და პრეტენზია ჰქონდა, რომ გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი. ასეთი ადამიანისაგან მე გამიგია, რომ არავითარი დემოკრატიზმი არ იყო იმ არჩევნებში, თითქოს იარაღით ხალხს თავზე ადგნენ და აიძულებდნენ...

თამარ ჩხეიძე: როდის?

ნათელა ვაჩნაძე: როდესაც ბატონ ზვიადს ირჩევდნენ.

თამარ ჩხეიძე: მე იარაღი არ გამიგია.

ნათელა ვაჩნაძე: მეც არ გამიგია.

თამარ ჩხეიძე: რომელ არჩევნებს გულისხმობენ, საპრეზიდენტოს თუ საპარლამენტოს?

ნათელა ვაჩნაძე: მე მგონი, საპრეზიდენტოს, იმიტომ, რომ ის პიროვნება პრეზიდენტად იყრიდა კენჭს.

თამარ ჩხეიძე: არა მგონია, რომ მაგ დროს იარაღით ვინმე მდგარიყო, თავს ვერ დავდებ მაგაზე, მე არ გამიგია ყოველ შემთხვევაში და არც მგონია, რომ მაგის საჭიროება ყოფილიყო, იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ის არჩევნები შემდეგ არჩევნებთან შედარებით ბევრად დემოკრატიული იყო, მაგრამ არადემოკრატიულად ვთვლი მე მაინც ამას, იმიტომ, რომ არჩევნები მართო ის არ არის, რა ხდება თვითონ არჩევნების დღეს...

ნათელა ვაჩნაძე: რა გზა გაიარა საზოგადოებამ არჩევნებამდე — ეს არის არჩევნები.

თამარ ჩხეიძე: რა თქმა უნდა, თვითონ საარჩევნო პროცესი, მანამდე თანაბარ პირობებში არ არიან სუბიექტები და ა. შ., პროპაგანდა მთლიანად არის მიმართული ერთი რომელიმე ძალის სასარგებლოდ, სხვას ამის საშუალება არ ეძლევა, ეს უკვე არჩევნების დემოკრატიულობას გამოორიცხავს. თორემ თვითონ საარჩევნო პროცესში, მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც საპარლამენტო არჩევნებში, უფრო სწორედ უზენაესი საბჭოს არჩევნებში, ასევე საპრეზიდენტო არჩევნებში ფიზიკურად რომ ნამდვილად უმრავლესობამ მისცა ხმა, ამაში დარწმუნებული ვარ. ასე რომ, ამ გაგებით გაყალბება ნამდვილად არ ყოფილა. გაყალბებაა ისიც, როდესაც მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს ერთ პოლიტიკურ ძალაზე. ეს ხდებოდა გუმბარიძის დროსაც და მერე მითუმეტეს. უფრო სწორედ, მითუმეტესაც კი არ ვიტყვოდი, გუმბარიძის დროს კიდევ უფრო მეტად ხდებოდა ეს. აქედან გამომდინარე, დემოკრატიულ არჩევნებზე ლაპარაკი არც მაშინ არ შეიძლებოდა, თუმცა ყველაფერი შედარებითია, როგორც აღვნიშნე, შემდგომ არჩევნებთან შედარებით მართლაც დემოკრატიული იყო, ან იგივე საარჩევნო კანონი, შედარება არ არის, ბევრად უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე შემდეგი. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული იყო საარჩევნო კანონი.

ნათელა ვაჩნაძე: რას ხედავთ დადებითს ზვიად გამსახურდიას მმართველობაში, რა იყო დადებითი? რას მიაღწია ამ სახელმწიფომ, რაღაცას მი-

აღნია უზენაესმა საბჭომ თავის კანონშემოქმედებით მუშაობაში?

თამარ ჩხეიძე: მის მმართველობაში მე, პირადად, დადებითს ნამდვილად ვერ ვხედავ, თუ არ ჩავთვლი იგივე რეფერენდუმის ჩატარებას 31 მარტის და შეზღუდული დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ეს, თავისთავად, დადებითი მოვლენებია, თუმცა მე ამას ვერ განვიხილავ გლობალური პროცესებიდან მოწყვეტილს, რომელიც ხდებოდა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და თუ განვიხილავთ მას სხვა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებთან კავშირში, დავინახავთ, რომ ეს ერთიანი პროცესებია და აქ ცალკე დამსახურებაზე ლაპარაკი სუბიექტურია, ასე რომ ვთქვათ, ძალიან სუბიექტურია მისი მომხრეების მხრიდან.

ნათელა ვაჩნაძე: არა მომხრეების აზრს გეუბნებით, თითქოს ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და ჩვენ, ოთხი რესპუბლიკა იყო გამორჩევით, წინ რომ მიდიოდა.

თამარ ჩხეიძე: შეიძლება ითქვას, რომ შედარებით წინ მიდიოდა, მაგრამ მაინც ის გზა სრულიად სხვა იყო, რასაც ბალტიისპირელები ადგენენ, იმიტომ, რომ ის იყო სრულიად კანონზომიერი, სრულიად გეგმაზომიერი, მოფიქრებული, ყოველგვარი აჟიოტაჟის, ნივილ-კივილის და ეგზალტაციის გარეშე გზა, რომელიც არ იმართებოდა არანაირად რუსეთიდან და რომელზედაც გავლენას ვერ ახდენდა რომელიღაც ძალის მიერ დაგეგმილი სცენარი. საქართველოზე ამას ვერ ვიტყვით. საქართველოში, მართალია, ძლიერად იყო გამოკვეთილი ეს დამოუკიდებლობის იდეა და ა. შ., მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესები მაინც ძირითადად ყოველთვის იმართებოდა. აქედან გამომდინარე, ეს ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობების გამოცხადების სერია — ძალით იბრმავებენ თავს და აყალბებენ ისტორიას, თორემ ეს აბსოლუტურად ყველა რესპუბლიკაში მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე. დაშლის შემდეგ გამოაცხადა ერთ-ერთმა შუა აზიის რესპუბლიკამ, მგონი, ყაზახეთმა, ზუსტად აღარ მახსოვს. დანარჩენმა ყველამ გამოაცხადა საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში. ასე რომ, აქ უნიკალური მოვლენა არ მომხდარა საქართველოში, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს იყო პროცესი, რომელიც მიდიოდა გლობალური მასშტაბით.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ბრძანეთ, რომ პროცესები იმართებოდა, კერძოდ, ეხლა საქართველოზე მაქვს ლაპარაკი...

თამარ ჩხეიძე: ძირითადად, თორემ ეხლა ყველა არა.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენს უახლოეს მეზობლებს გულისხმობთ ხომ?

თამარ ჩხეიძე: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: თუ იმართებოდა იქიდან პროცესები...

თამარ ჩხეიძე: იგივე 9 აპრილი ამის უნიკალური მაგალითია მართვის.

ნათელა ვაჩნაძე: ვთქვათ, იმართებოდა, მაშინ რატომ შეგვაქცია ზურგი ბორის ელცინმა გარკვეულ პერიოდამდე?

თამარ ჩხეიძე: შექცევა რაში გამოიხატება? რომ მერე გადაწყვიტეს ჩამოდგება ზვიად გამსახურდიასი, ამას გულისხმობთ?

ნათელა ვაჩნაძე: არავითარი დაინტერესება საქართველოს დამოუკიდებლობით თუ საქართველოს ხელისუფლების...

თამარ ჩხეიძე: დამოუკიდებლობით არც არასოდეს შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული.

ნათელა ვაჩნაძე: ...ნორმალური ურთიერთობები, მეზობლური ურთიერთობები ყოფილიყო. ელცინზე ვამბობ და არა გორბაჩოვზე.

თამარ ჩხეიძე: რა თქმა უნდა, იმართებოდა სწორედ იმიტომ, რომ ეს დამოუკიდებლობა არ ყოფილიყო ნამდვილი. იქ, ჯერ ერთი, ორი ხაზი იყო, ეს ცოტა რთულია და გამოკვლევა სჭირდება ამას. იქ იყო გორბაჩოვის ხაზი, ელცინის ხაზი... ერთ-ერთი ხაზი იყო ის, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომლებიც შემდეგ შექმნიდნენ ახალ კავშირს. აქედან გამომდინარე, ეს გამოცხადებები დამოუკიდებლობის ამ გეგმაში შედიოდა. უბრალოდ შემდეგ ცალკეულ რესპუბლიკებში ამას რამდენად მიეცემოდა რეალური აზრი, ეს უკვე სხვა არის. ბალტიისპირეთში ამას სულ სხვა ხასიათი მიეცა და ის გარედან კარნახით არ მომხდარა.

ნათელა ვაჩნაძე: წარმოიდგინეთ, რომ ავტონომიები არ არსებობდა ბალტიისპირეთში და სხვა საკანონმდებლო ბაზაზე იყო დამყარებული იმ ქვეყნების არსებობა.

თამარ ჩხეიძე: იმ გაგებით, რომ დასავლეთი არ ცნობდა არასოდეს მათ საბჭოთა კავშირის ნაწილად და ეს დიდი უპირატესობა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენც შეგვეძლო მაგ რანგში ასვლა, ცოტა ჭკვიანურად რომ მოვქცეულიყავით.

ნათელა ვაჩნაძე: მაგალითად?

თამარ ჩხეიძე: ეს ცოტა რთული ამბებია, არ წამოვგებულებოდა ათასგვარ პროვოკაციაზე და ჩვენი განვითარება წაგვეყვანა სწორი გზით, მართლა დემოკრატიის და მართლა დამოუკიდებლობის გზით. მაგრამ ეს არ მოხდა არც ერთ ეტაპზე, არც ზვიადის დროს, არც შვედნაძის დროს, მითუმეტეს და დღესაც არ ხდება.

ნათელა ვაჩნაძე: არც ისე ადვილი ყოფილა ეგ საქმე თუ...

თამარ ჩხეიძე: სამწუხაროდ, ადვილი აღმოჩნდა ქართული საზოგადოება ზოგადად სამართავად გარედან, ეს არის ჩვენი უბედურება და არა ცალკეული ბელადები. ბელადომანია ეს არის სენი საქართველოში, რომელიც გამოიყენება ბერკეტად, საზოგადოების სამართავ ბერკეტად.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ფიქრობთ, რომ ქართული საზოგადოებისათვის ბელადი იყო ედუარდ შვედნაძე?

თამარ ჩხეიძე: ზვიადი, მერე ედუარდი და...

ნათელა ვაჩნაძე: იყო ბელადი?

თამარ ჩხეიძე: ერთი პერიოდი კი, თუმცა ეს ცოტა განსხვავებული ნიშნების მქონე, ვიდრე ზვიადი.

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, მე ვფიქრობ, რომ იყო რაღაც განსხვავება...

თამარ ჩხეიძე: განსხვავება ყველა ეტაპზე არის.

ნათელა ვაჩნაძე: ...როგორ შეიძლება, ზვიად გამსახურდია ბელადი, ედუარდ შევარდნაძე ბელადი...

თამარ ჩხეიძე: ბელადს ქმნიან ამა თუ ეტაპზე გარკვეული პიროვნების მიმართ და როდესაც დაისმის ადამიანის მიმართ კითხვა — ის თუ არა, ვინ? ეს უკვე ბელადის ნიშანია. ეს კითხვა დაისმოდა როგორც ზვიადის დროს, ასევე შევარდნაძის დროს, ეს იყო ძალიან დამახასიათებელი ნიშანი.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ ბატონი ედუარდ შევარდნაძე სრულიად მიუღებელი იყო საზოგადოების აბსოლუტურად დიდი ნაწილისთვის.

თამარ ჩხეიძე: რასაკვირველია, მაგრამ, სამწუხაროდ, არა იმ პერიოდში, როცა ის მოიყვანეს ხელისუფლებაში. იმ პოლიტიკურ ძალებში ჩვენ ვიყავით წინააღმდეგი და შეიძლება ერთი, ორი ადამიანი. ძირითადად ყველასთვის ძალიან მისაღები იყო და იმიტომაც მოიმარაგა ფეხი.

ნათელა ვაჩნაძე: ასე ფიქრობთ?

თამარ ჩხეიძე: ასე იყო რეალურად, არავის გამოუხატავს პროტესტი ჩვენს გარდა. ხმის მიცემა რომ იყო პარლამენტში მის არჩევანზე, ჩვენს მეტს უარყოფითი ხმა არავის მიუცია. პირველი არჩევნების დროს ზვიადის ტეხი არ ღებულობდნენ მონაწილეობას და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მართლა მისცა ხმა. მიუხედავად იმისა, რომ გაყალბებული არჩევნები იყო, მაინც მართლა მისცა ხმა იმიტომ, რომ იმ პერიოდში შექმნეს ილუზია, ძალიან შეგნებულად შექმნეს ილუზია, რომ ეს იყო მხსნელი ქვეყნის და ა. შ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს საზოგადოება რა გამოვიდა მაშინ ლოგიკურად? რა დასკვა უნდა გავაკეთოთ? როგორიც არ უნდა ზემოქმედების უნარი ჰქონდეს ტელევიზიას, რადიომაუწყებლობას...

თამარ ჩხეიძე: ადვილად სამართავი, ინფანტილური საზოგადოება, სამწუხაროდ — ჩვენი პრობლემა ეგ არის, თორემ ცალკეული პიროვნებები კი არა. იგივე ეხლაც მიშა კი არ არის პრობლემა, არამედ საზოგადოება, რომელიც ასეთ ხელისუფლებებს იტანს.

ნათელა ვაჩნაძე: ინფანტილიზმია ეს?

თამარ ჩხეიძე: ინფანტილიზმი ერთ-ერთი ნიშანია.

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონო თამარ, გვანტერესებს თქვენი აზრი, მივცეთ განსაზღვრება, დეფინიცია, გვითხარით, რა იყო ეს, რაც მოხდა?

თამარ ჩხეიძე: სახელმწიფო გადატრიალება, რა თქმა უნდა.

ნინო თომაძე: სამხედრო თუ არასამხედრო?

თამარ ჩხეიძე: ყველაფერი ერთად, საბოლოო ჯამში სამხედრო იყო, რასაკვირველია.

ნინო თომაძე: ჩვენ ვაძლევთ ასეთ განზოგადებას — ეს არის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება და თქვენ თუ ეთანხმებით ამას?

თამარ ჩხეიძე: კრიმინალური ცოტა ისეთი გამოთქმაა, უარყოფითად ვაფასებ, რა თქმა უნდა. კრიმინალური იმ გაგებით, რომ სიგუა წარმოვიდგინო ბანდიტად და ჯიბგირად, ეს სწორი არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: არა, ქალბატონო თამარ, აქ სიგუა არ იგულისხმება, რასაკვირველია. სიგუა არც სამხედროებში იგულისხმება, არც კრიმინალებში იგულისხმება და...

თამარ ჩხეიძე: გადატრიალების ერთ-ერთი მეთაური ეგ იყო... სიტყვა „კრიმინალური“ რამდენად გამოსაყენებელია...

ნათელა ვაჩნაძე: ამაზე არ არის ლაპარაკი, მაშინ, მიდით, განვმარტოთ, რატომ შემოვიდა ეს ტერმინი...

თამარ ჩხეიძე: ზოგადად გადატრიალება, როდესაც ის წარმატებული არ არის, მერე ინათლება კრიმინალურად, ეგ ბუნებრივია, მაგრამ როცა წარმატებულია, ხელისუფლებაში მოსული ხალხი თავის თავს ხომ არ დაარქმევს...

ნათელა ვაჩნაძე: მე კი არ გეკამათებთ. მე მინდა გითხრათ, საიდან მოდის ეგ სიტყვა „კრიმინალური“, ზოგადად კი არა, კონკრეტულად ამ მოვლენასთან მიმართებაში. ხელისუფლება იგებდა ამ პროცესს...

თამარ ჩხეიძე: მერე ჯაბა რომ არ ჩართულიყო, ამას გულისხმობთ?

ნათელა ვაჩნაძე: მოაგებინეს მაგათ.

თამარ ჩხეიძე: ეს იყო გარედან მართული პროცესი, ჯაბა არ იარსებებდა, რალაცა სხვა ჩაერთვებოდა...

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ ჩაერთოთ მანამდე.

თამარ ჩხეიძე: ეგ უკვე ტექნიკის საკითხია. ეს იყო გადანყვეტილი ამერიკაშიც და რუსეთშიც და ეს ესე მოხდებოდა. ჯაბა ერქმეოდა ამას, პეტრე თუ პავლე, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს, რა თქმა უნდა, ეგრე მოხდებოდა საბოლოო ჯამში, აუცილებლად გააგდებდნენ, იმიტომ, რომ თავიდან, როცა მოიყვანეს ხელისუფლებაში, უკვე დაგეგმილი იყო, რომ გარკვეულ ეტაპზე უნდა ყოფილიყო ხელისუფლებაში და მერე უკვე შემდეგი ეტაპი უნდა განვითარებულიყო. ეს მთელი სცენარი იყო, საქართველოში რა უნდა მომხდარიყო. რა თქმა უნდა, სცენარი იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი თავიდან დაიწერა და მერე ზუსტად შესრულდეს, მაგრამ, ზოგადად, სამნუხაროდ, გარედან მართული სცენარით მიდიოდა ყველაფერი. ზვიადისტები რომ ამტკიცებენ, რომ თავისით მოვიდა ხელისუფლებაში და ეროვნულ ნიადაგზე მოხდა, ეგრე არ ხდება. რა თქმა უნდა, ეროვნული ფაქტორი გამოყენებული იქნა, მაგრამ...

ნინო თომაძე: ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაც მართული იყო?

თამარ ჩხეიძე: ზოგადად საქართველოში არ მომხდარა ჯერ, რომ ხელისუფლება მოსულიყო მართლაც შინაგან ძალებზე დაყრდნობით და როგორც შინაგანი განვითარების შედეგი, ყოველთვის ეს იყო გარედან მართული პროცესი და როგორ შეიძლება ის დავიჯეროთ, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში იყო მაინცდამაინც შინაგანად მართული პროცესი და მერე გახდა გარედან მართული. თანაც ფაქტობრივ დონეზე ვიცი, როგორ მუშაობდა მთელი კომპარტია და მთელი სახელმწიფო აპარატი.

ნინო თომაძე: მაშინ ჩნდება ერთი კითხვა — საბჭოთა კავშირს რაში აწყობდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლა?

თამარ ჩხეიძე: იმაში აწყობდა, რომ იცოდა მისი არატოლერანტული ბუნება და იცოდა, რომ გარკვეული ნაწილი საზოგადოების, მათ შორის ეროვნულად განწყობილი საზოგადოების გარკვეული ნაწილის მკვეთრი დაპირისპირება მოხდებოდა მასთან და მისი დაპირისპირება ამ ნაწილთან. ასეთი გახლეჩა მოხდებოდა, მოხდებოდა ეროვნულ ძალთა გახლეჩა, მერე მოხდებოდა გამწვავება კერების, ცხინვალის და ა. შ. და თანაც იცოდა, რომ როცა უნდოდა მაშინ ჩამოაგდებდა, ეს დროებითი იყო. მათ ხომ იცოდნენ, რომ ისინი რეალურ ძალაუფლებას კი არ აძლევდნენ ზვიადს, რეალური ძალაუფლება მას კი არ ჰქონდა. თვითონაც რომ მოენდომებინა რეალური ძალაუფლება — ეს კიდევ საკითხავია, მოინდომებდა თუ არა, მაგრამ რომ მოენდომებინა, დაზღვევა ჰქონდა მას, იმიტომ, რომ იმართებოდა ყველა ის ძალა, რომელიც რეალურად ძალაუფლების საფუძველს შეადგენს, სამხედრო იყო ესა თუ არასამხედრო. ასეც მოხდა, გადატრიალება გარედან ხომ არ მომხდარა, შიგნიდან მოხდა, „მრგვალი მაგიდის“ შიგნიდან. ასე რომ, წინასწარ ეს პროგრამა ჩადებულია, როცა უნდა იმ ხელისუფლებას დაამხობენ. ვისაც მოჰყავს ხელისუფლება, დამხობის მექანიზმიც ჩადებულია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი აზრით, სხვა პარტიამ რატომ არ გაიმარჯვა და გაიმარჯვა ეროვნულმა ძალამ?

თამარ ჩხეიძე: ეროვნული იდეის ასოცირება მოხდა ზვიადის სახელთან.

ნათელა ვაჩნაძე: გია ჭანტურია სახელთან რატომ არ მოხდა?

თამარ ჩხეიძე: იმიტომ, რომ ამაზე მუშაობდა მთელი სახელმწიფო აპარატი.

ნათელა ვაჩნაძე: ჭანტურიაზე არ მუშაობდა სახელმწიფო აპარატი?

თამარ ჩხეიძე: არა, ის არ იყო ჩაფიქრებული ამ როლში, ფიქრობენ და საზღვრავენ, რომელი პიროვნება გამოდგება ამ როლისთვის. მართლა ქუჩიდან ხომ არ ქმნიან ამ ბელადებს, სწავლობენ, რაღაც მონაცემი უნდა ჰქონდეს ბელადს, რაღაც იდეის გარშემო უნდა იყოს შექმნილი მითი ამ ბელადის შესახებ. ზვიადის დროს ამის საფუძველი არსებობდა, კაცი დისიდენტობდა, ძალიან დადებითადაც ვაფასებ მის დისიდენტობას. თავიდანვე ეროვნულ მოღვაწეობას ეწეოდა, რაღაც საფუძველი ჰქონდა. გარდა ამისა, იყო კონსტანტინეს შვილი, დაპატიმრებული იყო, დაწოლის ქვეშ იყო შევარდნაძის მხრიდან და ა. შ. მოკლედ, ჩათვალეს, რომ ეს ფიგურა შეიძლებოდა ყოფილიყო ხელისუფლებაში დაშვებული და შემდეგ საჭიროების შემთხვევაში დამხობილიყო.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან მაინტერესებს, რომელი წელი იყო, აღარ მახსოვს ჩემდა სავალალოდ, თქვენ იქ იყავით? კადრები მიდგას თვალწინ და ხმა ბატონ გია ჭანტურიასი: ტყვია შუბლში, ტყვია შუბლში.

თამარ ჩხეიძე: 9 იანვარს იყო. კი, ეგ ჩანანერი არსებობს. იყო ეგეთი დაპირისპირება. მაშინ ოღონდ ჭანტურია იყო ზვიადის მხარეს. ეგ ეყრდნობოდა ეგეთ ფაქტორს, რომ იცოდა გამოცხადება ადამიანების

„კაგებეშნიკებად“ აზრთა სხვაობის ნიადაგზე. ეგ ფაქტი, როცა მოხდა გარჩევა, კონკრეტულად ეხებოდა ზაქარია ლაშქარაშვილს, ემიგრაციაში წასული ყოფილი პოლიტპატიმარი იყო, რომელიც არ იყო ზვიადის მხარეს, მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო და აქედან გამომდინარე, როგორც კი წავიდა დასავლეთში, მის შესახებ დაწერა ზვიად გამსახურდიამ, რომ ის არის კგბ-ს წევრი. ხოდა, ამ ნიადაგზე მოხდა მერე ეს გარჩევა, რომელიც თქვენ ახსენეთ.

ნინო თომაძე: თვითონ ზვიად გამსახურდიამ თუ იცოდა ან თუ ხვდებოდა, რომ ის გარედან მართული პროცესის ნაწილი იყო?

თამარ ჩხეიძე: არ ვიცი, რაღაც ალბათ იცოდა, რაღაც არ იცოდა, ეს უკვე ძალიან რთული საკითხია.

ნინო თომაძე: ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და...

თამარ ჩხეიძე: ძალიან ჭკვიანიო, ვერ ვიტყვი, განათლებული იყო ძალიან. ჩემი აზრით, ძალიან ჭკვიანი არ ყოფილა. ძალიან ჭკვიანი რომ ყოფილიყო, არ გამოაყენებინებდა თავს შევარდნაძეს ისე, როგორც მოხდა და თუნდაც იმას მიხვდებოდა, რომ არ უნდა ჩამოსულიყო მაშინ დასავლეთ საქართველოში. უნდა მიხვედრილიყო, რისთვის მოჰყავდათ.

ნათელა ვაჩნაძე: რისთვის მოჰყავდათ, ქალბატონო თამარ?

თამარ ჩხეიძე: იმისთვის, რომ გარკვეული ფონი შეექმნა შევარდნაძეს აფხაზეთის ჩაბარებისთვის და მერე სნგ-ში შესვლისთვის. თვითონ, რა თქმა უნდა, მას ეს კი არ უთხრეს, უთხრეს, რომ მოჰყავდათ იმიტომ, რომ დაებრუნებინათ ხელისუფლებაში, ამის შანსი არსებობდა თითქოს. მოატყუეს უბრალოდ.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ მოატყუა? თავისიანებმა თუ...

თამარ ჩხეიძე: ტექნოლოგიას მე ვინ მეტყვის.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი აზრით.

თამარ ჩხეიძე: ჩვეულებრივ ესე იმართება ხოლმე, ვილაცას მიუგზავნიან თავისიანს, ვილაც ისეთს, ვისაც ის ენდობა, როგორც ხდება მართვა ადამიანებისა, მისცემდნენ გარანტიებს.

ნათელა ვაჩნაძე: რეალური იქნებოდა, ასეთი წინადადებით მიემართათ, რომ გაიყოფოდა საქართველო ორად, აღმოსავლეთის საქართველოს მმართველი იქნებოდა ედუარდ შევარდნაძე და დასავლეთ საქართველოს მმართველი — ზვიად გამსახურდია.

თამარ ჩხეიძე: არა მგონია, მეეჭვება. მე მგონი, მაგას მისცეს იმის დაპირება, რომ საერთოდ საქართველოში მისცემდნენ ძალაუფლებას, დაიბრუნებდა ძალაუფლებას და იყო ამის რეალური შესაძლებლობა. სინამდვილეში წამოიყვანეს მხოლოდ იმიტომ, რომ შევარდნაძეს ჰქონოდა ალიბი.

ნათელა ვაჩნაძე: რას ნიშნავს „ალიბი“?

თამარ ჩხეიძე: ფონი რომ შექმნოდა. ხომ გახსოვთ, როგორ იძახდა, რომ ზვიადისტების ლალატის გამო ჩაბარდა აფხაზეთი. ფონი უნდოდა შე-

ქმნილიყო ჩასაბარებლად აფხაზეთის და თანაც ფონი შექმნილიყო სნგ-ში შესასვლელად, რომ მე არ მინდა, მაგრამ რა ვქნა, ეს მოხდა ასე, დაგვაჩოქეს.

ნათელა ვაჩნაძე: რა ვქნა, სხვა გამოსავალი არ არის, არ გვაძლევენ სა-შუალებას ვიმუშაოთ, სახელმწიფოს მშენებლობაზე ვიფიქროთ, ამის მაგივრად მე უნდა ვიფიქრო, როგორ მოვიგერიო ჩემივე მოქალაქეების დაუმორჩილებლობა.

თამარ ჩხეიძე: ამისთვის სჭირდებოდათ საცოდავი ზვიადი და როცა უკვე ჩათვალეს, რომ ეს საკითხი მოაგვარა და ეს როლი ითამაშა, ფიზიკურად მოაშორეს. არცა აქვს მნიშვნელობა, მოკლეს თუ თავი მოიკლა, თუმცა მგონია, რომ მოკლეს. ყოველ შემთხვევაში, მაინც მოკვლა გამოდის.

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, ადამიანს თუ მიიყვან თვითმკვლელობამდე, აიძულებ, ეს უკვე მკვლელობაა.

თამარ ჩხეიძე: მე უფრო მგონია, რომ პირდაპირ მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, სიგუასაც აქვს ეს აზრი, როდესაც ის კადრები ნახა, დარაბა მოხურული, ფანჯარა ოდნავ ღია...

თამარ ჩხეიძე: არც უნდათ, რომ გამოიკვლიონ, ეს უნდათ, რომ დარჩეს.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ უნდა დარჩეს, ვინ არის დაინტერესებული, რა ძალა არის დაინტერესებული იმაში, რომ ეს საკითხი ასეთი დიდი კითხვის ნიშნით გადავაგოროთ 21-ე საუკუნეში?

თამარ ჩხეიძე: ალბათ იმას, ვინც გააკეთა ყველაფერი ეს და ვინც დღესაც მართავს სიტუაციას, ბოლომდე გახსნა პროცესების არ აწყობთ არასოდეს. თუ დადგინდა, პოლიტიკური განცხადების სახით კი არა, როგორც კრიმინალური ფაქტი, რომ მოკლულია, მაშინ უნდა მოხდეს გამოძიება.

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონო თამარ, კონგრესის შესახებ ხომ არ გვეტყო-დით რამეს? კონგრესის შექმნის იდეა, იდეოლოგი ვინ იყო, თქვენი შეხედულება საქართველოს კონგრესის შესახებ.

თამარ ჩხეიძე: ეს იდეა იყო იმის შედეგი, რომ მოხდა განხეთქილება, გარკვეული ნაწილი იყო ზვიად გამსახურდიას მონინაალმდეგე ბანაკში, გარკვეული – ზვიადის მომხრე. ზვიადი ერთი პერიოდი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ოფიციალურ არჩევნებში მონაწილეობის, მერე რაღაც ეტაპზე შეცვალა ეს პოზიცია და მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი დარჩა კატეგორიული წინააღმდეგი ამ არჩევნების.

ნათელა ვაჩნაძე: სხვა ნაწილს არ უნდოდა გასვლა? ისინი კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ საბჭოთა საარჩევნო სისტემაში მოთამაშეებად ყოფილიყვნენ.

თამარ ჩხეიძე: ჩვენ, მაგალითად, ეგრე არ ვთვლიდით. პირადად მე ნამდვილად არ მქონდა სურვილი ამ არჩევნებში მონაწილეობისა, მაგრამ ზოგადად არ ვთვლიდი, რომ ეს არჩევნები უნდა ყოფილიყო უგულუბელყოფილი. ჩვენ „საზოგადოებას“ მიაჩნდა, რომ ეს არჩევნები უნდა

ყოფილიყო გამოყენებული, რომ მშვიდობიანი გზით მომხდარიყო ხელისუფლების ცვლა და ვთვლიდით, რომ ეს ბერკეტი უნდა გამოგვეყენებინა, ერთ-ერთი ბერკეტი და არა ერთადერთი. ჩვენ ამ პოზიციაზე ვიყავით თავიდან.

ნათელა ვაჩნაძე: არა ერთადერთი რას ნიშნავს? დანარჩენი რა იყო?

თამარ ჩხეიძე: ყველაფერი ერთად, მარტო არჩევნები ხომ არ არის პოლიტიკა, აქციები იქნებოდა თუ რაღაც სხვა, განცხადებები თუ სხვადასხვა მოქმედებები პოლიტიკური. ზვიადი თავიდან წინააღმდეგი იყო ამ არჩევნებში მონაწილეობის, მერე გარკვეულ ეტაპზე შეცვალა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა მისი ურთიერთობა გარკვეულ ფრთასთან...

ნათელა ვაჩნაძე: რომელიც არჩევნების მოწინააღმდეგე იყო არჩევნების?

თამარ ჩხეიძე: ... ხო, არჩევნების კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ ზოგადად ეს დაყოფა არჩევნებისადმი დამოკიდებულების ნიშნით არ იყო, დაყოფა იყო ზვიად გამსახურდიასა და დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს შორის. დანარჩენმა პოლიტიკურმა პარტიებმა – მათ შორის იყვნენ არჩევნების მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, ჩვენ, მაგალითად, არჩევნების მოწინააღმდეგეები არ ვიყავით... თქვენ ინიციატორზე მკითხეთ და მე ვფიქრობ, მაინც ამისი ინიციატორი უფრო ალბათ ჭანტურია იყო, თუმცა საერთოდ მეხსიერება მაინცდამაინც კარგი არა მაქვს და კონკრეტულად არ მახსოვს. საერთოდ აქტიური მომხრე იყო ამისი ჭანტურია, წერეთელიც გარკვეულწილად...

ნათელა ვაჩნაძე: ნოდარ ნათაძე?

თამარ ჩხეიძე: ნოდარ ნათაძე, მე მგონი, წინააღმდეგი იყო, იმიტომ, რომ ამაჟამადაც უარყოფითად აფასებს... დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ არც ის მახსოვს, რომ მონაწილეობა მიეღო.

ნათელა ვაჩნაძე: სროლა იყო ხომ?

თამარ ჩხეიძე: რაღაცა სროლა მოხდა, მაგრამ ამას უშუალოდ არა მგონია არჩევნებთან კავშირი ჰქონდეს.

ნათელა ვაჩნაძე: არჩევნებთან არა, მაგრამ კონგრესის მუშაობასთან და დაპირისპირებასთან ჰქონდა კავშირი, და როცა ტყვია გავარდება, ეს უკვე...

თამარ ჩხეიძე: სროლა იყო ორჯერ, მე მგონი. ერთხელ იყო ფორუმი, თუ რაღაც. ჩვენ არ ვმონაწილეობდით მაშინ და დეტალები მე არ ვიცი. იმ ფორუმზე თავიდან ზვიადის გარშემო შემოკრებილი ხალხი იყო, მაგრამ მერე მოხდა იმათ შორის განხეთქილება. ჩვენ უკვე დაპირისპირებული ვიყავით თავიდანვე და ამ ფორუმში არანაირი მონაწილეობა არ მიგვიღია. იქ მოხდა განხეთქილება და იქ ვიღაცამ ვიღაცას ესროლა, მაგრამ ეგ დეტალები ჯობია, იმათ ჰკითხოთ, ვინც იქ იყო, მე არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: 2 სექტემბერს ხომ არ იყავით კინოს სახლთან?

თამარ ჩხეიძე: 2 სექტემბერს კი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი ორგანიზაცია იყო, თუ პირადად თქვენ იყავით?

თამარ ჩხეიძე: ორგანიზაცია იყო და მეც ვიყავი, რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: რა ადგილას იყავით?

თამარ ჩხეიძე: უშუალოდ კინოს სახლთან იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ?

თამარ ჩხეიძე: მეც იქ ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: და არა მოშორებით, ჯავახიშვილის ქუჩაზე?

თამარ ჩხეიძე: მიტინგის დროს ქუჩაზე რატომ ვიქნებოდი.

ნათელა ვაჩნაძე: იქ იყო ხალხი. მონაწილეებიც იქ იყვნენ.

თამარ ჩხეიძე: შეიძლება, ცოტა იქით ვიყავი, ზუსტად არ მახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ ფიქრობთ, როგორი იყო სიტუაცია, თქვენი აზრით?

თამარ ჩხეიძე: ჩემი აზრით, ეს იყო ჩაფიქრებული წინასწარ, ზვიადი ნამო-  
აგეს ამ პროვოკაციაზე, რომ განვითარებულიყო ის მოვლენები, რაც  
მოხდა. ჩაფიქრებული იყო წინასწარ, მიტინგი უნდა დარბეულიყო და  
ტყვია უნდა გავარდნილიყო.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო ამის ინიციატორი, ედუ?

თამარ ჩხეიძე: არა, ჩაფიქრება ედუ-ს დონეზე არ ხდებოდა, ბუნებრივია,  
ჩაფიქრება ხდებოდა სულ სხვაგან.

ნათელა ვაჩნაძე: ედუ-ს გულმხურვალე ნაწილი საზოგადოებისა, მცირე  
ნაწილი, მაგრამ ასეთი არსებობს, ამბობს, რომ ეს ჩვეულებრივი  
მიტინგი იყო...

თამარ ჩხეიძე: მიტინგი ჩვეულებრივი იყო, აბსოლუტურად ჩვეულებრივი  
მიტინგი, ვეთანხმები.

ნათელა ვაჩნაძე: ... საინფორმაციო მიტინგი. ორშაბათობით, 17 საათზე,  
კინოს სახლის წინ, ეს უკვე დადგენილი იყო, რომ ისინი იკრიბებოდნენ,  
ატარებდნენ საინფორმაციო მიტინგს, რადგან სხვა საშუალება მათ არ  
ჰქონდათ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გავრცელების...

თამარ ჩხეიძე: ფორმალურად ყველაფერი ეგრეა.

ნათელა ვაჩნაძე: მათი ორი ლიდერი — ირინა სარიშვილი და ირაკლი ქა-  
დაგიშვილი, სადღაც მიემგზავრებოდნენ, მე მგონი, ამერიკის  
შეერთებულ შტატებში და თითქოს ბატონმა ქანტურიამ გამოაცხადა,  
რომ გარკვეული ხნის განმავლობაში აღარ ჩატარდება ეს მიტინგები  
ამ ადამიანების აქ არ ყოფნის გამო. თან ზაფხულის პერიოდი მოდიო-  
და, სტუდენტობა არ არის, ხალხი არ არის. 150-200 კაცი ყოველთვის  
შეიძლება შეკრიბოს ადამიანმა, რამდენიც იყო მაშინ მიტინგზე, რასაც  
ამბობენ თვითონ.

თამარ ჩხეიძე: მასე ცოტა, მე მგონი, არ იყო, არც მრავალრიცხოვანი არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: 2 სექტემბერს იყო 150-200 კაციო. იმიტომ ხომ არ ამბობენ,  
რომ ბევრნი არ ვიყავით და არაფერი საშიში არ იყოო.

თამარ ჩხეიძე: ძალიან ბევრი ხალხი, მართლაც, არ იყო. ძალიან მრავალ-  
რიცხოვნად ეს მიტინგი ვერ ჩაითვლება. არა მგონია, რომ 200 კაცი  
ყოფილიყო, მაგრამ მაშინდელი მიტინგების მასშტაბით დიდად არ ით-  
ვლებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ბოლო მიტინგზე თქვეს, რომ პირველი ორშაბათი სექტემბერში მოდიოდა 2 რიცხვზე და ეს ბუნებრივი ამბავია, მაგრამ ეს თითქოს არ ჩანს, რომ ასე გულუბრყვილოდ აგებული პირველი ორშაბათი ყოფილიყო.

თამარ ჩხეიძე: ეს, შეიძლება, მართლაც პირველი ორშაბათი იყო, მაგრამ მე რატომ არ შეიძლება, ეს პირველი ორშაბათი დაგეგმილიყო, რომ ამ მიტინგზე, რომელიც ჩატარდება პირველ ორშაბათს, გამოყენებულ იქნას ამისთვის და ამისთვის. ეგ ერთმანეთს არ ენიანალმდეგება.

ნათელა ვაჩნაძე: არა ეგ არა, მაგრამ აქ სხვა მომენტია, შემოდის სხვა ფაქტორი. ამერიკის კონგრესმენები იყვნენ ჩამოსულები. მათ უნდა ენახათ, რამდენად დემოკრატიული სიტუაციაა საქართველოში.

თამარ ჩხეიძე: როცა იგეგმება, ხომ ყველაფერს ითვალისწინებენ.

ნათელა ვაჩნაძე: ედპ-ს მომხრეები ამბობენ, რომ, რა იცოდათ გია ჭანტურიამ ივლისის შუა რიცხვებში, რომ კონგრესმენები უნდა ჩამოსულიყვნენ 2 სექტემბერს...

თამარ ჩხეიძე: ეს დეტალები მე ნამდვილად არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: ... ივლისის შუა რიცხვებშია, ივლისის ბოლოა თუ აგვისტოს დასაწყისია, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს...

თამარ ჩხეიძე: და მაინცდამაინც ივლისში რომ უკვე იცოდა, რომ 2 სექტემბერს უნდა ჩატარებულიყო, ეგ საიდან ჩანს?

ნ. ვ: გამოაცხადა...

თამარ ჩხეიძე: ივლისში გამოაცხადა, რომ 2 სექტემბერს უნდა ჩავატარო?

ნათელა ვაჩნაძე: აი ეს აღარ ახსოვთ, როდის იყო ის ბოლო მიტინგი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ იმან არ იცოდა, რომ კონგრესმენები ორში ჩამოდიან, მაშინ გინდა ორში ყოფილიყო და გინდა ცხრაში, იმისთვის არ ექნებოდა მნიშვნელობა. მეორე მხრივ, მე ვფიქრობ, კონგრესმენები ყოველდღე არ ჩამოდიოდნენ საქართველოში...

თამარ ჩხეიძე: რაღაცა დროით ადრე ეცოდინებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ...მაინცდამაინც არ იყო კონგრესმენებით საქართველო შენუხებული, მაგათი ვიზიტებით და ამიტომ რაღაცა ხომ იგეგმებოდა სახელმწიფო დონეზე. ამიტომ დროის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს და ვერ ვნახე ადამიანი ბოლო მიტინგის მონაწილე, რომელსაც კარგად ახსოვდეს, 2 რიცხვი როდიდან გაჩნდა, როდიდან გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას უკვე დაგეგმილი ჰქონდა 2 სექტემბერს მიეღო. თვითონ ხომ ვერ წარმოადგენდნენ, ამას ამერიკის მხარე ატყობინებდა, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. საქმის წარმოებაც არ იყო ალბათ ასეთ მაღალ დონეზე.

თამარ ჩხეიძე: რამდენი ხნით ადრე არ ვიცი და არც კონკრეტულად ვისგან, მაგრამ რაღაც გარკვეული დროით ადრე ვიცოდი, რომ 2 სექტემბერს რაღაცა მოხდებოდა, ბუნდოვნად ვიცოდი, რაღაცა, ოღონდ რა, არ ვიცოდი, კონკრეტულად ნამდვილად არ ვიცოდი. ასეთი ლაპარაკები მიდიოდა. მე ესე ვფიქრობ, რომ ზვიადი დაარწმუნეს, როგორც ჩანს,

რომ საჭირო იყო ამის დარბევა და მოხდა ეს გასროლა. მის ინტერესში ნამდვილად არ იყო. რომ გაეცნობიერებინა, ეს არ უნდა მომხდარიყო. ეს არ იყო ისეთი მიტინგი, საშიშროების შემქმნელი. განსაკუთრებულიც არაფერი მომხდარა იქ. გასროლა იყო ტემპერატურის ასანევად და ეს კარგად გამოიყენეს.

ნათელა ვაჩნაძე: იქ იდგა ერთი ბიჭი, რომელსაც კოჭში მოხვდა ტყვია. ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ჩვენ ვიდექით... ქალაქ თბილისის მილიციის კორდონი იდგა. ჩვენ ვიდექით, მილიციის სამმართველო, სამმართველოს უფროსიც იქ იყო, მაგრამ ჩვენ იარაღი არ გვქონდაო, ჩვენი იარაღი არ იყო ესო. ჩვენ იარაღი სპეციალურად დავატოვებინე ჩვენებსო და ჩვენ უიარაღოდ წამოვედითო. ხელკეტებიც კი არ გვქონდაო, მიტინგი არ უნდა დარბეულიყო. ასეთი იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება. ასე ამბობს ეს ადამიანი.

თამარ ჩხეიძე: აბა, ვინ ისროლაო?

ნათელა ვაჩნაძე: მიტინგის წინა სამი დღე მე დავდიოდი ჭანტურიასთან მოლაპარაკებებზეო, გადავდოთ ეს ყველაფერი სხვა დღისთვისო.

თამარ ჩხეიძე: რახან კონგრესმენები ჩამოდიანო?

ნათელა ვაჩნაძე: იმას არ უთქვამს, რახან კონგრესმენები ჩამოდიანო, ალბათ იმანაც იცოდა, რასაკვირველია. ერთი წუთით დავუშვათ, რომ არ იცოდა ჭანტურია, ის ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსი, იმან იცოდა. ის დაარწმუნეს იმაში, რომ გადაერწმუნებინა ჭანტურია, გადაედო მიტინგი ერთი კვირით. როდესაც ერთ კვირაზე არ მოხდა შეთანხმება, ხვალისთვის გადადეთ, ორში კი არა, სამში, ოთხში. დაიქცეოდა ქვეყანა, ოთხში რომ ყოფილიყო ეს მიტინგი? არა, ორში უნდა იყოსო...

თამარ ჩხეიძე: ესეც გასაგებია ჭანტურიას მხრიდან. რახან ის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მოინდომებდა ისეთ დროს მიტინგს, როცა იყვნენ ამერიკელი კონგრესმენები. ამაში განსაკუთრებული არაფერი არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: ...მეორე შევთავაზებო გაშლილი ადგილი, ვაკის პარკში, სუფთა ჰაერზეო. აქ სუფთა ჰაერი კი არ იყო მთავარი, მთავარი იყო, დაერწმუნებინა დასავლური სამყარო, რომ აქ ესე ხდება.

თამარ ჩხეიძე: მარტო მაგითი ვერც იტყვი, რომ იქ რალაც იყო დაგეგმილი, ეხლა დასკვნის სახით ვამბობთ, თორემ ეს ისედაც შეიძლება ადამიანს ისე მოენდომებინა, რომ სხვა ჩანაფიქრი არ ჰქონოდა, რომ მიტინგი ჩაეტარებინა და, რაც მიტინგის ფუნქციაა, ეთქვა ის მიტინგზე. ამ დროსაც ყოველთვის ითვალისწინებს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მიტინგს ატარებს, რომ თუ უცხოელი იქნება იქ, უფრო დაცულიც არის და უფრო მიიტან იმ მოთხოვნებს მათ ყურამდე. ეს თავისთავად ბუნებრივია, რომ დაემთხვიათ მათი ჩამოსვლისთვის, მიუხედავად იმისა, იქ სროლა იყო თუ არა გათვალისწინებული, მაინც შეიძლება დაემთხვიათ სროლის გარეშე.

თამარ ჩხეიძე: თითქოს ჭანტურიათ თქვა, ტყვია უნდა გავარდესო და გავარდება კიდევცო.

თამარ ჩხეიძე: ეგ უკვე არ ვიცი, თვითმხილველი არის თუ არა ვინმე მაგისი, ეგ მე არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: როდესაც ამას ამბობს ადამიანი, უკვე ეჭვები გებადება...

თამარ ჩხეიძე: ე. ი. თქვენ გულისხმობთ, რომ ეჭვები შეიძლება ის იყოს, რომ ტყვია არ გავარდა ოფიციალური სტრუქტურისგან? იყო კი ეგ ვერსია, რომ ხელისუფლება ამბობდა, ჩვენ არ გვისვრიაო? ეგ არ მახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: არის თურმე ვიდეოკასეტა, რომელზედაც აღბეჭდილია, ღამით გამოდის პრეზიდენტი და უჭირავს ჯავშანყილეტი ხელში და ამბობს — აი, გახვრეტილი ჯავშანყილეტი, ჩვენთანებს ჩვენ ხომ არ ვესვროდით.

თამარ ჩხეიძე: მართალი გითხრათ, მე არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: გასროლის შესახებ თქვენ არაფერი არ იცით? თქვენ არ იცით, ავტორი ვინ არის ამისი?

თამარ ჩხეიძე: ავტორი, რასაკვირველია, არ ვიცი. მე მაშინ ისე აღვიქვი, რომ ეს ხელისუფლების სტრუქტურებმა ისროლეს. ისე, ეგ ტექნოლოგიის საკითხიც არის. მართლა ოფიციალურმა სტრუქტურებმა ისროლეს, თუ სხვებმა ისროლეს, იქ სროლა იყო დაგეგმილი, ეს ფაქტია. ჩვენ, იქ მონაწილეებს ეჭვიც არ შეგვპარვია, რომ ხელისუფლებამ ისროლა. ერთმნიშვნელოვნად სროლა სამოქალაქო პირების მხრიდან არ ყოფილა. ასე აღიქმებოდა მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: აღიქმებოდა ნეიტრალურად განწყობილი ხალხის მიერ, თუ მაინც იმ ხალხის მიერ, ვინც საერთოდ ზვიად გამსახურდიას მონაწილედ იყო?

თამარ ჩხეიძე: მიტინგზე მონაწილედ იყვნენ, ბუნებრივია, მომხრეები იქ არ იყვნენ. მე მონაწილედ ვიყავი, მაგრამ აღქმა... მასაში ნამდვილად არ იყო სროლა.

ნათელა ვაჩნაძე: ის ხომ არ არის, რუსულ ნათქვამს გამოვიყენებ — желаемое выдвигалось за действительное.

თამარ ჩხეიძე: არა, არაფრით არა მგონია. ჯერ ერთი, მე საერთოდ ძალიან წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის ყოველგვარი ძალადობრივი მეთოდებისა, ამიტომ სუბიექტური ვერ ვიქნებოდი, თუ ეგეთ რამეს შევამჩნევდი.

ნათელა ვაჩნაძე: იმ სროლის შესახებ ხომ ვერაფერს იტყვით, პარლამენტის წინ რომ დაიწყო სროლა? თქვენ მაშინ არ იქნებოდით იქ.

თამარ ჩხეიძე: იმ მომენტში არა. იმ სროლის შესახებ მხოლოდ მოარული ხმები ვიცი და რადიოთი მოვისმინე, რომ დაიწყო სროლა. მოსმენილი მაქვს, რა თქმა უნდა, უფრო აქეთა მხარის ხალხისგან, რომ იქიდან დაიწყო სროლა.

ნათელა ვაჩნაძე: პარლამენტიდან?

თამარ ჩხეიძე: მე მგონი, ესეც იყო, ზუსტად ვერ გეტყვით. თუმცა არასწორად მიმაჩნდა და სასტიკად გამოვხატავდი ამ აზრს, რომ წინასწარ ვეუბნებოდი სიგუას და ვისზედაც მიმინვებოდა ხელი, რომ ზოგადად

იარაღის ჩარევა არ შეიძლებოდა ამ პროცესში და წინააღმდეგი ვიყავი იმის, რომ შეიარაღება ყოფილიყო იქ მიყვანილი მთავრობის სახლთან. როცა შეიარაღებული ხალხი ჩნდება უკვე, იქ სროლა გარდაუვალი იყო ფაქტიურად. ადრე თუ გვიან, იქიდან იქნებოდა თუ აქედან იქნებოდა, გასროლა მოხდებოდა, ეს იგრძნობოდა და ამისი კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება რომელიმე სახელმწიფოში შეიარაღებული ხალხი მოვიდეს მთავრობის სასახლის წინ, დადგეს იქ და სახელმწიფომ არ ისროლოს?

თამარ ჩხეიძე: არსად არ შეიძლება, მაგრამ ხომ ხდება ეგეთი რაღაც, ათასი რამე ხდება. ისე, ბუნებრივია, არ უნდა იყოს. ეს, რა თქმა უნდა, ტრაგიკული მოვლენა იყო, მაგრამ ისე წარმოსახავენ ზოგჯერ, რომ ეს ჩვენი სპეციფიკაა და ჩვენ დაგვატყდა ესეთი უბედურება თავს, ეგრეც არ არის. გადატრიალებები ხდება, ისტორიამ ბევრი გადატრიალება იცის სხვადასხვა ქვეყანაში. ასე რომ, ისეთი უნიკალური არაფერი მომხდარა, რაც სხვაგან არ მომხდარა, სხვაგანაც ხდება ეგეთი რამეები. ეს ტრაგედიაა, რასაკვირველია, მაგრამ მთავარი ტრაგედია მაინც ეგ არ არის. მთავარი ტრაგედია ის არის, რომ გადატრიალება იქნება, თუ „მშვიდობიანი რევოლუცია“ იქნება, თუ არჩევნები იქნება, სამწუხაროდ, ყველა ეს პროცესი გარედან იმართება საქართველოში. თავისთავად ცუდია ეგეთი ფორმა ხელისუფლებების ცვლის, მაგრამ ისეთი უნიკალური, რაც სხვაგან არ მომხდარა, არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: რაც სამეგრელოს გადახდა თავს, როგორ შევაფასოთ ქალბატონო თამარ?

თამარ ჩხეიძე: ესეც საერთო კონტექსტში იმ სცენარის, რაც ხდებოდა და აფხაზეთის დაკარგვისთვის საჭირო იყო სამეგრელოში ასეთი სიტუაციის შექმნა, რომ უფრო ადვილად მომხდარიყო აფხაზეთის ჩაბარება.

ნათელა ვაჩნაძე: მანდ სამეგრელოს ამხედრებაც ხომ არ იყო?

თამარ ჩხეიძე: ესეც იდო, რასაკვირველია. ეს მრავალწინაგოვანია, მარტო ერთი მიზანი ხომ არა აქვს.

ნათელა ვაჩნაძე: ერთდროულად დაეკარგავდით სამეგრელოს და აფხაზეთს.

თამარ ჩხეიძე: ერთდროულად ვერ დაეკარგავდით, ეგ ცოტა ძნელი განსახორციელებელი იყო, მაგრამ მაგისი გალვივებაც ზოგადად საჭირო იყო, რასაკვირველია.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ არ ფიქრობთ, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეობის გამო დაისაჯა ასე ძალიან სამეგრელო?

თამარ ჩხეიძე: არა მგონია, სჭირდებოდათ ეგრე და იმიტომ გაკეთდა. დასჯა, რა ვიცი, ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ემოციები თამაშობს როლს.

ნათელა ვაჩნაძე: განმახორციელებლებში შეიძლება, იმიტომ, რომ იქ პირადი ინტერესები თამაშობს ძალიან დიდ როლს.

თამარ ჩხეიძე: ეგ შეიძლება, ვილაცამ ვაღაცას ესროლა და ვილაცამ ვილაცას შეაგინა...

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან ნუ გავამარტივებთ საქმეს. ადამიანს დაუხატავს ზვიად გამსახურდიას პორტრეტი, ნოდის გვარად, ამიტომ ჯერ ერთი ფეხი მოსჭრეს, მერე ხელი მოსჭრეს, მერე კიდევ მეორე ფეხი მოსჭრეს, მერე აწამეს და მერე ისე მოკლეს.

თამარ ჩხეიძე: კონკრეტულად ეგ ფაქტი მე არ ვიცი, მაგრამ ზოგადად ეგ ფაქტორი მუშაობდა, რა თქმა უნდა. სწორედ ზვიადის ფაქტორი გამოყენებული იქნა მაგისტრის, რომ იქ აერიათ სიტუაცია, ეგ ცხადია. მაგრამ ეგ ემოციის დონეზე ვილაცამ კი არ დაგეგმა, დაგეგმა ცივი გონებით, მე ამას ვამბობ.

ნათელა ვაჩნაძე: დაგეგმილი იყო ზღვა რაოდენობის უნომრო მანქანების გადმოყვანა? თეთრ როიალზე დგას ბიჭი და თელავს, თან მოაქვს და თან თელავს. აფხაზეთის მოვლენები მაქვს მხედველობაში.

თამარ ჩხეიძე: ეგ პროცესების თანმდევნი ამბავია, რაც, რა თქმა უნდა, დაგეგმილი არაა, მაგრამ გათვალისწინებული იქნებოდა აუცილებლად. მოსაგებად არ წარმოებდა ომი, ამიტომ ეგეთი პროცესები იყო მიშვებული.

ნათელა ვაჩნაძე: სამეგრელოზე გადაბრალება, რომ არ მოვიდა დამხმარე ძალა და...

თამარ ჩხეიძე: სამეგრელოზე გადაბრალება კი არ მოხდა, მოხდა ზვიადის ძალებზე გადაბრალება. თუმცა სიტყვა „გადაბრალება“ მთლად სწორედ კი არ იყო. „გადაბრალება“ არის სწორი მხოლოდ იმ გაგებით, რომ ეს ყველაფერი გააკეთა შევარდნაძემ. მე ვერ ვიტყვოდი, რომ დადებით როლს თამაშობდა ის ძალაც, ის ძალაც იყო...

ნათელა ვაჩნაძე: ქობალიას გულისხმობთ?

თამარ ჩხეიძე: არ ვიცი, კონკრეტულად, მაგრამ გარკვეული უარყოფითი როლი, როგორც მე ვიცი, მაინც თავისთავად ჰქონდა ამ ფაქტორს. ზვიადიზმის ფაქტორმა ითამაშა გარკვეული როლი, მაგრამ არა წამყვანი. ის იყო მეორადი ფაქტორი. პირველადი ფაქტორი იყო შევარდნაძისგან ამ კუთხის, აფხაზეთის ჩაბარება და სამეგრელოს გარკვეული გაუცხოვება, რაშიც გამოიყენეს ზვიადის ფაქტორი.

ნათელა ვაჩნაძე: შვიდჯერ? შვიდჯერ გაილაშქრა...

თამარ ჩხეიძე: მე არ ვიცი, არ დამითვლია, რამდენჯერ, მაგრამ ძალიან ცუდი, რომ მოხდა, მაგას რად უნდა ლაპარაკი.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის 2 სექტემბრის აქციის ამბავი. რა შეგიძლიათ მითხრათ, ხომ ხართ თვითმხილველი?

კახა კახაძე: კი. 2 სექტემბერი იყო დასაწყისი რაღაც ეტაპის საქართველოში მაშინ, უფრო მკვეთრი მოძრაობების დაწყების ეტაპი. მანდ მოხდა პროვოცირება, გამოიწვიეს გამსახურდიას ხელისუფლება იმისათვის, რაც მოხდა. ორმხრივი პროვოკაცია იყო. ედპ აწყობდა მიტინგს და მიტინგზე მოხდა გასროლა...

თამარ ჩხეიძე: გასროლა კი არა, მე ესე აღვიქვი, რომ იქ საკმაოდ სროლები იყო.

კახა კახაძე: არა, ჯერ მოხდა გასროლა, ვილაცა დაიჭრა, ვინ დაიჭრა, ეგ არ მახსოვს. მერე ატყდა ქაოსი, საკმაოდ დიდი არეულობა. ამ არეულო-

ბის მერე მომიტინგეებმა დაიწყეს წინააღმდეგობის განევა. ამ დროს დაიწყეს ჰაერში გასროლა. იქ ორი აღმართი არის და ხალხი მიანყდა იმ აღმართს. ამით დამთავრდა დასრულდა ეს პროცესი იმ ეტაპზე და შემდეგ უკვე გახდა ახალი საფუძველი იმისა, რომ მომხდარიყო ახალი გამოსვლები, ახალი პრეტენზიები...

ნათელა ვაჩნაძე: მიაღწია ჭანტურიამ მიზანს? პოლიტიკოსთვის ეს არის მიზნის მიღწევა თუ არა?

თამარ ჩხეიძე: ჭანტურიას დაყვანა მაგ მიზნისთვის არ არის სწორი, ჭანტურია რა...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენთვის რომ დავალებინათ ვინმეს, გააკეთებდით ამას?

თამარ ჩხეიძე: რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, არავინ დამავალებდა და მეორეც, არა მგონია, რომ ვინმეს დავალებას ასრულებდა ჭანტურია.

კახა კახაძე: უბრალოდ ეგ ძალიან აქტიური პიროვნება იყო, ძალიან აქტიური, უზარმაზარი ენერჯია ჰქონდა. მან გარკვეულ პერიოდში აიღო ინიციატივა თავის ხელში.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ არ გახსოვთ პრალის კონფერენციის ამბები, რეზოლუცია, ხელმოწერა.

თამარ ჩხეიძე: რაღაც ეროვნულ საკითხზე კი იყო, მაგრამ კონკრეტულად რაზე იყო... ეროვნებათაშორის ურთიერთობის გამწვავება ედებოდა ბრალად გამსახურდიას.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაშინ ვიყავი მოსკოვში და ჩემი მეგობარი იყო კარის მეზობელი აირიკიანის, სომეხი დისიდენტის. მან შემოიტანა პრალის რეზოლუცია და ამაზე რას მეტყვიო, რომ ქართველები ძალიან ცუდად ვიქცევით, რომ ოსებს რა გავუკეთეთ და ა. შ., იყო ამაზე გაუთავებელი ლაპარაკი.

კახა კახაძე: ამ კონფერენციას ალბათ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ პირველი იყო, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ არსებულ სიტუაციას და დაიწყეს ამ დოკუმენტის ფრიალი.

ნათელა ვაჩნაძე: ...და ეს ძალიან მომგებიანი იყო იმ პარტიისათვის, რომელიც ამას სათავეში ედგა. მე მინახავს სურათი, სადაც არის ორი ქართველი მონაწილე – ქალბატონი ირინა სარიშვილი და ბატონი გიორგი ჭანტურია, სულ ორი ქართველი იყო ამ კონფერენციაზე.

თამარ ჩხეიძე: ეგ საკითხავია და სადავო, რამდენად მომგებიანი იყო ზოგადად ქვეყნის ინტერესებისათვის საერთაშორისო დონეზე... არ ვიცი, ვერ გეტყვით, თავს შევიკავებდი. აფხაზეთში ერთმნიშვნელოვნად დამნაშავენი ქართველები არა ვართ. ეროვნული ნიშნით თუ შევინროვება იყო, მათ შორის ქართველებიც იყვნენ. რაც შეეხება მეორე კერის გაღვივებას, იქაც, რა თქმა უნდა, ჩვენ ვართ მართალი, იმიტომ რომ ჩვენი ტერიტორიაა. იქ, ცხინვალში პროვოკაცია სათავეებში ორმხრივი იყო, აფხაზეთში ორმხრივი მომენტები არ ყოფილა. ამიტომ ვამბობ, რომ ეს ესე მარტივად არ არის. იქ ისეთი პროცესები წარმართა, არა მარტო ოსების მხრიდან, რომელიც არ უნდა წარმართულიყო.

იგივე ლაშქრობა ცხინვალში ავტობუსებით და ბევრი სხვა რაღაცეებიც იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ის ხომ მშვიდობიანი იყო...

თამარ ჩხეიძე: მშვიდობიანი იყო, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, იმას რაც მოჰყვებოდა და იმიტომაც იყო, ხელისუფლება აქტიურად მონაწილეობდა ამაში. ამას ვერ უარყოფენ, ეს უკვე ცნობილია დოკუმენტურად. გორგოძემ პირდაპირ თქვა, რომ ხელისუფლება ჩართული იყო ამ პროცესში, სწორედ იმიტომ, რომ იქ უნდოდათ პროვოკაციის მოწყობა.

ნათელა ვაჩნაძე: რა უნდოდათ, ჩაბარება უნდოდათ სამხრეთ ოსეთის?

თამარ ჩხეიძე: რაც მოხდა, ის უნდოდათ, ამ ტერიტორიის საქართველოდან წაგლეჯა. მაგრამ ეს ზოგჯერ ხდება პირდაპირ ანტიქართული გზით და ზოგჯერ ხდება, პირიქით, ულტრაქართული ლოზუნგებით. ეს ერთი და იგივე საქმეა, ამას უნდა გაცნობიერება. ორ ერს შორის ურთიერთობის გამწვავება როდესაც ხდება, ის ყოველთვის არის ორმხრივი პროცესი.

ნათელა ვაჩნაძე: ხო, მაგრამ თქვენ თვითონ ამბობთ რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ორმხრივი პროცესი არ იყო.

თამარ ჩხეიძე: აფხაზეთში ორმხრივი პროცესი არ სჭირდებოდათ, როგორც ჩანს და იმიტომ არ იყო. იმიტომ, რომ აფხაზეთში ჯერ კიდევ როდიდან ბავშვობიდან ზრდიდნენ ხალხს...

ნათელა ვაჩნაძე: ქართველების მიმართ საშინელი ზიზღით.

თამარ ჩხეიძე: ...რომ მივდიოდი იქ, ვხედავდი ამას, რაც ოსეთში არ იყო. ამიტომაც დასჭირდათ იქ ხელოვნურად გაღვივება. იქ, აფხაზეთში კი მზად იყო. ცხინვალში ეგ მექანიზმი ხდებოდა, რომ ორმხრივ აღვივებდნენ კონფლიქტს. ოსურ სოფლებში მოეწყობოდა მიტინგი, იტყოდნენ, რომ ქართველები მოდიან, უნდა დაგვესხან თავს, ქართულ სოფლებში ჩატარდებოდა, ოსები მოდიან, უნდა დაგვესხან თავს. ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც იყო სიყალბე, მაგრამ ამით ხომ ხდება დატაკება ხალხის.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ამბობდით, რომ იყო რაღაც მასალა, თქვენ მიერ შეკრებილი, რაიმე ხომ არ შემოგრჩათ ე. წ. სამხრეთ ოსეთზე?

თამარ ჩხეიძე: ჯერ რაღაც წვრილი შეტაკებები იყო, ვიღაცა ვიღაცას სცემდა... ამაზე მქონდა ჩანაწერები გაკეთებული. არ ვიცი, შეიძლება სადღაც არის.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაქვს ერთი დოკუმენტი, თავდაცვის შტაბი არსებობდა და რამდენიმე პიროვნება შედის ამ შტაბში — მე პირველად ვნახე ეს დოკუმენტი — სადაც უნებურად მოთხრობილია მთელი ისტორია ქართულ-ოსური, ეროვნული მოძრაობის გამოღვიძების პერიოდის ურთიერთობები, როდის შევიდნენ, რა დროს, რა მიტინგი ჩატარდა. ეს ყველაფერი მოთხრობილია, მაგრამ ეს მხარეა წარმოდგენილი. პირველი ბატონი ზვიადი ანერს ხელს. არის თეიმურაზ სუმბათაშვილის ხელმოწერა, ირაკლი ბათიაშვილის. ვაჟა ადამია წერია, მაგრამ ხელი არ არის მოწერილი, ალბათ ფიზიკურად არ იყო, თორემ ისე შტაბშიც

არ იქნებოდა შეყვანილი. ორი პიროვნების ხელმოწერა არ არის, შვიდი ხელმოწერა არის. ტენდენციურია ეს მონათხრობი, თუ ტენდენციური არ არის, ვერ გეტყვით, მაგრამ დოკუმენტი შექმნილია — თავდაცვის შტაბის მთელი მოღვაწეობა ქართველებისა იქ, მიტინგების თანმიმდევრობა. თუ ენდობა ამას ადამიანი, მაშინ ხელთ გვექონია რაღაცა წყარო, რომელსაც კიდევ უნდა შემოწმება, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა წყარო აღარ არის. ის ჩანანერები თქვენ, რომ ბრძანებთ, ასეთი ჩანანერები რომ იყოს შეპირისპირებით ანალიზს გააკეთებდა ადამიანი და რაღაც დასკვნას მიიღებდა. მთელი სირთულე იმაშია, რომ არის რაღაც და მეტი არაფერი. არის დოკუმენტი იმის შესახებ... კაცი ჯერ ერთი თვითონ მიყვება, რომ დავდიოდი გია ჭანტურიასთან და ვეხვეწებოდიო, რომ გაჩერდი, ორში ნუ იქნება ეს მიტინგი და სამში იყოს. არა, ორში უნდა იყოს...

თამარ ჩხეიძე: რა საფუძველი არსებობდა მაინცადამაინც, რომ გადაედო სამში? კონგრესმენების ჩამოსვლა? რატომ უნდა გადაედო კონგრესმენების ჩამოსვლისთვის, ამ მხრიდანაც ვიმსჯელოთ...

ნათელა ვაჩნაძე: მე კი მოგიწყობ შენ პროვოკაციას, მაგრამ შენ არ უნდა წამოეგო, თორემ ჩემი მნიშვნელობა და როლი ის არის, რომ პროვოკაცია მოგიწყოს.

თამარ ჩხეიძე: გარეგნულად ის, რაც მოხდა, არ არის პროვოკაცია. მოხდა კონგრესმენებზე დამთხვევა, ეს სრულებით ბუნებრივი მოქმედებაა პოლიტიკოსის მხრიდან. უბრალოდ შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა არა მარტო მას, ეს ვარაუდის დონეზეა, არამედ სხვასაც.

ნათელა ვაჩნაძე: ხელისუფლების ინტერესებში ალბათ ეს არ შემოდიოდა?

თამარ ჩხეიძე: არა.

კახა კახაძე: ხელისუფლების გარშემო უამრავი ხალხი ტრიალებდა, ხომ გამოჩნდა, ვინ ტრიალებდა იმათ გარშემო...

თამარ ჩხეიძე: იმართებოდა ეს კაცი.

კახა კახაძე: ...უამრავი. გარდა იმისა, რომ ქალებისაგან იმართებოდა, რომლებიც ძალიან აქტიურად მოღვაწეობდნენ მის კარზე. ეს ქალები საშინელება იყო და მის წინააღმდეგ იმუშავა.

თამარ ჩხეიძე: დღემდე არიან ისინი, საშინელი ბნელი ძალა.



## ზაზა ნიკლაური (საუბარს ესწრებოდა დათო გიგური)

ოქტომბერი, 2008 წელი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ზაზა, თუ შეიძლება ცოტა რამ გვიაშბუთოთ თქვენ შესახებ, რომ ჩვენს მკითხველს შევუქმნათ შთაბეჭდილება იმისა, რომ ჩვენ არ ვუგულბებლავით თქვენს ბიოგრაფიას, თქვენს განვლილ ცხოვრებას: როგორ მოხვედით ეროვნულ მოძრაობაში, რა გზით, იყავით თუ არა დეპუტატი უზენაესი საბჭოსი, რომელი რაიონიდან. საერთოდ, სად დაიბადეთ, რა განათლება მიიღეთ და ასე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოკლედ მითხარით ყველა ის ეპიზოდი, რომელსაც თქვენ თვლით თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანად.

ზაზა ნიკლაური: დავიბადე 1960 წელს თბილისში. დავამთავრე სკოლა თბილისში. შემდეგ ჩავაბარე სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 85 წელს დავამთავრე. ნევროპათოლოგი ვარ. ამის შემდეგ განაწილებით მოვხვდი ჩემს მშობლიურ რაიონში, ყაზბეგში. ჩემი მშობლები ყაზბეგიდან იყვნენ წარმოშობით. 1986 წლიდან უკვე დავიწყე ყაზბეგში მუშაობა ნევროპათოლოგად საავადმყოფოში. ამას თან დაერთო უკვე ეროვნული მოძრაობის დაწყება და ჩვენც დავიწყეთ. პატარა ორგანიზაციაც შევქმენით, არა პარტიული, არამედ ზეპარტიული ორგანიზაცია რაიონული მასშტაბის. ასე ერქვა: „თემის საბჭო“, რომელიც კოორდინაციას უწევდა ყაზბეგის რაიონში ეროვნულ მოძრაობას. აქ მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა. ისეთი რეგიონი იყო, სადაც ჩრდილოკავკასიის და საქართველოს პრობლემები ერთმანეთს კვეთდა. მოგეხსენებათ მეზობლად ოსეთია. ოსეთამდე სულ ერთი მთაა გადასავლელი, ახლოა ჩეჩენო-ნგუშეთიც. ამიტომ ფართო ურთიერთობები იყო მაშინ ეროვნული მოძრაობისათვის, ძალიან საინტერესო, მით უმეტეს, რომ მაშინ ზვიად გამსახურდია ძალიან დაინტერესებული იყო ჩრდილოკავკასიასთან ურთიერთობით. 1990 წელს არჩევნები ჩატარდა, მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატი ვიყავი ყაზბეგის რაიონში. გავიმარჯვე, შემდეგ ვიყავი დეპუტატი. 1991 წლის 20 თებერვალს დავინიშნე ყაზბეგის რაიონის პრეფექტად. ჩემი მოადგილე იყო ბატონი დათო გიგური, ვაჟა ფიცხელაური, გივი ნიკლაური. შემდეგ არჩევნები ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა. იქ იაგო ქილიკაშვილი იყო, გარდაცვლილია, რომელიც შემდეგ მდივანი გახდა საკრებულოსი. შემდეგ დეკემბრის თვეში მოხდა ძალისმიერი დამხობა ჩვენი ხელისუფლებისა. სხვა ძალების ხელშეწყობის გარეშე, თავისთავად ცხადია, ეს არ მომხდარა. ამის შემდეგ აღმოვიჩინე დევნილობაში. შემდეგ დევნილობაში გამართულ რამდენიმე სესიაში მივიღე მონაწილეობა გროზნოში და შემდეგ

უკვე ზუგდიდში, როდესაც მოვახერხეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლა და ორი სესიის ჩატარება.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ ვინ იყო თავმჯდომარე უზენაესი საბჭოსი?

ზაზა ნიკლაური: თავმჯდომარე ოფიციალურად კიკნაძე იყო, გროზნოში ავირჩიეთ ჩვენ კიკნაძე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ზუგდიდში სხდომა მიჰყავდა ნემო ბურჭულაძეს, როგორ მოადგილეს და ის ხელმძღვანელობდა უზენაესი საბჭოს საქმიანობას ზუგდიდში. გროზნოში, თავისთავად ცხადია, მერაბ კიკნაძე ახორციელებდა ამ საქმეს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ პრეფექტი იყავით. მე მაინტერესებს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ რაიონს... მე მაინტერესებს ნარკოტიკების საკითხი, რომლის შესახებაც ყველას ვერ ვეკითხები და არც ვეკითხები. ვისზედაც ეჭვი მაქვს, რომ ცოტა რამ უნდა იცოდნენ, იმათაც არ იციან. ეს სპეციფიური საკითხია. ნარკოტიკების საკითხი როგორ იდგა?

ზაზა ნიკლაური: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საზღვრის კონტროლი მთლად ასე უცბათ ვერ გადაწყდა ეს პრობლემა. ჩვენ მეტნაკლებად ვაკონტროლებდით ტრასას. ეროვნული მოძრაობის დასაწყისში იქ ჩვენ მოვახერხეთ ისე, რომ ჩვენი პიკეტი ჩავაყენეთ. მილიციის ტეკი იყო...

ნათელა ვაჩნაძე: მილიცია თქვენი იყო? ეროვნული მოძრაობის ინტერესებს ემსახურებოდა?

ზაზა ნიკლაური: ამას მე ვამბობ, ჯერ კიდევ ჩვენი ხელისუფლების მოსვლამდე. ყოველ შემთხვევაში, ვახერხებდით, რომ კონტროლი გაგვენია, მითუმეტეს, ყაზბეგის რაიონში. არც თუ ისე დიდი რაიონი არის, ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველამ იცის, ვინ რას აკეთებს. რაც შეეხება, ნარკოტიკებს, რა თქმა უნდა, იყო. ერთ-ერთი ძირითადი ტრასა ნარკოტიკების ტრანზიტისა გადიოდა ყაზბეგის რაიონზე: კერძოდ, დარიალის ხეობა, ყაზბეგის რაიონი, დუშეთის რაიონი და თბილისიდან მერე სად ნაწილდებოდა, ღმერთმა უწყის. ნაწილი ალბათ აქ რჩებოდა. თუ არ ვცდები, იყო ასეთი სახელმწიფო მაფია. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ სახელმწიფო მაფია ტრიალებდა კომუნისტების დროს, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა ამას. მეტ-ნაკლებად შევძელით, რომ ამისთვის ხელი შეგვეშალა, მაგრამ ჯერ ერთი, გამოუცდელები ვიყავით და მთლიანად ჩახედული არ ვიყავით ამ საქმეში. მეორეც, თუ მილიციას ვაკონტროლებდით, იმ მილიციასაც არ ახედებდნენ ბოლომდე, რა თქმა უნდა. ერთ-ერთი სატრანზიტო პუნქტი იყო ჯარიახის ხეობა, მაგრამ ის ჯარიახის ხეობა იყო უფრო წვრილმანი ნარკოდილერების საქმე. ამათ მეტ-ნაკლებად აკონტროლებდა მილიცია, ამ წვრილფეხობას, მაგრამ უფრო მსხვილი მასშტაბის მათ უჭირდათ. უკვე ბოლო პერიოდში კომუნისტების მმართველობისა, ჯერ არჩევნები არ იყო ჩატარებული, მაგრამ რეალურ ძალას წარმოადგენდნენ, ჩვენდა საბედნიეროდ, ყაზბეგის რაიონში დაინიშნა ერთი არაჩვეულებრივი პიროვნება მილიციის უფროსად ტარიელ ალ-

იბეგაშვილი, რომელიც აღარ არის ცოცხალი. მოჭიდავე იყო, საკმაოდ ტიტულოვანი მოჭიდავე იყო და როგორც სპორტსმენების დიდი ნაწილი, მოხვდა მილიციის სფეროში. ახალგაზრდობიდანვე აქ მუშაობდა, მაგრამ მე არ ვიცი, როგორ შეძლო ამ კაცმა ესეთი სისუფთავის შენარჩუნება, ჩემთვის წარმოუდგენელია. ისეთი სუფთა და ალალი იყო, ისეთი შემართული და ისეთი პატრიოტი, რომ მე ბევრი ნამდვილად არ შემხვედრია მსგავსი პიროვნება. სამწუხაროდ, ის მალევე გარდაიცვალა ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. მე მიმაჩნია, რომ ცოტა საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. ტარიელმა საკმაოდ აქტიური ბრძოლა დაიწყო ნარკოტიკების წინააღმდეგ. ყაზბეგში მაინცდამაინც ისე ფართოდ არ იყო გავრცელებული, მაგრამ ეს სატრანზიტო ტრასა რომ იყო, ძალიან მოუჭირა ხელი. რამდენიმე გააფრთხილა კიდევ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რომ დაენებებინათ თავი ამ საქმიანობისათვის და ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლამდე და ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საკმაოდ შეიზღუდა მათი გავლენა ყაზბეგზე ნარკოტიკების გატარებისა. შეიძლება, სხვა გზის ძებნა დაიწყეს, მე ამაში ჩახედული არა ვარ. აშკარად შემცირდა, თან ამას სხვა ტენდენციამაც შეუწყო ხელი. მანამდე, მე ესე ვფიქრობ, რომ რალაცა ბატონობდა ჩვენი სტუდენტობის პერიოდში, თითქოს ვაჟკაცობად ითვლებოდა, თუკი ვინმე ნარკოტიკს მიეტანებოდა. ეროვნულმა მოძრაობამ უკვე ერთი რამეც მოიტანა კარგი. უკვე სირცხვილად ითვლებოდა ნარკოტიკთან ურთიერთობა, დაცივნივით უდგებოდნენ ამას, რაც შემდეგში, სამწუხაროდ, საპირისპიროდ შეტრიალდა უკვე ჩვენი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ. ამანაც შეიწყო ხელი, რომ წარმატებული გამოდგა ეს ბრძოლა ნარკოტიკების გამსაღებლების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, მერე ტარიელი ავარიაში მოყვა, თბილისში გამოიძახეს. მართალი გითხრათ, ცოტა წასვამი კი იყო, მაგრამ არც იმდენად, რომ შეშლოდა რამე, მითუმეტეს, მანქანას ბრწყინვალედ მართავდა, ძალიან ფხიზელი და ფრთხილი კაცი იყო. თბილისიდან ჩასული სტუმრები ჰყავდა, ცოტა დალია და გამოიძახეს ამ დროს თბილისში.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ გამოიძახა?

ზაზა ნიკლაური: სამინისტროდან.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი ხელისუფლება იყო?

ზაზა ნიკლაური: კი, ჩვენი ხელისუფლება იყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენ კიდევ ბოლომდე... ხელისუფლება არჩევნებში გამარჯვებას არ ნიშნავს მარტო, ხელისუფლება უფლებასაც ნიშნავს. ...31 მარტი იყო, თუ არ ვცდები. სხვათა შორის, საინტერესო ფაქტი იყო. თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდა და ტარიელ ალიბეგაშვილი დასახელებული იყო დეპუტატობის კანდიდატად და წინა ღამეს მოხდა ეს. გარდაიცვალა, მაგრამ მაინც იმას აძლევდა ხალხი ხმას, ისე უყვარდათ ტარიელი. მეორე დღეს ჩატარდა ეს არჩევნები. მერე ახალი მილიციის უფროსი

დავნიშნეთ. იმანაც დაიწყო აქტიური ბრძოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დაგვეცალდა მერე, ბოლომდე რომ მიგვეყვანა ეს საქმე.

ნათელა ვაჩნაძე: თვითონ ამ გადატრიალების პროცესის მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ, დაპირისპირების შესახებ, თუ შეგიძლიათ რაიმე თქვათ? ან ფაქტები, არ რაღაც მოვლენებს გაუსვათ ხაზი, გაიხსენოთ რაიმე ეპიზოდი. თქვენი წარმოდგენით, როდის ჩაისახა? თუ თქვენ სულ ყაზბეგში იყავით?

ზაზა ნიკლაური: სესიებზე მიწვედა, რა თქმა უნდა, ჩამოსვლა და სხვადასხვა საკითხებზე. მათ შორის, ბატონ ზვიადთანაც ბევრი საკითხი იყო შესათანხმებელი. თანაც ყაზბეგი ისეთი ადგილი იყო, სადაც ბატონი ზვიადი ისვენებდა ხოლმე, ხშირად უწევდა იქ ჩამოსვლა და ამიტომ მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ჩამოდიოდნენ მასთან გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. მათ შორის, მაგალითად, ელცინთან შეხვედრა ყაზბეგში მოხდა, მოგეხსენებათ.

ნათელა ვაჩნაძე: შეგიძლიათ, უფრო დანვრილებით მიაბოთ ელცინთან შეხვედრის შესახებ?

ზაზა ნიკლაური: რა თქმა უნდა. წინა დღით გაგვაფრთხილეს, რომ მეორე დღეს შედგებოდა შეხვედრა ზვიად გამსახურდიასა და ელცინს შორის.

ნათელა ვაჩნაძე: მარტო წინა დღით?

ზაზა ნიკლაური: მარტო წინა დღით.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ესეთი გასაიდუმლოებული იყო?

ზაზა ნიკლაური: საკმაოდ.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ზაზა ნიკლაური: ალბათ იმიტომ, რომ საკმაოდ რთული ურთიერთობა იყო მაშინ, ჩვენთან იმდენად არა, რამდენადაც თვითონ რუსეთში. დაპირისპირება იყო ელცინსა და გორბაჩოვს შორის. იმდენად დაპირისპირება იყო, რომ ელცინი რომ წამოვიდა... მერე მოგახსენებთ ამის შესახებ. წინა დღით გაგვაფრთხილეს. ამისათვის სასტუმროს შენობა გავანთავისუფლეთ, რომ იქ მიგველო სტუმრები. გარდა ამისა, ყოფილი რაიკომის შენობა მოვამზადეთ ამათ შესახვედრად.

ნათელა ვაჩნაძე: ვარგოდა ეს შენობა?

ზაზა ნიკლაური: ვარგოდა, არა უშავს. იმ დროისათვის მეტი უკეთესი შენობა არ იყო. მეორე დღეს ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია, თენგიზ სიგუა, დილარ ხაბულიანი...

ნათელა ვაჩნაძე: გოგი ხოშტარია არ იყო?

ზაზა ნიკლაური: არ მახსოვს. გოგი ხოშტარია, მე მგონი, არ იყო მაგ შეხვედრაზე. ბატონი ზვიადი დარჩა ყაზბეგში, სადაც შეხვედრა უნდა მომხდარიყო და ჩვენ წავედით დარიალის ხეობაში. ხაბულიანი, სიგუა და მე საზღვარზე დავხვდით. გავჩერდით, ცოტა შეაგვიანდა და გავიხედეთ და მოდის ბეტეერი. წინ ბეტეერი მოუძლოდა რატომღაც ელცინს. იმდენად დაძაბული ვითარება იყო, რომ ბეტეერით დაცვა ჩირღებოდა. ზემოდან ვერტიფრენი იცავდა. დარიალის ხეობაში პირველი გასაუ-

ბრება მოხდა. შემდეგ ჩავსხედით მანქანებში, წამოვედით ყაზბეგისაკენ და ვთხოვეთ, ბეტეერი არ გამოჰყოლოდა თან, იმიტომ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენ თვითონ ვიყავით პასუხისმგებელი.

ნათელა ვაჩნაძე: გქონდათ ამდენი ძალა?

ზაზა ნიკლაური: ყოველ შემთხვევაში, იმდენი ძალა გვქონდა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე პროვოკაცია აგვერიდებინა. ვაკონტროლებდით სიტუაციას, გვქონდა ამისი საშუალება. ხომ გეუბნებით, ყაზბეგის რაიონი არ არის ისეთი რაიონი. უცხო კაცი რომ გამოჩნდება იქ, მაშინვე ჩანს. რა თქმა უნდა, ამ პერიოდში უფრო გავამძაფრეთ კონტროლი და კიდევ უფრო აქტიურები ვიყავით.

ნათელა ვაჩნაძე: დიდი დელეგაცია იყო?

ზაზა ნიკლაური: საკმაოდ. თან მოჰყვა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის (უზენაესი საბჭო იყო მაშინ, საოლქო კომიტეტი აღარ იყო) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გალაზოვი და მისი დელეგაცია.

ნათელა ვაჩნაძე: გალაზოვი ცნობილი იყო.

ზაზა ნიკლაური: კი. გალაზოვი მანამდეც და მერეც გადმოსულა ჩვენთან რალაც საკითხების შესათანხმებლად ყაზბეგში. გარდა ამისა, ბაკატინი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ბაკატინი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი საბჭოთა კავშირის.

ზაზა ნიკლაური: საბჭოთა კავშირის აღარ იყო. მაშინ იყო შინაგან საქმეთა მინისტრი რუსეთის ფედერაციის. ცხადია, სოლიდური დელეგაცია იყო. კარგი დაცვა ჰყავდა ელცინს, მობილიზებული. ეტყობოდათ, რომ საქმე კარგად იცოდნენ. შეხვედრა მოხდა ყაზბეგის ყოფილი რაიოკომის შენობასთან ელცინის და ზვიად გამსახურდიასი. შემდეგ განმარტოვდნენ ისინი კაბინეტში და პირისპირ შედგა მოლაპარაკება.

ნათელა ვაჩნაძე: სტაროვოიტოვა არ გახსოვთ?

ზაზა ნიკლაური: სტაროვოიტოვაც იყო, კი. ინგუშების დელეგაციაც იყო. ოღონდ ისინი იმათთან ერთად არ ამოსულან, ბატონ ზვიადთან ამოვიდნენ. ისა ქაძოვეის მეთაურობით იყვნენ. უნდოდათ ელცინთან შეხვედრა და მერე ბატონმა ზვიადმა შეახვედრა ისინი ელცინს.

ნათელა ვაჩნაძე: რა გვარი თქვით?

ზაზა ნიკლაური: ისა ქაძოვეი. ეს ცნობილი პიროვნებაა, დისიდენტი, მერაბ კოსტავასთან ერთად ციხეში იჯდა. ის უნგუშებისათვის სინდისისა და ნამუსის განსახიერება არის. ...შეხვედნენ ბატონი ზვიადი და ელცინი ერთმანეთს. შემდეგ დაიბარეს შინაგან საქმეთა მინისტრები, ისინი შევიდნენ შიგნით კაბინეტში და შედგა შეხვედრის დოკუმენტი, დაიდო ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც გამოიტანეს და რუსულად და ქართულად დაბეჭდეს. შემდეგ რუსულ ვარიანტს ხელი მოეწერა.

ნათელა ვაჩნაძე: თ. ნ. Южная Осетия?

ზაზა ნიკლაური: დიახ. ეს იყო ფაქტიურად ისეთი დოკუმენტი, რომლის მიღწევაც თითქმის წარმოუდგენელი იყო. იქ აღნიშნული იყო ყოფილი

სამხეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ანუ რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე აღიარებს, რომ დღეს ეს ოლქი აღარ არის. კიდევ უამრავი რამ, რომლის ამონევა, მე თუ მკითხვათ, დღესაც სასურველი იქნება. იმიტომ, რომ დღეს როდესაც მიდის ასეთი ლაპარაკი ყოფილ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, ამისი ამონევა კარგი იქნება, იმიტომ რომ ხელი აქვს მონერილი რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენელს. დღევანდელი ხელისუფლება, რამდენადაც ვიცი, არ სარგებლობს ამ დოკუმენტით. ...ოფიციალური მხარის შემდეგ იყო შეხვედრა რესტორანში.

ნათელა ვაჩნაძე: ცოლებით იყვნენ?

ზაზა წიკლაური: არა, ცოლების გარეშე. ეს ხელშეკრულება მზადდებოდა, ბანკეტზე იყვნენ, ჩამოვიდნენ და მოხდა ოფიციალურად ხელის მოწერა. მანამდე... შემოძლია ესეთი ეპიზოდი გავიხსენო. შევედი კაბინეტში, რომ დამეთვალე რეზინა, ხომ არავინ იყო იქ, რომ შემოსულიყვნენ და ამ დროს შემოგვასწრეს. მე და შალვა კაზალიკაშვილი ვიყავით. ჩვენებური კაცი არის, არაჩვეულებრივი პიროვნება, ზვიადის უახლოესი მეგობარი. კარგი იქნება, თუ შალვა კაზალიკაშვილსაც გაესაუბრებთ. ის არის პიროვნება, რომელსაც ბევრი რამის თქმა შეუძლია თვითონ ზვიადთან დაკავშირებითაც და იმ პერიპეტიებთან დაკავშირებითაც. ყიზლარში ზამთრის საძოვრები ჰქონდა ყაზბეგის რაიონს და იმ ზამთრის საძოვრების გაერთიანების უფროსი იყო. ჩვენი ცხვარი ჩადიოდა იქ და მეურნეობა იყო შექმნილი, საძოვრები, სათიბები. ერთი, რომ ამის ადმინისტრირებას ახდენდა და მეორე მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ ჩრდილოეთკავკასიასთან ურთიერთობის ერთ-ერთი პუნქტი იყო ყიზლარიც. ლეკები, ავარელები გადმოდიოდნენ და ხვდებოდნენ ჩვენს წარმომადგენლებს ყიზლარში.

ნათელა ვაჩნაძე: ზვიადი გადასახლებაში ყიზლარში იყო.

ზაზა წიკლაური: ყიზლარში იყო და იქიდან დაუახლოვდა შალვა კაზალიკაშვილს ბატონი ზვიადი. ...შემდეგ მოანერეს ხელი და შეახვედრა ზვიადმა ისა ქაძოვეი ელცინს. მე არ ვიცი, რაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ჩანდა ისა ქაძოვეი. დაპირისპირებაზე მიდიოდა ოსებსა და ინგუშებს შორის...

ნათელა ვაჩნაძე: ცოცხალია?

ზაზა წიკლაური: ცოცხალია. მერე ჩვენ ხშირად ჩავდიოდით ისა გაძოევთან, თვითონაც ხშირად ამოდიოდა ხოლმე შემდეგ. იყო ხოლმე ისეთი საკითხები, რომლის აფიშირება შეიძლება ყოველთვის არ იყოს... იარაღთან დაკავშირებით.

ნათელა ვაჩნაძე: იყო ყაზბეგის რაიონში იარაღი?

ზაზა წიკლაური: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: ბევრი იყო?

ზაზა წიკლაური: როგორ გითხრათ, საკმაოდ.

ნათელა ვაჩნაძე: როდინდელი შეძენილი იარაღი იყო?

ზაზა ნიკლაური: ეს ჩვენი შეძენილი იარაღი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: რა ფულით?

ზაზა ნიკლაური: ფულის მოგროვება ჩვენი ხდებოდა, მოსახლეობა აგროვებდა უფრო მეტად. ყაზბეგი ორივე მხრიდან ესაზღვრება ჩრდილოეთ ოსეთსაც და სამხრეთ ოსეთსაც. რაღაცა რომ მომხდარიყო, მარტო მილიციის ძალით თავდაცვა ვერ მოხერხდებოდა. ჯგუფები მყავდა, რომლებიც აკონტროლებდნენ საზღვარსაც და წესრიგსაც, სხვათა შორის, იცავდნენ რაიონში მეტ-ნაკლებად. დარიგებული კი არ იყო ეს იარაღი? ეს იარაღი იდო ერთ ადგილას, საჭიროების შემთხვევაში მიეცემოდა იმ პიროვნებას ხელწერილით, მოიტანდა, დატოვებდა და ისევ თავის ადგილას დადებდა. უკონტროლოდ, რა თქმა უნდა, არ ტრიალებდა იარაღი, ყოველი ტყვია იყო აღრიცხვავაზე.

ნათელა ვაჩნაძე: ელცინთან შეხვედრის დროს კგბ-ს წარმომადგენელი არავინ არ იყო?

ზაზა ნიკლაური: კგბ-ს წარმომადგენელი ჩვენი მხრიდან არ იყო. ჩემთვის უცნობი არის, თვითონ რაიონში რა მუშაობას ეწეოდნენ იმ პერიოდში.

ნათელა ვაჩნაძე: დაპირისპირების შესახებ შეგიძლიათ რამე თქვათ?

ზაზა ნიკლაური: რა თქმა უნდა, შემიძლია. ყაზბეგი მაგ მხრივ ცოტა მშვიდი რაიონი იყო, იმიტომ, რომ იქ დაპირისპირება არ მომხდარა. რეალურად ვიყავით ჩვენ და შეიძლება, ერთი-ორი ვიღაცა სხვა საწინააღმდეგო აზრისა, მაგრამ რეალურ ძალას ისინი არ წარმოადგენდნენ. ეს, ჩვენ რომ წამოვედით, მერე აღმოჩნდნენ...

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება თქვენს დროს არც იყვნენ და მერე დაიხურეს ის ქუდი, რომელი ქუდიც საჭიროდ მიიჩნიეს. ასეთი შემთხვევებიც იყო.

ზაზა ნიკლაური: კი, კი. მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგში ვიყავით, აქეთკენაც ურთიერთობები გვექონდა. სხვათა შორის, მოსკოვის პუტჩი რომ მოხდა, ზვიად გამსახურდია მაშინ იმყოფებოდა ყაზბეგში.

ნათელა ვაჩნაძე: საინტერესოა, ეგ არავინ არ იცის. როცა გაიგო, რა რეაქცია ჰქონდა?

ზაზა ნიკლაური: ეგ ჩვენ გავაგებინეთ, სხვათა შორის. დილით გამაღვიძა ჩემმა მეგობარმა ზაზა ქუშაშვილმა, დამირეკა და გაიგეო, მოსკოვში რა მოხდაო? დილაუთენია იყო, ალბათ 7 საათი. გავიქეცით ზვიადთან მე და ჩემი მეგობარი.

ნათელა ვაჩნაძე: სად ცხოვრობდა ზვიადი?

ზაზა ნიკლაური: „ინტურისტის“ სასტუმროში. მაშინვე გავალვიძებინეთ და ვუთხარით, რომ მოსკოვში გადატრიალება მოხდა. დაურეკა მაშინვე ოთარ ხატიაშვილს, კგბ-ს უფროსი იყო. ჯერ ის ესაუბრებოდა, ხატიაშვილი, არ ვიცი, რას. პატრიკევი იყო მაშინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი. შემდეგ ზვიადმა ჰკითხა, პატრიკევი სად არისო. არ ვიცი, რა უპასუხა იმან. როგორ, პატრიკევი რატომ არ იცით სად არისო, აბა რას აკეთებთო. რა ისაუბრა მერე, აღარ მახსოვს, აღარაფერი

ალარ უთხრა ზვიადმა, დაკიდა ყურმილი. ამ დროს იქ იმყოფებოდა ასლან აბაშიძეც, ყაზბეგში იყო ზვიადთან ჩამოსული.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ზაზა ნიკლაური: თავისი საქმე ჰქონდა. ...მაშინვე დაიბარა ასლან აბაშიძე, ჩვენც იქ ვისხედით და გვითხრა, თბილისში უნდა წავიდე ეხლავეო და წამოვიდა თბილისში. ვფიქრობდი, რომ უზენაესი საბჭოს სესიას მოინვევდა, მაგრამ არ მოინვია. სწორი იყო ალბათ. იმიტომ, რომ 250 კაცის შეკრება, პოზიცია, ოპოზიცია, ათასი აზრი წარმოიშვებოდა და ალბათ არ იყო საჭირო. თან დროსაც იგებდა ამასობაში. ამასობაში ჩვენთვისაც ცნობილი გახდა, რომ რუსის გენერლები ითხოვდნენ ეროვნული გვარდიის გაუქმებას. შემდეგში სპეკულაცია დაიწყო ამ თემით.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არის გადატრიალების.

ზაზა ნიკლაური: მიზეზი არა, საბაზი. არადა, ეროვნული გვარდია იყო შინაგანი ჯარი, ანუ თავიდანვე ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თავისი სტრუქტურით. ფორმულირებაც ესეთი იყო – შინაგანი ჯარი – ეროვნული გვარდია. მოითხოვეს რუსებმა ეროვნული გვარდიის გაუქმება. ამისი გაუქმება, ფაქტიურად, არ მომხდარა, უბრალოდ ჩამოსცილდა სიტყვა „ეროვნული გვარდია“, ანუ ეროვნული გვარდია არ გაუქმებულა, შემდეგ ეს სასპეკულაციო თემად რომ გამოიყენეს. ეხლა ამბობენ, რატომ გააკეთა ეს ზვიადმა. სხვანაირად შეუძლებელი იყო ამის გაკეთება.

ნათელა ვაჩნაძე: გადაარჩინა?

ზაზა ნიკლაური: გადაარჩინა ამით. გადაარჩინა იმიტომ, რომ 5000 პირტიტველა ბიჭი, რომელსაც ფაქტიურად იარაღიც არ გააჩნდა... მე მახსოვს, სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან ამოკრეფილი ავტომატები იყო, ე. წ. სასწავლო ავტომატები. გახვრეტილი ლულები ჰქონდათ ამ ავტომატებს და შემდეგ ამ ლულების ამოვსება მოხდა. აი ასეთი შეირალება გვექონდა. ზვიადი არ დაუპირისპირდა რუსის ჯარს, უთხრა, კი, ბატონო, ეროვნულ გვარდიას ჩამოვაცილებ. ამით მოხდა გადარჩენა იმ ბიჭებისა. ესეც იცოდა ალბათ ბატონმა ზვიადმა, რომ ეს ორი-სამი დღის ამბავი იყო, უკვე იკვეთებოდა ეს. იმიტომ, რომ როგორც კი მოსკოვში გამოჩნდნენ ტანკები, ხალხი გადაუდგა წინ, მიხაკები... უკვე ჩანდა, რომ საჭირო იყო ცოტა ხანს დროის განელვა და ეს ყველაფერი დამთავრდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვა ესეთი რამე ბატონმა ზვიადმა, რომ გორბაჩოვიც იქნება აქ გარეულო?

ზაზა ნიკლაური: მე არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ყაზბეგში ეს არ უთქვამს. თქვა ერთი რამე, რომ ეს დადგმულ სპექტაკლს ჰგავსო, მსგავსი რაღაცა თქვა, ალბათ იგულისხმებოდა ესეც. ...ელცინმა მოაწერა ხელი კომუნისტური პარტიის გაუქმებას. სხვათა შორის, არასწორად მოაწერა ხელი. ჩვენთან კომუნისტური პარტია ეხლა არაკანონიერი უნდა იყოს,

იმითგომ, რომ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა. მაშინ კომუნისტებმა ძალიან ცუდი პოზიცია დაიკავეს. როგავა იყო მაშინ დეპუტატი, მხარი დაუჭირა პუტჩისტებს, იაზოვს. ამანაც მოგვცა საშუალება, რომ კომუნისტური პარტია კანონგარეშედ გამოცხადებულიყო.

ნათელა ვაჩნაძე: ეროვნული ხელისუფლება და პოლიტიკური პარტიები – ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, რამე თქვათ?

ზაზა ნიკლაური: კი, ბატონო, მე რაც მახსოვს. სხვათა შორის, ეროვნული მოძრაობიდან მე ყველასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა და არც იმის შემდეგ მქონია მაინცდამაინც დაძაბული ურთიერთობა, ირაკლი წერეთელი იქნებოდა ეს, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი შენგელაია...

ნათელა ვაჩნაძე: გია ჭანტურიასთან?

ზაზა ნიკლაური: გია ჭანტურიასთანაც მქონდა ურთიერთობა, მაგრამ არც ისე ახლო. როდესაც თბილისში არეულობა დაიწყო 2 სექტემბრის შემდეგ, რამდენჯერმე მომიწია მაგათ მიტინგებზე მისვლა, მივლოდა, რომ დავლაპარაკებოდი ხალხს, მეთქვა, რომ ეგ ეგრე არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: ვისთან?

ზაზა ნიკლაური: ოპოზიციასთან. სხვათა შორის, თვითონაც პატივს მცემდნენ და მეც. ლოზუნგები გამოჰქონდათ ისეთი, რომელზეც მე მეცინებოდა. აი მაგალითად, „მიიღოს სასწრაფოდ პრივატიზაციის კანონი უზენაესმა საბჭომ“. ეს კანონი მიღებული იყო და უნდა შესულიყო 1 ოქტომბრიდან ძალაში. ეს კანონი მიღებული იყო ჯერ კიდევ გაზაფხულის სესიაზე, დრო სჭირდებოდა. ანუ უნდოდათ ძალით მოთრეული პრობლემებით გამოეჭედათ ყურები ამ ხალხისათვის. სხვათა შორის, ბევრი ხალხი ვერ შეაგროვა ვერავინ. ვიყავი მაგათ მიტინგებზე და 2 ათას, 3 ათას კაცზე მეტი არ მინახავს.

ნათელა ვაჩნაძე: იქ 200 კაცი იდგა კინოს სახლის წინ 2 სექტემბერს, საიდანაც ფაქტიურად დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება.

ზაზა ნიკლაური: კი, ეგეც კარგა ხნის წინ დაგეგმილი პროვოკაცია იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არაფერი არ იცით მაგის შესახებ?

ზაზა ნიკლაური: მე მაშინ ყაზბეგში ვიყავი და არ ვიცი. 2 სექტემბერი არ ვიცი, მაგრამ წინა დღეებში კი იყო პატარ-პატარა გამოსვლები კინოს სახლის წინ, მაგრამ მაინცდამაინც... კი ვიფიქრე... წყნეთში ისვენებდა კოკო გამსახურდია და იმასთან ავედი და ვუთხარი, რომ იქნებ-მეთქი რაღაცა საერთო ენა გამოვნახოთ ამათთან. მაშინდელი ჩემი გამოუცდელობით ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა ამათთან ლაპარაკი. მერე წავედი და ყაზბეგში ვიყავი. ტელევიზია გაითიშა და მერე გავიგე, რომ ასეთი რაღაცა მოხდა.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვუყურებდი საპატრიარქოს ტელევიზიაზე ინტერვიუს ელდარ შენგელაიასთან. ანა რატიანი ეკითხებოდა, ინანიებთ თქვენს ცოდვებს თუ არაო. არ ვინანიებო, კომპრომისი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკება მრგვალ მაგიდასთანო.

ზაზა ნიკლაური: მოლაპარაკებაზე ზვიად გამსახურდიას უარი არ უთქვამს. ნათელა ვაჩნაძე: არ მოდიოდაო.

ზაზა ნიკლაური: როგორ არ მოდიოდაო, ზვიად გამსახურდიამ შესთავაზა ვადამდელი არჩევნები. კიდევ მეტი რა მოლაპარაკება იყო საჭირო, რა უნდა ეთქვა კიდევ ზვიად გამსახურდიას? სხვათა შორის, უზენაეს საბჭოში საკმაოდ დემოკრატიული სიტუაცია იყო თვითონ უმრავლესობაში და უმცირესობიდან თუკი ვინმე რამეს ეტყოდა ჭკვიანურს, ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს სხდომებზე მხარს უჭერდა ხოლმე. მაშინ ჩვენს მხარეს იყვნენ თედო პაატაშვილი, დიხამინჯია, მერაბ ურიდია, ირაკლი მელაშვილი. ესენი საგარეო კომიტეტს წარმოადგენდნენ. შემოიტანეს საკითხი იუგოსლავიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებაზე. არავის არ ჰყავდა აღიარებული და მაინცდამაინც რატომღაც ცდილობდნენ, რომ ჩვენ უნდა გვეღიარებინა პირველებს: ხორვატია, სლოვენია... და ნოდარ ნათაძემ თქვა, რომ ნუ გავაკეთებთ ამას, ნუ ვირჩარებთ, იმიტომ, რომ ეს მაინცდამაინც არ არის ჩვენთვის მომგებიანი პოზიცია, რომ ყველას დავასწროთ და ვაღიაროთ ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობაო. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდია, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციაში იყო ნათაძე და ესენი უმრავლესობას წარმოადგენდნენ, დაეთანხმა ნოდარ ნათაძეს, რომ სჯობს, რომ მოვიცადოთ და ეს საკითხი მოგვიანებით განვიხილოთო.

ნათელა ვაჩნაძე: ბედავდა ვინმე საწინააღმდეგოს თქმას, გარდა ოპოზიციისა?

ზაზა ნიკლაური: საქვეყნოდ არა, მაგრამ ზვიად გამსახურდიასთან რომ მიხვიდოდი და რაღაცას ეტყოდი საწინააღმდეგოსაც, კარგად მოგისმენდა, თავისუფლად შეგეძლო გელაპარაკა რა საკითხზეც გინდოდა. რა თქმა უნდა, გადანყვეტილებას მაინც თვითონ მიიღებდა, მაგრამ ყოფილა შემთხვევებიც, როცა გადანყვეტილება შეუცვლია, ყოფილა და არაერთხელ.

ნათელა ვაჩნაძე: მაინც ყველაზე დიდი დაპირისპირება ვისთან იყო?

ზაზა ნიკლაური: ყველაზე დიდი დაპირისპირება... ალბათ ერთად იყვნენ ყველანი. პარტიებიდან უფრო ჭანტურია იყო გამოკვეთილი. ირაკლი ნერეთელს კიდევ რაღაცა... გია ჭანტურიას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი პატივს ვცემდი თავის დროზე... ცოტა ამპარტავანი კაცი იყო და უკვე ზღვარს გადავიდა, უკვე აღარ აინტერესებდა ეროვნული პრობლემები, რა სიმართლე იყო და რა ტყუილი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: რა უნდოდა? ხელისუფლებაში ყოფნა უნდოდა?

ზაზა ნიკლაური: ალბათ, ბოლმა აწვალებდა, ასე ვთქვათ. ოღონდ ეს არ ყოფილიყო ხელისუფლებაში და მერე ვინ იქნებოდა...

ნათელა ვაჩნაძე: მთელი საქართველო მინუს ერთიო – ფორმულა ჰქონდათ.

ზაზა ნიკლაური: კი, ბატონო, ეს ჯაბას ფორმულა იყო. ჭანტურიამ პრადის 24-ე რეზოლუცია მარტო იმიტომ მიიღო, რომ ჩრდილი მიეყენებინა

ზვიად გამსახურდიასათვის, სხვა რამეს არ ემსახურებოდა. ჯერ ერთი, ტყუილი იყო, რაც იქ ეწერა, მეორეც, ღალატი, მე თუ მკითხავთ.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ ტექსტი ნაკითხული გაქვთ?

ზაზა ნიკლაური: კი.

ნათელა ვაჩნაძე: კომუნისტები იყვნენ მაშინ?

ზაზა ნიკლაური: არა, 24-ე რეზოლუციის დროს ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში. შემდეგ გამძაფრდა ეს დაპირისპირება უფრო. აშკარად გრძნობდნენ, რომ ხალხის მხარდაჭერა ზვიად გამსახურდიას მხარეს იყო. ეს აშკარა იყო. არავინ არ ჩამოჰყავდათ ძალით. თუ ვინმე მოდიოდა, თვითონ მოდიოდა, სულ არ სჭირდებოდა რაიონებიდან ხალხის ჩამოყვანა. ერთს რომ დაიძახებდა, მოდით აქო, 15 წუთში 100 ათასი კაცი იკრიბებოდა. ეხლა უკვირთ ეს მიტინგები და მაშინ ამას 15 წუთში ახერხებდა ზვიად გამსახურდია, რომ ამდენი ხალხი იქ მიეყვანა.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ არ დათანხმდნენ რიგგარეშე არჩევნებს?

ზაზა ნიკლაური: წააგებდნენ, აშკარად წააგებდნენ, ძალიან მაღალი იყო პოპულარობა ხელისუფლებისა, არა იმიტომ, რომ რეკლამა მიდიოდა, როგორც ეხლა მიდის. უბრალოდ მართლა გრძნობდა ხალხი, რომ ვიღაცა არის, ვისაც მასზე შესტკივა გული. ფასადების ღებვა არ დაუნწყია ზვიად გამსახურდიას მაინცდამაინც თბილისში. რაჭაში და ზემო იმერეთში მინისძვრა რომ მოხდა, ექვს თვეში, ეხლა არავინ არ ახსენებს ამას, ფაქტიურად მთელი რაჭა თავიდან ააშენა, მიწასთან გასწორებული რაჭა ააშენა. დახმარება არ იყო არსაიდან. დაგვეხმარნენ ინგუშები ხორბლით, ეს იყო და ეს.

ნათელა ვაჩნაძე: რას იტყვით საერთო კავკასიურ სახლზე?

ზაზა ნიკლაური: საერთო კავკასიური სახლი უნდა ყოფილიყო არა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, არამედ ერთიან ინტერესებზე დაფუძნებული გაერთიანება სახელმწიფოებისა. სამწუხაროდ, მერე მოახერხეს და ჩაშალეს. ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. პირველად ყაზბეგში შეხვდნენ ერთმანეთს დუდაევი და ზვიად გამსახურდია. ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტი დუდაევი.

ნათელა ვაჩნაძე: საიდან მოხვდა ყაზბეგში?

ზაზა ნიკლაური: არის ერთი კაცი მეთუ ციხესაშვილი, ქისტის, ახმეტის რაიონის პრეფექტის მოადგილე იყო მაშინ. როდესაც დუდაევმა დაიწყო იქ მოქმედება ჩეჩნეთში... გენერალი იყო, ესტონეთში მსახურობდა, მანამდე ავღანეთში. როცა დაბრუნდა ჩეჩნეთში და დაიწყო ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბება...

დათო გიგაური: ...ინგუშეთში ეროვნული მოძრაობა აყვავებული იყო ჩეჩნეთთან შედარებით მანამდე, სანამ დუდაევი მოვიდოდა. თუ პირველი შეხვედრა ყაზბეგში იყო, მეორე ფოთში იყო, ფოთში რომ ჩატარდა პირველი ევროპის ჩემპიონატი წყალჯომარდობაში (აქ არ ისმის, ასე აქვს სიგუას). პირველი შეხვედრა აგვისტოში მოხდა პუტინიდან ორი დღით ადრე. კარგად მახსოვს. ვიღაცამ მითხრა, ქაძოვევი და დუდაევი

უნდა ამოვიდნენ და იქნებ შეახსენოთო. სამების ტაძარში იყო წასული გამსახურდია და ასლან აბაშიძე თავისი ოჯახებით. ასლან აბაშიძე შევარდნაძის დროს ბოიკოტს აცხადებდა თბილისში ჩამოსვლაზე, თორემ მაშინ, გამსახურდია რომ ორი კვირით ჩამოდიოდა, სამჯერ ჩამოდიოდა ყაზბეგში.

ზაზა ნიკლაური: სხვათა შორის, სამებაში რომ ვიყავით, ზვიად გამსახურდიამ შეიყვანა და სანთელი დაანთებინა. ისე მოიქცა, რომ ასლან აბაშიძეს სანთელი დაენთო.

ნათელა ვაჩნაძე: არ იყო მონათლული?

ზაზა ნიკლაური: როგორც თვითონ ამბობდა, ვარო, პირჯვარსაც იწერდა.

დათო გიგაური: ...სანამ ჩამოვიდოდნენ სამებიდან, კარგი დრო გავიდა, სასტუმროს ეზოში ვიყავით. მერე მანქანებით მოვიდნენ ჩეჩნები. როცა ჩამოვიდნენ, მე ვუთხარი, ბატონო ზვიად, გენერალი დუდაევია მოსული და ძალიან გაუხარდა. შეხვდნენ. არ ვიცი, რაზე იყო ლაპარაკი. იმ საღამოსვე წავიდნენ ჩეჩნები. მოილაპარაკეს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ უნდა შეხვედროდნენ, ფოთში უნდა ჩამეყვანა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იყავით ფოთში?

ზაზა ნიკლაური: არა, ფოთში არა, ყაზბეგში ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ესწრებოდით შეხვედრას?

ზაზა ნიკლაური: არა, შეხვედრა იყო ერთი ერთზე. შემდეგ სუფრასთან ვისხედით, ჩვეულებრივი რიგითი საუბარი იყო, არაფრით არ გამოუხატავთ, თუ რაზე იყო შიგნით საუბარი, მაგრამ მერე გამომჟღავნდა, რაშიც იყო საქმე. ცოტა ხნის შემდეგ უკვე დაიწყო ჩეჩნეთში დუდაევის მეთაურობით მოძრაობა და გააქტიურდა ძალიან. როცა დაიწყო მიტინგები ჩეჩნეთში, ზვიადმა დამირეკა და მითხრა, ჩადითო და ნახეთო, რა ხდებო იქ. ჩავედით, მივედით მიტინგზე. იქ არ იყო დუდაევი. გვკითხეს, საიდან ხართ, საქართველოდან. საქართველოს და ქართველის ხსენებაზე ისე გვიყურებდნენ, როგორც ციდან ჩამოფრენილ ანგელოზებს. მიგვიყვანეს დუდაევთან, ვილაც მოხუცებთან ჰქონდა შეხვედრა. სწრაფად დაამთავრა ეს შეხვედრა დუდაევმა, რომ ჩვენ შეგვხვედროდა. ჩვენ ვუთხარით, რომ ჩამოვედით ამბის გასაგებად, რა მდგომარეობაა, რამე ხომ არ გიჭირთ, რით შეგვიძლია დახმარება. ვისაუბრეთ და წამოვედით. ეტყობოდა უკვე, რომ რამდენიმე დღეში ის ხელისუფლებაში მოდიოდა და მართლაც ერთ კვირაში ხელისუფლებაში მოვიდა. მართალია, თავიდან ეს არჩევნების გზით არ ყოფილა. ზაკვაევი იყო, თუ არ ვცდები, ობკომის მდივანი. ის გამოუშვეს კაბინეტიდან და ეს დაჯდა. მერე ჩატარდა არჩევნები და აირჩიეს დუდაევი პრეზიდენტად. მერე რეფერენდუმი ჩატარდა, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და მერე უფრო და უფრო, რა თქმა უნდა, გახშირდა ურთიერთობები, მერე უფრო ხშირად გვინევდა ჩასვლა. სამწუხაროდ, გადატრიალების მერე, გვინევდა ჩასვლა, როგორც უკვე ლტოლვილებს.

დათო გიგაური: პირველი ეროვნული კონგრესი იყო ჩეჩნეთის. არ ვიყავით მინვეული, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩავედით გროზნოში. არავინ იყო საქართველოდან ჩასული. ჩვენ გავფორმდით ისე, როგორც საქართველოს წარმომადგენლები ჩვენდაუნებურად, არც მოგვიტყუებია, რომ ზვიად გამსახურდიას ხალხი ვიყავით ოფიციალურად ჩასული. პრეზიდენტში იჯდა ისა ქაძოევი, ჯოხარ დუდაევი და კიდევ მესამე, ვერ ვიხსენებ იმას. ჩეჩნეთის ეროვნული კონგრესი იყო, მაგრამ ისა ქაძოევი მინვეული იყო, როგორც ცნობილი პიროვნება. დუდაევი გამოვიდა, ერთი საათი ილაპარაკა. დუდაევს ძალიან დიდი ქარიზმა ჰქონდა. ამ პირველ კონგრესზე სექტემბერში ესეთი რამე თქვა, რომ ჩვენო მრავალტანჯული ერი ვართო, რუსეთი რაც გამოჩნდა კავკასიაში, ჩვენ მის შემდეგ პრობლემები არ დაგვლევიაო. ერთ-ერთი გამონათება არის დღესო, თუ ღმერთი გადმოგვხედავს, ამას გამოვიყენებთო, ჩვენი ინტერესების დაცვას მთელ მსოფლიოში და საბჭოთა კავშირის მასშტაბითო ვანდობთ ქართველ ხალხსო და მის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიასო. გამსახურდიასა და ქართველი ხალხის ხსენებაზე ხალხი წამოხტა და წარმოუდგენელი რაღაცა ხდებოდა. მერე გამოაცხადეს, რომ ქართველების დელეგაცია არისო და მთელი დარბაზი ადგა ფეხზე. გაკვირვებულები ვიყავით. მერე დაგვიძახა დუდაევმა, საქართველოს ამბები აინტერესებდა.

იგივე სიტუაცია ინგუშეთში მოხდა კიდევ უფრო ადრე. ცხვრის გადმორეკვის პერიოდი იყო. ყაზბეგის და კიდევ ოთხი რაიონი აზამთრებდა ცხვარს ჩრდილოეთკავკასიაში. გადმორეკვის დროს დაემთხვა ქართველების და ოსების დაპირისპირება. გასავლელი იყო ოსეთის ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე გასვლა ინგუში ხალხის დახმარებით მოხდა. ინგუშები ოსეთში ცხოვრობდნენ. 92 წელს მოხდა ინგუშებისა და ოსების დაპირისპირება, მანამდე არ იყო დაპირისპირება. ამ დროს ვიყავი იქ და უნდა ყოფილიყო ინგუში დეპუტატების თავშეყრა. მაშინ დუდაევი არ ჩანდა და ინგუშეთი აშკარად ჩამორჩებოდა ანტირუსულ მოძრაობაში. თბილისიდან იყო წარმომადგენელი ბიძინა გიორგობიანი. მაშინ ის იყო, მგონი, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. რამდენიმე კაცი ვიყავით წასული. ისა ქაძოევმა პერსონალურად დაგვპატიჟა. ინგუშებს უნდოდათ ცალკე გამოყოფა ჩეჩნებისაგან, მაგრამ რაკი ამ საქმეში ისა ქაძოევი იყო, არ აწყობდათ რუსებს. ჩამოსული იყო რუსეთიდან ძალიან სერიოზული დელეგაცია, ელცინის წარმომადგენლები იყვნენ. მაშინ ძალიან პოპულარულები იყვნენ ესენი რუსეთში, ინგუშეთშიც. ელცინის არჩევნების დროს 99 პროცენტმა ინგუშების მისცა ხმა ელცინს. ოსების 95 პროცენტმა ელცინს არ მისცა, მისცეს რიჟკოვს და ვილაც-ვილაცეებს. ბელოდერშევი იყო ერთი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო, ახალგაზრდა გამოვიდა სიტყვით და ლაპარაკობს, რომ ეს არ უნდა მოხდეს, გამოყოფა, არ უნდა დაიშალოს. ჩვენი ინტერესი იყო, ისა ქაძოევი გამხდარიყო. ხალხმა მაინც დაუჭირა მხარი გამოყოფას.

შემდეგ იყო უკვე ლაპარაკი, ვინ გახდებოდა დროებითი ხელმძღვანელი ინგუშეთის რესპუბლიკის. ელცინის ხალხს არ უნდოდათ ეს. ეს იყო დისიდენტი და მაინც არ ენდობოდნენ მას. ინგუშების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ისა ქაძოვეს მისცა ხმა და გახდა ის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ქართველების დამოკიდებულება, ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება ინგუშების მიმართ – აი ამაზე იქაც იყო ლაპარაკი. ჩრდილოეთკავკასიაში მე ხშირად მიწევდა ყოფნა. რუსეთის ტელევიზიით რომ გადმოსცემდნენ, ქართველი ხალხი აუჯანყდა ზვიად გამსახურდიას, ესენი ამბობდნენ, რას გვიშვებითო, ჩვენო მაგისი იმედი გვაქვს მთელ კავკასიასო. ჩვენ ვუხსნიდით, რომ ეს ასე არ იყო და ხალხი არ აჯანყებია...

ნათელა ვაჩნაძე: არის ასეთი თვალსაზრისი, რომ სახალხო აჯანყება იყო. ამას წინათ მითხრა ერთმა კარგმა მეცნიერმა, ძალიან გამიკვირდა: ეს საერთო-სახალხო აჯანყება იყოო.

ზაზა ნიკლაური: საერთო-სახალხო როგორ იყო, სად დაინახა იქ ხალხი? რუსის ტანკები და რადისტები თუ ხალხი იყო, არ ვიცი მე...

ნათელა ვაჩნაძე: ტანკი რომ აფეთქდა, იქ რუსი იჯდა.

ზაზა ნიკლაური: მე შიგნით ვიყავი და იქაც შემოიტანეს ცხედრები.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი ტანკი იყო?

ზაზა ნიკლაური: არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ არავინ არ იცის.

ზაზა ნიკლაური: ბეჰაევის კაბინეტში რომ ისხდნენ სიგუა და კიტოვანი, ამას თვითონაც აღარ მალავენ. იქ იყვნენ, იქიდან საერთოდ არ გამოდიოდნენ. ეს გოგა ხაინდრავამ დააყვედრა ჯერ კიდევ 92 თუ 93 წელს: ეგენი რატომ არიან ხელისუფლებაშიო, ჩვენ გავიმარჯვეთო, ეგენი ბეჰაევის კაბინეტიდან არ გამოსულანო, ჯაბას მოგონებებშიც არის.

დათო გიგაური: მოსკოვში რომ დადიოდნენ... თედო პაატაშვილიც დადიოდა შევარდნაძესთან.

ზაზა ნიკლაური: მერე რაო, ორმა ჭკვიანმა კაცმა უნდა უსაუბროსო.

ნათელა ვაჩნაძე: ის თუ იცით, რამდენი ფული ჩაიდო და საიდან.

ზაზა ნიკლაური: ეგ არ ვიცი, ლაპარაკობენ 60 მილიონზე.

ნათელა ვაჩნაძე: 60 მილიონი ცოტა არ არის?

ზაზა ნიკლაური: რა თქმა უნდა. ეს იმიტომ იყო საჭირო, რომ ესენი მოემარაგებინათ, თორემ რუსის ტანკები შემოვიდოდნენ და იბრძოლებდნენ. 60 მილიონი ალბათ იქნებოდა საკმარისი იმათ დასაფინანსებლად: ტელევიზია რომ გააკეთეს...

ნათელა ვაჩნაძე: არაო, ბატონმა თენგიზმა მითხრა, მე კაპიკი ფული არც დამინახავსო, არც ვიციო, ვის ჰქონდა ფოლიო...

ზაზა ნიკლაური: სხვათა შორის, თენგიზ სიგუას ახასიათებს ერთი საინტერესო თვისება: იტყუება ისე, რომ მსმენელს აჯერებს. ეგეთი ტყუილები და შეპირებები ხშირად მომისმენია პრემიერ-მინისტრობისას, როცა ჩამოვდიოდი აქ.

ნათელა ვაჩნაძე: პროდუქტი შემოდის, არ ვყიდულობდითო, ჩემი მეგობრები აგზავნიდნენო.

ზაზა ნიკლაური: სად ჰყავდა მეგობრები, კენიაში ჰყავდა მეგობრები?

ნათელა ვაჩნაძე: კენიის ხორცი სხვა პრობლემაა.

ზაზა ნიკლაური: ხომ არ ასახელებს იმ მეგობრებსაც?

ნათელა ვაჩნაძე: ქარხნის დირექტორები, ინჟინრები...

ზაზა ნიკლაური: ტყვია-ნამალს რუსები აწვდიდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: აგროვებდნენ ფულს საქმოსნები, ყოფილი ქურდები. 20 ათასი და 30 ათასი დოლარი მაშინ დიდი ფული იყო. კინოს სახლში ხდებოდა ფულის შეგროვება, ეს ვიცი, მაქვს ინფორმაცია. მაგრამ კაცი ვერ ვნახე, რომელმაც ფული დადო. არავინ არ ამბობს, მე დავდეო ფულიო. მე და ჩემმა კოლეგამ ყველაფერი გავიგეთ, რომელი გადატრიალება რამდენი დაჯდა, ყველაფერი წერია წიგნებში. მარტო ჩვენი გადატრიალების ფასი ვერ გავიგეთ.

ზაზა ნიკლაური: ეგ დაჯდა სამშობლოს გაყიდვა.

ნათელა ვაჩნაძე: 60 მილიონზე საიდან გაქვთ ცნობა?

ზაზა ნიკლაური: მაშინ იყო რალაცა ლაპარაკი, რომ 60 მილიონი მისცეს სიგუას და კიტოვანს ამ გადატრიალების მოსაწყობად, სანამ გადატრიალება მოხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ მისცა?

ზაზა ნიკლაური: რუსებმა მისცეს ეს ფული არა ქრთამად, არამედ სახარჯოდ.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა რომ ჰკითხო ადამიანებს, აზრიც არა აქვს, რალაც სულ სხვას ლაპარაკობენ. ეხლა არ ამბობენ იმას, რასაც მაშინ ამბობდნენ.

ზაზა ნიკლაური: კი, თავს არიდებენ ამაზე საუბარს.

ნათელა ვაჩნაძე: დილარ ხაბულიანის ამბავი მაინტერესებს ძალიან, ძალიან მაფიქრებს...

ზაზა ნიკლაური: მეც.

ნათელა ვაჩნაძე: ... და სწორი დასკვნა ვერ გამომიტანია იმის გამო, რომ ხელშესახები არაფერი არა მაქვს. მე არ მჯერა, მაგრამ მე ისტორიკოსი ვარ და ამის უფლება არა მაქვს ვთქვა: მჯერა, არ მჯერა. მე არ მჯერა, რომ თვალის სხივი დაკარგა და დაუზიანდა მხედველობა.

ზაზა ნიკლაური: მილიციას უნდა მიეღო მონაწილეობა, დაეცვა წესრიგი. მილიცია აბსოლუტურად არ გამოჩენილა ქუჩებში. სოხუმის მილიციონერები იყვნენ რამდენიმე კაცი, სულ ეგ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: საიდან გამოჩნდა დილარ ხაბულიანი?

ზაზა ნიკლაური: ეგ არ ვიცი, მე უკვე ზვიად რომ იყო, მაშინ გავიცანი.

ნათელა ვაჩნაძე: მე არც მინდა ცალკეულ პიროვნებებზე ვილაპარაკო, ეგ არ არის ჩემი მიზანი. რა მოხდა? რა იყო? რომ არ იყო საერთო-სახალხო აჯანყება, ეს ჩემთვის ცხადზე ცხადია. მე მგონი, რომ ეს მცდარი დებულებაა. დემოკრატიული რევოლუცია, ბურჟუაზიული რევოლუცია, სახალხო მოძრაობა, სახალხო აჯანყება, რას არ ეძახიან.

ზაზა ნიკლაური: ეს იყო დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოს წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალება, სამხედრო გადატრიალება, უცხო ქვეყნის ინტერესების გამო, მეტი არაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: საიდან აღმოჩნდა ამ უცხოეთის ინტერესებში ჩართული ქართული ინტელიგენცია და ქართული საზოგადოება?

ზაზა ნიკლაური: ამას შევარდნაძე ამზადებდა კაი ხანი.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი ხანი ამზადებდა?

ზაზა ნიკლაური: როგორც კი მოვიდა შევარდნაძე, იქიდან დაიწყო ამის მზადება, თუ როგორ გამოეყენებინა ეს ინტელიგენცია, როგორ ჰყოლოდა თავის სურვილს დაქვემდებარებული.

ნათელა ვაჩნაძე: როდის?

ზაზა ნიკლაური: 70-იან წლებში. მათ ისეთი ცხოვრება დაკარგეს, რომ რაიკომის მდივნის კარებს ფეხებით ალებდნენ, ნიშნავდნენ და ხსნიდნენ რაიკომის მდივნებს. მერე უქმნიდნენ მოდისიდენტო სახეებს. ერთი მხრივ ყველაფერი ჰქონდა ინტელიგენციას, მეორე სჭირდებოდათ ის, რომ დისიდენტები რქმეოდათ.

დათო გიგაური: ზვიად გამსახურდიას მხარეს ვინც იდგა, ამათ უყვარდათ სამშობლო, იმათ კი თავიანთი თავი უყვარდათ სამშობლოში.

ზაზა ნიკლაური: ერთი რამე კი ცხადია ჩემთვის: საქართველო ადგა დამოუკიდებლობის გზას, საქართველო უნდა გამხდარიყო ქართველი ერის ინტერესების დამცველი სახელმწიფო, რომელიც ქართველ ერს გადაატარებდა კიდევ რამდენიმე საუკუნეს და მერე კიდევ გამოჩნდებოდა ვილაცა. ეს არ აწყობდა არც გარეთ ვილაცას, შიგნითაც ვილაცეებს ბოლმა ახრჩობდათ, გამოიყენეს ეს ბოლმა გარე ძალებმა და მოახერხეს ის, რომ ქართველი ერის ინტერესები დღეს შელახულია ყველაზე მეტად. ფაქტიურად, იურიდიულად დღეს ქართველი ერი არც არსებობს, პასპორტიდანაც ამოიშალა. იურიდიულად დღეს ქართველი ერი არსად გაფორმებული არ არის. არსებობს დედამიწაზე ყველა ერი, არ არსებობს ქართველი ერი, იურიდიულად ვამბობ. სად მტკიცდება, რომ იურიდიულად ქართველი ერი არსებობს? იურიდიულად დღეს ქართველი დადის დედამიწის ზურგზე?

ნათელა ვაჩნაძე: მარტო პასპორტია ამისი დამამტკიცებელი?

ზაზა ნიკლაური: იურიდიულად კი. დაბადების მონუმბაში არ წერია, პასპორტში არ წერია, პირადობის მონუმბაში არ წერია. საქართველო წაიყვანეს სულ სხვა მიმართულებით. თავიდანვე ეს კარგად ვერ გააცნობიერა ქართველმა ერმა.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან ბევრი განაწყენებული ძალა იყო ჩემი დაკვირვებით.

ზაზა ნიკლაური: ძალა, ანუ ის ხალხი, რომელიც საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად ჩანდა. თორემ ხალხი, როგორც ასეთი...

ნათელა ვაჩნაძე: თვითონ უნივერსიტეტის მაგალითზე ვიმსჯელოთ. უნივერსიტეტი ხომ ძალიან ეროვნული დანესებულება იყო, ამას ხომ ვერავინ უარყოფს. ბატონი ზვიად გამსახურდია და ბატონი მერაბ

კოსტავა პირველი, რასაც აკეთებდნენ, მოდიოდნენ უნივერსიტეტში. ისინი რომ გამოჩნდებოდნენ, ფეხზე იდგა მთელი უნივერსიტეტი, მთელი სტუდენტობა. ეს იყო გარკვეულ დრომდე. მერე ეს ამბავი გაქრა და უმეტესობა ოპოზიციაში იყო.

ზაზა ნიკლაური: იმიტომ, რომ იმუშავა რუსეთის კვბ-მ კარგა გვარიანად. აი აკაკი ბაქრაძემ რა გააკეთა უზენაესი საბჭოს არჩევნებზე: სთხოვდა ბატონი ზვიადი, რომ პირველი შენ იყავი სიაშიო. წინა დღით მოლაპარაკება რომ შედგა და დასთანხმდა, მეორე დღეს, უკვე სია რომ უნდა შეედგინათ, განაცხადა უარი.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ზაზა ნიკლაური: არ ვიცი, რატომ.

დათო გიგაური: მაგათგან იყო გაერთიანების ინიციატივა. მერე რომ წავიდა რეალურად გამსახურდია შეტევაზე, მერე უარი თქვეს. რომ არ წასულიყო, მერე უარყოფდნენ. წელან რომ ვლაპარაკობდით გვარდიაზე... გამსახურდიას ყველა პრობლემაზე პასუხი ჰქონდათ მომზადებული. ეროვნული გვარდია რომ გააუქმა, ამბობდნენ, რუსებს დაემორჩილა, არ გააუქმებდა და იტყოდნენ, ხედავთ, ხალხს ახოცვინებს. პურისა და ტრანსპორტის ფასებზე რომ იყო ლაპარაკი. პური რომ გაეძვირებინა, ხალხს აუჯანყებდნენ და ეგ რომ არა ქნა, მერე დაიწყეს სხვანაირად ლაპარაკი.

ზაზა ნიკლაური: ლაპარაკობდნენ, პური რატომ არ გააძვირაო.

ნათელა ვაჩნაძე: მე მითხრა ბატონმა თენგიზმა პირდაპირ: აზერბაიჯანიდან გადმოდიოდნენო და უამრავი პური მიჰქონდათ მანქანებითო და ცხოველებს აჭმევდნენო. იქ ძვირი იყოო პური და აქ იაფი იყოო. ცხოველის საკვები გაცილებით ძვირი იყოო იქო, ვიდრე ჩვენში პურიო. მერე დაგვრჩა ძალიან ცოტა მარაგიო. როცა წავიდა ეროვნული ხელისუფლებაო, ჩვენ, ფაქტიურად, არავითარი მარაგი აღარ დაგვრჩაო.

ზაზა ნიკლაური: მთლად ეგრე არ იყო. ძალიან კარგი მარაგი გვქონდა შექმნილი. მარტო ყაზბეგის რაიონს ჰქონდა იმდენი მარაგი შექმნილი, რომ მთელი წლის განმავლობაში გვეყოფოდა ნავთობისაც და ხორბლისაც.

ნათელა ვაჩნაძე: ყველა გაზეთშია დაბეჭდილი: დარჩა ამდენი და ამდენი სანვაგი, ყველა გაზეთში იძლევა ბატონი თენგიზი ინტერვიუს. ეს რა მასალის მიხედვით იყო?

ზაზა ნიკლაური: რა მასალის მიხედვით იყო და... სახელმწიფო მარაგები მეორე დღესვე რომ გამოიტანეს და თავისი კომერციული ფასები რომ დაადეს და ისე ჩაიჯიბეს... 30 კაპიკი ღირდა ჩვენს დროს ლიტრა ბენზინი, კომერციული ღირდა მანეთი. ზუსტად ერთ კვირაში. შეგიძლიათ ნახოთ მაშინდელი ფასები, საერთოდ გაქრა სახელმწიფო სანვავის მარაგი და ერთ თვეში 5 მანეთმდე აიწია.

(აქედან ცოტა გაუგებარია, ორივე ერთად საუბრობს) დუდაევი რომ პრეზიდენტი გახდა, ნავთობს ჩეჩნები გვაძლევდნენ და ჩვენი

მარაგი გვექნებოდა. თვითონ შევუტანეთ (სიგუას ალბათ) განაცხადი, რომ გვჭირდება ამდენი ბენზინი. მაშინ ფული არ ჭირდა, ჭირდა პროდუქცია. მაშინ დათოს მეშვეობით... მოლაპარაკება გავმართეთ სლექცოვსკაიაზე, ინგუშეთის საზღვარზეა. იქ იყო ნავთობბაზა. მოთხოვნა რომ წარუდგინეთ, გამოგვიყვეს იმდენი, რამდენიც ჩვენ გვინდოდა. ყაზბეგის რაიონს არასოდეს არ ჰქონია მაგდენი სანვაკი კომინისტების დროსაც, დიზელიან, ბენზინიანად არასოდეს არ ჰქონია.

დათო გიგაური: მერე ეს ომი რომ დაიწყო... უნდა წამოსულიყო ვაგონები, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ჩვენ ჩავედი, რომ ჯერ არ გამოაგზავნოთ. დუდაევს შევხვდით: არა, შევაჩერეთო, სანამ ეს არეულობააო.

ზაზა ნიკლაური: ასე რომ, ბატონი სიგუა ცრუობს, როგორც ყოველთვის. ნათელა ვაჩნაძე: კენიის ხორცის ამბავი ჩემთვის გაუგებარია.

ზაზა ნიკლაური: გამოგვიცხადა ერთხელ, რომ კენიიდან მოდის ხორციო. ზამთარი იყო. იარა, იარა ამ კენიის ხორცმა, იარა და როგორც თქვენ გინახავთ ის კენიის ხორცი...

ნათელა ვაჩნაძე: და რა მოხდა?

ზაზა ნიკლაური: გადარიცხეს ფული და გაქრა ის ფული.

ნათელა ვაჩნაძე: სად წავიდა ის ფული?

ზაზა ნიკლაური: სადღაც, ოფშერული ზონებიდან მოვიდა ისევ სიგუასთან. ის კენიის ხორცი მოდის, გზაშია ეხლაც.

ნათელა ვაჩნაძე: პირადად იცნობთ?

ზაზა ნიკლაური: კი, მქონდა ბედნიერება.

ნათელა ვაჩნაძე: გადატრიალების მერე შეხვედრილხართ?

ზაზა ნიკლაური: არა. არანაირი სურვილიც არ მქონდა, სხვათა შორის, თორემ ძალიან ცუდად დამთავრდებოდა ჩვენი შეხვედრა. თან არა იმიტომ, რომ... კიტოვანთან კიდევ შეიძლება შეხვედრა...

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ზაზა ნიკლაური: არ ვიცი... ისეთი გაიძვერაა ეს სიგუა, რომ... ეს კიდევ ბრყვია, კიტოვანი. ეს ისეთი გაიძვერაა ეს სიგუა, ისეთი გაიძვერა, რომ... არ მიყვარს ადამიანის გინება, მაგრამ სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობ.

ნათელა ვაჩნაძე: ერთმა ცნობილმა მეცნიერმა მითხრა: ყელში ამომივიდა ეს „ეროვნული“, ყველაფერს ეროვნული დაარქვაო.

ზაზა ნიკლაური: ეროვნული ვისაც ამოსდიოდა ყელში, ისინი იყვნენ წინააღმდეგები, აბა ვისაც ეროვნული არ ამოუვიდა ყელში, ისინი წინააღმდეგები არ იყვნენ. საბედნიეროდ, ქართველი ერის უმრავლესობას არ ამოსვლია ყელში და დღესაც იმედი არის, თუ ვინმე გამოჩნდება, ისევ იმ ეროვნულს გაჰყვება. ეგეთები მიდიან და მოდიან. ზოგს აქვს ეს ხარისხი და ზოგს არა აქვს ეს ხარისხი. ზოგს ყალბად ქმნიდნენ, ზოგი ნამდვილად ისე იყო. ერთი მეგობარი მყავს, რომელიც იყო გია ჭანტურიას პარტიაში. საქართველოს რუკას რომ უყურებს, უყვარს. ვიცი, გულწრფელი არის. რაღაცით შეცდა და მოხ-

და ისე, რომ აღმოჩნდა იქით. სხვათა შორის, მაგაში ირინა სარიშვილ-მა დიდი როლი ითამაშა. მთლად ეგრე არ აენყობოდა ეგ საქმე გიასა და ზვიად გამსახურდიას შორის, როგორც მერე აენყო. ზოგი შეცდა, მაგრამ ზოგი სულაც არ შემცდარა, იქ აღმოჩნდა, სადაც იყო.

ნათელა ვაჩნაძე: იყო რამე გამოსავალი, რომ თავიდან აგვეცდინა ეს კონფლიქტი?

ზაზა ნიკლაური: ალბათ არა. ამას უნდოდა კეთილი ნება. ...გელა დოლიძე არის, მე მგონი ფიზიკოსია, უნივერსიტეტის ამბებზე გამოდის ხოლმე. ადრე ვიცნობდი, ბავშვობიდან. აღმოჩნდა ისე, რომ 21 დეკემბერს, ღამით მე და ეგ შევხვდით მთავრობის სასახლის წინ, მაშინ, როდესაც დაინყეს მანქანების გადათრევა.

ნათელა ვაჩნაძე: რა მანქანები?

ზაზა ნიკლაური: ავტობუსები ხომ ჩააყენა გამსახურდიამ გასაგები მიზეზების გამო. ოპოზიციამ დაინყო ამ მანქანების გათრევა. თან რა კეთილშობილური საფუძველი დაუდეს ამას: მოდიო, შევეცადოთო და დავილაპარაკოთო. იქითაც იყო მიტინგი და აქეთაც იყო მიტინგი. ამ გელას ვეუბნები, თუ გაიხსენებს და თუ შერჩენია რამე, დამიდასტურებს: გელა, შენ ხომ იცი, რომ ამ მანქანებს იმიტომ მიათრევენ ეხლა, რომ ხვალ აქ ტანკებმა გაიარონ.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ საიდან იცოდით თქვენ?

ზაზა ნიკლაური: ვიცოდი, უკვე იდგნენ ქვემოთ გვარდიელები.

ნათელა ვაჩნაძე: სად?

ზაზა ნიკლაური: „მუხამბაზი“ იყო ადრე რესტორანი სასტუმრო „თბილისის“ ქვეშ. უკვე იყო ესეთი მუხტი, უკვე მქონდა ინფორმაცია. ვიცნობდი, ეროვნული მოძრაობიდან მოსული ხალხი იყო ძალიან ბევრი, რომლებთანაც მქონდა ურთიერთობა. თვითონ მითხრეს: ხვალ და ზეგ ჩამოვადგებთ ამასო, ამერიკაც და მოსკოვიც დაინტერესებული არისო და ჩამოვადგებთო.

დათო გიგაური: ბურბულისი იყო კოორდინატორი, თვითონ წერს რუსულ პრესაში. რუსულ პრესაში ეწერა: გამსახურდია არ უყვარდათო და შევარდნაძე ეჯავრებოდათ სამხედროებსო...

ნათელა ვაჩნაძე: თუ ეჯავრებოდათ, იარალი რატომ მისცეს?

ზაზა ნიკლაური: სახელმწიფო პოლიტიკა იყო და სამხედროებს ვინ ეკითხებოდა, რასაც დაავალებდნენ...

დათო გიგაური: ჩეჩნეთში ესეთი გაზეთი გამოდიოდა “Грозникий рабочий”. გამსახურდიას დაკრძალვის დღეები რომ იყო, იქ დაიბეჭდა ისა ქაძოევის სტატია: “Что такое звизадизм”. ეხლაც იხსენებენ ქართველები, ყველა აღფრთოვანებული იყო, ისე კარგად იყო ახსნილი ზვიადის მოძრაობა და ამისი ღირებულება, რომ არსად არ წაგვიკითხავსო. ძალიან დიდ პატივს სცემდნენ ქართველებს ჩეჩნეთში. 92 წლის გადატრიალების შემდეგ შეიცვალა ეს დამოკიდებულება, დევალვაცია განიცადა საქართველოს ავტორიტეტმა. რომ ჩახვიდოდი მიყრუე-

ბულ სოფელში, შოთა რუსთაველზე, ყაზბეგზე და ვაჟა ფშაველაზე გელაპარაკებოდნენ, ეს ისტორიულად მოდიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია?

ზაზა ნიკლაური: ეგ არ ვიცი.

დათო გიგაური: ვინც მერე სარგებელი ნახა.

ნათელა ვაჩნაძე: რა სარგებელი?

დათო გიგაური: ვინც მოვიდა ხელისუფლებაში და ვინც გაიმაგრა თავისი პოზიციები.

ნათელა ვაჩნაძე: შემსრულებელი ვინ იყო?

დათო გიგაური: ძალიან ძნელი სათქმელია. შეიძლება იმ ადამიანზე მიიტანო ეჭვი, ვინც მას ბოლომდე გვერდით ედგა... წარმოიდგინეთ, იმას დაადო ხელი, ეს ძალიან დიდი ცოდვა არის და მაგის თქმა ძალიან ძნელია. ვინც ყველაზე მეტად უერთგულა, წარმოიდგინეთ, ის ითვლებოდეს...

ნათელა ვაჩნაძე: ამ გადატრიალების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები. მოკლევადიანი იმ წუთში გამოჩნდა, გრძელვადიანი დღესაც გრძელდება და შეიძლება კიდევ 50 წელი გაგრძელდეს, ჩვენ არ ვიცი. ...ამბობენ, რომ აქ ყველაფერი პოლიტიკოსების გაკეთებულია, ვიდრე სამხედროებისო.

ზაზა ნიკლაური: სამხედროები საშინლად მოიქცნენ, რომ ჩახოცეს ხალხი ალაიანთან და მეტეხთან.

ნათელა ვაჩნაძე: ამბობენ, მეტეხთან გოგა ხაინდრავას ხელი ერიო.

ზაზა ნიკლაური: კი, მეც ესე ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: ეს სამხედროები დასავლეთ საქართველოდან ჩამოყვანილი ხალხი იყო.

ზაზა ნიკლაური: თან მოლაპარაკებულები იყვნენ, რომ წადით, უშვებდნენ და ჩაუსაფრდნენ. ალაიანთან სახალხო ფრონტის რაზმი იყო – „იმედნი“, პაპას ეძახდნენ იმას, ცოცხალია თუ მკვდარი, არ ვიცი.

## პირთა საძიებელი

ა

აბაიშვილი გია 29  
აბაიშვილი მარია 3,20,36  
აბაიშვილი ჯუნა 3,25  
აბაშიძე 181  
აბაშიძე ასლან 284,288  
აბაშიძე გრიგოლ 47,152  
აბაშიძე ზვიად 47  
აბაშიძე ჩინო 152  
აბრამიანი 214  
ადამია 171  
ადამია ვაჟა 156,157,205,274  
ადვაძე ვალერიან 41,47,50,64  
ადლიება ბორის 185,190,192,212  
ავიძბა ანატოლი 173  
ავსაჯანიშვილი ეთერ 164  
აზმაიფარაშვილი 69  
აირიკიანი 273  
ალექსიძე ალექსანდრე 47  
ალექსიძე ალიკა 16  
ალექსიძე ლევან 16,47  
ალიბეგაშვილი ტარიელ 278,279  
ალიევი (მინისტრი) 206  
ალიხანიანი ელენ 131  
ამაღლობელი ნოდარ 135,169  
ამაშუკელი რევაზ 47  
ამირეჯიბი ჭაბუა 47,53  
ანთიძე ვაჟა 96  
ანტირქისტე 14,27  
ანქვაბი 191  
არდაშელია ციალა 151  
არეშიძე ხანგიზი 86  
არობელიძე ოთარ 47  
არჩვაძე ლელე 141,144,146  
არჩვაძე მანანა 66,141,146  
არძინბა ვლადისლავ 188

ასათიანი აკაკი 29,66,76,138,141,224  
ასათიანი ვალერი 47  
ასტამურა 137

ბ

ბაბუნაშვილი 183  
ბათიაშვილი ირაკლი 10,154,185,205,210,374  
ბაკატინი 197,207,208,214,215,217,227,228,242,243,246,247,248,281  
ბალტინი 27,125  
ბალცეროვიჩი ლეშეკ 45  
ბარათაშვილი მარიკა 47  
ბარათაშვილი სოსო 30,31,33  
ბარამიძე გია 130  
ბარსკი 199  
ბაქრაძე აკაკი 9,43,50,150,151  
ბაქრაძე მზია 4, 5  
ბაღდავაძე მარიკა 151,152,154,253  
ბაჯაძე იოსებ 42  
ბეკეტი ტომას 6,7  
ბელოდერშევი 289  
ბეჰაევი 290  
ბეჟანიშვილი მიშიკო 4  
ბერაძე სერგო 42  
ბერია ლავრენტი 159,218,227,233  
ბერიძე ვახტანგ 47  
ბერიძე რუსუდან 151  
ბერძენიშვილი დავით 35,36  
ბერძენიშვილი მერაბ 47  
ბესარიონი (მამაო) 13  
ბზეჟინსკი ზბიგნევ 81  
ბოგომოლოვი იგორ 47  
ბოკუჩავა ზვიად 19,23  
ბონერი ელენ 131,165,166,168  
ბოჭორიშვილი ვახტანგ 47  
ბრეგვაძე ნანი 47  
ბრიაჩანინოველი ეგნატე (წმ.) 13  
ბუაჩიძე თაზო 4,5  
ბუაჩიძე თენგიზ 47  
ბურბულისი გენადი 59,295  
ბურჭულაძე ნემო 76,278  
ბურჯანაძე ანზორ 47  
ბუქურაული ციცო 151

ბულა 158

ბუში ჯორჯ 15,16, 116,118,119,121,123

ბ

გაბაშვილი გიორგი 37

გაბაშვილი ვლადიმერ 47

გავრელა მაკარ 73

გაზაევი 235,240,241

გალაზოვი 281

გამსახურდია ზვიად 3,4,5,6,7,9,10,11,14,15,16,17,19,20,21,22,25,  
26,28,29,30,31,32,33,34,36,37,38,39,40,48,49,50,54,57,58,61,66,67,72,  
75,77,79,81,82,83,88,90,91,94,96,105,110,118,121,122,123,124,125,126,  
128,130,132,133,135,137,138,139,140,141,142,143,144,145,146,150,151,  
152,153,154,155,156,169,171,174,176,178,184,185,189,204,219,222,236,  
239,253,254,257,258,260,261,262,263,264,265,266,268,270,272,274,277,  
280,281,282,283,284,286,287,288,289,290,291,292,293,295,296

გამსახურდია თამარ 5,126

გამსახურდია კოკო 285

გამსახურდია კონსტანტინე 126,137,153,263

გამყრელიძე ოთარ 47

გარდაფხაძე კარლო 149,150

გასვიანი თორნიკე 29

გაფრინდაშვილი ნონა 47

გაჩეჩილაძე რევაზ 47

განერელია აკაკი 4

გეგეშიძე გიორგი (ჟორა) 233,234

გეგეჭკორი გოგი 47

გელაშვილი ნაირა 39

გენშერი 54

გვარამია ვახტანგ 213,220

გველესიანი თამაზ 29

გვენცაძე რომან 144,242

გელაშვილი 230

გერმანიშვილი დალი 86,88

გიგაური დათო 277

გიორგაძე 55

გიორგაძე მამუკა 89,220

გიორგაძე ნოდარ 175

გიორგი ნმ. 172

გიუნაშვილი ჯიმშერ 47

გოგიაშვილი (მუშა) 42

გოგიბერიძე სესილი 192

გოგინაიშვილი მიშა 182  
გოკიელი ჯემალ 70  
გოლეთიანი ჯემალ 82,83  
გორბაჩოვი მიხეილ 12,14,42,43,116,119,120,192,194,195,198,223,  
246,280  
გორგოძე შოთა 202,214,217,220,223,225,237,239,241  
გორგოძე ჯემალ 221  
გორდეზიანი რისმაგ 47  
გოცირიძე ირაკლი 92  
გრიბოედოვი ალექსანდრე 12  
გუგუშვილი 42  
გუგუშვილი ბესარიონ 99,104  
გულბანი გოგი 17  
გულია გიორგი 187  
გულია დიმიტრი 187  
გუმბარიძე გივი 191,196,197,202,213,214,215,220,221,222,223,225,  
228,230,236,237,246  
გურაბანიძე ნოდარ 159  
გურგენიძე ვახტანგ 47  
გუტენბერგი 22

## დ

დავით აღმაშენებელი 91  
დავითაია ავთო 92  
დედაბრიშვილი თემურ 33,34  
დეკანოსიძე 181  
დიხამინჯია 286  
დოლიძე გელა 295  
დოსტოევსკი მიხეილ 14,24  
დოჭვირი ნონა 93,94  
დუდაევი ჯოხარ 39,100,132, 287,288,289,293,294

## ე

ებრალიძე თათი 9,10,22,23,33, 82,86,88,89,92,94  
ელცინი ბორის 15,46,50, 53,55,59,146, 222,280,281,282,284,289,290  
ენუქიძე გურამ 190,191  
ერეკლე მეორე 253  
ერისთავი ლევან 22,24  
ესაძე რეზო 12  
ესვანჯია ვახტანგ 19  
ეფიმოვი 198

ვ

ვაჟა-ფშაველა 14,40,77,88,296  
ვანიძე გურამი 151  
ვარდანაშვილი ტარიელ 189,199  
ვასილი ივანიჩი 91  
ვახტანგ გორგასალი 232  
ვეკუა ვოვა 174  
ვერგილიუსი 56

ზ

ზაკვაევი 289  
ზუბიტაშვილი 76  
ზუმბურიძე ნანა 33,86,87

თ

თაბუკაშვილი ლაშა 47  
თაბუკაშვილი რეზო 8  
თაგორი რაბინდრატ 12,14  
თავაძე ილია 148  
თავხელიძე 96  
თამარ მეფე 231  
თეიმურაზ I 49  
თუთმელიძე 234  
თურქმენიძე დელფინა 229  
თუშმალიშვილი მედეა 30,35,36  
თუშურაშვილი რობინზონ 141

ი

იაბლოჩკინი 128  
იაზოვი 131,134,169,198,285  
იანაევი 124  
იესო ქრისტე 50  
ივან ვასილიჩი 91  
ილია მართალი ჭავჭავაძე (წმ.) 72,75,86,100  
იმნაძე ავთო 150,151,154,156  
ინაური ალექსი 18,153  
იოანე (მამაო)35  
იოსელიანი ჯაბა 28,29,48,58,63,91,138,139,145,156,159,209,215,222,  
235,239,240,262,286,290

კ

- კაზალიკაშვილი შალვა 282
- კაკაბაძე ზურაბ 4,5,6
- კაკაბაძე ირაკლი 154
- კაკაბაძე ნანა 151,154
- კაკაბაძე ნოდარ 5,6
- კალაძე თამაზ 85
- კალმახელიძე მაია 42
- კარანაძე კაკო 183
- კახიძე ჯანსუღ 70
- კაშია ჯანრი 22,35,36
- კელენჯერიძე 149
- კენჭოშვილი ირაკლი 34
- კერესელიძე მაია 33,86,87
- კეხეიბა 187
- კვანტალიანი (გენერალი) 245
- კვაჭანტირაძე თამაზ 61
- კვესელავა მიხეილ 5
- კვიციანი 26
- კიკაჩიშვილი თენგიზ 32,34
- კიკნაძე მერაბ 76,278
- კიკნაძე ნათელა 127,128,130,164
- კილასონია ნიკა 30,35
- კილაძე 69
- კიტოვანი თენგიზ 48,58,63,83,133,134,137,138,140,156,157,209,215,239,240,290,291,294
- კიტოვანი ნათია 141
- კიპლინგი რედიარდ 13
- კლინტონი ბილ 146
- კობახია ვალერი 185,191
- კობახიძე გოგი 87,88,91,92,95
- კოპალეიშვილი თეიმურაზ 47
- კოპალიანი ჯუმბერ 9
- კოპოლევი ლევ 4,6
- კორძაძე გიზო 151
- კოსტავამერაბ 9,70,79,90,122,123,137,138,143,151,152,153,154,157,171,178,185,189,204,210,211,254,292,293
- კოჩეტოვი 193,197,201
- კრონშტადტელი იოანე (ნმ.) 13

## ლ

ლადო 137  
ლაკობა ნესტორ 188,191  
ლანჩავა გელა 88,89  
ლაფაური სოლომონ 149  
ლალიძე დათო 130  
ლაშქარაშვილი ზაქარია 264  
ლებანიძე მურმან 13  
ლენინი 137,199, 218,219,220,221,252  
ლერმონტოვი მიხეილ 12,14  
ლესია უკრაინკა 199,227  
ლია (დეპუტატი) 33  
ლითანიშვილი ოთარ 22,24,32  
ლიპარტელიანი როინ 55  
ლიცაუსკასი 248  
ლოლაძე მაია 24  
ლომოური ირაკლი 10  
ლომოური ნოდარ 22  
ლორთქიფანიძე გიგა9  
ლორთქიფანიძე ვაჟა 53  
ლორთქიფანიძე მარიამ 64, 128,130,131,132, 163,247  
ლორთქიფანიძე ტარიელი 218  
ლოქსი მაიკლ 81,97  
ლუარსაბიშვილი 69  
ლუჩკო კლარა 93

## მ

მაისურაძე (ქიმიკოსი) 32,33  
მაისურაძე ანზორ 35,36  
მაისურაძე დავით 36  
მაისურაძე ლალი 130,131,132  
მაისურაძე ტარიელ 87,91  
მალაშხია შოთა 32,33,34,35  
მალხაზი 85  
მამარდაშვილი მერაბ 122,123  
მამულაია გურამი 9,152,255  
მანაგაძე 156  
მაო ძე-დუნი 21  
მარდიუკოვა ნონა 93  
მარკი ჰაინრიხ 116  
მარჯანიშვილი გიორგი 101  
მაცაშვილი 95

მაყაშვილი გიორგი 18,21,22,36  
მაცაბერიძე 21  
მაჭავარიანი ირაკლი 12  
მაჭავარიანი მუხრან 94,150  
მახარაშვილი ბეგლარ 201  
მგალობლიშვილი 172  
მგალობლიშვილი ეთერ 87  
მგალობლიშვილი ლია 34  
მგალობლიშვილი ნოდარ 204  
მგელაძე გურამ 60,138, 210,211,220,235  
მელაშვილი ირაკლი 286  
მელქაძე ვალერიან 42  
მერაბი 15  
მერი ლენარტ 116  
მესხი მიხეილ 30“  
მესხია ჯემილა 127,131  
მეტრეველი 30  
მომინოშვილი რომან 47,53  
მიქაძე აკაკი 57  
მოლოდინაშვილი ნუგზარ 17,32,144  
მოლოტოვი 228  
მოურავიძე დომენტი 47  
მრევლიშვილი გია 70  
მრევლიშვილი მალიკო 148

ნ

ნაზარბაევი ნურსულთან 49  
ნათაძე მაია 7  
ნათაძე ნოდარ 12,16,42,156,204,208,236,266,286  
ნანეიშვილი ბიძინა 47  
ნანეიშვილი მიხეილ 7,8,9,18  
ნაპოლეონ I 63  
ნებელი დევიდ 129  
ნიკოლაიშვილი გელა 151,152  
ნიკოლსკი 183,194,197  
ნიკურაძე რუსუდან 19,20  
ნინუა თამაზ 35  
ნოდია (მხატვარი) 272  
ნოდია გია 77  
ნოვოდვორსკაია ვალერია 92,93,97

ო

ოზგანი კონსტანტინე 185,187,188,190,191,193,200,203  
ორბელიანი სულხან-საბა 12  
ორხელიშვილი გივი 47  
ოსაძე მიხეილ 96  
ოჩიაური გოგი 83

პ

პაატაშვილი თედო 286,290  
პავლოვი (პრემიერ-მინისტრი) 49  
პატიაშვილი ჯუმბერ 183,188,189,192,193,194,195,196,197,198,202,  
203,217  
პატრიკეევი 141,283  
პეტრენკო ალექსი 94  
პოპოვი 50  
პუგო 134  
პუზირნი 141  
პუტინი ვლადიმერ 46  
პუშკინი ალექსანდრე 12,14,24

ჟ

ჟვანია ზურაბ 35,36,177  
ჟორდანია გიზო 148,159  
ჟორჟოლიანი თემურ 138,156,157  
ჟღენტე ალექსანდრე 101

რ

რაზუმოვსკი 194,196,201  
რამიშვილი გურამ 95  
რამიშვილი მზია 149  
რამიშვილი ნინო 149  
რასტრაპოვიჩი 15  
რატინი ანა 285  
რაფი სერჟ 30  
რევიშვილი ზურაბ 103  
რეხვიაშვილი თემურ 86,88  
რეხვიაშვილი რამაზ 22  
რიბენტროპი 228  
რიჟკოვი ნიკოლაი 227,228,289  
რობაქიძე გრიგოლ 70  
როგავა კუკური 213

როვსინგი 31  
როდიონოვი 193,197,198,199,201,202,243  
როდონაია 30  
რუსეცკი ალექსანდრე 129,130,163  
რუსთაველი შოთა 156,171,172,174

## ს

სააკაძე გიორგი 49  
სალუქვაძე მინდია 81,95  
სანებლიძე არმაზ 150,241  
სარვაროვი 246,247,248  
სარიშვილი ირინა 89,224,273,295  
საჯაია ნუგზარ 210,211,220  
სახაროვი ანდრეი 122  
სეგალი ჟაკ 63  
სკრიპკინი 243,248  
სოლჟენიცინი ალექსანდრე 14  
სპივაკოვი 14  
სტალინი იოსებ 137,223,233,234,246  
სტაროვოიტოვა 281  
სტაროვოიტოვი 50  
სტურუა რობერტ 30  
სუმბათაშვილი თემურ 12,274  
სურმავა აბესალომ 86,88,91

## ტ

ტაბიძე ნუგზარ 24  
ტოლსტოი ალექსანდრე 14  
ტყეშელაშვილი ნიკო 42

## უ

ურიდია მერაბ 286  
ურუშაძე ლევან 36

## ფ

ფალავანდიშვილი მირანდა 126  
ფალიაშვილი ვახტანგ 69  
ფანცხავა 42  
ფარაჯანოვი სერგო 30  
ფატეევა ნატალია 93  
ფაჩუაშვილი მამუკა 18,19,20

ფეოფრასტე 56  
ფედარჩუკი 184  
ფერადე თენგიზ 47  
ფირცხელანი თამარ 128,130,164  
ფიფია (ქალაქკომის მდივანი) 210  
ფიცხელაური ვაჟა 277  
ფორაქიშვილი ზურაბ 169,247  
ფოფხაძე ნუგზარ 149,150  
ფრუნზე 242

## ქ

ქადაგიშვილი ირაკლი 224  
ქავთარაძე გოგი 204  
ქარსელაძე გია 197  
ქარქაშაძე ნაპოლეონ 190  
ქარჩავა 205  
ქაძოვეი ისა 39,281,282,287,289,290  
ქეიბა 185  
ქემერტელიძე ეთერ 47  
ქვაჩახია ვენორ 6  
ქილიკაშვილი იაგო 277  
ქორიძე თემურ 9,140,156  
ქსოვრელი ზურა 86

## ლ

ლვინჯილია ჯანსუღ 47  
ლოლობერიძე ლანა 21  
ლუდუშაური (ყაზბეგის მილიციის უფროსი) 242

## ყ

ყავლაშვილი შოთა 226  
ყაზბეგი ალექსანდრე 296  
ყიასაშვილი ნიკო 4,5,7  
ყიფიანი ივანე 47

## შ

შადური ვარლამ 184,188,193  
შავგულიძე თამაზ 47  
შავდია ლიდა 137  
შავიშვილი რეზო 156  
შაკიაშვილი ლუიზა 147,148,153,159,244

შალამბერიძე გრიშა 218,219,220  
შანიძე ზურაბ 27,85,86,87  
შარონ არიელ 140  
შევარდნაძე ედუარდ 21,28,29,31,45,47,48,52,54,55,56,63,67,76,78,  
81,97,124,143,145,181,182,183,186,194,195,196,201,216,222,223,224,  
226,227,228,230,239,240,260,261,263,264,288,290  
შენგელაია გიორგი 22  
შენგელაია ელდარ 12  
შენგელაია ირაკლი 151,156  
შექსპირი უილიამ 5  
შოთა რუსთაველი 296  
შჩოლოკოვი 184

## ჩ

ჩარკვიანი კანდიდ 42,233  
ჩარკვიანი ჯანსუღ 47,53,193  
ჩაჩავა გოგი 17  
ჩაჩავა თენგიზ 17,92  
ჩერნომირდინი ვიქტორ 53  
ჩიკვაძე 55  
ჩიჭაია კახა 8  
ჩლაჩიძე გალინა 86  
ჩოლოყაშვილი ქაქუცა 154  
ჩოჩიევი 235,240,241  
ჩურკოვი 214  
ჩუხუა მერაბ 39,40  
ჩხეიძე 221  
ჩხეიძე თამარ 10,151,152,154,156,185,264,265  
ჩხეიძე პაატა 192  
ჩხეიძე რეზო 103,193,200,201

## ც

ცაგალაევი (გენერალი) 242  
ცინცაძე ზურაბ 152  
ციციშვილი გიორგი 47  
ციხესაშვილი მათე 287  
ცხოვრებოვი ზური 240

## ძ

ძერჟინსკი 125,218  
ძიდიგური აკაკი 149

ძიდიგური ზვიად 21  
ძოძუაშვილი მანანა 28,66, 204

წ

წერეთელი აკაკი 14  
წერეთელი ზურაბ 169,247  
წერეთელი ირაკლი 10,15,151,152,155,156,185,205,218,219,220,224,  
236,237,266  
წიკლაური გივი 277  
წიკლაური ზაზა 277  
წიკლაური შალვა 83  
წიფურია ბორის 213  
წულეისკირი ნოდარ 150

ჭ

ჭავჭავაძე 138  
ჭავჭავაძე ანა 15,32,88,94  
ჭავჭავაძე ზვიად 21,24,87  
ჭავჭავაძე ილია (წმინდა ილია მართალი) 10,14,50,153,154,155,156,  
172,224  
ჭავჭავაძე ნიკო 5,6,193  
ჭავჭავანიძე ვლადიმერ (ვოვა) 69,74,75  
ჭანტურია გია 9,10,57,82,89,138,152,154,156,159,174,224,263,266,  
267,268,269,270,273,275,285,286,294  
ჭანტურიშვილი 199  
ჭანტურია ნემო 171  
ჭიაურელი სოფიკო 93,94  
ჭითავა ვახტანგ 88  
ჭითანავა ნოდარ 213,220,224,225,236,285  
ჭინჭარაული 94  
ჭიჭიკო 73  
ჭიჭინაძე ვახტანგ 47

ხ

ხაბულიანი დილარ 25,184, 245,280,291  
ხაინდრავა თათია 150  
ხაჩიძე მანანა 95,96  
ხიუბა 192,203  
ხმალაძე ვახტანგ 156  
ხონელიძე გია 138  
ხრუშჩოვი ნიკიტა 41,122,233

ხუროძე თემურ 169  
ხუხუნიძევილი ვანო 224

ჯ

ჯავახაძე 183  
ჯავახიშვილი ივანე 69  
ჯავახიშვილი ლალი 8  
ჯაველიძე ელიზბარ 47  
ჯაიანი დიმა 204  
ჯანაშია 128,129  
ჯანაშია ვახტანგ 168,169  
ჯანდიერი კოტე 9  
ჯაფარიძე ბადრი 30  
ჯაფარიძე ნანა 151,152  
ჯაფარიძე ოთარ 169  
ჯინორია ოთარ 4  
ჯიქია ქსენია 69  
ჯორჯაძე რეზო 137  
ჯორჯიკია ჯაჯუ 137  
ჯოჯუა მიშა 210

ჰ

ჰერბერტი 56

А

Андроникашвили 167  
Ахвледиани 167

Б

Бонер Елена 166,167

В

Вахтанг VI 166

Г

Горбачов М. С. 59  
Горгодзе Шота 197  
Гумбаридзе Гиви 196

Д

Джугели 166

Е

Ельцин Б. Н. 59

Л

Ленин 217

Н

Назаров 14

Р

Растратович 13  
Родионов 197,198

Ц

Цагалаев 243

С

Condoleezza Rice 120

Г

George H.W. Bush 120,121



## გეოგრაფიული საძიებელი

ა

აბგარჰუკი 172,174  
აგუძერა 172  
ადიგენი 247  
ადლერი 248  
ავლაბარი 86  
ავსტრია 23  
ავლანეთი 110,241,243  
აზერბაიჯანი 125,126,169, 246,247,293  
ათონის მთა 13  
ალანია 111  
ალგეთი 189  
ალექსანდროვის (ალექსანდრეს) ბაღი 137  
ალმა-ატა 117  
ამერიკა 16, 30,32,33,44,45,46, 73,78,295  
ამიერკავკასია 163  
არკადია 56  
ასპინძა 246,247  
ასპინძის რაიონი 133  
აფრიკა 46  
აფხაზეთი 8,10,29,42,55,67,79,111,117,125,130,139,140,151,164,172,  
185,187,188,189,190,191,200,202,203,206,208,210,214,215,216,239,245,  
247,264,265,271,272,273,274  
აფხაზეთის რესპუბლიკა 214  
ალმოსავლეთ საქართველო 212,264  
აშშ 55,56,62,110,114,116,118,119,121,128  
აჭარა 208  
ახალქალაქი 41,247  
ახალციხე 246,247  
ახალციხის რაიონი 41  
ახმეტის რაიონი 287

ბ

ბაზალეთი 49  
ბაკურიანი 233  
ბალტიის რესპუბლიკები 116,117,119,120

ბალტიისპირეთი 89  
ბაქო 233  
ბალდათი 247  
ბეთანია 35  
ბელინსკის ქუჩა 22  
ბელოვეჟი 117  
ბელორუსია 117,118  
ბზიფი 187  
ბიჭვინთა 188  
ბოგდანოვკის რაიონი 41  
ბოლნისი 207  
ბორჯომი 15,186  
ბრიტანეთი 86  
ბუდაპეშტი 200

## ბ

გაგრა 188,193,216  
გალი 140,212,213,214  
გალის რაიონი 171  
გერმანია 78,110  
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 54  
გოთუას ქუჩა 29  
გოლიათი (მაღაზია) 114  
გორი 148  
გორის სახელმწიფო თეატრი 148  
გროზნო 32,83,84,92,94,96, 278,288,289  
გუდაუთა 187,189,193  
გუდაუთის რაიონი 172,185  
გულრიფში 140  
გურია 208

## დ

დანია 30,31  
დავით გარეჯი 70  
დავითაშვილის ქუჩა 221  
დარიალის ხეობა 278,280  
დასავლეთ საქართველო 125,165,212,264,296  
დიდი ბრიტანეთი 5  
დივეევოს მონასტერი 13  
დიღმის მასივი 22  
დნესტრისპირეთი 111  
დსთ 46,117

ე

ენგური 171  
ერგნეთი 237,238  
ესტონეთი 106,116,117,118

ვ

ვაშინგტონი 120,121  
ვერა 137  
ვიეტნამი 207  
ვორონცოვი (უბანი)85

ზ

ზემო ბოდბე 147  
ზემო იმერეთი 287  
ზესტაფონი 221  
ზესტაფონის რაიონი 181  
ზუგდიდი 127,210,278

თ

თაგილონი 171  
თბილისი 3,33,41,69,99,123,126,129,137,143,144,147,174,188,205,228,  
234,242,243,277,279,284,287  
თურქეთი 99,246,247

ი

იაპონია 246  
იაროსლავის მოედანი 227  
ივერია (სასტუმრო)84  
ილემი 181  
იმერეთი 172  
ინგლისი 13,14  
ინგუშეთი 277,287,289,294  
ინდოეთი 12,13  
ირანი 206  
ისნის რაიონი 147

კ

კავკასია 12,13,14,39,40,125,173,289,290  
კამოს ქუჩა 42,251  
კანადა 114

კანდელაკის ქუჩა 22  
კახეთი 165  
კენია 291,294  
კიევი 118,119,121  
კინოს სახლი 91  
კიცხი 181  
კოდორის ხეობა 209  
კოპენჰაგენი 31  
კოსტავას ქუჩა 234  
კორარა 212  
კრასნოდარი 248  
კრემლი 120,234  
კრწანისი 195

## ლ

ლათინური ამერიკა 46  
ლანჩხუთი 196  
ლატვია 106,116,117,118  
ლენინის მოედანი 221  
ლენინის ქუჩა 234  
ლესელიძე 187,193,246,248  
ლესია უკრაინკას ქუჩა 227,230  
ლიტვა 106,116,117,118  
ლიხნი 151,185  
ლონდონი 12,14,195

## მ

მაიდანო 232  
მალაია ორდინკა (ქუჩა) 57  
მამზარა 41  
მარნეული 205,207  
მარჯანიშვილის თეატრი 147  
მატანი 154  
მაჩაბლის ქუჩა 159  
მახათას გორა 194  
მესხეთი 133,246,247  
მეტეხის პლატო 232  
მთიანი ყარაბაღი 112  
მოლდავეთი 117,118,120,128  
მოსკოვი 42,48,49,53,57,82,92,112,119,127,128,134,135,163,168,183,  
194,207,215,230,236,239,241,242,273,295  
მოსკოვი (სასტუმრო) 57

მუსკომედის თეატრი 147  
მცხეთა 151,152,244,253

ნ

ნატახტარი 244  
ნიუ-იორკი 86

ო

ორთაჭალა 226  
ორჯონიკიძე 242,246  
ოსეთი 168,200,239,277  
ოჩამჩირე 185,212

პ

პლახანოვის გამზირი 183  
პოლონეთი 45,110  
პრალა 273,287  
პტენა 41

რ

რაჭა 287  
რკონი 141,142  
რკონის ხეობა 141  
რუსეთი 14,15,26,30,37,40,45,46,49,54,55,58,66,69,77,93,117,120,125,  
126,135,140,142,144,164,173,199,216,229,242,282,289  
რუსეთის იმპერია 11  
რუსეთის ფედერაცია 281  
რუსთაველის გამზირი 30,84,149,157,177,231  
რუსთაველის თეატრი 147

ს

საბურთალო 146  
საბჭოთა კავშირი 5,10,11,15,17,23,37,42,43,44,47,69,71,73,75,77,100,  
105,106,107,111,113,114,116,117,118,119,120,121,122,123,125,126,163,  
164,169,173,222,232,242,246,247,251,257,259,263,289  
საირმე 247  
სამაჩაბლო 29,93,100,107,125,127,131,132,134,139,232  
სამეზის ტაძარი (ყაზბეგი) 288  
სამეგრელო 32,208,213,271,272  
სამხრეთ ოსეთი 163,167,169,230

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 231,234,242,243,245,274,  
282,283

საფრანგეთი 35,36

საქართველო 4,14,16,17,18,19,20,21,22,23,26,28,30,31,32,33,36,37,  
38,39,40,41,42,43,44,45,46,48,49,50,53,54,55,56,57,62,67,68,69,71,72,82,  
85,86,88,89,93,94,96,97,99,100,101,105,106,107,108,109,110,111,112,113,  
114,115,117,118,119,120,121,122,123,125,126,127,128,135,138,140,143,  
146,163,169,173,174,185,187,195,202,203,209,211,216,219,222,225,226,  
229,231,232,233,234,241,242,243,245,247,249,251,257,259,260,264,268,  
271,274,277,278,288,289,292,294

სასტუმრო თბილისი 295

საჩხერე 247

სვანეთი 140

სვეტიცხოველი 70,152

სიღნაღის რაიონი 147

სლეპცოვსკაია 293

სომხეთი 118,120,169,232

სოხუმი 151, 168,171,189,203,204

სპორტის სასახლე 236

ტ

ტაშკენტი 248

ტრეტიაკოვკა (მეტრო) 57

უ

უზბეკეთი 117,118,245

უკრაინა 23,117,118,120

უნგრეთი 199,200

უშანგი ჩხეიძის ქუჩა 252

ფ

ფერგანა 172

ფოთი 171,287,288

ფონიჭალა 233

ფსოუ 68

ქ

ქართლი 139

ქაშუეთის ტაძარი 199

ქვემო ქართლი 245

ქუთაისი 42,214,218

ყ

ყაზახეთი 117,259  
ყაზბეგი 242,277,279,280,281,283,284,285,287,288,289,293  
ყაზბეგის რიონი 277,278,281,282  
ყარაბაღი 163,169  
ყიზლარი 282  
ყიფშიძის ქუჩა 152

შ

შვედეთი 116  
შიდა ქართლი 165

ჩ

ჩეჩნეთი 39,125,277,287,288,289,295  
ჩეხოსლოვაკია 46  
ჩინეთი 44  
ჩრდილო კავკასია 165,211,246,248,277,  
ჩრდილო ოსეთი 143  
ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა 281,283

ც

ცხვარიჭამია 194  
ცხინვალი 236,237,238,240,242,243,244,263,274

ძ

ძნელაძის ქუჩა 137

წ

წითელი მოედანი 217  
წყალსაზიდის ქუჩა 137  
წყნეთი 285

ჭ

ჭიათურა 247  
ჭიჭინაძის ქუჩა 84

ხ

ხარაგაულის რაიონი 181  
ხოშარაულის ქუჩა 24  
ხრამჭესი 206

ჯ  
ჯავახეთი 246,247  
ჯავახიშვილის ქუჩა 90,267

ჰ  
ჰელსინკი 31,72,78,81,85,92,96,172

А  
Абхазия 200  
Азербайджан 166  
Армения 166

Б  
Бакуриани 168

Г  
Грузия 46,59,166,167,168,169,184,227,234

Д  
Джавахи 169

К  
Кавказ 166  
Карабах 169

Л  
Литва 44

М  
Москва 168,217

О  
Орджоникидзеvский университет 167  
Осетинское госурадство 166  
Осетия 167

Р

Рача 168

РСФСР 60, 167

С

Северный Кавказ 167

Северо-осетинская автономная республика 167

Советском Союз 167,214

СССР 60

Ц

Цветной бульвар 164

Ш

Шида Картли 165

Ю

Юго-осетинская автономная область 167

Южная Осетия 166,167

Е

Еуропа 121

К

Kiev 120,121

С

Soviet Union 120,121

U

Ukraine 120,121

United States 121

W

Washington 121